

ლ. აზმაიფარაშვილი, ნ. არდოტელი, რ. ლოლუა, ლ. სანიკიძე, რ. ფარეულიძე

ნახურ და დაღესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა

(საგრანტო პროექტი №31/45)

III ნაწილი

თბილისი

2016

V თავი

სახელის მორფოლოგია:

კლასის, რიცხვის, ბრუნვისა და ლოკალიზაციის კატეგორიები

1. ნახურ ენათა სახელის მორფოლოგია:

კლასის, რიცხვის, ბრუნვისა და ლოკალიზაციის კატეგორიები

გრამატიკული კლასის კატეგორია ნახურ ენებში

1. 1. გრამატიკული კლასის კატეგორია ჩვენურში. ნახურ ენათა ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიებია გრამატიკული კლასის კატეგორია, რიცხვის კატეგორია, სახელს მოეპოვება ბრუნვის კატეგორია, ზმნას კი -დროის, ასპექტის, კილოს, კაუზატივის, პოტენციულის კატეგორიები.

ამ კატეგორიათაგან გრამატიკული კლასის კატეგორია ნიშანდობლივია როგორც სახელისათვის, ისე ზმნისათვის, ზოგი ზმნისართისათვის, თანდებულისათვის, ნაწილაკისათვის, თვით კავშირისათვისაც. შეიძლება ითქვას, რომ გრამატიკული კლასის კატეგორია მთლიანად განმსჭვალავს ნახურ ენათა მორფოლოგიას, ეს არის ყველაზე ზოგადი კატეგორია ნახურ ენათა მორფოლოგიაში.

გრამატიკული კლასის ნიშანი ნახურ ენებში პრეფიქსს წარმოადგენს, რაც გრამატიკული კლასის კატეგორიის სიძველეზე მიუთითებს (პრეფიქსაცია უფრო ძველია სუფიქსაციაზე).

არსებით სახელებში გრამატიკული კლასის ნიშანი ამჟამად შემორჩენილია რუდიმენტის სახით, ცვალებადი კლასის ნიშანი გვაქვს ორ ათეულზე ცოტა მეტ ვითარებით ზედსართავ სახელში, ოთხის აღმნიშვნელ რიცხვით სახელში, ორიოდე ნაცვალსახელში.

არსებითი სახელიც ფუძენახურ ენაში გრამატიკული კლასის ნიშნების მიხედვით მარკირებული უნდა ყოფილიყო. არსებითი სახელის კლასის ნიშნებს იმეორებდნენ მასთან სინტაქსურად დაკავშირებული სიტყვები. სავარაუდოდ, ფუძენახური ენის დაშლის შემდეგ არსებითმა სახელმა დაკარგა გრამატიკული კლასის ნიშნის მარკერები, მაგრამ ისინი შემოინახა მასთან სინტაქსურად დაკავშირებულმა სიტყვათა ნაწილმა.

სინქრონიაში ნახურ ენებში არსებითი სახელის ამა თუ იმ გრამატიკული კლასისადმი კუთვნილება განისაზღვრება მასთან შეწყობილი ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშნის მქონე სიტყვის მიხედვით.

ყველა ნახურ ენაში გარჩეულია ოთხი გრამატიკული კლასის ნიშანი. თითოეულ კლასს თავისი ნიშანი გააჩნია, ესენია: ვ-, დ-, ბ-, ღ-. ყველა არსებითი სახელი განაწილებულია ამ ოთხი გრამატიკული კლასის ნიშნის მიხედვით. ახალი ნასესხები სიტყვებიც სესხების მომენტიდან ამ წესს ექვემდებარებიან.

თითოეულ კლასის ნიშანს მოსდევს, ენების ან დიალექტების მიხედვით, რომელიმე ხმოვანი, რომელიც არ წარმოადგენს კლასის ნიშნის კუთვნილებას. არსებითი სახელის კლასის ნიშნის დასადგენად ჩვეულებრივ მიმართავენ დ-უ (ჩენ.), ღ-ა (ბაცბ., ინგ.) „არის“ ზმნას (თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, შეიძლება ნებისმიერი ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშნის მქონე სიტყვის გამოყენება).

იმის ნიმუშად, რომ არსებითი სახელი მარკირებული იყო გრამატიკული კლასის ნიშნების მიხედვით, მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები:

ჩენ.	ინგ.	ბაცბ.
ვ-აშა	ვ-ომა	ვ-აშრ „ძმა“
დ-იშა	დ-იშა	დ-აშრ „და“
ვ-ჟო	ვ-ჟო	ვ-ოჰ „ვაჟიშვილი“
დ-ჟო	დ-ჟო	დ-ოჰ „ქალიშვილი“

ეს არის ის ოთხი სახელი, სადაც საოპოზიციო წყვილები ერთმანეთს უპირისპირდებიან ორი გრამატიკული (ვ- მამაკაცის კლასის ნიშანი, დ- ქალის კლასის ნიშანი) კლასის ნიშნის მიხედვით. შეიძლება ორიოდე სხვა მაგალითის მოხმობაც, მაგრამ ზემოთ მოყვანილი ნიმუშები არსებით სახელებში გაქვავებული გრამატიკული კლასის ნიშნების მაგალითებად გამოდგება.

გრამატიკული კლასის ნიშნები უდავოდ არის დაკარგული არსებით სახელებში, როგორცაა:

- ჩენურ-ინგუშური სთდე, ბაცბური ფ-სტუ „ცოლი“
- ჩენურ-ინგუშური შა, ბაცბური ფ-შა „ყინული“
- ჩენურ-ინგუშური სთუ//თუ, ბაცბური ფ-სტუ „ხარი“

ჩენურ-ინგუშური სურდუ, ბაცური ფ-სარლო „სადმო“

ჩენურ-ინგუშური შდელჟორ, ბაცური ფ-შალჟ „სიცივე“...

ნათელია, რომ გრამატიკული კლასის ნიშნად ფ- ბაცურში მეორეულია, იგი მიღებულია ბ-საგან (ბ-ს დაყრუება შიშინა სპირანტების წინ). გარდა ამისა, გრამატიკული კლასის ნიშნები ბაცურში გაქვავებულია ყრუ შიშინა სპირანტების წინ. ჩენურ-ინგუშურში ისინი დაკარგულია.

როგორც ზემოთ ითქვა, არსებითი სახელის კლასის ნიშნის დასადგენად ჩვეულებრივ მიმართავენ დ-უ (ჩენ.), დ-ა (ბაც., ინგ.) „არის“ ზმნას. სახელი მართავს ამ ზმნას (და მასთან სინტაქსურად დაკავშირებული ცვალებადი კლასის ნიშნის მქონე ყველა სიტყვას) გრამატიკულ კლასში.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ არსებით სახელთა განაწილების სქემა ჩენურში (იგივე პრინციპია გამოყენებული ბაცურსა და ინგუშურშიც). არსებითი სახელები: კანთ „ბიჭი“, დჟორ „გოგო“, სთუ „ხარი“, ბჟორზ „მგელი“, ბჟრ „ბავშვი“, ჩა „ლათვი“, დჟ „მამა“, ნჟნა „დედა“, დეთა „ძროხა“, ფჟჟაგალ „კურდღელი“, მარხა „ლრუბელი“, მალხ „მზე“, ბუთა „მთვარე“, ნუსქალ „პატარძალი“, ლჟორ „თოვლი“, ჰჟოზა „ჩიტი“, ბჟრქა „ბურთი“, ბჟფიგ „პური“...

- I. კანთ, დჟ... ვ-უ
- II. დორ, ნჟნა, ბჟორზ, ჩა, ფჟჟაგალ, მარხა, ბჟრქა... დ-უ
- III. სთუ, დეთა, მალხ, ბუთა... ბ-უ
- IV. ბჟრ, ნუსქალ, ლჟორ, ბჟფიგ... დ-უ

ნათქვამის მიხედვით, შეიძლება კლასის ნიშნთა სქემა შემდეგანაირად ჩამოვყალიბოთ მხ. რიცხვში:

- I. ვ-
- II. დ-
- III. ბ-
- IV. დ-

სხვა სახის ნიშანი არსებით სახელთა კლასის აღსანიშნავად ნახურ ენებში არა გვაქვს.

მაშასადამე, თითოეულ ამ სახელთან გამოყენებული იქნება შესაბამისი კლასნიშნის ზმნა. შდრ.: კანთ ვ-უ „ბიჭი არის, ბიჭია“, ჩა დ-უ „ლათვი არის, ლათვია“ და ა. შ. როგორც ითქვა, ყველა არსებითი სახელი მხ. რიცხვში ამ ოთხ კლასშია განაწილებული.

აქვე აღვნიშნავთ, რომ უკლასნიშნო სიტყვებთან ასეთი დაყოფა არ ხდება. შდრ.: კანთ ლოჟუ „ბიჭი თამაშობს“, დო ლოჟუ „გოგო თამაშობს“, ჩა ლოჟუ „ლათვი თამაშობს“ და ა. შ. ყველა სახელთან იქნება ლოჟუ ფორმა.

გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ვ- გამოხატავს მამაკაცის კლასის სახელებს, დ- ნიშანი აერთიანებს ქალთა კლასის სახელებთან ერთად ნივთის კლასის სახელებსაც, ბ- და ღ- კლასებში გაერთიანებულია ნივთის კლასის სახელები.

სახელს აქვს რიცხვის კატეგორიაც. რა მდგომარეობა გვაქვს მრავლობითში?

აღსანიშნავია, რომ მრავლობითში კლასის ნიშანი ვ- არც ერთ ნახურ ენაში არ დასტურდება. შდრ.: კანთ ვ-უ „ბიჭი არის, ბიჭია“, მაგრამ: კენთიდ ბ-უ „ბიჭები არიან“. შდრ., აგრეთვე: ნანა დ-უ „ლეღა არის“, ნანჟოდ ბ-უ „ლეღები არიან“... ე. ი. ვინ კლასის სახელები მრავლობითში ზმნას მართავენ ბ- კლასში. ხშირ შემთხვევაში მრავლობითში ნივთის კლასის სახელებსაც ეცვლებათ კლასის ნიშანი.

გრამატიკული კლასის ნიშნების მიხედვით არსებით სახელთა განაწილების პრინციპი ნახურ ენებში დადგენილი არ არის. ისინი უნდა დავიმახსოვროთ. ჩვეულებრივ, ლექსიკონებში მითითებულია კლასის ნიშნები ორივე რიცხვში.

რამდენადაც დ- ფორმანტი ვინ და რა-ჯგუფის სახელებს გამოხატავს, სასურველია არსებით სახელთა დაჯგუფება მრავლობითი რიცხვის მონაცემთა გათვალისწინებითაც. ასეთ შემთხვევაში რა-ჯგუფის სახელები გამოიყოფა ცალკე და საერთო ჯამში ჩეჩნურში გვექნება ექვსი გრამატიკული კლასი. შდრ.:

	ვინ-ჯგუფის სახელები		რა-ჯგუფის სახელები			
კლასები	I მამაკაცთა კლასი	II ქალთა კლასი	III	IV	V	VI
მხ. რ.	ვ-	დ-	დ-	ბ-	ბ-	ღ-
მრ. რ.	ბ-	ბ-	დ-	ბ-	ღ-	ღ-

აღსანიშნავია, რომ ჩეჩნური ენის დიალექტებში გამოყოფენ 7, 8, 9 გრამატიკულ კლასსაც (შესაძლო 16 ვარიანტიდან) (თიმაევი 1983).

ვინ-ჯგუფის სახელთა ორად დაყოფის საფუძველი ნათელია:

ვ- გამოხატავს მამაკაცთა კლასის სახელებს, აქვე შემოდის დღლა „ღმერთი“ (ღღლა ვ-უ „ღმერთი არის, ღმერთია“) და წუჟ „ღვთაება“.

ღ- გამოხატავს ქალთა კლასის სახელებს.

საინტერესოა, რომ ნუსქალ „პატარძალი“, ბურ „ბავშვი“ განეკუთვნებიან ნივთის კლასის (ღ-//ღ-) სახელებს. შეედარებისათვის: გერმანულში „ბავშვი“, „ქალიშვილი“ (გოგონა) განეკუთვნებიან ნივთის კლასს: das Kind...

პროფესიის, ეროვნების აღმნიშვნელი არსებითი სახელები, როგორცაა: ნუჟონჟურ „ჩეჩენი“, ლჟორ „ეკიმი“ და მისთანანი კლასის ნიშანს იღებენ იმის მიხედვით, ქალზეა საუბარი თუ კაცზე.

სავარაუდოდ, ვინ-ჯგუფის სახელებს, გონიერთა კლასის სახელებს, ნახურ ფუძეებში ერთი ნიშანი უნდა ჰქონოდათ, კერძოდ, ვ-. შემდგომში სახელთა ეს ჯგუფი დაიშალა და ქალთა კლასის სახელები ნივთის კლასში (ღ-ში) გადანაწილდა. სახელთა ასეთი დაყოფა მოტივირებულია.

გაურკვეველია, როგორც ითქვა, „რა“ ჯგუფის სახელთა კლასის ნიშნების მიხედვით დაყოფის საფუძველი. საილუსტრაციოდ აქ დავასახელებთ ზოგ მათგანს:

III გრამატიკული კლასის სახელებს ორივე რიცხვში ო-//ო- ფორმანტები მოუდით, მაგალითად:

მხ. რ.	მრ. რ.
გოჟრ (ცხენი) ო-უ	გოჟრ-ამ ო-უ
ქჟრთამ (ქათამი) ო-უ	ქჟრთამ-ამ ო-უ
მარხა (ღრუბელი) ო-უ	მარხა-შ ო-უ...

IV გრამატიკული კლასის სახელებს ორივე რიცხვში ბ-//ბ- ფორმანტები მოუდით, მაგალითად:

ნითა (ჭინჭარი) ბ-უ	ნითა-ამ ბ-უ
ჩიმ (ფიფქი) ბ-უ	ჩიმ-ამ ბ-უ
ბღჟამ (სიყვარული) ბ-უ	ბღჟამ-ამ ბ-უ...

	I მამ. კლასი	II ქალთა კლასი	III	IV	V	VI	VII	VIII
მხ. რიცხვი	ვ-	დ-	დ-	ბ-	ბ-	ბ-	დ-	დ-
მრ. რიცხვი	ბ-	დ-	დ-	დ-	ბ-	დ-	დ-	დ-

I გრამატიკული კლასის ნიშანი ვ- აერთიანებს მამაკაცთა კლასის სახელებს, მრავლობითში კი ბ- გვაქვს: ღად ვ-ა „მამა არის“ - ღადი ბ-ა „მამები არიან“. სახელთა ამავე ჯგუფში შეღის ქართულიდან ნასესხები ბიძი „ბიძა“, სიძე „სიძე“ ღა მისთ.

II კლასი აერთიანებს ქალთა კლასის სახელებს, საღაც მხ. რიცხვში გვაქვს დ-, მრ-ში კი - დ- (რაც განასხვავებს ბაცბურს ვაინახურ ენათაგან): ფსტუინ დ-ა „ცოლი არის“ - ფსტედ დ-ა „ცოლები არიან“.

რამდენიმე სახელში, საღაც გაქვავებული კლასის ნიშნები გამოიყოფოღა ნახურ ენებში, მათ შორის ბაცბურშიც, ზემოთ იყო მოყვანილი.

პიროვნების აღმნიშვნელ სახელთა ნაწილი ბაცბურში, ნახურ სხვა ენებთან შეღარებით, შეღიან ნივთის კლასის სახელთა VII კლასში. შღრ.: ღარაჯ დ-ა „ღარაჯი არის“ - ღარაჯი დ-ა „ღარაჯები არიან“, ჰაშ(ე) დ-ა „სტუმარი არის“ - ჰაში დ-ა „სტუმრები არიან“ ღა მისთ. ასახსნელია, რატომ განუკუთვნა ენამ ამ რიგის სახელები ნივთის დ-ღ კლასს.

III (დ-ღ-) ღა VII (ღ-ღ-) კლასებში შეღის სახელთა უღიდესი ნაწილი: ბოტ დ-ა „თიკანი არის“ - ბოტი დ-ა „თიკნები არიან“, გაგა⁶ დ-ა „კვერცხი არის“ - გაგნი დ-ა „კვერცხები არის“... ას დ-ა „ხბო არის“ - ასი დ-ა „ხბორები არიან“...

IV (ბ-ღ-): მ'ადრღ ბ-ა „ფრჩხილი არის“ - მ'არეღ დ-ა „ფრჩხილები არის“...

V (ბ-ბ-) კლასისა სახელები, როგორიცაა: ჩაქამ ბ-ა „ჩექმა“ - ჩაქმი ბ-ა (ჩექმებია)...

VI (ბ-დ) კლასს განეკუთვნება სახელები: აფ ბ-ა „სიპი (ქვა) არის“ – აფი დ-ა „სიპები არის“, ნიყ ბ-ა „გზა არის“ - ნაყიმ დ-ა „გზები არის“...

VII (დ-დ-) კლასისაა: თჰაკ დ-ა „კვალი არის“ - თჰაკი დ-ა „კვლები არის“, პეპელ დ-ა „პეპელა არის“ - პეპლი დ-ა „პეპელები არიან“...

VIII (დ-დ-) კლასისაა: ლარკ დ-ა „ყური არის“ - ლარკი დ-ა „ყურები“...

კლას-კატეგორიის განვითარების თვალსაზრისით, ბაცბურ ენაში საინტერესოა სახელთა განაწილება (ჩენურთან შედარებით) ბ-დ-, დ-დ-, დ-დ კლასებში. ასეთი კლასები ჩენურში არ იძებნება.

გარდა ამისა, ნათქვამი არ ნიშნავს, თითქოს დანარჩენ კლასებში სახელთა განაწილება ჩენურსა და ბაცბურში ერთნაირი იყოს. მაგალითად, მუღ „კული“, მაჭ „ულვაში“, მაჯი „პური“ (მღრ. ინგუშური მპჯ „პური“, ჩენური ბჰპიგ) განეკუთვნება დ-დ- კლასს, ჩენურ-ინგუშურში დ-დ- კლასს.

შეინიშნება სხვა სახის შესატყვისობებიც გრამატიკულ კლასებში არამართო ენებს შორის, არამედ ერთი ენის (ჩენურის) დიალექტებს შორისაც.

გრამატიკული კლას-კატეგორიის შედარებით სრული სურათის წარმოსაჩენად განვიხილოთ ინგუშური ენის მონაცემებიც.

1. 3. **გრამატიკული კლასის კატეგორია ინგუშურ ენაში.** ინგუშურშიც იმდენივე გრამატიკული კლასის ნიშანია, რამდენიც ჩენურ სალტერატურო ენაში (ან კიდეც - ბარის კილოში). მიუხედავად ამისა, ინგუშური ენის მონაცემთა შედარება ნახურ სხვა ენა-დიალექტებთან მნიშვნელოვანია გრამატიკული კლას-კატეგორიის განვითარების ისტორიის შესასწავლად ნახურ ენებში. გრამატიკული კლასის ნიშანთა სქემას ინგუშურში შემდეგი სახე აქვს (ახრიევა, ოზლოევა და სხვ. 1972; 1997:76):

რიცხვი	ვინ-ჯგუფის სახელები		რა-ჯგუფის სახელები			
	I (მამ. კლ.)	II (ქალთაკლ.)	III	IV	V	VI
მხ. რ.	ვ-	დ-	დ-	ბ-	ბ-	დ-
მრ. რ.	ბ-	ბ-	დ-	ბ-	დ-	დ-

ინგუშურსა და, მაგალითად, ჩეჩნურში ზოგი სახელი მიეკუთვნება სხვადასხვა გრამატიკულ კლასს. ასე, მაგალითად, სახელები ჩეჩნურში სოჭედნეარ „სოვდაგარი, ვაჭარი“, ფის „ხარბი“, ფელჰუტ „ჯამბაზი“ შედიან ვ-ბ- (I) კლასში, ინგუშურში ისინი დ-დ- (VI) კლასისაა.

სახელთა ნაწილი ჩეჩნურში, რომლებიც დ-დ- კლასში შედიან, ინგუშურში გვიჩვენებენ ბ-ბ-ს, ბ-დ-ს, უფრო ხშირად - დ-დ-ს. შდრ.:

ჩეჩნური	ინგუშური
დ-დ-	დ-დ-
რალ	არლა „ზვინი“
პსქედჷ	ასქა „ზაფხული“
ცჷფცალგ	ბასქილგ ჭრიჭინა“...

მაგალითების გამრავლება შეიძლება.

ჩეჩნური	ინგუშური
დ-დ-	ბ-დ-
ნალ „ტახი“	ნალ
პლუ	პლა „ალი“ (ცეცხლისა)
ბერგ	ბარგ „ფლოქვი“
ბჷოთა	ბჷოთა „ქარქაში“...
ჩეჩნური	ინგუშური
დ-დ-	ბ-დ-
ჰჷრმიქ (ბარის დიალ.)	ჰჷრდარ „ასკილი“
თათი	თათამ „ერთგვ. სარეველა“
ხიჩ	ხიჩ „მოჩვენებითი მუქარა“...

არის სახელთა კლასებში განაწილების სხვა შემთხვევებიც, როგორცაა:

ჩეჩნური	ინგუშური
დ-დ-	დ-დ-

ბაზა	ბაზა „ნაძვი“
ბუფონ	ბუფონ „ფლანელი, ბიანი“
გა	გა „შტო, რტო“
ლუთავ	ლუთავ „კოლოფი“
თუჭრა	ქაღვ „ზღაპარი“
ჰილა	ჰილა „ემმაკობა, ცბიერება“
დურლა	დურლა „საბანი“...

იძებნება მაგალითები, სადაც ჩენურ ღ-ღ-ს ინგუშურში შეესატყვისება ბ-ბ- (ჩ. ცურგ ღ-ღ-, ინგ. ღარლა „ნამცეცი“...), ბ-ღ-ს - დ-დ- (ჩ. ფახ ბ-ღ-, ინგ. ფეხქ დ-დ- „ფილტვი“...), ბ-ღ-ს - ბ-ბ- (ჩ. ვუორ ბ-ღ-, ინგ. ვუორ ბ-ბ- „მსხალი, პანტა“...), ბ-ღ-ს - ღ-ღ- (ჩ. ქაჩ ბ-ღ-, ინგ. ქაჩმათ ღ-ღ- „საყელი“), ბ-ბ-ს - ბ-ღ- (ჩ. ტადამ ბ-ბ-, ინგ. ტადამ ბ-ღ- „წვეთი“...), ბ-ბ-ს - დ-დ- (ჩ. ჩიმ ბ-ბ-, ინგ. ჩილ დ-დ- „ფერფლი“...).

სახელთა კლასების მიხედვით განაწილებაში უფრო დიდ სხვაობაა ჩენური ენის დიალექტებში, ვიდრე, ვთქვამთ, ჩენურსა და ინგუშურს შორის.

მაგალითად, კლასის ნიშანთა კომბინაციები მხოლოდითსა და მრავლობით რიცხვებში ახიურ დიალექტში არის ათი, მათ შორის - არაგონიერთა ვგუფის სახელები ნაწილდებიან რვა კლასში. მოვიყვანოთ ეს სქემა:

	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
მხ. რ.	ვ	დ	დ	დ	დ	ბ	ბ	ბ	ღ	ღ
მრ. რ.	ბ	ბ	დ	ბ	ღ	ბ	ღ	დ	ღ	ბ

ნახურ ენაკილოებს შორის ჩენური ენის ახიურ დიალექტში გამოიყოფა გრამატიკულ კლასთა ყველაზე მეტი რაოდენობა. როგორც ა. თიმაევი აქვს გამოკვლეული (თიმაევი 1983: 73, 74), ასევე ჩენური ენის შაროულსა და ჭებერლოურ დიალექტებში გვაქვს 9-9 გრამატიკული კლასი, 9 კლასი გამოიყოფა ბარის კილოს შატოურ თქმაში, ითუმყალურში - 8, ბაცბურში - 8 და სხვ.

ჩენური ენის პირველი მკვლევარი პ. უსლარი წერდა, რომ „ყოველ ჩენს შეუცდომლად შეუძლია გამოიცნოს სად იხმაროს დუ, ღუ ან ბუ“, სინამდვილეს არ შეეფერება. სახელთა კლასების მიხედვით

განაწილება თანამედროვე ნახურ ენებში შერყეულია - სახელთა ნაწილი სხვადასხვა ენაკილოში სხვადასხვა კლასშია მოქცეული, არსებით განსხვავებას ვხედავთ ჩეჩნური ენის დიალექტებს შორისაც, უფრო მეტიც, დიალექტების შემადგენელ თქმებს შორისაც არა გვაქვს ერთფეროვნება. ერთფეროვანი არ უნდა იყოს ინგუშურის ან ბაცბურის მონაცემებიც. როგორც ცნობილია, ინგუშური და ბაცბური დიალექტებად არ დიფერენცირდებიან, მიუხედავად ამისა, როგორც ბაცბურის შესახებ უახლესი გამოკვლევები მოწმობენ, ეს ენა დაშლილი ჩანს, სავარაუდოდ, თქმების დონეზე (ბერთლანი 2012).

პ. უსლარის ნათქვამი, ალბათ, ნახური ფუძემნისათვის თუ იქნებოდა სამართლიანი.

ამრიგად, მხოლოდით რიცხვში ყველა ნახურ ენაში გამოიყოფა ოთხი გრამატიკული კლასის ნიშანი (მარკერი): ვ, დ, ბ, ღ. ამ ოთხი ნიშნიდან მრავლობითში გამორიცხულია ვ-. კლასის ნიშანთა შესაძლო 16 კომბინაციიდან 4 (ვ-სათან კომბინაციაში: ვ-ვ-, ვ-დ-, ვ-ბ-, ვ-ღ-) გამორიცხულია. დარჩენილი 12 კომბინაციიდან ყველაზე მეტი (10) რეალიზებულია ახიურში. ზოგადად, კლასის ნიშანთა კომბინაციები ნახურ ენებში მერყეობს 6-და 10-მდე.

დასკვნა

მაშასადამე, ნახურ ენებში გრ. კლასის ნიშანთა სისტემის გართულებასთან გვაქვს საქმე. ამოსავალი ვითარებისათვის მხოლოდითისა და მრავლობითის ვითარება განსხვავებული არ უნდა ყოფილიყო: „ნახურ ენათა სისტემისათვის ამოსავალია უშუალოდ ოთხკლასიანი სისტემა მრავლობითის წარმოების განუსხვავებელი ტიპით:

მს . რ.	მრ. რ.
I. ვ	ვ
II. დ	დ
III. ბ	ბ
IV. ღ	ღ

„მრავლობითის განუსხვავებელი ტიპი შემდეგში ლიფერენცირებული ტიპით შეიცვალა“ (ანდლუაძე 1968: 80). თანამედროვე ნახურ ენებში კლასების რიცხვი შეცვლილი არ არის, მაგრამ ვ-ნიშნის გამოყენებლობამ მრავლობითში, აგრეთვე, კლასის ნიშანთა კომბინაციებმა სახელის რიცხვების მიხედვით, სავარაუდოდ, ღიად შეცვალა ამოსავალი ვითარება.

კლასის ნიშანთა შესახებ ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი წერდა: „სქეს-კატეგორიების სიმრავლე თანამედროვე ჩეჩნურ-ქისტურ-წოგურში შეუძლებელია თავდაპირველი მოვლენა იყოს და საქმის ნამდვილი ვითარების ანარეკლს წარმოადგენდეს.., სქეს-კატეგორიათათვის მხოლოდ ოთხი ნიშნის არსებობა ცხადყოფს, რომ თავდაპირველად ამ ენებსაც ოთხზე მეტი სქეს-კატეგორია არ ჰქონიათ“ (ჯავახიშვილი 1992: 253).

ამრიგად, ნახურ ენებში გრამატიკულ კლასთა რაოდენობის დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხ. რიცხვის ჩვენებას, მხოლობითში კი ოთხი ნიშანი გვაქვს, ოთხივე ცვალებადი და ცოცხალია ნახურ ყველა ენასა და დიალექტში. სახელთა კლასებად განაწილების პრინციპში მცირეოდენი სინათლის შესატანად გათვალისწინებულია მრ. რიცხვის მონაცემებიც, რის საფუძველზეც იზრდება კლასთა რაოდენობა ენებისა და დიალექტების მიხედვით. მიუხედავად ამისა, გარკვეულია მხოლოდ გონიერთა კლასის, იგივე ვინ-ჯგუფის, სახელთა განაწილების პრინციპი. როგორც თავიდანვე ითქვა, რა-ჯგუფის სახელთა განაწილების პრინციპი ღრმად ამოუცნობი რჩება.

რიცხვის კატეგორია

სამივე ნახურ ენაში სპეციალური სუფიქსით იწარმოება არს. სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმა. მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი აფიქსია -შ, -(ა)შ, -ჲ. -(ა)შ ფორმანტში ა მაერთებელი ხმოვანი ჩანს (რიცხვის ფორმანტს აერთებს სახელის ფუძესთან).

-შ სუფიქსი დაერთვის როგორც მარტივ, ისე რთულ და ჩანართიან ფუძეებსაც.

გარდა ამისა, -გარ/-ღარ ანროპონიმებისაგან და გვარის აღმნიშვნელი სახელებისაგან აწარმოებს მრავლობითს. იგი იმავე ფუნქციისაა, რაც ქართულში -ან, რომელიც კრებითობას, ოჯახს, გვარეულობას გამოხატავს:

აკჰმად-ღარ „ახმადი-ან-ნ-ი//ახმადა-ან-ებ-ი“, „ახმალოვ-ებ-ი“ ...

ჩენურ-ინგუშურ-ბაცბური

მხ. რ. ხი „წყალი“ - მრ. ხი-შ

მხ. რ. კა „ხორბალი, ყანა“ - მრ. რ. კა-შ

მხ. რ. ჯლა „თავადი“ - მრ. რ. ჯლი-დ

მხ. რ. ჰაშა „სტუმარი“ - მრ. რ. ჰაშში-დ

ჩანართიანებთან:

მხ. რ. ღიგ - მრ. რ. ღაგ-არ-შ

მხ. რ. ტუმ „ნიგვზის გული“ - ტამ-არ-შ

მხ. რ. ღეგ „გული“ - მრ. რ. ღეგ-ნ-ა-შ...

მცირერიცხვან სახელებში თავს იჩენს მრ. რიცხვის თავისებური წარმოებებიც. შდრ.: დუოყ „ნაცარი“ - მრ. რ. ოუყ-არ-შ; დიშ „მოტივი, სიმღერა“ - მრ. რ. შა-არ-შ//შა-არ-შ; დახქ „სავარცხელი“ - ახქ-არ-შ...

ან კიდევ ერთმარცვლიან CVC სტრუქტურის ზოგი სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოებისას აუსლაუტისეული თანხმოვანი ინტენსიური ხდება ჩენურში. შდრ., ჩენური ჰუნ „ტყე“ - მრ. რ. ჰან-ნ-აშ; უ (უნ) „ფიცარი“ - მრ. რ. ან-ნ-აშ. მრავლობითი რიცხვის წარმოების ეს სახეობა ნახურ სხვა ენებში არ ჩანს.

სახელთა მრ. რიცხვის წარმოებაში ზოგი თავისებურება ახსიათებს ბაცბურ ენას. ფუძენახურის მრ. რიცხვის მაწარმოებელი -შ ფორმანტი ბაცბურში იშვიათია (შდრ. ხი „წყალი“ - ხი-შ). იგი უფრო ჩანართიანებთან გვხვდება. შდრ.: წე „სახელი“ - მრ. რ. წე-რ-იშ; შო „წელი, წელიწადი“ - მრ. რ. შე-რ-იშ...

სახელთა რიცხვის ძირითადი მაწარმოებელი ბაცბურში არის ფორმანტი -ი. მაგალითად:

ას „ხბო“ - მრ. რ. ას-ი (შდრ. ჩენ. მხ. რ. ႁႁ - მრ. რ. ႁႁ-ი//ႁႁ)

ჰაშ „სტუმარი“ - ჰაშ-ი (შდრ. ჩენ. მხ. რ. ႁႁ - მრ. რ. ႁႁ-ი//ႁႁ)

ფსტუ „ცოლი“ - მრ. რ. ფსტე-ი

‘უ „მწყემსი“ - მრ. რ. ‘უ-ი (შდრ. ჩენ.: ‘უ - ‘უ-ი)...

-ი ფორმანტი -შ-ს ფონეტიკური ვარიანტი უნდა იყოს. შდრ. ჩეჩნური უშ//ოშმ (//აუშ) (დიალ. ვარ.) „ისინი“ და ბაცბური ობი „ისინი“. ოშმ : ობი ფორმები გვიჩვენებენ, რომ ჩეჩნურ უ-ს ბაცბურში შესატყვისება ბ, ხოლო შ-ს - ი. ო : ო იდენტური შესატყვისობებია, თუმცა ჩეჩნური ო ამ მაგალითში მეორეულია, ფონეტიკურ ნიადაგზე მიღებული ა-საგან: აუშ > ოშმ. გასარკვევია, თუ რომელია ამ ორ ფორმანტთაგან თავდაპირველი. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ შ წარმოადგენს ი-ს დასუსტების შედეგს (დემერიევი 1963, 415).

ბაცბურში გვაქვს მრავლობითის სხვა მაწარმოებელიც, როგორცაა -ბი: ვერ „ქვა“ - ვერ-ბი; ბუყ „ზურგი“ - ბუყ-ბი; ვირ „ვირი“ - ვირ-ბი... ამ ფორმანტის -ბ- სეგმენტს ქართულ -ებ-ს უკავშირებს კ. ჭრელაშვილი. შდრ., ქართული ქუდ-ი - ქუდ-ებ-ი (ჭრელაშვილი 2002, 106).

საინტერესოა, რომ ბაცბურში რიცხვის მაწარმოებელი ფორმანტების ფუნქცია შეუძენიათ ე. წ. ჩანართ ელემენტებს. ამ ელემენტებს ჩეჩნურ-ინგუშურში მოსდევს რიცხვის მაწარმოებელი ფორმანტები. შდრ.:

ბაცბური დაშრ „და“ - დაჟ-არ; ვაშრ „ძმა“ - ვაჟ-არ; ბსტუ „ხარი“ - ფსტ-ა-რჩ...

ჩეჩნ.-ინგ. დიშა (<დაშა) - დიჟ-არ-იდ; ვაშა/ვოშა - ვეჟ-არ-იდ; სთუ//უსთ - სთე-რჩ-იდ//შე-რჩ...

ამ ბოლო მაგალითიდან ჩანს, რომ რიცხვის ფორმანტების მოკვეცა არც ინგუშურისათვის არის უცხო. რიცხვის წარმოების ძველი ვითარება შემონახულია ჩეჩნურ-ინგუშურში.

ჩანართი ელემენტები, რომელთა ნაწილის გენეალოგია უცნობია, ჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო ნახური ფუძენისათვის.

რიცხვის კატეგორიის შესახებ ზედსართავ სახელებში

ზოგ ვითარებით ზედსართავ სახელს ჩეჩნურში აქვს რიცხვის კატეგორიაც, ასეთი ოთხიოდე სახელია. მაგალითად: დ-ოჟა - დ-აჟიდ „დიდი - დიდები“; სთომა - სთამიდ „სქელი - სქელები“; გჟოთა - გათიდ „ვიწრო - ვიწროები“; ჟიმა - ქდეგიდ „პატარა - პატარები“.

ინგუშურში რიცხვის მიხედვით დაპირისპირებული წყვილები სულ ორია: დ-ოჟა - დ-ოჟიდ „დიდი - დიდები“; სხვადასხვა ფუძისაგან შემდგარი ზ'ამიგა - ქაგიდ „პატარა - პატარები“.

ბაცბურში მსგავსი ფუძეები გამოვლენილი არ არის.

ნაცვალსახელთა რიცხვი პირის აღმნიშვნელ ფორმებშია გამოხატული სუპლექტურად - მხოლობითში ერთი ფუძეა, მრავლობითში - მეორე. კითხვით ნაცვალსახელ მილა-ს „ვინ“ (ინგ. მალა, ბაცბ. მე^ნ) ჩეჩნურში აქვს მრავლობითის ფორმაც: მჟლმ. სავარაუდოდ, იგი უნდა მომდინარეობდეს მულ-იმ ფორმისაგან: მულ-იმ > მჟლიმ > მჟლმ. აღსანიშნავია, რომ მილა „ვინ“ ბრუნებადია (ნათ. ჰაუნან, მიც. ჰანანა, ერგ. ჰა... ე. ი. იბრუნვის სუპლექტურად), მის მრავლობით ფორმას კი არა აქვს სხვა ბრუნვათა ფორმები - იგი მხოლოდ სახელობითშია წარმოდგენილი და დანარჩენი ბრუნვებისათვის იყენებს მილა-ს ირიბ ბრუნვათა ფორმებს (II საბრუნებელი ფუძე). ინგუშურშიც ანალოგიური ვითარებაა: მხ. მალა, მრ. მალა-შ, რომელიც მხოლოდ სახელობითშია წარმოდგენილი ისევე, როგორც ჩეჩნურში.

ბრუნვის კატეგორია

არსებით სახელთა შედარებითი ანალიზისათვის, პირველ რიგში, საჭიროა არსებით სახელთა სტრუქტურული ტიპების გამოყოფა. კერძოდ, საჭიროა, დავადგინოთ, თუ რა სახის ჯგუფებად იყოფიან არსებითი სახელები ფონეტიკური და მორფოლოგიური შედგენილობის მიხედვით. რა თქმა უნდა, საანალიზოდ არსებითი სახელი უნდა იდგეს მხ. რიცხვის სახელობით ბრუნვაში.

საერთონახური ფუძენის ლექსიკას განეკუთვნება:

ა) უსულო ბუნებას - მიწას, ნიადაგს, ბუნებრივ მოვლენებს, დროის აღმნიშვნელ ლექსიკას, მეტალებს...

ბ) მცენარეული საფარის აღმნიშვნელ ლექსიკას;

გ) ვინ და რა-ჯგუფის სულიერ არსებით სახელებს;

დ) სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელ ლექსიკას;

ე) სამუშაო იარაღების აღმნიშვნელ ლექსიკას და სხვა.

სტრუქტურის მიხედვით ნახურ ენათა არსებით სახელებში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

1. საერთონახური ერთმარცვლიანი არსებითი სახელები, როგორიცაა:

ჩენური	ინგუშური	ბაცური	
წა	წა	წა	„სახლი“
კა	კა	კავ	„ხორბალი“
ღა	ღა	ღად	„მამა“
შა	შა	ფშა	„ყინული“
სა	სა	სა	„სული“
‘ა	‘ა	‘ა	„ზამთარი“
ჩა	ჩა	ჩა	„ლათვი“
ხა	ხა	ხა	„თეძო, ბარკალი“
ყუ	ყუვ	ყუ(ვ)	„ქურდი“
‘უ	‘უ	‘უვ	„მწყემსი“
ლამ	ლოამ	ლამ	„მთა“
მალხ	მალხ	მათხ	„მზე“
ლჷო	ლოა	ლავ	„თოვლი“
ქჷოგ	ქჷოგ	ქოკ	„ფეხი“
მაჷ	მოჷ/ვჷ „წვერი“	მაგ	„ულვაში“
ბ‘არგ/ბ‘არგ	ბ‘არგ	ბ‘არკ	„თვალი“
ფჷარს	ფჷარს	ფჷარს	„მკლავი“
ფჷაჷორ	ფჷაჷორ	ფჷაორ	„ვანშამი“
კალღ	კალღ	კალტ	„ხაჭო“
თხი(რ)	თხირ	თხირ	„ნამი“
ფჷაიდ	ფჷაიდ	ფჷაიტ	„ბაყაყი“
ჟიმ	ჟიმ	ჟი ^ნ	„თირკმელი“
ღიგ	ღიგ	ღიკ	„ცული“
ნითა	ნითა	ნიტა	„ჭინჭარი“
მუჷ	მუჷ	მუჷ	„ქერი“
ჰაუნ	ჰაუნ	ჰაუნ	„ტყე“

ბუთა	ბუთა	ბუთა	„მთვარე“
დეელ	დეელ	დეელ	„ტანი“
ბუორზ	ბუორზ	ბ'ორწ	„მგელი“
ბუოყ	ბუოყ	ბ'ოკ	„ვაცი“
ბუჟსა	ბნსა	ბუდსა	„ლამე“...

2. საერთონახური ორმარცვლიანი არსებითი სახელები:

ვაშა	ვოშა	ვაშრ „ძმა“
ქუორთა	ქუორთა	ქორთ(ო) „თავი“
დიშა	დიშ	დაშრ „და“
სუტი (დეშერ.)	სეფრა	ფსარლო „სალამო“...

3. სამმარცვლიანი საერთონახური მარტივი არსებითი სახელები თითქმის არ იძებნება, რაც არის, შედგენილია, რომლის შემადგენელი მეორე კომპონენტი მასდარს წარმოადგენს. ასეთია, მაგალითად, მუთოჰჰჰჰჰჰჰ „ლოკვა“ (მუთო „ენა“, ჰჰჰჰჰ „წასმა“)...

4. მარტივი და რთული სახელები, რომლებიც ნახური ფუძეების დაშლის შემდეგ წარმოიშვნენ ცალკეულ ენებში. ასეთია, მაგალითად:

ლათა	ლათა	დობსტ/დოფშტ „მიწა“
ბედარ	ბარწყ	ქადრცხნ „ტანსაცმელი, სამოსი“...

ფუძენახური ენის დაშლის შემდეგ ფუძეების ლექსიკამ გარკვეული ცვლილებები განიცადა, რაც შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

სახელები, რომლებსაც ბგერობრივად და სემანტიკურად ცვლილებები არ განუცდიათ:

ნახ „ხალხი“, ბუყ „ზურგი“, დეელ//დეელ „ტანი“, ფჰჰარს „მკლავი“, ფჰჰჰჰჰ//ფჰჰჰჰ „განშამი“, წა „სახლი“, შურა „რძე“, დჰჰჰ//დოშ „სიტვა“, ბუც „ბალახი“, ჩა „დათვი“, ‘ა „ზამთარი“, წასთა „სპილენძი“...

სახელები, რომლებიც ერთმანეთისაგან ბგერითი შემადგენლობით განსხვავდებიან, მაგრამ სემანტიკა ერთი და იგივე აქვთ:

ბუროზ	ბუროძ	ბ'ორწ „მგელი“
ბაღლა	ბუბორღ	ბ'არკ „თვალი“
ბ'არგ	ბ'არგ	ბ'არკ „თვალი“
ნაყუოსთ	ნოუყუოსთ	ნაყბისთ „ამხანაგი“...

სახელები, რომლებიც სემანტიკურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუმცა ბგერობრივი მხარე თითქმის ერთნაირი აქვთ:

ჩენურ-ინგუშური მაჟ „წვერი“, ბაცბური მაჭ „ულვაში“
ჩენურ-ინგუშური ჯუორ „მსხალი, პანტა“, ბაცბური ჯორ „ვაშლი“...

ექსტრალინგვისტური ფაქტორების გავლენით წინარე ნახური ენა ცალკეულ შტოებად იყოფა, რომლის დროსაც ადგილი აქვს ზოგ შიდასტრუქტურულ ცვლილებას, რაც, უპირატესად, ლექსიკაში გამოიხატება. ექსტრალინგვისტური ფაქტორების გავლენით ნახური ფუძე ენა სამ ენად დაიშალა. ამ ენებში, რა თქმა უნდა, გვაქვს საერთონახური ლექსიკური ფონდი, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ვაინახური ლექსიკური ფენა, რომელშიც იგულისხმება ჩენურ-ინგუშურ ენათა მონაცემები, აგრეთვე, ლექსიკა, რომელიც ამ სამ ენათაგან თითოეულში იჩენს თავს.

ვაინახური ლექსიკა შედარებული აქვს ო. ეგოროვს. მისი დასკვნის თანახმად, ჩენურ და ინგუშურ ენებში სიტყვათა 40% სავსებით ემთხვევა ერთმანეთს როგორც ბგერობრივად, ისე სემანტიკურად. გარდა ამისა, საერთონახური ენის ლექსიკა უფრო მეტად ვაინახურ ენებშია დაცული, ვიდრე ბაცბურში (ეგოროვი 1935: 110-117).

ა. ქურქიევის შესწავლილი აქვს განსხვავებული ლექსიკა, რომელიც ვლინდება ჩენურსა და ინგუშურ ენებს შორის. ასეთად მას მიაჩნია 600 ერთეული (ქურქიევი 1979).

როგორც ო. ეგოროვის, ისე ა. ქურქიევის ნაშრომებში საანალიზო მასალა დიფერენცირებული არ არის მეტყველების ნაწილების მიხედვით.

ცნობილია, რომ ბაცბურში მეტყველების დიდი ნაწილი ნასესხებია ქართულიდან, ჩენურ-ინგუშურში კი - რუსულიდან. მაშასადამე, სიტყვათა სესხების წყაროები ამ ენებში განსხვავებულია.

თითქმის ყველა არსებითი სახელი, რომელიც საკუთრივ ნახურ ენათა კუთვნილებას წარმოადგენს, ერთ ან ორმარცვლიანია. ორმარცვლიანებშიც, შესაძლებელია, რომ მეორე მარცვალი ფუძის ოდინდელი კუთვნილება არ აღმოჩნდეს. მაგალითად, სახელებში: ჩენურ-ინგუშური ბ'არგ//ბ'არგ, ბაცბური ბ'არკ „თვალი“, ჩენურ-ინგუშური ლდერგ, ბაცბური ლარკ „ყური“, ჩენურ-ინგუშური ცდერგ, ბაცბური ცარკ გამოსაყოფია აუსლაუტის რგ//რკ თანხმოვანთა კომპლექსი, რომელთა შორის განსხვავება მხოლოდ ფონეტიკურია. არ არის გამოჩენილი, რომ იგი წარმოადგენდეს ოდინდელი სიტყვის ნაშთს, რომელიც დიაქრონიკაში სიტყვაწარმოების სუფიქსად ჩამოყალიბდა.

სტრუქტურის მიხედვით ზემოთ მოხმობილი ლექსიკური მასალა შემდეგი სახისაა:

1. CV: ჩენურ-ინგუშურ-ბაცბური წა „სახლი“, კა „ხორბალი“, ჩა „დათვი“...
2. CVC: ჩენურ-ინგუშურ-ბაცბური ლამ//ლოამ „მთა“, ღუოგ//დოკ „გული“...
3. VC: ჩენურ-ინგუშური აზ, ბაცბური აძმ „ბეგრა“...

ი. ლეშერიევის აზრით, მოცემულ სტრუქტურათა შორის უფრო ძველი ჩანს პირველი და მესამე ტიპი. რაც შეეხება მეორე ტიპს, იგი მიღებული უნდა იყოს სმოვანფუძიან სახელზე მომდევნო სიტყვის თავკიდური სეგმენტის დართვით (ლეშერიევი 1963: 388).

ძველი სტრუქტურის არსებით სახელებში შეიძლება გამოიყოს ფუძეს შერწყმული გრამატიკული კლასის ნიშნები. თავკიდურად კლასის ნიშნის შერწყმა, როგორც ჩანს, CV სტრუქტურის სახელებში მომხდარა. ასეთია, მაგალითად:

- ჩენურ-ინგუშური ვ-ჟო, ბაცბური ვ-ოჰა „კაჟიშვილი“;
- ჩენურ-ინგუშური დ-ჟო, ბაცბური დ-ოჰა „ქალიშვილი“;
- ჩენურ-ინგუშური დ-იშა//დ-ოშა, ბაცბური დ-აშრ „და“;
- ჩენურ-ინგუშური ვ-აშა//ვ-ჟოშა, ბაცბური ვ-აშრ „ძმა“.

საოპონიციო წყვილების არსებობის გამო ჩამოთვლილ ფორმებში კიდევ ხერხდება გრამატიკული კლასის ნიშნების გამოყოფა. სპეციალურ კვლევას მოითხოვს, მაგალითად, გრ. კლასის ნიშნის გამოყოფა დ- ჯოგ „გული“ სიტყვაში.

ნახურ ფუძეენაში, როგორც ფაქტობრივი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, სამი ტიპის ფუძე უნდა გამოიყოს:

- ა) არსებითი სახელის ფუძე სახელობით ბრუნვაში;
- ბ) არსებითი სახელის ფუძე ნათესაობით ბრუნვაში;
- გ) დანარჩენ ბრუნვათა ფუძე (ერგატივი, განმსჭვალვითი და ზოგი სხვა ბრუნვა).

სახელის უძველესი ფუძე, როგორც ჩანს, შედარებით უფრო ხშირად წარმოლგენილია არა სახელობითსა და ნათესაობითში, არამედ სხვა ბრუნვებში.

ნათქვამი არ ნიშნავს, რომ სახელობით ბრუნვაში ყველა სახელის ფუძის სტრუქტურა მეორეულია. CV (თანხმოვანი + ხმოვანი) სტრუქტურის სახელები (მაგ. წა „სახლი“, კა „ხორბალი“, ჩა „ლათვი“, ხი „წყალი“...) ამ სახით ნახურ ენათა უძველეს ტიპს განეკუთვნებიან და სახელობით ბრუნვაში ღვანან. ასეთ სახელებში ხმოვნებად გვხვდება ა, ი და უ. იმავეს ვერ ვიტყვი CVC სტრუქტურის სახელების შესახებ სახ. ბრუნვაში. მაგალითად, ღჯოგ „გული“, ქჯოგ „ფეხი“ სახელებში ფუძისეული ხმოვნები მეორეული ჩანს. ამოსავალი უნდა იყოს დაგვ//დაკვ//დაკჯ, ქაგვ//ქაკვ//ქაკჯ ფორმები. მიუხედავად ამისა, სახელობითი ბრუნვა ნახურ ფუძეენაში წარმოლგენილი იყო.

ფუძის პირველი ტიპი შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს:

ა) ფუძეში მარტივი ა ხმოვნიანი CV და CVC სტრუქტურის ფუძეები, როგორცაა: წა „სახლი“, ლამ „მთა“, სთაგ/სტაკ/საგ „ადამიანი“...

ბ) ფუძეში წინა რიგის ხმოვნები, მიღებული მომღვენო ხმოვნის გავლენით, როგორცაა: ღიგ/ღიკ „ცული“, შღრ., ერგ. დაგ-არ-ჯრ, მიც. დაგ-არ-ნა... ზოგი სახელის ფუძეში, შესაძლებელია, ი ხმოვანი თავდაპირველიც ყოფილიყო. მაგ., ჩენჩ.-ინგ. წრ, ბაცბ. წიგ „სისხლი“...

გ) ფუძეში ლაბიალიზებული ხმოვნით, რომელიც მიღებულია აუსლაუტიესეული ლაბიალიზებული ხმოვნის გავლენით: ჩენჩ.-ინგ. ღჯოგ, ბაცბური დოკ „გული“, ჩენჩ.-ინგ. ღჯომ, ბაცბ. დომ „სიტყვა“...

ზემოთ ჩამოთვლილ სახელთა II ფუძის წარმოქმნა დაკავშირებულია ნათ. ბრუნვის ფორმანტთან, -
ინ-თან, რომლის დართვა სახელის ფუძეზე იწვევს ფუძისეული ხმოვნის ცვლას, კერძოდ, პალატალიზაციას.
შდრ.:

სახ. წა „სახლი“

ღუოგ „გული“

ნათ. წინ (<წი-ინ < წა-ინ < წა-ინ)ღეგ-ინ (< ღაგ-ინ)...

იმავე სახელთა III ფუძე თავს იჩენს დანარჩენ ბრუნვებში - ზოგ სახელთან - ყველა ბრუნვაში, ზოგთან - ერთეულებში. შდრ.: ჩენ. წა-ჰა „სახლ-ში“ (ადგ. ბრ.), ჩენ. ღაშ-ნა (მიცემითი სახელისა ღუომ „სიტყვა“).

როგორც საანალიზო მაგალითებიდან ჩანს, არასახელობით ბრუნვათა წარმოებისას მხ. რიცხვში ერთმარცვლიან ფუძეებში იცვლება ფუძისეული ხმოვნები, რაც ფუძეთა გარჩევის აუცილებლობაზე მიგვიბრუნებს.

გარდა ამისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ერთმარცვლიან ფუძეთა მრავალგვარი ცვლილებების შესახებ არასახელობით ბრუნვებში. ეს ცვლილებები საუკუნეთა განმავლობაში მომხდარი ნაირგვარი პროცესების შედეგია, რაც ბრუნვათა მიხედვით ფუძისეულ ხმოვანთა ცვლის კანონზომიერებათა დადგენას ხელს უშლის. მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები, სადაც ფუძისეული ხმოვნები ერთნაირია, მაგრამ ბრუნებისას ისინი განსხვავებულ ვარიანტებს გვიჩვენებენ. შდრ.:

სახ. ღუოგ „გული“

ნათ. ღეგ-ან

მიც. ღაგ-ან-ნა (< ღაგ-ან-ნა)...

მაგრამ:

ქუოგ „ფეხი“

ქუოგ-ან

ქუოგ-ან-ნა (< ქუოგ-ან-ნა)...

ფუძეთა მიხედვით ბრუნვები იცვლებიან ღია, ერთმარცვლიან სახელებშიც, შდრ.:

სახ. ა „ზამთარი“

ნათ. 'ა-ნ

მიც. 'ან-ნა...

მაგრამ:

სახ. აზ

ნათ. ოზ-ან

მიც. ოზ-ანა...

გარდა ამისა, ფუძეთა ტიპებზე მოქმედებს ფუძისეული ხმოვნის წარმოების ადგილიც - წინა რიგის ხმოვანია იგი თუ უკანა რიგისა, ე.ი. პალატალურია თუ ლაბიალური - შდრ.:

სახ. უ „მწყემსი“

ნათ. უნან /უნ-ინ/...

მაგრამ ზოგი სახელის ფუძეში ხმოვანი არ იცვლება. შდრ.:

სახ. ტულგ „ქვა“

ნათ. ტულგ-ან

მიც. ტულგ-ანა (< ტულგ-ან-ნა)...

ფუძენახური ენის დაშლის შემდეგ ცალკეულ ენებში სახელთა სტრუქტურა გართულებული ჩანს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ასე, მაგალითად, სამივე ენაში ცალ-ცალკე თავი იჩინა რედუპლიკაციამ, სახელთა სესხების წყაროდ ბაცბური სთვის იქცა ქართული ენა, ჩეჩნურ-ინგუშურისთვის - რუსული. ინოვაციები გაჩნდა ჩეჩნური ენის დიალექტებში (ინგუშური და ბაცბური დიალექტურად დიფერენცირებული არ არის).

არსებით სახელთა წარმოქმნა. სიტყვაწარმოების საშუალებები ნახურ ენებში შედარებით მწირად არის წარმოდგენილი. სიტყვაწარმოების საშუალებებიდან, როგორცაა პრეფიქსური, სუფიქსური, პრეფიქსურ-სუფიქსური ან ფუძეთაშეერთებით ნაწარმოები სახელები, შედარებით ფართოდ არის წარმოდგენილი კომპოზიცია.

პრეფიქსების საშუალებით სახელთა წარმოქმნის შეზღუდვა ნახურ ენებში, როგორც ჩანს, დაკავშირებული უნდა იყოს პრეფიქსებად გრამატიკული კლასის ნიშნების გამოყენებასთან - საკუთრივ

ფუძენასურ ლექსიკაში, როგორც ცნობილია, გრამატიკული კლასის ნიშნები არსებით სახელებშიც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. გარდა ამისა, ზოგი ბრუნვის ნიშანი შემდგომში გარდაიქმნა სიტყვაწარმოების სუფიქსად. ასეთია, მაგალითად, განმსჭვალვითი, შედარებითი, მიმართულებითი ბრუნვის ნიშნები.

როგორც ზემოთ ითქვა, სახელური სიტყვაწარმოების ძირითად საშუალებად ნასურ ენებში მაინც არის ფუძის გაორკეცება და კომპოზიცია.

სახელთა სტრუქტურის გართულება ნასურ ენებში ძირითადად დაკავშირებულია ფუძეთა შეერთებასთან. ნასურ ფუძენაში სახელის ძირი ცალი თანხმონით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი (შდრ., წა „სახლი“, კა „ხორბალი“, ხი „წყალი“), რომელსაც მოსდევდა რომელიმე მარტივი ხმოვანი. გარდა ამისა, დიაქრონიაში ფონეტიკურ საფუძველზე სიტყვის სტრუქტურა გართულებულა ბგერის, ბგერათა კომპლექსის ჩართვით ან დამატებით, ბგერათა ცვლილებებით და ა. შ. ეს პროცესები ნასური ენებისათვის საკმაოდ ნიშანდობლივია.

ნასურ ენათა კომპოზიტების სტრუქტურა ი. ლეშერიევს შემდეგი ჯგუფების მიხედვით აქვს წარმოდგენილი (ლეშერიევი 1963, 390):

- ა) არს. სახელი + არს. სახელი: ბელშქჳრთა „მხარის თავი“ (ბელშ „მხარი“, ქჳრთა „თავი“)...
- ბ) არს. სახელი + ზმნა;
- გ) ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი;
- დ) ზმნისართი + არსებითი სახელი.

ზემოთ ითქვა არსებით სახელთა პრეფიქსურ-სუფიქსური წარმოების შესახებ. პრეფიქსებად განხილული იყო გრამატიკული კლასის ნიშნები.

საგარაუდოდ, როგორც ი. ლეშერიევი მიიჩნევს, ზოგმა ფორმაცვალებადმა (მიმონხრის) ფორმანტმა ფუნქცია შეიცვალა და სიტყვაცვალებადად, მადერივატელად, იქცა. ასეთად მას მიაჩნია -ლჳრ, -რჳრ, -ხჳრ სუფიქსები.

არსებით სახელთა სუფიქსური წარმოება ნასურ ფუძენაშივე ფუნქციონირებდა. ფუძენის დაშლის შემდეგ ჩეჩნურ-ინგუშურში გაჩნდა ნასესხები სუფიქსი -ჩა. ზოგი მკვლევრის აზრით, -მ ფორმანტიც ჩეჩნურ-ინგუშურში ნასესხებია, რადგან იგი თითქოს არ ჩანდა ბაცბურში, როგორც არ იყო ამ ენაში (და ჩეჩნური ენის

ქისტურ დიალექტში) -ჩა ფორმანტი. -მ ფორმანტი ზმნურ ფუძეთაგან აწარმოებს ნაზმნარ სახელებს, ასეთ სახელთა წარმოება ჩეჩნურ-ინგუშურში პროლექტიული არ არის. საინტერესოა, რომ ბაცბურშიც გამოვლინდა რამდენიმე -მ ფორმანტიანი სახელი, რამაც გააქარწყლა მოსაზრება მისი ნასესხობის შესახებ.

შდრ.: ჩეჩნურ-ინგუშური თემა-მ, ბაცბური თემა-მ „ნლობა“; ჩეჩნურ-ინგუშური ჯაერა-მ, ბაცბური ჯერლ-ო-მ „სამიშროება“...

-მ ფორმანტი დაერთვის აგებულების მიხედვით რთულ სახელებსაც.

აღნიშნავთ, რომ საანალიზო ფორმანტი ჩეჩნურ-ინგუშურში გამოყენების არეალს იფართოებს - ზოგი სიტყვის კალკირება სწორედ ამ ფორმანტის მეშვეობით ხდება: საცამ „დადგენილება“ (შდრ., საცა „გაჩერება“), ყინჰაჟგამ „შრომა“ (შდრ., ინფინიტივი ყაჰაჟგა „შრომა“) და მისთ.

რაც შეეხება -ჩა-ს, იგი, მართლაც, ნასესხები უნდა იყოს თურქული ენებიდან, კერძოდ, ყუმუხურიდან. შდრ. ჩეჩნური ვუოთან-ჩა „მელოლე“ (ვუოთა „ლოლი“) და ქისტური ვუოთან-ხუტ (-ნ-ბოლოკიდურ პოზიციაში ჩავარდნილი ოდინდელი ფუძისეული ბგერა ჩანს, რომელიც აღნიშნული პოზიციის დაკარგვის შედეგად აღდგა - მას მოსდევს სხვა ფორმანტი)...

აქ არ ვიხილავთ ფორმანტების ღართვით ფუძისეული ხმოვნების ცვლის პროცესებს, ფონეტიკურ ნიადაგზე ფუძისეულ ხმოვანთა ცვლა გვიანდელია. მსგავსი ცვლილებები ყველაზე ნაკლებად არის წარმოდგენილი ჩეჩნური ენის ჭებერლოურ დიალექტში.

ზედსართავი სახელის მორფოლოგია. ნახურ ენებში ზედსართავი სახელის მაწარმოებელია -ნ სუფიქსი, რომელიც ბაცბურსა და ჩეჩნურში ბოლოკიდურ პოზიციაში სუსტდება და ანაზალებს წინა ხმოვანს, ინგუშურსა და ჩეჩნური ენის ზოგ დიალექტში კი უკვალოდ იკარგება: ბაცბური - ღაზ-ე^ნ ოჰჰა, ჩეჩნური - ხაზა-^ნ დუო, ინგუშური და ჩეჩნ. ენის ზოგი დიალექტი - ხაზა//ხაზ დუო „ლამაზი გოგო“...

გარდა ამისა, ნახურში ზედსართავი იწარმოება პრეფიქს-სუფიქსის მეშვეობითაც. პრეფიქსად გამოყენებულია გრამატიკული კლასის ნიშნები. ასეთი ზედსართავი სახელები პირველად, ვითარებითი ზედსართავი სახელებია და ზოგი მათგანი იცვლება გრამატიკული კლასის ნიშნების მიხედვითაც: ბ-ოჰაა (<ბ-ოჰჰა^ნ<ბ-აჰჰუნ) ღამ „დიდი მთა“, დ-ოჰჰა^ნ ხი „დიდი მდინარე“ (ბაცბურში იგივე სინტაგმები ბ-აჰაო^ნ ღამ, დ-აჰაო^ნ ხი) და მისთანანი სამივე ენაში. ანალოგიურ შემთხვევაში გრამატიკული კლასის ნიშანი ასახავს საზღვრულის კუთვნილებას ამა თუ იმ კლასისადმი.

ზედსართავ სახელთა წარმოების სუფიქსური და პრეფიქს-სუფიქსური საშუალებები ძველია და ნახურ ფუძეენაში მათი არსებობა ეჭვს არ იწვევს.

რუსული ენის ძლიერი გავლენის მიუხედავად, ჩეჩნურსა და ინგუშურში ზედსართავი სახელის წარმოქმნის ახალი საშუალება არ გაჩენილა, თუმცა ბაცბურში გვაქვს ქართულიდან ნასესხები ფორმანტები, როგორცაა -ურ და -ულ. შდრ.: ბაცბ-ურ „ბაცბური//წოვათუშური“ (მაგ., მოზტ „ენა“), ფიცლ-ულ „ხისა“ (მაგ., წა „სახლი“).

ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავები თითქმის ყოველთვის ღვანან საზღვრულის წინ. ზედსართავ სახელს ნახურ ენებში აქვს: ბრუნვის კატეგორია, გრამატ. კლასის კატეგორია, რიცხვის კატეგორია.

ნახურ ენებში მცირერიცხოვან ვითარებით ზედსართავ სახელებს აქვთ გრამატ. კლასის კატეგორია. შდრ., ჩეჩნურ-ინგუშური: ვ (ა-, ბ-, დ-)-ოვა^ნ, ბაცბური ვ (ა-, ბ-, დ-)-ავა^ნ „დიდი“, ჩეჩნურ-ინგუშური ვ (ა-, ბ-, დ-)-ად^ნ, ბაცბური ვ (ა-, ბ-, დ-)-ავი^ნ „მსუბუქი“...

კლასნიშნიან ზედსართავთა რაოდენობა, მაგალითად ჩეჩნურში, შეადგენს სულ 27-ს (დუთაევი 1975: 103), ინგუშურსა და ბაცბურშიც მათი რაოდენობა ორ ათეულს არ უნდა აღემატებოდეს. ზედსართავ სახელთა დიდი ნაწილი გრამატიკული კლასის ნიშნებისადმი ნეიტრალურია.

ვითარებით ზედსართავ სახელს ნახურ ენებში სულ ორი ბრუნვა აქვს. ერთი ფორმა წამოღვენილია სახელობითში, მეორე - დანარჩენ ბრუნვებში. მისი მაწარმოებელია, როგორც ზემოთ ითქვა, -ნ ფორმანტი, რომელიც არსებითი სახელის ნათესაობითის ფორმანტს უნდა უკავშირდებოდეს და მომდინარეობდეს -ინ-ისაგან (ხმოვნის ჩავარდნით).

ე. წ. ირიბი ბრუნვებში ზედსართავს ჩეჩნურში დაერთვის -ჩუ ელემენტი, ინგუშურში -ჩა, ბაცბურში -ჩ. ბაცბურში -ჩ-ს წინ, ზოგ შემთხვევაში, თავს იჩენს სონორი -ნ-, რაც ნათ. ბრუნვის -ინ ფორმანტისაგან უნდა მომდინარეობდეს. შდრ.:

ჩეჩნური	ინგუშური	ბაცბური
სახ. ვ-ოვა ^ნ კანთ	ვ-ოვა კანქ	ვ-ავა ^ნ კანთ „დიდი ბიჭი“
ნათ. ვ-ოვა-ჩუ კენტან	ვ-ოვა-ჩა კანქა	ვ-ავაუ-ნ-ჩ კნათ ^ნ
მიც. ვ-ოვა-ჩუ კანთანა	ვ-ოვა-ჩა კანქა	ვ-ავაუ-ნ-ჩ კნათენ...

აღნიშნული ზედსართავის ფუძე ჩეჩნურსა და ინგუშურში მეორეული ჩანს, ვ-ოჰა უნდა მომდინარეობდეს ვ-ავჰუნ-ისაგან: *ვ-ავჰუნ > *ვ-ავჰუნ⁶ > ვ-ოჰუნ⁶ (ღიალ. ვარიანტი) > ვ-ოჰა⁶. ბოლოკიდურ პოზიციამი ხმოვნის ნაზალობა ჩეჩნურში ძალიან სუსტია, ინგუშურში კი საერთოდ მოშლილია. ამოსავალი ვითარება ბაცბურში ჩანს ღაცუელი. ზოგ შემთხვევაში ბაცბურში, -ნ-ს გარდა, ფუძის მომდევნოდ ჩნდება სხვა სახის სონორებიც, როგორცაა: -რ-, -ლ-. მაგალითად: სახ. მათხ „მზე“ - მათხა-რ-ენ ღე „მზიანი ღღე“, ყარ(ო) „წვიმა“ - ყარო-ლ-ენ ღე „წვიმიანი ღღე“...

რამდენიმე ზედსართავი სახელი ჩეჩნურში იცვლება რიცხვის მიხედვითაც. შევადაროთ: ღ-ოჰა „ღიღი“ და ღ-ავჰიდ „ღიღები“, გჷოთთა „ვიწრო“ და გათთიდ „ვიწროები“, სთჷომმა „სქელი“ და სთამმიდ „სქელები“, აგრეთვე, სხვადასხვა ფუძეებით ნაწარმოები ჟიმა „პატარა“ და ქდეგიდ „პატარები“. რამდენიმე მსგავსი ფუძე ჩანს ბაცბურ-ინგუშურ ენებში.

ზედსართავი სახელის ხარისხები. ვითარებითი ზედსართავი სახელის დადებითი ხარისხი იგივეა, რაც მისი სახელობითის ფორმა. ნათქვამი ეხება სამივე ნახურ ენას. მაგ., ჩეჩნური: დჷო⁷ ხაზა დუ, ინგუშური: დჷო⁷ ხოზა და, ბაცბური: დოჰა ღაზე⁷ და „გოგონა ღამაზი არის“. ამ ფრაზებში ხაზა/ხოზა/ღაზე⁷ „ღამაზი“ წარმოადგენს ამ სახელის დადებით ხარისხს.

შედარებითი ხარისხი ინგუშურში იწარმოება დადებით ხარისხზე -ხ სუფიქსის დართვით, იგივე ხარისხი ბაცბურში დადებით ხარისხზე -ვხ სუფიქსის დართვით არის ნაწარმოები. მაგალითად, ინგუშური: დე გოვრ (გოჷრ) ცუ გოჷრალ მასსა-ხ და „ეს ცხენი იმ ცხენზე სწრაფი არის“; ბაცბური: დამჷ ვამას ღაზი-ვხ და „ღა ძმაზე ღამაზია“. ჩეჩნურში შესადარებელი ობიექტი ღვას შედარებით ბრუნვაში. შღრ., იგივე ფრაზა ჩეჩნურად: დიმა ვემ-ი-ღ ხაზა დუ.

აღმატებითი ხარისხი ჩეჩნურსა და ინგუშურში აღწერთია. მაგალითად: ჩეჩნური უგგარდე ა; ინგუშური ეგგარა (ქურქიევი 2005), ეგგირ//ეგირა (ღეშერიევი 1963: 452) „ყველაზე“, მაგალითად, ჩდენქა „სწრაფი“ ... აღმატებითი ხარისხის სინთეზური, მორფოლოგიური წარმოება ვაინახურ ენებში, როგორც ჩანს, არ განვითარებულა. ბაცბურში აღმატებითი ხარისხის ფორმა იწარმოება შედარებითი ხარისხის ფორმაზე -ჩ ფორმანტის დართვით: ღაზი-ვხ-ჩ „უღამაზესი“ (ღეშერიევი 1963: 452)

კ. ჭრელაშვილის მონაცემებით, ბაცბურში ხარისხის ოთხი ფორმაა გამოსაყოფი:

- 1) დადებითი (სახ. ბრუნვის ფორმა): კუდ⁶ „თეთრი“...
- 2) ოღნაობითი: კუდ⁶-კა „მოთეთრო“ (-კა ფორმანტით)...
- 3) უფროობითი ან შედარებითი: კუდ-ხ „შედარებით უფრო თეთრი“ (-ხ ფორმანტით)...
- 4) აღმატებითი: კუდ⁶-ჭ „უთეთრესი“ (-ჭ ფორმანტით)...(ჭრელაშვილი 2002: 135).

ოღნაობითი ხარისხის ფორმები ნახური ენებისათვის ინოვაციას უნდა წარმოადგენდეს.

ჩენური ენის დიალექტებში -ხ ფორმანტით ნაწარმოები აღმატებითი ხარისხის ფორმები არ არის უცხო (ხაზა-ხ//ხაზო-ხ//ხოზუ-ხ „უფრო ლამაზი“, ეგვირ//ეგვერ ხაზო-ხ „ყველაზე ლამაზი, ულამაზესი“). როგორც ჩანს, ვითარებით ზედსართავ სახელთა ხარისხის ფორმათა ჩამოყალიბების პროცესი ნახურ ენებში დასრულებული არ არის.

რიცხვითი სახელი. გამოიყოფა რაოდენობითი, რიგობითი, ჯერობითი რიცხვითი სახელები. რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები ყოველთვის დგანან საზღვრულის წინ: ში სთაგ (ჩენ.)//საგ (ინგ.)//სტაკ (ბაცბ.) „ორი კაცი“. ან კიდევ: შოლა (ჩენ.)//შოლალა (ინგ.)//შილენ (ბაცბ.) სთაგ//საგ//სტაკ „მეორე კაცი“ და ა. შ.

თვლის სისტემა ნახურ ენებში ოცობითია, როგორც, ზოგადად, იბერიულ-კავკასიურ ენებში. შღრ., ჩენურ/ბაცბური ტყა, ინგ. ტყო „ოცი“ და შოუზტყა (სამივე ენაში): ორჯერ ოცი. ასე იწარმოება: სამოცი, ოთხმოცი. ბაცბურში ოცობითია ასიც (ფხაუზტყა - ხუთჯერ ოცი), რაც ჩენურ-ინგუშურში აღწერითია: ფხაზზა ტყა//ტყო „ხუთჯერ ოცი“. ასის მნიშვნელობით იხმარება ბ'დე (ჩენ.)//ბ'ვ (ინგ.), რომელთა წარმომავლობა ნათელი არ არის, თუმცა იგი ბ'ჟო „ჯარს“ დაუკავშირა ი. ლეშერიევმა (ლეშერიევი 1963: 462). „ათასი“ ჩენურ-ინგუშურში არის სპარსულიდან ნასესხები ე ზარ.

ბაცბურმა ქართულიდან ისესხა „ასი“, „ათასი“, მანამდე იგი იყენებდა ოცობით სისტემას, რაც ძალიან რთულ სისტემას წარმოადგენდა.

თვლის იგივე სისტემა, რაც ბაცბურში ასე თუ ისე შემონახულია (ქართულიდან ნასესხებებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში), უნდა ყოფილიყო ფუძენახურ ენაში.

რიცხვით სახელს ნახურში გააჩნია:

- 1) გრამატიკული კლასის კატეგორია;

2) ბრუნვის კატეგორია

რაოდენობითი რიცხვითი სახელი. მსაზღვრელის ფუნქციით რაოდენობითი რიცხვითი სახელის შემდეგ საზღვრული (არსებითი სახელი) ყოველთვის დგას სახელობით ბრუნვაში. შღრ., ჩენწ.-ინგ.-ბაცბ. ცჰაა (ში, ჳო, ფხი) სთაგ (ჩენწ.)//საგ (ინგ.)//სტაკ (ბაცბ.) „ერთი (ორი, სამი, ხუთი) კაცი“...

ნახურ ენებში თავისებურებას სწორედ ეს (ერთიდან ხუთის ჩათვლით) რიცხვითი სახელები გვიჩვენებენ.

რიცხვითი სახელები ცჰაა „ერთი“, ში „ორი“, ჳო „სამი“, ფხი „ხუთი“ ბოლოვებიან ლარინგალურ ბგერაზე, რომელიც დაკარგულია ბაცბურში, სადაც გვაქვს: ცჰაა, ში, ჳო, ფხი. ამავე სახელებში დაკარგულია იგი ჩენწურ-ინგუშურშიც, როცა მათ აქვთ მსაზღვრელის ფუნქცია.

იგივე ბგერა აუსლაუტში აქვს რიცხვით სახელს ღ-ი „ოთხი“, თუმცა იგი შენარჩუნებულია სამივე ნახურ ენაში, მნიშვნელობა არა აქვს, აქვთ თუ არა ამ რიცხვით სახელებს მსაზღვრელის ფუნქცია: ჩენწ.-ინგ.-ბაცბ. ვ-ი სთაგ (ჩენწ.)//საგ (ინგ.)//სტაკ (ბაცბ.) „ერთი (ორი, სამი, ხუთი) კაცი“...

როულ რიცხვით სახელთა [შოუზტყა „ორმოცი“, ჳუზტყა < *ჳუვზტყა < *ჳოუზტყა „სამოცი“, ღ-დეზტყა < ღ-ეუზტყა (ღიალ. ვარ.) „ოთხმოცი“ და ფხაუზტყა (ბაცბური) „ასი“] ანალიზი გვიჩვენებს, რომ ორი-ს, სამი-ს, ოთხი-ს, ხუთი-ს აღმნიშვნელ რიცხვით სახელთა ფუძეებში გამოსაყოფია ორის მნიშვნელობით თავდაპირველი *შაუ, სამისა - *ჳაუ, ოთხისა - *ღ-აუ და ხუთისა - *ფხაუ. მაშასადამე, ფუძეები ში „ორი“, ჳო „სამი“, ღ-ი „ოთხი“, ფხი „ხუთი“ მეორეულია. გარდა ამისა, მეორეული ჩანს ცჰაა „ერთი“ ფუძეც, იგი უნდა მომდინარეობდეს ცა' -ისაგან: ცა' > ცა' > ცჰაა (ფარინგალური მჟღერი ' სპირანტის დაყრუებით ყრუსთან მეზობლობაში).

ოცობითი სისტემის როულ რიცხვით სახელთა სტრუქტურაში ერთეულების აღმნიშვნელ სახელთა მომდევნო -ზ- ფორმანტი ჳერობას გამოხატავს, მას მოსდევს „ოცის“ აღმნიშვნელი სახელები.

სამივე ნახურ ენაში „ცხრამეტის“ აღმნიშვნელი სახელი თავისებურად არის ნაწარმოები, კერძოდ, ჩენწ. ტყადენა, ინგ. ტყადესთა, ბაცბ. ტყეხწ. ივ. ჳავახიშვილის გამოკვლევით, ეს სიტყვა ნიშნავს „მეოცე ცარიელს“. ეს მოსაზრება გაზიარებულია სპეციალისტების მიერ: ტყა „ოცი“ + დენა „ცარიელი“ (?), ე. ი. ცხრამეტი.

„შვიდის“, „რვის“ აღმნიშვნელ სიტყვებში ბაცბურ ვორლ, ბარლ-ს ჩენწურ-ინგუშურში შეესატყვისება ვუორჰ, ბარჰ. ამ ფორმათა შედარება გვიჩვენებს, რომ ბაცბური ღ-ს შესატყვისი ჩენწურ-

ინგუშურში არის **ჰ** - ლატერალი თანამედროვე ჩეჩურ-ინგუშურში არ არის. გარდა ამისა, ამ სახელთა ფუძეებში, შესაძლებელია, ანლაუტის ვ- ან ბ- ოდინდელი გრამატიკული კლასის ნიშანი.

რაოდენობით რიცხვით სახელთა ერთ თავისებურებაზეც შევჩერდებით: თერთმეტიდან თვრამეტის ჩათვლით რიცხვითი სახელები ნაწარმოებია შემდეგნაირად: ჯერ ერთეულებია, შემდეგ - ათეული. შდრ.: ცჰაადთა (<ცჰა + ითა), ასევე: შიდთა - თორმეტი და ა. შ. ქართულში პირიქითაა: ჯერ ათეულია, მერე - ერთეულები: თ-ერთ-მეტი (< ათ-ერთ-მეტი), თორმეტი...

ბრუნების თვალსაზრისით რაოდენობით რიცხვით სახელებს მსაზღვრელის ფუნქციით სულ ორი ფორმა აქვთ: სახელობითისა და ე. წ. ირიბი ბრუნვებისა. შდრ., ჩეჩნ.: სახ. ში სთაგ „ორი კაცი“, ნათ. ში-ნა სთეგან, მიც. ში-ნა სთაგანა და ა. შ. იგივე ვითარებაა ინგუშურშიც, სადაც -ნა ფორმანტის შესატყვისია -ნ (ინგუშურში ბოლოკიდურ პოზიციაში მოკვეცილია ხმოვანი). ბაცბურში -ინ გვაქვს „ერთი“ სახელთან: სახ. ცჰაა სტაკ... შდრ., ში (ვო) სტაკ „ორი (სამი) კაცი“... ნათ. ცჰაინ (შინ, ვა) სტაკონ, მიც. ცჰაინ^ნ (შინ^ნ, ვა) სტაკონ^ნ, ერგ. ცჰაინ^ნ (შინ^ნ, ვა) სტაკონგ...

რიგობითი რიცხვითი სახელები. სამივე ენაში რიგობითი რიცხვითი სახელები ერთნაირად იწარმოებიან რაოდენობითებისაგან -ლლა//ლლა//ლლა (ფონეტიკური ვარიანტები) სუფიქსის მეშვეობით. შდრ.: ჩეჩნ.-ინგ. შოლ(ა)ლა, ბაცბური შილლენ^ნ „მეორე“, ვოლლა (ჩეჩნ.), ვოლლა (ინგ.), ვალლენ (ბაცბ.) „მესამე“... ლ (ინტენსიური ლ) გვხვდება მხოლოდ ფუძეში შოლ(ა)ლა „მეორე“, ისიც ჩეჩურ-ინგუშურში.

სუფიქსის დართვა ზოგ ფუძეზე იწვევს ფუძისეული ხმოვნის ცვლას, მაგ., ვალლენ ბაცბურში მომდინარეობს ვოლლენ-ისაგან...

„პირველი“ ჩეჩურ-ინგუშურში არის **ჰალხარა** (-რა ფორმანტიანი ჰალხა „წინა“), ბაცბურში - ლუდჰარა.

რიგობითი რიცხვითი სახელები იბრუნვიან ზედსართავების მსგავსად -ჩუ//ჩო ელემენტით: ნათ. ჰალხარ(ა)-ჩუ (მაგ. სთეგან), შოლლ(ა)-ჩუ... ბაცბ. ლუდჰარე-ჩ, შილლენ-ჩ...

ჯერობითი რიცხვითი სახელი. სხვა სახის, კერძოდ, ჯერობითი რიცხვითი სახელების მაწარმოებელია ჩეჩურ-ინგუშურში არის -ზზა ფორმანტი: შდრ.:

ში^ნ „ორი“ - შო-ზზა „ორჯერ“

ვო „სამი“ - ვუ-ზზა „სამჯერ“...

ჩენ. დრაზზა ფხი ტყა ლუ „ოთხჯერ ხუთი არის ოცი“. „ერთხელ“ არის წყა (არ არის ცჰაზზა). მისი შესატყვისი ბაცბურში არის -წ ფორმანტი: შა-წ „ორჯერ“, ვო-წ „სამჯერ“... როგორც ჩანს, -ზ//-ზზა ფორმანტი მიღებულია ძ-საგან, ძ-ს ღეზაფრიკატიზაციით. -წ ფორმანტი ძ-ს ყრუმკვეთრი ვარიანტი უნდა იყოს.

ჩვენ აქ არ განვიხილავთ რელუპლიკაციით წარმოქმნილ რიცხვით სახელებს - ფუძეთა შეერთებით წარმოქმნილი რიცხვითი სახელები არ განსხვავდება ანალოგიურად წარმოქმნილი არსებითი სახელებსაგან.

ნაცვალსახელები. ნაცვალსახელთა ბრუნების პრინციპის დასადგენად, პირველ რიგში, საჭიროა ნაცვალსახელთა საბრუნებელი ფუძის დადგენა და ბრუნვათა ნიშნების გამოყოფა. მხოლოდ ამის შემდეგ, როგორც სახელთა ბრუნებისას ზოგადად, შესაძლებელი იქნება იმ ფონეტიკური პროცესების შესახებ მსჯელობა, რომლებიც ბრუნების პროცესში იჩენენ თავს.

სახელობითში, როგორც არსებით სახელს, არც ნაცვალსახელს აქვს ბრუნვის ნიშანი. თავისებურად იწარმოებიან ნაცვალსახელები ნათესაობითსა და ერგატივში - ორივე ბრუნვის ფორმა ბრუნვათა სისტემაში განკერძოებით დგას.

ნახურ ენათა პირის ნაცვალსახელი სჟო „მე“ შემდეგნაირად იბრუნვის:

	პ. უსლარის მიხედვით	ჩენური ენა	ინგუშური ენა	ბაცბური ენა
სახ.	სუო	სჟო (სო)	სჟო	სო
ნათ.	სე ^ნ	სა ^ნ	სა	სე ^ნ
მიც.	სუო-ნა	სჟო-ნ(ა)	-ნა	-ნ
ერგ.	ას	ასა (ას)	აზ	ას
თან.	სუე-ცი	სჟ-ც(ა)	სჟო-ცა	სო-ცი ^ნ
განმსჭ.	სუო-ხ	სჟო-ხ	სჟო-ხ	სო-ხ
შედარ.	სუო-ლ	სჟო-ლ	სჟო-ლ	სო-ლ

მიმართ.	სუე-გე	სრ-გ(ა)	სტო-გა	სო-გრ (<-გო)
---------	--------	---------	--------	--------------

ანალოგიურად იბრუნვიან: ჰოტო//ჰო „შენ“, თხტო//თხო „ჩვენ“ (ექსკლ.), შუ თქვენ“.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ გამოყოფილი ბრუნვათა ნიშნები საერთოა ყველა ნაცვალსახელისათვის. ბრუნვათა ნიშნების მიხედვით ნახურ ენათაგან ბაცბურის ჩვენებაა უფრო ძველი, ვიდრე ჩეჩნურ-ინგუშურისა.

როგორც სქემიდან ჩანს, მოცემულ მაგალითში ჩეჩნურ-ინგუშურ ტო დიფთონგს ბაცბურში შეესატყვისება ო მონოფთონგი. თავის მხრივ ტო მიღებულია ტა-საგან (ტო < ტა). ტო დიფთონგის გადასვლა ო-ში არც ჩეჩნური ენებისათვის არის უცხო, ეს ხდება, მაგალითად, ჭებერლოურში, ქისტურში.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში სტო, სო-სთან შედარებით, ძველი ფორმაა. როგორც ითქვა, სტო < სტა-საგან.

ნათქვამი ეხება I და II პირის ყველა ნაცვალსახელს I პირის, ვაჲ//ვეჲ „ჩვენ“ (ინკ.) ფორმის, გამოკლებით მრავლობით რიცხვისა. შდრ.:

მხ. რ. I. სტო „მე“; II. ჰოტო „შენ“

მრ. რ. I. თხტო „ჩვენ“ (ექსკ.); II. შუ „თქვენ“

ამოსავალი ამ ფორმებისათვის არის: *სტა, *ჰოტა, *თხტა, *შუა.

პირის ნაცვალსახელთა ეს ფორმებიც არ უნდა იყოს თავდაპირველი: ღვაკვირდეთ ერგატივის ფორმებს, საღაც, მართალია, სახალიზო ნაცვალსახელთა ფუძეებში თავკიდურად ა ხმოვანი ჩნდება, მაგრამ თვით ეს ფუძეები შემდეგ სახეს იღებენ:

ერგ. მხ. რ. I. ა-სა; II. ა-ჰა; მრ. რ. I. ო-სა (< ა-თხა); II. ა-შა.

ერგატივში ამ ფორმათა არსებობა გვაგარაუდებინებს, რომ სახელობითში პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები ფუძენახურ ენებში შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი: *სა, *ჰა, *თხა, *შა.

ერგატივის თავისებურება სხვა ბრუნვებთან შედარებით არის ა ხმოვნის არსებობა ნაცვალსახელური ფუძეების წინ, რომელიც ემატებოდა ერგატივში აღდგენილ ფორმებს. ეს ხმოვანი თანამედროვე ნახურ ენებშიც დაცულია, თუმცა ინგუშურსა და ჩეჩნურის ზოგ დიალექტში ა-ჰა „შენ“ ფორმამ მოგვცა ‘ა (დაიკარგა მთლიანად ფუძე, თავკიდურად გაჩენილ ა-ს დაემატა ფარინგალური სპირანტი ‘: ‘ + ა > ‘ა „შენ“).

გარდა ამისა, ერგატივისა და ნათესაობითის ფორმებისაგან განსხვავებით დანარჩენ ბრუნვებში I და II პირის ნაცვალსახელთა ფუძეებში გვაქვს არა მარტივი ხმოვანი ა, არამედ *ჟა (>ჟო) ლიფთონგი: *სჟა, *ჰაჟა, *თხჟა, *შჟა. ამოსავალი *სა, *ჰაა, *თხა, *შა ფორმათაგან *სჟა, *ჰაჟა, *თხჟა, *შჟა-ს მიღების ერთადერთი საშუალება უნდა ყოფილიყო ის, თუ მათ მოსდევდა ჟა ან უ^ნ. მაშასადამე, გვქონდა ასე: *სა-ჟა, *ჰაა-ჟა, *თხა-ჟა, *შა-ვა, რომელთაგანაც მივიღეთ თანამედროვე ფორმები: სჟო, ჰაჟო, თხჟო, შუ (<შჟა).

სავარაუდოა, რომ ნახურში არსებობდა ნაცვალსახელთა მოკლე ფორმები ფუძისეული ა ხმოვანით, მათ გვერდით კი წარმოდგენილი იყო -ჟა სეგმენტის სრული ფორმები.

ამ ვარაუდს ამყარებს ნახურ ფორმათა შედარება აფხაზურ-ადიღურ ენათა სათანადო მონაცემებთან. შლრ.: აფხ. სა-რა „მე“, ჟა-რა „შენ“, ჰა-რა „ჩვენ“, შ(ჟ)-რა „თქვენ“. აფხაზური -რა სეგმენტი არ ჩანს ადიღურ ენებში: ადიღური სგ, ყაბარდოული სა და ასე შემდეგ. მატერიალური და ფორმობრივი მსგავსება აფხაზურ-ადიღურსა და ნახურ ენებს შორის ეჭვს არ იწვევს.

თუ დავუშვებთ, რომ ნახურ ენებში პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები სახელობითსა და ერგატივში ლიფერენცირებული არ იყო, როგორც ეს არის, მაგალითად, ქართულსა და ზოგ სხვა მონათესავე ენაში, ნახური ამოსავალი ფორმებიც ამას აღასტურებს, ფუძეენამ მაინც დაშალა აღნიშნული ბრუნვები, ერგატივის ფორმებს გაუჩნდა, პროკლიტიკის სახით, ა ხმოვანი. ერგ.: ა-სა, ა-ჰაა... ანალოგიური შემთხვევები ნახურ ენათა ბრუნვაში არ დასტურდება.

თუ ეს ღებულება დასაშვებია, შეიძლება დავასკვნათ, რომ პირის ნაცვალსახელებში სახელობითისა და ერგატივის ლიფერენცირება მეორეულია.

ლიფერენცირების გარეშეა დარჩენილი I პირის ინკლუზიური ფორმა მრავლობითში: ვად „ჩვენ“ (სახ., ერგ.). ვითარება უძველესია.

თავისებურია, როგორც ზემოთ ითქვა, ნათესაობითის ფორმებიც: სა^ნ//სე^ნ „ჩემი“, ჰა^ნ//ჰე^ნ „შენი“, თხა^ნ//თხე^ნ „ჩვენი“ (ექსკლ.), შუ^ნ „თქვენი“. ეს ფორმები შეიძლება მიღებული იყოს შემდეგნაირად: სა+ინ (ნათ. ფორმანტი) > საინ > სად^ნ > სე^ნ//სა^ნ > სე//სა; ჰაა-ინ > ჰაადნ და ა. შ. (მოსმობილია დიადლ. ვარიანტებიც). ნათ. ფორმანტი ნახურ ენებში წარმოშობით მიმართებითი ფორმების მაწარმოებელია. დანარჩენ ბრუნვათა საწარმოებლად პირის ნაცვალსახელები იყენებენ სახელობითს. ბრუნვა ერთი გვაქვს, გამონაკლისს ქმნის მრ. რიცხვის ინკლუზიური ფორმა ვად „ჩვენ“. თავისებურია, როგორც ითქვა, ნათ-ისა და ერგატივის წარმოება ყველა ნახურ ენაში. ეს ორი ბრუნვა ნახური ენების ნაცვალსახელთა ბრუნების

სისტემაში განკერძოებით ღვას. სხვა ბრუნვები ნაცვალსახელთა ბრუნებისას იმავე ფორმანტებს იყენებენ, რასაც არსებითი სახელები.

III პირის ნაცვალსახელთა ფუნქციას ასრულებენ **ჩვენებითი ნაცვალსახელები**. ასეთია: ჩენური იზა/ი, ინგუშური იზა//ი, ბაცბური ო „ის“ მხ. რიცხვში და ჩენური უშ (//იზუშ//ოუშ... დიალ. ვარ.), ინგუშური უშ//უუ, ბაცბური ობი მრ. რიცხვში. გარდა ამისა, ჩენურ-ინგუშურში გვაქვს, აგრეთვე, ჰარა (მხ. რ.) „ეს“, ჰჷორშ (მრ. რ.) „ესენი“ ფორმებიც. ეს ნაცვალსახელები შედგენილობითაც და ბრუნებითაც მკვეთრად უპირისპიდეებიან I და II პირის ნაცვალსახელებს. იბრუნვიან სუპლეტურად - სახელობითში ერთი ფუძეა (იხ. ზემოთ), ერგატივში ან ნათესაობითში - სხვა, მეორე ფუძე: ჩენურ-ინგუშური (ო)ცუ, (ო)ვუ, ბაცბური ოვუ. აღნიშნულ ფორმებში თავკილური ო მომდინარეობს ა-საგან - აცუო ჩვეულებრივია ზოგ კილოკავში. ამ ხმოვანს საზგასმითი მტკიცების, ჩვენების ფუნქცია აქვს, ჩენურსა და ბაცბურში ამ ხმოვნის (ნაწილაკის) გარეშეც ჩვენებითი ნაცვალსახელების გამოყენება ჩვეულებრივია. არ გამოიყენება იგი ინგუშურში (ა. ქურქიევი 1966, 9). მრ-ში მეორე ფუძეა ოცარ (<ოცუარ) და ოვარ (<ოვუარ). შდრ., ცარ და ვარ.

როგორც ითქვა, ჩვენებითი ნაცვალსახელები იბრუნვიან ორფუძიანი ბრუნების პრინციპით.

კუთვნილებითი ნაცვალსახელების წარმოშობა დაკავშირებულია პირის ან ჩვენებით ნაცვალსახელებთან. კუთვნილებითი ნაცვალსახელები წარმოადგენენ პირის ან ჩვენებით ნაცვალსახელებს ნათესაობით ბრუნვაში. შდრ.:

სჷო/სო „მე“ და სან^ნ/სენ^ნ (<სა-ინ//სე-ინ) „ჩემი“;

ჰჷო/ჰო „შენ“ და ჰან^ნ/ჰენ^ნ (<ჰა-ინ//ჰე-ინ) „შენი“;

ვად „ჩვენ“ (ინკლ.) და ვად^ნ „ჩვენი“;

თხჷო „ჩვენ“ (ექსკლ.) და თხან^ნ/თხენ^ნ (<თხა-ინ//თხე-ინ) „ჩვენი“;

შუ „თქვენ“ და შუ^ნ (<შუ-ინ) „თქვენი“.

კუთვნილებითი ნაცვალსახელები ბრუნებადი სახელებია - ზედსართავთა მსგავსად აქვთ დამოკიდებული (სინტაგმაში - არსებით სახელთან მსაზღვრელის ფუნქციით) და დამოუკიდებელი, -იგ ფორმანტიანი, ფორმები: ცჷნანიგ „მისი“, ცჷრანიგ „მათი“. ყველა კუთვნილებითი ნაცვალსახელი

მსაზღვრელის ფუნქციით უცვლელია, როგორც, მაგალითად, ქართულში (შღრ., ხის სახლი//სახლმა და ა.შ. აგრეთვე: ეს სახლი, მაგრამ: ამ სახლმა//სახლს და ა.შ.). დამოუკიდებელ ფორმებს არასახელობით ბრუნვებში ეკარგებათ -იგ დაბოლოება. იბრუნვიან ატრიბუტული ზედსართავი სახელების ანალოგიურად.

როგორც ითქვა, ყველა ეს ფორმა წარმოადგენს პირის ან ჩვენებით ნაცვალსახელებს ნათესაობით ბრუნვაში. III პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელები ასევე III პირის (იგივე ჩვენებით) ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს ემთხვევიან (ცუნ-ან, ცერ-ან...). შღრ., სა^ნ მუოხქ „ჩემი ქვეყანა“ და სადნიგ „ჩემი“ - დამოუკიდებელი ფორმა. ეს იგივეა, რაც გასუბსტანტივებული ნაცვალსახელი. მსგავსი ფორმები იბრუნვიან ე. წ. ჩო//ჩუ ჩანართი ელემენტებით, რომლებსაც მოსდევენ ბრუნვათა ნიშნები: სად-ნ-იგ, ნათ. სად-ჩუ-^ნ, მიც. სად-ჩუ-ნ-ნა...

კითხვითი ნაცვალსახელები. კითხვითი ნაცვალსახელები ნახურ ენებში შემდეგია: ჩენური მხ. რ. მილა, მრ. რ. მულმ, ინგუშური მხ. რ. მალა, მრ. რ. მალაშ, ბაცბური მე^ნ „ვინ“, ჩენური ჰუნ, ინგუშური ძუ, ბაცბური ვუხ „რა“. ინგუშურში ძ \leq ჰ-საგან, ასევე ბაცბური ვ-ც ჰ-საგან უნდა მომდინარეობდეს. გარდა ამისა, ბაცბური მენ მილა-ს ფონეტიკური ვარიანტი ჩანს. იბრუნვიან სუპლეტურად: სახ. მილა, ნათ. ჰანან (< ჰანინ), მიც. ჰანნა... სახ. ჰუნ, ნათ. სთდნან, მიც. სთდნნა... ანალოგიური ვითარებაა ბაცბურსა და ინგუშურში - კითხვითი ნაცვალსახელები იბრუნვიან ორფუძიანი ბრუნების პრინციპით (სახელობითისა და ე. წ. ირიბ ბრუნვათა ფუძეები).

„რამდენს“ შეესატყვისება ბაცბურში მელ^ნ, ჩენურსა და ინგუშურში - მდელ და მასა. ამათგან პირველი დაესმის სახელს, რომლის დათვლაც შეუძლებელია, მეორე გამოიყენება დათვლად არსებით სახელებთა

ბრუნვის კატეგორია

ბრუნვათა სისტემა ნახურ ენებში

ნახურ ენებში კარგად არის განვითარებული ბრუნვათა სისტემა, იბრუნვის როგორც არსებითი, ისე ზედსართავი, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელი. გარდა ამისა, ბრუნებადია ნაზმნარი სახელები, ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას გვიჩვენებენ ზოგი ზმნისართები და თანდებულებიც კი.

განსაკუთრებით განვითარებულია ე.წ. ადგილობითი ბრუნვები, რომლებიც გვიჩვენებენ საგნის მდგომარეობას ან მიმართულებას სივრცეში.

მეტყველების ნაწილთაგან ბრუნვათა მიხედვით არ იცვლებიან კავშირები (მაპირისპირებული, მაერთებელი) და ნაწილაკები.

მიუხედავად ამისა, თითოეულ მეტყველების ნაწილს ახასიათებს ბრუნების თავისებურება. ასე, მაგალითად, ყველა მეტყველების ნაწილს არა აქვს ყველა ბრუნვის ფორმა. ყველა ბრუნვის ფორმა გააჩნია არსებით სახელს, პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელებს, გასუბსტანტივებულ ზედსართავ სახელებს, მიმდებობებს, რიცხვით სახელებს, ბაცბურში - მიმართებით ნაცვალსახელებსაც.

საინტერესოა, რომ არსებით სახელთა ერთ ჯგუფს სპეციალური აფიქსი აქვს ზოგ ბრუნვაში. მაგ. -ს ფორმანტი ერგატივს აწარმოებს ვინ-კლასის სახელებისაგან. იგივე სუფიქსი რა ჯგუფის სახელებისგანაც აწარმოებს ერგატივს ბაცბურში, რაც, სავარაუდოდ მეორეულია.

სახელთა ერთ ჯგუფში ადგილობითი II-ის მაწარმოებელი -ლო(ჰა) დაერთვის მხოლოდ კრებით სახელებს ან კიდევ თხევადი, თხიერი მასის აღმნიშვნელ სახელებს, შდრ. ჰაუნ-ლო-ჰა „ტყეში“, ხი-ლო-ჰა „წყალში“...

იგივე ფორმანტი, ასევე შეზღუდვებით, ჩვეულებრივია ჩეჩნურსა და ინგუშურში.

ბრუნვათა მიხედვით შეზღუდვები აქვთ, აგრეთვე, მასდარებს (არა აქვთ ზოგი ბრუნვის ფორმა, მაგ., თანაობითისა, მიმართულებითი I-ისა, თანდებული იცვლება მხოლოდ ადგ. ბრუნვების მიხედვით, ზმნისართები კი, ჩვეულებრივ, ამა თუ იმ ბრუნვათა ფორმებს წარმოადგენენ.

ბაცბურში ი. დეშერიევმა გამოყო 22 ბრუნვის ფორმა, რომელთაც ემატება თანდებულიანი ბრუნვები (დეშერიევი 1953), ჩეჩნურში პ. უსლარმა გამოყო 15 (უსლარი 1888), ინგუშურში ზ. მალსაგოვმა - 10

ძირითადი ბრუნვა და აღნიშნა, რომ დანარჩენები იშვიათად იხმარება, ან კიდევ აღწერითი ფორმებით იცვლებაო (ზ. მალსაგოვი 1963).

ჩენურში პ. უსლარისა და ზ. მალსაგოვის კვლადკვალ 10 ძირითადი ბრუნვა გამოყო ნ. იაკოვლევმა (იაკოვლევი 1960). გარდა 10 ძირითადისა, იგი ასახელებს 6 თანდებულებიან ბრუნვასაც, რომლებიც დამოუკიდებელ ადგილობით ბრუნვებად მიაჩნია.

სასკოლო გრამატიკების მიხედვით, ჩენურში გვაქვს 8 ბრუნვა, ბრუნვათა იგივე რაოდენობა გვაქვს ი. არსახანოვისა (არსახანოვი 1965) და ა. თიმაევის (თიმაევი 1971) ჩენური ენის სახელმძღვანელოებში პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის (ჩენურ ენაზე).

განვიხილოთ ბრუნვები შედარებითი გრამატიკის თვალსაზრისით.

სახელობით ბრუნვას ნახურ ენებში თავისი ნიშანი არა აქვს - სახელი სახელობით ბრუნვაში წარმოდგენილია ნულოვანი ფლექსიით. ზოგი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმისაგან იწარმოებიან დანარჩენი ბრუნვები. ასე იბრუნვის სახელთა მცირერიცხოვანი ნაწილი, მაგალითად, ჩენურში. სახელთა დიდი ნაწილი სახელობითისაგან აწარმოებს ნათესაობითს, ნათესაობითს კი საწარმოებლად იყენებენ დანარჩენი ბრუნვები.

სახელი სახელობით ბრუნვაში გვხვდება შემდეგი ფორმების სახით:

1) საერთონახური ერთ ან ორმარცვლიანი სახელური ფუძეები, რომლებიც ბრუნვათა უმეტესობაში არ იცვლიან ფუძისეულ ხმოვანს. ასეთია, მაგალითად: ლამ „მთა“, სთაგ/სტაკ „ადამიანი“...

2) საერთონახური ერთმარცვლიანი სახელური ფუძეები, რომლებსაც ნათესაობითის -ინ ფორმანტის გავლენით ხმოვანი ეცვლებათ:

სახ. ჩენ.-ინგ. შა//ბაცბ. ფშა „ყინული“ - ნათ. შდენ/შენ (<შა-ინ);

სახ. ჩენ.-ინგ.-ბაცბ. სა „სული“ - ნათ. სინ (<სა-ინ);

3) ფუძისეული ხმოვნის ცვლით მიღებული საერთონახური სახელური ფუძეები, როგორცაა:

ჩენ.-ინგ. დჭოგ, ბაცბ. დოკ „გული“;

ჩენ.-ინგ. დჭოშ, ბაცბ. დოშ „სიტყვა“;

ჩენ.-ინგ. მჭოთა, ბაცბ. მოტა „ენა“...

ჩამოთვლილი სიტყვებისათვის ამოსავალია დგუ, დშუ, მათუ.

4) საერთო ნახური ფუძეები, მიღებული ფუძისეული ხმოვნის ლაბიალიზაციით:

ჩენური ღუო ინგუშური ღოა ბაცბური -

ჩენური ღუო ინგუშური ღოა ბაცბური ღაუ

ჩენური ჯუოვა ინგუშური ჯოვ(ა) ბაცბური ჯავუ//ჯაუჯუ „მტრედი“

5) საერთონახური ფუძეები, მიღებული ფუძისეული ხმოვნის პალატალიზაციით:

ჩენური ღეთი, ინგუშური ღოთუე, ბაცბური ტათებ „ვერცხლი“

ჩენური ღეში, ინგუშური ღოშუე, ბაცბური - (ოქრ - ქართულიდან) „ოქრო“

ჩენური ღეწლა, ინგუშური ღწლა, ბაცბური ღალ(ე) „ღმერთი“...

6) საერთონახური ფუძეები ფუძისეული გრძელი ხმოვნით:

ჩენური ნანა, ინგუშური ნან, ბაცბური ნან „ღელა“

ჩენური ღა//ღაღა, ინგუშური ღა, ბაცბური ღად „მამა“

ჩენური კაწხა, ინგუშური კაწხა, ბაცბური კაწ(ე) „ლეკვი“...

7) საერთონახური ფუძეები, რომელთა ფუძეებში ამოსავალი ხმოვანი დადგენილი არ არის:

ჩენურ-ინგუშური ქუოგ, ბაცბური ქოკ „ფეხი“

ჩენური ქუგ, ინგუშური ქულგ, ბაცბური ქო „ხელი“

ჩენური ღეჩიგ, ინგუშური ღახჩ, ბაცბური ღოს „შეშა“...

8) საერთონახური წარმოქმნილი ფუძეები:

ღიქალლა „სიკეთე“, ხაზალლა „სიღამაზე“...

ჩენურ-ინგუშური ნხარხუტ, ბაცბური (გლეხ - ქართულიდან) „გლეხი“...

9) ფუძენახური ენის ღამლის შემდეგ წარმოქმნილი ფუძეები:

ჩენ. დრხანა „მდივანი, მწერალი“, ‘იღმანა „მეცნიერი“, ღუფხუტ „მხედარი, კავალერისტი“...

10) სხვადასხვა ენიდან ნასესხები ფუძეები:

ჩენურ-ინგუშური ქაწმა „თვითმფრინავი“ (თურქულიდან), ბაცბური გემ (ქართულიდან) „გემი“

ჩენურ-ინგუშური ქოლხოზნიკ „კოლმეურნე“, სეკრეტარ „მდივანი“, ბაცბური სწავლა,

მოანგარიშ(ე)...

11) კნინობითობის ფორმები ჩენურ-ინგუშურში, განსაკუთრებით - ინგუშურში: ისთუოლგ „პატარა მაგიდა“, ქნიუქილგ „წიგნაკი“

სახელობითი ბრუნვის ფუნქციაა გარდაუვალი ხმნის სუბიექტის გამოსატვა.

ნათესაობითი ბრუნვა. ნათესაობითი ბრუნვა ერთ-ერთი უძველესი ბრუნვაა ნახურ ენებში. მას აქვს მსაზღვრელის ფუნქცია: ვუოვა კანთ „დიდი ბიჭი“... გამონათავს კუთვნილებას: ჩენური ნუსქულან ქუორ „პატარძლის კაბა“, ინგუშური წდენ თხოუვ „სახლის სახურავი“, ბაცბური ფსტე-ი⁶ დოჰა „ცოლის ქალიშვილი (გერი)“. ბრუნვის ნიშანია -ინ, რომელსაც მრავალრიცხოვანი ფონეტიკური ვარიანტები აქვს ენათა მიხედვით. ასე მაგ.: ჩენურში 14-ზე მეტი, ინგუშურში - 9 და უნიშნობა, ბაცბურში ნაზალური ხმოვნები ი^ნ, ე^ნ, უ^ნ, ო^ნ, ა^ნ.

-ინ ფორმანტის ვარიანტები ფონეტიკურ ნიადაგზეა გაჩენილი, ხშირ შემთხვევაში თვით ფორმანტიც იკარგება. თანამედროვე ჩენურში, მაგ., ნათესაობითი ბრუნვის ფორმები დიდად არის შეცვლილი პ. უსლარის მასალებთან შედარებითაც კი: -ინ ფორმანტი შეცვლილია -ან -ით.

ინგუშურში ნათესაობითს იგივე ფუნქციები აქვს, რაც ჩენურში, თუმცა -ინ ფორმანტის ალომორფები ინგუშურში ნაკლებია ჩენურთან შედარებით: -ინ ფორმანტი გვხვდება -ი-ს სახით : სახ. ვუორ „ვაჟიშვილი“ - ნათ. ვე-ი, სახ. დუორ „ქალიშვილი“ - ნათ. დე-ი, სახ. საგ „ადამიანი“ - ნათ. სეგ-ი... შედარებით მარტივია ნათ. ბრუნვის წარმოება ბაცბურში, ფუნქციები აქაც იგივეა, რაც ნახურ სხვა ენებში.

ზოგადად, ნათ. ბრუნვის უძველესი ფორმანტი ნახურ ენებში არის -ინ, რომლის გავლენითაც სახელის ფუძეში მომხდარა ფუძისეულ ხმოვანთა ცვლილებები.

ერგატივი. ერგატივი არის გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვა. ჩენურ-ინგუშურში ვინ-ვგუფის სახელებთან ერგატივის ფორმანტებია -ა, -ს (ანთროპონიმებთან), -უორ და რა-ვგუფის სახელებთან -უორ. შდრ.:

ჩენურ-ინგუშური: სახ. აჰამად „აჰამადი//ახმადი“ (საკ. სახელი) - ერგ. აჰამად-ა

ჩენურ-ინგუშური სახ. ჰაავა „ჰაავა“ (საკ. სახელი) - ერგ. ჰაავა-ს

ჩენური სახ. ლუორ „ეკიმი“ - ერგ. ლორ-უორ; ინგუშურში ერგ. ლუორ-უორ

ჩენურ-ინგუშური სახ. გოურ „ცხენი“ - ერგ. გოურ-უორ

ჩენური სახ. სად „ირემი“, ირს „ბედი“ - ერგ. სუნ-უორ, ირს-უორ;

ინგუშური სახ. სად „ირემი“, ირაზ „ბედი“ - ერგ. სან-უორ, ირაზ-უორ...

გარდამავალ ზმნასთან იგივე ვითარება გვაქვს ბაცბურშიც. მაგრამ გარდაუვალ ზმნასთან, თუ ზმნა სუბიექტის აქტიურ მოქმედებას გამოხატავს, სუბიექტი I-სა და II პირში ღვას ერგატივში: ას ვუღტას „მე მივდივარ“, ათხ(ო) ლაბწ(ა) „ჩვენ ვთამაშობთ“... ანალოგიურ ზმნებთან მესამე პირში სუბიექტი სახელობითში ღვას.

გარდა ამისა, ბაცბურში ერგატივი ითავსებს ინსტრუმენტალისისა და თანაობითის ფუნქციებსაც. შღრ.: ას წერად-ღოს წერილ კარანღამე-ვ „მე წერილს ვწერ ფანქრით“, ვაშო ვაღო შერ დაშე-ვ „ძმა ძოდის თავისი ღით“. ერგატივის ეს ფუნქციები ბაცბურში მეორეულია.

ერგატივის ნიშანთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფუძენახურ ენაში ერგატივში მხოლოდ ორი ფორმანტი იყო: -ს და -ჟ(//ვ). ამ ფორმანტთა დართვა თანხმოვანფუძიან სახელებზე ხდებოდა მაერთებელი, ძირითადად, ა ხმოვნის მეშვეობით. ამ ფორმანტთაგან -ს ჩეჩნურ-ინგუშურში და, ნაწილობრივ, ბაცბურშიც, გამოიყენებოდა ანთროპონიმებთან, ფუძენახურ ენაში იგი იხმარებოდა, აგრეთვე, ვინ-ჯგუფის ზოგ საზოგადო სახელთანაც (ღელა, ძამა, და, ძმა და ზოგი სხვაც), -ს ფორმანტის გამოყენების არეალი თანამედროვე ნახურ ენებში გაფართოებულია (შღრ., ჩეჩნურ-ინგუშური პარტი-ს „პარტიამ“, ბაცბური აღზნე-ს „აღზანმა“...), რაც, რა თქმა უნდა, მეორეულია.

ის ფაქტი, რომ ნახურ ენებში -ს ფორმანტი მრავლობითში არ გვხვდება, მისი მეორეულობის შესაძლებლობის საკითხიც ღება. ასეთ შემთხვევაში ერთ ფორმანტს უნდა გამოეხატა ერგატივი როგორც ვინ-ჯგუფის, ისე რა ჯგუფის სახელებთან. შღრ. შემღევი ფორმები ბაცბური ენიღან: ერგ. დაჰო-ს//დაჰო-ვ „ქალიშვიღმა“, სტაკო-ს//სტაკო-ვ „ადამიანმა“...

მიუხედავად ამისა, ფუძენახურში ერგატივში ვინ-ჯგუფის სახელებთან -ს-ს არსებობა გამორიცხული არ არის. ერგატივის -ჟო//--ჟო//--ვ (< ჟო//ჟო < ჟა < აჟ < -ა-ვ) ფორმანტებისთვის ძირითადი, ამოსავალი ჩანს ხმოვანი + ვ (VC თანხმოვანფუძიანებთან), მხოლოდ -ვ (ხმოვანფუძიანებთან).

ერგატივის წარმოების ეს თავისებურება არქაულად შეიღლება ჩათვალოს ნახურ ენათა განვითარების ისტორიაში. ერგატივი არის უძველესი ბრუნვა - ამ ბრუნვაში სახელის ფუძე გვიჩვენებს ამოსავალ ვითარებას. ბრუნვის ამ ფორმით, როგორც ი. ღეშერიევს მიაჩნია, შეიღლება სახელის უძველესი ფუძის აღღენა, რომელიც სხვა ბრუნვებში არსებითად არის შეცვლილი.

მიცემითი ბრუნვა. მიც. ბრუნვის ნიშანი ჩეჩნურში არის -ნა ფორმანტი. თანხმობანფუძიანებთან ამ ფორმანტის წინ ჩნდება ა ხმოვანი, რომელიც მეორე საბრუნებელი ფუძის დაბოლოების (ნათ. ბრუნვის ნიშნის) ხმოვნით ნაწილს წარმოადგენს (-ა-ნა). მაგ. : სახ. სთაგ „კაცი, აღამიანი“, კანთ „ბიჭი“ - მიც. სთაგ-ა-ნა, კანთ-ა-ნა... შღრ., ნათ. სთეგ-ან (<სთაგ-ინ), კენტ-ან (<კანთ-ინ)...

ინგუშურში -ა-ნა ფორმანტს ინტერვოკალურ პოზიციაში ეკარგება თანხმობანი, რის შედეგადაც ა+ა იძლევა გრძელ ა-ს: საგ-ა... ამავე ენაში (და ჩეჩნური ენის ზოგ დიალექტში) მრ. რიცხვის მიცემით ბრუნვაში გვაქვს -თა დაბოლოება, რომელიც ნაწილობრივი კონტაქტური პროგრესული ასიმილაციის შედეგს წარმოადგენს. შღრ., სახ. ზიზამ „ყვავილები“, მიც. ზიზამ-თა (<ზიზამ-ნა); სახ. ლოამამ „მთები“, მიც. ლოამამ-თა (<ლოამამ-ნა)...

მიც. ბრუნვის ნიშანს ბაცბურში წარმოადგენს -ნ (ნაზალური ნ): ლაღ^ნ „მამას“... იგი მომდინარეობს ფუძენახური ენის -ნა ფორმანტისაგან: ბოლოკილურ პოზიციაში ხმოვანი იკარგება, ხმოვნის ჩავარდნით აუსლაუტში აღმოჩენილი ნ სუსტდება და ანაზალებს წინა ხმოვანს.

მაშასადამე, მიც. ბრუნვის ფორმანტი მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის ინგუშურ ენაში, სადაც ამ ბრუნვის ნიშნებად გამოიყოფიან: -ნა (-ა-ნა), -ა, -თა.

წარმოების თვალსაზრისითა და ფუნქციებით მიცემითი ბრუნვა ფუძენახურის ვითარებას გვიჩვენებს ჩეჩნურ-ინგუშურში ენებში, ამ ფუნქციებს ბაცბურში ემატება, ი. ლეშერიევის აზრით, მოქმედების იარაღის გამოსატვის (ინსტრუმენტალისის) ფუნქციაც.

თანაობითი (მოქმედებითი) ბრუნვა. ბრუნვის ამ ფორმას ჩეჩნურსა და ინგუშურში აქვს თანაობის ან მოქმედების იარაღის გამოსატვის ფუნქცია, მაწარმოებელია ფორმანტი -ცა: სახ. ვაშა „ძმა“, კა „ხორბალი“ - თან. ვეშ-ი-ცა (<ვეშ-ინ-ცა), კე-ცა (<კე-ე-ცა < კა-ე-ცა < კა-ი-ცა < კა-ინ-ცა)... ასევე:

სახ. ლიგ „ცული“, ბუთთ „მთვარე“ - ნათ. ლაგ-არ-ან, ბათთ-ან, თან. ლაგ-არ-ცა (<ლაგ-არ-ან-ცა), ბათთ-ა-ცა (<ბათთ-ან-ცა)...

იგივე ნიშანია ბაცბურშიც, ოღონდ -ცი-ს სახით: ნან „ლეღა“ - თან. ნან-ცი... ბაცბურში -ცი ფორმანტის გამოყენების არეალი შეზღუდულია - იგი იხმარება ხშირად ხმარებულ სახელებთან. მოქმედების იარაღის გამოსატვის ფუნქცია, რომელიც საანალიზო ფორმანტს აქვს ჩეჩნურ-ინგუშურში, -ცა/-ცი ფორმანტს ბაცბურში არა აქვს.

თანაობითი იწარმოება ნათესაობითისაგან ან, შედარებით იშვიათად, სახელობითისაგან. აღსანიშნავია, რომ ნახური წარმოშობის ერთ ან ორმარცვლიანი სახელებსაგან თანაობითში სახელის ფუძე გვიჩვენებს ამოსავალ ვითარებას, ვიდრე ინგუშურში, სადაც შენარჩუნებულია ნათესაობითის ხმოვანშეცვლილი ფორმა. შღრ., ნათ. ბეთთ-ა-ცა. ლოგ-არ-ცა...

ჩენურში აღნიშნული ფორმანტი გვხვდება -ცინ-ის ფორმითაც. რამდენადაც ბაცბურში ეს ფორმანტი ნ თანხმონის გარეშეა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩენურში იგი დანართია, ის რომ ამ ფორმანტის შემადგენლობაში ყოფილიყო, ბაცბურში ი ხმოვანი ნაზალური იქნებოდა, გამონაკლისი ბაცბურმა არ იცის.

ბოლოკიდურ პოზიციაში ი-ს დასუსტებით -ცი-საგან მიღებული ჩანს ჩენურ-ინგუშურის -ცა. მაშასადამე, თანაობითში ამოსავალ ვითარებას სწორედ ბაცბურის ვითარება გვიჩვენებს. როგორც მეორეული იყო ერგატივისათვის მოქმ. იარაღის გამონატვის ფუნქცია ბაცბურში, მეორეული ჩანს თანაობითში იარაღის გამონატვის ფუნქცია ჩენურ-ინგუშურში. მოქმედების იარაღის გამონატვის ფუნქცია ნახურ ენებში, სავარაუდოდ, მეორეული, გვიანდელი მოვლენა ჩანს. თანაობისა და მოქმედების იარაღის გამონატვის ფუნქციები ნახურ ფუძეენაში ერთი ფორმანტით გამოიხატებოდა.

განმსჭვალვითი ბრუნვა. განმსჭვალვით ბრუნვას ნახურ ენებში აწარმოებს -ხ(ა)//-ნი ფორმანტი. აქვს რამდენიმე ფუნქცია: გამონატავს საგნის მოძრაობას რაიმე სივრცეში; გამონატავს მთელს, რომლისგანაც გამოიყოფა ნაწილი; გამონატავს საგანს, რომლის შესახებაც არის საუბარი. აღსანიშნავია, რომ სამივე ნახურ ენაში ყველაზე უფრო გამოკვეთილია განმსჭვალვითი ბრუნვის მესამე ფუნქცია, რადგან პირველი ორი ფუნქციის გამოყენების არეალი შეზღუდულია სათანადო სემანტიკის სახელთა სიმცირის გამო.

-ხ(ა)//-ნი ფორმანტთაგან ამოსავალი მეორე უნდა იყოს, როგორც ეს თანაობით ბრუნვაში დავინახეთ: ი ხმოვნის დასუსტებისა და აწეულობის დონის (ხარისხის) დაკარგვის გამო.

მიმართულებითი ბრუნვა. გამონატავს მოქმედების მიმართულებას რაიმე ობიექტისადმი. საწარმოებლად იყენებს ნათესაობითს, რომელსაც ჩამოცილებული აქვს ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ნაწილი. მაწარმოებელია სუფიქსი -გა//-გო. აქედან პირველი ჩვეულებრივია ჩენურ-ინგუშურში, მეორე - ბაცბურში. -გა სუფიქსი ჩენურში თანხმონანფუძიანებთან იძლევა -გე-ს, რაც -გა-ს ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს (-გა > ა > აე > აჲ). აღნიშნული სუფიქსები ჩენური ენის არაერთ დიალექტში თავისუფლად

ენაცვლებიან ერთმანეთს, მრავლობითში კი -გა მრავლობითის -შ ფორმანტის მომდევნოდ გადადის -ქა-ში (ყრუ თანხმოვნის მეზობლად პოზიციური დაყრუება) როგორც ჩეჩნურში, ისე ინგუშურში. ბაცბურში -გო არც მრ. რიცხვში იცვლება - იგი ერთვის სახელის ხმოვნით დაბოლოებულ ფორმას (ხმოვანი ცალკე ან თანხმოვანი + ხმოვანი რიცხვის მაწარმოებელი აფიქსებია მრ-ში).

მაგალითები:

ჩეჩნურში: სახ. გოჭრ „ცხენი“, მიმ. გოჭრ-ა-გა//გოჭრ-ფე; მრ. რ. გოჭრ-ამ-ქა...

ინგუშურში: სახ. გოჭრ „ცხენი“, მიმ. გოჭრ-ა-გა; მრ. რ. გოჭრ-ამ-ქა...

ბაცბური: სახ. ღად „მამა“, მიმ. ღად-ე-გო; მრ. რ. ღად-ი-გო...

-გა ფორმანტის წინა ხმოვანი, როგორც ზემოთ ითქვა, არის ნათ-ის მაწარმოებელი ფორმანტის ხმოვნითი ნაწილი. ეს არის ერთადერთი ფორმანტი, რომელიც ნახურ ფუძეენაში უნდა გვქონოდა.

შედარებითი ბრუნვა. ნახურ ენათა გრამატიკებში, კერძოდ, ჩეჩნურსა და ინგუშურში, გამოყოფენ ე. წ. შედარებით ბრუნვას (პ. უსლარი, ნ. იაკოვლევი, ი. დეშერიევი, ი. არსახანოვი, ა. თიმაევი..., სასკოლო დანიშნულების გრამატიკები). მისი მაწარმოებელია -ლ ფორმანტი, რომელიც გამოხატავს საგნის ტოლობას, მეტობას ან ნაკლებობას იმ საგანთან, რომელიც ამ ბრუნვაში დგას, მაგ.: გოჭრ-ა-ლ „ცხენისოდენა“ ან „ცხენზე“ (ღიღი, პატარა; მეტი, ნაკლები).

შედარებითი ფორმის -ლ მაწარმოებელს აქვს -(ა)ლლა ალომორფიც, რომელიც მხოლოდ ტოლობას გამოხატავს: გოჭრ-ა-ლლა „ცხენისოდენა“...

ამ ფორმანტის, როგორც ბრუნვის ნიშნის, სხვა ფუნქციები არ ჩანს.

აღსანიშნავია, რომ სპეციალურ ლიტერატურაში -ლ ფორმანტიან შედარებით ბრუნვას ბაცბურში არ გამოყოფენ, არ არის ის გამოყოფილი ი. დეშერიევთან, კ. ჭრელაშვილთან... შედარებისას ბაცბური სახელს სვამს ე. წ. განმსჭვალვით ბრუნვაში -ხ ფორმანტით: სე^ნ ვაშო ჰო^ნ ვაშო-ხ ღაზიგ-ხ ვა „ჩემი ძმა უკეთესია (ჯობია) შენს ძმაზე“...

ჩვენი ვარაუდით, სახელის ფორმა შედარების ფუნქციით წარმოადგენს წარმოქმნილ სახელს და იგი ბრუნვათა სისტემაში განსახილველი არ არის.

ბრუნვათა ფუნქციები ნახურ ენებში საგანგებოდ შესწავლილი არ არის, არა გვაქვს ნაშრომი, რომელიც ამ საკითხს ეხება. საკითხის ამ კუთხით შესწავლა, სავარაუდოდ, ბევრ სიახლეს შეიტანდა ბრუნვათა ჩამოყალიბების ისტორიაში.

ლოკალიზაციის კატეგორია

ნახურ ენებში ბრუნებადია ოთხივე სახელი (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი), ნაზმნარი სახელები, ზოგი ზმნისართი და თანდებულიც. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთაც ითქვა, ბრუნებაში ბრუნებად სახელებს შორის სხვაობა მაინც იჩენს თავს. ყველა ბრუნვის ფორმა აქვს არს. სახელს, ზედსართავ და რიცხვით სახელებს, ნაცვალსახელის ზოგ (პირის, ჩვენებითი...) ჯგუფს, მასდარს, დამოუკიდებელ მიმღობას...

ბრუნვათა ზოგი ფორმანტი დაერთვის არს. სახელთა გარკვეული სემანტიკის ჯგუფს. მაგალითად, მიმართულებითის -ლოჰა ფორმანტი (ორთანდებულიანი ბრუნვა) დაერთვის სითხის აღმნიშვნელ, თხიერი მასის მქონე სახელებს ბაცბურში: ხი „წყალი“ - ხი-ლოჰა „წყალში“... შღრ., აგრეთვე: ჰუნ „ტყე“ - ჰუნ-ლოჰა „ტყეში“...

იგივე ითქმის ჩენურ-ინგუშური ენათა შესახებაც.

ნახურ ენებში ყველა ბრუნვა არა აქვს მასდარს, ზმნისართს, თანდებულს ფორმები აქვს მხოლოდ ადგილობით ბრუნვებში, მსაზღვრელად გამოყენებულ ყველა სახელს სულ ორი ფორმა აქვს - ერთი სახელობითში, მეორე კი - დანარჩენ ბრუნვებში.

ზემოთ დახასიათებულ ძირითად ბრუნვათა მაწარმოებელი აფიქსები მარტივია და, უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი ნახური ფუძეების ვითარებას ასახავენ. აღნიშნული ფორმანტები დაერთვოდა სახელის სრულ ფუძეს, რომელიც, ზოგ შემთხვევაში, გაცვეთილიც შეიძლება ყოფილიყო.

ნახური ფუძეების დაშლის მომდევნო პერიოდში სახელის ფუძეს ცვლილებები განუცდია. იგი, აგრეთვე, შეივსო სხვადასხვა ეპოქის ნასესხები სიტყვებითაც. ცვლილებებში იგულისხმება სახელის ფუძისეულ ხმოვანთა ცვლა, როგორცაა, მაგალითად: ჩენურ-ინგუშური - წღე, ბაცბური - წე „ცეცხლი“; ჩენურ-ბაცბური - ხი, ინგუშური - ხიდ „წყალი“; ჩენურ-ინგუშური - კა, ბაცბური - კავ „ხორბალი“...

ჩენურ-ინგუშური - ღჷოგ (< დაგჷ), ბაცბური - ღოკ (<დაკჷ) „გული“; ჩენურ-ინგუშური - ღჷომ (< დაშჷ), ბაცბური - ღომ (< დაშჷ) „სიტყვა“...

გარდა ამისა, ცალკეულ ნახურ ენებში, სახელთა ორფუძიანი ბრუნების მიზეზით, მეორე საბრუნებელი ფუძე განზოგადდა, რის შედეგადაც მოხდა ბრუნების უნიფიკაცია - ორფუძიანი ბრუნება გახდა ერთფუძიანი, ე. ი. მეორე ფუძე, რომელიც წარმოშობით ნათ. ბრუნვის ფორმას წარმოადგენს, სახელობითისაა.

ორთანდებულებიანი ბრუნვები, რომლებიც მიმართულებით პირველს იყენებენ საწარმოებლად, რა თქმა უნდა, მეორეული ბრუნვებია. ისინიც ერთმანეთისაგან განირჩევიან თანდებულთა რაოდენობითაც (გვაქვს ორზემეტთანდებულებიანი ბრუნვები) და საწარმოებელი ფუძითაც. ასეთი სულ 6 ბრუნვაა. მიმართულებითი პირველისაგან (რომელიც ერთთანდებულებიანი ბრუნვაა), იწარმოება გამოსვლითი პირველი, ასევე „გამოსვლითი“ მეორე და ადგილობითი. თავის მხრივ ადგილობითის ფორმას საწარმოებლად იყენებს მიმართულებითი მეორე და გამოსვლითის ორი ფორმა - გამოსვლითი მესამე და გამოსვლითი მეოთხე. ტერმინი „გამოსვლითი“ ბრუნვათა ამ ფორმებისათვის პირობითია ისევე, როგორც ყველა სხვა ტერმინი. ამ ბრუნვათა ჩამოყალიბების ქრონოლოგია თანდებულთა ადგილის მიხედვით ხდება საცნაური - თავდაპირველად ერთთანდებულებიანი გაჩნდა, რომელიც საფუძვლად დაედო ორთანდებულებიანს და ა. შ.

ცალკეული ენების ბრუნვათა ფორმანტებისა და ბრუნვათა სისტემების შესწავლის შედეგად ნახური ფუძეების ბრუნვათა სისტემა წარმოადგინა ცნობილმა მკვლევარმა ი. ლეშერიევმა, რომელიც შემდეგი სახით გამოიყურება:

ბრუნვები	მხ. რ.	მრ. რ.
სახელობითი	-	-შ//-(ი)შ, -ღ//-ი
ნათესაობითი	-ინ	-(ი)ნ
მიცემითი	-ნა	-ნ(ა)
ერგატივი	-სა//-ჷ	-ა//-ჷ
თანაობითი	-ცი	-ცი
განმსჭვალვითი	-ხ	-ხ
მიმარ. პირველი	-გო	-გო

ადგილობრივი ბრუნვები

ადგილობრივი	-გო-ჰა (-გა-ჰა)	-გო-ჰა (-გა-ჰა)
მიმართ. მესამე	-გო-ჰა-ა (-გა-ჰა-ა)	-გო-ჰა-ა (-გა-ჰა-ა)
გამოსვლითი პირ.	-გო-რე	-გო-რე
გამოსვლითი მეორე	-გო-ჰა-რე (-გა-ჰა-რე)	-გო-ჰა-რე (-გა-ჰა-რე)

2. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა სახელის მოფროლოგია: კლასის, რიცხვის, ბრუნვისა და ლოკალიზაციის კატეგორიები

გრამატიკული კლასის კატეგორია

2.1. **ზოგადი დასასიათება.** კლასის უნივერსალური გრამატიკული კატეგორია გამოიყენება სუბსტანტივთა დაჯგუფების საშუალებად, გამსჭვალავს საკვლევ ენათა მთელ მოფროლოგიას და ძველისძველ კატეგორიას წარმოადგენს. ეს კატეგორია სინქრონიულ დონეზე ფლექსიური ტიპის ენათათვის დამასსიათებელ ნიშან-თვისებებსაც ავლენს, ვინაიდან კლასიფიკატორები, საკუთრივ სახელთა კლასიფიკაციის გარდა, რიცხვისა და ბრუნვის, აგრეთვე, ზოგჯერ სხვა გრამატიკულ კატეგორიის საწარმოებელ აფიქსებადაც გამოიყენება. იგულისხმება, რომ თავდაპირველად კლასის კატეგორია ყველა სახის არსებით სახელთა სოციალური ღირებულების მიხედვით საკლასიფიკაციოდ წარმოიქმნა, რადგანაც „გრამატიკული კლასები ღირებულებათა იერარქიას წარმოადგენენ საზოგადოებრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით“ [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 86]. სუბსტანტივთა კლასებად დაყოფა-დაჯგუფების პრინციპში უკუფენილი ჩანს პირველყოფილი ადამიანის თავისებური აზროვნება, რომელშიც ყალიბდებოდა გარესამყაროს ხატის სუბიექტური აღქმა და მისი ენობრივი ასახვა.

აღსანიშნავია, რომ კლასის გრამატიკული კატეგორიის შესახებ მოგვეპოვება არაერთი თეორიული და კერძობითი ხასიათის ნაშრომი. იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევის ისტორიაში ძნელად დაიძებნება ისეთი საკითხი, რომელსაც ამდენი გამოკვლევა მიძღვნოდეს. ა. შინერიხა [შიფნერი 1862] და პ. უსლარის [უსლარი 1866; 1889] ნაშრომებიდან მოყოლებული და გ. თოფურიას ორიგინალური ნაშრომით (თოფურია 2003 : 16-26] დამთავრებული სხვადასხვა ასპექტით მრავალ ლინგვისტ-კავკასიოლოგს (და არა მხოლოდ მათ) უქცევია განხილვის საგნად კლასის გრამატიკული კატეგორია, თუმცა მისი ზოგი მხარე მაინც მოითხოვს სიღრმისეულ კვლევას. კერძოდ, ბოლომდე ნათელი არ არის: ა) გრამატიკული კლასების არსი და მათი ამოსავალი სისტემა; ბ) კლასიფიკატორთა დისტრიბუციის კანონზომიერებანი; გ) ნივთთა კლასებში (III, IV) სახელთა განაწილების პრინციპი და სხვ.

2.2. **გრამატიკული კლასის ნიშნების ფუნქციონირება.** ცნობილია, რომ კლას-ნიშნები დაჩნდება

თითქმის ყველა მეტყველების ძირითად ნაწილთა სტრუქტურაში – არსებით, ზედსართავ, რიცხვით სახელებსა და ნაცვალსახელებში, აგრეთვე, ზმნისართებში. კლასიფიკატორთა ფუნქციონირება უფრო მეტად ხელშესახებია ზმნასა და ნაზმნარ სახელებში. კლას-ნიშნათა დისტრიბუცია, როგორც წესი, ანლაუტიითა და აუსლაუტით შემოიფარგლება, თუმცა არ არის გამორიცხული მათი ინფიქსად გამოყენება. კერძოდ, ბეჟიტურ ზმნაში კლასის ექსპონენტები ინფიქსადაც გვხვდება [ლომთაძე 1953 : 417-418; ბოკარევი 1959 : 48-49; 99-100...]. სიმპტომატურია, რომ კლასნიშნის ზმნათა მრავლობითობა კლასიფიკატორებით ორმაგად გამოიხატება, მაგ.: Ø-ჩერო „გაიქცა“ – მრ. რ. Ø-ო-ჟა-ჩერო (კლასნიშნიანი), კიშაჩ „თამაშობს“ – მრ. რ. კიშა-ბა-ჩ (უკლასნიშნო) და მისთ. როგორც ვარაუდობენ, კლასნიშნის ზმნებში მრავლობითობის ორმაგად აღნიშვნა უკლასნიშნო ზმნათა მრავლობითობის სპეციალურ აფიქსებით გამოხატვის ანალოგიით უნდა იყოს განვითარებული [ბურჭულაძე 1989 : 197].

გარდა მრავლობითი რიცხვის ფორმებისა, კლასიფიკატორები შეინიშნება ცალკეულ სახელთა და ზმნათა სტრუქტურაში ინფიქსად, თუმცა კლას-ნიშნათა ამგვარი პოზიცია შეიძლება მეორეულიც იყოს, რადგანაც კლას-კატეგორია სისტემური სახით არ არის წარმოდგენილი [ჩიქობავა 1978 : 21].

ხუნძურ-ანდიურ-დილოური ენების სახელთა საკლასიფიკაციო საშუალებად, კლასიფიკატორთა გარდა, ფუძეთა სტრუქტურაში გამოყენებულია ხმოვანთა აღერტნაცია, აფიქსთა მონაცვლეობა და მისთ. ამგვარ ცვლილებებს სახელთა ბრუნებაში ვაწყდებით, ამიტომ ეს საკითხები ბრუნებისას იქნება განხილული.

კლას-კატეგორია, როგორც ზემოთ ითქვა, გამოიყენება, სოციალური ღირებულების მიხედვით, არსებით სახელთა დასავგუფებლად. თავის მხრივ, სუბსტანტივთა სოციალური ღირებულების ხარისხის განსაზღვრა სემანტიკის საფუძველზე ხდება. საკითხავია: თუ არსებით სახელთა კლასიფიკაცია სემანტიკურ პრინციპზე იყო დაფუძნებული, მაშინ მათ რაღად სჭირდებოდათ გრამატიკულად გამოხატვა კლას-ნიშნების მეშვეობით?

საზგასამძელია, რომ ხუნძურსა და ზოგ ანდიურ ენათა სუბსტანტივებში თავჩენილი კლას-ნიშნები ოდენ შესათანხმებელი აფიქსის ფუნქციით არის გამოყენებული. თუ არ ჩავთვლით ნათესაობის გამომხატველ რამდენსამე ლექსემას (ხუნძ. ჟ-ა-ცო „ძმა“ – დ-ა-ცო „და“ – ბ-ა-ცო „ძმა“, „და“ [ნაშიერი ცხოველისა], ჟ-ა-ს „ვაჟიშვილი“ – დ-ა-ს „ქალიშვილი“ – ბ-ა-სი „ნაშიერი“ [ცხოველისა]; ანდ. ჟ-ო-ცაი „ძმა“ – დ-ო-ცაი „და“, ჟ-ო-შო „ვაჟიშვილი“ – დ-ო-ში „ქალიშვილი“ – ბ-ო-ში „ნაშიერი“ [ცხოველისა]; ანგ. ჟ-ა-ცაი „ძმა“ – დ-ა-ცაი „და“, ჟ-ა-შა „ვაჟი“ – დ-ა-შე „ქალიშვილი“...), სხვა არსებით სახელებში

ცოცხალი გრამატიკული კლასის ექსპონენტები არ შეიმჩნევა. მასთან, სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ამგვარ სახელებშიც ამჟამად კლას-ნიშნებს უფრო სიტყვაწარმოებითი ფუნქცია აქვთ, ვინემ ფორმაწარმოებითი [ცერცვაძე 1965 : 102].

კლასის ექსპონენტი მოქმედი რომ აღარ არის, ცხადყოფს იმ ანდიურ ენათა (ბოთლიხური, ახვასური...) მონაცემები, რომლებშიც, სემანტიკის გარდა, ფორმოზრივი განსხვავებაც აშკარაა, მაგ.: ბოთლ. ჟ-აშა „ვაჟი“ – დ-ეში „ასული“, ახვ. ჟ-აშა „ვაჟი“ – დ-აშე „ასული“ და ა. შ.

რაც შეეხება კლასნიშნიან სუბსტანტივთა ისტორიულ ინტერპრეტაციას, სპეციალურ ლიტერატურაში მათ შესახებ ერთიანი აზრი არ არის ჩამოყალიბებული. მართალია, ნათესაობის გამომხატველ ზოგ არსებით სახელს რეინტერპრეტირებული კლასიფიკატორი ნახურ-დაღესტნურ ენებში დღესაც დაცული აქვთ,¹ მაგრამ ამ სახელთა ეტიმოლოგია დღემდე გარკვეული არ არის. კვლევის ამ ეტაპზე შეიძლება ორი თვალსაზრისის წამოყენება:

ა) „ჟაცა“ ტიპის კლასნიშნიანი სუბსტანტივები შეიძლება იყვნენ ზმნური (მიმდებარე, მასდარული) წარმომავლობისანი ისევე, როგორც ზოგიერთი სხვა სახელი, მაგ.: ხუნდ. ჟ-ატაად „სიმამრი“ – დ-ატაად „სიდედრი“ (შდრ. ბ-ოტიიზე <*ბ-ატიიზე, შდრ. ანდ. რ-ატიილო „სიყვარული“),² რ-ეხედ „ჯოჯი“ (სამწყსო), ჟ-ეხ „მწყემსი“ (შდრ. ბ-იხ-იზე „ხედავ“), რ-ალ „ბრძოლა“ (შდრ. ბ-ალ-იზე "id."), რ-იტიი „მღინარის ტოტი“ (შდრ. ბ-იტიი-იზე „გაყოფა“), რ-აყი „სიმშლი“ (შდრ. ბ-აყიზე „დამშევა“), რ-ეტელ „ტანი სამოსი“ (შდრ. რ-ეტინე „ჩაცმა“) და მრ. სხვ.

ბ) თავდაპირველად I კლასში გაერთიანებულ მამრობითი სქესისა და II კლასში გაერთიანებულ მდედრობითი სქესის გონიერ არსებათა შორის სოციალური ღირებულების მიხედვით დაპირისპირება ყველაზე მეტად „და-ძმისა“ და „ვაჟიშვილ-ქალიშვილის“ (საზოგადოდ, „შვილთა“, „ნაშიერთა“ დიფერენციაციაში) მნიშვნელობებში იგრძნობოდა, რამაც შეაპირობა მათი გრამატიკული მარკირება.

თანამედროვე ლინგვისტურ კავკასიოლოგიაში სუბსტანტივთა ნომინატიურ ფორმებში

¹ ჩეჩნ. ჟ-უოჟ (დ-უოჟ) ~ ხუნდ. ჟ-ას (დ-ას) : კარ. ჟ-აშა (დ-აშა) ~ ლაკ. (დ-უშ) : დარგ. (რ-ურსი) „ვაჟი“ („ასული“), ჩეჩნ. ჟ-აშა (დ-იშა <*დ-აშა) ~ ხუნდ. ჟ-აცა (დ-აცა) : კარ. ჟ-აცაი (დ-აცაი) ~ დარგ. Ø-უცაი <*ჟ-აცაი (რ-უცაი) ~ არჩ. Ø-უმლუ <*ჟ-ამლუ (დ-ომლუ): ულ.: კაკკ. ალბ. ჟ-იჩი „ძმა“ („და“) და მისთ.

² ა. ჩიქობავა და ი. ცერცვაძე სავსებით სამართლიანად მიუთითებენ „მოყვარეზე“, რაც სემანტიკურად ქართულ ეკვივალენტთან პოულობს პარალელს [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 87].

კლასიფიკატორთა ისტორიული არსებობის ვარაუდი ამჟამადაც საკამათოა [ჯავახიშვილი 1937 : 135-257; ჩიქობავა 1942 : 272-280; 1979 : 13-16; ლეეტერსი 1955 : 26-33; ტრუბეცკოი 1987 : 340; თოფურია 2003 : 16...].

2. 3. კლასთა რაოდენობის განსაზღვრისათვის. ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა სინამდვილეში, მხოლოებითი რიცხვის მიხედვით, 1 სამ- და ოთხკლასიანი სისტემები დასტურდება. რეგრესულ (resp. უნიფიცირებულ) სამკლასიან სისტემაში 2 ბინარული ოპოზიციის ადამიანის კლასი ლიფერენცირებულია ზრდასრული მამაკაცისა (I) და ქალის (II) კლასებად, ხოლო ყველა დანარჩენი თავს იყრის ნივთის (III) კლასში. ასეთი სისტემები ნიშანდობლივია ხუნძური ენისა და ანდიურ ენათა (ბოთლიხური, ლოღობერიული, ტინდიური, ბაგვალური, კარატაული, ახვასური) მეტი ნაწილისთვის. რაც შეეხება სხვა ანდიურ (ანდიური, ჭამალური) ენებსა და დილოურ ენათა წყებას, ამ ენებში ფუნქციონირებს ოთხკლასიანი სისტემები. მართალია, ჭამალურსა და ხვარშიულ ენებში ზოგჯერ ხუთ კლასს გამოყოფენ, რაც მხოლოებითი რიცხვის მიხედვით არაკორექტულია [ბოკარევი 1949 : 22-26; შრ. იმნაიშვილი 1963 : 45; ანდლულაძე 1968 : 24...].

საკვლევი ენების გრამატიკულ კლასთა სისტემების ცხრილი

ენები	I კლ.	II კლ.	III კლ.	IV კლ.
ხუნძური	ჟ	ღ	ბ	რ*
ანდიური	ჟ	ღ	ბ	რ
ბოთლიხური	ჟ	ღ	ბ	რ*
ლოღობერიული	ჟ	ღ	ბ	რ*
ჭამალური	ჟ	ღ	ბ	ღ-/-ლ
ტინდიური	ჟ	ღ	ბ	რ*

1 კლასთა რაოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმად აღებულია მხოლოებითი რიცხვი, რისი დასაბუთებაც იხ. [არლოტელი 2014: 90].

2 რეგრესული სისტემა გულისხმობს კლასთა რაოდენობის შემცირების საფეხურებზე (ორკლასიანი → სამკლასიანი → ოთხკლასიანი → სამკლასიანი → ორკლასიანი; ჩიქობავა 1978: 18-20) არსებულ სისტემებს.

ბავკალური	ჟ	ღ	ბ	რ*
კარატაული	ჟ	ღ	ბ	რ*
ახვასური	ჟ	ღ	ბ	რ*
დილოური	Ø (< ჟ)	ღ	ბ	რ
ჰინუხური	Ø (< ჟ)	ღ	ბ	რ
ხვარშიული	Ø (< ჟ)	ღ	ბ	ლ-/-რ, ღ
ბეუიტური	Ø (< ჟ)	ღ	ბ	რ/>ღ

როგორც ზემოწარმოდგენილი ტაბულიდან ჩანს, პირველი კლასის ნიშანი ხუნძურ-ანდიურ ენებში სონანტ ჟ-ს სახით არის წარმოდგენილი და კანონზომიერ ფონემათიგეგმობას გვიჩვენებს. რაც შეეხება დილოურ ენებს, აქ I კლასის მარკერი მოშლილია და ნულოვანი ალომორფით დასტურდება. დილოურ ენათა ვითარება თვალნათლივ გვიჩვენებს I კლასის ნიშნის მიღრეკილებას გაქრობისაკენ, რაც ამ ენათა ინოვაციურობის ზოგადი ნიშანია.

II კლასისა (ღ) და III კლასის (ბ) ნიშნები ცვლილების ნაკლები ტენდენციებით გამოირჩევა, თუმცა ბ სათანადო ფუძეში სონორთა (ნ, მ) პოზიციებისას ასიმილაციურ ცვლილებას (ბ > ნ > მ) ემორჩილება [გუდავა 1964 : 47, 70; ლომთაძე 1996 : 35-40...].

რაც შეეხება IV კლასის ექსპონენტის – რ-ს ტრანსფორმაციას, იგი ენათა მიხედვით მრავალგვარ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის: რ > ლ (ჭამ., ხვარშ.), რ > ნ (ბეჟ.), რ > ღ (ბეჟ., ჭამ.), რ > ჟ (ჭამ., კარ.) [ბოკარევი 1949: 25; გუდავა 1964: 51-54...].

2. 4. გრამატიკული კლასების რეკონსტრუქციისათვის. სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილი მოსაზრებების მაქსიმალური გათვალისწინებითა და დამატებითი ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ერთობის ხანისათვის რეკონსტრუირდება გრამატიკული კლასის კატეგორიის ოთხკლასოვანი სისტემა:

	მხ. რ.	მხ. რ.1
I კლ.	*ჟ	*ჟ
II კლ.	*დ	*დ
III კლ.	*ბ	*ბ
IV კლ.	*რ2	*რ3

ზემომოყვანილი სისტემა, მხოლოებითი რიცხვის მიხედვით, ახლო ღვას ჟ. დიუმეზილისა და ნ. ტრუბეცკოის მიერ დაღესტნური [resp. აღმოსავლურკავკასიური] ფუძეენისთვის აღდგენილ კლასოვან სისტემასთან [დიუმეზილი 1933: 29; 2015: 45; ტრუბეცკოი 1964: 340]. ნ. ტრუბეცკოის მიერ აღმოსავლურ-კავკასიური პრაენისათვის აღდგენილი სისტემისაგან განსხვავდება IV კლასის ნიშნით, რომლისთვისაც აღდგენილია **დ4** ხოლო ჟ. დიუმეზილის სისტემა მხოლოებითში თანხვდება, მრავლობითში კი ნაკლებია – III და IV კლასის ნიშნებია განზოგადებული.⁵

ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ერთობის ხანის მიწურულისათვის IV კლასის ნიშნად **დ-ს** რეკონსტრუქცია არარეალური ჩანს, რადგანაც საყოველთაოდ გაზიარებული **დ > რ** [ანდლულაძე 1968: 45; თოფურია 2003: 20...] შეიძლება მომხდარიყო იმ ენობრივ ერთეულში, რომელიც საფუძვლად დაედო საკვლევ ფუძეენას. **დ-ს** აღსადგენად ამ ენებში რელიქტური კვალი, მართალია, შეინიშნება [ჩიქობავა,

¹ მრავლობითი რიცხვის ფორმით აღნიშვნა პირობითია, ვინაიდან აქ საქმე გვაქვს რიცხობრივ გაუდიფერენცირებლობასთან.

² არ ჩანს მართებული, როცა ჭამალურში ხუთ კლასს გამოყოფენ [ბოკარევი 1949: 22-26]. ოთხი კლასის ნიშნის პირობებში ხუთი კლასის გამოყოფა სპეციალურ ლიტერატურაში გაკრიტიკებულია [ანდლულაძე 1968: 24; შდრ. ალექსეევი 1988: 184-186...].

³ სპეციალურ ლიტერატურაში ინტერპრეტაციები განსხვავებულია [იხ. დიუმეზილი 2015: 45; შდრ. ჩიქობავა 2013: 351].

⁴ **დ-ს** რეკონსტრუქცია მართებულია ნახურ-დაღესტნური ქრონოლოგიური დონისათვის, ხოლო ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ერთობის ხანისათვის აღდება **რ (<*დ)**.

⁵ მრავლობით რიცხვში I-II კლ. აღინიშნებოდა III კლ. ნიშნით (ბ), ხოლო III, IV კლ. გამოისატებოდა IV კლ. ნიშნით (რ), რაც იწვევდა IV კლასში მარკერთა თანხვდენას და კლასთა მოშლას.

ცერცვაზე 1962: 92-96; გუდავა 1959 : 9, 18-19...], თუმცა რ (<*დ)1 IV კლასის ექსპონენტად ფუძეების დაშლისას გაბატონებული უნდა ყოფილიყო და საერთო-დაღესტნურ *რ-ს დამთხვეოდა. სხვა შემთხვევაში დ, რომელიც საკვლევ ენებში ფონემათიგივეობით არის წარმოდგენილი, ლიფერენცირებულ ფონემათ-შესატყვისობას მოგვცემდა² [არლოტელი 2009 : 89, 140]. რ (<*დ) კლას-ნიშნისა და საერთო-დაღესტნური *რ-ს ფუძეების ღრინდელი თანხვედრით ჩანს გამოწვეული ანლაუტში რ-ს შესატყვისობის მწყობრი, კანონზომიერი და რეგულარული პარადიგმა, რომელშიც „... ყოველგვარი გამონაკლისი ეჭვს იწვევს“ [გუდავა 1979: 58].

ბუნებრივია, იხმის კითხვა: გენეზისურად II კლასი IV კლასს უკავშირდება თუ არა?

თავდაპირველად არნ. ჩიქობავამ წამოაყენა დებულება II გრამატიკული კლასის IV კლასისაგან წარმომავლობის შესახებ: „მეორე გრამატიკული კლასი გამოყოფილია (IV კლასისაგან – ნ. ა.) მაშინ, როცა პირველი და მესამე უკვე მოიპოვებოდა“ [ჩიქობავა 1942: 41]. ანდა: "Показатели IV класса (вещей) и II класса (женщин) совпадают не случайно: они идентичны по происхождению" [Чикобава 1978: 17]. შემდგომ ამ მოსაზრებამ ფართო გავრცელება ჰპოვა ლინგვისტურ კავკასიოლოგიაში [მაჰომეტოვი 1960: 637; იმნაიშვილი 1963: 50; ანდლულაძე 1968: 42...].

ზემოთ დამოწმებულ თვალსაზრისზე გაცილებით ადრე იყო წამოყენებული საპირისპირო მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ივ. ჯავახიშვილი II კლასის ექსპონენტად ი ნიშანს მიიჩნევს: „...ლილური და ლეგური ენების მღერ. სქესის ერთადერთ ნიშნად ი ნახევარზმონანი რჩება, დანარჩენი ბ, დ და რ თანხმონები – კი შემდგომში უნდა იყოს ამ სქესის ნიშნად ქცეული“ [ჯავახიშვილი 1992: 255].

II კლასის დამოუკიდებელ ნიშნად ი სონანტის აღიარების ასპექტით ყურადღებას იქცევს გ. კლიმოვის გამონათქვამი: "с довольно широко распространенной в языках мира оппозицией звукотипов w и j как символов мужского и женского начал" [კლიმოვი 1986: 94].

ბოლო დროს კლასიფიკატორთა გენეზისის შესახებ გამოითქვა ორიგინალური აზრი, რომლის დედაარსი ლაკონიურად ასე წარმოიდგინება: ამოსავალი ბინარული ოპოზიცია აერთიანებდა ადამიანის კლასს

1 ვ. თოფურის რ მიაჩნია არქეტიპად: *რ > დ [თოფურია 1942: 178-179; შდრ. ჯავახიშვილი 1992: 256; ჩიქობავა 1942: 376-377; ანდლულაძე 1968: 43...].

2 თუ, რა თქმა უნდა, არ გავიზიარებთ „დიუმეზილის ფენომენს“, რაც გრამატიკულ ინვენტარში შესატყვისობათა განსხვავებულ კანონზომიერებებს გულისხმობს [დიუმეზილი 2015: 38-39].

(დ) და არაადამიანის კლასს (ბ). კლას-კატეგორიის ევოლუციის მე-2 საფეხურზე ადამიანის კლასი გაიყო ორ ჯგუფად: მამაკაცის (I კლ.) და ქალის (II კლ.), რომელთაც მარკერებად იმთავითვე მოეპოვებოდა უ და ძ (სათანადოდ). ადამიანის კლასის გამონატვისაგან თავისუფალი ნიშანი დ გადავიდა არაადამიანის (ნივთის) კლასში, რამაც შეაპირობა ნივთის კლასის სახელთა დამატებითი დიფერენციაცია [თოფურია 2003: 22].

ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა მონაცემების საფუძველზე ძალიან რთული და პრობლემატურია ამოსავალი ბინარული ოპოზიციის რეკონსტრუქცია, მაგრამ მამაკაცისა (უ) და ქალის (ძ) კლასთა ექსპონენტებად იმთავითვე შემომოყვანილი სონანტების ფუნქციონირება – გასაზიარებელი.

აღსანიშნავია, რომ არნ. ჩიქობავას და მის თვალსაზრისზე მყოფ თანამოაზრეთ ძირითად არგუმენტად მჭყავთ სამი გარემოება:

1. II და IV კლასის ნიშანთა ფორმობრივი სიახლოვე ან თანხვედენა;
2. ბრუნების გარკვეული ფაქტები ხუნძურში;
3. ქართველურ ენათა მონაცემები.

ამ სამი საბუთიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ჩანს კლასიფიკატორთა თანხვედენა [ჩიქობავა 2013: 375-378; 1979: 109-113; იმნაიშვილი 1963: 50; ცერცვაძე 1965: 95; ანდლულაძე 1968: 40]. კერძოდ, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ნახურ და დილოურ ენებში II კლასში ერთიანდება ნივთის სახელებიც, რაც ცხადყოფს ქალის კლასის წარმომავლობას IV კლასისაგან [ჩიქობავა 1979: 110-113]. არნ. ჩიქობავა წერს: "Показатели IV класса (вещей) и II класса (женщин) совпадают не случайно: они идентичны по происхождению" [ჩიქობავა 1978: 17].

მომდევნო წელს გამოცემულ მონოგრაფიაში არნ. ჩიქობავა კითხვას სვამს: „იქნებ მეორე გრამატიკული კლასის ნიშანი (ძ) და მეოთხე კლასის ნიშანი (ღ ← რ ← დ) სხვადასხვა წარმოშობისა... იმდენად მოულოდნელია ქალის აღნიშვნა ნივთის ისეთი კლასის ფორმანტით, რომელსაც კლასიფიკაციაში სულ ბოლო ადგილი უკავია“ [ჩიქობავა 1979: 110].

ავტორი ამ კითხვას უარყოფითად უპასუხებს.

ჩვენი დაკვირვებით, ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა მონაცემები (გარკვეულწილად ნახურისაც) ამგვარ ინტერპრეტაციას მხარს არ უჭერს. კერძოდ, დილოურ ენათა სინამდვილეში II კლასი მართლაც აერთიანებს უგონო ცოცხალ არსებათა, ნივთთა და მოვლენათა ერთი რიგი სახელებს: დიდ. კენაჭ „კვერცხი“, იზუ „ყველი“, ოწ „შრავი“, კიცუ „კბილი“, ეშუ „ფაფარი“, იძუ „სადგისი“, ცაც „კარი“, ნჰოლუ

„ნაცარი“, ისი „თოვლი“, ზიგოლუ „სეტყვა“...; ბეჟ. ზოკო „სოკო“, ე^ნუ „მდინარე“, ლ^იბუ „ფოთოლი“, გენი „მსხალი“, ა^ნც „კარი“, ო^ნზ „თოვლი“, ტალო „ქვა“...; სვარშ. ე^ნსო „თოვლი“, ბათახუ „პური“, ლ^ილე „ბატკანი“, ც^{ან}ც „კარი“, ზებუ „დე“, ლილ^უ „შარვალი“, ცაბიკ „კოვზი“ და მისთ.

თუ ზემომოყვანილ მაგალითებს შევუდარებთ ერთ-ერთი ოთხკლასიანი ანდიური ენის – ჭამალურის მონაცემებს, თვალნათლივ დავინახავთ, რომ ამ ლექსემათა თანხვედნას, სათანადო კლასთა მიხედვით, ყოველთვის არ ექნება ადგილი:

ბეჟ.		ჭამ.		ლექსიკური მნიშვნელობა
ზოკო	(II კლ.)	სეკუ	(III კლ.)	„საჭმელი სოკო“
გენი	(II კლ.)	პი ^ნ უ	(III კლ.)	„მსხალი“
ჟოდო	(II კლ.)	მილ ^ი	(III კლ.)	„დე“
ა ^ნ ტოუ	(II კლ.)	ჭისა	(III კლ.)	„ჭინჭარი“
ლ ^{ან} ჩუ	(II კლ.)	ინახუ	(III კლ.)	„ჩექმის ყელი“
ჭუმალ	(II კლ.)	ბეცუ	(III კლ.)	„წვივი“...

ანალოგიური ვითარებაა სხვა დიდოურ ენებთან შედარებისას. სპორადულად თვით დიდოურ ენათა შიგნითაც შეიმჩნევა გრამატიკულ კლასთა მიხედვით სახელთა აღრევის შემთხვევები. კერძოდ, ცხოველთა ნაშიერები (ბატკანი, თოხლი, თიკანი, ვაცუნი, დათვის ბელი და მისთ.) სვარშიულ ენაში II კლასს განეკუთვნებიან, ხოლო სხვა დიდოურ ენებში III კლასში არიან მოქცეული.

გარდა ამისა, ინტერესს აღძრავს ჩეჩნური ენის ჩვენება, რომელშიც ოთხკლასიანი სისტემის ენათა III და IV კლასის სახელები II კლასს განეკუთვნებიან, მაგ.: გოურ „ცხენი“, ჩა „დათვი“, ბჟორზ „მგელი“, ვირ „ვირი“, ქჟოთამ „ქათამი“, ბაგა „პირი“, სთიგალ „ცა“, ხ^{ან} „დრო“, დურთ „სოფელი“ და ა. შ.

თუ ჩეჩნურისა და ინგუშურის მონაცემებს ბაცბური ენისას შევუდარებთ, დაახლოებით ანალოგიური სურათი დაინახება. როგორც ჟ. დიუმეზილი წერს: ბაცბურში „...კლასების მოქმედება იქ არასამძლეო“ [დიუმეზილი 2015: 45].

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ცხოველთა სახელები, რომლებიც ჩვეულებრივ ენათა მეტ ნაწილში III კლასის კუთვნილებას შეადგენენ.

ცხადია, დაისმის კითხვები: რით არის გამოწვეული ნივთის კლასის (კლასების) სახელთა მოქცევა II კლასში? რა ქრონოლოგიურ დონეს უნდა მივაკუთვნოთ სახელთა ამგვარი გადაჯგუფება საკვლევ ენებში?

თავად ის ფაქტი, რომ II კლასში არის გადმოჯგუფებული უგონო ცოცხალ არსებთა, ნივთთა და მოვლენათა არა მარტო IV კლასის, არამედ III კლასის სახელებიც, არნ. ჩიქობავას მოსაზრება ვერიფიცირებას და დაზუსტებას მოითხოვს .

არათანმიმდევრული ჩანს კლასის ექსპონენტთა ურთიერთმიმართების საკითხიც. კერძოდ, ხუნძურ-ანდიურ-დილოურ კლასთა სისტემაში რ ძირითადი ნიშნით (თუ არ ჩავთვლით ბეჟიტურსა და ჭამალურს) გამოიხატება IV კლასი, ხოლო II კლასის ნიშნად ოდენ ე დასტურდება. საკითხავია: თუ რ (< ლ) > ე ერთიანი პროცესია, მაშინ, ერთი მხრივ, ლატენტური რ, ხოლო, მეორე მხრივ, ფინალური ე როგორ იქცნენ სხვადასხვა კლასის გამომხატველ აფიქსებად?

ჩვენ იმ მოსაზრებისკენ ვიხრებით, რომელსაც ლ-სგან მომდინარე ე (ლ > რ > ე) და საერთო-დალესტური ე სხვადასხვა ოდენობად მიაჩნია [თოფურია 2003 : 22]. ამ მოსაზრების სისწორეს ერთგვარად განამტკიცებს ჭამალური და ბეჟიტური ენების მონაცემები, რომელთა გათვალისწინებით ცალკეული დიალექტები (resp. თქმები) სონანტს (რ > ე) გვიჩვენებენ. ეს, ცხადია, არის შედარებით გვიანდელი პროცესი ისევე, როგორც სვარშიულში რ > ლ [არდოტელი 1999 : 85-86].

ჩვენი აზრით, ნივთის კლასის სახელთა გადაჯგუფება II კლასში აშკარად მეორეული მოვლენაა, რაც ამ კლასში შემავალ გონიერ (ქალი და მისთ.) არსებთა საზოგადოებრივი ღირებულებისა და როლის მკვეთრ გაუარესებას უნდა მოჰყოლოდა. როგორც ჩანს, ამ მოვლენებს უნდა მოეხდინა ქალისა და ნივთის კლასებში თავმოყრილ სახელთა ერთგვარი სემანტიკური ნიველირება. ამ პროცესების მასტიმულირებელი უნდა ყოფილიყო აბსტრაქტული აზროვნების განვითარებაც, რაც საბოლოო ჯამში კლასთა შემცირებისა და მოშლის წინაპირობაა.

რაც შეეხება მეორე არგუმენტს, რომელიც ხუნძურში სახელთა ბრუნებისას ერგტივსა და ირიბ ბრუნვათა ფორმებში კლასთა კორელაციას ემყარება, ეს გვიანდელი მოვლენაა. მართალია, სახელთა ბრუნებაში გრამატიკულ კლასთა გარჩევა ხელშეშასებია არა მარტო ხუნძურში, არამედ ანდიურ-დილოურ ენებშიც, მაგრამ ატრიბუტული ბრუნების ჩამოყალიბება ქრონოლოგიურად შემდეგროინდელი პროცესია, ვიდრე II კლასის ფორმირების ხანა.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ საკვლევ ენებში გამოიყოფა „არქაული“ (resp.

სუბსტანტიური) და „ცოცხალი“ (resp. ატრიბუტული) ბრუნების ორი ძირითადი ტიპი [ჟირკოვი 1936: 166; გუდავა 1962: 267-274...]. ხუნძურში I და II კლასის სახელებში ატრიბუტულმა ბრუნებამ მთლიანად გამოდევნა სუბსტანტიური ბრუნება, რომელიც ერგატივში -ცა ($\leftarrow * -დ + სა$) ნიშანს აჩენს, ხოლო ანდიურ ენაში – დი ნიშანს:

	ხუნძური		ანდიური
სახ.	რაკ	„გული“	იმა „მამა“
ერგ.	რეკ-ე-ცა ($\leftarrow * რეკ-ე-დ + სა$)		იმ-უ-დი
მიც.	რეკ-ე-მ-ე		იმ-უ-მ
ნათ.	რეკ-ე-ლ		იმ-უ-ბ

რაც შეეხება ატრიბუტულ ბრუნებას, ამგვარი ბრუნების დროს ერგატივის ფორმას აწარმოებს შემდეგი ნიშნები:

ხუნძ. ა-სა (I კლ.), -ა-ლბ (II- III კლ.), ანდ. -შა (resp. -სა) (I კლ.), -ლბ (II-III-IV კლ.).¹

სიმპტომატურია, რომ ანდიურმა ენებმა სისტემებზე, ხოლო დიდურმა ენებმა ინსტრუმენტალისის ფუნქციით ერგატივის (resp. პალეოერგატივის) -დ-ს შემცველი არქაული ნიშანი შემოინახეს. დ-ს კვალი რელიქტურად შეიმჩნევა ჩრდილოური ხუნძურის სახელთა ირიბ ბრუნებებში და ხალხური სიმღერის ტექსტებში [გუდავა 1962: 271].

ნათელი ხდება, რომ ანდიურმა ენებმა სახელთა ბრუნებებში არქაული ვითარება უფრო მეტად დაიცვეს. ტ. გუდავა წერს: „ატრიბუტულ ბრუნებებში ერგატივის ნიშანი იყო სა || შა და ლბ (პირველი მათგანი ისტორიულად ადამიანთა კლასისთვის იყო გამოყენებული, მეორე -ლბ კი – ნივთთა კლასისთვის. ასე რომ, ლბ-ს გამოყენება II გრამატიკული კლასის სახელთა ერგატივის ნიშნად – მეორეული მოვლენაა)“ [გუდავა 1962: 271].

მეორე გრამატიკული კლასის გენეზისის გასარკვევად ქართველურ ენათა ჩვენების გათვალისწინება მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ ენათა მონაცემების მიხედვით კლასთა დიფერენციაციის (resp. უნიფიკაციის) დადგენა ძალიან ძნელია. მართალია, ქართველურ ენათა სინამდვილეში II კლასის ეკვივალენტური ნიშანი

¹ აღსანიშნავია, რომ ანდიურში ეს ელემენტები უფრო ფუძის ფორმანტებია, ვინემ ბრუნვის ნიშნები.

(ა) არ ჩანს, თუმცა არც ნივთთა კლასის გაყოფაა რეალიზებული. იმ შორეულ წარსულში, როცა ივარაუდება იბერიულ-კავკასიური ფუძეენისაგან ქართველური ფუძეენის ჩამოცილება, შესაძლოა პროგრესული ორკლასოვანი სისტემა არსებობდა და გონიერ სულიერ არსებათა კლასი არც იყო გაყოფილი, ე. ი. ასაკსრული მამაკაცისა და ასაკსრული ქალის კლასი ჯერ კიდევ არ იყო დიფერენცირებული.

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ ლაკური და დარგული ენების კლასთა სისტემაზე [ჩიქობავა 2015: 376; თოფურია 2003: 22...]. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ლაკური ენის კლასთა სისტემის თავისებურებაზე, რომელშიც II და IV კლასის ნიშნთა აფსოლუტურ თანხედენა სიქრონიულ ღონეზე ფაქტია. მართალია, ყუმუხურ და ბალხარულ დიალექტებში II და IV კლასის ნიშნებად **დ, რ** დასტურდება, მაგრამ არაკულურ დიალექტში **ბ**, უ გვხვდება [აბლულაევი 2010: 35]. II კლასის ნიშნად **ბ**, უ კლასიფიკატორების პოზიციურება ნოვაციას ლაკურისათვის ისევე, როგორც ბევრი ლეზგიური ენისთვის და, როგორც გ. თოფურია წერს: "Наличие d, r, l, n в II классе (класс женщины) в лезгинских (а также лакском и даргинском) языках, как уже говорилось, следует рассматривать как результат реинтерпретации расшатанных первичных систем, и так же нужно квалифицировать как системы поздней формации" [თოფურია 2003: 22].

ამრიგად, ამ და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ჩვენებათა გათვალისწინებით, II და IV კლასის ექსპონენტებად თავჩენილი **ა** სონანტი სხვადასხვაგვარი გენეზისისა ჩანს, ამიტომ IV კლასის ბიფურკაციით (**დ > რ > ა**) II კლასის (ქალთა კლასის) წარმოქმნის დებულების გაზიარება ჭირს.

ცნობილია, რომ თავდაპირველად სახელთა მთელი სიმრავლე ორ კლასში იყო განაწილებული: I ადამიანის კატეგორია – ვინ? II ნივთის კატეგორია – რა? [ჩიქობავა 1979: 89].

ჩვენი ვარაუდით, საწყის ეტაპზე ორკლასიან სისტემაში ადამიანის (ღვთაებათა) კლასი (განურჩევლად სქესისა) ფორმდებოდა უ- კლასის ექსპონენტით, ხოლო ნივთის კლასი (დანარჩენი ყველაფერი + ბავშვი და მისთ., რომლებიც ნივთებთან იყვნენ გათანაბრებული) **ბ**- ექსპონენტით. პროგრესულ სამკლასოვან სისტემაში: I კლასი: უ- (ღვთაებანი, ასაკსრული მამაკაცები და მათთან გათანაბრებული არსებანი), II კლასი: **ა**- (ასაკსრული ქალები და მათთან გათანაბრებული არსებანი), III კლასი: **ბ**- (ნივთები და მათთან გათანაბრებული გონიერი თუ არაგონიერი არსებანი).

პროგრესულ ოთხკლასიან სისტემაში ნივთთა კლასი „მექანიკური განვითარებით“ (ე. დიუმევილი)

გაიყო და IV კლასის ნიშნად გამოყენებულ იქნა **ღ**, რომელსაც სპონტანური ფონეტიკური ტრანსფორმაციით¹ განსხვავებული რეფლექსები ჩამოუყალიბდა: **რ, ე, ლ, ნ, მ**.

იმის კითხვა: რა უნდა ყოფილიყო ცხოველ-ფრინველთა, მწერთა, ქვეწარმავალთა, საგანთა და მოვლენათა ორ კლასად გაყოფის მიზეზი და ამ კლასებში სახელთა განაწილების კრიტერიუმი?

თანამედროვე ადამიანის თვალთახედვით, უცნაურია, ნახურ და დიდოურ ენათა ჩვენებს თუ გავითვალისწინებთ, „წვერი“, „იატაკი“, „ჯოხი“... შედიოდეს მეორე კლასში, ხოლო „წყალი“, „პურეული“, „ენა“, „ცეცხლი“... IV კლასში იყოს გაერთიანებული. ანა: II კლ.: საკ. დიდ. იმუ „სადგისი“, ისი „თოვლი“, ზიგოლუ „სეტყვა“, ცამ „ნაცარი“, ქემ „ნაპრალი“, ჰიტუ „ფსკერი“, „ძირი“ და მისთ. უფრო ღირებული იყოს, ვიდრე IV კლასში შემავალი შემდეგი სახელები: რელ' „ხორცი“, ნუცი „თაფლი“, როკუ „გული“, ბეტჰ „ცხვრის ფარა“, ბირუს „სახნისი“, ლუთქუ „სახლი“, ოზური „თვალი“ და მრ. მისთ.

მეტად საინტერესოა იმდროინდელი ადამიანის აზროვნება გარემომცველ ბუნებასთან მიმართებითაც, თუ ყურადღებას გავამახვილებთ III-IV კლასების დიქოტომიისას ნივთთა ღირებულების (რამდენად მნიშვნელოვანი და საჭირო იყო ესა თუ ის საგანი, ცხოველი თუ მოვლენა) ნიშნით სახელთა კლასიფიკაციაზე. საკვლევ ენათა მიხედვით, III კლ.-ში ცხოველები, ფრინველები, მწერები, ქვეწარმავლები და მათი ნაშიერები, აგრეთვე, მცენარეთა, მშენებლობის, კვების პროდუქტების და ბუნების მოვლენების გამომსატველი ლექსიკა ერთიანდება. ამავე კლასში ექცევა ზოგი სომატური სახელი: საკ. დიდ. მეცუ „მკლავი“, მჭალი „ცხვირი“, რორი „ფეხის ტერფი“, ბჭადა „ყელი“, ბაშა „თითი“ და მისთ.

სომატური სახელების ნაწილი IV კლასში არის გადაწევილებული: ჰუტ „ბაგე“, აჭიდა „ყური“, ახ „მუცელი“, ოზური „თვალი“, როკუ „გული“...

თუ საკუთრივ დიდოურის მონაცემებს ანდიური ენის სათანადო სომატურ ტერმინებს შევეუდარებთ, სხვაობა ნიშანდობლივი იქნება – ის, რაც ანდიურში III კლასისად გაიგება, საკ. დიდოურში IV კლასის კუთვნილებაა და პირიქით:

ანდიური ენა	დიდოური ენა
III კლ.	IV კლ.

¹ საგულისხმოა, რომ $\text{ღ} > \text{რ} > \text{ე}$ პროცესი ფონემათშესატყვისობის დადგენილ წესებში არ ჯდება, ვინაიდან **ღ** და **ე** იძლევიან ფონემათიგივეობას, ხოლო **რ** მცირეოდენი სახეცვლილებებით (***რ** > სვარშ. **ლ**...) რეალიზდება.

ჰანტიკა	აჰიდა	„ყური“
ჰარკუ	ოზური	„თვალი“
სიმ	ჰუტ	„ბაგე“
მიწი	მეც	„ენა“
IV კლ.	III კლ.	
სოლ	კიცუ	„კბილი“
ლაჟუ	მეცუ	„მკლავი“, „ხელი“
რელილი	ჟუბი	„ღვიძლი“...

როგორც ზემომოყვანილი მაგალითები მოწმობენ, მონათესავე ენათა შორის სახელთა კლასიფიკაციაში თვალსაჩინო სხვაობანი იჩენენ თავს. განსხვავება შეიმჩნევა ერთი ენის დიალექტურ მონაცემებს შორისაც. ამიტომ უნდა დავასკვნათ: III-IV კლასთა ლიფერენციაციის დროს თავდაპირველად სახელთა კლასიფიკაცია შეიძლება მოტივირებული იყოს (ხდებოდა III გრ. კლ.-თვის ცხოველ-ფრინველთა, მწერთა და მისთ. შერჩევა, IV კლასისთვის კი – დანრჩენი საგნებისა), ხოლო მოგვიანებით კი ამგვარი მოტივაციის¹ დაცვა აღარ ხერხდებოდა და კლასიფიკაცია, ჩანს, მეტ-ნაკლებად ნებისმიერად მიმდინარეობდა. სხვა შემთხვევაში ახლომონათესავე ენებში ერთნაირი შედეგი უნდა მიგვეღო, თუმცა განსხვავება თვალსაჩინოდ არის გამოხატული.

რიცხვის კატეგორია

2. 1. **ზოგადი.** ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში რიცხვის გრამატიკული კატეგორია, ბევრ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა ანალოგიურად, წარმოდგენილია ბინარული ოპოზიციით „ერთი“ – „მრავალი“. როგორც წესი, მრავლობითი რიცხვის გამოხატვის ორი სახეობა გვხვდება: 1) **ლექსიკური**, რომელიც

¹ სახელთა დანაწილება-დაჯგუფების მოტივაცია, კლასიფიკატორების მიხედვით, ასოციაციებსა და ანალოგიებს დაემყარებოდა.


ჩვეულებრივ ნიშანდობლივია ნაცვალსახელთა, რიცხვით სახელთა და ერთი რიგის ზმნისართათვის; 2) **მორფოლოგიური**, რომლის დროსაც არსებითი სახელის, ზედსართავი სახელის, ზოგი რიცხვითი სახელისა და ზმნის მრავლობითობა გამოიხატება სპეციალური სადერივაციო ნიშნებით.

სახელობითი ბრუნვის მიხედვით, ყველა საკვლევ ენაში რიცხობრივი დაპირისპირება კრიტიკულია, ვინაიდან მხოლოდობითი ფუძის სახით არის წარმოდგენილი (ოპოზიციის უმარკერო წევრი), ხოლო მორფოლოგიური აფიქსებით გამოხატულ მრავლობითობის ფორმებს სპეციალური ნიშნები დაერთვის (ოპოზიციის მარკერიანი წევრი).

2. 2. მრავლობითი რიცხვის წარმოება კლასის ექსპონენტებით. როგორც ზემოთ აღინიშნა, კლასის ნიშნებით მრავლობითობა გამოიხატება ატრიბუტულ სახელებში, ზმნასა და ნაზმნარ სახელებში. სუბსტანტივთა მრავლობითი რიცხვის გამომხატველ აფიქსებში კლასის გარჩევა სინქრონიულად არ დასტურდება, თუმცა დიაქრონიულ ჭრილში მათი არსებობა აქაც არის საძიებელი.

კლას-ნიშანთა საშუალებით მრავლობითი რიცხვის აღნიშვნისას ყურადღებას იქცევს ისეთი ამოსავალი ვითარება, როცა მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვი ერთმანეთს ეთანაბრება [მაპომელოვი 1992: 77]. ამ შემთხვევაში რიცხვის გარჩევა ფაქტობრივ არც გვაქვს, რადგან მრავლობითობის გადმოცემა მხოლოდობითი რიცხვის ფორმებით ხორციელდება. რაც შეეხება რიცხობრივი დიფერენციაციის საწყის საფეხურს, ოთხკლასიან სისტემაში თავდაპირველად უნდა მომხდარიყო ნივთთა (III, IV) კლასის ნიშანთა განზოგადება და გამოყენება სახელთა (resp. ზმნათა) მრავლობითობის აღსანიშნავად [დიუმეზილი 2015: 45; ჩიქობავა 1937: 97-106].

მრავლობითი რიცხვის ჩამოყალიბებისას, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად აღინიშნება [დიუმეზილი 2015: 45; ტრუბეცკოი 1987: 340, შარაძენიძე 1972: 187-188...], გამომხატულების პლანში უნდა დამყარებულიყო ოპოზიცია სათანადო რიცხვის ფორმათა შორის. ამგვარი სრული ოპოზიციის თეორიულად სავარაუდებელი სისტემა ოთხკლასიან ენებში შეიძლება ამგვარი ყოფილიყო:



საკვლევ ენათა ფაქტობრივი ვითარება თეორიულად ნავარაუდები მოსაზრების საპირისპირო სურათს გვიჩვენებს, IV კლასში არ ხდება კლასის ექსპონენტის ექსპანსია.

იმის კითხვა: რით არის გამოწვეული კლასთა გაუდიფერენცირებლობა IV კლასში?

ჟ. ლიუმეზილი ფიქრობს, რომ „...არაგონიერ სახელებს მხ. რიცხვში უნდა ჰქონოდათ *R, მაგრამ მხოლ. რიცხვშივე შეიცავდნენ „ნაგულისხმევ (ფარულ) მრავლობითს“ [ლიუმეზილი 2015: 45].


ჩვენი შეხედულებით, IV (მხ. რ. – მრ. რ.) კლასის იდენტურობა შეპირობებული ჩანს პარადიგმის კანონზომიერებით – ბ გამოყენებულ იქნა I-II კლასის სახელთა მრავლობითობის გადმოსაცემად და სემანტიკურად ამ კლასის სახელებთან სრულიად შეუსაბამო IV კლასის სახელთა (აბსტრაქტული, კრებითი, დაუნაწევრებელი...) მრავლობითობის გამოსატყა ბ ნიშანმა ვეღარ იტვირთა. სხვანაირად: სახელები, რომელნიც მოკლებულნი იყვნენ ინდივიდუალობასა და კონკრეტულობას, ნაკლებად საჭიროებდნენ განსხვავებულ მრავლობითი რიცხვის ფორმებს.

მაშასადამე, ოთხკლასიან ენათა (ჭამალური, დილოური, პინუხური, ხვარშიული, ბეჟიტური) მრავლობითი რიცხვის გამომხატველი სქემა ფაქტობრივ ემთხვევა ჟ. ლიუმეზილის სქემას იმ განსხვავებით, რომ საკუთრივ დილოურში IV კლას-ნიშნის ექსპანსია II კლასზეც (ასახისა და შოფიხის თქმებში I კლასზეც) გავრცელებულა, რაც მეორეული ფაქტია [იმნაიშვილი 1963: 44].

სიმპტომატურია, რომ დილოურ ენებში II კლასში შემავალი ნივთის სახელები რ ნიშნით გამოიხატება, ხოლო ქალი და მასთან გათანაბრებული არსებანი ბ ნიშნით, რაც დამატებითი საბუთია იმისა, რომ II კლასი IV კლასის გამონაყოფი არ არის.


რაც შეეხება ანდიური ენის მრავლობითობის გამოსატყას, როგორც ცნობილია, ზემოანდიურ თქმებში დასტურდება მრავლობითობის ჩამოყალიბების ჩანასახი. კერძოდ, ყველა სხვა კლას-ნიშანთა თანხედენის პირობებში III კლასის კუთვნილი ცხოველთა სახელები მრავლობით რიცხვში დაირთავენ არა II (ქალის) კლასის ნიშანს, არამედ IV კლასის ნიშნის რ-ს ბგერინაცვალს ღ [შდრ. ცერცვაძე 1965: 93-94; 1967: 280; ანდლულაძე 1968: 28; შარაძენიძე 1972: 188...]. ბუნებრივია, რომ IV კლასის ექსპონენტის განზოგადება უფრო გავრცელებული და მისაღებია, ვინემ II კლასის ექსპონენტისა, რომლის ექსპანსია სხვა კლასის სახელთა საკლასიფიკაციოდ ჩვეულებრივ არ ხდება. ამ ფორმულირების სისწორეს განამტკიცებს ის ფაქტი, რომ რიკვანის თქმაში ღ მარკერი უჩნდება არა მარტო ბ (III) კლასის, არამედ რ (IV) კლასის სახელთა ერთ ნაწილსაც. ეს კი მყარი არგუმენტია იმის სამტკიცებლად, რომ III და IV კლასთან მრავლობით რიცხვში განზოგადებულია ღ (< რ). გარდა ამისა, ანდიური ენის ჩვენება იმასაც ცხადყოფს, რომ საკვლევ ენათა სინამდვილეში მრავლობითი რიცხვის ფორმირება ყველაზე მეტი განზოგადების ტენდენციის მქონე IV

კლას-ნიშნის ექსპანსიით იწყება [შღრ. შარაშენიძე 1972: 188]. რაც შეეხება ქვემოანდიურ თქმათა მონაცემებს, აქ რიცხვის მიხედვით გაულიფერენცირებელი სამკლასიანი სისტემა დასტურდება, რაც IV კლასის მოშლითა და კლასთა რაოდენობის შემცირებით უნდა აიხსნას. სქემატურად:



საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ოთხკლასიან სისტემებში მრავლობითის ჩასახვა ცალკეულ ენებში შესაძლებელია ოდენ ერთი კლას-ნიშნის ექსპანსიით რეალიზდეს ან ორი ნიშანი ერთდროულად განზოგადდეს, რასაც იმავედროულად თან სდევს კლასიფიკატორთა ნეიტრალიზაციის ტენდენცია. მრავლობითი რიცხვის ფორმათქმნალობა ოდენ ერთი კლასიფიკატორის ექსპანსიით, რაც რეალურად დასტურდება ანდიური ენის ზოგ თქმაში, სრულყოფილი ვერ იქნება, ვინაიდან ვერ შექმნის ჰინუხური ენის ანალოგიურ ვითარებას.

ყურადღებას იქცევს ანდიურ ენათა ერთი წყება (ლოდ., ტინდ., ბავვ., კარ., ახვ.), რომლებშიც წარმოდგენილია უნიფიცირებული სამკლასიანი სისტემები ორკლასიანი მრავლობითით:



გასაზიარებელი ჩანს ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ანალოგიურ შემთხვევებში ოთხკლასიანი სისტემის გამარტივებით სამკლასიანი სისტემების მიღება მიიჩნევა [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 95; შარაშენიძე 1972: 198].

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ხუნძურ მრავლობითში IV კლასის ისტორიულ ექსპონენტს

ეკისრება რიცხვის გამოხატვა.

ისმის კითხვა: ხუნძური ენის ვითარება არის პირველადი, თუ იგი გარკვეული ცვლილების შედეგია?

ცნობილია, რომ კლას-ნიშნისთვის რიცხვის გამოხატვა გვიანდელი და ამ უკანასკნელის რეინტერპრეტაციის შედეგია [ჩიქობავა 2013: 348]. ამასთანავე, ხუნძურისთვის სავსებით სამართლიანად აღდგენილ ოთხკლასიან სისტემაში მრავლობითობის გამოსახატავად ოდენ **რ** არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული – ეს ოდინდელი **IV** კლას-ნიშნის აბსტრაქტიზებისა და გენერალიზაციის ბოლო საფეხურია. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ხუნძურსაც უნდა გაეგლო ის საფეხური, რომელ საფეხურზედაც ამჟამად სამკლასიანი ანდიური ენები (ლოლობერიული, ტინდიური...) იმყოფებიან. საფიქრებელია, რომ მრავლობითი რიცხვი რეგრესული ოთხკლასიანი სისტემის საწყის სტადიაზე ხუნძურში, ზემოხსენებულ ზოგ ანდიურ და დილოურ ენათა ანალოგიურად, წარმოდგენილი იყო ორი კლას-ნიშნით: **III** კლას-ნიშანი **ბ** ადამიანთა (**I, II** კლ.) მრავლობითობას გამოსახატავდა, **IV** კლას-ნიშანი **რ** კი – ნივთთა მრავლობითობას. კლასთა ევოლუციის მომდევნო საფეხურზე ხუნძურში შესაძლოა **რ** კლას-ნიშანს **II** კლასის სახელები გამოეხატა და ისეთივე ვითარება წარმოქმნილიყო, რაც დღესდღეობით დილოური ენის მრავლობითისთვის არის ნიშანდობლივი:

	I კლ.	II კლ.	III კლ.	IV კლ.
მს.	∅ (<ჟ)	ა	ბ	რ
მრ.	ბ ¹	რ	რ	რ

ხუნძურს დილოური ენის გზა უნდა გაეგლო მრავლობითში, რასაც შედეგად **IV** კლასის ექსპონენტის გაბატონება და საბოლოოდ დამკვიდრება მოჰყოლია.

მაშასადამე, ხუნძურ-ანდიურ-დილოური ენების კლასთა სისტემა მოყოლებული მათი ფუძეებიდან დღევანდლამდე განვითარების ძირითად ტენდენციას – კლასთა მოშლისა და შემცირების ხაზს მისდევს. მართალია, ზემოანდიურ თქმებში დაცულია მრავლობითი რიცხვის ჩამოყალიბების შედარებით ადრეული საფეხური, მაგრამ **IV** კლასის კლება და გაქრობა ამ ენის ქვემოანდიურ თქმებში თვალშისაცემია. საკვლევი ენებისთვის ნიშანდობლივია მხოლოდობითი რიცხვის **III** და **IV** კლასის ნიშანთა განზოგადება და გამოყენება მრავლობითობის გადმოსაცემად. **ბ** **III** კლას-ნიშნისა და **რ** **IV** კლას-ნიშნის მრავლობითობის გადმოცემისას

¹ ასახისა და შოფიხის თქმებში **I** კლასის მრავლობითშიც **რ** არის წარმოდგენილი [იმნაიშვილი 1963: 44].

მათი ფუნქციური ძალა განსხვავებულია – რ ექსპანსიის მეტ უნარს ამჟღავნებს, საბოლოოდ გამოდევნის ბ-ს და თავად მთლიანად მკვიდრდება მრავლობითში (ხუნძური, ნაწილობრივ საკუთრივ დიდოური).

2. 3. მრავლობითი რიცხვის წარმოება სუფიქსების საშუალებით. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა სინამდვილეში სახელთა მრავლობითობის წარმოების განხილვისას თვალში გვეცემა ფორმანტთა სიმრავლე, რომლებიც უშუალოდ დაერთვიან ორდინარულ (გავრცობილ ან გაუვრცობელ) ფუძეს. ამგვარ ნიშნთა სიმრავლეზე ყ. დიუმეზილი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას: „ჩცკ – ჩაკ-ში შექმნილია სახელის მრ. რიცხვის სუფიქსების მდიდარი სისტემა“ [დიუმეზილი 2015: 118].

აღსანიშნავია, რომ მრავლობითი რიცხვის ნიშნები ძირითადად სახელობითი ბრუნვის ფორმას (ფუძედ გამოყენებულს) უშუალოდ დაერთვიან. მრავლობითობის საწარმოებელ ფორმანტთა ღართვისას გარკვეული ფონეტიკური ცვლილებებიც (ბოლოკიდური ხმოვნის ალტერნაცია ან მოკვეცა, -VC მოდელის ფუძისეული ელემენტის დაკარგვა, ლაბიალიზებული ფუძიან სახელთა სახეცვლილება...) ხდება, რაც აისახება როგორც ფუძის, ისე ფორმანტთა სტრუქტურაზე.

ხუნძურ ენაში მრავლობითობის ფუძედ გამოყენებული სახელობითის ფორმა შეიძლება ბოლოვდებოდეს -ენ, -ან, -ინ, -ალ ელემენტებით, რომლებიც ისტორიულად ფუძის საწარმოებელი ან მათთან გათანაბრებული ოდენობანი უნდა ყოფილიყვნენ. ამჟამად მრავლობითი რიცხვის წარმოებისას ზემონახსენები ელემენტები ხანდახან უკვალოდ იკარგება, რაც მათ ძირისეულობას უგულებელყოფს, მაგ.: როკა-ენ „ნემსი“ – მრ. რუკ-ბი, რეკ-ენ „ცხვრის ფარა“ – მრ. რეკ-აბი, ბუჰთ-ან „ლაბეზლება“ – მრ. ბუჰთ-აბი, ფალუჰ-ან „აკრობატი“ – მრ. ფალუჰ-აბი და მისთ.

ბოთლიხურ ენაშიც, ხუნძურის ანალოგიურად, მრავლობითი რიცხვის საწარმოებელ ფუძედ ჩვეულებრივ მხოლოდობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმა გამოიყენება. ამასთანავე, დასტურდება მრავლობითობის ისეთი ფორმებიც, რომლებიც იწარმოება სახელობითის ფორმაზე ა, ი ხმოვანდართული ფუძისაგან. ფუძის საგრცობი (ჩართული) ხმოვნები არაიშვიათად თანხმოვანთა არაბუნებრივი კომპლექსების სუპერაციას ახდენენ. გასაზიარებელი ჩანს მოსაზრება მრავლობითი რიცხვის საწარმოებელ ფუძესა და ირიბ ბრუნვათა ფუძეს შორის ისტორიული კავშირის არსებობის შესახებ [გუდავა 1962 : 61], მაგ.: ვუჩა „წივნი“ – მრ. ვუჩი-ი-ბალ'ი < ვუჩა-ი-ბალ'ი, ნათ. ვუჩი-ი-ლ'ი, ჰინწაუ „კარი“ – მრ. ჰინწა-ა-ბალ'ი < ჰინწაუ-ა-ბალ'ი-ი, ნათ. ჰინწა-ა-ლ'ი და მრ. სხვ.

საკუთრივ ანდიური ენისთვის ნიშანდობლივია მრავლობითი რიცხვის ნიშნად **ლ-**ს გაბატონება. ამგვარი ფორმები, როგორც წესი, ნაწარმოებია მხოლოდობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმისაგან [ცერცვაძე 1965 : 145]. საყურადღებო ამ შემთხვევაში ის არის, რომ ფუძესა და ბრუნვის ნიშანთა შორის დაჩნდება როგორც თანხმოვნითი (**-ლ-, -ბ-, -დ-**), ისე ოდენ ხმოვნითი ელემენტები. თანხმოვნითი ელემენტები შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ნულოვანი (**-ლ, -ბ, -დ**) გახმოვნებით, ისე სრული (**-ალ, -ობ, -ად, -ოდ...**) გახმოვნებითაც. როგორც ილ. ცერცვაძე აღნიშნავს: „...სრულ საფეხურს ფუძისას ეფარდება სუფიქსის ნულოვანი საფეხური და პირიქით“ [ცერცვაძე 1965 : 148].

სავარაუდოა, რომ **-ლ, -ბ (-ოლ, -ილ, -ალ, -ულ, -ობ, -იბ...)** ხმოვნითი ელემენტების დართვის შემთხვევაში მრავლობითობის ორმაგ (ორკეც) წარმოებასთან გვეკონდეს საქმე¹ [იხ. გუღავა 1971 : 61-63]. რაც შეეხება **დ-**ს (**-ოდ, -ად**), იგი უფრო ფუძის საწარმოებელი სუფიქსი (სავრცობი) ჩანს, ვინემ მრავლობითი რიცხვის ნიშანი, მაგ.:

სახ.	ფუძე	მრ. რ.	ლექსიკური მნიშვნელობა
გარუ	გარ-დ-ო- (< გარუ-დ-ო)	გარდ-ო-ბილ	„კისერი“
ტიირუ	ტიირ-დ-ო- (< ტიირუ-დ-ო-)	ტიირდ-ო-ბილ	„ხიდი“...
ფერა	ფერ-დ-ო- (< ფერა-დ-ო-)	ფერდ-ულ	„ფუტკარი“...

როგორც ჩანს, **-დ** (სათანადო გახმოვანებით ან ნულოვანი საფეხურით) ფუძის წარმოებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ანალოგიური ვითარება გვაქვს ბაგვალურ ენაში იმ განსხვავებით, რომ აქ გაბატონებულია **-ბი** სუფიქსი და თლისურ თქმაში ყველაზე მეტად გავრცელებული **-დი** (**-ადი**) მრავლობითობის გამომხატველი ნიშანია [გუღავა 1971 : 56-63].

ახვანურ ენაში მრავლობითი რიცხვის წარმოებისას ყურადღებას იპყრობს **-CV** სტრუქტურის ნიშნები (**-ლა, -ლი, -ლი, -ბა, -ნა**), რომლებიც უშუალოდ დაერთვიან სახელის მარტივ ფუძეს (სახელობითი ბრუნვის ფორმას) [მაპომეღბეკოვა 1967 : 43-50].

საინტერესოა, რომ არაიშვიათად მრავლობითობის გამომხატველ სუფიქსსა და ფუძეს (resp. ძირს) შორის ჩაერთვის ხმოვანი, რომელიც ფუძედ გააზრებულ სახელობითისეულ ფორმის ბოლოკიდურ ხმოვანს

¹ მრავლობითობის სრული გახმოვნების სუფიქსებთან (**-ალ, -ილ, -ულ, -ოლ**) ხმოვანთა ვარიაციულობა აუხსნელია.

ენაცვლება: ი-ო (ანდ.), ო-ა (კარ., ახვ.), ე-ა (ტინდ., კარ.), უ-ო (ლოდ., ბოთლ., ჭიმ., კარ.), ე-ი (კარ.). ამგვარი ხმოვანთმონაცვლეობა დადასტურებულია დილოურ ენებშიც [იმნაიშვილი 1963 : 51-52; არდოტელი 2014 : 108...].

ზოგადად, მთის კავკასიურ ენებში, ხოლო, კონკრეტულად, ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში თვალნათლივ ჩანს ფუძეთქმნადობის სურათი და თვალსაჩინო დაპირისპირება მხოლოდობითის მრავლობითი რიცხვის ფორმებთან. ნ. ტრუბეცკოი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს: "Кроме того, у большинства существительных корневой гласный в пациенсе множественного числа отличался от гласного в пациенсе единственного числа" [ტრუბეცკოი 1987 : 342].

2. 4. მრავლობითი რიცხვის ნიშანთა გენეზისი. მრავლობითი რიცხვის ნიშანთა სტრუქტურა, სახელობითი ბრუნვის მიხედვით, საკვლევ ენებში მეტ-ნაკლებად განსხვავებულია – გვხვდება როგორც მარტივი (-C, -VC), ისე რთული სტრუქტურის (-C-VC, -VC, -VC-VC, -C-VC-VC, -VC-VC-VC...) სუფიქსები.

უპირველეს ყოვლისა, მრავლობითი რიცხვის სუფიქსებში ყურადღებას იქცევს დ, ბ, ლ თანხმოვნითი ელემენტების შემცველი ნიშნები, რომელთა დისტრიბუცია და რანჟირება არაერთგვაროვანია. გარდა ამისა, რიცხვის ნიშანთა ფუნქციური დატვირთვაც არათანაბარია, რაც მათ არაერთდროულ წარმოქმნასა და გავრცელებაზე მიგვანიშნებს. ამასთანავე, სათანადო ენათა მონაცემების შედარებისას არსებითი სახელები მრავლობითი რიცხვის სხვადასხვა სუფიქსს გვიჩვენებენ, რაც ამ ნიშანთა ისტორიის გარკვევას აძნელებს.

მიუხედავად ზემონახსენები სირთულეებისა, შეიძლება გამოიყოს საერთო წარმომავლობის შემდეგი ნიშნები:

ხუნძ. -აბი, -ბი -აბ (პ.-ხუნძ. * -აბ-ილ¹); ანდ. -ობ-ილ, -ბ-ი-ლ; ბოთლ. -ბ-ა(ლ'ი), -ბ-დ-ი(ლ'ი); ლოდ. -ბ-ე; ჭამ. -ბ-ი, -ბ-ე; ტინდ. -ბ-ი, -აბ-ი, -იბ-ი; ბავგ. -აბ-ი, -იბ-ი, -ბ-ი; კარ. -აბ-ი, -იბ-ი, -ბ-ი; ახვ. -ბ-ა.

¹ -აბ-ილ ფორმანტის სეგმენტაციისას გასათვალისწინებელია მისი ორმაგი წარმომავლობა: -აბ – ძველი, -ილ – ახალი [იხ. მიქაილოვი 1964 : 25-26; თოფურია 1995 : 46-59, შდრ. ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 105; ალექსეევი 1988 : 36-38...]. რეკონსტრუირებული სახეობა (*-ბ-ილ, *-Vბ-ილ) ხუნძური ენის კუსურულ კილოკავში სინქრონიულად დასტურდება [ისაყოვი 1981 : 6]. ვარაუდობენ, რომ ბოლოკიდური ლ (<*რ) გვიანდელი დანართია, რაც დამატებით არგუმენტაციას მოითხოვს [ალექსეევი 1988 : 37].

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ამ ენათა მკვლევრები მრავლობითობის სუფიქსებს სხვადასხვანაირად ანაწევრებენ: ერთნი -CV სტრუქტურის სუფიქსში ხმოვანს არ გამოყოფენ [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 101-102; ცერცვაძე 1965 : 156-157; გულავა 1971 : 56-58...], მაგ.: ხუნძ. გოზო „ნისკარტი“ – მრ. გუზ-ბი, ლქუტ „ხე“ - მრ. ლუტ-ბი...; ბავ. ას „ვერცხლი“ – მრ. ას-ა-ბი, მიყ „გზა“ – მრ. მიყ-ა-ბი და ა. შ.

მკვლევართა მეორე ნაწილი ხმოვანს ცალკე გამოყოფს და დ-ს აღადგენს [მიქაილოვი 1964 : 26; ალექსეევი 1988 : 37...], მაგ.: ხუნძ. გიგო „გუგული“ – მრ. გიგ-აბ-ი (<*გიგ-აბ-ილ), ღარუ „წამალი“ – მრ. ღარ-აბ-ი (<*ღარ-აბ-ილ) და მრ. სხვ.

ჩვენი ვარაუდით, უფრო მართებული ჩანს მეორე მოსაზრება, რადგანაც უფრო ზედმიწევნით ასახავს ისტორიულ სინამდვილეს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ილ. ცერცვაძე ანდიურ ენათა სახელების მრავლობითი რიცხვის ნიშანთა სტრუქტურის ანალიზისას ხმოვანს თანხმონითურთ ცალკე გამოყოფს [ცერცვაძე 1965 : 156-157]: ანჟილი „ნაჯახი“ - მრ. ანჟიდ-ობ-ილ, იმა „მამა“ – მრ. იმ-ობ-ილ, კოლ „პირი“ – მრ. კოლ-იბ-ოლ და ა. შ.

მაშასადამე, ანდიურ ენათა ერთიანობის ხანისათვის შეიძლება რეკონსტრუირდეს *-აბ. ანდიურში ფარდად გვაქვს ობ < *აბ (შესატყვისობა: ხუნძ. ბ : ანდ. ბ, ხუნძ. ა : ანდ. ო).

რაც შეეხება დილოურ ენებს, მრავლობითობის გამომხატველ ამ რიგის ნიშნის ტოლფარდად შეიმჩნევა -Vბ სტრუქტურის აფიქსი, რომლის ხმოვნითი ლემენტის განსაზღვრა რთულია [ლომთაძე 1996 : 80-138; ალექსეევი 1988 : 146-150].

საანალიზო სუფიქსში თავჩენილი ბ ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში წარმოადგენილია ფონემათიგივეობით [გულავა 1964 : 124], ხოლო მისი წინამავალი ხმოვნითი ელემენტები, რომლებიც არაიშვიათად ფუძის ინგრედიენტებადაც მიიჩნევა, ზოგ ანდიურ ენასა და დილოურ ენებში არაერთგვაროვან სურათს გვიჩვენებს. კვლევის ამ ეტაპზე ფუძეენისეულ ერთ-ერთ სახეობად შეიძლება აღვადგინოთ *-აბ.

მეორე ანალოგიური სუფიქსი, რომლის ფუნქციონირების დიაპაზონი შედარებით შეზღუდულია, არის დ-ს შემცველი ნიშნები. განსაკუთრებით ეს ითქმის ანდიურ ენათა მრავლობითობის საწარმოებელ სუფიქსებზე, რომელთა შორის დ-იანი ნიშნები ენათა მიხედვით არათანაბრად არის განაწილებული: ანდ. -ად-ულ || -ოდ-ულ || -დ-ულ, -დ-ობ-ილ, ბოთლ. -დ-ი, -დ-ე, ღოდ. -დ-ი, ჭამ. -დ-ი, ტინდ. -დ-ა, ბავ. -დ-ი, -ბ-ად-

ი, კარ. -დ-ი, -ა-დ-ი, ახვ. -დ-ი.¹

ხუნძურ ენაში დასტურდება როგორც **დ-ს** შემცველი სუფიქსი (**-დ-ულ**), ისე **ზ-ს** მქონე სუფიქსებიც (**-ზ-ალ**, **-ზ-აბ-ი**). აქტიურად ღვას მათი ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების საკითხიც, ვინაიდან **დ-ს** შემცველი ვარიანტები არქაულად ითვლება: **-ზ-ალ** (<***-დ-ალ**), **-ზ-აბ-ი** (<***-დ-აბ-ი**) [ჩიქოცბავა, ცერცვაძე 1962 : 103].

რაც შეეხება დილოურ ენებს, მრავლობითი რიცხვის ნიშნის ფუნქციით ოდენ ბეჟიტურ ენაში შეინიშნება **-და(>რა)**, მაგ.: გაჟო „ეშვი“ - გაჟო**-და**, შელო „რქა“ - შელო**-და**...; ბოხო „თვე“ - ბოხო**-რა**, ლეო „მკერდი“ - ლეო**-რა** და მრ. სხვ. ამგვარ შემთხვევებში იგულისხმება **დ-ს** გარდაქმნა **რ-დ**, ეს უკანასკნელი შეიძლება დასუსტებით **დ-დაც** იქცეს: **დ > რ > დ**.

სხვა დილოურ ენებში **დ** დაჩნდება მრავლობითობის საწარმოებელ რთულ ფორმანტში: საკ. დიდ. წი „ცეცხლი“ - წი**-დ-აბ-ი**; ცა „ვარსკვლავი“ - ცა**-დ-არ-აბ-ი** (შდრ. ხვარშ. ცა^ნ „ვარსკვლავი“ - ცა^ნ**-დ-ელ-ებ-ა**) და ა. შ.

ხუნძურ ენაში ყველაზე გავრცელებული მრავლობითი რიცხვის გამომხატველი სუფიქსი **-ალ** ანდიურ ენაში ჰპოვებს კანონზომიერ შესატყვისს **-ოლ** სუფიქსის სახით, მაგ.:

ხუნძ.	ანდ.	
ბორნ ^ა -ალ	ბერჩ ^ა -ოლ	„გველები“
ტუტ ^ა -ალ	ტენტ ^ა -ოლ	„ბუხები“
ჭუნკა ^ა -ალ	ჭინკაჟ ^ა -ოლ	„თაგვები“
ბატო ^ა -ალ	რუჩოლ ^ა -ოლ	„ნაწლავები“
ტაალ ^ა -ალ	ტიერტიილ ^ა -ოლ	„უნაგირები“...

საგულისხმოა, რომ სხვა ანდიურ ენათა სინამდვილეში **-ალ** სუფიქსი ხშირად **-CV (resp. C)** სტრუქტურით არის წარმოდგენილი: ბოთლ. **-ლ²** დოდ. **-ალ** (დი), ჳამ. **-ლა**, **-ლე**, **-ლი**, ბავგ. **-ლი**, კარ. **-ლ/-**

¹ ახვასურ ენაში **-დი** ყველაზე მეტად გავრცელებული სუფიქსია [მაჰომედიბეკოვა 1967 : 45], ხოლო ბავგალურში **-დი (> -რი)** შეინიშნება ცალკეულ სიტყვებთან [გუდავა 1971 : 60].

² მართალია, დასტურდება **-ალ** სუფიქსიც, მაგრამ იგი ხუნძური ნასესხობა ჩანს [გუდავა 1971 : 57].

ალ, ახვ. -ლა/-ლი.

ეჭვს გარეშეა, რომ სონორი ლ ბგერათიგივეობას გვიჩვენებს, მაგრამ ხმოვნითი ელემენტი ხან წინ დაერთვის, ხან კი ბოლოკიდურად ემატება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ -ალ (ხუნდ.), -ოლ (ანდ.) ნიშნის ლ გვიანდელი დანართია [ალექსეევი 1988 : 36-37].¹

დილოურ ენათა სინამდვილეში ბეჟიტური გამოავლენს ლ-ს შემცველ რამდენიმე ვარიანტს: -ლა (ბეჟ.), -ლ (ჰუნზ.). ამასთან, ბეჟიტურშივე გვხვდება -ალ, -ზ-ალ > || -ჟ-ალ სუფიქსებიც, თუმცა ესენი ხუნძურისგან ჩანს შეთვისებული [ლომთაძე 1996 : 82-93; არლოტელი 2014 : 106].

ჩვენი დაკვირვებით, ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა მრავლობითი რიცხვის ფორმებში ლ გვიანდელი დანართი არ უნდა იყოს.² როგორც ცნობილია, ფონეტიკურად შეპირობებული მრავლობითობის სუფიქსის (-ლ, -ალ, -ი-ალ) თანხმოვნითი ელემენტი ლ ისევე, როგორც ბ, დ, გენეზისურად კლას-კატეგორიის სათანადო ნიშნებს უკავშირდება³ [მიქაილოვი 1964 : 28; ალექსეევი 1988 : 37]. თუ ეს ჰიპოთეზა სწორია, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ აუსლაუტში საანალიზო სუფიქსს ექნებოდა -VC სტრუქტურა. სწორედ ამგვარი სილაბური სტრუქტურა მოეპოვება მას ხუნძურსა და ანდიურ ენათა ერთ წყებაში: ანდ. -ოლ, ლოდ. -ალ (დი), კარ. -ლ/-ალ, ანდიურ ენათა მეორე წყებაში (ბოთლ. -ლ, ჭამ. -ლ/-ლე/-ლი, ბაგვ. -ლი, ახვ. -ლა'/-ლი) და ორ დილოურ ენაში (ბეჟ. -ლა, ხვარშ. -ლა)⁴ კლას-ნიშნად ნაგულებს ლ-ს მოხდევს ხმოვნითი ელემენტი (-ა, -ი > ე), რომელთაც უნდა დაჰკისრებოდა მრავლობითობის გამოხატვა. როგორც ჩანს, კლასის ოდინდელი ნიშანი ((დ, ბ, რ > ლ), მიუთითებდა სუბიექტის (resp. ობიექტის) კლასზე, ხოლო ხმოვნითი ელემენტებით გადმოიცემოდა საგანთა სიმრავლე.

1 ეჭვი ლ-ს მეორეულობისა გარკვეული ალბათობით ადრეც იყო გამოთქმული [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 102].

2 ბუნებრივია, აქ არ იგულისხმება სხვა საწარმოებელი სუფიქსები (-ად, -აბ...), რომლებიც შესაძლოა წინ უსწრებდნენ -ალ რიგის სუფიქსებს და მოგვიანებით ფუძის საწარმოებელი აფიქსის ილუზია შექმნეს.

3 IV კლასის ნიშნის ტრანსფორმაცია (რ > ლ) ხვარშიულ ენაში რეგულარული ხასიათისაა, თუმცა სხვა ენებში (მაგ., ხუნდ.: ლიტ. რ-ახასა > ჭად. ლ-ახაშა „ძეწკვი“, „ჯაჭვი“...) სპორადულად იჩენს თავს.

4 ხვარშიული ენის ინსოყვარულ დიალექტში -ლა შენიშნულია მრავლობითი რიცხვის ნიშნის (-ბა) წინ, რაც არსებითად რთული ნიშანია -ლა-ბა [შდრ. ლომთაძე 1960 : 374]. ამ სუფიქსის ისტორიული სემანტიკა ამგვარად გვესახება: -ლ-აბ-ა.

შეიძლება იგივე ითქვას -ბა/-ბი მრავლობითობის სუფიქსის შესახებ, რომლის სტრუქტურაში გამოიყოფა კლასის რეინტერპრეტირებული ნიშანი ბ + V.

კითხვა ისმის: ცალკე გამოყოფილი ხმოვნებიდან რომელი მათგანია ამოსავალი?

მ. ალექსევი ტ. გულავას რეკონსტრუქციაზე დაყრდნობით პროტოსუნძურისთვის აღადგენს *-ბი სუფიქსს, ხოლო საერთო-ანდიურისთვის *-ბე-ს, რაც ნაკლებად გასაზიარებელია. კერძოდ, ანდიურ ენათა გარკვეულ ნაწილში (ბოთლ. -ბ, ახვ. -ბ-ა) ა დასტურდება, მეორე ნაწილში (ლოდ. -ბ-ე, ჭამ. -ბ-ე) -ე, ხოლო მესამე ნაწილში (კარ. -ბ-ი, ბავვ. -ბ-ი) – ი. დილოურ ენათა მონაცემები ა-ს რეკონსტრუქციას უჭერს მხარს: საკ. დიდ. -ბ-ი, ჰინ. -ბ-ე, ხვარშ. -ბ-ა (საკ. ხვარშ.), -ბ-ო (ინხ.), ბეჟ.: -ბ-ო (საკ. ბეჟ.), -ბ-ა1 (ჰუნზ.).

ამრიგად, ირკვევა, რომ მრავლობითობის გამოსატყა საწყის ეტაპზე სუფიქსებად გამოყენებული კლასიფიკატორებით გადმოიცემოდა. მოგვიანებით კლასის ექსპონენტების გადააზრიანებით და მათი გარდაცვლით (resp. გასამაგებით) ხდებოდა მრავლობითი რიცხვის გამომხატველი სუფიქსების ჩამოყალიბება. ამგვარი სუფიქსების თანხმონითი ელემენტების (ოდინდელი კლასიფიკატორების) საერთო-სუნძურ-ანდიურ-დილოური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს. შედარებით რთულია უკანამავალი ხმოვნითი ელემენტების ისტორიული სახის აღდგენა, ვინაიდან გასარჩევია კლას-ნიშანთა თანხმონები ხმოვნებისა და საკუთრივ მრავლობითობის საწარმოებელ ოდენხმოვნიან სუფიქსთა ჯგეროვანი გამიჯვნის საკითხი.

ბრუნება სუნძურ ენაში

2. 1. **ბრუნვითა სისტემა.** სუნძური ენის ბრუნვითა სისტემისთვის, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა ანალოგიურად, ნიშანდობლივია აკუზატივის (ბრალდებითი ბრუნვის) უქონლობა და ერგატივის² (მოთხრობითი ბრუნვის) მქონებლობა. ბრუნება აგლუტინაციური ბუნებისაა: ფუძეს (resp. მარკირებულ, ირიბ ფუძეს) ერთვის ბრუნვის ნიშანი. ბრუნება, როგორც ზმნით შეპირობებული მორფოლოგიური პროცესი, ძირითადად ორ-

1 ხმოვანთშესატყვისობის ფორმულა ირღვევა ოდენ ჰუნზიბურ დიალექტში, რომელშიც -ბ-ჰ-ს ნაცვლად -ბ-ა გვაქვს [ლომთაძე 1960 : 376].

2 წინამორბედი მკვლევრები ტერმინ „ერგატივის“ ნაცვლად იყენებენ ინსტრუქტივს, აქტივს, მოქმედებითს და ა. შ. [იხ. ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 97]. ა. დირი იყენებდა ერგატივს [დირი 1928], რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა და დღეს ყველაზე ხშირად გამოიყენება.

გვარია, თუმცა სახელის ფუძის ნაირსახეობების გათვალისწინებით გაირჩევა რამდენიმე მოდელი.¹ სპეციალურ ლიტერატურაში ჩვეულებრივ გამოყოფენ ორ ძირითად ტიპს: I. „არქაული“ (resp. სუბსტანტიური) ბრუნება; II. „ცოცხალი“ (resp. ატრიბუტული) ბრუნება [ჭირკოვი 1936 : 166; გულავა 1962 : 270]. ამ ორ ძირითად სახეობას შორის ზოგი თავისებურება იჩენს თავს, რასაც ვრცლად ქვემოთ შევეხებით.

ბრუნვათა შორის გაირჩევა: 1. ძირითადი (ზოგადაბსტრაქტული) ბრუნვები, რომლებიც ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავებულ განყენებულ მიმართებებს გამოხატავენ; 2. ლოკატიური (კონკრეტული) ბრუნვები, რომლებიც ადგილზე ორიენტირებულ მიმართებებს გამოხატავენ და გარკვეულ სერიებად ლაგდებიან.²

ხუნძურში ძირითადად ოთხი აბსტრაქტული ბრუნვა გამოიყოფა:

ბრუნვის სახელწოდება	ბრუნვის ნიშნები	
	მხ. რ.	მრ. რ.
1. სახელობითი (resp. აბსოლუტივი)	-Ø	-აღ
2. ერგატივი	-ცაჰ	-ზ
3. მიცემითი ⁴	-ე	
4. ნათესაობითი	-ლ, -რ	

საინტერესოა, რომ ხუნძურს, ისევე როგორც ანდიურ ენებს, ინსტრუმენტალისი ცალკე ბრუნვის სახით არ მოეპოვება (არ არის ერგატივისაგან ფორმოზრივად გამიჯნული) და მის ფუნქციას ნივთის კლასის

¹ ჩვეულებრივ სამ ტიპს გამოყოფენ: 1) -ას ნიშნიანი, 2) -აღ ნიშნიანი და 3) -ცა ნიშნიანი [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 106; გულავა 1962 : 267-270; საილოვი 1967 : 733-734; შდრ. მაღივა 1965 : 90-93...].

² ბრუნვათა ამ ორ ჯგუფს ჯერ კიდევ პ. უსლარი არჩევდა [უსლარი 1889 : 35].

³ ეს ნიშანი სამწერლო ხუნძური ენის კუთვნილებაა: სპეციალისტები დამატებით გამოყოფენ: -(ა)ს (-სა), -(ა)ლ^ა (-ლ^ა), (სამზრ. დიალ.: -ღ, -ლა → | | -ლ^ა; ჩრდ. დიალ.: მრ. რ. -ცა) [დირი 1928 : 163; ჩიქობავა 1948 : 92-93; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 99; შდრ. თოფურია 1995 : 9-10].

დიალექტებში შეიძლება შეგვხვდეს ფონეტიკური ვარიაციები: -შა, -ს < -ლ^ა და ა. შ. ეს ელემენტები გენეზისურად ბრუნვის ნიშნები არ ჩანან, თუმცა მათ ეს სტატუსი აღწერითი ანალიზის პოზიციებიდან შეიძლება მივანიჭოთ ოდენ სახელობითის ფორმასთან (resp. წმინდა ფუძესთან) მიმართებით.

⁴ სასურველია აქტანტიანი (სახელობითი, ერგატივი, მიცემითი) ერთად დაჯგუფდეს (შდრ. ქართული), ვიდრე ნათესაობითი ბრუნვით გაიმიჯნოს.

სახელებში ერგატივი ასრულებს. I-II კლასის სახელები ოდენ მოქმედ პირს გამოხატავენ, რაც გარდამავალი ზმნის სემანტიკითაც ცნაურდება და ერგატიული ბრუნვისთვის ამოსავალი ფუნქცია ჩანს.

2. 2. სახელთა კლასიფიკაცია ბრუნების მიხედვით. სახელებს, როგორც სპეციალური ლიტერატურული-ნაც ცნობილია [ქირკოვი 1936 : 166; გუღავა 1962 : 268], ახასიათებს ძირითადად ორგვარი ბრუნება: I. სუბსტანტიური („არქაული“) ბრუნება, რომელიც ნიშანდობლივია: III გრამატიკული კლასის სახელთა მეტი წილისათვის, უკლასნიშნო საკუთარ სახელთათვის, I-II პირის კითხვითი და უკუქცევითი ნაცვალსახელებისათვის, I-II კლასის საზოგადო სახელთა მცირე წყებისათვის (ემენ „მამა“, დადა „პაპა“, დაცი „ბიძა“, ქუსა „ქოსა“, კოლო „ბებია“, ბაბა „დედა“, ადა „მამიდა“, ლადი „ცოლი“...) და -ოჟ, -ეჟ, -ოჟა, -ეჟა სუფიქსებით დასრულებული გვარებისათვის. ბ) ატრიბუტული („ცოცხალი“) ბრუნება, რომლის მიხედვითაც იბრუნვიან უპირატესად მსაზღვრელად გამოყენებული სახელები: ნაატრიბუტივალი სუბსტანტივები, ზედსართავი და რიცხვითი სახელები, ჩვენებითი, კუთვნილებითი, განსაზღვრებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები, ხმოვნებზე ან კლასიფიკატორებზე დასრულებული საკუთარი სახელები (ყებელაჟ, ჰაჟიდაჟ, ნუცა-ლაჟ, ბერცინაჟ...), I-II კლასის სახელთა ძირითადი ნაწილი და ა. შ.

ყურადღებას იქცევს -აღზ ფორმანტის გაბატონების ტენდენცია ნეოლოგიზმებში, რომლებიც III კლასს განეკუთვნებიან: ქოლხოზ „კოლმეურნეობა“, ბიოლოგ „ბიოლოგი“, მაშინა „მანქანა“ და მრ. სხვ.

გარდა ამისა, შეინიშნება ატრიბუტული ბრუნების გაბატონება სუბსტანტიური ბრუნების სახელებთან, უფრო ზუსტად, სუბსტანტიური ბრუნების სახელები მეტ-ნაკლები ფაკულტატურობით ატრიბუტულ სახელთა ანალოგიურადაც იბრუნვიან. I-II ტიპის (-ასა, -აღზ) ბრუნების ნორმათა მიხედვით III ტიპის ბრუნების სახელთა ცვლა ამჟამად კანონზომიერ და მეტად გავრცელებულ სახეს იძენს.

2. 2.1. საბრუნებელი სახელის ფუძე. სახელთა ბრუნებისას უნდა გამოიყოს ოთხი სახის ფუძე: ა) ბაზისური ფუძე, ბ) ე. წ. ირიბ ბრუნვათა ფუძე, გ) მრავლობითი რიცხვის ბაზისური ფუძე, დ) მრავლობითი რიცხვის „ირიბ“ ბრუნვათა ფუძე.

ცნობილია, რომ სახელობითი ბრუნვის ფორმას ჩვეულებრივ ფუძედ მიიჩნევენ,¹ რადგანაც ამჟამად ნუ-

¹ რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელობითი ბრუნვის ფორმა ბაზისურ ფუძედ წარმოვადგინოთ ყოველთვის უცვლელად, ან ბრუნების პროცესში ამ ოდენობის არანაირი ცვლილება არ ხდება. ისე კი სახელობითი

ლოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 98...]. ბაზისურ ფუძედ გამოყენებული სახელობითი ბრუნვის მზამზარეული ფორმა შეიძლება იყოს თანხმოვანფუძიანიც (ემენ „მამა“, ოც „ხარი“...) და ხმოვანფუძიანიც (ჰობო „წისქვილი“, წა „ცეცხლი“...). მასთან, სინქრონიულად ხმოვანფუძიანად მიჩნეული ზოგი სახელი დიაქრონიულად შეიძლება თანხმოვანფუძიანი აღმოჩნდეს, და პირიქით, რასაც გამოწვლილვითი კვლევა ესაჭიროება.¹

ყურადღებას იქცევს კუსურული დიალექტი, რომელშიც ი. ისაყოვი სახელობითი ბრუნვის ოდინდელ კლასნიშნიან ფორმებს ადასტურებს [ისაყოვი 1981 : 6]. ავტორი მითითებული დიალექტის გენი-ბ „მსხალი“, ბასი-ბ „მოზვერი“, ჭეჩი-ბ „ვაშლი“ ფორმათა გვერდით ასახელებს სამწერლო ხუნძურის შემდეგ ფორმებს: ხო-ბ „საფლავი“, შო-ბ „უღელტეხილი“, შოუ-ბ „ცვარ-ნამი“, წო-ბ „მოწყალება“, „წყალობა“, ზო-ბ „ცა“ და მისთ. ირიბ ბრუნვათა ზოგი ასეთი ფორმა -ბ ელემენტს კარგავს (სახ. ზობ „ცა“ – ნათ. ზო-დ-ი-ლ), რაც ზოგ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ ზემომოყვანილი ფორმები ლოკატიური სემანტიკის შემცველნი არიან [ალექსეევი 1988 : 23; ათაევი 1996 : 15-16].

ჩვენ იმ აზრისკენ ვიხრებით, რომ საანალიზო ფორმებში ბ-ს დაკარგვას ფონეტიკური სარჩული უღევს [ბ + დ > დ, ნ + დ > დ... უსლარი 1889 : 58; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 121]: სახ. ზო-ბ „ცა“ – ნათ. ზო-დ-ი-ლ (< *ზობ-დ-ი-ლ) „ცის“, სახ. წოუნ „არწივი“ – ნათ. წოუნ-დ-უ-ლ (< *წოუნ-დ-უ-ლ) და ა. შ.

მაშასადამე, სახელობითი, როგორც არამარკირებული ბრუნვის ფორმა (ხმოვანფუძიანიც და თანხმოვანფუძიანიც) საფუძვლად ედება სხვა ბრუნვათა ფორმებს ოდენ ერთფუძიან ბრუნებაში, მაგ.: სახ. ბო „ჯვარი“ – ერგ. ბო-ცაა, მიც. ბო-დ-ე, ნათ. ბო-ლ. ორფუძიანი პრინციპით ბრუნებისას სახელობითი ბრუნვის ფორმა გამოიყენება ერგატიული ბრუნვის ფუძის საწარმოებლად: სახ. ბაწ „მგელი“ (ირ. ფუძე ბაწ-ი) – ერგ. ბაწ-ი-ცაა, სახ. ცერ „მელა“ (ირ. ფუძე ცარ-ა-) – ერგ. ცარა-ცაა და ა. შ.

სახელობითი ბრუნვის ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიმართვისას: დირ ბერზულ ქანლი! „ჩემო თვალის სინათლევ!“, ღუცა ბიცუნებ ჟო შდიბ, დირ კოდო? „რას ამბობ (შენ), ბეზიჩემო?! და სხვ. მისთ.

ბრუნვის გაუფორმებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს მისი ბუნებით: "...именительный же (подеж – Н. А.), напротив, сам по себе не содержит указания ни на наличие, ни на отсутствие отношения к действию" [იაკობსონი 1985 : 141].

¹ სახელდობრ, სახ. ბო „ჯვარი“ – მიც. ბოდ-უ-დ-ე (< *ბოდ-უ-ბ-ე) || ბო-დ-ე, ბი „სისხლი“ – მიც. ბიდ-უ-დ-ე (* < ბი-დ-უ-ბ-ე) || ბი-დ-ე და მისთ.

2. 2. 2. მხოლოებით ირიბ ბრუნვათა ფუძე. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, პირველი ტიპისა (-ას სუფიქსით) და მეორე ტიპის (-ალ'ა სუფიქსით) ბრუნებისას არსებით სახელთა ირიბი ფუძე უცვლელია [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 118-199].

ბოლო ხანებში გავრცელდა ა. ბოკარიოვის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც -ას, -ალ'ა და -აზ ირიბი ფუძის მარკერებად მიიჩნევა, რაც ლესკრიპციული გრამატიკის პოზიციებიდან ძნელად გასაზიარებელია [იხ. ალექსეევი 1988 : 23-24; თოფურია 1995 : 87, ალექსეევი, ათაევი 1997 : 42-43; შლრ. კიკვიძე 1961 : 352].

თუ ერგატივის სუფიქსებს (მხ. -ას, -ალ'ა, მრ. -აზ) ირიბი ფუძის საწარმოებელ ოდენობად მივიჩნევთ იმის გამო, რომ ეს ნიშნები ირიბ ბრუნვათა სტრუქტურაშიც გვხვდებიან, მაშინ უნდა აიხსნას ნეოლოგიზმებში (ქოლხოზ „კოლმეურნობა“ და მისთ.) ოდენ -ალ'ა სუფიქსის გამოყენების უცნაურობა. თუ ერგატივს მივიჩნევთ ნულოვანი მორფემით ნაწარმოებ ბრუნვად, რაც ნიშანდობლივი არ არის ამ ენათა სინამდვილისთვის, მაშინ სათანადო ახსნა უნდა მიეცეს ახლომონათესავე ანდიურ-დილოურ ენებში თავჩენილ ანალოგიურ სუფიქსებს, რომლებიც კლასებს განასხვავებენ და ერგატიულ ბრუნვაშიც გვხვდებიან (საკ. ლიდ.: I კლ. ნეს-ის „მისი“, II კლ. ნელ'-ა-ს „მისი“...).

გარდა ამისა, -ა-ს და -ა-ლ'ა სუფიქსები I და II კლასებს მკაცრად ინაწილებენ, როგორც კორელაციური ფორმანტები. ფუძის მარკერები სემანტიკურად ასე დაპირისპირებულნი არ უნდა ყოფილიყვნენ. მერეა-და, ერგატივი ინსტრუმენტალის ფუნქციასაც ასრულებს. ზემოწამოყენებული მოსაზრების მიხედვით, გამოდის, რომ ერგატივიც და ინსტრუმენტალისიც ნულოვანი მორფემით არის წარმოდგენილი, რაც ნაკლებად სარწმუნოა. ხუნძურში ერგატივის მარკერებს (ოდინდელ ჩვენებით ნაცვალსახელებს – -ა-ს, -ალ'ა) ჯერ არ აქვთ მიღებული ფუძის ფორმანტის სტატუსი. ერგატივის ამგვარ ფორმაზე დამატებითი სუფიქსი თუ დაერთვოდა, როგორც ეს ანდიურ ენებშია [გუდავა 1962 : 268], მაშინ მიიღებდნენ ხენებული ფორმანტები ფუძის საწარმოებელი მარკერის სტატუსს. წმინდა აღწერითი ანალიზიდან ამოსვლით, საანალიზო ფორმანტების განხილვა ერგატივის ნიშნებად საკლებით შესაძლებელია.

ვფიქრობთ, ხმოვანი, რომელიც თავს იჩენს ბრუნვის ნიშნის წინ, ფუძისეული უნდა იყოს, კერძოდ, მისი საშუალებით ჩანს ირიბ ბრუნვათა ფუძე ნაწარმოები.¹ ირიბ ბრუნვათა ფორმანტად შეიძლება ნებისმიერი

¹ სახელობითში ხმოვნით დასრულებულ ფუძეზე ირიბ ბრუნვებში დამატებით დაერთვის „დამაკავშირებელი ხმოვანი“, რაც მის ირიბ ბრუნვათა ფუძის ფორმანტობას ამტკიცებს, მაგ.: ში „ცხვარი“ – ერგ შია-ცაა, ნა || ნაა

ხმოვანი (უცვლელი, ცვლილი ან ალტერნირებული) მოგვევლინოს. მასთან, ამ ხმოვანთა რომელიც წინასწარ ამოცნობა შეუძლებელია. ამგვარ ხმოვანთა გენეზისი სხვადასხვაგვარია: ა) სახ. ბაწ (<*ბაწი < ბაწა-ი-შდრ. ანდ. ბოწო: ახვ. ბაჭა "id.") „მგელი“ – ნათ. ბაწი-ლ; სახ. რაკ (<*რაკჭა, შდრ. ანდ. როკჭო: ახვ. რაკჭა "id.") „გული“ – ნათ. რეკე-ლ...; ბ) ზოგჯერ ირიბ ბრუნვათა ფუძეში აღდგენილია აუსლაუტის ოდინდელი რელუცირებული ხმოვანი: სახ. ახ (<*ახი, შდრ. ანდ. ოხი: ახვ. ავი "id.") „ბალი“ – ნათ. ახი-ლ, ლელო (<*ლჷალი, შდრ. ბოთლ.: ტინდ.: ლოდ. ლანდი; საკ. დიდ. ლჷალი "id.") „ყვავი“ – ნათ. ლაღი-ლ...

გ. მაღიევა ირიბ ბრუნვათა ფუძის წარმოებაზე მსჯელობისას რვა სახესხვაობას გამოყოფს [მაღიევა 1981 : 73-74]. ავტორი ასახელებს სამწერლო ხუნძურში არსებულ ირიბ ბრუნვათა იმ ნაირსახეობებს, რომლებიც პირდაპირ ფუძისაგან განსხვავდებიან: ა) ბოლოკიდური ხმოვნის დართვით, ან სუბსტიტუციით, ან რელუქციით, ანდა ალტერნაციით; ბ) ირიბ ფუძეზე -ღა ან -ზა, -ზუ... მარცვლოვანი ელემენტების დართვით; გ) ირიბ ბრუნვათა ფუძეში პირდაპირი ფუძის განმეორებით (ბო „ჯარი“, ცი „მელა“ ლა მისთ.) [იხ. ალექსეევი 1988 : 14; ათაევი 1996 : 10...].

ხუნძურში „ირიბი“ ფუძის წარმოება საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ამგვარი ფუძეები არცთუ იშვიათად ამოსავალი ხმოვნის შემცველ არქეტიპებს ინახავენ.¹ მასთან, ირიბი ფუძეებისთვის დამახასიათებელია ხმოვანთა ცვლილებები,² რომელთა ასსნისას სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება [ჟირ-კოვი 1924 : 102-103; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 124-130; მიქაილოვი 1964 : 32-38; ალექსეევი 1988 : 14-16].

უნდა ითქვას, რომ პაექრობის საგანია ირიბ ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის მოქცეული ხმოვნითი და მარცვლოვანი (-VC, -CV) ელემენტები. სპეციალისტთა ერთი ნაწილი [ბოკარევი 1956 : 121-122; 1959 : 33, 81, 85; გუდავა 1961 : 347-348; 1962 : 69-74; 1971 : 67-75; მაჰომედბეკოვა 1971 : 60-62...]. ზემოხსენებულ ელემენტებს ირიბი ფუძის მარკერად თვლის, მეორე ნაწილის მიერ [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 :

„ფუტკარი“ – ნათ. ნაღ-ი-ლ, ჩი „კაცი“ – ერგ. ჩიღ-ა-ცაა და მისთ.

1 ხუნძურში სახელთა ერთი ნაწილი სწორედ ირიბ ფუძეში ვოკალური სისტემის მეტ სიმკვლეზე ამყარდებიან, ვინემ პირდაპირი ფუძის (resp. სახელობითი ბრუნვის ფორმის) ხმოვანი.

2 შესაძლოა, ერთმა და იმავე სახელმა ირიბი ფუძე ფაკულტატურად სხვადასხვა ხმოვნით იწარმოოს, რაც არცთუ იშვიათია დიალექტებსა და მათ კილოკავ-თქმებში.

122-124; იმნაიშვილი 1963 : 56-60; ცერცვაძე 1965 : 122-126; ბურჭულაძე 1986 : 51...]. ამგვარი ელემენტები „ჩანართ“ (მარცვლოვანი ფორმანტები) ან დამაკავშირებელ (ხმოვნითი ელემენტები) ხმოვნებად მიიჩნევა, ხოლო მესამენი [მეგრულიძე 1958 : 224, 231; თოფურია 1987 : 193...] კი მათ ბრუნვის ნიშანს მიაკუთვნებენ.

ბუნებრივია, ლაისმის კითხვა: **ძირი + ფუძე + ბრუნვის ნიშანი** – ამ მოდელში, ჰიატუსის დამძლევი **ფ**-ს გარდა, შეიძლება რაიმე დამატებითი აფიქსი არსებობდეს?

მახვილგონივრულია ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც **-VC** სტრუქტურის მიმდევრობაში ხმოვანი ბრუნვის ნიშანს მიეკუთვნოს [თოფურია 1987 : 193], თუმცა სინქრონიული აღწერის თვალსაზრისით ესეც არათანმიმდევრული ჩანს. კერძოდ, თუ ჩვენ ირიბ ბრუნვათა მარკებრად ოდინდელ კლასიფიკატორებს დავსახავთ, რაც სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს, მაშინ ისიც ზედმიწევნით უნდა განვსაზღვროთ, ბრუნვის ნიშანად რეინტერპრეტირებული კლასის ექსპონენტების თანხლები ხმოვნები სწორედ დამაკავშირებელ ხმოვნებს ემთხვევიან,¹ რაც შეუძლებელია. მასთან, მოსაგვარებელია სემანტიკური მხარეც: ფუნქციურად გარდასახული ოდინდელი კლასიფიკატორი - ბრუნვის მარკერი მთლიანად დაცლილია კლას-ნიშნის გაგებისაგან და ჩვეულებრივ ბრუნვის ნიშნის ფუნქციას ასრულებს. ბრუნვის ნიშნები კი მეტწილად ცალთანხმოვანიანია. გარდა ამისა, ერგატივში, მიცემითსა და ნათესაობითში თანხმოვნითი ელემენტის ცვლილების-და მიუხედავად, ხმოვნითი ელემენტი უცვლელია,² რაც დამატებითი არგუმენტია იმის სამტკიცებლად, რომ ამ რგის ხმოვნები ბრუნვის ნიშანთა კუთვნილებას არ წარმოადგენენ.

ვფიქრობთ, არ არის ბოლომდე ნათელი დამაკავშირებელი ხმოვნის დანიშნულება, ვინაიდან იგი ხმვან-ფუძიან სახელებთანაც დასტურდება: ლელო „ყვავი“ – ერგ. ლდ-ი-ცაა, ჰოწო „თაფლი“ – ერგ. ჰოწო-უ-ცაა, ჩალი „ლობე“ – ჩოლ-ო-ცაა, ქექე „ბუბუ“ – ერგ. ქოქ-ო-ცაა და მისთ.

ზემომოყვანილ მაგალითებში იქმნება იმის ილუზია, თითქოს ხმოვანთა სუბსტიტუცია ხდებოდეს, სინამდვილეში სახელობითი ბრუნვის ბოლოკიდური ხმოვანი ფუძისეული ხმოვნის გავლენით ჩანს რედუცირე-

¹ სადაოა აგრეთვე კლასის ნიშნის თანხლები ხმოვნის მორფოლოგიური ფუნქცია: განეკუთვნება იგი კლასიფიკატორს, ფუძის კუთვნილებაა თუ მორფონოლოგიურად (თანხმოვანთა თავყრის დასაძლეად) არის შეპირობებული. ეს საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.

² უცვლელია, ბრუნვათა მიხედვით, ამა თუ იმ კონკრეტულ ფუძესთან, თორემ სხვადასხვა ფუძესთან სხვადასხვა ხმოვანი გამოვლინდება ისე, რომ ხმოვნის რომელობა წინასწარ არ არის განსაზღვრული.

ბული¹. სწორედ ესუკანასკნელი უნდა ახდენდეს მის ასიმილაციას. პირდაპირი და ირიბი ბრუნვების თვალსა-
ჩინო სხვადასხვაობა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ირიბ ბრუნვათა ფინალური ხმოვანი ბრუნვის ნიშნის
ორგანული ნაწილი არ არის. ამ რიგის ხმოვნების მიჩნევა თანხმოვანთა თავყრის სუპერაციისათვის უფრო მი-
ზანშეწონილი ჩანს, თუმცა ამგვარ წესს ბევრი გამონაკლისი ექნებოდა, მაგ.: შანკ „კურღელი“ – ერგ.
*შანკცა > შანკ-ი-ცაა, შამტი „ნაჯახი“ – შამტცა > შამტ-ო-ცაა...

**ჩვენი აზრით, უფრო სარწმუნო ჩანს ჩანართი ელემენტებისა და დამაკავშირებელი ხმოვნების კვალიფი-
ცირება, როგორც ირიბი ფუძის სავრცობებისა.**² ამ შემთხვევაში ზემოაღნიშნული ყველა წინააღმდეგობა და-
იდლება და საანალიზო ფორმათა თითოეულ ელემენტს, დესკრიფციული მეთოდის გათვალისწინებით, თავი-
სი კუთვნილი ადგილი მიეჩინება. ზემოხსენებულ ელემენტთა ამგვარი ინტერპრეტაციის სისწორე ხელშესა-
ხები ხდება არა მარტო ბრუნვის დროს, არამედ სახელთა დერივაციისას, მაგ.: წაამ „მარილი“ – წაამუ-ყ-ამ
„უმარილი“ (შდრ. ნათ. წაამუ-ლ), ბი „სისხლი“ – ბილუ-ყ-ამ „უსისხლო“ (შდრ. ნათ. ბილუ-ლ) და სხვ. მისთ.

2. 2.3. ირიბ ბრუნვათა ფუძის ტიპები მხოლოდით რიცხვში. იმის მიხედვით, თუ ირიბი ფუძის ფორ-
მანტი რა სახესხვაობებით არიან წარმოდგენილი, გაირჩევა: ა) პირველი ქვეტიპი: სახელის არამარკირებულ
ფუძეს უშუალოდ დაერთვის ყველა სახის ხმოვანი და -CV სტრუქტურის ფორმანტი, რომლებიც მარტივ
ფუძეს ერთგვარად ავრცობენ. ამგვარი ელემენტებით მარკირებულ ფუძეს პირდაპირ დაერთვის ბრუნვის სა-
თანალო ნიშანი. ბ) მეორე ქვეტიპი: სახელობითი ბრუნვის (აბსოლუტივის) ბოლოკილური ხმოვანი ირიბ ფუ-
ძეში იცვლება, თუმცა წინასწარ შეცვლილი ხმოვნის ამოცნობა მორფოლოგიური საშუალებებით შეუძლებე-
ლია.

ყურადღებას იქცევს ხმოვნებით გაფორმებული ირიბი ფუძეები, რომლებშიც ფუძის ფორმანტად გამო-
ყენებული ხმოვნების სიხშირული მონაცემები არათანაბარია.³ შეიძლება ითქვას, რომ მათგან ა უფრო ხში-

¹ რატომ არ რეალიზდა რელუქცია ში „ცხვარი“ (შდრ., ერგ. შიძ-ა-ცაა) ლექსემაში? შესაძლოა, მისმა ერთმარცვლიანობამ შეუშალა ხელი. ამ რიგის მაგალითებს დამატებითი კვლევა სჭრდება.

² რა თქმა უნდა, თითოეულ ფუძეს ცალკე უნდა გაანალიზება იმ თვალსაზრისით, რომ ესა თუ ის საანალიზო ერთეული შეიძლება ფუძის ოდინდელი ორგანული ნაწილი აღმოჩნდეს, რომელიც სახელობითში გაუჩინარებულია.

³ -ე-ს მარტოოდენ ერთ ფუძეში (სახ. რაკ „გული“ – ერგ. რეკ-ე-ცაა) აღასტურებენ [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 123].

რად გამოიყენება. იგი საფიქრებელია, იხმარებოდა როგორც III ტიპის ნაბრუნებ ჰან-ა- („ხორც-“), ლ'არ-ა- („ხევი“, „ნაკაღული“) წყების მაგალითებში, ასევე I და II ტიპის სახელებშიც ერგატივიდან მოყოლებული ე. წ. ირიბ ბრუნვათა ჩათვლით. კერძოდ, ადრეულ ნაშრომებში მხოლოდითი რიცხვის ერგატივში ბრუნვის ნიშნად გამოიყოფოდა -სა და -ლ'ა (მრ. რ. -ზ) [ჩიქობავა 1948 : 92; ცერცვაძე 1948 : 157; მიქაილოვი 1964 : 32-39, 1 მაღიევა 1967 : 260...], რაც მართებული იყო.

მოგვიანო პერიოდის ნაშრომებში [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 99-100; საილოვი 1967 : 734-739; 2 ისაევი 1987 : 176...], -ასა, -აღ'ა ოდენობები გამოიყოფა, თუმცა არ არის მკაფიოდ განმარტებული წინამავალი -ა- ფუძის კუთვნილება თუ აფიქსისა.

ბოლო დროს I და II ტიპის ბრუნებისას ხუნძური ერგატივი მიჩნეულ იქნა ნულოვანი მორფემის მქონე ბრუნვად (resp. ირიბ ფუძედ), რომელსაც შესაბამის ფორმანტად -ასა-, -აღ'ა- (მხ. რ.), -აზ- (მრ. რ.) მოეპოვება [ა. ბოკარევი: 1949 : 38; ალექსეევი 1988 : 13].

ფიქრობენ, რომ -ასა, -აღ'ა-, -აზ ნაცვალსახელური წარმოშობის ფორმანტებია – ისტორიულად ატრიბუტულ სახელებს ნაწევრის სახით დაერთვოდნენ და განსაზღვრულობას გრამატიკულად აფორმებდნენ [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 218-220; კიკვიძე 1961 : 350-356].

ჩვენი შეხედულებით, ერგატივის (resp. ფუძის) ფორმანტად უნდა ჩაითვალოს ოდენ თანხმოვნითი ელემენტი -სა, -ღ'ა, ხოლო ხმოვანი -ა მიჩნეულ იქნეს იმგვარივე (ფუძის საწარმოებელ) ელემენტად, როგორც გვაქვს წად-ა-ცაა („წვიმა“) ფორმაში. ამას გვაგულვებინებს ზოგი გარემოება: 1. ხმოვნითი ელემენტი არ იცვლება არც ნაცვალსახელებში და არც ზოგად არსებით სახელებში; 2. ბრუნებისას პარალელურ ფორმათა (ჩიდა-ასა || ჩიდა-ცაა „კაცმა“, ლ'იმ-აღ „ბავშვები“ – ერგ. ლ'იმ-აღ-ა-ზ || ლ'იმ-აღ-ა-ცაა...) პოზიტივობა იმისი არგუმენტი, რომ თუ ჩიდა-ცაა ფორმაში ფუძის კუთვნილებაა, მაშინ -ასა ოდენობის ა-ც ფუძეს განეკუთვნება. ამგვარივე ვითარება გვაქვს ზოგ სხვა სახელთანაც: სახ. ცერ „მელა“ – ერგ. ცერ-აღ'ა || ცერ-ა-ცაა, სახ. წაღ „წვიმა“ – ერგ. წაღ-აღ'ა || წაღ-ა-ცაა და მისთ.

სპეციალისტები ცდილობენ, ფონემატური სტრუქტურით (მარცვალთრაოდნობით) დააჯგუფონ ხმო-

1 შ. მიქაილოვი ხანდახან -აღ'ა ნიშნსაც ასახელებს [იხ. მიქაილოვი 1959 : 82].

2 სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნოს, რომ მ. საილოვი მრ. რ.-ის ერგატივში ოდენ -ზ-ს გამოყოფს [საილოვი 1967 : 735].

კანფუქიანი სახელები [ალექსევი 1988 : 17], მაგრამ შედეგი არასათანადოა. ავტორის დაკვირვებით, **-რ-** გვხვდება **CVC** (ოც-ო- „ხარი“, ქორ-ო- „ლუმელი“...) სტრუქტურის ძირებში, მაგრამ ამავე სტრუქტურისა ა-ს შემცველი სახელები (წდიალ-ა- „მათრახი“, ჟულ-ა- „ცოცხი“, ლ'არ-ა- „ხევი“...).

მ. ისაევმა წამოაყენა ფუძის ფორმანტის განსაზღვრის სემანტიკური პრინციპი, რომლის მიხედვითაც სახელთა ერთ სემანტიკურ (მაგ., სომატურ) წყებას ერთი სუფიქსი ჰქონდა, მეორე წყებას (მაგ., მესაქონლეობის ლექსიკას) – მეორე და ა. შ. [ისაევი 1987 : 177].

თუ ყურადღებით დავაკვირდებით ამგვარ კლასიფიკაციას, დავინახავთ, რომ ბევრი სახელი შეიძლება მართლაც ამ პრინციპით დაჯგუფდეს. მიუხედავად ამისა, ამგვარი სემანტიკური კლასიფიკაცია ბევრნაირ გადახრასა და გამონაკლისს გვიჩვენებს. კერძოდ, ამ კლასიფიკაციით, **-ი-** აწარმოებს ცხოველთა გამომხატველ ფუძეს, მაგრამ: ჩაყალ „ტურა“ – ჩაყალ-ა-ცაა, ცი „დათვი“ – ცი-ცაა, ბართი „ულაყი“ – ბართ-უ-ცაა და ა. შ. ანდა **-აღზ** || **-აღდ** აწარმოებს სომატურ ტერმინებს: ქერენ „მკერდი“ – ქარან-ზ-უ-ცაა, კუმეტ „ბაგე{ები}“ – კუმეტ-აღზ-უ-ცაა, ბერ „თვალ“ – ბერ-ზუ-ცაა, მაგრამ: ქილშა „თითი“ – ქილშა-ი-ცაა, ბეტერ „თავი“ – ბოტრ-ო-ცაა, ხიბილ „გვერდი“ – ხოლბ-ო-ცაა, ქექე „ძუძუ“ – ქოქ-ო-ცაა-გაბურ „კისერი“ – გორბო-ცაა და სხვ. მისთ.

ირიბ ფუძეთა ერთ-ერთ მარკერად სახელდება სწორედ ზემომოყვანილ სომატური სახელებში დადასტურებული **-ზუ**, **-აღ-ზუ** ელემენტები [უსლარი 1889 : 58; ისაევი 1987 : 177].

მ. ალექსევი ვარაუდობს, რომ **-აღ-ზუ-** სუფიქსის პირველი კომპონენტი ნათ. ბრ.-ის ნიშანია, ხოლო **-ზუ** მრავლობითობის სუფიქსს – **-აზ-**ს უკავშირდება [ალექსევი 1988 : 18]. **-აზ** ფორმანტის **ზ**, როგორც ცნობილია, ერგატივის ოდინდელ დნიშანთან პოულობს პარალელს [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 121].

ჩვენი აზრით, მაწი-**აღ-ზ-უ-** რიგის ფუძეებში თავჩენილი რთული შედგენილობის სუფიქსი უნდა დაიშალოს ასე: **-აღ-ზ-უ**. **-აღ** უნდა მივიჩნიოთ ნაშთის სახით შემონახულ მრავლობითობა-კრებითობის ნიშნად, რომელიც დაერთვოდა წყვილულების¹ (ხელ-ნ-ი, ფეხ-ნ-ი, მხარ-ნ-ი, ენა-ნ-ი, ქუსლ-ნ-ი...) გამომხატველ სახელებს.² როგორც ცნობილია, უკანამავალი ფართო ა ვერ იწვევს წინამავალ ხმოვანთა ასიმილაციას [ჩი-

1 დაახლოებით ისევე, როგორც ეს ქართ. ენის ხევს. დიალექტშია დადასტურებული [არლოტელი 2014].

2 მ. ალექსევი თავდაპირველად გენტივის აძლევს უპირატესობას, შემდეგ კი წყვილულ ფორმებს (ე. ი. მრავლობითობას) ემხრობა, რაც ალოგიკურია [იხ. ალექსევი 1988 : 18].

ქობავა, ცერცვაძე 1962 : 32; გოგოლაშვილი 1980 : 219]. ამიტომ ლექსი „ხელი“ – ლაჟ-ალ-ზ-უ-, ელუ „ქუს-ლი“ – აღ-ალ-ზ-უ-, რიგის სახელებში ამოსავალია ა, რომელიც სახელობითში ცვლილა, მაგ.: ხუნძ. ლექსი (<*ლაჟ) ~ ბოთლ. ლაჟი : ჭამ. ღაზ : ბავგ. ლაჟუ : ტინ.: კარ. ლაჟუ „მკლავი“ [ცერცვაძე 1965 : 32]. საყურადღებოა, რომ -ალ სუფიქსი წყვილულების გამომხატველ ყველა სახელზე არ გავრცელებულა. სახელდობრ, ბერ-ზ-უ- („თვალ-“), შინ-ზ-უ- („ყურ-“) ფუძეებში -ალ არ შეიმჩნევა. რაც შეეხება -ზ კომპონენტს, იგი უდავოდ -დ-ს ბგერინაცვალია, რომელიც ერგატივიდან გადაჰყვება ირიბ ფუძეს. ეს თვალნათლივ ჩანს პარალელურ ფორმებში: ქუერ-დ-უ-ლ → || ქუერ-ზ-უ-ლ „ხელის“ (<„ხელ-მან-ის“), ბერ-დ-უ-ლ → || ბერ-ზ-უ-ლ „თვალის“ (< „თვალ-მან-ის“) და მისთ.

არცთუ იშვიათად დასტურდება -დ-ზე დასრულებული ფუძეები, რომლებშიც -დ „არ არის მუდმივი ინგრედიენტი ფუძისა“: 1 წაო „ხსენი“ – ნათ. წაო-დ-უ-ლ, შალა „ჭაკი“ – ნათ. შალა-დ-უ-ლ, რაჟი „ნიორი“ – ნათ. რაჟი-დ-უ-ლ, მიქაი „მტრელი“ – ნათ. მიქაი-დ-უ-ლ, ჩუ „ცხენი“ – ნათ. ჩო-დ-უ-ლ და სხვ. მისთ.

ხუნძური ენის არქაიზმებით გამორჩეულ ანწუხურ დიალექტში გვხვდება -ალ-დ (>-ალ-ზ) სუფიქსით ნაწარმოები სახელები: ნოდო „შუბლი“ – ნათ. ნად-ალ-დ-უ-ლ (შდრ. ლიტ. ნად-ალ-ზ-უ-ლ), წაინუ 2 „ჭიპი“ – ნათ. წაინ-ალ-დ-უ-ლ და ა. შ.

ანალოგიურად განიხილება -დ-ა-, -რ-ო-, -ლ-უ- ფორმანტები, რომელთა თანხმოვნითი ელემენტები დეტერმინანტული სუფიქსები შეიძლება გენეზისურად ერთმანეთსაც დაუკავშირდეს: დ > რ > ლ, ან დ < ლ < რ, 3 რაც შეეხება ხმოვნით ელემენტებს (-ა-, -ო-, -უ-), რომლებიც ფაქტობრივ ერგატივის მეორე ფუძის საწარმოებელ ფორმანტებს ეტოლებიან – აფორმებენ ირიბ ბრუნვათა ფუძეს და სახელთა ერთ წყებაში შექმნილი არაკანონიკური კომპლექსების სუპერაციასაც ახდენენ. -ი- ხმოვანი, რომელიც ამ წყების სახელებ-

1 არნ. ჩიქობავას და ილ. ცერცვაძეს ამ რიგის არაერთი მაგალითი აქვთ გამოვლენილი [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 119-122].

2 „შუბლი“, „ჭიპი“ და ზოგი მათი სემანტიკის სახელებში ამგვარი წარმოება ანალოგიის შედეგი ჩანს. სხვანაირად გაუგებარი იქნებოდა ცალეულების სემანტიკაში წყვილულების (მრავლობითობის) სემანტიკის შეტანა.

3 დ, სახელთა ერთ წყებაში შეიძლება სიბსტანტიურ ბრუნებაში ერგატივის ოდინდელი ნიშნის ნაშთი იყოს, ხოლო მეორე წყებაში – ფუძის პირველად ნიშანი – დეტერმინანტივი.

ში ყველაზე მეტად უნდა გამოვლენილიყო, არ ჩანს.¹

ამრიგად, ირკვევა, რომ მხოლოდობითი რიცხვის ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა ფუძე მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდს. ატრიბუტულ ბრუნებაში (II ტიპი) I ფუძე სახელობითი ბრუნვის (აბსოლუტივის) ფორმას უდრის, რომელზედაც ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა ფუძის ფორმანტიების (ყველა ხმოვანი, -სა-უ, -ლ'ა-უ-, -დ-უ-, -დ-ა, -ზ-უ, -ლ-უ). დართვით ყალიბდება სათანადო საბრუნებელი ფუძე. სიმპტომატურია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს არა ერგატივის მზამზარეულ ფორმაზე დამყარებული ორფუძიანი ბრუნება, არამედ ირიბ ბრუნვათა ფუძის ფორმანტით (ჴასა-სა+უ-) ნაწარმოებ ფუძეზე („ფუძის ორფუძიანობაზე“) დამყარებული ბრუნება [გუდავა 1961 : 347; არლოტელი 2007 : 47-48].

II ქვეტიპის მიხედვით იბრუნვის ხმოვანფუძიან (სახელობითში ხმოვანზე დასრულებულ) სახელთა ერთი წყება, რომლებიც წმინდა ფუძის (resp. აბსოლუტივის) ბოლოკიდურ ხმოვანს ერგატივისა და „ირიბ ბრუნვათა“ ფუძეში იცვლიან. წარმოვადგენთ ფუძეთა მიხედვით ურთიერთმონაცვლე ხმოვნით წყვილფუძეებს, რომლებშიც ჯერ მოცემულია პირდაპირი (წმინდა) ფუძის ხმოვანი, ხოლო შემდეგ კი – დანარჩენი ბრუნვებისა: ი – ო: ჰუბ-ი „სვეტი“ – ერგ. ჰობ-ო-ცა-ა, ჰურ-ი „ქარი“ – ერგ. ჰორ-ო-ცა, ჩაღ-ი „ლობე“ – ერგ. ჩოღ-ო-ცა, წიბიღ „ყურძენი“ – წოღ-ო-ცა...; ა – ო: ლაგ-ა „ტანი“ – ერგ. ლოგ-ო-ცა, რას-ა „გობი“ – ერგ. როს-ო-ცა...; ა – ი: გულლ-ა „ტყვია“ – ერგ. გულლ-ი-ცა, ჩაუჭ-ა „თევზი“ – ერგ. ჩაუჭ-ი-ცა, ჩუვ-ა „ჩონა“ – ერგ. ჩუვ-ი-ცა, ნუწა-ა „კარი“ – ერგ. ნუწა-ი-ცა...; ე – ო: ქექ-ე „ძუძუ“ – ერგ. ქოქ-ო-ცა, ჰუ-ე „ძაღლი“ – ერგ. ჰო-ე-ცა...; ე – ი: ჰეტ-ე „ფეხი“ – ერგ. ჰატ-ი-ცა, ბერ-ე „ხბო“ – ერგ. ბარ-ი-ცა...; ო – ი: ლედ-ო „ყვავი“ – ერგ. ლად-ი-ცა, ქეთ-ო „კატა“ – ერგ. ქათ-ი-ცა...; ი – უ: ჰალტ-ი „საქმე“ „მუშაობა“ – ერგ. ჰალტ-უ-ცა, ბართ-ი „ულაყი“ – ერგ. ბართ-უ-ცა...

ისმის კითხვა: წმინდა (პირდაპირი) ფუძისა და „ირიბ ფუძეთა“ ხმოვნების სუბსტიტუცია ხდება, თუ წმინდა ფუძის ხმოვანთა რედუქცია?

სავარაუდოა, რომ სახელობითი ბრუნვის ფორმებში ბოლოკიდურად დადასტურებულ ხმოვანთა, მაგალითად, ე/ი, ი/ო... ავტომატურად შენაცვლება კი არ ხდება, არამედ თავიდან პირდაპირი ფუძის ხმოვნები (ე, ი) რედუცირდება, ხოლო ფინალურ ხმოვანრედუცირებულ ფუძეებს დაერთვის თავისი კუთვნილი აფიქსი, ე.

¹ ტ. გუდავას დაკვირვებით, ანდ. ენებში ფლექსიათა წინ თავჩენილი -უ- I კლასის სახელებს განასხვავებს II და III კლასის სახელებისაგან, რომელთაც ეკვივალენტად -ი- აქვთ. ხუნძურში კი უნიფიკაცია განხორციელებულა და ყველაგან -უ- დამკვიდრებულა [გუდავა 1962 : 268].

ი. პირდაპირი (წმინდა) ფუძისა და ირიბი ფუძის ბოლოკიდური ხმოვნები სხვადასხვაა.

ამით ჩანს შეპირობებული ის გარემოება, რომ ხმოვნით დასრულებული წმინდა (სახელობითის) ფუძეს ერგატივსა და ირიბ ბრუნვებში დამატებით დაერთვის ფუძის ფორმანტები, ბაგ.: სახ. ჩ-ი „კაცი“ ერგ. ჩი-ა-ცაა || ჩი-ა-სა, სახ. ჰოქ-ო „ურემი“ – ერგ. ჰაქ-ი-ცაა და მისთ.

რაც შეეხება ფუძის შიგნით ხმოვანთა ალტერნაციას, იგი შეპირობებულია ფონეტიკური ფაქტორებით: ხმოვანთა რეგრესული ასიმილაციით, რასაც მოძრავი ინტენსიური მახვილი იწვევდა, ხშირად ირიბ ბრუნვათა ფორმებში დაცულია არქეტიპები, ხოლო სახელობითში – ცვლილი, არ უნდა გამოირიცხოს ანალოგიის ფაქტორიც და ა. შ. [ჩიქობავა 1937 : 227; ცერცვაძე 1948 : 205; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 23-134; გოგოლაშვილი 1980: 218-226; შდრ. ჟირკოვი 1924 : 102-103; სულეიმანოვი 1960 : 94-96...].

ბრუნებისას პრობლემურია ე/ა, ი/ა, ო/ა ხმოვანთმონაცვლეობა [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 130; გოგოლაშვილი 1980 : 223-225; ალექსეევი 1988 : 14-15], რასაც ისტორიულ-შედარებითი ასპექტით სპეციალურად უნდა იქნეს განხილული.

ბრუნვის კატეგორია ანლიურ ენებში

2. 1. **ზოგადი.** ანლიური ენების ბრუნვათა სისტემაში, სხვა ახლომონათესავე ენათა მსგავსად, გაირჩევა ორი ძირითადი კატეგორია: 1) აბსტრაქტული (გრამატიკული) ბრუნვის კატეგორია, 2) ლოკალიზაციის კატეგორია. სახელთა ბრუნება, როგორც ზმნით შეპირობებული ფორმაცვალება სახელისა, აგლუტინაციური სახისა – სათანადო ფუძეს (resp. ფორმას) დაერთვის ბრუნვის ნიშნები, რომლებიც რიცხვის მიხედვით უპირატესად ერთგვაროვანია.

ლოკალიზაციის კატეგორია, ზოგადაბსტრაქტული სემანტიკის ძირითადი ბრუნვებისაგან განსხვავებით, გამონათავს საგნის ადგილმდებარეობას („-ზე“, „-ში“, „-ქვეშ“, „-თან“...) ან მოძრაობას სივრცეში („-კენ“, „-დან“...). სწორედ საგნის სივრცობრივი მდებარეობა-მდგომარეობის მიხედვით, ლოკატიური ბრუნვები სერიათა მწყობრ სისტემას ქმნიან.

ანდიურ ენათა თავისებურებას წარმოადგენს აფექტივის ქონა,¹ ხოლო დიდიურ ენათა სპეციფიკას – ინსტრუმენტალის არსებობა.

2. საბრუნებელ სახელთა ფუძე. ფუძის სტრუქტურული მოდელების ანალიზისას აუცილებელი გარღვევალით გასათვალისწინებელია, ერთი მხრივ, სახელობითის, მეორე მხრივ, ერგატივისა და ე. წ. ირიბ ბრუნვათა ჩვენება, აგრეთვე, მრავლობითი რიცხვის წარმოების სპეციფიკა.

ანდიურ ენებში საბრუნებელი სახელის ფუძეთა წარმოების გათვალისწინებით გამოიყოფა ორი ძირითადი ტიპი:

I მარტივფუძიანი² ბრუნების ტიპი, რომელშიც სახელის ფუძედ გამოიყენება სახელობითი (resp. აბსოლუტივი)– ბრუნვის ფორმა;

II რთულფუძიანი ბრუნების ტიპი, რომელიც ერგატივსა და „ირიბ“ ბრუნვათა ფორმებში ფუძედ იყენებს ხმოვნური ელემენტებითა (ა, ი, ო, უ) და -CV სტრუქტურის ელემენტებით (-შჸუ, -ლ'აი, -და, -ლა) გართულებული სახელობითი ბრუნვის ფორმას. ფუძის ამ მარკერებიდან {-შჸუ} და {-ლ'აი} ფორმანტთა დართვა სემანტიკურად მოტივირებულია. კერძოდ, ბავკალურ ენაში {-შჸუ} დაერთვის I კლასის სახელთა ფუძეებს ჟასხ („ძმა“) და მამაკაცთა საკუთარი სახელების გამოკლებით, ხოლო {-ლ'აი} ფორმანტით იწარმოება II კლასის ყველა (დას „და“ და ქალთა საკუთარი სახელების გამოკლებით) და III კლასის ერთი წყების სახელები. ამასთანავე, სპორადულად დაჩნდება {-და} და {-ლა} ფუძის არამუდმივი ინგრედიენტები, რომლებიც ფუძეს შესორცებული ოდინდელი ფორმანტები უნდა იყვნენ [არლოტელი 2010 : 24], მაგ.: ბავკ. რაჟ „ნიორი“ – ნათ. რაჟ-და-ლ'ა (შდრ. ხუნძ. რაჟი-დე-ლ "id."), სხ. მუჩჟ „ქარი“ – ნათ. მუჩჟ-ლა-ლ'ა || მუჩჟ-ლ'ა და მისთ.

აღსანიშნავია, რომ მარცვლოვანი სტრუქტურის ფორმანტები {-შჸუ}, {-ლ'აი} შეიძლება დაიშალონ შესაბამის თანხმოვნურ (სავრცობი) და ხმოვნურ (ე. წ. დამაკავშირებელი ხმოვანი) ელემენტებად. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი ამოსავალი ფუნქცია იყო ერგატივსა და „ირიბ ბრუნვათა“ ფუძეში კლასთან

¹ ზოგი ანდიური ენის (ბავკალური ენის თლონდოლური და ჰემერსოული თქმები, კარატაული ენის საკუთრივ კარატაული დიალექტი...) ბრუნვათა სისტემაში აფექტივი არ შეიმჩნევა.

² ტერმინები „მარტივფუძიანი“ – „რთულფუძიანი“ პირობითია, თუმცა უკეთ ასახავს მოვლენის ნამდვილ არსს, ვიდრე „ერთფუძიანი“ – „ორფუძიანი“. სინამდვილეში მეორე ფუძე კი არ გვაქვს, არამედ იგივე ოდენობა, ოღონდ სპეციალური გრამატიკული ელემენტებით გართულებული.

კორელაციის გამოსატყობა, რაც მათ ერთგვარი რეინტერპრეტაციითა და რყევებით ღღემდე შემორჩა. გარდა ამისა, **-V-**, **-VC-** სტრუქტურის გრამატიკულ ელემენტებს ისტორიულად შეიძლება ჰქონოდა სათანადო კლასთა გარჩევის, სუბსტანტივთა და ატრიბუტივთა გამიჯვნის, ძირის ლეტერმინაციის ფუნქციები. ამჟამად „ირიბი“ ფუძის ეს დანართები ერთ მთლიან ოდენობად გაიაზრება და შესაძლებლად გვესახება თანმხლებ ხმოვნებთან ერთად განხილულ იქნენ, როგორც ფუძის ფორმანტები.

მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ საერთო-ანდიურში ერგატივისა და „ირიბ ბრუნვათა“ ფუძეს აყალიბებდნენ როგორც მორფოლოგიური ფუნქციით დატვირთული ხმოვნები (**ა, ე, ი, ო, უ**), ისე **-CV** სტრუქტურის ფუძის სავრცობები. მათ შორის განსხვავება მჟღავნდებოდა მორფოლოგიურ ფუნქციაში – ხმოვნები მარტოდენ ფუძეს აფორმებდნენ, ხოლო **{-შჸუ}** და **{-ლ'ჸი}** მორფოლოგიური ელემენტებით ხდებოდა I კლასის სახელთა გამიჯვნა II და III კლასის სახელთაგან.

კითხვა ისმის: **{-CV}** სტრუქტურის ფორმანტებიდან რომელი კომპონენტია კლასიფიკატორის ფუნქციით გამოყენებული?

საგულისხმოა, რომ ხმოვანფორმანტიანი ფუძეები კლასურ დიფერენციაციას ვერ ახდენენ. როგორც ჩანს, სპეციალურ ლიტერატურაში ჩანართ (დამაკავშირებელ) ხმოვნებად მიჩნეული ოდენობანი [გუდავა 1963 : 74; ცერცვაძე 1965 : 134], ვერ ასრულებდნენ კლასიფიკატორების ფუნქციას.

სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად აღინიშნება, რომ არ იძებნება რელევანტური გრამატიკული ნიშანი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა „ირიბი ფუძის“ ფორმანტებით სახელთა კლასიფიკაცია [გუდავა 1963 : 74; საილოვა 1973 : 54]. ისტორიულად გამორიცხულია ამ ფორმანტების თანხმონითი ელემენტებით გამოსატყობელი კონკრეტული მორფოლოგიური კატეგორია – გარჩეულიყო კლასური კორელაცია (ადამიანის კლასი – **{-შჸ-}**, ნივთის კლასი – **{-ლ'ჸ-}**).

ზემომოყვანილი სავრცობების ტოლოფარდი ოდენობანი უნდა გვექონდეს ხუნძურსა (**-სჸ, -ლ'ჸ**) და ჩენჯურში (**-ჩჸ**)¹. ამის გათვალისწინებით, ზემომოყვანილი ფორმანტების გამოყენება კლასის ექსპონენტების ფუნქციით მეორეული უნდა იყოს, რაც სპეციალურ ლიტერატურაშიც ფაქტობრივ შენიშნულია [ჩიქობავა 1948 : 103-105; ცერცვაძე 1965 : 142; ალექსევი 1988 : 66-69]. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საანალიზო ფორმანტების ხმოვნითი ელემენტი წარმოადგენს

¹ შდრ. ა. აბლოკოვის მოსაზრება [აბლოკოვი 1981 : 86]. მ. ალექსევი ა. აბლოკოვის მოსაზრებას უგულვებელყოფს და **-ჩჸ, -ლ'ჸ** ელემენტების ამჟამინდელი ფუნქციით პოზიტივებს საცხებით სამართლიანად არ იზიარებს [ალექსევი 1988 : 172].

დამოუკიდებელ ელემენტს, რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში დამაკავშირებელ (ჩანართ) ხმოვნებს უწოდებენ [ცერცვაძე 1965 : 133-135; გუდავა 1971 : 75]. ამასთანავე, ტ. გუდავას აზრით, უ, ი, ა ხმოვნები, რომლებიც დიფერენცირებული უნდა ყოფილიყო კლასების მიხედვით, ამავე ხმოვნებზე დასრულებული „ირიბ ბრუნვათა“ საწარმოებელი ხმოვნების ტოლფარდია: დას „და“ – ერგ. დასა-უ-რ, ას „ვერცხლი“ – ერგ. ას-ი-რ [გუდავა 1962 : 267; 1971 : 75]. თუ ეს მოსაზრება სინამდვილეს შეეფერება, მაშინ {-შა-უ}, {-ლ'ა-ი} ფუძის ფორმანტთა ხმოვნითი ელემენტები ერთი გენეზისისა უნდა იყოს.

სიმპტომატურია, რომ მ. ალექსეევი საანალიზო ფორმანტებს საერთო-ანდიურ ქრონოლოგიურ დონეს მიაკუთვნებს [ალექსეევი 1988 : 67]. ჩვენი შეხედულებით, ერთი მხრივ, ანდიურ ენათა {-შა} და {-ლ'ა}, ხოლო, მეორე მხრივ, ხუნძური ერგატივის -სა და -ლ'ა საერთო-ხუნძურ-ანდიურ ენათა ერთობის დროინდელია. ამ კუთხით, მართალია, ხუნძურსა და ანდიურ ენებს შორის განსხვავებები შეინიშნება როგორც სტრუქტურაში (ხუნძ. {-სა} < ანდ. {-შა}, შდრ. ს.-ამოს. *შა: ხუნძ. სა : ანდ. *შა), ისე გავრცელების ფარგალში [გუდავა 1962 : 167-170]. მიუხედავად ცნობილი განსხვავებებისა, მათი გენეზისური კავშირი ეჭვს არ იწვევს [დიუმეზილი 2015 : 101].¹ საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დილოური *შა ჭამალურსა და ახვასურში, ხუნძურის ანალოგიურად, სისინა სპირანტად გარდაიქმნება: შა > სა.

აღსანიშნავია, რომ ატრიბუტული წესით ბრუნებისას გამოყენებული და გრამატიკული კლასის ფუნქციის მქონე ფუძის ფორმანტები (-სა, -ლ'ა) ხუნძურ ენაში ერგატივის ნიშნებად არის მიჩნეული, რაც სინქრონიული აღწერის თვალსაზრისით გამართლებულია [ჩიქობავა 1937 : 33; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 11-112; მიქაილოვი 1964 : 32-39; გუდავა 1962 : 268...]. ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით ანალიზისას {-სა}, {-ლ'ა} (resp. {-ა-სა}, {-ა-ლ'ა}) ალომორფებს ვერ მივიჩნევთ ერგატიული ბრუნვის ნიშნებად, ვინაიდან მათ ფუძის წარმოება ეკისრებოდა. რაც შეეხება საკუთრივ ერგატიული ბრუნვის ნიშანს ხუნძურში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ატრიბუტული ტიპის ბრუნებაში იგი რელიქტის სახით შემონახულია, მაგ.: ემენ „მამა“ – ერგ. ინ-სა-უ-დ, ნათ. ინ-სა-უ-ლ და ა. შ. ცხადია, რომ ხუნძურში ნაშთის სახით დაცული გრამატიკული ფორმები ანდიურ ენათა სინამდვილეში პროლუქტიულია: „...ხუნძურში ასეთი (-დ ნიშნიანი – ნ. ა.) წარმოება ერგატ. ბრუნვისა ამჟამად ანობალია, ანდიურ ენებში – ნორმა“ [ცერცვაძე 1965 : 136].

¹ ბუნებრივია, ფუძის ფორმანტებისა და ბრუნვის ნიშანთა ურთიერთშემოქმედებით მრავალგვარი ცვლილება ხდება, მაგრამ ამგვარი ფონეტიკური თუ მორფოლოგიური ტრანსფორმაციები მოვლენის ძირითად არსს ვერ ცვლის [გუდავა 1962 : 270-274; ცერცვაძე 1965 : 126-137].

მრავლობითი რიცხვის ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა ფუძე მთლიანად მოიცავს მრავლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმას. მრავლობით რიცხვში „ირიბ ბრუნვათა“ ფორმის სტრუქტურა ასეთია: ფუძე + რიცხვის ნიშანი + ირიბი ფუძის ფორმანტი + ბრუნვის ნიშანი. რიცხვის ნიშანი სახელობითიდან წესისამებრ გადაჰყვება ერგატივსა და ირიბ ბრუნვათა ფორმებში, რაც ძირითადი დიფერენციალური ნიშანია მხოლობითისა და მრავლობითის ფორმათა გასარჩევად. თუ მრავლობითის ნიშანი დაკარგულია, მაშინ განსხვავებას ფუძის ოდენხმოვნის ფორმანტი ქმნის, რადგანაც თანხმოვნითი ელემენტები (-შა-, -ლ'ა-) ისევე, როგორც ხუნძურში (-სა-, -ლ'ა) მრავლობით რიცხვში არ შეინიშნება.

მრავლობით რიცხვში ერგატივისა და „ირიბ ბრუნვათა“ ფუძის საწარმოებელ აფიქსთა მიხედვით ანდიური ენები მეტ-ნაკლებ განსხვავებებს ამჟღავნებენ. კერძოდ, ბაგვალურში გონიერ სულიერ და მათთან გათანაბრებულ არსებებს მეორე ფუძე ეწარმოება {-აღუ}, {-ლუ}, {-უ} ელემენტებით,¹ ხოლო ნივთის კლასის სახელთა ფუძის მარკერებად {-ა} (ხშირად) და {-ი} (იშვიათად) გვევლინებიან.

ანდიური ენის მრავლობითობა „ირიბ ბრუნვებში“ იწარმოება მარტივი (-ლ, -ულ, -ილ) და რთული (-ლ-ილ) სუფიქსებით. ანალოგიურ წარმოებას ვაწყდებით სხვა ანდიურ ენებშიც, რომლებშიც საანალიზო ფორმანტები არაიშვიათად საერთო წარმომავლობაზე მიგვანიშნებენ.

ბრუნვის კატეგორია დილოურ ენებში

1. **ზოგადი.** დილოურ ენათა ბრუნების თავისებურებას წარმოადგენს ინსტრუმენტალიზი, რომელითაც მხოლოდ არაგონიერი ცოცხალი არსებებისა და ნივთების სახელები გამოიხატება. ამ ბრუნვის მქონეობით დილოური ენების ბრუნვათა სისტემა მკვეთრად განსხვავდება ახლომონათესავე ხუნძურ-ანდიური ენების ბრუნვათა სისტემისაგან. ამასთან, არ მოგვეპოვება ანდიურ ენათა ბრუნებისათვის დამახასიათებელი აფექტური ბრუნვაც.

2. **საბრუნებელი სახელის ფუძე.** როგორც ცნობილია, სახელობითი ბრუნვის ფორმა ფუძის

¹ -ა-ლ-უ რთული აგებულების აფიქსად მიიჩნევა (-ა ნივთის კლასის სახელთა ირიბი ფუძის საწარმოებელი, -ლ – დამოუკიდებელი ელემენტი, -უ – ფუძის ფორმანტი) [გუდავა 1971 : 96].

მაგივრობასაც ეწევა, ბოლოვდება ხმოვანზეც და თანხმოვანზეც, ე. ი. სახელობითი ბრუნვის ფორმა და სახელის ფუძე (ხმოვანფუძიანიც და თანხმოვანფუძიანიც) ერთმანეთს ფარავს. სწორედ სახელობითი ბრუნვის ნულმორფემიანი ოდენობა განიხილება წმინდა ფუძედ, რომლის მიმართება სხვა ბრუნვებთან ქმნის „ირიბ ბრუნვათა“ ფუძეს. ამ შემთხვევაში გარჩეულია წმინდა ფუძის ორი სახეობა: ა) მარტივი, რომელიც უცვლელად გაჰყვება ყველა ბრუნვას; ბ) რთული, რომელიც ერგატივიდან მოყოლებული ინსტრუმენტალისით დამთავრებული -V, -VC, -SV, -CVSV სტრუქტურის ფორმანტებით ნაწარმოები ფუძე გამოიყენება: ა) ხმოვანფუძიანები: -რო, -რე, -დო, -მო, -ბა...; ბ) თანხმოვანფუძიანები: -დო, -და, -მო, -მე, -რო, -რე, -ზი, -დარე და ა. შ.

ხუნძურ და ანდიურ ენათა ორფუძიანი (resp. რთულფუძიანი) ბრუნების სისტემები ამ ენებში არ მოგვეპოვება. „აქ ერთი რომელიმე ბრუნვის ფორმა კი არ ედება საფუძვლად დანარჩენ ბრუნვებს, არამედ მარტოოდენ „ფუძის ორფუძიანობაზე“ დამყარებული ბრუნების ყალიბი დასტურდება“ [არლოტელი 2007 : 48]. საილუსტრაციო მაგალითები:

		საკ. დიდ.		
სახ.	ლუნ	„ხე“	მეშ	„ცოცხი“
ერგ.	ლუნ-ჰ		მეშ-რ-ჰ	
მიც.	ლუნ-რ-რ		მეშ-რე-რ	
ნათ.	ლუნ-რ-ს		მეშ-რე-ს	
ინსტრ.	ლუნ-რ-დ		მეშ-რე-დ	

საყურადღებოა, რომ „ირიბ ბრუნვათა“ მარკირება ხდება ლეტერმინანტის რიგის სხვადასხვაგვარი სტრუქტურის ელემენტებით, რომლებიც დაჩნდებიან მარტივ ფუძესა და ბრუნვის ნიშნებს შორის.¹ ამგვარ ელემენტთა კვალიფიცირებისას სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა: ა) ერთნი მათ ირიბი ფუძის საწარმოებელ სუფიქსებად (resp. ლეტერმინანტებად) მიიჩნევენ [ბოკარევი 1959 : 33-35; 81-83; გუდავა 1971 : 68], ბ) მეორენი ამ ელემენტებს ჩანართ, დამაკავშირებელ ხმოვნებად თვლიან [ლომთაძე 1956 : 402; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 122; იმნაიშვილი 1963 : 57-67...]; გ) მესამენი მათ ბრუნვის ნიშანს

¹ თუ ფუძეს რომელი ელემენტი დაერთვის, ამის წინასწარ ამოსაცნობად რაიმე მორფოლოგიური ნიშანი არ შეიძლება.

მიაკუთვნებენ [მეგრელიძე 1958 : 224, 231; ლომთაძე 1996 : 142, 153; თოფურია 1987 : 193...].

ჩვენი აზრით, ოდენ ხმოვნური ელემენტით ნაწარმოები და **-CV** სტრუქტურის ელემენტებით გაფორმებული ფუძეების ერთ სიბრტყეზე დაყენება გაუმართლებელია. ხმოვნური ელემენტი, რომელიც სადა ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის მოკვეპოვება, შესაძლოა ბრუნვის ნიშანს განეკუთვნოს, ვინაიდან მათი გაჩენა ბრუნვის ნიშანთა დართვით არის შეპირობებული. რაც შეეხება **-CV** სტრუქტურის ელემენტებს (**-დი > || -ტი, -დო, -დუ, -რუ, -რა, -ლა...**), რომლებიც სადა(წმინდა) ფუძეს ერთგვარად ართულებენ, მათ ფუძის ფორმანტის ფუნქცია უკვე მოპოვებული აქვთ. მართალია, ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით, ამგვარი ელემენტები შეიძლება დამატებით ცალკეულ ელემენტებად დაიშალოს, მაგრამ სინქრონიულ დონეზე მათი მონოლითურობა თვალსაჩინოა. საგულისხმოა, რომ ზოგი მათგანი ერგატივის (resp. პალეოერგატივის) ისტორიულ ნიშანს დაუკავშირდეს და ასე დაიშალოს: **-დ+ი, -ლ+ი... დ IV** კლასის ოდინდელი ნიშნის ნაშთი ჩანს, რომელიც ხუნძურ-ანდიურ ენებში ერგატივის ნიშნად (შდრ. ხუნძ. -დ, ანდ. -დი...) არის გამოყენებული, ხოლო დილოურ ენებში, „ირიბ ბრუნვათა“ ფუძის ფორმანტის გარდა, სპორადულად ერგატივის ნიშნის ფუნქციითაც გამოიყენება [ლომთაძე 1956 : 300; 404-406], მაგ.: ხვარშ. ცის „ძმა“, „და“ – ერგ. ცის-ტი (<*ცის-დი), ცობუ „ძამა“ – ერგ. ცობუ-ტი (<*ცობუ-დი)...; ბეჟ. ცოჟო „ვაჟი“ – ერგ. ცოჟ-დი, ცის „ძმა“ – ერგ. ცის-ტი (<*ცის-დი) და მისთ.

მრავლობითი რიცხვის წარმოებისას ყურადღებას იქცევს ერგატივის ნიშნად **-ზა**-ს პოზიციონირება, რომლის წარმომავლობა, ხუნძურ-ანდიურ ენათა ანალოგიურად, ოდინდელ **დ** კლას-ნიშანს უკავშირდება [ლომთაძე 1956 : 295; 301-305]. ე. ლომთაძე სავსებით სამართლიანად აღნიშნავს: „**ზა** მიღებული ჩანს **-და**-სგან (**ზა < და**). ერთიც და მეორეც მისე, როგორც **ზე, ზი, დი**, ერგატივის ძველი, ფუნქციადაკარგული და გაქვავებული სუფიქსები ჩანს“ [ლომთაძე 1956 : 305; იმნაიშვილი 1963 : 36]. ამასთან, ხვარშიულში **-ზა** მახვილიანია, რაც მიგვანიშნებს, რომ ერგატივის ნიშანი დაკარგულია და მის ადგილს **-ზა** იჭერს. ამას ჰინუხურის მონაცემები ცხადყოფს, მაგ.: კეტ-ზა-ე „კატებმა“, გულუ-ზა-ე „ცხენებმა“ და ა. შ. უნდა ითქვას, რომ **დ > ზ** ტრანსფორმაცია დილოურ ენებში არა მარტო აფიქსებში, არამედ ფუძეშიც არის რეალიზებული [არდოტელი 2009 : 164], მაგ.: საკ. დიდ. ემაღუ > ემაზუ > ემაჟუ „ზღაპარი“...

ამგვარად, ხუნძურ-ანდიურ-დილოური ენების სახელთა საბრუნებელი სახელის ფუძის ანალიზი ცხადყოფს, რომ ირიბ ბრუნვათა ფორმანტებად მიჩნეული **-დი > || -ტი, -დო, -რა, -რო, -ლი, -ლა, -ლო, -ბო...** ელემენტები შეიძლება დაიყოს შემადგენელ ერთეულებად **-C + V**. კონსონანტური სეგმენტი **-დ (> რ**

> **ღ**, **ღ** > **ლ**, **ღ** > **ღ**...) უმთავრესად, როგორც ცნობილია, IV კლასის ექსპონენტს უკავშირდება. ცვლადი კლასოვანი ფორმანტით გაფორმებული „ირიბი“ ფუძე, ერთი მხრივ, საფუძვლად დაედო ერგატივ-ინსტრუმენტალისს, ხოლო, მეორე მხრივ, გენტივის. დღესდღეობით ამგვარი რეკონსტრუქციის შესაძლებლობას უფრო ანდიური ენების და ხუნძური ენის ზოგიერთი დიალექტი იძლევა. მას შემდეგ, რაც კლასოვანი ბრუნება დაიჩრდილა, ასპარეზი გაუჩნდა ნაცვალსახელო ბრუნებას, რაც უფრო მეტად დილოურ ენებში არის რეალიზებული. გ. თოფურიას ვარაუდით: „...ერთი კლასის ნიშანი მიუთითებდა რეალურ სუბიექტზე, მის კლასზე (= ერგატივს; მორფოლოგიურად და სემანტიკურად იმავე ფორმას უკავშირდება მოქმედებითიც), ხოლო მეორე – საზღვრული სახელის კლასზე, სუბიექტის კუთვნილ საგანზე, ობიექტზე (= ნათესაობითს)“ [თოფურია 1987 : 196].

მას შემდეგ, რაც კლასოვანი ბრუნება მოშლის გზას დაადგა, არსებულმა ბრუნვის ნიშნის ფუნქციით გამოყენებული კლასიფიკატორები რეინტერპრეტაციის შედეგად რთული ფუძის საწარმოებელ ფორმანტებად იქცნენ. ამან კი მოითხოვა ბრუნვათათვის დამატებითი ნიშნების დართვა: ხვარშ. *ცობუ-ღ > ცობუ-ღ-ი „მამამ“, მრ. სორო-ზ (< *სორო-ღ) > სორო-ზ-აC (< *სორო-ღ-აC) და ა. შ.

ბრუნვის ნიშანთა გენეზისისათვის ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში

ერგატიული ბრუნვა და ერგატიული კონსტრუქცია, რომელიც ნიშანდობლივია დაღესტნურ ენათა სინამდვილისთვის, რეკონსტრუირდება ამ ენათა ერთობის ეპოქისთვისაც. მართალია, ერგატივის საწარმოებელმა ფუძემ და მისმა ნიშნებმა ფორმოზრივი მოდიფიკაციისა და სემანტიკური (ფუნქციური) რეინტერპრეტაციის შედეგად მეტ-ნაკლები სახეცვლილება განიცადეს, მაგრამ მათი აღდგენა შესაძლებელი ხდება ხუნძურ-ანდიურ ენათა მონაცემების საფუძველზეც. რაც შეეხება დილოურ ენებს, ამ ენებში ერგატივის ისტორიული ნიშანი -ღ, გადააზრიანების (ფუნქციათა გამიჯვნის) საფუძველზე, უკონო ცოცხალ არსებათა და ნივთთა გამომხატველი სახელების ინსტრუმენტალისის საკუთრება გამხდარა, თუმცა იგი რელიქტის სახით (-ღი > -ტი) ერგატივის ნიშნადაც შემონახულა ხვარშიულსა და ბეჟიტურ ენებში. ამ

ფორმანტის თანხმონითი ელემენტი გენეზისურად ნივთის გრამატიკული კლასის ნიშანს უკავშირდება.1 ამ დებულებას დამაჯერებლობას მატებს დიდოურ ენათა ვითარება, სადაც -დ არის გამოყენებული ინსტრუმენტალისის ბრუნვის ნიშნად სწორედ ნივთის კლასის სახელებთან და როგორც გ. თოფურია წერს: „დიდ. ენების მოქმ. ბრუნვის -Vდ და სხვა დადესტნურ ენათა -Vდ ფორმანტები ერთი და იგივე მორფოლოგიური ოდენობაა“ [თოფურია 1987 : 195].

დადესტნურ ენათა თანამედროვე ერგატივის ფორმანტების სტრუქტურაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ყველაზე არქაული ნიშანი არის -დ-ს შემცველი, რასაც სპეციალურ ლიტერატურაში სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ [ჩიქობავა 1948 : 111-112; გიგინეიშვილი 1976 : 37; ალექსევი 1988 : 173; თოფურია 1995 : 144-148...].


თვალსაჩინოებისათვის, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ყველა ქვეჯგუფის მიხედვით, წარმოვადგენთ ერგატიული (ინსტრუმენტალისის/ნათესაობითი) ბრუნვის ნიშანთა სინოპტიკურ ტაბულას.

ბრუნვები ენა	ერგატივი	ინსტრუმენტალისი
ხუნძური	-დ, -ცაა (< -თ-საა < -დ-საა)	
ანდიური	-დ, -დი, -ნი (< -დი)	
ბოთლიხური	-დი	
ჭამალური	-დ (ჭაქვ.), -დი (ჭიჭ.), -დე (ჭად.)	
ბაგვალური	-დ>/-რ	
კარატაული	-დ>/> *რ> -ლ, -დი	
ახვასური	-დე/-ე (< -დე)	
დიდოური	–	-რ
ჰინუსური	–	-რ
ხვარშიული	-დი/>-ტი	-დ, -ზ (< -დ)

1 ე. დიუმეზილი ერგატივის დ-ს ადგილობით ბრუნვათა დ-ს უკავშირებს, რაც საკამათოა [დიუმეზილი 2015 : 102].

ბეჟიტური	-დი/>-ტი, -ლი, -ლ/-ლო	-დ/-ლო
----------	-----------------------	--------

ზემომოყვანილი ტაბულა ცხადყოფს, რომ საკვლევ ენათა აბსოლუტურ უმეტესობაში **-დ** (resp. მისი შემცველი) ფორმანტი სისტემებზე ან სპორადულად დასტურდება და არქეტიპადაც სწორედ ის გვევლინება. {-**დ**} ფორმანტიანი ფუძე, როგორც ცნობილია, საფუძვლად ედება პალეოერგატიულ ფუძე-ფორმას (= ერგატივ-გენტივ-ინსტრუმენტალის ფორმას), რომელიც, თავის მხრივ სემანტიკური გადაზრიანებით ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა საწარმოებელ ოდენობად იქცევა. აქედან გამომდინარე, **-(V)C** სტრუქტურის „ძველი ფორმაციის“ ერგატივის ნიშანი, რომელსაც ნივთთა კლასის გამომხატველ კლასიფიკატორს უკავშირებენ, ფონეტიკურად კლასის ექსპონენტის ანალოგიურად მოდიფიცირდება:



თუ გავითვალისწინებთ კლასოვან ბრუნვას, უღვლილებაში შესაბამის ნიშანთა ცვლილებების თანხვედნასა და ზოგი ენის თავისებურებას, მაშინ „დიფუზური“ ბრუნებისას პალეოერგატიული ფუძე-ფორმის გრამატიკული კლასის ნიშნებით მარკირების ვარაუდი საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული.

ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ბრუნების სისტემის ჩამოყალიბებისას ჩვენს ყურადღებას იქცევს ბრუნვის ნიშანთა ფონემური შედგენილობა, რაც დამოუკიდებელი ერგატივის (resp. ნათესაობითის, ინსტრუმენტალის) ფორმირებასთან ჩანს დაკავშირებული. რამდენიმე ენის (ხუნძ., საკ. დიდ., ჰინ.) გამოკლებით, დამოუკიდებელი ერგატივის (resp. გენტივის, ინსტრუმენტალის) მორფემა **-CV** სტრუქტურისაა, რისი დამატებითი სემენტაცია სავსებით შესაძლებელია [თოფურია 1995 : 95]. ენა ცდილობს პალეოერგატიული ფუძე-ფორმის დიფერენციაციისას ცალკეულ ბრუნვას დამატებითი მორფემა დაურთოს, რითაც ამ უკანასკნელს გაგვარჩევინებს დიფუზური გრამატიკული ოდენობისაგან. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ხუნძურის ჩვენება, რომელშიც ერგატივის არქაული მორფემა ლოკატიური ბრუნვის ნიშნების არის გართულებული: **-ლ'ა < -ლ'-ა** [ცერცვაძე 1962 : 280], **-ცა < -თ + სა < -დ+სა** [მიქაილოვი 1968 : 199].

უნდა ვივარაუდოთ, რომ ერგატივის ნიშანი **-დი**, რომელიც ენათა მიხედვით ფუნქციური რეინტერპრეტაციისა და ფონეტიკური მოდიფიკაციის სხვადასხვა საფეხურს ასახავს, ორი კომპონენტისაგან შედგება: **-დ** პალეოერგატივის ნიშანი + **-ი** დამოუკიდებელი ერგატივის ნიშანი. ერთი მხრივ, საგულისხმო ჩვენებას ლაკური, ხოლო, მეორე მხრივ, ხინალოლური ენები იძლევიან, მაგ.: ლაკ. ლიკ „ხორცი“ – ერგ., ნათ. ლიკ-უ-ლ, ხინ. ქი „ცხვარი“ – ერგ. ქი-ი...

რაც შეეხება დილოურ ენებს, ამ ენებში არქაული ერგატივი ინსტრუმენტალისად გადააზრინებულია (ხვარ. ზე^ნ „დათვი“ – ინსტრ. ზე^ნ-ზ...), ხოლო დამოუკიდებელი ერგატივი რელიქტიურადღა შემონახულია (ხვარ. ობუ „მამა“ – ერგ. ობუ-ლი...).

ერგატივის ნიშანი ესივიდან მიღებულად მიაჩნიათ [ბოკარევი 1959 : 272; ტესტელეცი 1980 : 122]. ამ ფაქტობრივ მცდარი დებულების საპირისპიროდ დ. იმნაიშვილმა გამოთქვა უფრო რაციონალური მოსაზრება, რომელმაც ერგატივში **-დ**-ს დაკარგვით ამოსნა ამოცანა [იმნაიშვილი 1963 : 135].

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ დილოურ ენაში წმინდა აღწერითი ასპექტით სინქრონიულ დონეზე ობუ-ლი ფორმაში **-დი** ერგატივის ნიშნად გვევლინება, თუმცა დიაქრონიულ პლანში სავსებით შესაძლებელია მისი დამატებითი სემანტიკა, როგორც ობუ-დი. საგულისხმოა, რომ ამგვარ მაგალითებში ხელშესახება აღწერითი და ისტორიული ანალიზის პრინციპების გადაჯაჭვვა, რასაც კვლევისას საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს.

2. მიცემითი ბრუნვის ნიშანი საკვლევი ენებში განსხვავებულია: ხუნდ. -ე, ანდ. **-ლ^უ**, კარ., ჭამ., ტინდ. **-ლ^ა**, ახვ. **-ლ^ა**, ლოდ. **-ლ^ი**, ბავგ. **-ლა/-პა**.

ზემოციტირებული ენათაგან ხუნდური მონაცემი განკერძოებით დგას. რაც შეეხება ანდიურ მონაცემებს, მათი გაერთმნიშვნელობა და დაყვანა საერთო არქეტიპზე, რომელიც ახვასურ ენაში **-ლ^ა** ნიშნის სახით არის დაცული [შდრ. მაპომელოვა 1979 : 53; ალექსეევი 1988 : 81-82].

ხუნდური მიცემითი ბრუნვისთვის რეკონსტრუირებული **-ბე** (**-ბ** – III კლასის ნიშანი, **-ე** მიმართულების ნაწილაკი), როგორც სპეციალური ლიტერატურიდან არის ცნობილი, შესატყვისს ანდიურ ენათა აფექტური ბრუნვის ნიშანში პოულობს: ჭამ., ბავგ., ტინდ. **-ბა**, ბოთლ. **-რა**, კარ. **-ა** (< ტოქ. **-ბა**), ანდ. **-ბოტ**. გუდავა წერს: „...სმოვანთა შეფარდება ხუნდ. ე – ანდ. ენათა ა (– საკ. ანდ. ო) უჩვეულო არ არის“ [გუდავა 1961 : 348]. ფუნქციურადაც აფექტივი და მიცემითი ახლოს დგანან – აფექტივი მიცემითისაგან

არის გამოყოფილი და მისი ფუნქცია შეკვეცილია. ჩანს, ხუნძური მიცემითი და მისი მატერიალური ეკვივალენტი ანდიურ ენებში ფუნქციურად ახლოს დგანან, თუმცა ხუნძურში იგი ზოგადად სტრატულ ბრუნვად მთლიანად იქცა, ხოლო ანდიურში ნაწილობრივ იცვალა.

რაც შეეხება დილოურ ენებს, მიცემითის ნიშნად დასტურდება: საკ. დიდ. {-რ}, ჰინ. {-ზ}, ხვარშ. {-ლ}, ბეუ. {-ლ} (საკ. ბეუ.), {-} (ჰუნზ.).

ამკარაა, რომ ჰუნზიბურში დაკარგულია ლ, რომლის საკომპენსაციოდ დაგრძელებულია წინამავალი ხმოვანი. გარდა ამისა, ჰინუხურში ზ მეორეულ წარმოებად მიიჩნევა [იმნაიშვილი 1963 : 140; ათაევი 1996 : 52]. ფიქრობენ, რომ -ზ (< -დ).¹ ჩვენი აზრით, ჰინუხურში სისტემის სიმეტრიულობიდან გამომდინარე, უნდა აღდგეს -რ, რომელიც მიმართულების გამომხატველ თანდებულთან ბრუნვაში გვაქვს დაცული. ჰინუხურ ენაში რ-ს აღდგენას მხარს უჭერს რეგულარული და კანონზომიერი შესატყვისობა: საკ. დიდ. რ: ჰინ. რ : ხვარშ. ლ : ბეუ. ლ [არდლოტელი 2009 : 143]. მოცემული ფონემათ შესატყვისობის გათვალისწინებით, საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ქრონოლოგიური დონისთვის რეკონსტრუირდება *-ლ, რომლის დაკავშირება კლას-კატეგორიის დ ნიშნთან (თუ არ განხორციელდა დ > *რ > ლ) პრობლემური იქნება [შდრ. ლომთაძე 1956 : 295; იმნაიშვილი 1963 : 140; ალექსევი 1988 : 142...].

3. ნათესაობითი ბრუნვის წარმოების თვალსაზრისით ხუნძურ-ანდიური ენები თვალსაჩინოდ განსხვავდებიან დილოური ენებისაგან. ხუნძურ-ანდიური ენების ბრუნვათა სისტემაში დასტურდება კლასოვანი და არაკლასოვანი (სავარაუდოდ ნაცვალსახელური) ნათესაობითი. ხუნძურ ენაში გარკვეულია, რომ ბრუნვის ყველა სახეობაში ნათესაობითის სტანდარტიზებული {-**(V)ლ**} ნიშანი გენეზისურად IV გრამატიკული კლასის ექსპონენტს უკავშირდება [ჩიქობავა 1948 : 112; მაჰომელოვა 1979 : 46; თოფურია 1987 : 195...]. რაც შეეხება ანდიურ ენებს, I კლასის სახელებთან ცოცხალი გრამატიკული კლასის ნიშანი მოგვეპოვება, მაგ.: იმ-უ-ჟ ვოცაი (I კლ.) „მამის ძმა“, იმ-უ-ძ ვოცაი (II კლ.) „მამის და“, იმ-უ-ზ კოთუ (III კლ.) „მამის ცხენი“ და ა. შ.

ღირსსაცნობი ფაქტია, რომ ზემოწარმოდგენილი კლასოვანი და მისი საპირისპირო არაკლასოვანი (ახვ. ქალხოზე-ლი ყური „კოლმეურნეობის მინდორი“, ბავ. რელ-უ-ლ'ა „ხელის“, კარ. ილ-ო-ლ' „დედის“...)

¹ მიცემითი ბრუნვის სუფიქსს IV კლასის ნიშანს დ-ს უკავშირებენ [ჩიქობავა 2013: 394-395; ლომთაძე 1956 : 295], ამ შემთხვევაში ასეთი ინტერპრეტაცია არ ჩანს ბოლომდე თანამიმდევრული [იმნაიშვილი 1963 : 140].

ბრუნება პარალელურად გვხვდება. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ანდიურ ენათა ქრონოლოგიურ ღონეზე არაკლასოვანი ბრუნების სახესხვაობისთვის შეიძლება აღვადგინოთ -ლი [გუდავა 1964 : 132-133; მაპომელოვა 1979 : 48-49; ალექსეევი 1988 : 80...].

საანალიზო სუფიქსის ხმოვნითი ელემენტი არ ჩანს მუდმივი ინგრედიენტი ამ ნიშნისა.

დილოურ ენებში ნათესაობითის ნიშნად ყველა კლასის სახელთათვის ფუნქციონირებს განზოგადებული და სტანდარტიზებული ნიშანი {*-ს > / -შ}, რომელსაც ატრიბუტულ სახელთა ფორმანტთან შეიძლება ჰქონდეს კავშირი.

საინტერესოა, რომ დილოურ ენათა ბრუნების სისტემაში გამოყოფენ II ნათესაობითსაც [ბოკარევი 1959 : 35], რომელიც ფაქტობრივ იგი არის „ირიბ ბრუნვათა“ ფორმებში მდგარი ნათესაობითი, რომელსაც განსხვავებული დაბოლოება აქვს: ბეჟ. {-ლს}, ხვარშ. {-ლს} (ინხ.), {-ლო} (საკ. ხვარშ.). ამ ფორმათათვის საერთო ამოსავალი {-ლს} უნდა იყოს [შდრ. ალექსეევი 1988 : 141]. გარდა ამ სუფიქსისა, ბეჟიტური ენის ჰუნზიბურ დიალექტში ანალოგიური ფუნქციით დასტურდება {-დ/-ლო} ირიბ ბრუნვებში მდგარი ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, რომელსაც სპეციალურად განიხილავს ე. ლომთაძე [ლომთაძე 1996 : 218-226].

აღსანიშნავია, რომ საკუთრივ დილოურში და ჰინუხურში „ირიბი“ ბრუნვის მსაზღვრელად გამოყენებული სახელი დაირთავს სპეციალურ სუფიქსებს: {-ზ} (საკ. დიდ.), {-ზო} (ჰინ.). სავარაუდოა, რომ ზ მიღებული იყოს დისიმილაციური გამჟღერების საფუძველზე, მაგ.: საკ. დიდ. ბარუ-ზ (< ბარუ-ს) ესიუ-ს ხედიჟუ ზედმიწ. „ცოლისდის ქმარი“, ჰინ. ბარუ-ზო (<ბარუ-სო) ესსუ-ს ხოდლო "id."

დასასრულ, დილოურ ენათა ინსტრუმენტალისის საწარმოებელი ფუძეც და ფორმანტიც გენეზისურად უკავშირდება ერგატივს და მასთან მჭიდრო კავშირში უნდა იყოს განხილული [ლომთაძე 1953 : 160; ალექსეევი 1988 : 142...].

ლოკალიზაციის კატეგორია

2. 1. **ზოგადი.** ლოკალიზაციის კატეგორია, ძირითადი გრამატიკული ბრუნების კატეგორიისაგან განსხვავებით, გამოხატავს სუბიექტის (გონიერი სულიერი არსების) დამოკიდებულება-თვალსაზრისს გარესამყაროში ობიექტთა კონკრეტული ადგილმდებარეობის („ზე“, „ში“, „ქვეშ“, „თან“ ...) ან

სივრცეში განსაზღვრული მოძრაობის („-ში-კენ“, „-ზე-კენ“, „-ში-დან“, „-ზე-დან“...) მიმართ. სწორედ ადამიანთა თვალთახედვის არეში მოქცეულ და მათ ცნობიერებაში გააზრებულ საგანთა სივრცობრივი მდებარეობა-მოძრაობა ან მათი მიმართება მეორე საგნისა თუ სუბიექტის მიმართ აისახება თავისებურ ლოკატიურ ბრუნვებში, რომლებიც ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა მორფოლოგიაში სერიათა მწყობრ სისტემას ქმნიან. ამასთან ერთად, ამჟამად ხელშესახებად თავჩენილ ლოკატიურ ბრუნვათა გრამატიკული ფორმების, მნიშვნელობებისა და ფუნქციების სისტემა თვალსაჩინოდ განსხვავებული უნდა ყოფილიყო ამოსავალი სისტემისაგან. როგორც ჩანს, ლოკატიურ ბრუნვათა სიუხვე ერგთვარად ანაზღაურებდა თანდებულთა სიმცირეს, რაც ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო საკვლევ ენათა სახელებისათვის.

ლოკატიურ ბრუნვათა სისტემაში, როგორც ცნობილია, ძირითადად გაირჩევა: ა) სტატიკური („სად?“) და ბ) დინამიკური („საითკენ?“, „საიდან?“ „რის გავლით?“) ბრუნვები. მდგომარეობის გამომხატველი ერთ ბრუნვას (Locativus) აერთიანებს, ხოლო მოძრაობის გამომხატველი – ორ ან სამ ბრუნვას (Allativus – საითკენ? Elativus – საიდან, Translativus – რის გავლით?)¹.

2. 2. საბრუნებელ სახელთა ფუძე. ლოკატიური ბრუნვები, როგორც წესი, იყენებენ ძირითად ბრუნვათა პირდაპირ (სადა) ან ირიბ ფუძეებს. კერძოდ, ხუნძურში სუბსტანტიური ბრუნების დროს გამოიყენება ირიბ ბრუნვათა ფუძე, რომელსაც უშუალოდ ერთვის ლოკატიური ბრუნვის სათანადო ნიშანი. ბრუნვის ნიშანთა და ფუძის ფორმანტთა ურთიერთზეგავლენა არსებითად იმგვარივეა, როგორც ეს გრამატიკულ ბრუნვათა ფორმებში გვექნა. კერძოდ, ხუნძურ ენაში სუბსტანტიური ბრუნებისას **-CV** ფონემური სტრუქტურის ფორმანტთა ზეგავლენით თანხმოდანფუძიან სახელთა ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა ფუძის ფორმანტი {**-ი-**}, {**-უ-**} ზოგჯერ რედუცირდება, ხოლო **-C** სტრუქტურის ფორმანტებთან და ხმოდანფუძიან სახელებთან ჩვეულებისამებრ შემონახულია², მაგ.: ბაყ „ამზე“ – ირ. ფ. ბაყ-უ-, ადგ. ბაყ-და (<*ბაყ-უ-და) „მზეზე“, ხაერ „ბალახი“ – ირ. ფ. ხაარ-ი-, ადგ. ხაარ-და (<ხაარ-ი-და) „ბალახზე“, შდრ.: ვაცა-ასა-და (<ვაცა-ასა-უ-და) „მმაზე“, მაგრამ: ვაცა-ასა-უ-ვ „მმასთან“ და მისთ.

¹ სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ხუნძურსა და ზოგ ანდიურ ენაში (ანდ., ჭამ., ტინდ., ბავკ., კარ.) გვაკლია გამსჭვალვითი ბრუნვა, თუმცა ამ საკითხზე ყველას ერთიანი აზრი არ მოეპოვება [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 149; გულავა 1971; 86; შდრ. მიქაილოვი 1964 : 63-64; ათაევი 1996 : 37...].

² ამ წესებს, ბუნებრივია, გამონაკლისებიც აქვს.

ანდიურ ენათა სინამდვილეშიც ანალოგიური ცვლილებები იჩენს თავს იმ განსხვავებით, რომ ამ ენებში უპირატესად ხმოვანზე დასრულებული ფორმანტები დასტურდება [ბოკარევი 1949 : 55; გულავა 1962 : 88; ცერცვაძე 1965 : 168...].

ზოგი სპეციალისტი ფიქრობს, რომ ფუძეში ე. წ. დამაკავშირებელი ხმოვანი აფიქსის კუთვნილება და მასთან ერთად უნდა გამოიყოს [თოფურია 1995 : 94-96]. თუ ღიაქრონიული ასპექტით განვიხილავთ და ფუძის რეკონსტრუქციას მოვახდენთ, მაშინ შეიძლება ბრუნვის ნიშანთა ამგვარი სეგმენტაციის დაშვება გამომდინარე იქიდან, თუ რა მორფოლოგიურ ელემენტს რა ფუნქცია უნდა ჰქონოდა. აღწერითი ანალიზის დროს ფუძესთან ორგანულად დაკავშირებული სეგმენტის აფიქსისადმი მიკუთვნება ნაკლებად მიზანშეწონილია [იხ. თოფურია 1995 : 95-96]. კერძოდ, განვიხილოთ იმა („მამა“), რომელიც ძირითად ბრუნვებში ბოლოკიდურ ხმოვანს კარგავს: ერგ. იმ-უ-დი, ნათ. იმ-უ-ბ. ძირსა და ბრუნვათა ნიშნებს შორის მოქცეული ხმოვანი -უ- ფუძეს განეკუთვნება, რაზედაც, სხვა გარემოებათა (პარადიგმის ფარგლებში უცვლელობა, I კლასის სახელებთან პოზიტივიზაცია...) გარდა, მიგვანიშნებს მისი ფუძისათვის გადაყოლა ლოკატიურ ბრუნვებში: I სერია: იმ-უ-*ტ'ა, II სერია: იმ-უ-ჭუ, III სერია: იმ-უ-ხა და ა. შ.

მამასადამე, იმუ- მდგრად მორფოლოგიურ სეგმენტს, რომელიც მონოლითურობით გამოირჩევა პარადიგმის მთელ მანძილზე და დამოუკიდებელი გრამატიკული ფუნქცია მოეპოვება, უნდა განვიხილოთ საერთო ფუძედ ძირითად და ლოკატიურ ბრუნვათა სისტემებისათვის.

რაც შეეხება დილოურ ენებს, სხვადასხვა ჩანართი (მასუპერიორული) ხმოვნები და სავრცობები უკანამავალი ხმოვნებითურთ ადგილობით ბრუნვათა ფორმებში ისევე დაჩნდება, როგორ ძირითად (გრამატიკულ) ბრუნვათა ფორმებში, ამიტომ ამ საკითხებს აქ აღარ განვიხილავთ.

2. 3. **ლოკატიურ ბრუნვათა ნიშნების გენეზისი.** ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში ლოკატიურ ბრუნვათა წყების ნიშნების თანხვედნებიც გვაქვს და ცდომილებებიც. კერძოდ, I წყების ადგილობითი ბრუნვის ნიშანთა სიმრავლე ხუნძურში თვალშისაცემია: ა) {-და}, ბ) {-ტა}, {-ლა}, {-ჟა} [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 153; მიქაილოვი 1964 : 44...]. ამ ფორმანტთა ფუნქციური დისტრიბუცია განსაზღვრულია: {-ტა} კონკრეტულად ჰორიზონტალურ ზედაპირზე მდებარეობას გამოხატავს, ხოლო {-და} გადმოგვცემს ვერტიკალურ სიბრტყეზე მდებარეობასაც. დადგენილია, რომ {-ტა} გენეზისურად ტად („ზედ“) ზმნისართს უკავშირდება: განჭი-ტა (<განჭი-და> ტა{დ}) [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 153-154]. ხუნძური

ენის ჰილურ კილოკავში დასტურდება არქეტიპი ტ'ად („ზედ“), რომელსაც ანდიურ-დილოურ ენებში კანონზომიერად შეესატყვისება: ანდ. ჰი-ტ'ა : ბოთლ. ჰე-ჟა : ლოდ. ჰი-ლს : ჭამ. ჰი-ლად : კარ. ტ'ა (ლოკ.): ახვ. ტ'ად-ო ~ საკ. დიდ. ტიირ-ი : ჰინ. ტიერ-ე: ხვარშ. ტაალ-ა : ბეჟ. ტიოდ-ო „ზედ“.

ზემომოყვანილი მონაცემები მოწმობს, რომ კანონზომიერი ფონემათშესატყვისობა გვაქვს როგორც ხმოვნებში¹ (*ა : ხუნძ. ა ~ ანდ. ო : ახვ. ა ~ საკ. დიდ. ი : ჰინ. ე : ხვარშ. ა/ო : ბეჟ. ო/ო), ისე თანხმოვნებში (ტ' : ხუნძ. ტ ~ ანდ. ტ' : ბოთლ. ჟ : ლოდ. ლ : ჭამ. ლ : კარ. ტ' : ახვ. ტ' ~ საკ. დიდ. ტა : ჰინ. ტა : ხვარშ. ტა : ბეჟ. ტა)². ბოლოკილურ თანხმოვანთა მონაცვლეობა (*დ > რ > ლ) ჩვენს ყურადღებას კლას-ნიშნის რეფლექსებისაკენ წარმართავს. სწორედ ამ ზმნისართის ფუძე უნდა იყოს გამოყენებული I წყების ადგილობითი ბრუნვის ნიშნად ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში, მაგ.: ხუნძ. -ტ'ა ~ ანდ.: ბოთლ.: ბაგვ. -ჟა : ლოდ. ჭამ.: ტინდ. -ლს კარ.: ახვ. -ტ'ა ~ საკ. დიდ.: ჰინ. -ტო : ხვარშ. -ტა (ინხ.), -ტო (საკ. ხვარშ.): ბეჟ. -ტა (საკ. ბეჟ.), {-ტო} (ჰუნშ.).³ საერთო ამოსავალს წარმოადგენს *-ტ'ა [ცერცვაძე 1965 : 165].

რაც შეეხება მეორე ლოკატიური ბრუნვის {-ლს} ნიშანს, რომელსაც შ. მიქაილოვი შეეცდომით -ტ'ა-სგან წარმოქმნილად მიიჩნევს [მიქაილოვი 1964 : 40-44; შდრ. გუდავა 1962 : 103; მაჰომედბეკოვა 1989 : 201], იგი სრულიად დამოუკიდებელი მარკერია როგორც ფორმობრივად, ისე ფუნქციის თვალსაზრისითაც. ხუნძური ენის დიალექტებში {-ლს} უცვლელად არის წარმოდგენილი და, {- ტ'ა} ნიშნისგან განსხვავებით, უფრო ზოგადი მნიშვნელობა აქვს – იგი გამოსატყვის მდებარეობას როგორც ჰორიზონტალურ ზედაპირზე, ისე ვერტიკალურ ზედაპირზეც. როგორც ჩანს, ამ ნიშნისთვის ჰორიზონტალურ სიბრტყეზე მდებარეობის გამოსატყვის გვიანდელი რეინტერპრეტაციის შედეგია, ვინაიდან: "Наличие двух особых локативных серий, ориентирующих предмет по горизонтальной и вертикальной (боковой) плоскостям было исторически исходным на общеаварском уровне" [მაჰომედბეკოვა 1989 : 205].

1 კანონზომიერებას ჰუნზიბური დიალექტი არღვევს (გვაქს ო, უნდა: ა)

2 მ. ალექსეევი ტ'-ს შესატყვისად დილოურ ენებში ტა-ს ნაცვლად ლ'-ს წარმოგვიდგენს, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება [ალექსეევი 1988 : 181].

3 დილოურ ენებში ყურადღებას იქცევს ხმოვნური ელემენტი, რომელიც ა : ო შესატყვისობას გვიჩვენებს. ეს დარღვევა შესაძლოა მახვილის ქონა-უქონლობით იყო შეპირობებული.

სპეციალურ ლიტერატურაში ხუნძური **-და-** დაკავშირებულია, ერთი მხრივ, დილოურ ენათა მონაცემებთან (საკ. დიდ., ჰინ. **-დე**, ჰუნზ. **-დე-რ**, ბეუ. **-და**), მეორე მხრივ, ლეზგიურ ენათა მონაცემებთან (პრალეზგ. *(-თაა : ლეზგ. -დი, თაბ. -დი, რუთ. -და...), მაგრამ ფუნქციურ განსხვავებათა გამო მისი რეკონსტრუქცია ეჭვს ქვეშ არის დაყენებული [ალექსევი 1988 : 182].

ჩვენი ვარაუდით, ხუნძ. {-და}, ერთი მხრივ, შეიძლება დაუკავშირდეს ანდიური ენის ქვანხიდათლურ თქმაში დადასტურებულ **-დე** < ***-დო** („-თან“), ხოლო, მეორე მხრივ, დილოურ ენათა შესაბამის მონაცემებს: საკ. დიდ., ჰინ. -დე, ბეუ. -და (ჰუნზ. -დარ).

მართალია, ამ სერიის გამომხატველი ნიშნების თანხმობითი ელემენტის მატერიალური სიახლოვე თვალსაჩინოა, თუმცა გარკვეული სემანტიკური გადახრები ხელშესახება: ხუნძ. **-და** „ზე“ (ვერტიკალურ სიბრტყეზე) ~ ანდ. ***-დო** „თან“, „თან ერთად“ (< ***„ზე“**) ~ საკ. დიდ. -დე „თან“, „თან ერთად“ (< **„ზე“**). ანდიურსა და დილოურ ენებში სემანტიკური ტრანსფორმაცია მიახლოებით ერთნაირად განხორციელებულა, რაც შესაძლებელიც იყო ვერტიკალურ სიბრტყეზე მდებარეობის შემთხვევაში. საგულისხმოა, რომ ბეჟიტურ ენაში ეს ბრუნვის ფორმა სწორედ თანაობითი ბრუნვის (resp. ადიტივი) ფუნქციით იხმარება. გარდა ამისა, ადიტივის ფუნქციით ამ ბრუნვის მეორეულობას იხილ ცხადყოფს, რომ ანალოგიური მნიშვნელობით სხვა სერიის ნიშნები (ანდ. **-ჭუ**, საკ. დიდ. **-ლო**, ბეუ. **-ლო...**) გამოიყენება.

სუბესივის სერია, რომელიც „ქვეშ“ მყოფობის ლოკალიზაციას გამოსატავს, კანონზომიერ ფორმობრივ შესატყვისობას გვიჩვენებს და საერთოა ამ ენათა ბრუნებაში: ხუნძ. {-ტო} ~ ანდ. {-ტო-ი}1 ~ დიდ. {-ლ'}2. როგორც ხშირად ხდება, ხუნძურსა და დილოურ ენებში სათანადო ბრუნვის ნიშანი დაკარგულია, თუმცა დინამიკურ ბრუნვათა ნიშნებში მოკვეცილი ხმოვანი აღდგება [იმნაიშვილი 1963 : 153].

პოსესივის სერია, რომელიც ერთგვარ თანაობას („-თან“, „-ზე“, „-კენ“) გადმოსცემს და არაიშვიათად მიცემითი ბრუნვის მნიშვნელობით (განსაკუთრებით ირიბი ობიექტის გამოსახატავად კაუზატიურ ზმნებთან) გამოიყენება, ხუნძურ-ანდიურ ენებში საერთო სუფიქსით გადმოიცემა: ხუნძ. {-ჰ} ~ ანდ. {-ჰ-ი/-ჰ} : ბოთლ. {-ჰ-ი} : ჭამ. {-ჰ} : ახვ. {-ჰ}. ამ ნიშანში პოვნიერ *ჰ-ს შესატყვისობა ირღვევა დილოურ ენებში, რომლებშიც კანონზომიერი შესატყვისის – ხ-ს ნაცვლად ფონემათიგივეობა (ჰ : ჰ) არის წარმოდგენილი

1 ყველა ანდიურ ენაში -ტო-ი სტაბილიზებულია. -ტო სერიის ნიშანია, ხოლო -ი – ბრუნვისა.

2 დილოურ ენებშიც ყველგან **ლ'** დასტურდება: ს.-ხუნძ.-ანდ. ტო ~ ს.-დიდ. **ლ'**.

[არლოტელი 2009 : 115] : საკ. დიდ.: ჰინ.: ხვარშ. {-ვ-ო} : ბეჟ. {-ვ-ა} (საკ. ბეჟ.), {-ვ-ო} (ჰუნზ.).

საანალიზო ლოკალიზაციის სუფიქსში თავჩენილ ამოსავალ ვა-ს კანონზომიერებით დილოურ ენებში უნდა მოეცა **ხ**, თუმცა არ შეცვლილა. მართალია, ახლომდგომი ლოკალიზაციის გამომხატველი ნიშანი **ხ(ო)** („-თან“, „ახლოს“) დასტურდება დილოურ ენებში, მაგრამ {-ვო} და {-ხო} სხვადასხვა გენეზისის ნიშნები ჩანან [გულავა 1964 : 140]. **ვ** და **ხ** სერიათა ნიშნების აღრევას ადგილი ბოთხილოურ ენაშიც აქვს, რაც ტ. გულავას აფიქრებინებს, რომ „**ხ** სერია“ „**ვ** სერია“ შთანთქა ხუნძურში [გულავა 1962 : 103]. ირკვევა, რომ ხუნძურში „**ვ** სერია“ ანდიურ-დილოურ ენათა „**ხა** (ანდ.), **ხო** (დიდ.) სერიის“ ფუნქცია აქვს დაკისრებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ანდიურ და, განსაკუთრებით, დილოურ ენებში თანაობის სერიის გამოსატყა დიფერენცირებულია: ა) „-თან“, „მახლობლად“ (დისტანციური თანაობა) გადმოიცემა **ხ**-ს შემცველი ნიშნით; ბ) „-თან“, „-თან ერთად“ (უშუალო თანაობა) გამოიხატება ვ-იანი ნიშნით.

დისტანციური თანაობის გამოსატყავად ანდიურ-დილოური ენები საერთო წარმომავლობის სუფიქსს იყენებენ: ანდ. {-ხ-ა}, ბოთლ. {-ხ-ი}, ლოდ. {-ხ-ა}, ჭამ. {-ხ-ე}, ბავ. {-ხ/-ხ-ი}, კარ. {-ხ/-ჰ}, ახვ. {-ხ-არი} ~ საკ. დიდ. {-ლო}, ხვარშ. {-ლა-ლ} (საკ. ხვარშ.), {-ლო} (ინხ.), ბეჟ. {-ლა} (საკ. ბეჟ.), {-ლუ-რ} (ჰუნზ.).

როგორც ცნობილია, ამ რიგის შესატყვისობაში საერთო ამოსავლად არაინტენსიური ***ხ** მიიჩნევა, რომელიც ხუნძურში, როგორც წესი, ჰ-დ გარდაიქმნება. ეს გარემოება ტ. გულავას აფიქრებინებს, რომ „**ჰ** სერიის“ კვალი უნდა ჩანდეს ხუნძურ ჰაბი-ჰან „მეწისქვილე“ რიგის სიტყვებში [გულავა 1962 : 103].

ამგვარი ლოკალიზაციის გამომხატველ ნიშანთა არქეტიპების რეკონსტრუქციისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დილოურ ენათა ჩვენება, რომლის მიხედვით {-ხო} ნიშანს მრავალგვარი ფუნქციის (დისტანციური თანაობა, დროული მიმართება, მიზნის აღნიშვნა, მიზნისა და მიზეზის გარემოების გამოსატყა...) გადმოცემა ეკისრება. არ არის გამორიცხული, რომ იგი გენეზისურად უკავშირდებოდეს ხუნძურ-ანდიურ ენათა ვ-ს შემცველ ნიშანს: *ვ : ჰ.-ხუნძ. **ხ** ~ ს.-ანდ. ვ (დაცულია ახვანურში) ~ საკ. დიდ. -ხო : ჰინ. -ჰ-ო : ხვარშ. -ჰ-ო (საკ. ხვარშ.), -ჰ-ა (ინხ.) : ბეჟ. -ლ-ოდ „-თან“, „მახლობლად“, „ერთად“.

ინესივის სერიაში წარმოდგენილია ლოკალიზაცია შინაგან სიცალიერეში ან მთლიან მასაში. ამ მხრივ ეს სერიაც დიფერენცირებულია და გამოიხატება სხვადასხვა ნიშნებით:

ა) ლოკალიზაცია შინაგან სისავსეში: ხუნძ. {-ლ'} ~ ანდ. {-ლ'-ი} : ბოთლ. {-ლ'ჰ-უ} : ლოდ. {-ლ'-ი} :

ბავ. {-ლ'ბ-ი} : ახვ. {-ლ'-ი} ~ ს.-დ. {-*ლ'}¹.

ბ) რაც შეეხება შინაგან სიცალიერეში ლოკალიზაციას, ხუნძურში იგი კლასიფიკატორების საშუალებით აღინიშნება, ხოლო ანდიურ-დილოურ ენებში არაერთგვაროვანი ვითარებაა: ახვახური ენის ჩრდილოურ დიალექტში რელიქტურად შემონახულია „სერია“. სავარაუდოა, {-რ} ნიშანი IV კლას-ნიშანს უკავშირდებოდა (შდრ. ანდ. -ლ : შიშუ-ლ-ა „ბოთლში“...). დილოურ ენათა ანალოგიურად, ანდიურ ენათა ერთ წყებაში სიცალიერის შიგნით მყოფობა-არსებობას ოდენხმოვნის ნიშანი აწარმოებს: ანდ. {-ა}, ბოთლ. {-ე}, {-ი}, {-უ}, ლოდ. {-ო}, {-უ}, ჭამ., კარ. {-ი} ~ საკ. დიდ. {-ა}, ჰინ., ხვარშ. {-ა}, {-მა}, ბეჟ. {-ჟ/-ჟო} (საკ. ბეჟ.), {-ნ}, {-წ}, {-უ} (ჰუნზ.).

მ. ალექსეევის ვარაუდით, დილოურ ენათა მასალა თანხვედბა ლეზგიურ ენათა მონაცემებს. ავტორი ერთგვარად უგულებელყოფს ბ. გიგინეიშვილის არსებითად მართებულ დებულებას „შიგმყოფობის სერიაში“ კლას-ნიშანთა პოზიციების შესახებ [გიგინეიშვილი 1976 : 36; შდრ. ალექსეევი 1988 : 180].

ხუნძურისა და ზოგი ანდიური ენის (ანდ., ახვ.) მონაცემები მიგვანიშნებს, რომ დანარჩენ ანდიურ-დილოურ ენებშიც არსებულ ხმოვნებთან სათანადო კლასიფიკატორები (რ > ლ, ბ...) უნდა გვექონოდა, რომლებიც ფუნქციურ-სემანტიკური გადაზრინებისა და ფონოლოგიური გარემოცვის (აქედან ფონეტიკური ტრანსფორმაციის) საფუძველზე თანდათანობით მოიშალნენ. ამ ვარაუდს ერთგვარად მხარს უჭერს ხუნძური ენის დიალექტებისა და თქმების მონაცემები, რომლებშიც გამჭვირვალედ მოჩანს კლას-ნიშანთა თანდათანობითი მოშლის სურათი. კერძოდ, ანდალალურ კილოკავში "...показатели грам. класса и числа (-б, -в, -й, -р) несколько редуцированы..." [მიქაილოვი 1964 : 51]. ამავე ავტორის აღნიშვნით, ჰიდათლში კლას-ნიშნები მთლიანად მოშლილია, მაგ.: ყუტი (< ყუტი-ბ) „ქუჩაში“, რუყი (< რუყი-ბ) „სახლში“ და ა. შ.

ანალოგიური ვითარება დასტურდება ხუნძახურ დიალექტსა და ბათლუხურ კილოკავში – ეს სერია კლას-ნიშანთა გარეშეა, მაგ.: როყო „შინ“, ზოდო „ცაში“ და მისთ.

ყოველივე ზემოთქმული განვიმტკიცებს აზრს იმის შესახებ, რომ ანდიურ-დილოურმა ენებმა ამ სერიის ფორმებში კლასის ექსპონენტები დაკარგეს.

საფიქრებელია, რომ ბეჟიტურ ენაში თავჩენილი აბრუპტივი ჟ (-ჟ/-ჟო) ინტერვოკალურ ფონოლოგიურ

¹ საინტერესოა, რომ ბეჟიტურში ამ ნიშანს ფუნქცია სავარაუდოდ შეცვლილი აქვს და უპირატესად ვერტიკალურ ზედაპირზე მდებარეობას აღნიშნავს [ისაყოვი, ხალილოვი 2012 : 133; არლოტელი 2014 : 127-128].

პოზიციაში (V-V) ხმოვანთგამყარადაც იყოს გაჩენილი და ფონოლოგიზებული. სხვა ახლომონათესავე ენათა სინამდვილეში ამგვარი ნიშანი არსად შეინიშნება. ამდენად, დილოურ ენათათვის მ. ალექსეევის მიერ რეკონსტრუირებული არქეტიპი *-ჟა [ალექსეევი 1988 : 181], არ უნდა შეეფერებოდეს სინამდვილეს.

ყურადღებას იქცევს ანდიურ ენებში ჯ-ს შემცველი ნიშანი (ანდ. {-ჭუ}, ბავ. {-ჭი}, ლოდ. {-ჭუ} „-ზე“...), რომელიც აღნიშნავს „რამეზე უშუალო შეხებით ყოფნა-არსებობას“, მაგ.: ბავ. ყეჰენჭ კუნტ ირა ზედმიწ. „ტომარაზე ლაქა არის“...

ზემომოყვანილ კონტაქტივის ნიშანს მატერიალური შესატყვისი არც ხუნძურში და არც დილოურ ენებში არ მოეპოვება. ილ. ცერცვაძე ანალოგიურ ნიშნებად მიიჩნევს -ხა და -ლა სუფიქსებს. პირველზე ზემოთ გვეყონდა მსჯელობა, მეორე კი *-ტა ნიშნის რეფლექსი ჩანს.

ხუნძური ენის ანწუხური დიალექტის ანწროსუნხალურ კილოკავში ინესივის მნიშვნელობით დასტურდება კლას-ნიშნის მიხედვით ცვალებადი ნიშანი {-ქო-ბ}, რომელიც შ. მიქაილოვს არ მიაჩნია ხუნძ. -ჯ-ს რეფლექსად [მიქაილოვი 1964 : 47]. თუ ეს თვალსაზრისი რეალობას ასახავს, -ქო- სეგმენტი ამ ფუნქციით ჩანს დამოუკიდებელი ოდენობა, რომელსაც ანდიურ ენებში ეკვივალენტი არ მოეპოვება. ამ მხრივ საინტერესო ჩვენებას გვაწვდის ბეჟიტური ენის ჰუნზიბური დიალექტი, რომელშიც {-გ/-გო} ნიშანს, სხვა მნიშვნელობებთან ერთად, ინტერესივის მნიშვნელობაც აქვს (საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს).

ამრიგად, ლოკატიურ ბრუნვათა ნიშნებიდან მეტი ნაწილი საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ქრონოლოგიურ ღონეზე დანამდვილებით რეკონსტრუირდება. ზოგი მათგანი შეიძლება დაღესტნურ ენათა ქრონოლოგიურ ღონეზეც (ანდ. -ჭუ „-ზე“, ლაკ. -ჭა „თან“...) იქნეს აღდგენილი.

3. ლაკურ და დარგულ ენათა სახელის მორფოლოგია: კლასის, რიცხვის, ბრუნვისა და ლოკალიზაციის კატეგორიები

გრამატიკული კლასის კატეგორია

ლაკურ და დარგულ ენებში, სხვა ნახურ-დაღესტნურ ენათა მსგავსად, მნიშვნელოვან გრამატიკულ კატეგორიად გვევლინება გრამატიკული კლასის კატეგორია. შეიძლება ითქვას, იგი წარმოადგენს „სუპერკატეგორიას“, რომელიც ფართოდ აისახება მეტყველების სხვადასხვა ნაწილებში, თუმცა ცალკეულ მეტყველების ნაწილებში სხვადასხვაგვარად იჩენს თავს.

სახელების კლასებად განაწილებას საფუძვლად უდევს ოპოზიცია „პიროვნება“ – „არაპიროვნება“ („ნივთი“), რაც ეყრდნობა „შეფასებით პრინციპს“: ადამიანს უპირისპირდება ყოველი დანარჩენი, როგორც სულიერი, ისე უსულო საგნები; შესაბამისად, კითხვა „ვინ?“ დაისმის მხოლოდ ადამიანის მიმართ, ხოლო „რა?“ ითქმის სხვა დანარჩენის, როგორც სულიერის, ისე უსულოს მიმართ.

სემანტიკურ და მორფოლოგიურ თავისებურებათა გათვალისწინებით, ლაკურ ენაში ყველა არსებითი სახელი განაწილებულია ოთხ სახელურ კლასში:

I კლასი – „მამაკაცის კლასი“ (კლასის ნიშანია ვ)

II კლასი – „ქალის კლასი“ (კლასის ნიშანია დ)

III კლასი – არაგონიერი სულიერი არსებებისა და ზოგიერთი საგნისა თუ ნივთის კლასი (კლასის ნიშანია ბ)

IV კლასი – განყენებული არსებითი სახელებისა და ზოგიერთი საგნისა თუ ნივთის კლასი (კლასის ნიშანია ღ).

მრავლობითში I და II კლასები („ადამიანი“) ერთ კლასად ერთიანდებიან, ხოლო, კლასის ნიშნის მიხედვით, I, II, III კლასები (კლასის ნიშანი ბ) უპირისპირდებიან IV კლასს (კლასის ნიშანი ღ).

სახელთა განაწილება III და IV კლასებად რთულ ვითარებას წარმოგვიდგენს, რამდენადაც ბევრ შემთხვევაში ერთგვაროვანი ცნებები სხვადასხვა კლასებსაა განკუთვნილი, შდრ. ყაფა „ქული“ (III კლასი) – ლაჩაქ „ლეჩაქი“ (IV კლასი), ჰუვა „პერანგი“ (III კლასი) – ჰაჟაქ „შარვალი“ (IV კლასი), შაჰრუ „ქალაქი“ (III კლასი) – შარ „სოფელი“ (IV კლასი) და სხვა. სახელთა III და IV კლასებად განაწილებისას

შესამჩნევია ორი პრინციპის მოქმედება: თითქმის ყველა არაგონიერი სულიერი არსება შედის III კლასში და თითქმის ყველა განყენებული არსებითი სახელი – IV კლასში.

თანამედროვე ლაკური ენისათვის დამახასიათებელი ოთხკლასოვანი სისტემა წარმოქმნილია ამოსავალ სისტემაში მომხდარი ცვლილებების შედეგად. თავდაპირველად ლაკური ენისათვის ორკლასოვანი სისტემა უნდა ყოფილიყო ნიშანდობლივი: I კლასი - „პიროვნება“, II კლასი - „არაპიროვნება“. შესაბამისად, ლაკურში კითხვა ცუ „ვინ?“ დაისმის ადამიანის მიმართ, ხოლო ცი „რა?“ – დაესმის ყველა დანარჩენს. ორკლასოვან სისტემაში შემდგომდა მოხდა დიფერენციაცია ნივთის კლასებად – გამოიყო ცოცხალ არაგონიერ არსებათა კლასი (III კლასი). დიფერენციაცია მოხდა ადამიანის კლასშიც, რომელშიც გამოიყო ქალის კლასი (II კლასი). რიგ დაღესტნურ ენათა მსგავსად, „ქალის კლასის“ ნიშნად გამოყენებულ იქნა ნივთის კლასის ნიშანი **დ/რ** [თოფურია, 1942: 181].

ზოგიერთი დაღესტნური ენის ოთხკლასოვან სისტემაში ადგილი ჰქონდა კლასთა რაოდენობის შემცირების პროცესს, მაგ., ხუნძურში, სადაც ამჟამად მხოლოდ სამი კლასი განირჩევა. ასეთი პროცესი მიმდინარეობდა ლაკურ ენაშიც და IV კლასის სახელების ნაწილმა გადაინაცვლა III კლასში, მაგრამ ეს პროცესი ლაკურში შემდგომ აღარ განვითარებულა და ამიტომ ბევრი საგნისა თუ ნივთის სახელწოდებები განაწილებული აღმოჩნდა III და IV კლასებში. ასეთივე პროცესი მიმდინარეობდა დარგუულ ენაშიც.

დარგუულში განირჩევა ოთხი გრამატიკული კლასი:

I კლასი – „მამაკაცის კლასი“ (კლასის ნიშანია **ჟ**)

II კლასი – „ქალის კლასი“ (კლასის ნიშანია **რ**)

III კლასი – არაგონიერი სულიერი არსებებისა და ნივთების კლასი (კლასის ნიშანია **ბ**)

IV კლასი – განყენებული არსებითი სახელებისა და ზოგიერთი საგნისა თუ ნივთის კლასი (კლასის ნიშანია **დ**).

უზი ლე-**ჟ** „მმა არის“, რუზი ლე-**რ** „და არის“, ურჩი ლე-**ბ** „ცხენი არის“...

მრავლობითში გამოიყენება ნიშნები **ბ, რ, დ**, რომელთაგანაც **ბ** საზიაროა I (მამაკაცის) და II (ქალის) კლასის სახელებისათვის:

უზბი ლე-**ბ** „ძმები არიან“, რუზბი ლე-**ბ** „დები არიან“, ყული ლე-**რ** „ძროხები არიან“, ჭინცბი **დ**-ისა „ვაშლები მომეცი“...

ლაკურ და ღარგუულ ენებში, სხვა დაღესტნურ ენათა ანალოგიურად, კლასის ნიშნები თავს იჩენენ არსებით სახელებთან შეთანხმებულ მეტყველების ნაწილებში – ზედსართავ სახელებში, რიცხვით სახელებში, ზმნებში.

ლაკურ ენაში გამოიყოფა პირველადი (ამოსავალი) და მეორეული კლასის ნიშნები. პირველს განეკუთვნება **ვ, მ, ბ, დ/რ**, ხოლო მეორეული ნიშნებია **მ, ფა, ლ, რდ, მ, ძ**, რომლებიც მიღებულია პირველად (ამოსავალ) ნიშანთა ფონეტიკური ცვლილებების შედეგად [აბდულაევი 2003: 38-39]:

- ვ** → **ძ** : უჭან ← *ვ-უჭან „მოსვლა“, შდრ. დ-უჭან, ბ-უჭან;
- ბ** → **ვ** : ბუ-ვ-კუნნი ← *ბუ-ბ-კუნნი „მოვიდა“;
- ვ** → **მ** : კი-მ-ა ← *კი-ვ-ა „ორი“ (I კლასი), შდრ. ვიწხ. დიალ. კი-ვ-ა;
- ვ** → **ძ** : აწ-ა ← *აწ-ვ-ა „ათი“ (I კლასი), შდრ. ბალხ. დიალ. აწ-ვ-ა;
- ბ** → **ვ** : ხაუ-ვ-ა ← *ხაუ-ბ-ა „ხუთი“ (III კლასი), შდრ. ვიწხ. დიალ. ხაუ-ბ-ა;
- ბ** → **მ** : შან-მ-ა ← *შან-ბ-ა „სამი“ (III კლასი), შდრ. ვიწხ. დიალ. შან-ბ-ა;
- დ** → **ნ** : შან-ნ-ა ← *შან-დ-ა „სამი“ (IV კლასი), შდრ. ვიწხ. დიალ. შან-დ-ა;
- დ** → **ლ** : არულ-ლ-ა ← *არულ-დ-ა „შვიდი“ (IV კლასი), შდრ. ვიწხ. დიალ. არულ-დ-ა;
- დ** → **რ** : წუ-რ-ინ^რუ ← *წუ-დ-ინ^რუ „სამზარეულო“ (წუ „ცეცხლი“, დიშინ, დინ^რ „დადება“);
- რ** → **დ** : ცინა-რ-და ← *ცინა-რ-რა „ყველა“;
- ბ** + (**ბ**) → **ფა** : ცუ-ფა-ა ← *ცუ-ბ-ბა „თვითონ“ (III კლასი);
- ბ** → **ვ** → **ძ** : თაულ-ა ← // თაულ-ვ-ა ← თაულ-ბ-ა „ჩემი“ (III კლასი);
- დ** → **ლ** → **ძ** : თაულ-ა ← თაულ-ლ-ა ← თაულ-დ-ა „ჩემი“ (IV კლასი).

ამ პროცესთაგან ზოგიერთი საერთო-ლაკური ხასიათისაა (**დ** → **რ**, **ბ** → **ვ**, **ვ** → **ძ**), ზოგიც ლოკალური (ძირითადად დამახასიათებელი ლუმუქური დიალექტისათვის). **ბ** → **ვ** → **ძ** და **დ** → **ლ** → **ძ** პროცესებში ადგილი აქვს ერთ-ერთი ფორმის განზოგადებასაც. კლასის ნიშანთა ამოსავალი ვარიანტები უკეთ არის შემონახული დიალექტებში (ვიწხიურსა და ბალხარულში), ხოლო ფონეტიკურ ცვლილებებსა და ნეიტრალიზაციის პროცესებს კლასის ნიშნები ყველაზე მეტად დაქვემდებარებული ადმონინდენ ლუმუქურ დიალექტში, შდრ. ვიწხ., ბალხ. შაალ-ბ-ა, შაალ-დ-ა „ყოველი“, მაგრამ ლუმუქ. შაალა.

სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა ფუძეებში გვხვდება კლასის მიხედვით უცვლელი ელემენტები, რომლებიც ისტორიულად კლასის ნიშნებს („გაქვავებულ კლასის ექსპონენტებს“) წარმოადგენენ: ლაკ. ლასუნ ← *რასუნ ← *დასუნ „აღება“, შდრ. ხუნძ. ბ-ოსიზე; თაივინ ← *დ-ივინ „გამოწოვა“, შდრ. დარგ. დ-ირვეს.

დალესტნურ ენებში კლასის ნიშანთა ცვლილებების ზოგადი ტენდენცია, მათი გაქვავება და გაქრობა მოწმობს კლასოვან ფორმათა არაკლასოვანში გადასვლაზე, რასაც საფუძვლად უდევს ფონეტიკური პროცესები და ენის მისწრაფება ფორმათა და ფუძეთა უნიფიკაციისაკენ.

დარგულ ენაში კლასის ნიშნები არ განიცდიან ისეთსავე ფონეტიკურ ცვლილებებს, როგორც ლაკურში. კლასის ნიშნები, ლაკურისაგან განსხვავებით, აქ ყველა პოზიციაში უცვლელია ფონეტიკურად: **ჟ, რ, ბ, დ.**

ამრიგად, კლასის ნიშნები (რიცხვის ნიშნებიც, რომლებიც წარმომავლობით ასევე კლასის ნიშნებია) **ჟ** (**// ვ**), **ბ, დ, რ** საერთოა ლაკურისა და დარგულისათვის, ისევე როგორც სხვა დალესტნური ენებისათვის. ლაკურ და დარგულ ენებში აშკარად საერთოდალესტნური ფუძეებიდან ნამეკვიდრევი და შემონახულია სწორედ კლასის ნიშნები (სხვა მორფოლოგიური ელემენტების აღდგენა საერთოდალესტნური ერთობის ღონეზე ყოველთვის ვერ ხერხდება). ამათგან პირველადი და ამოსავალია **ჟ, დ, ბ, დ** ნიშნები, ხოლო **რ** ნიშანი მეორეულია: პროცესი **რ** ← **დ** წარმოადგენს საერთოდალესტნური ისტორიული ფონეტიკის მოვლენას, რომელიც ფართოდ მოქმედებდა ლაკურ და დარგულ ენებშიც.

გრამატიკული კლასის ფორმანტები (**ჟ , ბ, დ, რ**) ამჟამად გაქვავებული სახითაა შემორჩენილი ზოგიერთ სუბსტანტივშიც. ანალოგიურ ვითარებას გვიჩვენებს სხვა დალესტნურ ენათა ლექსიკური მასალაც:

ლაკ. უსაუ „ძმა“ ← *ჟ-უსაუ, შდრ. საუ „დად“; ბ-არდ „მზე“, ბ-არზ „მთვარე“, ბ-აკ „თავი“, ბ-არჰა „ზურგი“, ბ-ურჩუ „ტყავი“, ბ-არწ „მგელი“, დ-აკ „გული“, დ-უმ „ქალიშვილი“, ლას „ქმარი“ ← რ-ას, მურნ „ხე“ ←

*ბ-ურნ...

დარგ. უზი „ძმა“ ← *ჟ-უზი, შდრ. რ-უზი „დად“; ბ-ერჰი „მზე“, ბ-აც „მთვარე“, ბ-ეკ „თავი“, ბ-ეწ „მგელი“, ურკი „გული“ ← *რ-უკი, რ-ურსი „ქალიშვილი“ ...

არსებით სახელებში შემონახულ კლასის ნიშნებს რაიმე გარკვეული ფუნქცია დღეს აღარ გააჩნიათ.

რიცხვის კატეგორია

ლაკურსა და დარგუულში მრავლობითი რიცხვი გამოიხატება სპეციალური სუფიქსების მეშვეობით (არსებით სახელებში, ზედსართავებში, ნაცვალსახელებში, ზმნის პირიან ფორმებში) ანდა გრამატიკული კლასის ნიშნებით (კლასოვან ფუძეებში); ზოგ შემთხვევაში ორივე საშუალება ერთდროულად გამოიყენება, შდრ. ლაკ. იზა-რა-ა „მე ვლევები“, მაგრამ ბ-იზა-რუ „ჩვენ ვლევებით“. მრავლობითის გამოხატვა კლასის ნიშნებით უფრო ძველია, დამახასიათებელია სხვა ნახურ-დაღესტნური ენებისთვისაც და ფუძეენიდან ნამემკვიდრეც მოვლენას წარმოადგენს.

ლაკური ენა გამოიყენებს მრავლობითის ფორმანტთა დიდ რაოდენობას, განსაკუთრებით არსებით სახელებთან. მათი გამოყენების კანონზომიერებას ყოველთვის არ განსაზღვრავს სიტყვის სემანტიკური ან ფონეტიკურ-მორფოლოგიური თავისებურება. კანონზომიერებები ვლინდება მხოლოდ ზედსართავ სახელთა (სუფიქსი -ში) და ჩვენებით ნაცვალსახელთა (სუფიქსი -ჲ) მრავლობითის წარმოებისას.

მრავლობითი რიცხვი გამოხატავს როგორც დანაწევრებულ, ისე კრებით სიმრავლეს; შდრ. ლაკ. უსთაარ-თაღ „ხელოსნები“ (დანაწევრებული სიმრავლე) და უსთაარ-ნა-ჴულ „ხელოსნის ოჯახობა, ნათესაობა, ახლობლობა“ (კრებითი სიმრავლე) [აბდულაევი 2003: 9; აბდულაევი 2010: 66].

ლაკურ და დარგუულ ენებში მრავლობითი რიცხვის გამოხატვის სხვადასხვა საშუალებებისა და მრავალრიცხოვან ფორმანტთა არსებობა მეორეულ მოვლენად მიიჩნევა და აიხსნება რიგი გარემოებებით, გარკვეული ფონეტიკური პროცესებით (გაფრინდაშვილი 1953: 262; აკიევი 1964: 18; მურყელინსკი 1971: 73-77; ღვინჯილია 1978; აბდულაევი 2003: 9; აბდულაევი 2010: 70-76).

ლაკური ენის არსებით სახელებში მრავლობითი რიცხვის ნიშნებად (ღიალექტური მონაცემების გათვალისწინებით) გამოიყენება სამოცამდე ფორმანტი: -ვ, -ღ, -თ, -ღთ, -ნთ, -რუ, -ღუ, -ნუ, -ღუ, -თაუ, -რი, -დი, -თა, -ჴი, -ჴუ, -ართ, -ნნი (-ნდი), -ღრი, -თრი, -რთუ, -რღუ, -ითაუ, -რთაი, -გრუ, -ჴლუ, -ჴრუ, -ჴულ, -რულთ, -ღულთ, -ღივ, -ღივ, -თაივ, -რთაივ, -ღთივ, -თაღ, -თაღღ, -რეაღ, -რბაღ, -რდაღ, -ვარკ, -ბარკ, -თაირღუ [აბდულაევი 2003: 9; აბდულაევი 2010: 67-68].

მრავლობითის ნიშანთა ასეთი დიდი რაოდენობით არსებობა და გამოყენება არ არის განპირობებული სახელურ კლასთა სისტემითა და ოთხ კლასად სახელთა განაწილებით, თუმცა შეინიშნება, რომ ამა თუ იმ

სუფიქსის არჩევა შეიძლება შეპირობებულ იყოს საწარმოებელ ფუძეთა სემანტიკითაც ან, ნაკლებ შემთხვევაში, მათი ფონეტიკურ-მორფოლოგიური თავისებურებებითაც.

ადამიანის (პიროვნების) სახელთა მრავლობითისათვის ლაკურ ენაში დამახასიათებელია სუფიქსები -**თალ**, -**ვულ**, -**რვალ**, -**ვლუ** (-**ვრუ**), -**ლ**, -**ვარკ**, -**თაალ**, -**ლულთ**, -**ართ**, -**რვალ**, ხოლო ყველა დანარჩენი სუფიქსი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, დამახასიათებელია ნივთის (არაპიროვნების) სახელთათვის. სუფიქსები -**თ**, -**ლთ**, -**ნთ**, -**რი**, -**რუ** აწარმოებენ როგორც პიროვნების, ისე არა პიროვნების სახელებს, შდრ. ჩიჩუ-**ლთ** „მწერლები“ _ ბარზუ-**ლთ** „არწივები“, ცურქი-**ნთ** „ქურდები“ _ ლელუ-ხა-**ნთ** „ფრინველები“, ვუჟ-**რი** „მოხუცები“ _ ყაფ-**რი** „ქულები“, ლუმ-**რუ** „გოგობი“ _ ვუ-**რუ** „მინდვრები“...

პიროვნების სახელებთან ლაკურში ყველაზე მეტად გავრცელებული სუფიქსებია -**თალ**: ინსან-თალ „ადამიანები“, ჰაფისარ-თალ „ოფიცრები“... -**ვულ**: მუსა-ვულ „მუსავეები“, „მუსაანი“, -**რვალ** (ნათესაობის ლექსიკაში): უსუ-რვალ „ძმები“ ... მაგრამ პიროვნების ზოგიერთ სახელში გამოიყენება სუფიქსი -**რუ**: არს-რუ „ვაჟიშვილები, ძენი“, ლუმ-რუ „ქალიშვილები, ასულნი“, ლას-რუ „ქმრები“, ორგ-რუ „ბიჭები, შვილები“... ამასთან, ბრუნებისას ირიბი ფუძე მათ ისევე ეწარმოებათ, როგორც -**რვალ** სუფიქსიან ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვებს; შდრ. უსუ-რვალ „ძმები“ _ უსუ-რვა(ვ)რა-ლ „ძმებისა“ (მრავლ. რ. ნათ. ბრ.), მაგრამ შდრ. აგრეთვე ლუმ-რუ „ქალიშვილები, გოგობი“ _ ლუმ-ურვა(ვ)რა-ლ // ლუმ-ვა(ვ)რა-ლ (ვიწხ. ლუმ-ურბა-რა-ლ), არს-რუ „ვაჟიშვილები“ _ არს-ურვა(ვ)რა-ლ // არს-ვა(ვ)რა-ლ (ვიწხ. არს-ურბარა-ლ)...

სუფიქსები -**ლ**, -**რ**, -**ნ**, -**ი**, -**ვი**, -**მი**, -**სა** ლაკურ ენაში ეთნიკურ სახელებს აწარმოებენ: ქურა-ლ „ქურახელები“, შნდი-მი „ანდილები“, ბუში-ვი „ბოთლიხელები“, შნდარ-ვი „ანდალულები“, დარუ-სა „ხუნძები“ და სხვა.

ლაკურ ენაში ასეთი დიდი რაოდენობის მრავლობითის სუფიქსთა ფუნქციონირება მეორეული მოვლენაა, რაც განპირობებულია დიალექტური განსხვავებებით, ფონეტიკური პროცესებით, ორი სუფიქსის შეერთებითა და ახალი რთული სუფიქსის მიღებით. არაერთი სუფიქსი ისტორიულად წარმოადგენს ფონეტიკურ ვარიანტს (ალომორფს) ერთი და იგივე მორფოლოგიური ერთეულებისა.

ასე, მაგალითად, მრავლობითის სუფიქსები -**რუ**, -**დუ**, -**ლუ**, -**ნუ**, -**თუ** ისტორიულად ფონეტიკური ვარიანტებია -**რუ** სუფიქსისა. ასეთივე სუფიქსებია -**რი**, -**დი**, -**თი**, -(**ნ**)**ნი**, -(**დ**)**რი**, -**ლი**, რომლებსთვისაც ამოსავალია -**რი**. ამ სუფიქსთა თანხმონითი ელემენტები კი მიღებულია საწარმოებელი ფუძის

ბოლოკიდური თანხმონის გაკლენით, შდრ. ოლ-ლუ // ოლ-დუ „ძროხები“, ჩან-ნუ // ჩან-დუ „ფეხები“ და სხვა, ხოლო ფორმები ოლ-დუ, ჩან-დუ და სხვ. წარმოდგენილია დიალექტებში, კერძოდ, ვიწხიურში. თავად ეს **-რუ**, **-რი** ფორმანტები წარმოადგენენ ალომორფებს _ ვარიანტებს ერთი მორფოლოგიური ოდენობისა - **რV**, რომლის ხმოვნითი ელემენტიც განისაზღვრებოდა ფუძისეული ხმოვნის მიერ. ეს აფიქსი (**-რV**) სონორული თანხმონების მომდევნო პოზიციაში **-დV** სახით გამოდიოდა (ხოლო შემდგომ **დ→ლ→ნ→თ**) [აბულაევი 2010: 70-71].

ფონეტიკური ვარიანტები და ალომორფებია აგრეთვე სუფიქსები **-რდუ**, **-რთუ**, **-ლთუ**, **-ნთუ**. ამოსავალი მათთვის იყო სუფიქსი **-რდუ**, რომელიც, თავის მხრივ, რთული წარმოშობისაა. მრავლობითის აფიქსად მასში გამოიყოფა **-დუ** (**-რუ**), ხოლო ელემენტი **-რ** წარმოშობით ფუძისეულია: წა „სახელი“, მრ.რ. წა-რ-დუ „სახელები“; შდრ. ხუნძ. წარ „სახელი“, ლეზგ. ტჷარ „სახელი“...ფუძეში ბოლოკიდური ელემენტი დაკარგულია, მაგრამ მრავლობით ფორმაში, აფიქსის წინ შენარჩუნებულია [გაფრინდაშვილი 1953: 262; აკიევი 1964: 18]. შემდგომში **-რდუ** დამოუკიდებელ სუფიქსად იქცა და ბევრი სახელისაგან აწარმოა მრავლობითის ფორმები ანალოგიის პრინციპით [აბულაევი 2010: 71].

ბოლოკიდური **-ვ** ელემენტის შემცველი აფიქსები ლაკურში, როგორცაა **-თივ**, **-რთივ**, **-ლივ** წარმოადგენენ ფაკულტატიურ ელემენტებს **-უ** დაბოლოებიანი აფიქსებისა. უ გადაღის **ივ** კომპლექსში: **-თივ** // ← **-თუ**, **-ლივ** // ← **-ლუ**, **-რთივ** // **-რთუ**, **-ლთივ** // ← **-ლთუ**; შდრ. დავუ-რთივ // დავუ-რთუ „სამეშაობი“, თურულ-ლივ // ← თურულ-ლუ „დრუბლები“, ბურუნ-თივ // ბურუნ-თუ „ირმები“. **-ვ** სუფიქსის გამოჩენა ზოგიერთ სიტყვაში (ქაჩი-ვ „ძაღვები“, ტუტი-ვ „ყვავილები“) შესაძლოა ამავე სუფიქსებთან იყოს დაკავშირებული [აბულაევი 2003: 12-13].

-ვულ სუფიქსისგან არის მიღებული **-ვლუ** და **-ვრუ** (//← **-ვლუ**) მეტათეზისის შედეგად: ფაუ-ვულ →ფაუ-ვლუ „მამები, წინაპრები“.

აფიქსები **-ლთ** და **-თ** ასევე ალომორფული ვარიანტებია ერთი მორფოლოგიური ოდენობისა (**-ლთ**). პროცესი **-თ** ← **-ლთ** ხდება იმ შემთხვევაში, თუ **-ლთ** სუფიქსი აღმოჩნდება **ლ** ან **ნ** ბოლოკიდურ თანხმონიანი ფუძის შემდგომ: ზუზალა „მუშა“ _ ზუზა-ლთ „მუშები“, ხოლო **-ლთ** გვაქვს ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებთან: ჩიჩუ-ლთ „მწერლები“. **-ლთ** სუფიქსის ვარიანტად გვევლინება აგრეთვე **-(ა)რთ**: ლალ-ართ ← ლალ-ა-ლთ „მონები“.

არ არის გამორიცხული, რომ თვითონ სუფიქსი **-ლთ** წარმოშობით უკავშირდებოდეს პიროვნების სახელთა მრავლობითის **-თალ** სუფიქსს, რომელსაც ბოლოხმოვნიან სახელებში ფონეტიკური ცვლილებები შეიძლება განეცადა: მოხდა ხმოვნის რედუქცია (თალ → თლ), ხოლო ლაკურიისათვის არაბუნებრივ **თლ** კომპლექსში მოხდა მეტათეზისი (თლ→ლთ), ე.ი. ჩიჩუ-თალ → ჩიჩუ-თლ → ჩიჩუ-ლთ „მწერლები“.

-თალ სუფიქსის ვარიანტები უნდა იყოს აგრეთვე იშვიათად ხმარებული სუფიქსები **-თაალ** (ვირ-თაალ „გმირები“) და **-რ-დალ** (სიმი-რ-დალ „დიდგვაროვნები“: თალ → თაალ, რ-თალ → რ-დალ).

ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვათა მრავლობითობის **-რვალ** (← **-რბალ**) სუფიქსში შეიძლება გამოიყოს **-რვა-** ელემენტი, შდრ. ვინ-ი-რვა-ლ „ბიძაშვილები“ (მრ. ვინირვუ). იგივე ელემენტი აღდგება ზოგიერთი სახელის ირიბ ფუძეშიც (შდრ. ვიწხ. ღუმ-ურბა-რა-ლ _ ნათ. ბრ. ფორმა სახელისა ღუმ „ქალიშვილი“, „გოგო“). საკუთრივ მრავლობითობის სუფიქსი აქ უნდა იყოს ბოლოკიდური **-ლ** (**-რბა-ლ**), შდრ. აგრეთვე ჭახუ-ლ „მეზობლები“.

ზოგიერთი აფიქსი მიღებულია ორი ფორმანტის შერწყმით: **-თუ + -რუ → -თრუ**; **-რუ + -ლთ → -რულთ**;

-ვუ + -რღუ → -ვურღუ; **-თალ + -ლუ → -თაღლუ**; **-ვულ + -თ → -ვულ-თ**, შდრ. ხარაჟან-თ // ხარაჟან-თ-რუ „ხანჯლები“, ხაი-რუ // ხაი-რუ-ლთ „მტრელები“, შარ-ვუ // შარ-ვუ-რღუ „სოფლები“, ვაქილ-თალ // ვაქილ-თალ-ლუ „წარმომადგენლები“ ...

ამრიგად, ამოსავალ ფორმანტებად წინარე ლაკურ დონეზე აღდგება **-რუ, -ლ, -თალ, -ვულ** მორფემები. მრავლობითი რიცხვის სუფიქსთა მთელი მრავალფეროვნება სწორედ ამ ელემენტებიდან შეიძლება გამოიყვანებოდეს [აბულაევი 2010: 73].

სუფიქსი **-თალ** რთული აგებულებისაა, შედგება **-თ-** ელემენტისა (შდრ. დარგ. **-თი/ -თ**) და მრავლობითის **-(ა)ლ** აფიქსისაგან. ამ სუფიქსიან სახელებს ირიბ ფუძეში აქვთ ელემენტი **-თუ-რა-** (ჰალმას-თალ „ამხანაგები“ _ ნათ. ბრ. ჰალმას-თუ-რა-ლ „ამხანაგების“), შდრ. ასეთივე ელემენტი ხუნძური ენის ეთნიკურ სახელებში: ხუნზ-ღერ-ი-ლ (ნათ. ბრ. ფორმა სიტყვისა ხუნზ „ხუნძახელები“); შდრ. აგრეთვე ელემენტი **-ღირ-** მრავლობითის სუფიქსის წინ ანდიურ ენაში: ღალუ-ღირ-ალ „ღალათლები“.

სუფიქსი **-ვულ** აგრეთვე რთული ჩანს: **ვ + -(უ)ლ**, მაგრამ, ამავე დროს, ამდაგვარი სუფიქსი გვხვდება სხვა მონათესავე ენებშიც, შდრ. დარგ. **-ვალი** (**-ვალ, -ხალ**), არჩ. **-ხირ**, თაბას. **-ღარ** (**-ვარ**), ჩეჩნ. **-ღარ**, ადიღ. **-ხ** [აბულაევი 2010: 75].

წინარე ლაკურიისათვის აღდგება მრავლობითი რიცხვის რამდენიმე სუფიქსი: პიროვნების სახელთათვის დამახასიათებელი იყო **-ლ, -ვულ, -თალ**, ხოლო სხვა დანარჩენი არსებითი სახელებისათვის გამოიყენებოდა **-რუ (-რი)** [აბულაევი 2010: 76]. მრავლობითის მაწარმოებელ სუფიქსთა დიდი ნაწილისათვის ამოსავლად შეიძლება მიჩნეულ იქნეს სუფიქსი **-რუ (-რი)**. რიცხვის კატეგორიის განვითარების პროცესს თან ახლდა მრავლობითის სუფიქსთა ფონეტიკური ვარიანტების წარმოქმნა, მათი გამოცალკევება დამოუკიდებელ სუფიქსებად, ორი აფიქსის შერწყმა და ამ გზით ახალი აფიქსის გაჩენა, რამაც საბოლოოდ განაპირობა მრავლობითი რიცხვის ფორმანტთა მრავალფეროვნება და მრავალრიცხოვნობა ლაკურ ენაში.

დარგუული ენა გამოირჩევა მრავლობითის სუფიქსთა დიდი რაოდენობით, მაგრამ არა იმდენად როგორც ლაკური. დარგუულში გამოიყოფა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი ოცამდე სუფიქსი: **-ბი, -უბი, -რბი, -ურბი, -ნბი, -რთი, -ნთი, -ლთი, -ანი, -უნი, -მი, -ლუმი, -რუმი, -რი, -ი, -ვალი** [გაფრინდაშვილი 1953; ღვინჯილია 1978]. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხმოვან და თანხმოვან ელემენტებს, რომელთა მიმატებითაც მრავლობითის სუფიქსები რთულდება, მარტივი სუფიქსები იქნება რვა: **-ბი, -თ, -თი, -ნი, -მი, -რი, -ი, -ვალი** [აბულაევი 1954: 95].

სუფიქსი **-ბი** გვხვდება ხუნძურ ენაშიც, მაგრამ არ მოიპოვება ლაკურში. დარგუულში იგი საკმაოდ პროლექტიულია; ძირეული ლექსიკის გარდა, ამ სუფიქსს რეგულარულად დაირთავს რუსულიდან (ან რუსულის მეშვეობით) ნასესხებ სახელთა არც თუ მცირე ნაწილი: ჰულები „თვალები“, ჰურკ-ბი „მდინარეები“, უნრუ-ბი „მეზობლები“, გალგუ-ბი „ხეები“ ... ფართაბი „მერხები“ (რუს.), ბანქა-ბი „ქილები“ (რუს.), ფერო-ბი „კაღებები“ (რუს.), ფართიდა-ბი „პარტიები“ (რუს.)...

სუფიქსი **-რი** შედარებით იშვიათია: უნვ-რი „ბალები“, ბუნ-რი „მთვარეები“, „მნათობები“, გუნზ-რი „ნაბიჯები“...

-ბი და **-რი** სუფიქსები გართულებულია ხოლმე ხმოვნითი ან თანხმოვნითი ელემენტებით: **-რბი, -ურბი, -რუბი**: ვაფუ-რბი „ჭიშკრები“, უნზ-ურბი „კარები“, ანდ-ურბი „შუბლები“, ანკ-ურბი „თავთავები“...

-მი სუფიქსიანი თითქმის ყველა სახელი ბოლოხმოვნია: ჭი-მი „ძაფები“, ჰე-მი „თესლები“, ვუ-მი „ნათესები“, ში-მი „სოფლები“... სუფიქსი **-მი** მოიპოვება ლაკურშიც, ოღონდ ამ ენაში იგი გამოიყენება ეთნიკურ სახელთა მრავლობითის მაწარმოებელ აფიქსად. **-მი** სუფიქსი დარგუულში უფრო პროლექტიულია _ აწარმოებს არაერთი არსებითი სახელის მრავლობითს.

სუფიქსები **-ლუმი**, **-რუმი** მიღებული ჩანს სხვადასხვა აფიქსთა შერწყმით, რამაც გამოიწვია ფორმანტა გართულება: -ლუ + -მი, -რუ + -მი. აფიქსები **-ლუ**, **-რუ**, **-მი** მოეპოვება ლაკურ ენასაც.

დარგული ენის ძირეული ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს მოუდის აგრეთვე სუფიქსი **-ი**, რომელიც გვხვდება ხუნძურ ენაშიც, ოღონდ ხუნძურში ეს სუფიქსი, დარგული საგან განსხვავებით, არაპროდუქტიულია: დარგ. ბუწ-ი „მგლები“, ლუბშ-ი „თევზები“, ყულ-ი „ძროხები“, მუჰ-ი „რკინები“...

მრავლობითის მაწარმოებელ ელემენტად დარგულ ენაში შეიძლება გამოიყოს მორფოლოგიური ელემენტი **-თ-**, რომელიც ამჟამად გვხვდება გართულებული სახით, სხვა აფიქსთა ელემენტებთან შერწყმის გამოისობით. წარმოდგენილია შემდეგი სახით: **-თი**, **-რთი**, **-ლთი**, **-ნთი**. ასეთივე აფიქსები მოიპოვება ლაკურ ენაშიც.

სუფიქსი **-თი**: ჯათაჟ-თი „მეჭეჭები“, ჯაჯაჟ-თი „ყბები“, თუხუმ-თი „გვარი, თუხუმი“, ორცან-თი „ფრინველები“, ჩაღირ-თი „ღვინოები“, ლუგენ-თი „საკვები“, ჯანურ-თი „ლოქები“...

სუფიქსი **-რთი** ხშირია არაბულიდან ნასესხებ ლექსიკაში: ჰილლუ-რთი „ემშაკობები“, დაჟლუ-რთი „ნადავლები“, ჰაყლუ-რთი „ჭკუა-გონება“, ფიქრუ-რთი „ფიქრები“, ამრუ-რთი „ბრძანებები“, ზულმუ-რთი „ჩაგვრა“... სუფიქსი **-ლთი** ← **-რთი** დისიმილაციით: მინარუ-ლთი (← მინარუ-რთი) „მინარეთები“, იშარუ-ლთი (← იშარუ-რთი) „ნიშნები“, ბადირუ-ლთი (← ბადირუ-რთი) „ვედროები“ ... სუფიქსი **-ნთი** ← **-რთი** ნაწილობრივი ასიმილაციით: ჩაქმუ-ნთი „ჩექმები“ (← ჩაქმუ-რთი), ჩაღმუ-ნთი (← ჩაღმუ-რთი) „ჩაღმები“, ლუზმუ-ნთი (← ლუზმუ-რთი) „ენები“...

ამრიგად, საერთო-ლაკურ-დარგული ერთობის დონისათვის შეიძლება აღდგეს მრავლობითის მაწარმოებელ სუფიქსთა შემდეგი ელემენტები: **რ**, **ლ**, **თ**, **ი**, **-მი**, **-ჯ-**, ხოლო დანარჩენი აფიქსები მიღებულია ამ ამოსავალ ელემენტთა გართულების შედეგად.

ბრუნვის კატეგორია

ლაკური და დარგული ენებისათვის, სხვა დადესტურ ენათა მსგავსად, დამახასიათებელია სახელთა ბრუნების რთული და მრავალფეროვანი სისტემა.

ლაკურ ენაში ბრუნვები იყოფა ორ ჯგუფად: ძირითად ბრუნვებად, რომლებიც გამოხატავენ „გრამატიკულ მიმართებებს“ და ადგილობით (ლოკატიურ) ბრუნვებად, რომლებიც გამოხატავენ „სივრცობრივ“ მიმართებებს [თოფურია 1940: 331].

ძირითად ბრუნვებს განეკუთვნება:

სახელობითი _ *Ø* (არ მოეპოვება სპეციალური ნიშანი)

ნათესაობითი // ნათესაობით-ერგატივი _ *-ლ*

მიცემითი _ *-ნ*

სახ.	არს „ვაჟიშვილი“	ღუმ „ქალიშვილი“	ქა „ხელი“
ნათ./ერგ.	არს-ნა-ლ	ღუმ-ნი-ლ	ქა-ნი-ლ
მიც.	არს-ნა-ნ	ღუმ-ნი-ნ	ქა-ნი-ნ

ღარგუულ ენაშიც წარმოღვენილია ძირითადი და ადგილობითი (ლოკატიური) ბრუნვები.

ძირითადი ბრუნვებია:

სახელობითი _ *Ø* (არ მოეპოვება სპეციალური ნიშანი)

ერგატივი _ *-ლი* (// -ნი დისიმილაციით)

ნათესაობითი _ *-ლს*

მიცემითი _ *-ლი-ს / -ლი-მ*

სახ.	ადამ „ადამიანი“	ბეწ „მგელი“
ერგ.	ადამ-ლი	ბეწ-ლი
ნათ.	ადამ-ლს	ბეწ-ლს
მიც.	ადამ-ლი-ს	ბეწ-ლი-მ

ლაკურ ენაში, სხვა დალესტნურ ენათაგან განსხვავებით, არ მოგვეპოვება ერგატიული ბრუნვა. მის ფუნქციას ითავსებს ნათესაობითი ანუ ე.წ. „ნათესაობით-ერგატიული“ ბრუნვა. ივარაუდება, რომ ლაკურ ენასაც ისტორიულად მოეპოვებოდა ერგატიული ბრუნვის საკუთარი ფორმა, რომლის აფიქსის ნაშთებიც

შემონახულია ირიბ ფუძეთა აფიქსებში, ანუ ე.წ. „ჩანართ ელემენტებში“, რომლებიც წარმოდგენილია საბრუნებელ ფუძესა და ბრუნვის ნიშნებს შორის [ჩიქობავა 1967: 260].

„ჩანართ ელემენტებად“ ლაკურ ენაში ამჟამად გვევლინებიან როგორც ცალკეული ხმოვანი მორფემები, ისე თანხონისა და ხმოვნის შემცველი მარცვლები, ზოგჯერ ორმარცვლიანი მორფოლოგიური ელემენტები. „ჩანართ ელემენტთა“ რაოდენობა ლაკურში დიდია:

-ა- (ნიც „ხარი“ _ ნათ.-ერგ. ნიც-ა-ლ), -ი- (რლ „ძროხა“ _ ნათ.-ერგ. რლ-ი-ლ), -უ- (ჩაბ „პური“ _ ნათ.-ერგ. ჩაბ-უ-ლ), -და- (ჩან „ფეხი“ _ ნათ.-ერგ. ჩან-და-ლ), -ნა- (არს „ვაჟიშვილი“ _ ნათ.-ერგ. არს-ნა-ლ), -ნი- (ლუმ „ქალიშვილი“ _ ნათ.-ერგ. ლუმ-ნი-ლ), -ნუ- (ალჟან „სამოთხე“ _ ნათ.-ერგ. ალჟან-ნუ-ლ), -ლი- (ყაწ „პირი“ _ ნათ.-ერგ. ყაწ-ლი-ლ), -რა- (ბაკ „თავი“ _ ნათ.-ერგ. ბაკ-რა-ლ), -რუ- (კირიშივე „სიცხე“ _ ნათ.-ერგ. კირიშივ-რუ-ლ), -ირა- (მიკ „ყინული“ _ ნათ.-ერგ. მიკ-ირა-ლ), -დარა- (ბიძალა „ნება“ _ ნათ.-ერგ. ბიძალ-დარა-ლ), -თარა- (შა „ნაბიჯი“ _ ნათ.-ერგ. შა-თარა-ლ), -თუ- (აჟარი „მამალი“ _ ნათ.-ერგ. აჟარი--თუ-ლ), -უნნა- (ხაღყ „ხალხი“ _ ნათ.-ერგ. ხაღყ-უნნა-ლ), -ვა- (უ „ქერი“ _ ნათ.-ერგ. უ-ვა-ლ)...

არსებით სახელთა დიდი ნაწილი და ყველა ატრიბუტული სახელი ლაკურ და დარგულ ენებში იბრუნვის „ორფუძიანობის პრინციპით“, რაც სხვა დალესტნური ენებისთვისაც ნიშანდობლივია. გაირჩევა საბრუნებელი სახელის ორი ფუძე: სახელობითის ფუძე და ირიბ ბრუნვათა ფუძე.

ირიბი ფუძის წარმოების თავისებურებებისა და მისი საწარმოებელი ელემენტების ხასიათის მიხედვით ლაკურ ენაში გამოიყოფა ბრუნების ორგვარი ტიპი:

1. ატრიბუტული ბრუნება (ჩვენებითი ნაცვალსახელის ბრუნების ტიპი)
2. სუბსტანტიური ბრუნება

ატრიბუტული ტიპის მიხედვით იბრუნვის ლაკურში ყველა ატრიბუტული სახელი (ფართო გაგებით): ჩვენებითი ნაცვალსახელები, რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები, ზედსართავები, მიმღეობები, აგრეთვე, ზოგიერთი არსებითი სახელი _ პირთა სახელები, კრებითი სახელები, ეთნონიმები. ამ ტიპის ბრუნების ყველა სახელი იცვლება „ორფუძიანობის პრინციპით“ და მეორე ფუძის წარმოქმნა დაკავშირებულია სახელის კლასთან. მხოლოდობით რიცხვში გამოიყენება მორფემები („ჩანართი ელემენტები“): -ნა- (I კლასისთვის: ნათ.-ერგ. არს-ნა-ლ „ვაჟიშვილის“ // „ვაჟიშვილმა“, მიც. არს-ნა-ნ „ვაჟიშვილს“), -ნი- (II და IV კლასებისთვის: ნათ.-ერგ. ლუმ-ნი-ლ „ქალიშვილის“ // „ქალიშვილმა“, მიც.

ლუმ-ნი-ნ „ქალიშვილს“...ნათ.-ერგ. ვუ-ნი-ლ „მინდვრის“// „მინდორმა“, მიც. ვუ-ნი-ნ „მინდორს“), მრავლობით რიცხვში: **-ნა-** (აღამიანის სახელებისათვის), **-ნუ-** ან **-ნი-** (დანარჩენი სახელებისათვის).

სუბსტანტიური ტიპის მიხედვით იბრუნვის არსებითი სახელები, პირისა და კითხვითი ნაცვალსახელები. ამ ტიპის სახელთა ნაწილი იცვლება „ერთფუძიანობის პრინციპით“, ხოლო მეორე ნაწილი – „ორფუძიანობის პრინციპით“ ან აბლაუტური მონაცვლეობით. სუბსტანტიური ბრუნებისას ირიბ ფუძეთა წარმოება არ არის განპირობებული საბრუნებელი სახელის კლასით.

ლაკური ენის ბრუნების მორფემულ ინვენტარში ვლინდება როგორც საერთო-დაღესტნური ფუძეებიდან ნამემკვიდრევი, ისე საკუთრივ ლაკური აფიქსები, რომლებიც წარმოიქმნა ლაკურში მისი დაღესტნური ფუძეებიდან გამოცალკევების შემდგომ და დამოუკიდებელი განვითარების პირობებში.

ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტი **-ლ** ერთ-ერთი უძველესია ლაკური ენის მორფოლოგიურ სტრუქტურაში და შესატყვისები ეძებნება რიგ მონათესავე ენაში, შდრ. დარგუული **-ლა** და ხუნძური **-ლ**. ივარაუდება ამ **-ლ** მორფემის წარმომავლობითი კავშირი **-რ-** კლასის ნიშანთან [ბურჭულაძე 1986: 18].

მიცემითი ბრუნვის აფიქსი **-ნ** ლაკურში გვევლინება აგრეთვე მიმართულებითი ბრუნვის ნიშნად და ინფინიტივის აფიქსადაც. ამ ფორმანტისათვის ამოსავლად მიიჩნევა კლასის ნიშანი: **-ბ** → **-მ** → **-ნ** [ბურჭულაძე 1986: 19].

ლოკალიზაციის კატეგორია

ლაკურ ენაში ადგილობით (ლოკატიურ) ბრუნვებს განეკუთვნებიან სივრცითი მნიშვნელობის მქონე ღიდი რაოდენობის ფორმები, რომლებიც განაწილებულია სერიებად და გამოხატავენ ლოკალიზაციის სხვადასხვა ტიპებს:

სუპერესივი _ **-ა** „ზედ“

ინესივი _ **-ვ**, **-ვ(უ)**, ღიალ. **-ბუ** „შიგ“, „შიგნით“

სუბესივი _ **-ლუ** „ქვეშ“

პოსტესივი _ **-ხ** „უკან“

ადესივი _ **-ჭა** „საგანთან“, „საგნის გვერდით“

სუბ. ჭირა- ჲ „კედელზე“	ვათლუ- ჲ „სახლზე“
ინეს. ჭირა- ვ(უ) „კედელში“	ვათლუ- ვ(უ) „სახლში“
სუბ. ჭირა- ლუ „კედლის ქვეშ“	ვათლუ- ლუ „სახლის ქვეშ“
პოსტ. ჭირა- ხ „კედლის უკან“	ვათლუ- ხ „სახლის უკან“
ადეს. ჭირა- ჭა „კედელთან“, „კედლის გვერდით“	ვათლუ- ჭა „სახლთან“, „სახლის გვერდით“

ყოველ სერიაში მოიპოვება აგრეთვე ფორმები, რომლებიც გამოხატავენ „მდგომარეობას“ და „მიმართულებას“ _ „სად“, „საით“. შესაბამისად გამოიყოფა ფორმები:

- მიმართულებითი I _ **-ნ** „საგნისკენ“
- მიმართულებითი („კლასოვანი“) II _ **-ბ-ად** „საგნისკენ“
- გამოსვლითი _ **-ა // -ათუ** „საგნიდან“
- ტრანსლატივი _ **-ხ // -ხჭინ** „საგნის გავლით (გამჭოლ)“

მიმართ. I ვათლუ-**ვუ-ნ** „სახლისკენ“

მიმართ. II ვათლუ-**ვუ-ნ-მად** (← ბად) „სახლისკენ“

გამოსვლ. I ვათლუ-**ვ-ა // ვათლუ-ვ-ათუ** „სახლიდან“

ტრანსლ. ვათლუ-**ვუ-ხ // ვათლუ-ვუ-ხჭინ** „სახლის გავლით (გამჭოლ)“

დარგულ ენაში ადგილობითი (ლოკატიური) ბრუნვების ფორმათა საწარმოებლად გამოიყენება ერგატივის ფუძე, რომელსაც დართვის ლოკატიური ბრუნვის სხვადასხვა ნიშნები; ეს ფორმანტებია:

-ჩი სუფიქსი, რომელიც დარგულში პოლისემიურია, გამოხატავს სხვადასხვა ლოკატიურ მნიშვნელობებს _ „საგანთან“, „საგანზე, საგნის ზედაპირზე“, ე.ი. მისი მეშვეობით გამოიხატება როგორც ადესივი („-თან“), ისე სუპერესივი („-ზე“), მაგ., ლუღეშლი-**ჩი** „მამასთან“, უთალი-**ჩი** „სკამზე“ ...

-ხი ფორმანტი დარგულში იხმარება ტრანსლატივის მნიშვნელობით („გამჭოლ“, „გავლით“), მაგ., შაპარლი-**ხი** უყევს „ქალაქის გავლით (через город) წასვლა“.

-ჭი ან **-ჭი** ფორმანტები (ორივეს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს) გამოხატავენ ინესივს: ვად-**ჭი** „სახლში“, ქისმა-**ჭი** „ჯიბებში“ ...

-უ ფორმანტი გამოსატყვის სუბესივის მნიშვნელობას: სთოლლი-უ „მაგიდის ქვეშ“, გალგალი-უ „ნის ქვეშ“...

-ად სუფიქსი ასრულებს გამოსვლითის (ელატივის) ფუნქციას: ვულიჟ-ად „სახლიდან“, „შინიდან“, შაჰარლიზიჟ-ად „ქალაქიდან“, ისთოლლიუბ-ად „მაგიდის ქვეშიდან“.

ლაკურ ენაში ზოგიერთი ლოკატიური ფორმანტი წარმომავლობით უკავშირდება ზმნისართ-თანდებულებს: -დ ← ძალუ „ზედ“, -ლუ ← ლუვ „ქვეშ“, -ვ(უ) ← ვი-ვ „შიგნით“; ადესივის -ჭა მიღებულია -კა აფიქსისაგან: თაუ-ჭა-ნ ← თუ-კა-ნ „ჩემსკენ“. ეტიმოლოგიურად ეს მორფემა უკავშირდება სიტყვას კა-(ნ-უ) „ადგილი“.

ინესივის ფორმანტი -ვ(უ) ← -ბუ ისტორიულად მომდინარეობს -ბ კლასის ნიშნისაგან, რომელიც, დანარჩენ კლასის ნიშნებთან ერთად, ითავსებს ლოკატივის ფუნქციასაც, მაგრამ შემდგომ იგი განზოგადდა, გამოეცალა კლასის ნიშნის ფუნქცია და გადაიქცა ინესივის სპეციალურ ფორმანტად. ასეთი კლასოვანი ინესივი აღდება საერთო-დადესტნური ენობრივი ერთობის დონეზე. იგი კარგად არის შემონახული ხუნძურ ენაში, შდრ. როყ-ო-ჟ (როყ-ო-დ, როყ-ო-ბ) „შინ“, „სახლში“. ასეთივე ლოკატივი ფუნქციონირებს ლაკური ენის ბალხარულ დიალექტში, შდრ. ბარ-ა-ბ (I, III კლ.), ბარ-არ (II, IV კლ.) „ტბაში“, მაგრამ შდრ. სხვა დიალექტებში ბარ-ა-ვ (ყველა კლასისათვის). ოღონდ ბალხარულ დიალექტში არსებობს აგრეთვე განზოგადებული არაკლასოვანი ფორმანტი ინესივისა -ბუ, რომელიც შეესატყვისება -ბუ, -ვუ, -ვ სუფიქსებს სხვა დიალექტებში, შდრ. ჭირა-ბუ (ჭირა-ვუ // ჭირა-ვ) „კედელში“ [აბდულაევი 2003: 18-19].

სუპერესივის აფიქსი -დ შეეფარდება -ჰ(ი) ლოკატიურ აფიქსს დარგულ ენაში და აღდება -ჰ(→ -ჰ → -დ) არქეტიპის სახით საერთო ლაკურ-დარგულ დონეზე [აბდულაევი 2003: 19].

ალატივი II (კლასოვანი მიმართულებითი) იწარმოება ალატივი I-საგან -ად ← -ვად (I კლ.), -ნ-ად ← -დ-ად (II, IV კლ.), -მ-ად ← -ბ-ად (III კლ.) სუფიქსების მეშვეობით: ჭირაჭა-ნ-ად (ჭირაჭა-ნ-ნ-ად ← ჭირაჭა-ნ-დ-ად, ჭირაჭა-ნ-მ-ად ← ჭირაჭა-ნ-ბ-ად) „კედლისკენ“, „კედლის მიმართულებით“. -დ-ად, -ბ-ად მორფემათა ამოსავალი ვარიანტები შემონახულია ლაკურის რიგ დიალექტებში (ბალხარულში, ვიწხიურში), ხოლო ლუმუქურში გადავიდნენ -ნ-ად, -მ-ად ვარიანტებში. ამოსავალი ვარიანტი -ვ-ად მორფემის (I კლ.) ყველა დიალექტში გადავიდა -ად ვარიანტში. დარგულ ენაშიც მოიპოვება ასეთივე ალატივი, ნაწარმოები კლასოვანი აფიქსებისაგან -ჟაჰ, -ბაჰ, -რაჰ, -დაჰ (კუბარ.-ჟა, -ბა, -და, -რა), რომლებიც მასალობრივ და ფუნქციურად შეესატყვისებიან ზემოთმოყვანილ ლაკურ ალატივის აფიქსებს.

როგორც ჩანს, ისინი ორსავე ენაში საერთო წარმოშობისა და აღდგება საერთო ლაკურ-დარგულ ქრონოლოგიურ ღონეზე. ამ აფიქსებში ყურადღებას იპყრობს ბოლოკიდურ -ჰა (დარგულში) და -ა (ლაკურში)თანხმოვან ელემენტთა დამთხვევა ლოკატიურ ბრუნვათა ფორმანტებთან. ეს მორფემები შესაძლოა რთული შედგენილობისანი იყვნენ: -ჰა + -ჰა, -ვა + -ა და ა.შ.

აბლატივის -ა აფიქსს ლაკურ ენაში მოეპოვება ფაკულტატიური ვარიანტი -ათუ: ჭირა-ა-ა // ჭირა-ა-ათუ „კელიდან“. დარგულში მას შეესატყვისება სუფიქსი -ად, რომელიც ამოსავალი ჩანს ლაკურ-დარგულისათვის და ლაკურში მოხდა მისი დაყრუება და გაფშვინვიერება: -ად → -ათ (→ ათ-უ) [აბლუაევი 2003: 20].

ლაკური აფიქსი -შალ ← -ნ'ალ (ორგა-შალ „ბავშვთან ერთად“) რთული აგებულებისაა და შედგება აბლატივის სერიის -ნ' (← -ნ') ნიშნისაგან ნათესაობითი ბრუნვის, საგარემოებო მნიშვნელობით გამოყენებული, ფორმანტისაგან. ლაკური -შალ შესატყვისია დარგულის -ჩი-ლ (ზოგ დიალექტში -ცხი-ლ) და თაბასარანულის -ვ-დი „თანაობითის“ მნიშვნელობის გამომსატყველი სუფიქსებისა [აბლუაევი 2003: 20].

არაერთი ფორმანტი საერთო-დადესტნური ჩანს, რაც მიანიშნებს ლოკატიურ ფორმათა სიძველეზე ამ ენებში და მეტყველებს იმაზე, რომ ლაკურმა ენამ შემკვიდრეობით მიიღო ეს ეს ფორმანტები საერთო-დადესტნური ფუძე ენიდან. ასეთი ფორმანტებია პოსტესივის -ხ ← -ჰ, შდრ. ხუნდ. -ჰ, ანდ. -ჰ, დიდ. -ჰ, არჩ. -ჰ, ლეზგ. -ჰ; სუბესივის ფორმანტი -ლ(უ) ← ტი, შდრ. ხუნდ. -ტი, ანდ. -ტი, დიდ. -ლ', არჩ. -ტი, ალულ. -ქი, ლეზგ. -ქი. ადესივ III-ის -ნ' ← -ნ'ა ← -ლ', შდრ. ხუნდ. -ლ' //-ლ' [აბლუაევი 2003: 18].

4. სახელის მოფროლოგია: კლასის, რიცხვის, ბრუნვისა და ლოკალიზაციის კატეგორიები ლეზიურ ენებში

კლასის კატეგორია

4. 1. **ზოგადი დახასიათება.** გრამატიკული კლას-კატეგორია გამოიყენება არსებით სახელთა დაჯგუფების საშუალებად, გამსჭვალავს საკვლევ ენათა მთელ მოფროლოგიას და ძველისძველ კატეგორიას წარმოადგენს [ჩიქობავა 1979]. საფიქრებელია, რომ გრამატიკული კლას-კატეგორია თავდაპირველად სუბსტანტივთა სოციალური ღირებულების მიხედვით დაჯგუფებას ასახავდა.

აღსანიშნავია, რომ გრამატიკულ კლას-კატეგორიას არაერთი სპეციალური გამოკვლევა მიეძღვნა, მასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება სხვადასხვა აღწერითსა თუ ისტორიულ-შედარებითი ხასიათის ნაშრომებში, თუმცა ზოგიერთი საკითხი მაინც მოითხოვს სიღრმისეულ კვლევას.

4. 2. **კლასთა რაოდენობისა და განაწილების პრინციპის განსაზღვრისათვის.** გრამატიკული კლას-კატეგორია მოქმედია შვიდ ლეზიურ ენაში; ესენია: თაბასარანული (ჩრდილოური კილო), წახური, რუთულური, არჩიული, კრიწული, ბუდუხური, ხინალულური. ამთგან, თაბასარანულში ორკლასოვანი სისტემა დასტურდება, რომელიც გონიერისა და არაგონიერის (ადამიანისა და ნივთის) დაპირისპირებას ეფუძნება, ხოლო წახურში, რუთულურში, არჩიულში, კრიწულში, ბუდუხურსა და ხინალულურში ოთხკლასოვანი სისტემებია, რომლებშიც პირველი კლასი – მამაკაცსა და მასთან დაკავშირებულ სახელებს მოიცავს, მეორე – დედაკაცსა და მასთან დაკავშირებულ სახელებს, მესამეში – როგორც წესი, არაგონიერი ცოცხალი არსებები შედის და ზოგიერთი არაცოცხალი (ნივთები, მოვლენები, ცნებები), ხოლო მეოთხეში – ის ნივთები, მოვლენები და ცნებები (იშვიათად – ცოცხალი არსებებიც), რომელიც მესამე კლასში არ შედის. მესამესა და მეოთხე კლასებს შორის სახელთა გადანაწილების პრინციპი ბოლომდე არ არის ნათელი: როგორც ბ. თალიბოვი მიიჩნევს, წახურში გრამატიკულ კლასების განაწილების საფუძველს წარმოადგენს სემასიოლოგიური პრინციპი. ბ. თალიბოვის დაკვირვებით, სითხეების, მეტალის, ნალექის აღმნიშვნელი სახელები შედის IV კლასში, თუმცა შეინიშნება რამდენიმე გამონაკლისი [თალიბოვი 1961: 219].

წახურში კლასების მიხედვით სახელთა განაწილების პრინციპის მოძიება სცადეს გ. მელნიკოვმა და ა. ყურბანოვმა. მათ შემოგვთავაზეს ოთხკლასოვანი სისტემის ლიფერენციაციის სქემა ორი ნიშნის მიხედვით – გონიერება/არაგონიერების და აქტიურობა/პასიურობის [მელნიკოვი, ყურბანოვი 1964: 161]:

	გონიერება	აქტიურობა
I კლასი	+	+
II კლასი	+	-
III კლასი	-	+
IV კლასი	-	-

მსგავსი მოსაზრება შემოგვთავაზა დ. სამელოვმაც არჩიბული ენის ანალიზისას. მას მონხობილი აქვს შემდეგი ნიშნები: ნაწარმოებია თუ არა სახელი, მისი სიდიდე, სემანტიკური ანალოგია და კონკრეტულობა/აბსტრაქტულობა [სამელოვი 1975: 19–21].

მ. ალექსეევმა კლასთა შორის განაწილების პრინციპების გასარკვევად მიმართავს ისტორიულ-შედარებით ანალიზს. მკვლევრის აზრით, III კლასი შემდეგ სემანტიკურ ბუდეებს მოიცავდა: ცხოველების, ფრინველებისა და მწერების, მცენარეებისა და მათი ნაყოფის სახელწოდებებს, ციურ სხეულთა სახელებსა და სხვა სემანტიკურ ჯგუფებს. IV კლასში კი, მკვლევრის აზრით, შედიოდა ნივთიერებათა, დროის ერთეულთა, ნაგებობათა და მათთან დაკავშირებული სახელების, სამუშაო იარაღების აღმნიშვნელი სახელწოდებანი, აბსტრაქტული სახელები და სხვა ზოგიერთი სემანტიკური ჯგუფი. რაც შეეხება სხეულის ნაწილებისა და საშინაო მონხარების საგანთა სემანტიკურ ჯგუფებს, ისინი, მ. ალექსეევის მოსაზრებით, უკვე საერთოლუზგიურ დონეზე გადანაწილებულები იყვნენ მესამესა და მეოთხე კლასებს შორის (ერთი მხრივ – „თავი“, „თვალი“, „წვერი“... (III კლ.), ხოლო, მეორე მხრივ – „გული“, „ხელი“, „პირი“... (IV კლ.); „ცოცხი“, „ნემსი“... (III კლ.) და „დანა“, „მახათი“, „სვარცხელი“... – IV კლ.) [ალექსეევი 1985: 127–131].

თუ პირველსა და მეორე კლასში ერთი და იგივე ლექსემები შედის, მესამე და მეოთხე კლასებში შემავალი ლექსემების თვალსაზრისით ლუზგიურ ენათა შორის გარკვეული განსხვავებანი შეინიშნება. ყველაზე დიდ თავისებურებას ამ მხრივ არჩიბული ენა ავლენს. არჩიბულში ცხოველების (განსაკუთრებით – მცირე ზომის ცხოველთა), ფრინველების, მწერებისა და მათი ნაშიერების სახელწოდებანი მიეკუთვნება არა

III, არამედ IV კლასს. კრიწულში მარცვლეულთა და ზოგიერთი სხვა მცენარეთა სახელები შედის IV კლასში, მაშინ როდესაც ეს სემანტიკური ჯგუფები დანარჩენ ლეზგიურ ენებში მიეკუთვნება III კლასს. ასევე, აღსანიშნავია, რომ შეინიშნება თავკილურ ბაგისმიერ თანხმონიანი სახელების III კლასში გაერთიანების ტენდენცია, რომელიც განსაკუთრებით ხელშესახებია არჩიბულში.

4. 3. **გრამატიკული კლასის ნიშნების ფუნქციონირება.** ცნობილია, რომ კლას-ნიშნები დაჩნდება თითქმის ყველა ძირითად მეტყველების ნაწილთა სტრუქტურაში – არსებით, ზედსართავ, რიცხვით სახელებსა და ნაცვალსახელებში, აგრეთვე, ზმნისართებში. კლასიფიკატორთა ფუნქციონირება უფრო მეტად ხელშესახებია ზმნასა და ნაზმნარ სახელებში მათი დისტრიბუცია, როგორც წესი, ანლაუტითა და აუსლაუტით შემოიფარგლება, თუმცა არ არის გამორიცხული მათი ინფიქსად გამოყენება.

ლეზგიური ენები კლასის ნიშანთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც ართულებს არქეტიპების გამოვლენას: რუთულურში პირველი კლასის ფორმანტებია: ა, რ, ბ, ვ, ი, ძ; II კლ. – რ, ა; III კლ. – ბ, ვ; IV კლ. – ა, რ, დ, ბ, ძ; მრავლობითში – დ (I-IV კლ.) [ჯეირანიშვილი 1967: 582].

წახურში: I კლ. – რ, ა, ძ; II კლ. – რ, ა (ამ კლასს აღნიშნავს აგრეთვე შესაბამისი მარტივი ხმოვნისაგან მიღებული წინა რიგის გრძელი ხმოვანი); III კლ. – ბ (მ), ვ (ამ კლასს აღნიშნავს აგრეთვე შესაბამისი მარტივი ხმოვნისაგან მიღებული უკანა რიგის გრძელი ხმოვანი); IV კლ. – ა, ძ, დ (თ, ტ, ლ, ჩ); მრავლობითში I-II კლასში გამოიყენება III კლასის მავარმოებლები, ხოლო III-IV კლასში – IV კლასის ფორმანტები [თალიბოვი 1967: 594].

არჩიბულში: I კლ. – ვ (ნაცვალსახელებში, ზედსართავ და რიცხვით სახელებში, ზმნებში), უ (მხოლოდ ზმნებში); II კლ. – რ, დ (მხოლოდ ნაცვალსახელებსა და ზედსართავ სახელებში), ძ (მხოლოდ ზმნებში); III კლ. – ბ, ვ, ძ (ვ და ძ – მხოლოდ ზმნებში); IV კლ. – თ (ნაცვალსახელებსა და ზედსართავ სახელებში), ტ (რიცხვით სახელებში), ძ (ზმნებში); მრავლობითში – ბ (I-IV კლ.) [ხაიდაკოვი 1967: 610].

ბუღუხურში: I კლ., მხ. რ. – რ, ლ; მრ. რ. – ბ, ფ, დ; II კლ., მხ. რ. – ბ, ფ; მრ. რ. – ბ, რ, ფ; III კლ., მხ. რ. – ბ, ფ, ლ; მრ. რ. ბ, ფ; IV კლ., მხ. რ. – ბ, ფ, ლ; მრ. რ. – ბ, ფ [დუშერიევი 1967: 646].

ხინალუღურში: I კლ., მხ. რ. – ძ, ა; ლუ; მრ. რ. – ძ, ბ, ფ, ვ, ფ; ლურ; II კლ., მხ. რ. – რ, ც, ზ, ს; დ; მრ. რ. – ძ, ბ, ფ, ვ, ფ; ლურ; III კლ., მხ. რ. – ძ, ბ, ფ, ვ, ფ; დ; მრ. რ. ძ, ა; ჟით; IV კლ., მხ. რ. – ძ, ა; ჟით; მრ. რ. – ძ, ა; ჟით [განიევა 2002: 474].

თაბასარანულში: I კლ. – დ, რ, ა; II კლ. – ბ, უ, ფ; მრ. რ. – დ, რ, ა (I-II კლ.).

4. 4. გრამატიკული კლას-კატეგორიის „გაქვავებულ“ ფორმანტთა საკითხისათვის. კლასის ფორმანტთა მრავალფეროვნებიდან გამომდინარე ლეზგიურ ენებში, კლას-კატეგორიის ნიშანთა რეკონსტრუქციისათვის უპირველეს მნიშვნელობას იძენს გაქვავებული ექსონენტების გამოყოფა არსებით სახელებსა თუ სხვა მეტყველების ნაწილებში. მ. გაჯიევი ლეზგიურ ენაში გაქვავებულ კლასიფიკატორებს გამოყოფს შემდეგ სიტყვებში: ვ-არზ „მთვარე“, რ-იკ „გული“, დ-აქ „ხორცი“ და სხვ. [გაჯიევი 1958: 221]. უ. მელიანოვა აფართოვებს ასეთ ლექსემათა წრეს შემდეგი მაგალითებით: დ-აც „ხარი“, ვ-აქ „ლორი“, რ-ად „ნაწლავი“ და სხვ. [მელიანოვა 1964].

ა. მაჰომეტოვი თაბასარანულ ენაში კლასის გაქვავებულ პრეფიქსებს შემდეგ სიტყვებში ვარაუდობს: დუკ „გული“, აქ „ხორცი“, რიდ „მზე“, დის „წელიწადი“, დიშ „ღამე“ [მაჰომეტოვი 1965: 89], ხოლო ალულურში – შემდეგ სიტყვებში: აქა „ხორცი“, ად „დე“, რუჭ „თრთვილი“, დუკ „ფეთვი“, ვაზ „მთვარე“, „თვე“, მაჟარ „ჭინჭარი“, ნექა „რძე“, ნის „ყველი“, ლუფ „მტრელი“ და სხვ. ამრიგად, მკვლევარი ალულურ ენაში შემდეგ კლასოვან პრეფიქსებს გამოყოფს: დ-, რ-, დ-, ნ-, ლ-, ბ-, ჟ-, მ- [მაჰომეტოვი 1970: 48]. ამას გარდა, ლეზგიურ ენებში კლასის გაქვავებულ ექსონენტთა გამოყოფისათვის იხ.: [მელიანოვა 1962; მაჰომეტოვი 1962; ალიპულატოვი 1974].

გ. იბრაჰიმოვი წახურში ძირითა სტრუქტურის ანალიზის შედეგად აკეთებს განზოგადებულ დასკვნას; მკვლევრის აზრით, CVC ტიპის ძირებში თავკადური ან ბოლოკიდური სონორი და მჟღერი ლაბიალური და დენტალური ხშული ყოველთვის ან გაქვავებული კლასიფიკატორია (ბ, ვ, დ, რ, ა), ანდა დეტერმინატივი (ლ, რ, მ, ნ) [იბრაჰიმოვი 1981: 27]. მოღელი კლასოვანი პრეფიქსი + ძირი ივარაუდება საერთოდად ლეზგიურ ქრონოლოგიურ დონეზეც [ლექსიკა 1971: 62–67].

კლასის გაქვავებული ექსონენტები ივარაუდება აგრეთვე იმ ლეზგიური ენების ზმნურ ფორმებში, რომლებშიც დღეს კლას-კატეგორია არ არის მოქმედი; ასე, მაგალითად, ეკვ. ჯეირანიშვილი უდიურში გამოყოფს გაქვავებულ კლასის ნიშანთა მთელ წყებას: ა-, ე-, უ-, უ^ნ-, ბა-, ბე-, ბი-, ბო-, ბო^ნ-, ბუ- [ჯეირანიშვილი 1971: 112–113].

არსებით სახელებში კლას-კატეგორიის ფორმანტთა გამოყოფის საფუძველს წარმოადგენს, ერთი მხრივ, სხვადასხვა თანხმონების არსებობა საერთო ძირების თავკიდურ ან ბოლოკიდურ პოზიციამში,

რომელთა ურთიერთდაკავშირება ოდენ ფონეტიკური თვალსაზრისით შეუძლებელია (მაგ., ლეზგ. დ-უკ: დარგ. დ-ეკ: ლაკ. ნ-აკ „დაყვი“, „არშინი“ და სხვ.), ხოლო, მეორე მხრივ, ეს თავკიდური ან ბოლოკიდური თანხმოვნები იმავე ან სხვა ენებში ფუნქციონირებენ როგორც გრამატიკული კლას-კატეგორიის მოქმედი ფორმანტები.

საყურადღებო დაკვირვება ეკუთვნის ჯ. ნიკოლსს: მკვლევრის დათვლით, ნახურ ენებში დ თავკიდურიანი სახელების 67 % ეკუთვნის დ კლასს (მოსალოდნელი რიცხვი – 36 %), დ თავკიდურიანი სახელების 72 % – დ კლასს (მოსალოდნელი 44 %), ხოლო ბ თავკიდურიანი სახელების 33 % – ბ კლასს (მოსალოდნელია 20 %) [ნიკოლსი 1989: 166]. ასევე დ. სამელოვი შენიშნავს, რომ სახელები, რომელიც ბ ან მ ბაგისმიერი თანხმოვნებით იწყება, როგორც წესი, მიეკუთვნება III კლასს [სამელოვი 1975: 22].

მ. ალექსეევს ეჭვი ეპარება, რომ საერთოლეზგიურ ღონეზე კლასის ფორმანტით არსებითი სახელი ყოფილიყო მარკირებული. მკვლევრის აზრით, კლასის ფორმანტი დასტურდება მხოლოდ ზმნური წარმოშობის არსებით სახელებში (მათ შორის, ისეთ სახელებში, რომელიც ქმნის ოპოზიციას კლასის ფორმანტის მიხედვით: „ვაჟიშვილი“ – „ქალიშვილი“; „ძმა“ – „და“. ეს სახელებიც მკვლევარს „ნაზმნარად“ მიაჩნია) და, ამას გარდა, როგორც მკვლევარს მიაჩნია, საერთოლეზგიურში პოსესიური ფუნქციაც ჰქონდა, რომელიც ზოგიერთ ლექსემაში გაქვავებული ფორმანტის სახით შემოგვრჩა (მაგ., ლეზგ. რუქუნ (II კლ.): წახ. ვუნუნ (I კლ.) „მუცელი“ [ალექსეევი 1985: 62]). თავის ამ მოსაზრებას მკვლევარი ზოგიერთი ლექსემის რეკონსტრუქციით ასაბუთებს, რომელიც თითქოსდა არ განეკუთვნება „თავის“ კლასს, მაგ.: ს.ლ. *და „დედა“ (II კლ.); *დამც „ხარი“, „კამეჩი“ (III კლ.); *დიჩინ „სახე“ (III კლ.); *რის „ბილიკი“ (III კლ.); *მარლ^o „წვიმა“ (IV კლ.); *მირყ^o „ჟანგი“ (IV კლ.); ფაფა „დედა“, „ქალი“, „ბებია“ (II კლ.) და სხვ. [ალექსეევი 1985: 61].

საერთოლეზგიურ დანეზე უეჭველად აღდება ოთხკლასოვანი სისტემა. ეს იმით დასტურდება, რომ ექვს ლეზგიურ ენაში, როგორც უკვე აღინიშნა, ოთხ-ოთხი კლასი გვაქვს. ორკლასოვანი სისტემა თაბასარანულში, ისევე როგორც გრამატიკული კლასების მოშლა ლეზგიურში, ალუღურსა და უდიურში – ინოვაციას წარმოადგენს. საყურადღებოა, რომ გრამატიკული კლას-კატეგორია მოქმედა სამ ერთეულში იმ ოთხიდან, რომელიც საერთოლეზგიური წინაწეინის დაშლის შედეგად წრმოიქმნა (სამურული ენები, არჩიბული, ხინალლური). კლას-კატეგორიის არსებობა სავარაუდებელია უდიურისა და კავკასიის ალბანურისათვის, მით უფრო, რომ კავკასიის ალბანურში ნაცვალსახელთა სისტემაში შემონახულია მისი

გამოვრიცხავთ *ღ > *რ უფრო ადრინდელ პროცესს – იხ.: [ჩიქობავა 1979: 122]). საფიქრებელია, რომ ეს პროცესი ლაკურის გავლენით განვითარდა.

III კლასი: *ბ – რუთ. ბ/ჟ/ღ: წახ. ბ/ჟ (ღ): კრიწ. ბ/ჟ (ღ): ბუღ. ბ/ღ: ხინ. ბ (/ფ)/ჟ (/ფ): არჩ. ბ. ბ-პრეფიქსი გაქვავებული სახით კავკასიის ალბანურსა და უდიურში დასტურდება: კავკ.-ალბ. ბე^ლ: უღ. ბეღ^ლ „მზე“; შღრ. ლეზგ. რაღ: რაჯინი: თაბ. რიღ: აღ. რაღ: რუთ. ჟირიღ III: წახ. ჟირიღ // ჟერღ III: არჩ. ბარჯ, ბერჯე III: კრიწ. ჟირაღ III: სხვ. დაღ.: ხუნძ. ბაყა და სხვ.

კავკ.-ალბ. ბულ: უღ. ბულ (< *ბუყულ) „თავი“; შღრ. ლეზგ. ყიღ: თაბ. კულ: აღ. კიღ: რუთ. ჰუყულ III (< *ჰუყულ): წახ. ჰუყულ III: კრიწ. ყწღღ, ყწღღი III: ბუღ. ყწღღ III: სხვ. დაღ.: ხუნძ. ბეტერ: ლაკ. ბაკ და სხვ.

ბ კლასის გაქვავებული ნიშანი სხვა თაბასარანულ და (ზღგჯერ) ბულუხურ ენებშიც გამოიყოფა (1-10, 20 რიცხვით სახელებში), ოღონდ სფიქსის სახით: ლეზგ. ჯ^Wე-ღ: თაბ. ჟწღღ-ბ: ლიუბ. ჟწღღ-ჰ: აღ. ყწღღ-ღ; ბურმ. ყწღღ-რ: ლუთ. ჯ წღღ^W-ღ: წახ. ყწღღ-ღღღღ: არჩ. ჯ წღღ^Wე: კრიწ. ჯ^W-ღ: ბუღ. ყა-ბ: კავკ.-ალბ. პა^ღ: უღ. ფ აწღღ (< *ყ^Wა); სხვ. დაღ.: ხუნძ. კი-გო „ორი“ და სხვ.

„ოთხი“ ლეზგ. ყუ-ღ: თაბ. დუყუ-ბ: აღ. დაყუ-ღ: რუთ.ღდუყუ-ღ: წახ. დოყუ-ღღღღ: არჩ. ებყ: კრიწ. დუყუ-ღ: ბუღ. დუყუ-ბ: კავკ.-ალბ. ბიპ: უღ. ბიფ (< *ბიყ^W); სხვ. დაღ.: ლაკ. მუყ და სხვ.

III კლასის ნიშანი ლეზგიურ ენებში ორი ძირითადი ფორმანტიტაა წარმოდგენილი (არჩიბულისა და კავკასიის ალბანურის/უდიურის გამოკლებით): ბ და ჟ. ეს იმითაა გამოწვეული, რომ საერთოლეზგიური (= საერთოდალესტნური) *ბ სიტყვის ანლაუტში და უკანა რიგის უმახვილო ხმოვნების წინ რეგულარულად გვაძლევს ჟ ბერას. ეს გადასვლა არ დასტურდება კავკასიის ალბანურ, უდიურსა და არჩიბულ ენებში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული პროცესი განვითარდა ამ ენების საერთოლეზგიური ერთობიდან გასვლის შემდეგ; იხ.: [გიგინეიშვილი 1977: 75-76].

IV კლასი: *ღ – რუთ. ღ/ღ (/ჰ/ღ): წახ. ღ/ღ: კრიწ. ღ/ჯ/ღ (/ღ): ბუღ. ღ/ღ: ხინ. ღ/ღ: არჩ. თ/ტ/ღ. -ღ გაქვავებული კლასის სუფიქსი დასტურდება ლეზგიურ, აღულურ და ზოგიერთ სხვა ლეზგიურ ენაში (1-10, 20 რიცხვით სახელებში): ლეზგ. ფ უ-ღ: თაბ. შუბუ-ბ: აღ. წღღღ-ღ: ბურმ. შიბუ-რ: რუთ. წღღღ-ღღღღ-

დ: წახ. 𐌆𐌺𐌸𐌹𐌺-ლლ𐌵: არხ. 𐌱𐌺: კრიწ. შიბი-დ: ბუღ. შუბუ-დ: კავკ.-ალბ. ხიბ: უდ. ხიბ: სხვ. დად.: ხუნდ. 𐌱𐌺-გო „სამი“ და სხვ.

„ხუთი“ ლეზგ. 𐌵𐌺-დ: თაბ. 𐌆𐌺-ბ: ლიუბ. 𐌆𐌺-𐌵: აღ. შა-ტუ-დ: რუთ. 𐌆𐌺-დ: წახ. 𐌆𐌺-ლლ𐌵: არხ. 𐌱𐌺, 𐌱^wედ-ტუ: კრიწ. 𐌵𐌆-დ: ბუღ. 𐌵𐌆-დ: ხინ. ფწუ (< *ფქუ): კავკ.-ალბ. ჯო: უდ. ჯო; სხვ. დად.: ლიდ. 𐌱𐌺-ნო და სხვ.

საყურადღებოა არჩიულში დადასტურებული IV კლასის ნიშნები თ და ტ. მათი გენეზისი *დ მაწარმოებლისგან არ უნდა გამომდინარეობდეს ოდენ ფონეტიკური პროცესებით, არამედ – მორფოლოგიურითაც. საფიქრებელია, რომ *დ > თ/ტ-ში გადავიდა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც -დ არჩიულში II კლასის ნიშნად მოგვევლინა.

სამეცნიერო ლიტერატურაში იყო ცდა საერთოლუზგიური სათავის არა ერთი, არამედ კლასის ნიშანთა ორი სერიის პოსტულირებისა. მ. ალექსეევის აზრით, საერთოლუზგიურში აღდგება კლასის ფორმანტა ორი სერია: „ძლიერი“ და „სუსტი“ [ალექსეევი 1985: 90–95]. მკლევარი შემდეგ მაწარმოებლებს ვარაუდობს თითოეული ამ სერიისთვის:

	„ძლიერი“ სერია	„სუსტი“ სერია
I	*რ	*უ
II	*რ	*რ
III	*ფა	*ვ
IV	*თა	*ღ

კლასის ნიშანთა „ძლიერი“ სერიის პოსტულირება ეყრდნობა რუთულურის, წახურის, კრიწულისა და ბულუხურის ჩვენებას (რაც უკვე აღძრავს ეჭვს ამ რეკონსტრუქციის მართებულობაში. ის არ იყენებს არც არჩიულის, არც ხინალულურის და არც უდიურის მონაცემებს, რაც თავისთავად ბადებს კითხვას – რამდენად დასაშვებია, რომ საერთოლუზგიური რეკონსტრუქცია მხოლოდ სამურული ენების ჩვენებას ეყრდნობოდეს და, ამასთან ერთად, არ მიმართავდეს გარე რეკონსტრუქციის მეთოდს?).

	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.
*რ	რ	რ	რ (∅ – I; ბ – II)	რ (∅ – I)
*ფა	ბ	ბ	ბ	ბ
*თა	ღ/∅	ღ	ღ/ჯ/∅	ღ/∅

„სუსტი“ სერიის რეკონსტრუქცია კი, თავის მხრივ, ეყრდნობა რუთულურის, წახურის, კრიწულის, ბულუხურისა და არჩიბულის ჩვენებას:

	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	არჩ.
*ჟ	ჰ/ღ/∅	∅	ღ/∅	∅	ჰ
*რ	რ	ღ/∅	–	რ	ღ/რ
*ვ	ვ	ვ/∅	ვ (∅)	ვ (∅)	ბ
*ღ	ჰ/ღ/∅	∅	ღ/∅	∅	∅

უნდა აღინიშნოს, რომ ვერ ვხედავთ ვარანაირ საფუძველს, რომ კლასის ნიშნთა ორი სერია აღვადგინოთ. როგორც უკვე აღინიშნა, სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია ბ : ჟ შესატყვისობა ლეზგიურ ენებში და ამოსავლად ბ ბგერაა მიჩნეული, რასაც უეჭველად ცხადყოფენ სხვა დალესტური ენების მონაცემები; იხ.: [გიგინეიშვილი 1977: 75-76]. ასევე, მკვლევარს „გამორჩა“ არჩიბული IV კლასის ფორმანტები თ და ტ, რომლებიც IV კლასის ფორმანტად ღ პოსტულირების საშუალებას არ გვაძლევს. ღ სონანტით ხმოვნის შემართვა ანლაუტში რუთულურსა და კრიწულში ჩვეულებრივი მოვლენაა (შდრ. I და IV კლასის ნიშნები რუთულურსა და კრიწულში). გასათვალისწინებელია ისიც, რომ *ღ ფორმანტი გაქვავებული სახით გვხვდება სახელებში, განსაკუთრებით – რიცხვით სახელებში. ამასთან, რუთ. ბ : წახ. ბ : კრიწ. ბ : ბუდ. ბ, ერთი მხრივ, და რუთ. ღ : წახ. ღ : კრიწ. ღ/ჯ : ბუდ. ღ შესატყვისობათა შემთხვევაში უცნობია, თუ რატომ ადადგენს მკვლევარი ინტენსიურ *ფა და *თა ნიშნებს და არა *ბ და *ღ ფორმანტებს. ამრიგად, III და IV კლასში მ. ალექსეევის მიერ შემოთავაზებული სერიის „დამადასტურებელ“ ორგვარი შესატყვისობების მიხედვით აღდება ერთი და იგივე ნიშნები: *ბ – III კლასისთვის და *ღ – IV კლასისთვის. რაც შეეხება I და II კლასის ნიშნებს, მათი უნიფიკაცია სამურულ ენებში აშკარა ინოვაციას

წარმოადგენს – იგი არ დასტურდება არათუ დაღესტნური ენების სხვა ჯგუფებში, არამედ არჩიბულსა და ხინალულურშიც კი.

ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია მაგალითები, რომლებშიც ე.წ. ძლიერი სერიის ნიშნები ამა თუ იმ ენის სხვა ენებში შეესატყვისება „სუსტი“ სერიის ნიშნებს, ან პირიქით; მაგ.:

წახ. ა-ჟ-ტგლ ~ რუთ. სი-ბ-ტას: არჩ. ე-ბ-ტმუს: კრიწ. აუ-ბ-ტულიჯ: ბუდ. ვე-ბ-ტილ „შეკვრა“;

რუთ. სი-ჟ-ჩეს: წახ. ვ^ნ-ჟ-ჩგ ~ სა-ბ-ჩაჯ: ბუდ. სე-ბ-ჩე „ლზობა“;


რუთ. ა-ჟ-ლტას ~ ბუდ. ყა-ბ-ლუ- „დასმა“;

რუთ. სა-ჟ-ხას: კრიწ. ასრიჯ: ბუდ. ოხურ- ~ არჩ. ა-ბ-ხას „დაწოლა“...

რიცხვის კატეგორია

4. 1. **ზოგადი.** ლეზგიურ ენებში, ისევე როგორც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, ორი რიცხვი დასტურდება – მხოლოებითი და მრავლობითი. მხოლოებითისა და მრავლობითი რიცხვის დაპირისპირება შეიძლება იყოს გამონათული როგორც მორფოლოგიურად, სპიციალური აფიქსების მეშვეობით (არსებითი სახელებში, ზედსართავი სახელებში, ზოგიერთ რიცხვით სახელსა და ზმნაში), ისე ლექსიკურად (ნაცვალსახელთა, რიცხვით სახელთა და ზოგიერთი ზმნისართის მეშვეობით). აფიქსით ყოველთვის გადმოიცემა მრავლობითი რიცხვი, ხოლო მხოლოებითი ყოველთვის არამარკირებულია. ირიბ ბრუნვათა ფორმებში მრავლობითის აღმნიშვნელი აფიქსი ყოველთვის წინ უსწრებს ბრუნვის ნიშანს.

4. 2. **მრავლობითი რიცხვის წარმოება კლასის ექსპონენტებით.** კლასის ნიშნებით მრავლობითობა გამოიხატება ატრიბუტულ სახელებში, ზმნასა და ნაზმნარ სახელებში. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში ივარაუდება, ოთხკლასიან სისტემებში თავდაპირველად უნდა მომხდარიყო ნივთთა (III, IV) კლასის ნიშანთა განზოგადება და გამოყენება მრავლობითობის აღსანიშნავად [ლიუმეზილი 2015: 45; ჩიქობავა 1937: 97-106]. სავარაუდებელი სისტემა შეიძლება ასეთი სქემის სახით წარმოვადგინოთ:



ეს სისტემა დღეს დაცულია წახურსა და შაჰდაღის ენებში (კრიწული, ბუღუხური, ხინალუღური). წახურში მრავლობითში I-II კლასში გამოიყენება III კლასის მაწარმოებლები – რ, ღ (ამ კლასს აღნიშნავს აგრეთვე შესაბამისი მარტივი ხმოვნისაგან მიღებული წინა რიგის გრძელი ხმოვანი), ხოლო III-IV კლასში – IV კლასის ფორმანტები – ღ, ჟ, ლ (თ, ტ, ლ, ჩ).

კრიწულში I-II კლასში გამოიყენება III კლასის ფორმანტი – ბ, ხოლო III-IV კლასში – IV კლასის მაწარმოებელი – ლ/ღ.

ბუღუხურში I-II კლასში გამოიყენება III კლასის ნიშანი – ბ, ხოლო III-IV კლასში – IV კლასის ფორმანტი – ღ.

ხინალუღურში – I-II კლასის მრავლობით რიცხვში III კლასის ფორმანტები – ჟ, ბ, ფ, ვ, ფ, ხოლო III-IV კლასის მრავლობით რიცხვში IV კლასის ნიშნები – ჟ, ღ; უით.

დანარჩენ ლეზგიურ ენებში შეინიშნება კლასიფიკატორების უნიფიკაციის ტენდენცია მრავლობით რიცხვში. რუთულურში გამოიყენება IV კლასის ფორმანტები (და ლ კლასიფიკატორი, რომელიც მხოლოდობით არ დასტურდება), ამასთან, რუთულურში განსხვავდება I-II კლასის მრავლობითი და III-IV კლასში შემავალ სულიერ არსებათა და უსულო საგანთა მრავლობითი. I-II კლასში მრავლობითის ფორმანტებად გვევლინება ღ/ლ, III-IV კლასში შემავალ სულიერთა მრავლობითად – ლ/ჰ/ღ ნიშნები, ხოლო III-IV კლასში შემავალ უსულო საგანთა მრავლობითად – ღ/ჟ/ჰ/ღ და ეს ფორმანტები ზუსტად შეესატყვისება IV კლასის მაწარმოებლებს მხოლოდობითში.

არჩიულში კი კლასიფიკატორების უნიფიკაცია დასრულებულია – მრავლობითში ყველა კლასისთვის გამოიყენება ბ კლასიფიკატორი, რომელიც III კლასის ფორმანტს წარმოადგენს.

თაბასარანულში მრავლობითის ნიშნებად I-სა და II კლასში გვევლინება I კლასის ფორმანტები ღ, რ, ღ, რომლებიც ისტორიულად IV კლასის ფორმანტსა (*ღ) და მის ფონეტიკურ სახესხვაობებს (> რ > ღ) უნდა წარმოადგენდეს.

ამრიგად, ლეზგიურ ენებში, თუ რუთულურის -ლ მაწარმოებელს არ ჩავთვლით, კლასის მაწარმოებლებად მრავლობითში გვევლინება იგივე ნიშნები, რაც მხოლოდობითში დასტურდება. IV კლასის ნიშნები, არჩიულის გამოკლებით, არ განსხვავდება მხოლოდობითსა და მრავლობითში. არჩიულში კი ასეთი ვითარება დასტურდება III კლასში, ხოლო თაბასარანულში – I კლასში.

სისტემა, რომელშიც მრავლობითის გადმოსაცემად გამოიყენება III და IV კლასის ნიშნები, დასტურდება ოთხ ლეზგიურ ენაში და, ამდენად, ორ ერთეულში, რომელიც საერთოლეზგიური ერთობის დაშლის საწყის ეტაპზე წარმოიქმნა (ხინალუური, სამურული ენები), ხოლო მრავლობითობის აღნიშვნის სხვა სისტემები თითო-თითო ენაში გვხვდება. აქედან გამომდინარე, უპირატესობას ვანიჭებთ სწორედ ზემოაღნიშნული სისტემის რეკონსტრუქციას საერთოლეზგიურისათვის. შესაბამისად, კლასის ნიშნებად მრავლობითში გვესახება *ბ – I და II კლასისთვის და *დ – III და IV კლასისთვის.

4. 3. **მრავლობითი რიცხვის წარმოება სუფიქსების საშუალებით.** ლეზგიური ენები გამორჩეულია მრავლობითი რიცხვის ფორმანტთა მრავალფეროვნებით, რომელიც ვერ დაიყვანება საერთო არქეტიპამდე. ყველაზე ნაკლებად მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელთა სიმრავლე ახასიათებს აღმოსავლურ-სამურული ენებს. ლეზგიურში მრავლობითს აწარმოებს -არ (თანხმოვანფუძიან სახელებთან)/ -ძარ (ხმოვანფუძიან სახელებთან) სუფიქსი, რომელიც ყველაზე პროლექტიულია. ამას გარდა, ერთმარცვლიან სახელებთან წინა რიგის ხმოვნით დასტურდება -ერ სუფიქსი, რომელიც, ცხადია, -არ სუფიქსის ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს. ასევეა გადანაწილებული -არ, -ძირ და -ერ სუფიქსები თაბასარანულ ენაში.

აღუღურშიც დასტურდება -არ სუფიქსი და დიალექტური ვარიანტები ხმოვანფუძიანი სახელებისთვის – -ბურ (ტფილ.), -ვურ (ბურკ.), -ძარ (რიჩ.).

სუფიქსი -არ (-ერ) რუთულურშიც დასტურდება, თუმცა იქ იგი მხოლოდ სულიერ არსებით სახელებთან გამოიყენება. ამასთან, ორ და მეტმარცვლიანი სულიერი არსებითი სახელები, როგორც წესი, დაირთავენ -მარ (-მერ) სუფიქსს, მაგ., დებდებელ-მარ „პეპლები“. უსულო არსებითი სახელების უმრავლესობა დაირთავს -ბერ სუფიქსს. ამას გარდა, არაპროლექტიულ სუფიქსებს განეკუთვნება:

-ე (-ვ) – უბულ „მგელი“ – უბლ-ე „მგლები“; მტკელ „ციკანი“ – მტკლე „ციკნები“ ...

-ბე – სი-ბე „დათვები“; რუმ-ბე „ქალიშვილები“; შუ-ბე „მძებნი“ ...

-აბარ – ნინ-აბარ „დედები“, დიდ-აბარ „მამები“ ...

-აბერ – ეს სუფიქსი სხეულის წყვილულებრივი ნაწილების აღმნიშვნელი სახელების მრავლობითს აწარმოებს – ულ-აბერ „თვლები“, უბრ-აბერ „ყურები“, ხელ-აბერ „ფეხები“; ლილ-აბერ „ფეხები“ ...

ამას გარდა, რუთულურს მოეპოვება ირიბი ფუძის მრავლობითი რიცხვის სპეციალური მაწარმოებლები: -მერ (პირდაპირი ფუძის – ბერ), -მაშ (პირდაპირი – მარ), -აშ (პირდაპირი – არ).

წახურში, რუთულურთან შედარებით, სისტემა გამარტივებულია. ძირითად სუფიქსებად გვევლინება -არ და -ბე (ეს უკანასკნელი რუთულურ -ბერ სუფიქსს შეესატყვისება). სხეულის წყვილულებრივი ნაწილების სახელების მრავლობითს აწარმოებს -აფუგ სუფიქსი, მაგ., ულ-აფუგ „თვალეზი“, ხულ-აფუგ „ხელები“ და ა.შ. ირიბი ფუძის მრავლობითის საწარმოებლად წახურში ყოველთვის გამოიყენება -შ სუფიქსი: ბალქანარ-შ-ინ „ცხენების“, ქულქათბი-შ-ინ „ბავშვების“...

არჩიულში მრავლობითი რიცხვს ორი რეგულარული სუფიქსი აწარმოებს: -მულ – თანხმოდანფუძიანი სახელების მრავლობითს და -თაუ – ხმოდანფუძიანი სახელების. არაპროდუქტიულ სუფიქსებს განეკუთვნება: -ომ/-უმ (თუ ფუძე ბოლოვდება სონორით), -ორ/-ურ, -ოთ/-უთ, -ყულ, -რულ, -შულ და სხვ. ირიბი ფუძის მრავლობითის სუფიქსებიდან აღსანიშნავია -ჩად და -ად (მეორე მაწარმოებელი -თაუ სუფიქსთან ერთად იხმარება, მაგ., ა^ნრი-თა-ად „რაზმებმა“)...

კრიწულში გამოიყოფა შემდეგი მაწარმოებლები: -ჰრ (თანხმოდანფუძიან სახელებთან)/ -რ (ხმოდანფუძიან სახელებთან), -ბი (თუ ფუძე ბოლოვდება სონორით), -იმ (თუ ფუძეში დასტურდება სონორი ინტერვოკალურ პოზიციაში, მაგ., ხილის „ფაშატი“ – ხილხ-იმ, კაღბჷ „საპირფარეშო“ – კაღბ-იმ). თუ ფუძე დაბოლოებულია ნ სონორითა ან ნც ელემენტით, ასეთ შემთხვევაში ხშირად გამოიყენება -იბ სუფიქსი, მაგ., ქან-იბ „მუცლები“ და სხვ (-იბ მაწარმოებელი იშვიათად სხვა სონორზე დაბოლოებულ სახელებთანაც იხმარება). ცხოველთა აღმნიშვნელი სახელების მრავლობითი -არ სუფიქსის მეშვეობით იწარმოება, მაგ., ქილ-არ „ბატკნები“, ძერ-არ „ძროხები“ და სხვ. დანარჩენ შემთხვევებში იხმარება -რი ან -ნი სუფიქსები. ზოგჯერ კრიწულში მრავლობითის გადმოსაცემად რთული, ორი „მარტივი“ მაწარმოებლისგან შეთხზული აფიქსებიც გამოიყენება. ამათგან, ერთ-ერთი ან ორივე სუფიქსი დამოუკიდებლადც აწარმოებს მრავლობით რიცხვს. სუფიქსთა კომბინაციები ყოველთვის განსაზღვრულია: -რი- + -იმ (ნაბ-რი-მ „ხელები“, ქაწ-რი-იმ „რქები“), -რი- + -ბი (ქულა-რ-ბი „ბუჩქები“), -იმ- + -ბი (რუქუ-მ-ბი „ტყეები“, რაქი-მ-ბი „ეზოები“).

ბულუხურში, კრიწულთან შედარებით, მრავლობითი უფრო მეტად რთული სუფიქსების მეშვეობით იწარმოება. ხმოდანფუძიან სახელებთან მეორე აფიქსად გვევლინება -ბერ – ნუსუ-რ-ბერ „ყველი (მრ. რ.)“; კრიწულ -ბი/-იბ სუფიქსებს ბულუხურში შეესატყვისება რთული სუფიქსი -იბ-ერ (ჭინ-იბ-ერ „ნაწლავები“), კრიწულ -ნი და -რი სუფიქსებს – -რი (წეჭ-რი „თხები“); სამ სიტყვაში დასტურდება სუფიქსი -გრ: ხორ-გრ „ძაღვები“, ქეს-გრ „ქათმები“; ზერ-გრ „ძროხები“.

მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლების განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა ხინალულური ენა. ხინალულურში დასტურდება შემდეგი სუფიქსები: **-დ, -ღირ, -ღერ, -ირ, -გრ, -ირ-ღირ, გრ-ღერ, -ღირ, -ღერ, -ინ, -ბირ, -ბერ, -ზირ, -ზერ, -ლ**. ამათგან, **-დ** სუფიქსი ხმოვანფუძიან სახელებთან გამოიყენება, **-ღირ, -ღერ** – III და IV კლასის სახელებთან, რომელიც დაბოლოებულია **ღ, ნ, რ** სონორებზე, **-ირ-ღირ, გრ-ღერ** რთული აფიქსები იმ III და IV კლასის სახელთა მრავლობითს აწარმოებს, რომლებიც დაბოლოებულია ხმულ-მსკლომ თანხმოვნებზე, სპირანტებსა და **მ** სონორზე. I და II კლასის სახელთა მრავლობითს აწარმოებს **-ირ, -გრ, -ღირ, -ღერ, -ინ** სუფიქსები. ზოგიერთ არსებით სახელთა მრავლობითი იწარმოება ირიბ ფუძეზე დაყრდნობით **-ბირ, -ბერ, -ზირ, -ზერ, -ლ** სუფიქსების მეშვეობით, მაგ., თაოზ „კარი“ – თაუზაბერ, ლი „ხორბალი“ – ლიკაბირ... ზოგიერთი ლექსემა შეიძლება ორი ან სამი სხვადასხვა აფიქსით იყოს გაფორმებული, მაგ., ტგნგ „წვეთი“ – ტგნგერღერ//ტგნგერბერ, პი „სისხლი“ – პიდ// პიმიდ// პიმიბირ...

უღიურშიც შეინიშნება მრავლობითის ნიშანთა მრავალფეროვნება.

	ბრუნვები	ვართაშნული	ნიჯური
1	პირდაპირი	-უხ, -ურ, -ურ-უხ, -მ-უხ, -ურ-მ-უხ, -ორ	-უხ// -ხო , -ურ, -ურ-უხ// -ურ-ხო, -მ-უხ, -ურ-მ-უხ
2	ირიბი	-ლ// -ოდ , -მ-ულ, -ურ-მ-ულ, -ურ-ულ// -ურ-ლ	-ლ// -ხ , -ობ, -ურ-უხ// -ურ-ხ , -მ-უხ, -ურ-მ-უხ

ამათგან, აბსოლუტივის ფორმებში ყველაზე პროლექტიულია **-უხ** (ვართაშნულში) და **-უხ//**-ხო**** (ნიჯურში) სუფიქსები, ხოლო ირიბ ბრუნვათა მრავლობითი რიცხვის ფორმებში **-ლ//**-ოდ**** (ვართაშნულში) და **-ლ//**-ხ**** (ნიჯურში).

უღიური ლეზგიურ ენათა შორის გამორჩეულია *pluralia tantum* სახელების რაოდენობით: ბიხაჯუხ „ღმერთი“, ჩუბუხ/ჩუევუხ „ქალი“, „ცოლი“, ელმუხ „სული“, ღირუხ „მარხვა“, იმუხ „ყური“, ულუხ „კბილი“, არუხ „ცეცხლი“, ბურუხ „მთა“, გორუხ, გოროხ „ცოდვა“, ჩომოხ „კარი“, კ¹ოლოხ „მარვალი“, ბონ²მოხ „ცხვირი“ და სხვ. [ჯეირანიშვილი 1948; ჯეირანიშვილი 1971: 282–283; ფანჯვიძე 1974: 65].

კავკასიის ალბანურ ენაშიც ყველაზე პროლექტიულია **-უხ** სუფიქსი (აბსოლუტივის ფორმაში) და **-ულ-** სუფიქსი (ირიბ ბრუნვათა ფორმებში). გვხვდება ამ მაწარმოებლების ფონეტიკური ვარიანტებიც: **-ლ-**, **-იხ**, **-ილ**, **-ახ**. ამას გარდა, დასტურდება შემდეგი მაწარმოებლები: **-რ-**, **-რ-ლ-**, **-ურ**, **-რუხ**, **-ურუხ**, **-ბურ**, **-მ-**, **-მუხ**.

4. 4. **მრავლობითი რიცხვის ნიშანთა გენეზისი.** სამეცნიერო ლიტერატურაში იყო რამდენიმე ცლა მრავლობითი რიცხვის ფორმანტთა რეკონსტრუქციისა და მათი გენეზისის ახსნისა: გ. თოფურიას ვარაუდით, მრავლობითი რიცხვის საერთოლუზგიური ფორმანტები კლასის ექსპონენტთაგან უნდა იყოს მიღებული [თოფურია 1973: 259]. მ. ალექსეევი განიხილავს ამ მოსაზრებას და შესაძლებლად თვლის, რომ მრავლობითის ფორმანტები იყოს მიღებული ე.წ. ძლიერი სერიის კლასის ნიშნებისაგან: I-II (*-რ > *-არ); III (*-ფა > *-აფა-) და IV *-თა > არჩ. **-ოთ/-უთ** [ალექსეევი 1985: 59].

გ. იბრაჰიმოვის აზრით კი, საერთოლუზგიურისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი ორგანული (ორობითი) და არაორგანული მრავლობითი რიცხვის დაპირისპირება. მკვლევრის ვარაუდით, *-გმ და *-აფა ფორმანტები აწარმოებდა ორობით რიცხვს, ხოლო *-არ ფორმანტი – მრავლობითს [იბრაჰიმოვი 1974; იბრაჰიმოვი 1978: 201]. გ. იბრაჰიმოვი აღნიშნავს, რომ ორობითი და მრავლობითი რიცხვის დაპირისპირება შემონახულია რუთულური ენის იხრეკის დიალექტში, მაგ., ხელ-აბ (ორ.) ~ ხელ-აბ-გრ (მრ.) „ხელები“... ორგანული და არაორგანული მრავლობითის დაპირისპირება შეინიშნება ბულუხურ ენაშიც, მაგ., სილ-იმ (ორგ.) ~ სილ-იმ-ბერ (არაორგ.) „კბილები“; ფგკ-რი (ორგ.) ~ ფგკ-რი-მ (არაორგ.) „ტუჩები“ [იბრაჰიმოვი 1978: 201]...

როგორც უკვე აღინიშნა, ლუზგიურ ენებში მრავლობითი რიცხვის ფორმანტთა სიმრავლე ჩვენც არ გვაძლევს საშუალებას ისინი ერთ არქეტიპამდე დავყვანოთ. ამდენად, საერთოლუზგიურ ქრონოლოგიურ ღონეზე არა ერთი, არამედ რამდენიმე მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლის რეკონსტრუქცია მიგვაჩნია მიზანშეწონილად:

*არ – ლეზგ. -არ/-ერ/-დარ: თაბ. -არ/-ერ/-დირ: აღ. -არ/-დარ: რუთ. -არ/-პრ: წახ. -არ: კრიწ. -არ/-პრ: ბუდ. გრ. რუთულურ, წახურ, კრიწულ და ბულუხურ ენათა მონაცემების გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ფორმანტი სულიერ არსებით სახელთა მრავლობითს აწარმოებდა.

შესაძლებელია, ეს მაწარმოებელი არ იყოს -Vრ ან -რV სტრუქტურის ერთადერთი ფორმანტი საერთოლუზგიურ წინარეენაში. მის გარდა, შეიძლება ვივარაუდოთ ამ სტრუქტურის კიდევ რამდენიმე მაწარმოებლის არსებობა:

***რი** – კრიწ. -რი: ბუდ. -რი: ხინ. -ირ/-გრ; შდრ. აგრეთვე: ლაკ. -რი: ღარგ. -რი;

***ურ** – არჩ. -ორ/-ურ: უდ. -ურ: კავკ.-აღბ. -ურ;

***ბ-ურ** – ლეზგ. -ბურ: ად. -ბურ, -ვურ: რუთ. -ბგრ: წახ. -ბგ: ხინ. -(ა)ბგრ: არჩ. -ბურ: კავკ.-აღბ. -ბურ.

ეს ფორმანტი უნდა იყოს ნივითა (III) კლასის მაწარმოებლით (-ბ) გაფორმებული წინა (*-ურ) სუფიქსი.

ასევე შეიძლება ***-რი**, ***-ურ** და ***ბ-ურ** მაწარმოებლები **-არ** მაწარმოებელს დაუკავშიროთ, თუმცა ხმოვანთა შორის, ასეთ შემთხვევაში, არ გვექნება კანონზომიერი ბგერათშესატყვისობა.

***-(V)მ** – რუთ. -მ- (-მ-არ სუფიქსში), იხრ. -გმ: კრიწ. -იმ: ბუდ. -იმ: ხინ. -ამ(ზგრ): არჩ. -ომ/-უმ: უდ. -მ- (-მ-უს სუფიქსში): კავკ.-აღბ. -მ (ირიბ ბრუნვათა ფორმებში).

ამას გარდა, შესაძლებლად გვესახება, შემდეგი ფორმანტები ერთმანეთს დაუკავშიროთ:

არჩ. -ე ~ რუთ. ვ; შდრ. არჩ. ლ'ელ-ე ~ რუთ. უგვლ-ვ „კაცები“. ევგ. ჯეირანიშვილი -ვ < ***-ვრ** პროცესს ვარაუდობდა [ჯეირანიშვილი 1966: 31];

არჩ. -შ- ~ რუთ. -შ- (-მამ-, -ამ- მაწარმოებლებში) ~ წახ. -შ-;

არჩ. -ღ- (ქულ „ხელი“ – ქურ-ღ-ულ „ხელები“) ~ უდ. -უხ, -ხ, -ხო, -ოხ,/-ულ, -ღ, -ოღ: კავკ.-აღბ. -უხ, -ხ, -იხ, -ახ,/-ულ, -ღ, -იღ. ევგ. ჯეირანიშვილი და გ. თოფურია მიუთითებენ ამ აფიქსების არქაულობაზე [ჯეირანიშვილი 1966: 32; თოფურია 1973: 259].

ბრუნვის კატეგორია

4. 1. **ზოგადი.** ლუზგიური ენებისათვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ბრუნების შემდეგი პრინციპები: ორფუძიანობა – ბრუნებისას განიჩქევა პირდაპირი და ირიბი ფუძეები; ირიბი ფუძის ფორმა ლუზგიურში, თაბასარანულში, აღულურსა და არჩიბულში ერგატივს ემთხვევა, კრიწულში კი – გენიტივს. ამას გარდა, I დატივი უდიურსა და კავკასიის აღბანურში წარმოშობით შეიძლება საერთოლუზგიური ირიბ ფუძეს უკავშირდებოდეს. ამის შესახებ მეტყველებს ის, რომ, ერთი მხრივ, საერთოლუზგიური დატივი კავკასიის აღბანურში უკავშირდება არა I დატივს, არამედ III მიცემითს, ხოლო, მეორე მხრივ, I დატივის

ფორმაზე დაყრდნობით ყველა თანდებულიანი ბრუნვა იწარმოება (I აბლატივის გარდა, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, საქმე I დატივის მაწარმოებლის რელექციასთან უნდა გვქონდეს). დანარჩენ ლეზგიურ ენებში ირიბი ფუძე ან პირდაპირს ემთხვევა, ანდა – ჩანართოვან ელემენტთა მეშვეობით იწარმოება, რომელიც ფუძისა და ბრინვის ნიშნის შორის იკავებს ადგილს.

ბრუნვები ფორმალურად და ფუნქციურადაც იყოფა აბსტრაქტულ (ძირითად) და ლოკატიურ ბრუნვებად. აბსტრაქტულ ბრუნვათა რიცხვი ლეზგიურ ენებში, როგორც წესი, ოთხით განისაზღვრება; ესენია: წრფელობითი (აბსოლუტივი), ერგატივი (რომელიც ინსტრუმენტალის ფუნქციასაც იტავსებს), გენიტივი და დატივი. წახურში, ამას გარდა, ინსტრუმენტალის და აფექტივი დასტურდება, ინსტრუმენტალის ბუღუხურშიც გვხვდება, არჩიბულსა და უდიურში – ორი მიცემითი, ხოლო კავკასიის ალბანურში – დატივის სამი ფორმა და ვოკატივი. რაც შეეხება ლოკატიურ ბრუნვებს, ისინი ლეზგიურში, თაბასარანულში, ალულურში, წახურსა და არჩიბულში სერიებშია გაერთიანებული. ლეზგიურში, ალულურში, წახურსა და არჩიბულში თითოეული სერია სამ-სამი ბრუნვითაა წარმოდგენილი (უძრაობის – ესივი; დაშორებითი – აბლატივი; მიმართულებითი – ალატივი), ხოლო თაბასარანულში – ექვსით (იგივე + კომიტატივი (თანაობითი) და ორი ღირექტივი – დაშორებითი და მიმართულებითი). დანარჩენ ლეზგიურ ენებში, რომლებშიც ლოკატიურ ბრუნვათა სერიულობა დაკარგულია, შეინიშნება მისი ნაშთი. მაგალითისთვის გამოდგება უდიურისა და კავკასიის ალბანურის შეპირისპირება: კავკასიის ალბანურში უდიურთან შედარებით უკეთ შეინიშნება თანდებულიანი ბრუნვათა სერიულობა. თუ უდიურში სერიულობის კვალი თითქმის წაშლილია (ერთადერთ შემორჩენილ სერიის ნაშთად შეიძლება მივიჩნიოთ დატივი II-ს (-V_ბ), აბლატივისა (-V_{ბ-ო}) და კომიტატივის (-V_{ბ-ოლ}) წარმოება), კავკასიის ალბანურში კი იკვეთება დაშორებისა და მოახლოების აღმნიშვნელი სუფიქსები; ჩვენი ვარაუდით, ესენია: *-ოც – დაშორების აღმნიშვნელი, რომელიც დასტურდება აბლატივი I-ის (-ოც < *-V-ოც), აბლატივი II-ს (-V-ბ-ოც), ანტეაბლატივი I-სა (V-ს-თ-ან-ოც; V-ს-ან-ოც) და სუპერაბლატივის ფორმებში (V-ლ-ოც; V-ლ-ან-ოც); და *-ომ – მოახლოების აღმნიშვნელი, რომელიც კომიტატივისა (-V-ბ-ომ) და სუპერესივ II-ში (-V-ლ-ომ) დასტურდება. ვფიქრობთ, რომ უდიური აბლატივის -ო სუფიქსი გენეტიკურად უკავშირდება კავკასიის ალბანურში დადასტურებულ -ოც მაწარმოებელს, ხოლო -ომ სუფიქსი უდიურ ენაში, შესაძლებელია იშა “ანლოს”, “სიანლოვეს” ლექსემაში იყოს შემონახული.

4. 2. ბრუნვის ნიშანთა გენეზისისათვის ლეზგიურ ენებში. საერთოლეზგიურისათვის ბრუნვათა შემდეგი ფორმების აღდგენა გვესახება შესაძლებლად:

წრფელობითი: ს.-ლეზგ. *- \emptyset > ლეზგ. - \emptyset : თაბ. - \emptyset : აღ. - \emptyset : რუთ. - \emptyset : წახ. - \emptyset : კრიწ. - \emptyset : ბუდ. - \emptyset : არჩ. - \emptyset : ხინ. - \emptyset : უდ. - \emptyset : კაკკ.-აღბ. - \emptyset აქედან გამომდინარე, საერთოლეზგიური ქრონოლოგიური ღონისათვის აბსოლუტივის არსებობა სავარაუდებელი [ბოკარევი 1960: 45], თუცმა არჩიბულში ნომინატივის შესაძლო კვალზე (*-ა) მიუთითებენ [კიბრიკი და სხვ. 1977: II-10].

ირიბ ბრუნვათა ფუძე საერთოლეზგიურში, საფიქრებელია, ერგატივის ფორმას ეთხვეოდა. ეს ვითარება შენარჩუნებულია ლეზგიურ, თაბასარანულ, ალულურსა და არჩიბულ ენებში. საერთოლეზგიურისათვის ირიბი ფუძის მაწარმოებლად სამეცნიერო ლიტერატურაში ნავარაუდევია როგორც ვოკალური (*-ე-, *-გ-, *-ა-, *-ჰ- [სტაროსტინი 1981: 75–76]) და კონსონანტური სუფიქსები (*-რა-, *ნჰე-, *-ნი-, *-ლი-, *-თიბ-), ისე ხმოვანთა მონაცვლეობა ფუძეში: *ა : *ო; *ჰ : *ი [ალექსეევი 1985: 49].

საერთოლეზგიური დატივი (*-ს)¹ შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება: ლეზგ. -ზ: თაბ. -ზ: აღ. -ს: რუთ. -ს: წახ. -ს/-სჰ: კრიწ. -ს: ბუდ. -ზ: არჩ. -სჰ: კაკკ.-აღბ. -ს (დატივი III). უდიურს საერთოლეზგიური დატივის შესატყვისი არ მოეპოვება, თუმცა მას უნდა უკავშირდებოდეს აღესივის რთული ფორმანტის (-ას-ტა) თავკიდური ელემენტი [ბოკარევი 1960: 45].

საერთოლეზგიური გენიტივის ფორმანტი (*-ნ [ბოკარევი 1960: 45]) ლეზგიურ ენებში შემდეგი რეფლექსებითაა წარმოდგენილი: ლეზგ. -ნ: თაბ. -ნ: აღ. -ნ: წახ. -ნ: უდ. -ნ: არჩ. -ნ: კაკკ.-აღბ. -Vნ.

ლოკალიზაციის კატეგორია

საერთოლეზგიური ერთობისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი თანდებულებიან ბრუნვათა წარმოების შემდეგი მოდელი: ირიბი ფუძე + ლოკალიზაციის (სერიის) მაჩვენებელი + მიმართულების მაჩვენებელი [ალექსეევი 1985: 46]. ამასთან, ირიბ ბრუნვათა ფუძე, როგორც უკვე აღინიშნა, საერთოლეზგიურში, საფიქრებელია, ერგატივის ფორმას ეთხვეოდა. ეს ვითარება შენარჩუნებულია ლეზგიურ, თაბასარანულ, ალულურსა და არჩიბულ ენებში. რაც შეეხება ლოკალიზაციის მაჩვენებლებს,

¹ ე. ბოკარევისა და მ. ალექსეევის აზრით – სჰ [ბოკარევი 1960: 45; ალექსეევი 1985: 45].

საერთოლენგიურისათვის შემდეგი მაწარმოებლები ივარაუდება [ბოკარევი 1960 49-50; ალექსევი 1985: 49]:

- *-ლზ- “ორიენტირზე”;
- *-ც- “ორიენტირში”;
- *-ლგ⁹- “ორიენტირთან”;
- *-ქ- “ორიენტირთან უშუალო შეხება”;
- *-ვ- “ორიენტირის უკან”;
- *-ყ⁶- “ორიენტირთა შორის”;
- *-ჰ- “ორიენტირის წინ”;
- *-ტბ- “ორიენტირის ქვეშ”

“ორიენტირზე” ლოკალიზაციის მაჩვენებელი *-ლზ-¹ [ბოკარევი 1960: 49] შემდეგი ფორმების მიხედვით აღდგება: ლეზგ. -აღ: თაბ. -ღ: აღ. -ლ: რუთ. -ღ: წახ. -ლ⁷: ბუღ. -ღ: უღ. -ღ: კავკ.-აღბ. -ღ: არჩ. -თ // -თა (?).

ლენგიურში, თაბასარანულში, ალულურში, წახურსა და არჩიბულში ეს მაწარმოებელი თავდაპირველი სემანტიკის გამომხატველია. რუთულურში ამ მაწარმოებლის მეშვეობით შედარებითი ბრუნვა იწარმოება, ხოლო უდიურში თავდაპირველი სემანტიკა შენარჩუნებულია – ლ მაწარმოებელი ზედაობით ბრუნვას, ანუ სუპერესივს აწარმოებს. უნდა აღინიშნოს, რომ -ლ მაჩვენებლის თავდაპირველი სემანტიკა კავკასიის ალბანურშიც შენარჩუნებულია – ამ სუფიქსის მეშვეობით ოთხი ბრუნვის ფორმა იწარმოება, ესენია: სუპერესივი I, სუპერესივი II, სუპერაბლატივი და სუპერესივი III. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ფორმაში -ლ მაჩვენებელი მესამე ადგილზე გვაქვს, იგი II მიცემითის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება და, შესაბამისად, გვეკვლინება მიმართულების მაჩვენებლად. თუმცა, ამის მიუხედავად, -ლ სუფიქსის კავშირი სუპერესივის ორ დანარჩენ ფორმაში დადასტურებულ ლოკალიზაციის -ლ- მაჩვენებელთან, ჩვენი აზრით, ცხადია.

¹ უნდა აღინიშნოს, რომ *ლ ბერის რეკონსტრუქცია საერთოლენგიურ ფუძე-ენაში (ს. სტაროსტინის მიხედვით – ლეზგ. ლ: თაბ. ლ: აღ. ლ: რუთ. ლ: წახ. ლ // ლ⁷ // ჟ: კრიწ. ლ: ბუღ. ლ: უღ. ლ: არჩ. თ // თა [სტაროსტინი 1975ბ]) ეჭვს იწვევს. ორიენტირზე ლოკალიზაციის მაჩვენებლად ჩვენ გვესახება *-ლ- მაწარმოებელი.

“ორიენტირში” ლოკალიზაციის მაჩვენებელი საერთოლენგვიურში ***ფ**- [ხანმაგომელოვი 1958: 20; თოფურია 1967: 207] შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება: ლენგ. -**ფ**: თაბ. -**ფ**: აღ. -**ფ**: რუთ. -**ფ**: წახ. -**ფ**: კრიწ. -**ფ** // -**ჭ**: ბუდ. -**ფ** // -**ჭ**: უდ. -**ფ** (?): კავკ.-აღბ. -**ფ** (?): არჩ. -**ფ** ე. ბოკარევი კი აქ ***ა** // -**ა** ვარაუდობს [ბოკარევი 1960: 49].

ლენგვიურში, თაბასარანულში, ალულურში, წახურსა და არჩიბულში ეს მაწარმოებელი სერიის მაჩვენებლად გვევლინება და თავდაპირველ სემანტიკას ინარჩუნებს. ეს მაწარმოებელი რუთულურში, კრიწულსა და ბულურში ინესივის ფორმანტია. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ უდიურში -**ფ** ფორმატიანი გენიტივი უნდა იყოს ლოკატიური წარმომობისა და მისი მაწარმოებელი საერთოლენგვიურ ***ფ**- აფიქსს უნდა უკავშირდებოდეს [ალექსეევი 1985: 50]. კავკასიის ალბანურშიც თანდებულთან ბრუნვათა შორის არ ჩანს ამ მაჩვენებლის შესატყვისი. ამდენად, მხად ვართ გავიზიაროთ მ. ალექსეევის მოსაზრება -**ფ** ფორმატიანი გენიტივის ლოკატიური წარმომობის შესახებ, თუმცა ეჭვი გვეპარება მის კავშირში ***ფ**- მაჩვენებელთან, ისე როგორც **ფ** ფონემის რეკონსტრუქციის შესაძლებლობაში საერთოლენგვიურისათვის¹.

“ორიენტირთან” ლოკალიზაციის საერთოლენგვიური მაჩვენებელი ***ლზ**⁰⁻² [ალექსეევი 1985: 51–52] ლენგვიურ ენებში შემდეგი რეფლექსებითა წარმოდგენილი: ლენგ. -**ჟ**: თაბ. -**ზ** (**ფ**): აღ. -**ჟ**: რუთ. -**ზ**: კრიწ. -**ჟ**: ბუდ. -**ჟ**: უდ. -**ზ**: კავკ.-აღბ. -**ზ**: არჩ. -**ლზ**.

ლენგვიურში, თაბასარანულსა და ალულურში ეს მაწარმოებელი სერიის მაჩვენებლად გვევლინება და თავდაპირველ სემანტიკას ინარჩუნებს. ამ მაწარმოებლის თავდაპირველი სემანტიკა კრიწულშიც დაცულია – იგი II აღესივის ფორმანტს წარმოადგენს. ვფიქრობთ, რომ უდიურის მსგავსად, კავკასიის ალბანურშიც ამ სერიულ მაჩვენებელს შეესატყვისება II დატივის აფიქსი -**ზ**. ეს ბრუნვა ლოკატიური წარმომობისა ჩანს, მით უფრო, რომ ლოკატიური ფუნქციები მას დღემდე არ ჩამოსშორებია. როგორც ჩანს, ამ ბრუნვით ჯერ პირდაპირი ობიექტის მარკირება ხდება (აბსოლუტივის პარალელურად), ხოლო მოგვიანებით უდიურში მოხდა ორივე დატივის სინტაქსური ფუნქციების აღრევა. ამას გარდა, II დატივის უდიურსა და კავკასიის ალბანურში სერიულობის ნიშნები აქვს შენარჩუნებული, რაც აგრეთვე მისი ლოკატიური წარმომობის

¹ ***ფ** ბგერის პოსტულირება საერთოლენგვიური ფუძე-ენისათვის, რომელიც, ს. სტაროსტინის აზრით, შემდეგ ფორმულას ემაყარება (ლენგ. **ფ** // **ფ** // **ფ**: თაბ. **ფ** // **ფ**: აღ. **ფ** // **ფ**: რუთ. **ფ** // **ფ**: წახ. **ფ** // **ფ**: კრიწ. **ფ** // **ფ**: ბუდ. **ფ** // **ფ**: უდ. **ფ** // **ფ**: არჩ. **ფ** // **ფ** [სტაროსტინი 1975ბ]), გარკვეულ ეჭვს აღძრავს. ვფიქრობთ, რომ „ორიენტირში“ ლოკალიზაციის მაჩვენებელი უნდა იყოს ***ფ**.

² ჩვენი აზრით, საერთოლენგვიურში აღდგება არა ლაბიალიზებული თანხმონები, არამედ – ლაბიალური კომპლექსები (Cw).

შესახებ მეტყველებს: უდიურში ერთადერთი შემორჩენილი სერიის ნაშტად უნდა მივიჩნიოთ დატივი II-ს (-Vბ), აბლატივისა (-Vბ-ო) და კომიტატივის (-Vბ-ოლ) წარმოება, ხოლო კავკასიის ალბანურში II დატივის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება ხუთი ბრუნვა, ესენია: აბლატივი II (-Vბ-ოც), სუპერესივი III (-Vბ-ოლ), ანტეაბლატივი II (-Vბ-ოსტად), კომიტატივი (-Vბ-ომ) და დირექტივი (-Vბ-უ).

“ორიენტირთან უშუალო შეხება” ლოკალიზაციის საერთოლექსიური მაჩვენებელი *-ქ- [ალექსეევი 1985: 52] ლეზგიურ ენებში იდენტური კორესპონდენციებითაა წარმოდგენილი: ლეზგ. -ქ: თაბ. -ქ: აღ. -ქ: რუთ. -ქ: წახ. -ქ: კრიწ. -ქ: ბუდ. -ქ: კავკ.-აღბ. -ქ(ა): არჩ. -ქ.

ლეზგიურში, თაბასარანულში, ალუღურში, წახურსა და არჩიბულში ეს მაწარმოებელი სერიის მაჩვენებლად გვევლინება. რუთულურსა და კრიწულში ამ მაწარმოებელს შეცვლილი აქვს სემანტიკა და სუბესივის ფორმატად გვევლინება. კავკასიის ალბანურში, უდიურისაგან განსხვავებით, გვქონდა ამ სერიის მაჩვენებლის შესატყვისი, თუმცა მას სერიულობა დაკარგული ჰქონდა და მხოლოდ ერთი ბრუნვის – I ადესივის – ფორმაში დასტურდებოდა: -ქ(ა).

“ორიენტირის უკან” ლოკალიზაციის საერთოლექსიური მაჩვენებელი *-ვ- [ბოკარევი 1960: 47] ლეზგიურ ენებში იდენტური კორესპონდენციებითაა წარმოდგენილი: ლეზგ. -ვ: თაბ. -ვ: აღ. -ვ: რუთ. -ხ // -ვ: წახ. -ვა: კრიწ. -ხ: ბუდ. -ხ: არჩ. -ხ (?): ხინ. -ხ: უდ. -ხ (?): კავკ.-აღბ. -ხ (?). აღსანიშნავია, რომ *-ვ- მაწარმოებელი (ან -ვაა “ორიენტირის უკან”, “ორიენტირთან” [ალექსეევი 2003: 163]) საერთოდალესტნურ ღონეზე აღდგება [გიგინეიშვილი 1976: 36].

ლეზგიურში, თაბასარანულში, ალუღურსა და წახურში ეს მაწარმოებელი სერიის მაჩვენებლად გვევლინება. დანარჩენ ენებში თავდაპირველი სემანტიკა შეცვლილია. ეჭვი გვეპარება, რომ -ხ სუფიქსი უდიურ ენაში, რომელიც დატივი II-სა და, შესაბამისად, მისგან მიღებული თანდებულებანი ფორმების მაწარმოებელია, საერთოდალესტნური *-ვ-საგან მომდინარეობდეს. უდიურის მსგავსად *-ვ- მაჩვენებლის შესატყვისი კავკასიის ალბანურშიც არ ჩანს.

ერთი მხრივ, ხ უდიურსა და კავკასიის ალბანურში საერთოდალესტნური *ვ ბგერის შესატყვისად არ დასტურდება¹ და, მეორე მხრივ, II დატივის მაწარმოებელი უდიურსა და კავკასიის ალბანურში, როგორც იქნა ნაჩვენები, საერთოლექსიურ “ორიენტირთან” ლოკალიზაციის მაჩვენებელს (*-ლგ⁰ – ან, ჩვენი აზრით, –

¹ აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში სპირისპირო მოსაზრება გამოითქვა [თალიბოვი 1980: 305–306], თუმცა აუსლაუტში საერთოლექსიური *ვ ბგერის შესატყვისად უდიურში ხ უეჭველად არ დასტურდება.

*-ლჭჷ) უნდა უკავშირდებოდეს. თუმცა მ. ალექსეევს შესაძლებლად მიაჩნია, რომ უდიურში -ხ ფორმანტში მოხდა საერთოლუზგიურ *-ლჭჷ- და *-ვ- მაწარმოებლების ნეიტრალიზაცია [ალექსეევი 1985: 54]. ამ მოსაზრების ბოლომდე უგულებელყოფა, ჩვენი აზრით, არ შეიძლება, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ -ხ მაწარმოებლიანი დატივის ფორმაზე დაყრდნობით კავკასიის ალბანურში ხუთი ლოკატიური ბრუნვა იწარმოება.

“ორიენტირთა შორის” ლოკალიზაციის საერთოლუზგიური მაჩვენებელი *-ყ- [კახაძე 1973: 42] ლუზგიურ ენებში შემდეგი აფიქსებითაა წარმოდგენილი: თაბ. -ყ // -ღ: აღ. -ღ: არჩ. -ვ. შესაძლებელია, რომ კავკასიის ალბანურში ამ მაწარმოებელს ექვატივის -ღა ფორმანტი უკავშირდებოდეს. თაბასარანულში, აღულურსა და არჩიბულშიც ეს მაწარმოებელი სერიის მაჩვენებლად გვევლინება.

“ორიენტირის ქვეშ” ლოკალიზაციის საერთოლუზგიური მაჩვენებელი *-ტბ- [ალექსეევი 1985: 55] ლუზგიურ ენებში შემდეგი რეფლექსებითაა წარმოდგენილი: ლუზგ. -ქ: თაბ. -ქ: აღ. -ქ: რუთ. -ქ: წახ. -ქ: კრიწ. -ქ: ბუღ. -ქ: არჩ. -ტ: ხინ. -კ. ლუზგიურში, თაბასარანულში, აღულურში, წახურსა და არჩიბულში ეს მაწარმოებელი სერიის მაჩვენებლად გვევლინება. რუთულურსა და კრიწულში ეს სუბსივის მაწარმოებელია. იმის მიუხედავად, რომ უდიურს ამ მაწარმოებლის ანალოგი არ მოეპოვება, კავკასიის ალბანურში მას შეესატყვისება სუბსივის ფორმანტი -ყ¹, რომელსაც სერიულობა უკვე დაკარგული ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ *-ტბ- ფორმანტი საერთოდარესტნურ ღონეზეც აღდგება [დიუმეზილი 1933: 84–85; ბოკარევი 1960: 48; გიგინეიშვილი 1976: 35], შდრ. ანდ. -ტბი: ახვ. -ტბი: დიდ. -ლზ: დარგ. -ფუ- (ურახ.) // -გუ (კუბარ.)...

ამას გარდა, სამეცნიერო ლიტერატურაში საერთოლუზგიურისათვის ნავარაუდევია შემგები ლოკალიზაციის მაჩვენებლები:

-ჰ- – ივარაუდება “ორიენტირის წინ” ლოკალიზაციის მაჩვენებლად [ალექსეევი 1985: 54], თუმცა პოსტულირებულია მხოლოდ თაბასარანული და აღულური ენების ჩვენების მიხედვით, რაც საეჭვოდ ხდის მის არსებობას არათუ საერთოლუზგიურ ქრონოლოგიურ ღონეზე, არამედ საერთოსამურულ და, შესაძლოა, საერთო-აღმოსავლურ-სამურულ ქრონოლოგიურ ღონეზეც კი.

-რ- – ივარაუდება ლოკალიზაციის მაჩვენებლად, რომლის ზუსტი სემანტიკა უცნობია. შესაძლებელია, იგი აბლატივის საერთოლუზგიურ ნიშანს უკავშირდებოდეს [ალექსეევი 1985: 55]. აღდგება არჩიბულისა და

¹ როგორც უდიურში, ისე კავკასიის ალბანურში საერთოლუზგიურ *-ტბ-ს რეგულარულად შეესატყვისება ყ ბგერა.

შაჰდალის ენების (მათ შორის – ხინალულურის) მანაცემთა მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ამ მაწარმოებლის აღდგენა შესაძლებელია საერთოანდიურ (*-რუ) და საერთოდლოურ (*-რ) ქრონოლოგიურ ღონეებზე [დიუმეზილი 1933: 82].

რაც შეეხება მიმართულების მაჩვენებლებს:

საწყისი (უძრავობის) მაჩვენებელი კი (ლოკატივი), როგორც საერთოლუზიურისათვის ივარაუდება, არამარკირებული იყო.

რაც შეეხება აბლატივისა და ალატივის მაწარმოებლებს, მათი რეკონსტრუქცია დაბრკოლებას აწყდება.

შეგვიძლია დავაკავშიროთ შემდეგი აბლატივის ფორმანტები: ხუნძ. -სა¹: დიდ. -ზა: ბეჟ. -ს / -სო / -შ: ხვარშ. -ჟო || -ზ(ი) (ინხ.) არჩიბულსა და ხინალულურში დადასტურებულ აბლატივის -შ სუფიქსს უნდა უკავშირდებოდეს და შესაძლოა კავკასიის ალბანურ -ოც სუფიქსს. იმის მიუხედავად, რომ ც თანხმოვანი რეგულარულად არ შეესატყვისება წარმოდგენილ აფიქსებში დადასტურებულ შ კონსონანტს², არც რაიმე დაუძლეველი ფონეტიკური დაბრკოლება გვაქვს.

თავის მხრივ, კავკასიის ალბანური -ომ, არჩიბული -ში და დარგუული -შუ || -შუ || -ჩუ (*-შუ- [მუსაევი 1984: 65]) ლატივის აფიქსები უნდა უკავშირდებოდეს ერთმანეთს.

¹ შესაძლებელია, კავკასიის ალბანური აბლატივის ფორმანტი (-ოც) უკავშირდებოდეს ხუნძურ ერგატივის ნიშანს -ცა (ხუნძურში აბლატივებისა და ერგატივის ფუნქციური და ფორმოზრივი მსგავსების შესახებ იხ.: [კლიმოვი, ალექსეევი 1980: 224-226].

² ამ სქემის მიხედვით (ხუნძ. ცა (იხ. წინა სქოლიო): დიდ. ს: არჩ. შ...) ამოსავალში, საერთოდადესტურ ქრონოლოგიურ ღონეზე შეგვიძლია ვივარაუდოთ *-ცა ბგერა (შდრ.: [გიგინიშვილი 1977: 95]), თუმცა ხინალულური შ ვერ ვცდება ამ სქემაში.

5. ნახურ და დაღესტნურ ენათა სახელის მორფოლოგია:

კლასის, რიცხვის, ბრუნვისა და ლოკალიზაციის კატეგორიები

გრამატიკული კლასის კატეგორია

5. 1. **ზოგადი.** კლასის გრამატიკული კატეგორია, რომელიც ნახურ-დაღესტნურ ენათა მორფოლოგიის ხერხემალს წარმოადგენს, გამსჭვალავს საკვლევ ენათა მთელ მორფოლოგიას და ძველისძველ კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება. იგი დასტურდება ყველა საკვლევ ენაში (გარდა ლეზგიურის, ალუღურისა და უდიურისა), მაგრამ ყველა კლასკატეგორიან ენაში კლასთა ერთნაირი გრამატიკული სისტემები არ მოგვეპოვება. ყოველივე ეს დამოკიდებულია იმაზე, ესა თუ ის ენა კლას-კატეგორიის ევოლუციის რომელ საფეხურზე დგას – ჩეჩნური ოთხკლასიან სისტემას გვიჩვენებს, ხოლო თაბასარანული ენის ჩრდილოური დიალექტი ორ კლასსდა განარჩევს.

კლასიფიკატორთა ფუნქციონირება უფრო მეტად ხელშესახებია ზმნასა და ნაზმნარ სახელებში, თუმცა კლას-ნიშნები დაჩნდება თითქმის ყველა ძირითად მეტყველების ნაწილთა სტრუქტურაში – არსებით, ზედსართავ, რიცხვით სახელებსა და ნაცვალსახელებში, აგრეთვე, ზმნისართებში. კლასიფიკატორთა დისტრიბუცია, როგორც წესი, ძირითადად ანლაუტითა და აუსლაუტით შემოიფარგლება. კლასის ექსპონენტები ინფიქსადაც შეინიშნება ცალკეულ სახელთა და ზმნათა სტრუქტურაში, თუმცა კლას-ნიშნათა ამგვარი პოზიცია შეიძლება მეორეულიც იყოს, რადგანაც კლას-კატეგორია სისტემური სახით არ არის წარმოდგენილი. მათი ისტორიული ადგილი, როგორც ცნობილია, არის სიტყვის თავკიდური პოზიცია [ჩიქობავა 1978 : 21-22]. გარდა ამისა, სუბსტანტივთა საკლასიფიკაციოდ ფუძეთა სტრუქტურაში გამოყენებულია ხმოვანთა აღურტნაცია, აფიქსთა მონაცვლეობა და მისი.

საგულისხმოა, რომ ცალკეულ შემთხვევებში არსებითი სახელები გარკვეული რეინტერპრეტაციით განარჩევენ კლას-ნიშნებს, რომლებსაც ამჟამად უფრო სიტყვაწარმოებითი ფუნქცია აქვთ. რაც შეეხება ისტორიულ ინტერპრეტაციას, სპეციალურ ლიტერატურაში მათ შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. მიუხედავად იმისა, რომ ზოგ არსებით სახელს რეინტერპრეტირებული კლასიფიკატორი ნახურ-დაღესტნურ ენებში დღესაც

დაცული აქვთ,¹ ამ სახელთა ეტიმოლოგია დღემდე მაინც გაურკვეველია (იხ. ზემოთ).

თანამედროვე კავკასიოლოგიურ ლინგვისტიკაში სუბსტანტივების ნომინატიურ ფორმათა სტრუქტურაში კლასიფიკატორების ისტორიული არსებობის ვარაუდი ამჟამადც საკამათოა [ჯავახიშვილი 1937 : 135-257; ჩიქობავა 1942 : 272-280; 1979 : 13-16; დეეტერსი 1955 : 26-33; ტრუბეტკო 1987 : 340; შმიდტი 1972 : 21; თოფურია 2003 : 16...].

5. 2. **გრამატიკულ კლასთა სისტემები.** მხოლოდითი რიცხვის მიხედვით,² ნახურ და დაღესტნურ ენებში ამჟამად ორ-, სამ- და ოთხკლასიანი სისტემები დასტურდება: ა) **ბინარული** ოპოზიცია ნიშანდობლივია ოდენ თაბასარანული ენის ჩრდილოური დიალექტისთვის, რომლის დროსაც ადამიანის კლასი („ვინ?“) უპირისპირდება ნივთის კლასს („რა?“): I კლ. (დ), II კლ. (ბ);

ბ) **რეგრესულ (resp. უნიფიცირებულ) სამკლასიან** სისტემაში³ ბინარული ოპოზიციის ადამიანის კლასი დიფერენცირებულია ზრდასრული მამაკაცისა (I – ჟ) და ქალის (II – ძ) კლასებად, ხოლო ყველა დანარჩენი თავს იყრის ნივთის (III – ბ) კლასში. სამკლასიანი სისტემები დასტურდება დარგულ ენაში, ხუნძურსა და ანდიურ ენათა (ბოთლიხური, ლოღობერიული, ტინდიური, ბაგვალური, კარატაული, ახვასური) მეტ ნაწილში;

გ) ნახურ ენებში, ლეზგიურ ენათა უმრავლესობაში (რუთულური, წახური, არჩიბული, კრიწული, ბულუხური, ხინალულური, უდიური), ორ ანდიურ ენასა (ანდიური, ჭამალური) და დილოურ ენათა წყებაში ფუნქციონირებენ **ოთხკლასიანი რეგრესული** სისტემები. მართალია, საკვლევ ენათა მორფოლოგიაში არაიშვიათად უფრო მეტ კლასებსაც გამოყოფენ (მაგ., ნახურში რვა-ცხრა კლასს, ხოლო ჭამალურსა და ხვარშიულ ენებში ხუთ კლასსაც ითვლიან), მაგრამ ეს მცდარი კრიტერიუმით – მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის შეპირისპირებით – არის მიღებული [ბოკარევი 1949 : 22-26; დეშერიევი 1963 : 372; შდრ. ჩიქობავა 1979 : 92-96; იმნაიშვილი 1963 : 45; ანდულაძე 1968 : 24; თოფურია 2003 : 17-18...].

მაშასადამე, ნახურ-დაღესტნურ ენათა სინამდვილეში პროგრესული სახის სამ- და ოთხკლასიანი სისტემები

¹ ჩეჩნ. ჟ-უოჟ (ა-უოჟ) ~ ხუნძ. ჟ-ას (ა-ას) : კარ. ჟ-აშა (ა-აშა) ~ ლაკ. (დ-უშ) : დარგ. (რ-ურსი) „ვაჟი“ („ასული“), ჩეჩნ. ჟ-აშა (ა-იშა < *ა-აშა) ~ ხუნძ. ჟ-აცა (ა-აცა) : კარ. ჟ-აცაი (ა-აცაი) ~ დარგ. ჟ-უცაი < *ჟ-აცაი (რ-უცაი) ~ არჩ. ჟ-უმლუ < *ჟ-ამლუ (დ-ომლუ) : უდ. ჟ-იჩი „ძმა“ („და“) და მისთ.

² კლასთა რაოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმად აღებულია მხოლოდითი რიცხვი, რისი დასაბუთებაც იხ. [არდლოტელი 2014: 90].

³ რეგრესული სისტემა გულისხმობს კლასთა რაოდენობის შემცირების საფეხურებზე (ორკლასიანი → სამკლასიანი → ოთხკლასიანი → სამკლასიანი → ორკლასიანი) [ჩიქობავა 1978: 18-20] არსებულ სისტემებს.

ამჟამად აღარ მოგვეპოვება, თუმცა ისტორიულად მათი არსებობა სავსებით დასაშვებია.

ნახური და დაღესტნური ენების კლასთა სისტემების სინოპტიკური ტაბულა ასე გამოიხატება:

ენები	I კლ.	II კლ.	III კლ.	IV კლ.
ჩეჩნური	ჟ	ღ	ბ	რ
ინგუშური	ჟ	ღ	ბ	რ
ბაცბური	ჟ	ღ	ბ	რ
სუნძური	ჟ	ღ	ბ	*რ
ანდიური	ჟ	ღ	ბ	რ
ბოთლიხური	ჟ	ღ	ბ	*რ
ლოღბერიული	ჟ	ღ	ბ	*რ
ჭამალური	ჟ	ღ	ბ	ღ-/-ლ
ტინდიური	ჟ	ღ	ბ	*რ
ბაგვალური	ჟ	ღ	ბ	*რ
კარატაული	ჟ	ღ	ბ	*რ
ასვასური	ჟ	ღ	ბ	*რ
დიღური	∅ (< ჟ), ჟ	ღ	ბ	რ
ჰინუსური	∅ (< ჟ), ჟ	ღ	ბ	რ
ხვარშიული	∅ (< ჟ), ჟ	ღ	ბ (>მ)	ლ (>ნ), -რ
ბეჟიტური	∅ (< ჟ), ჟ	ღ	ბ (>მ > ნ)	რ (>ღ, ნ)

ლაკური	ჟ, Ø...	ღ, რ, ლ, ნ...	ბ, მ, ფფ...	ღ, რ, ლ, ნ...
დარგუული	ჟ	ღ, რ, ე	ბ	*ღ
აბსარანული	ღ, რ, ე		ბ (>ჟ), f	
არჩიბული	ჟ (>Ø)	ღ/რ	ბ, მ, ფ	თ, ტ (<*ღ>)რ, ე
რუთულური	ჟ, ბ, რ, ე, Ø...	რ, ე, Ø...	ბ, ჟ, ე, ღ...	ღ, თ, ტ, ე...
წახური	ჟ, რ, ე, Ø...	რ, ე, Ø...	ბ, მ, ჟ...	ღ, რ, ე, ლ, თ, ტ...
კრიწული	რ, ე, ლ, Ø...	რ, ჟ...	ბ, ფ, რ, ჯ...	ღ, თ, ტ, ჯ...
ბულუსური	ჟ, Ø, რ...	რ, ლ...	ბ, ფ...	ღ, თ...
ხინალულური	რ, ე, ლ...	ღ, რ, ე, ზ...	ბ, ფ...	ღ, ე, ღ ¹ ...

ზემომოყვანილ ცხრილზე დაკვირვებისას ყურადღებას იპყრობს ის, რომ ნახური ენები და ზოგი ანდიური (საკ. ანდ., ჭამ.) ენა სტაბილურობით გამოირჩევა, ხოლო ლაკურ-დარგუული და ლეზგიური ენები ცვლილების მეტ ტენდენციებს ამჟღავნებენ. რაც შეეხება დიდურ ენებს, აქ I კლასის მარკერი მოშლილია და ნულოვანი ალომორფით გვიდასტურდება.


ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ II კლასისა (ღ) და მეტადრე III კლასის (ბ) ნიშნები ცვლილების ნაკლები მიდრეკილებით ხასიათდებიან, თუმცა ბ სათანადო ფუძეში სონორთა (ნ, მ) პოზიციებისას ასიმპლაციურ ცვლილებას (ბ > ნ > მ) ემორჩილება [ჩიქობავა 1979 : 96-97; გუდავა 1964: 47, 70; ლომთაძე 1996: 35-40...]. მეტ-ნაკლებად იცვლება ჟ: ჟ>უ (ხუნდ.), ჟ>ბ (ლაკ., არჩ.), ჟ>Ø (დიდ., რუთ., ბულ...) და ა. შ.

რაც შეეხება IV კლასის ექსპონენტის – რ-ს რეფლექსაციას, იგი საკვლევ ენებში მრავალგვარ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის: რ > ლ (ჭამ., ხვარშ.), რ > ნ (ბუჟ.), რ > ე (ბეჟ., ჭამ.), რ > ჟ (ჭამ., კარ.) [ბოკარევი 1949: 25; გუდავა 1964: 51-54]. აღსანიშნავია, ერთი მხრივ, დ>რ>ღ, ხოლო, მეორე მხრივ, დ>ნ>ლ IV კლასის ნიშნის

¹ ცხრილში წარმოდგენილია კლას-ნიშნათა ძირითადი ვარიანტები, რომელთაგან ძალიან ბევრი ერთმანეთის ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს.

არამდგრადობაზე მეტყველებს [დიუმეზილი 2015 : 29-40; ანდლულაძე 1968 : 24-51; ჩიქობავა 1979 : 96-97; აბულაძე 2010 : 31-41...].

5. 3. **გრამატიკული კლასების რეკონსტრუქციისთვის.** სპეციალურ ლიტერატურის მიხედვით, გრამატიკულ კლასთა ამოსავალი სისტემის რეკონსტრუქცია სხვადასხვაგვარად ხდება. უ. დიუმეზილი ოთხკლასიან სისტემას აღადგენს:



ზემომოყვანილი სისტემა, მხოლოდითი რიცხვის მიხედვით, ახლო დგას ნ. ტრუბეცკოის მიერ დადგენილი (resp. აღმოსავლურკავკასიური) ფუძეენისთვის აღდგენილ კლასოვან სისტემასთან [ტრუბეცკო 1964: 340], თუმცა მისგან განსხვავდება IV კლასის ნიშნით (დ⁴).

არნ. ჩიქობავა აღადგენს ამოსავალ ორკლასიან სისტემას: I – პირვნება (*ჟ); II – ნივთი (*დ)[ჩიქობავა 1978 : 19]. გ. თოფურია, არნ. ჩიქობავას ანალოგიურად, კლასთა ამოსავალი სისტემისთვის ბინარულ ოპოზიციას ვარაუდობს, მაგრამ I კლასისთვის აღადგენს დ ნიშანს, ხოლო II კლასისთვის კი – ბ-ს [თოფურია 2003 : 22].

ჩვენი აზრით, კლასთა ფორმირების საწყის ეტაპზე, რასაკვირველია, რეკონსტრუირდება გრამატიკულ კლასთა

¹ მრავლობითი რიცხვის ფორმით აღნიშვნა პირობითია, ვინაიდან აქ საქმე გვაქვს რიცხობრივ გაუდიფერენცირებლობასთან.

² სპეციალურ ლიტერატურაში ინტერპრეტაციები განსხვავებულია [იხ. დიუმეზილი 2015: 45; შდრ. ჩიქობავა 2013: 351].

³ არ ჩანს მართებული, როცა ჭამალურში ხუთ კლასს გამოყოფენ [ბოკარევი 1949 : 22-26]. ოთხი კლასის ნიშნის პირობებში ხუთი კლასის გამოყოფა სპეციალურ ლიტერატურაში გაკრიტიკებულია [ანდლულაძე 1968: 24; შდრ. ალექსეიევი 1988: 184-186...].

⁴ დ-ს რეკონსტრუქცია მართებულია ნახურ-დაღესტნური ქრონოლოგიური დონისათვის, ხოლო ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ერთობის ხანისათვის აღდგება რ (<*დ).

ბინარული ოპოზიცია: I კლ. – *ჟ (ღმერთი, ქურუმები, ადამიანი და მისთ.), II – *ზ (არაადამიანი, ნივთები, აბსტრაქტული მოვლენები...). კლასთა ევოლუციის მეორე ეტაპზე მოხდა ადამიანის გამომხატველ სახელთა დიფერენცირება – ქალი გამოეყო ადამიანის კლასს და აღინიშნა **ღ** მარკერით. აქვე უნდა ითქვას, რომ ნახურ-დაღესტნურ ენათა ერთობის ხანისათვის ეს ორივე ეტაპი უკვე გავლილი იყო. ეს ნიშნავს, რომ კლასთა ქმნალობის პირველი და მეორე პროგრესული საფეხურების ჩამოყალიბება ძალიან შორეულ წარსულში ივარაუდება. რაც შეეხება კლასთა ევოლუციის მე-3 საფეხურს, რომელიც არაადამიანთა (ნივთთა) კლასის დიქტომიას გულისხმობს, იგი უნდა ყოფილიყო თანამდევნი ნახურ-დაღესტნური ფუძეენისა. კლასთა ოპოზიციის ეს სისტემა სქემატურად ასე გამოიხატება:

I კლ.	*ჟ
II კლ.	*ღ
III კლ.	*ზ
IV კლ.	*დ

ავტორები იმ თვალსაზრისისაკენ იხრებიან, რომელიც ბინარული ოპოზიციის რეკონსტრუქციის დროს I კლასის ნიშნად **ჟ**-ს აღადგენს [ჩიქობავა 1978 : 19; შდრ. თოფურია 2003 : 22]. თაბასარანულ ენაში სინქრონიულ დონეზე I კლასის ნიშნად **ღ**-ს პოვნის არ ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს ამოსავალ სისტემასთან. ზოგადად, ლეზგიურ ენებში, კონკრეტულად, თაბასარანულშიც წარმოადგენილია კლასთა ევოლუციის რეგრესული საფეხური. ამასთანავე, I კლასის ნიშნად **ჟ**-ს აღდგენას მხარს უჭერს მისი რეგულარულობა და სტაბილურობა საკვლევი ენათა კლასოვანი სისტემებში.

რაც შეეხება ბინარული ოპოზიციის II კლასის ნიშანს, ყველა პარამეტრის მიხედვით **ზ** უნდა რეკონსტრუირდეს როგორც ყველაზე რეგულარული, სტაბილური და ფუნქციურად ადეკვატური. თუნდაც ის გარემოება, რომ არაადამიანის კლასის გახლეჩის შემდეგ **დ** კლას-ნიშნით გამოიხატა უფრო არაღირებულ სახელთა კლასი, თავისთავად მის გვიანდელ წარმომავლობას ცხადყოფს. გარდა ამისა, **ზ** საკვლევი ენებში, **ღ**-სგან განსხვავებით, ფუნქციონირებს მარტოოდენ ნივთის კლასის ნიშნად და რელიქტურადაც უფრო ხშირად არის შემონახული. სწორედ ამ გარემოებათა გამო **გ.** თოფურია ასკვნის: "...w и b являются теми показателями грамматических классов, границы функционирования которых очерчены наиболее строго, и колебаний в их употреблении фактически не наблюдается" [თოფურია 2003 : 19].

ჩვენ შესაძლებლობა გვაქონდა, ზემოთ გვეჩვენებინა IV კლასის ჩამოყალიბებისა და II კლასის ნიშნთან მისი

ისტორიული მიმართების სურათი, ამიტომ აქ ლეტალურად აღარ შეეჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ **დ** კლას-ნიშნით არამდგრადი მორფოლოგიური ელემენტი ძნელად წარმოსადგენია უწინარესი იყოს. უფრო მეტად სავარაუდოა, რომ პროგრესულ ოთხკლასიან სისტემაში ნივთთა კლასი „მექანიკური განვითარებით“ (ჟ. დიუმეზილი) გაიყო და **IV** კლასის ნიშნად გამოყენებულ იქნა **დ**, რომელმაც სპონტანური ფონეტიკური პროცესით¹ განსხვავებული რეფლექსები ჩამოიყალიბა: **რ, ფ, ლ, ნ, მ**. როგორც ჩანს, **დ** კლას-ნიშნის ფუნქციით ყველაზე გვიან დაიტვირთა და ყველაზე ადრე დაადგა მოშლის გზას [იხ. დიუმეზილი 2015 : 47, 53].

ისმის მნიშვნელოვანი კითხვა: რა წარმომავლობისანი არიან კლასის ნიშნები?

თავდაპირველად **ნ**. მარმა წამოაყენა თეზისი მათი ნაცვალსახელოვანი წარმომავლობის შესახებ [მარი 1917 : 313]. დახლოებით ანალოგიური მოსაზრებები გამოთქვეს მოგვიანო ხანის მკვლევრებმა [დიუმეზილი 2015 : 53; ჟირკოვი 1941 : 118; დეშერიევი 1979 : 101, 135; საიდაყოვი 1980 : 92...]. **გ**. კლიმოვი იზიარებს **ბ, დ** კლასის მარკერთა ნაცვალსახელოვან წარმომავლობას, თუმცა **I** და **II** კლასის ექსპონენტების ამგვარ გენეზისს უგულებელყოფს [კლიმოვი 1986 : 94].

სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე წამოყენებული თვალსაზრისები კომპარატივისტიკის პოზიციებიდან მხოლოდ ვარაუდებია, რომელთაც სათანადო დასაბუთება აკლია [აბდულაევი 2010 : 41]. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ კლას-ნიშნთა გენეზისური კავშირი დამოუკიდებელ ლექსიმებთან და სათანადო (მეტადრე ჩვენებით) ნაცვალსახელოვან ძირეულ ელემენტებთან გამოსარიცხია, მაგრამ ამ საკითხს დამატებითი სიღრმისეული კვლევა სჭირდება, რაც ამჟამინდელ ჩვენ მიზანს სცილდება.

რიცხვის კატეგორია


5. 1. **ზოგადი**. ნახურ და დაღესტნურ ენებში რიცხვის გრამატიკული კატეგორია, ბევრ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, წარმოდგენილია ბინარული ოპოზიციით „ერთი“ – „მრავალი“. მრავლობითი რიცხვი გამოიხატება ორგვარად: 1) **ლექსიკური საშუალებით**, რომელიც ჩვეულებრივ დამახასიათებელია ნაცვალსახელოვან რიცხვით სახელთა და ერთი რიგის ზმნისართათვის; 2) **მორფოლოგიური**, რომლის დროსაც არსებითი სახელის, ზედსართავი სახელის, ზოგი რიცხვითი სახელისა და ზმნის მრავლობითობა გამოიხატება სადერივაციო ნიშნებით: ა)

¹ საგულისხმოა, რომ **დ > რ > ფ** საყოველთაოდ გაზიარებული პროცესი ფონემათშესატყვისობის დადგენილ ფორმულებში არ ვდება, ვინაიდან **დ** და **ფ** გვიჩვენებენ ფონემათიგივეობას, ხოლო **რ** მცირეოდენ ცვლილებას (***რ > ხვარშ. ლ...**) განიცდის.

კლასის ექსპონენტებით; ბ) სპეციალური სუფიქსებით.

5. 2. მრავლობითი რიცხვის წარმოება კლასის ექსპონენტებით. ცნობილია, რომ კლასის ნიშნებით სახელთა მრავლობითობა გამოიხატება ატრიბუტულ სახელებში, ზმნაში, ნაზმნარ სახელებსა და თითო-ორილა სუბსტანტივში. რიცხობრივი დიფერენციაციის საწყის საფეხურზე ოთხკლასიან სისტემაში თავდაპირველად უნდა მომხდარიყო ნივთთა (III, IV) კლასის ექსპონენტების განზოგადება და გამოყენება სახელთა მრავლობითობის აღსანიშნავად.

მრავლობითი რიცხვის ჩამოყალიბებისას, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღინიშნული [დიუმეზილი 2015: 45; ტრუბეცკოი 1987: 340; ჩიქობავა 1937: 97-106; შარაძენიძე 1972: 187-188...], გრამატიკულად უნდა გამოხატულიყო დაპირისპირება სათანადო რიცხვის ფორმათა შორის. ოთხკლასიან ენებში (ნახური, დილოური, ანდიური...) სრული ოპოზიციის თეორიულად საგარაუდებელი სისტემა შეიძლება ამგვარი ყოფილიყო:




როგორც ზემოწარმოდგენილი ფაქტობრივი ვითარებიდანაც თვალნათლივ ჩანს, IV კლასში არ ხდება კლასის ნიშნთა ექსპანსია.

იბალება კითხვა: რით უნდა იყოს შეპირობებული ამგვარი ასიმეტრიულობა?

ჟ. დიუმეზილის მოსაზრებით: „...არაგონიერ სახელებს მხ. რიცხვში უნდა ჰქონოდათ *R, მაგრამ მხოლ. რიცხვშივე შეიცავდნენ „ნაგულისხმევ (ფარულ) მრავლობითს“ [დიუმეზილი 2015: 45].


ჩვენი შეხედულებით, სახელები, რომელნიც IV კლასში ერთიანდებიან, მოკლებულნი იყვნენ ინდივიდუალობასა და ნაკლებად საჭიროებდნენ მრავლობითი რიცხვის განსხვავებულ ფორმებს.

მაშასადამე, ოთხკლასიან ენათა (ჩეჩნური, ბაცური, ჭამალური, დილოური, ჰინუსური, ხვარშიული, ბეჟიტური, არჩიული, რუთულური...) მრავლობითი რიცხვის სისტემები ყოველთვის არ ემთხვევა ჟ. დიუმეზილისეულ სისტემას:





მრ. ბ რ

აღსანიშნავია, რომ კლას-ნიშანთა საშუალებით მრავლობითი რიცხვის გამოსატვის ჩანასახი მკაფიოდ არის გამოსატული ანდიურ ენაში [ცერცვაძე 1965 : 93-94]:


	ზემონდიური თქმები		ქვემონდიური თქმები	
	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
I კლ.	ჟ	ჟ	ჟ	ჟ
II კლ.	ღ	ღ	ღ	ღ
III კლ.	ბ	 ღ	ბ	ბ
IV კლ.	რ	რ	*რ	*რ

ანდიური ენისაგან უფრო შესამჩნევ განსხვავებას ავლენენ ნახური ენები, რომლებიც მეტი სირთულით გამოირჩევიან. კერძოდ, ინგუშური ენის კლას-ნიშანთა სისტემა, რომელიც ანდიური ენისაგან განსხვავდება ორი კლას-ნიშნის ექსპანსიით [შარაძენიძე 1972 : 188-189], ასე წარმოგვიდგება:

	I კლ.	II კლ.	III კლ.	III კლ.	IV კლ.	II კლ.
მხ.	ჟ	ღ	ბ	ბ	ღ	ღ
მრ.	 ბ	 ღ				ღ


ყველაზე მეტად გართულებულია ბაცბური ენის სისტემა, რომელშიც სამი კლასის (II, III, IV) დიქტომია ხდება:

I კლ. III კლ. II კლ. III კლ. IV კლ. II კლ. III კლ. IV კლ.




საკუთრივ დიდურში IV კლას-ნიშნის ექსპანსია II კლასზეც (ასახისა და შოფინის თქმებში I კლასზეც) გავრცელებულა, რაც მეორეული ფაქტია [იმნაიშვილი 1963: 44]:

I კლ. II კლ. III კლ. IV კლ.



როგორც ზემოთ აღინიშნა, ოთხკლასიან სისტემებში მრავლობითის ჩასახვა შესაძლებელია მხოლოდ ერთი კლას-ნიშნის ექსპანსიით რეალიზდეს ან ორი ნიშანი ერთდროულად განზოგადდეს, ანდა, ბაცბურის მსგავსად, ერთდროულად სამი ექსპონენტიც კი განზოგადდეს, რასაც იმავდროულად თან სდევს კლასიფიკატორთა ნეიტრალიზაციის ტენდენცია.

ზოგ ანდიურ ენაში (ლოდ., ტინდ., ბაგვ., კარ., ახვ.) წარმოდგენილია უნიფიცირებული სამკლასიანი სისტემები ორკლასიანი მრავლობითით:



გასაზიარებელი ჩანს თვალსაზრისი ოთხკლასიანი სისტემის გამარტივებით სამკლასიანი სისტემების მიღების შესახებ, რაც ქრონოლოგიურად ამ ენებში კიდევ დასტურდება [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 95; შარაძენიძე 1972: 198].

საკვლევ ენათა მიხედვით, მრავლობითის ნიშნების განაწილება განსხვავებულად ხდება: ა) ეს ნიშნები იმყოფებიან დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში; ბ) ან რეალიზებულია მრავლობითი რიცხვის ნიშანთა პარალელური გამოყენება; გ) ანდა მრავლობითში გაბატონებულია ერთ-ერთი ნიშანი, რაც გვხვდება ხუნძურსა და ზოგ ლეზგიურ ენაში. კერძოდ, რუთულურში მრავლობითი რიცხვის ნიშნად დასტურება **დ** და **ლ**. თუ **ლ** ნიშანი **დ**-ს რეფლექსს წარმოადგენს, მაშინ გასაზიარებელი იქნება ერთი კლასის ექსპანსია [შლრ. შარაძენიძე 1972 : 195]. რაც შეეხება არჩიულ ენას, აქ რეალურად დასტურდება ერთი გრამატიკული კლასის ექსპანსია ერთგვარი თავისებურებით – გაბატონებულია არა განზოგადების ყველაზე მეტი ტენდენციის მატარებელი **დ**, არამედ III კლასის ნიშანი **ბ**, რომელიც მხოლოდობითის **ბ**-ს ემთხვევა.

ამრიგად, ნახურ-დაღესტნური ენების კლასთა სისტემა მოყოლებული მათი ფუძეენიდან ღლეკანდლამდე განვითარების ძირითად ტენდენციას – კლასთა მოშლისა და შემცირების კარდინალურ ხაზს მისდევს. მართალია, ზემოანდიურ თქმებში დაცულია მრავლობითი რიცხვის ჩამოყალიბების შედარებით ადრეული საფეხური, მაგრამ IV კლასის კლება და გაქრობა ამ ენის ქვემოანდიურ თქმებში, მრავლობითი რიცხვის მიხედვით, თვალშისაცემია. საკვლევ ენებისთვის ნიშანდობლივია მხოლოდობითი რიცხვის II, III და IV კლასის ნიშანთა ექსპანსია და გამოყენება მრავლობითობის გადმოსაცემად. სხვადასხვაკლას-ნიშანთა მორფოლოგიური ძალა მრავლობითობის გადმოცემისას განსხვავებულია – **დ** (>**რ**), **დ**-სა და **ბ**-სთან შედარებით, ექსპანსიის მეტ ძალას ავლენს და მთლიანად ბატონდება მრავლობითში (ხუნძური, ლაკური, არჩიული, საკუთრივ დილოური...).

5. 3. მრავლობითი რიცხვის წარმოება სუფიქსების საშუალებით. ნახურ და დაღესტნურ ენათა სინამდვილეში სახელთა მრავლობითობის საწარმოებლად გამოიყენება სხვადასხვაგვარი სუფიქსები, რომლებიც უშუალოდ დაერთვიან ორდინარულ ფუძეს. ამგვარ ნიშანთა სიუხვე უფრო მეტად ხელშეწყობს დაღესტნურ ენებში, ვინემ ნახურ ენებში. მათი სიმრავლე ჟ. დიუმეზილსაც არ გამოჰპარვია მხედველობიდან: „ჩცკ – ჩაკ-ში შექმნილია სახელის მრ. რიცხვის სუფიქსების მდიდარი სისტემა“ [დიუმეზილი 2015: 118].

აღსანიშნავია, რომ მრავლობითობის საწარმოებელ ფორმანტთა დართვისას გარკვეული ფონეტიკური ცვლილებები ხდება, რაც ურთიერთზეგავლენის შედეგად აისახება როგორც ფუძის, ისე ფორმანტთა სტრუქტურაზე.

ნახურ ენებში მრავლობითი რიცხვის სუფიქსები დაერთვის მარტივ (აბსოლუტივის ფორმა) და რთულ (გარკვეული ელემენტებით ნაწარმოებ ან ალღენილ) ფუძეებს. რიცხვის საწარმოებელ სუფიქსებად გამოიყოფა: ა) ჩენნ.: -შ/-Vშ, -ჲ/-ოჲ, -ჩიჲ...; ბ); ბაცბ.: -ი, -იშ, -ადრ/-ერ, -ადრ-ჩ /-ერ-ჩ, -არ, -მი, -ბი, -ში, -ღარ.

ხუნძურ ენაში მრავლობითობის ფუძედ გამოყენებული სახელობითის ფორმა შეიძლება ბოლოვდებოდეს -ენ, -ან, -ინ, -ალ ელემენტებით, რომლებიც ისტორიულად ფუძის საწარმოებელი ან მათთან გათანაბრებული ოდენობანი უნდა ყოფილიყვნენ. ამჟამად მრავლობითი რიცხვის წარმოებისას ზემონახსენები ელემენტები ხანდახან უკვალოდ იკარგება, რაც მათ ძირისეულობას უგულებელყოფს, მაგ.: ხუნძ. როკა-ენ „ნემსი“ – მრ. რუკ-ბი, რეკ-ენ „ცხვრის ფარა“ – მრ. რეკ-აბი, ბუჰთ-ან „დაბეზლება“ – მრ. ბუჰთ-აბი, ფალუჰ-ან „აკრობატი“ – მრ. ფალუჰ-აბი და მისთ.

ანდიურ ენებში მრავლობითობის ნიშნად გაბატონებულია -ლ , -ბ (-ოლ, -ილ, -ალ, -ულ, -ობ, -იბ...) თანხმოვნების შემცველი ნიშნები, რომელთა დაერთვის შემთხვევაში შესაძლოა მრავლობითობის ორმაგ წარმოებასთან გვეკონტაქტოვდეს¹ [იხ. გულაგა 1971 : 61-63]. რაც შეეხება რიცხვის ნიშნის წინამავალ დ-ს (-ოდ, -ად), იგი უფრო ფუძის საწარმოებელი სუფიქსი უნდა იყოს, ვინემ მრავლობითი რიცხვის ნიშანი.

ბაგვალურ ენაში მრავლობითობის გამომხატველ ნიშნებად პროლექტიულია -ბი და -დი (-ა-დი) [გულაგა 1971 : 56-63]. რაც შეეხება ახვასურ ენას, მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად გამოიყენება -CV სტრუქტურის ნიშნები (-ლს, -დი, -ლი, -ბა, -ნა), რომლებიც უშუალოდ დაერთვიან სახელის მარტივ ფუძეს [მაჰომედბეკოვა 1967 : 43-50].

საინტერესოა, რომ ანდიურ-დილოურ ენებში მრავლობითობის გამომხატველ სუფიქსსა და ფუძეს (resp. ძირს) შორის არაიშვიათად ჩაერთვის ხმოვანი, რომელიც ფუძედ გააზრებულ სახელობითისეულ ფორმის ბოლოგილურ ხმოვანს ენაცვლება: ი-ო (ანდ.), ო-ა (კარ., ახვ.), ე-ა (ტინდ., კარ.), უ-ო (ლოდ., ბოთლ., ჭიმ., კარ.), ე-ი (კარ.) [მაჰომედბეკოვა 1967 : 46-47; იმნაიშვილი 1963 : 51-52; არდოტელი 2014 : 108...].

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლაკური ენის მრავლობითი რიცხვის ნიშანთა სიუხვე: -ვ, -ლ, -თ, -ლთ, -ნთ, -რუ, -დუ, -ნუ, -ლუ, -თოუ, -რი, -დი, -თჰ, -ვი, -ვუ, -ართ, -ნნი (-ნდი), -დრი, -თრი, -რთუ, -რდუ, -ითოუ, -რთი, -გრუ, -ვლუ, -ვრუ, -ვულ, -რულთ, -დულთ, -ლივ, -დივ, -თივ, -რთივ, -ლთივ, -თაღ, -თაღლ, -რვაღ, -რბაღ, -რღაღ, -ვარკ, -ბარკ, -თიბრდუ [აბდულაევი 2003: 9; აბდულაევი 2010: 67-68]. დარგულ ენაში მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად ოცამდე სუფიქსი გამოიყოფა: -ბი, -უბი, -რბი, -ურბი, -ნბი, -რთი, -ნთი, -ლთი, -ანბი, -უნბი, -მი, -ლუმბი, -რუმბი, -რი, -ი, -ვალბი [გაფრინდაშვილი 1953; ლვინჯილია 1978 : 117-123].

¹ მრავლობითობის სრული გახმოვნების სუფიქსებთან (-ალ, -ილ, -ულ, -ოლ) ხმოვანთა ვარიაციულობა აქუსნელია.

უნდა ითქვას, რომ არც ლეზგიური ენები არიან მოკლებული მრავლობითი რიცხვის ნიშანთა სიმრავლეს. კერძოდ, მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლების განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა ხინალულური ენა, რომელშიც დასტურდება შემდეგი სუფიქსები: **-დ, -ღირ, -ღერ, -ირ, -გრ, -ირ-ღირ, გრ-ღერ, -ღირ, -ღერ, -ინ, -ბირ, -ბერ, -ზირ, -ზერ, -ლ.**

ლეზგიურში მრავლობითობას აწარმოებს **-არ** სუფიქსი. აღულურშიც დასტურდება **-არ** სუფიქსი და დიალექტური ვარიანტები ხმოვანფუძიანი სახელებითვის – **-ბურ** (ტფილ.), **-ვურ** (ბურკ.), **-მარ** (რიჩ.). ამის გარდა, დასტურდება არაპროლექტიული სუფიქსებიც: **-ე (-ჰ) –** უბულ „მგელი“ – უბლ-ე „მგლები“; მგჰ-ელ „ციკანი“ – მგჰ-ლე „ციკნები“...; **-ბე –** სი-ბე „დათვები“; რგშ-ბე „ქალიშვილები“; შუ-ბე „ძმები“...; **-ამარ –** ნინ-ამარ „დედები“, ღიდ-ამარ „მამები“... რუთულურში დასტურდება ირიბი ფუძის მრავლობითი რიცხვის სპეციალური მაწარმოებლები: **-მერ** (პირდაპირი ფუძის – **-ბერ**), **-მამ** (პირდაპირი – **-მარ**), **-ამ** (პირდაპირი – **-არ**).

წახურ ენაში ძირითად სუფიქსებად გვევლინება **-არ**, **-ბე**, **-აფე**. რაც შეეხება არჩიულს, არჩიულში მრავლობით რიცხვს ორი რეგულარული სუფიქსი აწარმოებს: **-მულ** (თანხმოვანფუძიანებთან), **-თუ** (ხმოვანფუძიანებთან). არაპროლექტიული სუფიქსების რიგს განეკუთვნება: **-ომ/-უმ, -ორ/-ურ, -ოთ/-უთ, -ყულ, -რულ, -შულ** და სხვ. ირიბი ფუძე: **-ჩად** და **-ად**.

კრიწულში გამოიყოფა შემდეგი მაწარმოებლები: **-ჰრ / -რ, -ბი, -იმ**. ბულუხურში, კრიწულთან შედარებით, მრავლობითი უფრო მეტად რთული სუფიქსების მეშვეობით იწარმოება – კრიწულ **-ბი/-იმ** სუფიქსებს ბულუხურში შეესატყვისება რთული სუფიქსი **-იბ-ერ** (შინ-იბ-ერ „ნაწლავები“), კრიწულ **-ნი** და **-რი** სუფიქსებს – **-რი** (წეშ-რი „თხები“); სამ სიტყვაში დასტურდება სუფიქსი **-გრ**: ხორ-გრ „ძაღვები“, ქეს-გრ „ქათმები“; ზერ-გრ „ძროხები“.

ხინალულურ ენაში, რომელიც მრავლობითობის ნიშანთა ყველაზე მეტი სიუხვით გამოირჩევა, დასტურდება შემდეგი სუფიქსები: **-დ, -ღირ, -ღერ, -ირ, -გრ, -ირ-ღირ, გრ-ღერ, -ღირ, -ღერ, -ინ, -ბირ, -ბერ, -ზირ, -ზერ, -ლ.** ყველა ამ სუფიქსს თავისებური დისტრიბუცია და ფუნქციები აქვს.

უდიურ ენაში გამოიყოფა **-C/VC¹** სტრუქტურის მრავლობითი რიცხვის ნიშანთა წყება: **-უხ, -ურ, -ურ-უხ, -მ-უხ, -ურ-მ-უხ, -ორ** (გართ.), **-უხ//ხო, -ურ, -ურ-უხ// -ურ-ხო, -მ-უხ, -ურ-მ-უხ** (ნიჯ.). ამათგან, ისევე როგორც კავკასიის აღბანურში, ყველაზე პროლექტიულია **-უხ//ხო**. გარდა ამისა, კავკასიის აღბანურში დასტურდება მრავლობითობის შემდეგი ნიშნები: **-რ-, -რ-ღ-, -ურ, -რუხ, -ურუხ, -ბურ, -მ-, -მუხ.**

¹ ერთადერთი ნიშანი, რომელიც **-CV** სტრუქტურისაა, არის **-ხო**, რომლის ბოლოკიდურადაც თანხმოვანი ჩანს დაკარგული.

აღსანიშნავია, რომ ლეზგიურ ენებშიც, სხვა დაღესტნურ ენათა ანალოგიურად, მკაფიოდ განიჩნება პირდაპირ ფუძეზე დართული მრავლობითობის ნიშნები ე. წ. ირიბ ბრუნვათა ფუძეზე დართული ნიშნებისაგან. ზოგადად, მთის კავკასიურ ენებში, ხოლო, კონკრეტულად, ნახურ-დაღესტნურ ენათა მრავლობითობითი რიცხვის წარმოებისას თვალნათლივ ჩანს ფუძეთქმნადობის სურათი და თვალსაჩინო დაპირისპირება მხოლოდობითისა მრავლობითი რიცხვის ფორმებთან. ნ. ტრუბეცკოი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს: "Кроме того, у большинства существительных корневой гласный в пациенсе множественного числа отличался от гласного в пациенсе единственного числа" [ტრუბეცკოი 1987 : 342].

5. 4. **მრავლობითი რიცხვის ნიშანთა გენეზისი.** ნახურ და დაღესტნურ ენებში სახელობითი ბრუნვის ფორმით მრავლობითი რიცხვის ნიშანთა სტრუქტურა წარმოდგენილია როგორც მარტივი (-C, -VC, -CV, -V), ისე რთული სტრუქტურის (-C-VC, -VC, -VC-VC, -C-VC-VC, -VC-VC-VC...) სუფიქსებით.

ერთი თვალის გადავლევით ყურადღებას იქცევს **ჟ, ბ, დ, რ, ლ, მ, ნ** თანხმოვნითი ელემენტების შემცველი მრავლობითი რიცხვის ნიშნები, რომელთა დისტრიბუცია, რანჟირება და ფუნქციური დატვირთვა არაერთგვაროვანია. ეს გარემოებები ქმნის იმის თქმის საფუძველს, რომ ეს სუფიქსები არაერთდროული წარმოქმნისა და სხვადასხვა ხნოვანებისაა. საყურადღებოა ისიც, რომ სათანადო ენათა ერთნაირი მონაცემების შედარებისას არსებითი სახელები მრავლობითი რიცხვის სხვადასხვა სუფიქსს გვიჩვენებენ, რაც ამ ნიშანთა ისტორიის გარკვევას აძნელებს.

ამგვარ სირთულეთა მიუხედავად, ჩვენი ვარაუდით, შეიძლება გამოიყოს საერთო წარმომავლობის შემდეგი ნიშნები:

1) ***-აბ:** ბაცბ. **-ბ-ი**, ხუნძ. **-აბი, -ბი -აბ** (პ.-ხუნძ. ***-აბ-ილ¹**); ანდ. **-ობ-ილ, -ბ-ილ;** ბოთლ. **-ბ-ა(ლ'ი), ლოდ. -ბ-ე,** ჭამ. **-ბ-ი, -ბ-ე,** ტინდ. **-აბ-ი, -იბ-ი;** ბაგვ. **-აბ-ი, -იბ-ი,** კარ. **-აბ-ი, ახვ. -ბ-ა, ღარგ. -ბი, რუთ. -ბ-ე, კრიწ. -იბ/-ბ-ი, ბუდ. -იბ-ერ, კავკ. ალბ. -ბ-ურ** „მრავლობითობის გაგრძელებული ნიშანი“.

ნახურ ენათა მწირო მონაცემები არ იძლევა იმის საშუალებას, ზემოთწვენით ზუსტად აღვსად არქეტიპი,

¹ **-აბ-ილ** ფორმანტის სეგმენტაციისას გასათვალისწინებელია მისი ორმაგი წარმომავლობა: **-აბ** – ძველი, **-ილ** – ახალი [იხ. მიქაილოვი 1964 : 25-26; თოფურია 1995 : 46-59, შდრ. ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 105; ალექსეევი 1988 : 36-38...]. რეკონსტრუირებული სახეობა (***-ბ-ილ, *-Vბ-ილ**) ხუნძური ენის კუსურულ კილოკავში სინქრონიულად დასტურდება [ისაყოვი 1981 : 6]. ვარაუდობენ, რომ ბოლოკიდური ლ (<*რ) გვიანდელი დანართია, რაც დამატებით არგუმენტაციას მოითხოვს [ალექსეევი 1988 : 37].

რადგანაც შეიძლება ბაცბურში **-ბი** ქართულიდანაც იყოს შესული.¹ რაც შეეხება სუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებს, ამ ენათა ერთიანობის ხანისათვის შეიძლება რეკონსტრუირდეს ***-აბ**.

საერთო-ლაკურ-დარგუულ არქეტიპად გარკვეული ალბათობით აღდგება ***-Vბ-ი**, ხოლო საერთო-ლუზგიურ არქეტიპად - ***-აბ**.

2) ***-არ**: ჩეჩნ. **-არ-შ**, ბაცბ. **-არ**, ხუნძ. **-აღ (<*-არ)**, ანდ. **-ოღ (<*-აღ<*-არ)**, ბოთლ. **-ღ**, ლოდ. **-აღ**, ჭამ. **-ლა**, ბავგ. **-ლი**, კარ. **-ლ/-აღ**, ახვ. **-ლა/-ლი**, ბეჟ. **-ლა** (საკ. ბეჟ.), **-ლ** (ჭუნზ.), ლაკ., დარგ. **-რ-უ/-რი**, ლუზგ., აღ., რუთ., წახ. **-არ**, კრიწ. **-ჰრ**, ხინ. **-ირ**, უდ., კავკ. ალბ. **-ურ** „მრავლობითობის პროდუქტიული ნიშანი“.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩეჩნურში **-არ-შ** ნიშანი რთული სუფიქსი ჩანს, **-არ** და **-შ** ნიშანთა კონტამინაციით მიღებული. საერთო-ნახურ არქეტიპად რეკონსტრუირდება ***-არ**. ხუნძ. **-აღ** : ანდ. **-ოღ** ფონემათშესატყვისობის კუთხით კანონზომიერებას გვიჩვენებს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ **-აღ** (ხუნძ.), **-ოღ** (ანდ.) ნიშნის **ღ** გვიანდელი დანართია [ალექსეევი 1988 : 36-37].

ჩვენი აზრით, სუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა მრავლობითი რიცხვის ფორმებში **ღ** გვიანდელი დანართი არ უნდა იყოს.² როგორც ცნობილია, ფონეტიკურად შეპირობებული მრავლობითობის სუფიქსის (**-ღ**, **-აღ**, **-ი-აღ**) თანხმონგნითი ელემენტი **ღ** ისევე, როგორც **ბ**, **დ**, გენეზისურად კლას-კატეგორიის სათანადო ნიშნებს უკავშირდება³ [მიქაილოვი 1964 : 28; თოფურია 1973: 259; ალექსეევი 1988 : 37]. თუ ეს მოსაზრება სინამდვილეს შეეფერება, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ აუსლაუტში საანალიზო სუფიქსს ექნებოდა **-VC** სტრუქტურა. რაც შეეხება ლაკურ-დარგუულ მონაცემებს, საანალიზო ნიშნებს მოსდევს ხმოვანი, რაც არ უნდა ყოფილიყო მუდმივი ინგრედიენტი არქეტიპად აღდგენილი ნიშნისა. ამის უტყუარ არგუმენტად გამოდგებოდა ლუზგიურ და კავკასიის ალბანურ ენათა ჩვენება.

3) ***-Vდ**: ხუნძ. ***-აღ-ულ**, ანდ. **-ოდ-ულ**, ბავგ. **-დ-ი/-ბ-აღ-ი**, კარ. **-აღ-ი**, ახვ. **-დ-ი**, ბეჟ. **-და**, ლაკ. **-დ-უ**, დარგ. **-დ-ი**, არჩ. **-ოთ (<*-ოდ)**, ხინ. **-დ**.

ზემომოყვანილი სუფიქსის ფუნქციონირების დიაპაზონი შედარებით შეზღუდულია. სუნძურ ენაში დასტურდება როგორც **დ-ს** შემცველი სუფიქსი (**-დ-ულ**), ისე **ზ-ს** მქონე სუფიქსებიც (**-ზ-აღ**, **-ზ-აბ-ი**). აქტიურად დგას

¹ ე. ლიუპეზილი გამოთქვამს ამის ეჭვს [ლიუპეზილი 2015 : 118].

² ბუნებრივია, აქ არ იგულისხმება სხვა საწარმოებელი სუფიქსები (**-აღ**, **-აბ...**), რომლებიც შესაძლოა წინ უსწრებდნენ **-აღ** რიგის სუფიქსებს და მოგვიანებით ფუძის საწარმოებელი აფიქსის ილუზია შექმნეს.

³ IV კლასის ნიშნის ტრანსფორმაცია (**რ > ლ**) ხვარშიულ ენაში რეგულარული ხასიათისაა, თუმცა სხვა ენებში (მაგ., ხუნძ.: ლიტ. **რ-ახასა > ჭად**. **ლ-ახაშა** „ძეწკვი“, „ჯაჭვი“...) სპორადულად იჩენს თავს.

მათი ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების საკითხიც, ვინაიდან **დ-ს** შემცველი ვარიანტები არქაულად ითვლება: **-ზ-აღ** (<***-ღ-აღ**), **-ზ-აბ-ი** (<***-ღ-აბ-ი**) [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 103]. რაც შეეხება დილოურ ენებს, მრავლობითი რიცხვის ნიშნის ფუნქციით ოდენ ბეჟიტურ ენაში შეინიშნება **-და(>-რა)**, მაგ.: გაჟო „ეშვი“ - გაჟო-**და**, შელი „რქა“ – შელი-**და...**; ბოხო „თვე“ – ბოხო-**რა**, ლეო „მკერდი“ – ლეო-**რა** და მრ. სხვ. ამგვარ შემთხვევებში იგულისხმება **დ-ს** გარდაქმნა **რ-დ**, ეს უკანასკნელი შეიძლება დასუსტებით **მ-დაც** იქცეს: **დ > რ > მ**.

კვლევის ამ ეტაპზე შესაძლებლად გვესახება, ჩვენ. **-ამ/-შ** გარკვეული ალბათობით დავუკავშიროთ არჩ. **-შ** ~ რუთ. **-შ** (**-მაშ-**, **-ამ-** მაწარმოებლებში) ~ წახ. **-შ**- მრავლობითობის ნიშნებს.

ამრიგად, ზემოწარმოდგენილმა ანალიზმა ცხადყო, რომ მრავლობითობის გამონატვა საწყის ეტაპზე სუფიქსებად გამოყენებული კლასიფიკატორებით გადმოიციმდა. მოგვიანებით კლასის ექსპონენტების გადაზრინებით და მათი გაორმაგებით (resp. გასამმაგებით) ხდებოდა მრავლობითი რიცხვის გამომსატველი სუფიქსების ჩამოყალიბება. როგორც ჩანს, ფორმანტა გაორკეცება ხდებოდა მაშინ, როდესაც სინქრონიულად უკვე არსებული მრავლობითობის ნიშანი ფუძის შემადგენელ ელემენტად აღიქმებოდა. ეს კი, ბუნებრივია, ითხოვდა დამატებითი ნიშნის დართვას, რაც რეალურადაც განხორციელდა ნახურ-დალესტნურ ენებში.

ბრუნვის კატეგორია ნახურ და დალესტნურ ენებში

5. 1. **ზოგადი**. ნახურ-დალესტნური ენებისათვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ბრუნვის შემდეგი პრინციპები: ორფუძიანობა – ბრუნვისას განიჩევა პირდაპირი და ირიბი ფუძეები; ირიბი ფუძის ფორმა შეიძლება ემთხვეოდეს ერგატივს, გენიტივს, ერგატივ-გენიტივს ან თავისებური ფორმით იყოს წარმოდგენილი. ბრუნვები ფორმალურად და ფუნქციურადაც იყოფა აბსტრაქტულ (ძირითად) და ლოკატიურ ბრუნვებად.

5. 2. **საბრუნებელი სახელის ფუძე**. ენებში საბრუნებელი სახელის ფუძეთა წარმოების გათვალისწინებით გამოიყოფა ორი ძირითადი ტიპი:

I მარტივფუძიანი ბრუნვის ტიპი, რომელშიც სახელის ფუძედ გამოიყენება სახელობითი (resp. აბსოლუტივი) ბრუნვის ფორმა;

II რთულფუძიანი ბრუნვის ტიპი, რომელიც „ირიბ“ ბრუნვათა ფორმებში ფუძედ იყენებს სხვადასხვა

ელემენტებით გართულებულ სახელობითი ბრუნვის ფორმას. ირიბი ფუძის ფორმა, როგორც აღინიშნა, შეიძლება ემთხვეოდეს ერგატივს, გენიტივს, ერგატივ-გენიტივს ან არცერთი ბრუნვის ფორმას არ ემთხვეოდეს.

სახელობითი ბრუნვის ფორმა ფუძის მაგივრობასაც ეწევა, ბოლოვდება ხმოვანზეც და თანხმოვანზეც, ე. ი. სახელობითი ბრუნვის ფორმა და სახელის ფუძე (ხმოვანფუძიანიც და თანხმოვანფუძიანიც) ერთმანეთს ფარავს. სწორედ სახელობითი ბრუნვის ნულმორფემიანი ოდენობა განიხილება წმინდა ფუძედ, რომლის მიმართება სხვა ბრუნვებთან ქმნის „ირიბ ბრუნვათა“ ფუძეს. ამ შემთხვევაში გარჩეულია წმინდა ფუძის ორი სახეობა: ა) მარტივი, რომელიც უცვლელად გაჰყვება ყველა ბრუნვას; ბ) რთული, რომელიც სხვადასხვა (-V, -C, -VC, -CV, -SV, -CVSV...) სტრუქტურის ფორმანტებით ნაწარმოებ ფუძეს წარმოადგენს (ზოგჯერ სუპლექტური ფუძეებიც გამოიყენება). ნახურ-დაღესტნური ირიბი ფუძის მაწარმოებლებს შორის მკაფიო პარალელები არ შეინიშნება, ხოლო დაღესტნურ ენებში შემდეგი ფორმანტების ურთიერთდაკავშირება გვესახება შესაძლებლად:

ხუნძ. -ღუ- (-ღა- ?) ~ ანდ. -ღო- : ჭამ. -ღა¹ ~ საკ. დიდ. -ღო- : ჰინ. -ღო- : ხვარშ. -ღო-/-ტი- : ბეჟ. -ღი-/-ტი- : ჰუნზ. -ღი-/-ტი- ~ ლაკ. -თა- ~ ლეზგ. -ღი- (-აღი/-ელი ?): თაბ. -ღი : აღ. -ღი : რუთ. -ღი : წახ. -ნე² (?) : არჩ. -თაა : კრიწ. -ჯი : ბუდ. -ჯგ.

ხუნძ. -ღუ- ~ ანდ. -ღლო- : ბოთლ. -ღა- : ლოდ. -ღა- : ტინდ. -ღა- : ჭამ. -ღა- : კარ. -ღა-/-ლო- : ახვ. -ლო- ~ საკ. დიდ. -რე : ჰინ. -ღი : ხვარშ. -ღა : ბეჟ. -ღი (ასევე, შესაძლებელია, ბეჟ. -ღა, ჰუნზ. -ღო) ~ დარგ. -ღი : ლაკ. -ღუ- (-ღი-?) ~ თაბ. -ღი : აღ. -აღა/-ელა : რუთ. -აღ-/გღ : არჩ. -ღი : კრიწ. -იღ : ბუდ. -იღ/-გღ/-უღ : უდ. -ღა. ეს შეპირისპირება ფონეტიკური თვალსაზრისით ეყრდნობა საერთოდაღესტნური *ღ-ს რეფლექსაციას, ხოლო ხმოვანთა შორის კანონზომიერი ბგერათშესატყვისობა არ გვაქვს.

ბოთლ. -რა : ახვ. -რო ~ საკ. დიდ. -რო-/-რ-/-რა- : ჰინ. -რუ/რო- : ჰუნზ. -რო (?) ~ ლაკ. -რა ~ ლეზგ. -რა/-რე : თაბ. -რუ/-რა- : აღ. -ურა : რუთ. -გრ/-ირ : არჩ. -ირი : კრიწ. -ირ/-გრ/-ურ : ხინ. -გრ-. ეს შეპირისპირებაც ეყრდნობა მხოლოდ საერთოდაღესტნური *რ-ს რეფლექსაციას, ხოლო ხმოვანთა შორის კანონზომიერი ბგერათშესატყვისობა არ გვაქვს.

¹ ამ ფორმანტს უკავშირდება საერთოანდიური ერგატივის მაწარმოებელი *-ღი- ანდ. -ღი : ბოთლ. -ღი : ლოდ. -ღი : ტინდ. -ღი (> -დი) : ჩამ. -ღ- : ბავ. -ღ- : კარ. -ღი : ახვ. -ღე [გულავა 1964: 126; იხ. აგრეთვე: დიუმეზილი 1933: 78-79].

² შდრ.: ლეზგ. დად : თაბ. შიდ : აღ. წედ : რუთ. წად : წახ. წან და სხვ „წყალი“; ლეზგ. გად : თაბ. წად „ზაფხული“; აღ. წიდ : წახ. დუნან და სხვ „გაზაფხული“...

სხვა მაწარმოებლების საერთოდალესტნურ ქრონოლოგიურ ღონეზე აღდგენა სათუთა:

საკ. ღიდ. -მო-/-მ(ა)- : ჰინ. -მო- : ხვარშ. -მუ- (?), ინხ. -მო- : ხინ. -(ა)მ-;


ღარგ. -ნი : ლაკ. -ნი/-ნა/-ნუ ~ ლეზგ. -უნი/-ინი : თაბ. -ნი : აღ. -ანი : ბუღ. -ინ/-უნ/-ნ : უღ. -ნ- : კავკ.-
აღბ. -ნ-;

ხუნდ. -ას- ~ ანდ. -შუ- : ბოთლ. -შუ- : ლოდ. -შუ- : ბავგ. -შუ- : ტინდ. -შუ- : ჭამ. -სუ- : კარ. -
შუ- : ახვ. -სუ- [გუღავა 1964: 89]. ეს მაწარმოებელი იმიოთაა საყურადღებო, რომ მას, შესაძლოა, უკავშირდებოღეს ერგატივის ფორმანტი -ს(ა), რომელიც სამივე ნახურ ენაში ღასტურღება [ღეშერიევი 1963: 431].¹

5. 3. ბრუნვის ნიშანოთა გენეზისსათვის ნახურ-ღალესტნურ ენებში. საერთო-ნახურ-
ღალესტნურისათვის ბრუნვაოთა შემღევი ფორმების აღღგენა გვესახება შესაძღებღად:

ერგატივი. ერგატივის ფორმა ღალესტნურ ენათა ღიდ ნაწილში ირიბ ფუღეს ეოხვევა ღა, საფიქრებელია, რომ ასეთი ვიოარება ღამახასიათებელი იყო საერთოღალესტნური ქრონოლოგიური ღონისათვის. ღალესტნურ ენათა თანამეღროვე ერგატივის ფორმანტების სტრუქტურაზე ღაკვირვება ცხადყოფს, რომ ყვეღაზე არქაული ნიშანი არის -ღ თანხმოვნის შემცველი, რასაც სპეციაღურ ლიტერატურაში სავსებით სამართღიანად აღნიშნავენ [ჩიქობავა 1948 : 111-112; გიგინეიშვილი 1976 : 37; აღექსეევი 1988 : 173; თოფურია 1995 : 144-148...]. საკვღევ ენათა აბსოღუტურ უმეტესობაში -ღ (resp. მისი შემცველი) ფორმანტი სისტემებრ ან სპორადულად ღასტურღება ღა არქეტიპადაც სწორედ ის გვეღლინება. {-ღ} ფორმანტიანი ფუღე, როგორც ცნობიღია, საფუღვღად ეღება პალეოერგატიულ ფუღე-ფორმას (= ერგატივ-გენიტივ-ინსტრუმენტაღისის ფორმას), რომელიც, თავის მხრივ სემანტიკური გადააზრიანებით ერგატივისა ღა ირიბ ბრუნვაოთა საწარმოებღლ ოღენობად იქცევა. აქეღან გამომღინარე, - (V)C სტრუქტურის „ღველი ფორმაციის“ ერგატივის ნიშანი, რომელსაც ნივოთა კლასის გამომხატვეღ კლასიფიკატორს უკავშირებენ, ფონეტიკურად კლასის ექსპონენტის ანალოგიურად მოღიფიცირღება:

¹ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მაწარმოელს უკავშირებენ აგრეთვე ინსტრუმენტაღისის გაქვევებულ -ს ფორმანტს აღღურ ენებში ღა -ს თანდებულს აფხაზურში, რომელსაც ინსტრუმენტის გაღმოცემის ფუნქცია აქვს [აბღოკოვი 1981: 86]. ი. ღიაკონოვი ღა ს. სტაროსტინი კი ამ ფორმანტს უკავშირებენ ნახურ -ს ერგატივის ფორმანტს, ლეზგიურ ენათა ღა ღარგულ ღატივს, აფხაზურ-აბაზურ ტრანსფორმატივს ღა ხურიტულ-ურარტულის ერგატიული ბრუნვის მაწარმოებღებს: ჩეჩნ.-ინგ.-ბაცბ. -ს ~ ღარგ. -ს (ღატ.) ~ ლეზგ. -ზ: რუო. -ს: არჩ. -ს (ღატ.) ~ აფხ. -ს : აბაზ. -ს (ტრანს.) ~ ხურ. -(უ)ს : ურ. -შ [ღიაკონოვი, სტაროსტინი 1988: 197].



-დ ფორმანტიანი ერგატივი შესატყვისობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება: ხუნძ. -დ /-ცაა (< -თ-სა < დ-სა) ~ ანდ. -დ/-დი > /-ნი : ბოთლ. -დი : ღოდ. -დი : ტინდ. -დი (> -დი) : ჭამ. -დ || -დი || -დუ : ბავგ. -დ > /-რ : კარ. -დი/-დ > /*-რ > /-ლ : ახვ. -დე > /-ე ~ საკ. დიდ. -დ : ჰინ. -დ : ხვარშ. -დი > /-ტი : ბეჟ. -დი > /-ტი : ჰუნზ. -დი > /-ტი) ~ დარგ. -დ : ლაკ. -თაუ ~ ლეზგ. -დი : თაბ. -დი : აღ. -დი : რუთ. -დგ : არჩ. -დე.

დატივი. დატივის ფორმანტის რეკონსტრუქცია გარკვეულ დაბრკოლებას აწყდება არათუ საერთონახურ-დალესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე, არამედ საერთოდალესტნურ ქრონოლოგიურ დონეზეც. დატივის ნიშანი (*-ს) უეჭველად აღდგება საერთოლესტიურში: ლეზგ. -ზ: თაბ. -ზ: აღ. -ს: რუთ. -ს: წახ. -ს/-სა: კრიწ. -ს: ბუღ. -ზ: არჩ. -სა: კავკ.-აღბ. -ს (დატივი III). უდიურს საერთოლესტიური დატივის შესატყვისი არ მოეპოვება, თუმცა მას უნდა უკავშირდებოდეს ადესივის რთული ფორმანტის (-ას-ტა) თავკიდური ელემენტი [ბოკარევი 1960: 45]. საერთოლესტიურ ფორმანტს შეესატყვისება -ს მაწარმოებელი დარგულში.¹ *-ს ფორმანტი შეიძლება დავუკავშიროთ ხვარშიულისა (-ზ/-ზო)² და ჰინუხურში (-ზ)³ დადასტურებულ დატივის ფორმანტებს, საკ.-დილოურისა (-ზ) და ჰინუხურის (-ზ) II გენტივის ფორმანტებს, რომლებიც „ირიბი“ ბრუნვების მსაზღვრელად გამოიყენება. ასევე, აღსანიშნავია დილოურ ენათა „ჩვეულებრივი“ გენტივის ფორმანტი -შ (< *-ს), რომლის დაკავშირება „ლესტიურ-დარგულ“ დატივის მაწარმოებელთან ასევე შესაძლებლად გვესახება.

¹ შ. გაფრინდაშვილი დარგულში დატივის ფორმანტის გენეზისის შემდეგ პროცესს ვარაუდობს: *-დი > დი > ზი > ზ > ს [გაფრინდაშვილი 1948; 1956: 352]. შ. გაფრინდაშვილის მოსაზრების კრიტიკისთვის იხ. [აბდულაევი 1987: 117]. მ.-ს. მუსაევის მოსაზრებით, დარგული დატივის მაწარმოებელი ჩამოყალიბებულია ან „ძველი“ დატივის საფუძველზე დ > ზ > ს პროცესის შედეგად, ანდა პრელატივის საფუძველზე (-სა > -ს) [მუსაევი 1989: 22]. მეორე მოსაზრება უფრო სარწმუნოდ მოჩანს.

² ი. ტესტელეცი ხვარშიულის დადასტურებულ -ზ სუფიქსზე დაყრდნობით აღადგენს II დატივის საერთოდილოურ მაწარმოებელს *-ზ [ტესტელეცი 1980: 122].

³ ჰინუხურში ზ მეორეულ წარმოებად მიიჩნევა [იმნაიშვილი 1963 : 140; ათაევი 1996 : 52]. მიცემითი ბრუნვის სუფიქსს IV კლასის ნიშანს დ-ს უკავშირებენ [ჩიქობავა 2013: 394-395; ლომთაძე 1956 : 295], თუმცა ასეთი ინტერპრეტაცია არ ჩანს ბოლომდე თანმიმდევრული [იმნაიშვილი 1963 : 140].

აღტერნატიულ ჰიპოთეზად განვიხილავთ ლაკური დატივისა და ლეზგიურ ენეთა მიმართულების ბრუნვის ფორმათა ურთიერთდაკავშირებას: ლაკ. -ნ ~ თაბ. -ნა : არჩ. -ნა (?) : კრიწ. -ნ : ბუდ. -ნ : უდ. -ნა (?) [ალექსევი 2003: 115-116]. ამ შემთხვევაში, ხერხდება რეკონსტრუირებული მაწარმოებლის დაკავშირება ნახურ მასალასთან – ბაცბ. -ნ : ჩენჩ. -ანა : ინგ. -მა, ა < (ა)ნა.

გენიტივი. გენიტივის ფორმანტის რეკონსტრუქცია დატივის მაწარმოებელთან შედარებით უფრო რთულია. არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ გენიტივი საერთო-ნახურ-დალესტნურ და საერთოდალესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე ჯერ არ იყო პალეოერგატივის გამოყოფილი, ხოლო მისი ჩამოყალიბება საერთოდალესტნური წინარეების დაშლის შედეგად წარმოქმნილ ერთეულებში მოხდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

გენიტივის ფორმანტის რეკონსტრუქციის შესახებ შეგვიძლია ორი ვარაუდის წამოყენება:

1. გენიტივი *-ლ ფორმანტის მეშვეობით იწარმოებოდა, რომელიც შემონახულია ხუნძურ (-ლ), ლაკურ (-ლ – ერგატივ-გენიტივი), დარგუულ (-ლს) და დიდოურ ენებში (ბეუ. {-ლს}, ხვარშ. {-ლს} (ინხ.), {-ლო} (საკ. ხვარშ.);
2. გენიტივი *-ნ ფორმანტის მეშვეობით იწარმოებოდა, რომელიც ლეზგიურ და ნახურ ენებშია შემონახული: ს.-ლეზგ. *-ნ – ლეზგ. -ნ : თაბ. -ნ : ად. -ნ : წახ. -ნ : არჩ. -ნ : უდ. -ნ : კაკკ.-ალბ. -Vნ ~ ს.-ნახ. *-ინ [დუშერიევი 1963: 429]. ეს ფორმანტი შეიძლება დაუკავშირდეს დარგუულ -ნ სუფიქსს, რომელიც აწარმოებს სადაურობის აღმნიშვნელ სახელებს: ავუშა-ნ „ახუშელი“...

ლოკალიზაციის კატეგორია ნახურ და დალესტნურ ენებში

საერთოდალესტნური ერთობისათვის (შესაძლოა – საერთო-ნახურ-დალესტნური ერთობისათვის) უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი თანდებულიან ბრუნვათა წარმოების შემდეგი მოდელი: ირიბი ფუძე + ლოკალიზაციის (სერიის) მაჩვენებელი + მიმართულების მაჩვენებელი. ამასთან, ირიბ ბრუნვათა ფუძე, საფიქრებელია, ერგატივის (ან პალეოერგატივის) ფორმას ეთხვეოდა. ეს ვითარება, როგორც უკვე აღინიშნა, შენარჩუნებულია დალესტნური ენების დიდ ნაწილში.

რაც შეეხება ლოკალიზაციის მაჩვენებლებს, საერთოდალესტნურისათვის შემდეგი მაწარმოებლები ივარაუდება:

„ორიენტირთან“, „ორიენტირის უკან“ ლოკალიზაციის მაჩვენებელი. ***-ვ-** – ხუნდ. **-ვ** ~ ანდ. **-ვი** : ბოთლ. **-ვი** : ლოდ. **-ვი** : ტინდ. **-ვ** : ჭამ. **-ვ** : კარ. **-ვ** : ახვ. **-ვე** ~ საკ. დიდ. **-ვ(ო)** : ჰინ. **-ვო** : ხვარშ. **-ვო** : ბეჟ. **-ვა** : ლაკ. **-ხ** ~ ლეზგ. **-ვ**: თაბ. **-ვ**: აღ. **-ვ**: რუთ. **-ხ** // **-ვ**: წახ. **-ვა**: კრიწ. **-ხ**: ბუდ. **-ხ**: არჩ. **-ხ (?)**: ხინ. **-ხ (?)**: უდ. **-ხ (?)**: კავკ.-აღბ. **-ხ (?)**. ბ. გიგინეიშვილი აღნიშნავს ლაკური რეფლექსის არაკანონზომიერ ხასიათს – მის ნაცვლად იყო მოსალოდნელი **-ხა** [გიგინეიშვილი 1976: 36].

“ორიენტირის ქვეშ” ლოკალიზაციის მაჩვენებელი. ***-ტბ-** – ხუნდ. **-ტბ** ~ ანდ. **-ტბი** : ბოთლ. **-ტბი** : ლოდ. **-ტბი** : ტინდ. **-ტბი** : ჭამ. **-ტბი** : კარ. **-ტბი** : ბავგ. **-ტბი** : ახვ. **-ტბი** ~ საკ. დიდ. **-ლ'** : ჰინ. **-ლ'(ე)** : ხვარშ. **-ლ'(ი)** : ბეჟ. **-ლ'(ა)** : ჰუნზ. **-ლ'** ~ ლაკ. **-ლუ** : დარგ. **-უ-** (ურახ.) // **-გუ** (კუბარ.) ~ ლეზგ. **-ქ** : თაბ. **-ქ** : აღ. **-ქ** : რუთ. **-ქ** : წახ. **-ქ** : კრიწ. **-ქ** : ბუდ. **-ქ** : არჩ. **-ტ** : ხინ. **-კ** : კავკ.-აღბ. **ყ** [დიუმეზილი 1933: 84–85; ბოკარევი 1960: 48; გიგინეიშვილი 1976: 35]. (?) ბ. გიგინეიშვილი შენიშნავს ლაკური რეფლექსის არაკანონზომიერ ხასიათს – მის ნაცვლად იყო მოსალოდნელი **-კ/-კუ** [გიგინეიშვილი 1976: 35], თუმცა ილ. ცერცვაძის აზრით, ხუნდ. **ტბ** : ლაკ. **ლ** ბგერათშესატყვისობა კანონზომიერია [ცერცვაძე 1961: 340].

“ორიენტირში” ლოკალიზაციის მაჩვენებელი. საკ. დიდ. **-ვ/-ა** : ჰინ. **-ვ/-რ** : ხვარშ. (ინხ.) **-ვ/-მა** : ბეჟ. **-ჟ** : ჰუნზ. **-ვ/-რ** ~ ლეზგ. **-ფ**: თაბ. **-ჟ**: აღ. **-ჟ**: რუთ. **-ფ**: წახ. **-ფ**: კრიწ. **-ფ** // **-ჟ**: ბუდ. **-ფ** // **-ჟ**: უდ. **-ფ (?)**: კავკ.-აღბ. **-ფ (?)**: არჩ. **-ფ**. დ. იმნაიშვილი ჰინურში აღნიშნავს **-ა/-მა** სუფიქსებს [იმნაიშვილი 1963: 159]. ე. ბოკარევი კი აქ მოჰყავს დარგ. **-ჰიბ** და ლაკ. **-გუ** [ბოკარევი 1960: 49]. არქეტიპად ე. ბოკარევი აქ ***-ა** // **-ჰ** ვარაუდობს [ბოკარევი 1960: 49], ხოლო მ. ალექსეევი საერთოლეზგიურში – ***-ჟ**- აფიქსს.¹

“ორიენტირზე” ლოკალიზაციის მაჩვენებელი. ***-ტ'/-ლ-** – ხუნდ. **-ტა** ~ ანდ. **-ლას** : ლოდ. **-ლას** : ტინდ. **-ლას** : კარ. **-ტას** : ბავგ. **-ლას** : ახვ. **-ტა/ტა** ~ საკ. დიდ. **-ტ'/ტო** : ჰინ. **-ტო** : ხვარშ. (ინხ.) **-ტო** : ბეჟ. **-ტას** : ჰუნზ. **-ტ'/ტო** ~ ლეზგ. **-ალ**: თაბ. **-ლ**: აღ. **-ლ**: რუთ. **-ლ**: წახ. **-ლ'**: ბუდ. **-ლ**: უდ. **-ლ**: კავკ.-აღბ. **-ლ**: არჩ. **-თ** // **-თა** (?). მ. ალექსეევი საერთოლეზგიურში ***-ლო-** ფორმანტს აღადგენს² [ალექსეევი 1985: 49].

“ორიენტირთან უშუალო შეხება” ლოკალიზაციის მაჩვენებელი. ანდ. **-ქუ** : ბოთლ. **-ქუ** : კარ. **-გ** : ახვ. **-გ** ~ ჰუნზ. **-გ** ~ დარგ. **-ჩი-** (< ***-ქი**) ~ ლეზგ. **-ქ**: თაბ. **-ქ**: აღ. **-ქ**: რუთ. **-ქ**: წახ. **-ქ**: კრიწ. **-ქ**: ბუდ. **-ქ**: კავკ.-

¹ ***ჟ** ბგერის პოსტულირება საერთოლეზგიური ფუძე-ენისათვის, რომელიც, ს. სტაროსტინის აზრით, შემდეგ ფორმულას ემაყარება (ლეზგ. **ჟ** // **ღ** // **ფ**: თაბ. **ჟ** // **ღ**: აღ. **ჟ** // **ფ**: რუთ. **ჟ** // **ფ**: წახ. **ჟ** // **ფ**: კრიწ. **ჟ** // **ფ**: ბუდ. **ჟ** // **ფ**: უდ. **ჟ** // **ფ**: არჩ. **ჟ** // **ფ** [სტაროსტინი 1975ბ]), გარკვეულ ეჭვს აღძრავს. ვფიქრობთ, რომ „ორიენტირში“ ლოკალიზაციის მაჩვენებელი უნდა იყოს ***-ფ**.

² უნდა აღინიშნოს, რომ ***ლო** ბგერის რეკონსტრუქცია საერთოლეზგიურ ფუძე-ენაში (ს. სტაროსტინის მიხედვით – ლეზგ. **ლ**: თაბ. **ლ**: აღ. **ლ**: რუთ. **ლ**: წახ. **ლ** // **ლ'** // **ჟ**: კრიწ. **ლ**: ბუდ. **ლ**: უდ. **ლ**: არჩ. **თ** // **თა** [სტაროსტინი 1975ბ]) ეჭვს იწვევს. ორიენტირზე ლოკალიზაციის მაჩვენებლად ჩვენ გვესახება ***-ლ-** მაწარმოებელი.

აღბ. -ქ(ა): არჩ. -ქ. ამ მაჩვენებლის სავარაუდებელი თავდაპირველი სემანტიკა შემონახულია თაბასარანულ და ალულურ ენებში, მაგ., თაბ. ცალი-ქ „კედელზე“...

ი. დიაკონოვი და ს. სტაროსტინი ამ მაწარმოებლებს უკავშირებენ ჩენჩ.-ინგ. -გა და ბაცბ. -გო ფორმანტებს (მაგ., ჩენჩ. ზუღჷუნ-გა „ქალისაკენ“, ინგ. გოვრა-გა „ცხენისაკენ“, ბაცბ. გაზნე-გო „თხისაკენ“) და, აგრეთვე, ურარტულ -ქად, -ქაო [დიაკონოვი, სტაროსტინი 1986: 79].

“ორიენტირთან” ლოკალიზაციის მაჩვენებელი *-ლ⁰-¹ [ალექსეევი 1985: 51–52] ლეზგიურ ენებში შემდეგი რეფლექსებითა წარმოდგენილი: ლეზგ. -ჷ: თაბ. -ხ (Φ): აღ. -ჷ: რუთ. -ხ ჷ: კრიწ. -ჷ: ბუდ. -ჷ: უდ. -ხ: კავკ.-აღბ. -ხ: არჩ. -ლ⁰ჷ. ლეზგიურ შესატყვისებს უნდა დაემატოს ხინ. -უ (დატ.) : ანდ. -ლ⁰ჷ : ხვარშ. -ლ⁰აღ, ინხ. -ლ⁰ო : ბეჟ. -ლ⁰/-ლ⁰ო/-ლ⁰ოლ : ლაკ. -ხ⁰ : დარგ. -შ⁰უ || -შ⁰უ || -ჩ⁰უ : ბაცბ. -Vჷ: ჩენჩ. -რ⁰ : ინგ. -ჷო.

ამას გარდა, სამეცნიერო ლიტერატურაში ნავარაუდევია შემგევი ლოკალიზაციის მაჩვენებლები:

*-ღV-, რომელიც მ. ალექსეევის მოსაზრებით „ორიენტირის მიმართ ტიპიური მდგომარეობა“ ლოკალიზაციის მაჩვენებელს წარმოადგენს [ალექსეევი 2003: 138]. ლოკალიზაციის მაჩვენებელია ბუნდოვანი სემანტიკით. ლეზგიურ ენათა უმრავლესობაში ეს აფიქსი დირექტივის მაწარმოებლად გვევლინება. აღდება შესატყვისობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით: ხუნძ. -და ~ საკ. დიდ. -დე : ჰინ. -დე, -დ⁰ : ბეჟ. -დ⁰ : ჰუნზ. -დე-რ ~ ლაკ. -ლუ : დარგ. -ღუ- (ურახ.) // -გუ (კუბარ.) ~ ლეზგ. -დი : თაბ. -დი : აღ. -დი : რუთ. -დ⁰ : კრიწ. -და : ბუდ. -და : არჩ. -დი/-თა : ხინ. -თა (?).

*-რ- – ივარაუდება ლოკალიზაციის მაჩვენებლად, რომლის ზუსტი სემანტიკა უცნობია: ბოთლ. -რუ : ლოდ. -რუ : ტინდ. -(ჷ)ო : ჭამ. -რ : კარ. -რ : ბაგვ. -რ : ახვ. -რ ~ საკ. დიდ. -რ : ჰინ. -რ : ხვარშ. -ლ : ჰუნზ. -რ ~ კრიწ. -რ : ბუდ. -რ : არჩ. -რ : ხინ. -რ. ჟ. დიუმეზილს მოჰყავს ნახური პარალელებიც [დიუმეზილი 1933: 82]. ენათა უმრავლესობაში ეს აფიქსი აბლატივის მაწარმოებლად გვევლინება. მ. ალექსეევის აზრით, იგი აბლატივის საერთოლეზგიურ ნიშანს შეიძლება უკავშირდებოდეს [ალექსეევი 1985: 55].

*-ჭ- – აღდება დიდწილად ანდიურ ენათა ჩვენებაზე დაყრდნობით: ანდ. -ჭუ : ბოთლ. -ჭუ : ლოდ. -ჭუ : ტინდ. -ჭ : ჭამ. -ჭ : კარ. -ჭო : ბაგვ. -ჭ. სავარაუდოდ, ორიენტირის ზედაპირზე მყოფობას უნდა აღნიშნავდეს. ამ მაწარმოებელს უნდა უკავშირდებოდეს ლაკური -ჭა „ახლოს“, „იქვე“ [თოფურია 1940: 334; ბურჭულაძე 1986: 100]. ამასვე უკავშირებენ უდიურის ალატივის -ჭ სუფიქსს (მაგ., ადამარა-ჭ „ადამიანისკენ“) და ურარტულ -აწგ ფორმანტს [დიაკონოვი, სტაროსტინი 1986: 78-79].

¹ ჩვენი აზრით, საერთოლეზგიურში აღდება არა ლაბიალიზებული თანხმონები, არამედ – ლაბიალური კომპლექსები (Cw).

*-**ხა**- წინა მარჯვენებლის მსგავსად აღდგება დიდწილად ანდიურ ენათა ჩვენებაზე დაყრდნობით: ანდ. -**ხა** : ბოთლ. -**ხა** : ლოდ. -**ხა** : ტინდ. -**ხა** : ჭამ. -**ხ** : კარ. -**ხა(რ)** : ბავ. -**ხ** : ახვ. -**ხა(რი)**. უნდა უკავშირდებოდეს ხუნძურ (ანწ.) მიმართულებითი ბრუნვის -**ხ** ფორმანტსა და საკ.-დილოურ -**ხ(ო)** სუფიქსს, შესაძლოა, დილოური ენების სხვა ფორმანტებსაც: ჰინ. -**ჰო** : ხვარშ. -**ჰო /-ლე-(ლ)**: ბეჟ. -**და** : ჰუნზ. -**ლე-რ** : საკ.-დიდ. -**ლო**-. ხუნძურ-ანდიურ-დილოური ენების გარეთ ამ მაწარმოებელს უნდა უკავშირდებოდეს ხინალულური -**ხ** და, შესაძლოა, დარგუული -**ჰა**.

მიმართულების მარჯვენებლები.

საწყისი (უძრავის) მარჯვენებელი (ლოკატივი), ყველა დადესტურ ენაში არამარკირებულია, რაც დიქტონიულ ვითარებას უნდა ასახავდეს. გამონაკლისს წარმოადგენს დარგუული ენა, რომელშიც არამარკირებულია ლატივი და ლოკატივი მისგან იწარმოება.

რაც შეეხება აბლატივისა და ალატივის მაწარმოებლებს, მათი რეკონსტრუქცია დაბრკოლებას აწყვება.

შეიძლება შევადაროთ აბლატივის შემდეგი ფორმანტები: ხუნძ. -**სა**¹: დიდ. -**ხა**: ბეჟ. -**ს** / -**სო** / -**შ**: ხვარშ. -**ჟო** || -**ზ(ი)** (ინხ.) უნდა უკავშირდებოდეს არჩიბულსა და ხინალულურში დადასტურებულ აბლატივის -**შ** სუფიქსს და, შესაძლოა, კავკასიის ალბანურ -**ოც** სუფიქსს. იმის მიუხედავად, რომ ც თანხმოვანი რეგულარულად არ შეესატყვისება წარმოდგენილ აფიქსებში დადასტურებულ **შ** კონსონანტს², არც რაიმე დაუძლეველი ფონეტიკური დაბრკოლება გვაქვს.

შესაძლებელია ასევე შემდეგი ნიშნების ურთიერთდაკავშირება: ლეზგ. -**ად** : რუთ. -**ა** : წახ. -**ე** ~ საკ.-დიდ. -**ად** : ჰინ. -**ლო-დ**.

თავის მხრივ, კავკასიის ალბანური -**ოშ**, არჩიბული -**ში** და დარგუული -**შუ** || -**შუ** || -**ჩუ** (*-**შუ**- [მუსაევი 1984: 65]) ლატივის აფიქსები უნდა უკავშირდებოდეს ერთმანეთს.

¹ შესაძლებელია, საერთოდადესტურ აბლატივის უკავშირდებოდეს ხუნძური ერგატივის ნიშანი -**ცა** (ხუნძურში აბლატივებისა და ერგატივის ფუნქციური და ფორმობრივი მსგავსების შესახებ იხ.: [კლიმოვი, ალექსეევი 1980: 224-226]. ასევე, საერთოდადესტურ აბლატივის შეიძლება უკავშირდებოდეს საერთონახური ერგარივი *-**ს(ა)**.

² ამ სქემის მიხედვით (ხუნძ. ცა (იხ. წინა სქოლიო): დიდ. ს: არჩ. შ...) ამოსავალში, საერთოდადესტურ ქრონოლოგიურ დონეზე შეგვიძლია ვივარაუდოთ *-**ცა** ბგერა (შდრ.: [გიგინეიშვილი 1977: 95]), თუმცა ხინალულური **შ** ვერ ვკვდება ამ სქემაში.

VI თავი

ზმნის მორფოლოგია: ზმნის ღერივაციული და ფლექსიური კატეგორიები, ნაზმნარი სახელი, ზმნისართი

1. ზმნის მორფოლოგია: ზმნის ღერივაციული და ფლექსიური კატეგორიები, ნაზმნარი სახელი, ზმნისართი ნახურ ენებში

ნახური ზმნა, მეტყველების სხვა ნაწილებთან შედარებით, მდიდარია მორფოლოგიური კატეგორიებით. ზმნურ კატეგორიათა უმრავლესობა სამივე ნახურ ენაში მომდინარეობს ფუძენახური ენიდან. როგორც ირკვევა, ზოგი კატეგორია ცალკეულ ენებში ფუძენახური ენის დამლის შემდეგ არის ჩამოყალიბებული. ასეთია, მაგალითად, ზმნის პირის კატეგორია ბაცბურ ენაში (ან კიდეც ჩენური ენის ქისტურ დიალექტში). ინგუშურში პირიქით მომხდარა: დროთა სისტემიდან არ ჩანს ნამყო უახლესის ფორმა, იგი ინგუშურს დაკარგული აქვს.

ზმნური კატეგორიებიდან სამივე ნახურ ენაში წარმოადგენილია:

გრამატიკული კლასის კატეგორია;

დროის კატეგორია;

რიცხვის კატეგორია;

კილოს კატეგორია;

ასპექტის კატეგორია;

კაუზატივის კატეგორია;

პოტენციალის კატეგორია.

ამ კატეგორიებს, როგორც ზემოთ ითქვა, ბაცბურში ემატება პირის კატეგორია, რომელიც უცხოა ჩენური და ინგუშური ენებისათვის. ბაცბურში იგი ახალ წარმონაქმნს წარმოადგენს.

ჩამოთვლილ კატეგორიათაგან გრამატიკული კლასის, დროისა და რიცხვის კატეგორიები ფლექსიური კატეგორიებია, ასპექტის, კაუზატივისა და პოტენციალის კატეგორიები კი ღერივაციულ კატეგორიებს განეკუთვნებიან.

ზმნური ფუძის სტრუქტურა ნახურ ენებში

ზმნათა შედარებითი ანალიზისათვის უნდა განვიხილოთ ზმნური ფუძეების ფონემური და მორფოლოგიური სტრუქტურა ნახურ ენებში. საჭიროა იმის გარკვევა, თუ რა სახის ჯგუფებად იყოფიან ზმნური ფუძეები ფონეტიკური და მორფოლოგიური შედგენილობის მიხედვით.

ზმნურ ფუძეთა შედარებითი ანალიზისათვის ზმნა წარმოადგენილი უნდა იყოს ინფინიტიურ ფორმაში - როგორც ცნობილია, ზმნის ყველაზე ზოგად ფორმას ინფინიტივი წარმოადგენს.

ნახურ ენებში ზმნის ერთი და იგივე ფორმისაგან - ფუძისაგან - იწარმოება როგორც ინფინიტივი, ისე მასდარი. ორივე ამ ფორმას საკუთარი მაწარმოებლები აქვს. ინფინიტივის მაწარმოებელი ფორმანტია **-ნ** სუფიქსი, მასდარისა - **-რ** სუფიქსი. თანხმოვანი ნ ბოლოკიდურ პოზიციაში სუსტდება და წინა ხმოვანს ანაზღაურებს. ნაზალური ხმოვნები, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, გამოკვეთილად ისმის ბაცბურ ენაში, შედარებით სუსტად - ჩეჩნურში, ხმოვნის ნაზალური ელემენტი დაკარგული აქვს ინგუშურს. ნაზალიზაციის მოშლამ გამოიწვია სხვა სახის ფონეტიკური მოვლენაც: ნაზალიზაციის მოშლის შედეგად ხმოვანი აღმოჩნდება ბოლოკიდურ პოზიციაში, სადაც (ბოლოკიდურ პოზიციაში) იგი ზეპირ მეტყველებაში არც წარმოითქმის (მაგრამ იწერება). **-ნ** და **-რ** სუფიქსებს წინ, ჩვეულებრივ, **-ა-** ხმოვანი უძღვით, რომელიც ფუძეს უკავშირებს ფორმანტებს. სხვა ფუნქცია ამ ხმოვანს არა აქვს. აღსანიშნავია, რომ ნახურ ენებში ზმნური ფუძე ბოლოვდება თანხმოვანზე. ყველა მარტივი, უაფიქსო ზმნა არის ერთმარცვლიანი. მცირერიცხოვანი ზმნები (დაახლოებით ოციოდე ფუძე) ჩეჩნურ და ინგუშურ ენებში ხმოვანფუძიანია. გარკვეულია, რომ ყოველი მათგანი ნახურ ფუძენაში თანხმოვანფუძიანი იყო.

როგორც ითქვა, ნახურ ყველა ზმნას ეწარმოება როგორც ინფინიტივი, ისე მასდარი (გამონაკლისაც არის: დ-უ „არის“ ზმნას საკუთარი არც ინფინიტივი და არც მასდარი არა აქვს, როგორც არა აქვს საკუთარი ფუძეც). მასდარი ნაზმნარი სახელია, დაესმის არსებითი სახელის კითხვა და ბრუნებადიცაა. ამიტომ ზმნისთვის ამოსავალი ფორმა ინფინიტივია.

როგორც ცნობილია, ნახურ ენათა ზმნა იცვლება გრამატიკული კლასის ნიშნების მიხედვით: არსებითი სახელი მართავს ზმნას გრამატიკულ კლასში. გრამატიკული კლასი ყველაზე ძველი და ყველაზე ზოგადი მორფოლოგიური კატეგორიაა ნახურ ენებში. იგი მთლიანად განსმკვალავს ნახურ ენათა მორფოლოგიას.

გრამატიკული კლასების მიხედვით იცვლება მარტივ ზმნათა ერთი ნაწილი, დაახლოებით ასიოდე ერთეული. დანარჩენი ზმნები გრამატიკული კლასის ნიშნებისადმი ნეიტრალურია. მაშასადამე, ნახურ ენებში გვაქვს კლასნიშნიანი და უკლასნიშნო ზმნები. ივარაუდება, რომ პრანახურ ენაში ყველა ზმნა კლასნიშნიანი იყო. შესაბამისად, ზმნური ფუძეებიც არსებითად განსხვავებულია ერთმანეთისაგან: კლასნიშნიან ზმნურ ფუძეში კლასის ნიშნის წინ ან მომდევნოდ გამორიცხულია თანხმოვანი, კლასის ნიშანი (კლასიფიკატორი) ყოველთვის დგას ფუძისეული ხმოვნის წინ.

მარტივი ზმნური ფუძეები ნახურ ენებში, როგორც ზემოთ ითქვა, ერთმარცვლიანია. ფუძენახურ ენაში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე სახის სტრუქტურის ფუძეები.

კლასნიშნიანი ზმნური ფუძეები

კლასნიშნიანი ზმნური ფუძეები (K+VC- , სადაც K გრამატიკული კლასის ნიშანია, V - მარტივი, სადა ხმოვანი, C - ნებისმიერი თანხმოვანი, მათ შორის - მაგარიც ან თანხმოვანთკომპლექსი):

ინფინიტივი	ჩეჩნური	ინგუშური	ბაცბური	
დ-ავ-ა ⁶	დ-ავ-	დ-ავ-	დ-ავ-	„წოვა, მოწოვა“
დ-ალ-ა ⁶	დ-ალ-	დ-ალ-	დ-ალ-	„მოკვდომა“
დ-ალ-ა ⁶	დ-ალ-	დ-ალ-	დ-ალ-	„მიცემა“
დ-ახ-ა ⁶	დ-ახ-	დ-ახ-	დ-ახ-	„წასვლა“
დ-ახ-ა ⁶	დ-ახ-	დ-ახ-	დ-ახ-	„ცხოვრება“
დ-ა ⁶ -ა ⁶	დ-ა ⁶ -	დ-ა ⁶ -	დ-აყ-	„ჭამა“
დ-ად-ა ⁶	დ-ად-	დ-ად-	დ-ატ-	„გაქცევა“

დ-აგ-ა ⁶	დ-აგ-	დ-აგ-	დ-აკ-	„წვა“, „ნთება“ (ანთია)
დ-ათთ-ა ⁶	დ-ათთ-	დ-ათთ-	დ-ათთ-	„შეწვა, გამოცხობა“
დ-ასთ-ა ⁶	დ-ასთ-	დ-ასთ-	დ-ასტ-	„გახსნა“...
დ-ით-ა ⁶	დ-ით-	დ-ით-	დ-ით-	„ლატოვება“
დ-ილ-ა ⁶	დ-ილ-	დ-ილ-	დ-ილ-	„ლაბანა, გარეცხვა“
დ-იგ-ა ⁶	დ-იგ-	დ-იგ-	დ-იგ-	„წაყვანა“
დ-იჟ-ა ⁶	დ-იჟ-	დ-იჟ-	დ-იჟ-	„დაწოლა“
დ-ის-ა ⁶	დ-ის-	დ-ის-	დ-ის-	„დარჩენა“
დ-ილლ-ა ⁶	დ-ილლ-	დ-ილლ-	დ-ილლ-	„დაღება“
დ-ითთ-ა ⁶	დ-ითთ-	დ-ითთ-	დ-ითთ-	„რეცხვა, გარეცხვა“
დ-უზ-ა ⁶	დ-უზ-	დ-უზ-	დ-უზ-	„ავსება“
დ-უსთ-ა ⁶	დ-უსთ-	დ-უსთ-	დ-უსთ-	„აზომვა, გაზომვა“
დ-უყ-ა ⁶	დ-უყ-	დ-უყ-	დ-უყ-	„ლაკეტვა; დაცობა“
დ-უტ-ა ⁶	დ-უტ-	დ-უტტ-	დ-ოფტ-	„დაწვნა; (შე)მოლოზვა“
დ-უზ-ა ⁶	დ-უზ-	დ-უჟზ-	დ-ოფზ-	„ჩაცმა“...

უკლასნიშნო ზმნური ფუძეები

ზემოთ განხილულ ფუძეთა გვერდით ნახურ ენებში გამოიყოფა ისეთი ზმნური ფუძეები, რომელთაც გრამატიკული კლასის ნიშანი არა აქვთ, ე. ი. უკლასნიშნო ზმნები არ იცვლებიან სახელის გრამატიკული კლასის ნიშნის შესაბამისად. ასეთ ზმნებს სახელი ვერ მართავს კლასში. უკლასნიშნო ზმნური ფუძეებიც თანხმოვანზე ბოლოვდებიან. შევნიშნავთ, რომ ისტორიულად ყველა მარტივი ფუძე ნახურ ენებში თანხმოვანფუძიანი იყო. ორათეულამდე ზმნას, რომლებიც თანამედროვე ჩეჩნურ-ინგუშურში

ხმოვანფუძიანებია, ფუძის აუსლაუტისეული თანხმოვნები დაკარგული აქვთ, რაც, როგორც ირკვევა, მეორეული მოვლენაა.

ნახურ ენათა უკლასნიშნო ზმნური ფუძეები შეიძლება შემდეგი სახის მოდლებად დავაღვათ: VC, CVC-, სადაც V ხმოვანს აღნიშნავს (მარტივს, ღიფთონგს), ხოლო C ასევე ნებისმიერ თანხმოვანს აღნიშნავს თამნმოვათკომპლექსების ჩათვლით.

VC- სტრუქტურისა:

ინფინიტივი	ჩეჩნური	ინგუშური	ბაცბური	
აჰა- ⁶	აჰა-	აჰა-	აჰა-	„ფქვა“
ახჟ- ⁶	ახჟ-	ახჟ-	ახკ-	„დაბარვა; თხრა“
აღა- ⁶	აღ-	აღ-	აღ-	„თქმა“
ახა- ⁶	ახ-	ახ-	ახ-	„ხვნა“
ათა- ⁶	ათ-	ათ-	ათ-	„დანაყვა“
არა- ⁶	არ-	-	-	„ლუწვა“
არღა- ⁶	-	არღ-	-	„ლუწვა“
არღა- ⁶	-	-	არღ-	„ლუწვა“...
იდა- ⁶	იდ-	იდ-	იტ-	„სირბილი; რბენა“
იხა- ⁶	იხ-	იხ-	იხ-	„სიარული, დენა“...
ულა- ⁶	ულ-	ულ-	ულ-	„ლმუილი, ყმუილი“...

CVC- სტრუქტურისა:

საც- ⁶	საც-	საც-	საც-	„გაჩერება“
მაღა- ⁶	მაღ-	მაღ-	მაღ-	„დაღევა“
ხაზა- ⁶	ხაზ-	ხაზ-	ხაწ-	„სმენა (ესმის)“
მაგა- ⁶	მაგ-	მაგ-	მაკ-	„შეძლება“

თარს-ა ⁶	თარს-	თარს-	თარს-	„ჭინჭინი“
თას-ა ⁶	თას-	თას-	თას-	„ლაგლება“
თავ-ა ⁶	თავ-	თავ-	თავ-	„ფორთხვა“, „გაჩორება“
ყასთ-ა ⁶	ყასთ-	ყასთ-	ყასტ-	„მოშორება; ცალკე გასვლა“
ხათთ-ა ⁶	ხათთ-	ხათთ-	ხატტ-	„(შე)კითხვა“
ლათთ-ა ⁶	ლათთ-	ლათთ-	ლათთ-	„ღვომა“
ვარზ-ა ⁶	ვარზ-	ვარზ-	ვარწ-	„შეწვა; ხრაკვა“
‘ამ-ა ⁶	‘ამ-	‘ამ-	‘ამ-	„სწავლა“
თაღლ-ა ⁶	თაღლ-	თაღლ-	თეტ-	„ჭრა“
ლათ-ა ⁶	ლათ-	ლათ-	ლათ-	„ლაჭიდება; ჭიდაობა“
ქარჩ-ა ⁶	ქარჩ-	ქარჩ-	კარჩ-	„გორვა“
ლახ-ა ⁶	ლახ-	ლახ-	ლახ-	„მოძებნა“
ლახქ-ა ⁶	ლახქ-	ლახქ-	ლახკ-	„გარეკვა“
თაღშ-ა ⁶	თაღშ-	თაღშ-	თეშ-	„ლაჯერება; ნღობა“
თილლ-ა ⁶	თილლ-	თილლ-	თილლ-	„ლარქმევა; დაკერება“...

ჩვენ-ურ-ინგუშურში წარმოღვენილი მცირერიცხოვანი ხმოვანფუძიანი ზმნები, როგორც ზემოთაც ითქვა, ნახური ფუძეენისათვის დამახასიათებელი არ უნდა ყოფილიყო. ყველა მარტივი, სადა ხმოვანფუძიანი ზმნა ნახურ (ჩვენ-ურ-ინგუშურ) ენა-დიალექტებში მეორეულია.

ზმნური სიტყვა წარმოება

ნახურ ენათა ზმნური სიტყვაწარმოების ძირითადი საშუალება არის ფუძეთა შეერთება. ორ- ან მეტფუძიან რთულ ზმნებში მეორე ფუძე (ან ბოლო ფუძე ორზემეტფუძიანებში) ზმნას წარმოადგენს. პირველი ფუძე შეიძლება იყოს სახელი ან ზმნა, იშვიათად - ზმნისართიც. მოვიყვანოთ მაგალითები:

არსებითი სახელი + ზმნა:

ლაგა-ღ-^ნ „გახსენება“ (ლაგა მიც. ბრუნვის ფორმა ღ^ნოგ „გული“ სახელისა + ღ-^ნ „მოსვლა“, საღაც ღ- გრამატიკული კლასის ნიშანი გამოხატავს ღ^ნოგ „გული“ სახელის კლასს)...

ზეღსართავი სახელი + ზმნა:

ლახ-ღ-^ნ „დადაბლება“ (ლახ- ლონა „დაბალი“ სიტყვის ამოსავალი ფორმა + ღ-^ნ „კეთება“, საღაც ღ- ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშანია ზოგადი მნიშვნელობით);

ჩენურ-ინგუშური შველ-ღ-^ნ, ბაცბური ფშელ-ღ-^ნ „გაცივება“ (აცივებს): ჩენურ-ინგუშური შნლა, ბაცბური ფშელი^ნ „ცივი“ + ღ-^ნ „კეთება“;

ჩენურ-ინგუშური შველ-ღ-ალ^ნ, ბაცბური ფშელ-ღ-ალ^ნ „გაცივება“ (აცივებს): ჩენურ-ინგუშური შნლა, ბაცბური ფშელი^ნ „ცივი“ + ღ-ალ^ნ „გახლომა“ (ცივდება)...

ზმნა + ზმნა:

ჩენურ-ინგუშური ღ-აგა-ღ-^ნ „ღაწვა“ (ღ-აგ^ნ „წვა“ + ღ-^ნ „კეთება“);

ბაცბური ღ-აკ-ღ-^ნ „ღაწვა“ (ღ-აკ^ნ „წვა“ + ღ-^ნ „კეთება“)...

როულ (შედგენილ, თხზულ) ზმნებში მეორე ფუძედ ხშირად გამოიყენება ღ-^ნ „კეთება“ (აწარმოებს გარდამავალ ზმნებს) ან ღ-ალ^ნ „გახლომა“ (აწარმოებს პოტენციალის) ფორმები.

ზმნური სიტყვათწარმოების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს პრეფიქსული წარმოება. პრეფიქსებად გამოყენებულია სიტყვები, რომლებსაც ნახურ ენებში ერთდროულად თანდებულისა და ზმნისწინის ფუნქციები აქვთ: ასეთი სიტყვები სახელს მოსდევენ და თანდებულებს წარმოადგენენ, ან კიდევ ზმნას უძღვიან ზმნისწინების ფუნქციას იძენენ. მაგალითად, ზმნისწინთა დართვით ნაწარმოებია:

ჩუკუოს^ნ „ჩაგდება“ (რაიმეში), შღრ., ვუოსს^ნ „სროლა“;

ჩენურ-ინგუშური ჩუბუზ^ნ, ბაცბური ჩუბუწ^ნ „ჩასვლა“ (მნათობთა); ჩუეკვან „ჩახტობა“;

ჰაალ-ღ-ავკან „ამოღება“, შღრ., ღ-ავკან „წართმევა“;

ჰაალ-ღ-უზან „ავსება“, შღრ., ღ-უზან „(ა)ვსება“;

ჰაალ-ახქან „ამოღება“, შღრ., ახქან „ბარვა, თხრა“...

ზმნური სიტყვათწარმოების აღნიშნული სახეობა ნახურ ენებში კარგად არის განვითარებული. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზმნისწინთა ფუნქციით გამოყენებული სიტყვები შერწყმული არ არის ზმნურ ფუძესთან, იგი ადვილად სცილდება ზმნას, მაგალითად, უარყოფით ბრძანებით ფორმებში. შღრ., ჩუ მა ვუოსსა „არ ჩააგლო“ (სიტყვასიტყვით: ჩა- არ აგლო // ში<გ>//შე- არ აგლო); ჩუ ცა ვუსსუ „არ

ისვრის“ (სიტყვასიტყვით: ჩა არ ისვრის/ში<გ> არ ისვრის). მაშასადამე, ზმნისწინის ჩამოყალიბების პროცესი ნახურ ენებში დასრულებული არ არის.

სუფიქსური სიტყვათწარმოების საშუალებები ნახურ ენებში განვითარებული არ არის. გამოიყოფა, მაგალითად, -ით- სუფიქსი, რომელიც ზმნებისაგან კაუზატიურ ფორმებს აწარმოებს და სამივე ენაში თანაბრად გამოიყენება. მაგალითად:

ღ-^ა „კეთება“ - ღ-ა-ღთ-^ა (< ღ-ა-ით-^ა) „კეთებინება“ (აკეთებინებს);

ლხა^ა „ძებნა“ - ლახნთ-^ა (< ლახა-ით-^ა) „ძებნა“ (აძებნინებს);

მაღა^ა „დალევა“ - მაღნთა^ა (< მაღა-ით-^ა) „დალევინება“ და მისთ.

-ჴო სუფიქსი ჩეჩნურში გარდაუვალი ზმნებისაგან აწარმოებს გარდამავლებს. როგორც ირკვევა, იგი მომდინარეობს ღ-ან „კეთება“ ზმნისაგან: -ჴო^ა სუფიქსიანი ინფინიტივებისაგან ღროთა ფორმების წარმოებისას ამ სუფიქსის ადგილს იკავებს ღ-ან ზმნის ღროთა ფორმები. -ჴო^ა სუფიქსი არა ჩანს არც ინგუშურ და არც ბაცბურ ენებში. იგი ჩეჩნურში ინოვაციას წარმოადგენს.

ღროის კატეგორია

ღრო-კილოთა მიხედვით ნახური ენები მრავალფეროვანია. ზმნის ცვლა ღრო-კილოთა მიხედვით უღლების სისტემას ქმნის. ღროის კატეგორია უღლების სისტემაში ერთიანდება რიცხვის კატეგორიასთან ერთად, ორივე კი, როგორც უღლების კატეგორიები, ფლექსიურ კატეგორიებს წარმოადგენენ.

უღლების პროცესი, უპირველესად, გულისხმობს ზმნის ცვლას ღრო-კილოთა მიხედვით.

უღლება, ბრუნებასთან შედარებით, ნახურ ენებში მარტივია. ღროთა ფორმების წარმოება გამოირჩევა კანონზომიერებით, ცოტა გამონაკლისი, ე. წ. უწესო უღლების ზმნები. მიუხედავად ამისა, ღროთა წარმოება ნახურ ენებში საკმაოდ რთულია. სირთულის ერთ-ერთი მიზეზია მარტივი და აღწერითი ფორმების არსებობა. ღროთა წარმოებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ფონეტიკურ პროცესებს, რომლებიც ენების (და ჩეჩნური ენის დიალექტების) მიხედვით განსხვავებებს გვიჩვენებენ.

როგორც ცნობილია, ნახურ ენებში ზმნათა ერთი ნაწილი იცვლება გრამატიკული კლასის ნიშნების მიხედვით. ზმნათა მეორე ნაწილი გრამატიკული კლასის კატეგორიისადმი ნეიტრალურია. აქედან გამომდინარე, ნახური უღლების სისტემაში გარჩეულია კლასოვანი უღლება (კლასნიშნიანი ზმნებისა).

გარდა ამისა, ენებს შორის ზოგი განსხვავება ნახური ფუძეების დაშლის შემდეგ არის განვითარებული.

ცნობილია, რომ ღროის კატეგორია ყველაზე სრული სახით რეალიზებულია თხრობითი კილოს ფორმებში. ამიტომ ღროის კატეგორიას თხრობითი კილოს ფორმების მიხედვით განიხილავენ. ღროთა ფორმები დანარჩენი კილოების მიხედვით განიხილება სათანადო კილოების ანალიზის დროს. თვით თხრობით კილოს თავისი მორფოლოგიური ნიშანი, მაწარმოებელი არა აქვს. სამაგიეროდ, საკუთარი ფორმანტები გააჩნიათ ღროთა ფორმებს.

ზმნის უღლებიას დასადგენია ზმნის საუღლებელი ფუძე. იგი მიიღება ინფინიტივისაგან ინფინიტივის ფორმანტის (წინა ხმოვნითურთ) მოკვეციტ. ზმნის საუღლებელ ფუძეს დაერთვის სათანადო ღროთა ფორმანტები.

ღროთა სისტემა განვიხილოთ ცალკეული ენების მიხედვით, რომ უფრო ნათლად გამოიკვეთოს, რა აქვთ საერთო და განსხვავებული ნახურ ენათა ღროის კატეგორიაში.

ჩვენურ ენაში გამოიყოფა შემდეგი ღროები:

ღროები	ფორმანტები
აწმყო	-ა, -უ
ნამყო უწყვეტელი	-(ა)-რა, -(უ)-რა
მყოფალი (შესაძლებელი)	-(ა)-რ, -(უ)-რ
მყოფალი (ფაქტობრივი)	-(ა)-რ დ-უ, -(უ)-რ დ-უ
ნამყო უახლესი	-ი
ნამყო განსაზღვრული	-(ი)-რა
ნამყო განუსაზღვრელი	-(ი)-ნა//ნა (< -ი-ნა)
ნამყო წინარეწარსული	-(ი-ნ)-დჳრა (< -ი-ნა-დჳრა)

შენიშვნა: აწმყოს და ნამყოს ფორმანტები მოცემულია ფრჩხილებში).

ნათელია, ღროთა ფორმების სიუხვით გამოირჩევა ნამყო ღრო, რომელსაც ხუთი ფორმა შეესაბამება. აქედან ერთი (ნამყო უწყვეტელი), როგორც ითქვა, იწარმოება აწმყოს მზა ფორმისაგან. აწმყოს ფორმას საწარმოებლად იყენებს, აგრეთვე, მყოფალის ორივე სახეობა. თავის მხრივ, ნამყო უახლესის ფორმას

საწარმოებლად იყენებენ ნამყო განსაზღვრული და ნამყო განუსაზღვრელი, ნამყო განუსაზღვრელს - ნამყო წინარეწარსული.

ჩენურში აწმყოს მაწარმოებელია -უ და -ა ფორმანტები. თავის მხრივ, -ა ფორმანტი მიღებულია -ე-საგან, რასაც ჩენური დიალექტები ადასტურებენ. -უ ლაბიალური ბგერაა და ალაბიალებს ზმნის ფუძისეულ ხმოვნებს. შდრ., ფუძე საც- (იფინიტივი საც-ან „გაჩერება“), აწმყო სოც-უ (< საც-უ)... -ე პალატალური ხმოვანია და აპალატალებს ფუძისეულ ხმოვანს, პროცესის დასრულების შემდეგ სალიტ. ენაში იგი იმდენად მოკლეა, რომ მის ნაცვლად წერენ -ა-ს. მაგალითად, ფუძე ლათ- (ინფინიტივი ლათ-ან „დაჭიდება“), აწმყო ლეთ-ა (< ლათ-ე) „ეჭიდება“... აწმყოს ფორმანტი -უ-ც აუსლაუტში ძალიან მოკლეა და მის ნაცვლადაც ზოგი ავტორი -ა-ს წერს. როგორც ჩანს, ფორმანტთა ნიველირების პროცესი ჩენურში დასრულებული არ არის, თუმცა ამის ტენდენცია - ენის სწრაფვა ფორმანტთა უნიფიკაციისაკენ, ხელშესახებია.

ამგვარად, აწმყოს ფორმანტთა გავლენით ფუძისეულ ხმოვანთა ცვლილების მიხედვით ადვილად დგინდება, თუ რომელმა ფორმანტმა აწარმოა აწმყო - თუ ფუძეში ლაბიალური ხმოვანი გვაქვს, მაწარმოებელია -უ, ხოლო თუ ფუძეში პალატალური ხმოვანია, აწმყოს ფორმანტი ყოფილა -ა (რომელიც მიღებულია -ე-საგან).

თანამედროვე ჩენურში აწმყოს აწარმოებს, აგრეთვე, სამიოდე სხვა ფორმანტიც ე. წ. ერთმარცვლიანი ხმოვანფუძიანი ზმნებისაგან, ასეთი ზმნური ფუძეები მცირერიცხოვანი და მეორეულია - ფონეტიკური მოვლენის შედეგს წარმოადგენს: ფუძის ბოლოკიდური კონსონანტის დაკარგვის შედეგად დახურული მარცვალი გაიხსნა, აღდგენილ, რეკოსტრუირებულ ფორმებში ნათლად ჩანს, რომ ასეთ ფორმებსაც აწმყოში იგივე ფორმანტები აქვთ, რაც დახურულმარცვლიან ზმნებს. შდრ., აწმყო: ლწ „ლაპარაკობს“ (< *ლდწ-უ) (ინფ. ლდწ „ლაპარაკი“)...

აწმყოს მზა ფორმისაგან -რა ფორმანტის მეშვეობით იწარმოება ნამყო უახლესი. შდრ.:

სოც-უ-რა „ჩერდებოდა“, ლეთ-ა-რა „ეჭიდებოდა“...

ასევე აწმყოს მზა ფორმისაგან იწარმოება მყოფადის ორივე სახეობა -რ ფორმანტისა და -რ დ-უ სუფიქსიოდის მეშვეობით:

მყოფადი შესაძლებელი: სოც-უ-რ;

მყოფადი ფაქტობრივი: სოც-უ-რ დ-უ. ეს ფორმა აღწერითია, დ-უ „არის“ ცვალებადი კლასის ნიშნის მქონე მეშველი ზმნა. რამდენადაც აღნიშნული დროები საწარმოებლად აწმყოს ფორმას იყენებენ და ერთ ჯგუფს ქმნიან, მას პირობითად შეიძლება დროთა აწმყოს ჯგუფი ან კიდევ I სერია ვუწოდოთ.

დროთა ფორმების მეორე ჯგუფში (II სერიაში), წარმოების თვალსაზრისით, ძირითადია ნამყო უახლესის ფორმა, რომლის მაწარმოებელია -ი ფორმანტი. ი პალატალური ხმოვანია, შესაბამისად, იგი აპალატალებს ზმნის ფუძისეულ ხმოვანს. შდრ., ფუძე საც-, ნამყო უახლესი სეც-ი (< საც-ი) „გაჩერდა“ (აი, ახლა), ფუძე მალ- (ინფინიტივი მალ-ან „დალევა“), ნამყო უახლესი მელ-ი (< მალ-ი) „დალია“ (აი, ახლა)...

ნამყო განსაზღვრული: სეც-ი-რა

ნამყო განუსაზღვრელი: სეც-ნა (< სეც-ი-ნა)

ნამყო წინარე წარსული: სეც-ნ-აწრა (< სეც-ი-ნა-აწრა) და მისთ.

გარკვეული არ არის ნამყო წინარეწარსულის -აწრა ფორმანტის სტრუქტურა: მასში -რა სეგმენტის არსებობა ეჭვს ბადებს, რომ იგი შეიძლება შედგებოდეს ორი ფორმანტისაგან. ამასთანავე, -რა მონაწილეობს დროთა სხვა ფორმების წარმოებაშიც.

აღსანიშნავია, რომ ნამყო განუსაზღვრელი დროის ფორმა წარმოშობით მიმღეობა ჩანს, რომელსაც დროის საწარმოებლად მეშველი ზმნა უნდა ხლებოდა. ამ ფორმას სახელთან მიმღეობის ფუნქცია აქვს. მამასადამე, ნამყო განუსაზღვრელი დროის ფორმა ჩეჩნურში მეორეულია.

ინგუშურ ენაში გამოიყოფა შემდეგი დროები:

ფორმანტები

აწმყო - (*ა) (მოკვეცილია)

ნამყო უწყვეტელი -ა-რ (< *-ა-რა)

მყოფადი (შესაძლებელი) -ა-რ

მყოფადი (ფაქტობრივი) -ა-რ დ-ა (აღწერითია)

ნამყო უახლესი -

ნამყო განსაზღვრული -ა-რ

ნამყო განუსაზღვრელი (ნამყოს მიმღეობა + -დ კლასის ნიშანი)

ნამყო წინარეწარსული (ნამყოს მიმღეობა + მეშველი ზმნა დ-არ „კეთება“)

მოვიყვანოთ გარდამავალი ზმნის უღლების ნიმუში:

ინფინიტივი ან-ა (< *ან-ან) „ხვანა“

აწმყო რახ

ნამყო უწყვ. რახ-ა-რ

მყო შესაძლ. რახ-ა-რ

მყო ფაქტ. რახ-ა-რ დ-ა

ნამყო უახლ. -

ნამყო განსახ. ან-ა-რ

ნამყო განუს. ან-ა-დ

ნამყო წინარე წარს. ან-ა-დ-არ

როგორც ღრთა ჩამონათვალიდან ჩანს, ინგუშურს არა აქვს ნამყო უახლესის ფორმა, ინგუშურში იგი დაკარგულია, მაგრამ მისგან ნაწარმოებ ფორმებში შენარჩუნებულია ნამყო უახლესის ფუძე (დოლაქოვა 1961). ამკარაა, რომ ინგუშურში ღრთა წარმოებისას ფონეტიკური პროცესები უფრო აქტიურად მოქმედებენ, ვიდრე ჩეჩნურში.

ბაცბურ ენაში ღრთა ფორმების წარმოება მკვეთრად არის განსხვავებული ვაინახურ (ჩეჩნურ-ინგუშურ) ენათა ღრთა სისტემისაგან. განსხვავების საფუძველი არის პიროვანი უღლების ჩამოყალიბება ბაცბურში, რომელიც უცხოა ჩეჩნურ-ინგუშურისათვის. პიროვანი უღლება ბაცბურში ახალი წარმონაქმნია (კლასოვან ზმნებში გვაქვს კლასოვან-პიროვანი უღლება). გარჩეულია შემდეგი ღრთები (მიქელაძე 2013):

აწმყო ა, რ, ე, უ

მყოფალი: -ე, -რ (სრული ასპექტის ფორმისაგან აწმყოს ფუძისეული ხმოვნის ცვლით მყოფაღში, შღრ., აწმყო თეგბრ „აკეთებს“ - მყოფალი თეგბრ „გაკეთებს“)

ნამყო უახლესი: -ი

ნამყო განსაზღვრული: -ი + რ

ნამყო განუსაზღვრელი: -ი + ნრ

ნამყო წინარეწარსული: -ი + ნო + რ(რ)

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ბაცბურ ენაში დროთა სხვადასხვა რაოდენობა დასახელებული (დეშერიევი 1953; ჭრელაშვილი 2002). უნდა აღინიშნოს, რომ ზმნურ დროთა უღლების პარადიგმა ნახურში სრული სანით დღემდე არ არის შესწავლილი. მაგალითად, ზემოთ დასახელებულ დროებს ჩენურში (სავარაუდოდ, ინგუშურსა და ბაცბურშიც), ალბათ, უნდა დაემატოს დროთა ის ფორმებიც, რომლებიც თურქობითების სახელით არის ცნობილი.

დროებისა და მათი მაწარმოებელი ფორმანტების სქემა ნახურ ენებში:

	ჩენური	ინგუშური	ბაცბური
აწმყო	-ა (< -ე), -უ	(-*ა, -*რ// -უ)	-ა, -ე, -რ, -უ
ნამყო უწყვ.	-(ა)-რა, (-უ)-რა	-(ა)-რ (< *ა-რა)	-
მყოფალი	აღწერითია	აღწერითია	-ე, -რ
ნამყო უახლესი	-ი	-	-ი, -ე
ნამყო განსაზღ.	-(ი)-რა	-(ა)-რ (< *ი-რა)	-(ი/ე)-რ
ნამყო განუსაზღ.	-(ი)-ნა	-(ნამ. უახ. ფუძე) + -დ	-ი-ნო
ნამყო წინარეწარ.	-(ი-ნ)-აქრა	-(ნამყ. მიმღ.)- დ-არ (მეშვ. ზმნა)	-ი-ნო-რ

ჩამოთვლილ დროთაგან პრანახურ ენაში აღსადგენია: აწმყო, ნამყო უწყვეტელი, ნამყო უახლესი, ნამყო განსაზღვრული

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნახურ ენათა დროთა სისტემაში გვიანდელი ჩანს ნამყო განუსაზღვრელი და მისგან ნაწარმოები ნამყო წინარეწარსული. ნამყო განუსაზღვრელი სამივე ენაში აღწერითი, ანალიტიკური დროის ფორმა ჩანს: მიმღეობა + მეშველი ზმნა. მეშველი ზმნის ჩავარდნით ჩენურსა და ბაცბურში მიმღეობას დაეკისრა ნამყო განუსაზღვრელი დროის გამოხატვა, ინგუშურში ძველი ვითარება არის შემორჩენილი.

რიცხვის კატეგორია

გრამატიკული რიცხვის კატეგორია ნახურ ენათა ზმნაში შენიშნული აქვს პ. უსლარს (უსლარი, 1888, 100-101). მას გამოყოფილი აქვს გრამატიკული კლასის ნიშნების საშუალებით რიცხვში მონაცვლე ზმნები (გ-წლარ „დამთავრება“ სუბ. მხ-ში - ბ-წლარ „დამთავრება“ სუბ. მრ-ში).., ასევე მხედველობის არეშია

მოქცეული ე. წ. ინფიქსის მეშვეობით ნაწარმოები რიცხვი, შდრ., ლაჭყარ „ღამალვა“ (ერთისა) და ლაჭყარ „ღამალვა“ (ბევრისა)...

რიცხვის წარმოების ზოგი საშუალება ინგუშურში გამოყოფილი აქვთ ზ. მალსაგოვსა (ლლ: ხქ ფუძისეული თანხმონათკომპლექსების ცვლით: ლაღლან „გაღღა“ ერთისა - გაყრა „გაღღა“ ბევრისა, „გაყრა“) და რ. დოლაქოვას (ზ. მალსაგოვი 1963; დოლაქოვა 1961). იგივე პროცესი დადასტურებული აქვს ი. დეშერიევს (დეშერიევი 1953) და ბაცბური ენის სხვა მკვლევრებს (ჭრელაშვილი 2002; მიქელაძე 2013). პოსტპოზიციამი პირის ნაცვალსახელებით რიცხვის გამოხატვა ბაცბურში ახალი მოვლენაა და იგი ნახურ ფუძენაში არ არსებობდა.

ამ მაგალითებიდანაც ჩანს, რომ ნახურ ენათა ზმნას შეუძლია გამოხატოს როგორც სუბიექტის, ისე რეალური ობიექტის გრამატიკული რიცხვი. სუბიექტის რიცხვი გარდაუვალ ზმნებში იქნება საძიებელი, რეალური ობიექტისა - გარდამავალ ზმნებში. ესეც იმ შემთხვევებში, თუ ზმნა ცვალებადია გრამატიკული რიცხვის მიხედვით: ზმნური რიცხვი დაკავშირებულია მასთან შეწყობილი სუბიექტის ან ობიექტის რიცხვთან. აღსანიშნავია, რომ ნახურ ენებში რიცხვის კატეგორია გააჩნია მცირერიცხვან ზმნებს. ზმნათა უმეტესობა რიცხვის კატეგორიისადმი ნეიტრალურია.

ზმნური რიცხვის კატეგორია სამივე ნახურ ენაში გვაქვს და ნახურ ფუძენაშიც არის აღსაღენი.

განვიხილოთ ის საშუალებები, რითაც საკვლევ ენებში გამოიხატება გრამატიკული რიცხვი.

სუბიექტის რიცხვის გამოხატვა კლასის ნიშნების საშუალებით:

ჩეჩნური მხ. რ. ვ-//ღ-, მრ. რ. ბ-

მხ. რ. კანთ ვ-უ // ვ-ახა „ბიჭი არის // წავიდა“, დუთ დ-უ // დ-ახა „გოგო არის // წავიდა“ ...

მრ. რ. კენთ ბ-უ // ბ-ახა „ბიჭები არიან//წავიდნენ“, მდესქარნ (რიცხვში მონაცვლე ფუძეა) ბ-უ // ბ-ახა „გოგონები არიან //წავიდნენ“ ...

ინგუშური მხ. რ. ვ-//ღ-, მრ. რ. ბ-

მხ. რ. კანქ ვ-ა „ბიჭი არის, ბიჭია“, დუთ დ-ა „გოგონა არის“

მრ. რ. კანქამ ბ-ა „ბიჭები არიან“, მდესქარნ ბ-ა „გოგონები არიან“ ...

ბაცბური მხ. რ. ვ-//დ-, მრ. რ. ბ-

ენათ ვ-ა „ბიჭი არის, ბიჭია“, დოჰბ დ-ა „გოგონა არის“

ენათი ბ-ა „ბიჭები არიან“, დოჰბი ბ-ა „გოგონები არიან“...

ბ-, როგორც კლასის ნიშანი სამივე ენაში მხოლოდით რიცხვშიც გვაქვს. მაგალითად, ჩენური სთუ, ინგუშური უსთ, ბაცბური ფსტუ „ხარი“ მხ. რიცხვში განეკუთვნება ბ- კლასს, მრ. რიცხვში კი - დ- კლასს. შესაბამისად მრ. რიცხვში ჩენური სთერჩი, ინგუშური შერჩ, ბაცბური ფსტარჩ „ხარები“ (მცირერიცხოვან სახელებს მხოლოდითსა და მრავლობითში კლასის ნიშნად ბ-ბ-ც აქვთ, მაგრამ ეს შემთხვევაც არ ემთხვევა ზემოთ განხილულ მაგალითებს).

გარდაუვალი ზმნური ფუძეები, რომელთაც მრავლობითში ინფიქსად უჩნდებათ -ჟ- ფორმანტი (გამონათავს სუბიექტის მრავლობითობას):

ჩენური:

მხ. რ.

მრ. რ.

ღათთ-ან „ადგომა“ (ერთისა)

ლოჟთთ-ან „ადგომა“ (ბევრისა)

დ-ად-ან „გაქცევა“ (ერთისა)

დ-ოჟდ-ან (< დ-აჟდ-ან) „გაქცევა“ (ბევრისა)

საც-ან „გაჩერება“ (ერთისა)

მრ. რ. სოჟც-ან (< საჟც-ან) „გაჩერება“ (ბევრისა)...

ინგუშური:

ღათთ-ა „ადგომა“ (ერთისა)

ლოჟთთ-ა (< ღაჟთთ-ა) „ადგომა“ (ბევრისა) [დოლაქოვა

1961, 66]

საც-ა „გაჩერება“ (ერთისა)

სოჟც-ა (< საჟც-ა) „გაჩერება“ (ბევრისა)...

მრ. რიცხვის წარმოებისას ფუძის აუსლაუტისეული თანხმოვანი ეცვლება ზოგ ფორმას, თუმცა რიცხვის მაწარმოებელი აქაც იგივე -ჟ- ფორმანტია:

ჩენური: ჰაჟ-ან „შეხედვა“ (ერთისა) - ჰაოქს-ან „შეხედვა“ (ბევრისა); ხა-ან „დაჯდომა“ - ხოქშ-ან „დასხდომა“;

ბაცბური: ჰაჟ-ან „შეხედვა“ (ერთისა) - ჰაფს-ან „შეხედვა“ (ბევრისა) [დემერიევი 1953, 150];
დ-ოჟ-ან „წაქცევა“ (ერთისა) - დ-ეზ-ან „წაქცევა“ (ბევრისა)...

რეალური ობიექტის რიცხვის გამოსატყვის ერთ-ერთი საშუალებაა ფუძისეული ლლ : ხქ//ხკ თანხმოდანთკომპლექსების შენაცვლებით. ასეთი ზმნები გარდამავალია. მაგალითად:

ჩენურ-ინგუშურ-ბაცბური: ლაღღ-ან „გაგდება“ (ერთისა) - ჩენურ-ინგუშური: ლახქ-ან, ბაცბური: ლაღღ-ან „გაყრა“ (მრავლისა);

ჩენურ-ინგუშურ-ბაცბური: დ-იღღ-ან „დადება“ (ერთისა) - ჩენურ-ინგუშური: დ-ახქ-ან, ბაცბური: დ-იხკ-ან „დალაგება, დაწყობა“ (ბევრისა)...

ბოლო ორ მაგალითში თვით ქართულშიც რიცხვში მონაცვლე ზმნები გვაქვს (თარგმანში სიტყვიერი მითითება „ერთისა“ ან „ბევრისა“, ამ შემთხვევაში ზედმეტიც არის).

არის ერთეული მაგალითები, რომლებშიც გრამატიკული რიცხვი დასახელებულთაგან განსხვავებულად არის ნაწარმოები ენათა მიხედვით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნახურ ენებში გრამატიკული რიცხვი, როგორც ფლექსიური კატეგორია, არსებობდა ფუძეენაშიც.

კილოს კატეგორია

ნახურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არ არის ერთიანი აზრი კილოთა რაოდენობისა და წარმოების საშუალებების შესახებ. განსაკუთრებული სიჭრელე შეინიშნება ტერმინოლოგიაში. ესა თუ ის ფორმა სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვა სახელით არის წარმოდგენილი.

თხრობით კილოს ნახურ ენებში, როგორც ითქვა, საკუთარი მორფოლოგიური მაწარმოებელი არა აქვს. ღროთა ფორმები სრულად სწორედ თხრობით კილოში იჩენენ თავს. სხვა კილოებს ღროთა ფორმები შეზღუდულად ეწარმოებათ. თხრობითი კილო ღროთა სისტემაშია განხილული, ამიტომ მას აქ არ გავიმეორებთ.

ბრძანებითი კილო

ნახურ ფუძეენაში, თხრობითი კილოს გარდა, არსებობდა ბრძანებითი, თხოვნით-ბრძანებითი, ნატვრითი და ე. წ. პირობითი კილოები თავიანთი სახეობებით.

ბრძანებითი კილოს სახეობებიდან საერთო ნახურ ენაში გარჩეული იყო:

ბრძანებითი კილოს ძირითადი ფორმა. მაწარმოებელია -ა ფორმანტი, რომელიც დაერთვის წესიერი უღლების ზმნურ ფუძეებს. მაგალითად:

ინფინიტივი	ფუძე	ბრძანებითის ძირითადი ფორმა
აღ-ან	აღ-	აღ-ა „თქვი“
ღაღ-ან	ღაღ-	ღაღ-ა „დაიჭირე“
მაღ-ან	მაღ-	მაღ-ა „დალიე“
საღ-ან	საღ-	საღ-ა „გაჩერდი“
ლაღღ-ან	ლაღღ-	ლაღღ-ა „გააგდე“ ...

-ა ფორმანტით ნაწარმოებ ბრძანებითის ძირითად ფორმას ისეთი ბრძანების ფუნქცია აქვს, რომელიც უნდა შესრულდეს. ბრძანებას შეიძლება ჰქონდეს აწმყოს ან მყოფადის ფორმები. ბრძანება უნდა შესრულდეს საუბრისთანავე ან საუბრის შემდეგ. ბრძანების ფორმა ნამყოში გამორიცხულია.

როგორც ითქვა, ნახურ ენებში ინფინიტივი -ნ ფორმანტით იწარმოება. -ნ-ს პოზიცია ბოლოკიდურ პოზიციაში შერყეულია: ბაცბურში -ნ-ს დასუსტების შედეგად ნაზალიზებულია წინა ხმოვანი, ხმოვნის ნაზალიზაცია ძალიან სუსტია, შეიძლება ითქვას, გაქრობის პირზეა ჩეჩნურში, საერთოდ დაკარგულია ინგუშურსა და ჩეჩნური ენის ზოგ დიალექტში. -ნ-ს ჩავარდნის შედეგად ფუძე მომდევნო (მაერთებელი) ხმოვნით სავსებით ემთხვევა ბრძანებითის ფორმას. ასეთი ზმნური ფორმა ზოგ მკვლევარს ჩეჩნური ზმნის

ზოგად ფორმად მიაჩნდა, რომლისაგანაც იწამოება სხვა ზმნური კატეგორიები ინფინიტივთან ერთად (იაკოვლევი 1960, 192). ეს მოსაზრება სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად არის უარყოფილი, ფუძის მომდევნო -ა- ინფინიტივში მაერთებელი ხმოვანია, იგი ფორმანტს არ წარმოადგენს, ბრძანებითის საკვლევ ფორმაში კი - ბრძანებითის მაწარმოებელი ფორმანტი.

წარმოების თვალსაზრისით, ბრძანებითი ძირითადის იგივე ფორმა გვაქვს ინგუშურში: ალ-ა!, საც-ა!..

ბაცბურშიც ანალოგიური ვითარებაა - მაწარმოებელია -ა ფორმანტი: ალ'-ა!, საც-ა!, მალ'-ა! „დალიე!“... განსხვავებულია მრავლობითი ფორმები, სადაც რიცხვის მაწარმოებელ ფორმანტად ჩნდება -თ: ალ'-ა-თ!, საც-ა-თ!, მალ'-ა-თ! ბაცბურში -თ, სავარაუდოდ, ქართულიდან არის ნასესხები (ლ. სანიკიძე). შევნიშნავთ, რომ იგივე ფორმანტი იმავე ფუნქციით ჩვენური ენის ქისტურ დიალექტშიც ჩვეულებრივია.

უკუთქმითი ბრძანებითის ფორმები ნახურში აღწერთია. მოქმედების აკრძალვას გამოხატავს უარყოფითი ნაწილაკი მა „არ“, „ნუ“, რომელიც ზმნური ფორმის წინ დგას. შდრ., მა ლო (ბაცბ.)//მა ლჷო „ნუ წახვალ; არ წახვიდე!“; მა ალ'-ა (ბაცბ.)//მა ალ-ა (ჩენჩ.-ინგ.) „ნუ იტყვი!; არ თქვა!“ და მისთ.

თხოვნით-ბრძანებითი კილო

თხოვნით-ბრძანებითი კილოს ერთ-ერთი ფორმა იწამოება -ლ ფორმანტის მეშვეობით. ფუძე + ა + ლ. მაგალითად:

ალ--ა-ლ „თქვი, რა“; „აბა, თქვი!“; მალ-ა-ლ „დალიე, რა“; „აბა, დალიე!“; ლაც-ა-ლ „დაიჭირე, რა“; „აბა, დაიჭირე!“ და მისთ.

ასეთი ვითარება გვაქვს სამივე ნახურ ენაში - ამ მხრივ ნახური ენები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. დროის მიხედვით თხოვნით-ბრძანებითი კილოს ფორმები განეკუთვნებიან აწმყოს.

თხოვნით-ბრძანებითი კილოს ერთ-ერთი სახეობა ნახურ ენებში ნაწარმოებია -ჰაა ფორმანტით. ასეთ ფორმებს თხოვნის უფრო „მაღალი ხარისხი“ აქვთ. შდრ.:

ალ-ა-ჰაა „თქვი, რა!“; „გთხოვ, თქვა!“; მალ-ა-ჰაა „დალიე, რა!“; „გთხოვ, დალიო!“...

ამ ფორმებს აქვთ აწმყოს ან მყოფადი დროის გაგება.

თხოვნით-ბრძანებითი კილოს თავისებური ფორმები, რომლებიც ამა თუ იმ საკვლევ ენაში არის გარჩეული, ნახური ფუძეების დაშლის შემდეგ ჩანს ჩამოყალიბებული.

ასეთია, მაგალითად, ჩეჩნურში ალ-ალ-ა-ჰა „თქვი, რა (შემდეგში)!“; საც-ა-ლ-ა-ჰა „გაჩერდი, რა (შემდეგში)!“ და მისთ.

ნატვრითი კილო

ნატვრითი კილონახურ ენებში განსხვავებულად იწარმოება. მაგალითად, ჩეჩნურში: ალ-ა-ჰა-რა „ნეტა, თქვას!“, საც-ა-ჰა-რა „ნეტა, გაჩერდეს!“...

განსხვავებული ვითარება გვაქვს ინგუშურში, სადაც კილოს ეს ფორმები აღწერილია, ანალიტიკურია: შნ-ნა-დ-ალ-ა-რ „ნეტა,თქვას!“, მენ-ნა-დ-ალ-ა-რ „ნეტა, დალიოს!“... სადაც ნამყო განუსაზღვრელის ფორმას ერთვის კლასნიშნიანი მასდარი, რომელიც ნატვრის მნიშვნელობას აძლევს ზმნურ ფორმას.

საძიებელია ამ ფორმათა შესატყვისები ბაცბურში.

ნატვრითი კილოს ფორმები ჩეჩნურში სინთეზურია. ამდენად, ასეთი ფორმები აღსადგენია ნახურ ფუძეენაში. ინგუშურში არსებული ფორმები გვიანდელი, მეორეული ჩანს. ანალიტიკური ფორმები უცხო არ არის ჩეჩნური ენის ზოგი დიალექტისათვის.

პირობითი კილო

ნახურ ენებში გამოყოფენ, აგრეთვე, პირობით კილოსაც (ჩეჩნურში: ლეშერიევი 1963, 478), რომელსაც ღრთა ორი ფორმა აქვს - აწმყო ამ მყოფად.. იწარმოება შემდეგნაირად: ზმნური ფუძე + -ა- (მაერთებელი ხმოვანი) + -ჰა, სადაც -ჰა აღნიშნული კილოს მაწარმოებელია: ალ-ა-ჰა „თუ იტყვის“, მალ-ა-ჰა „თუ დალევს“ და მისთანანი.

აქვს ნამყოს ფორმებიც, რომლებიც იწარმოება ნამყო განუსაზღვრელისაგან იმავე ფორმანტით, რომელიც ფუძეს უკავშირდება -დე- დიფთონგის მეშვეობით. შდრ.:

აღ-ლ-დე-ჰა „თუ თქვა“, „რომ ეთქვა“, მელ-ლ-დე-ჰა „თუ დალია“, „რომ დაელია“... აქვს ფონეტიკური ვარიანტიც: ალ-ლ-ჰა... განსხვავება ამ ფორმებს შორის მაერთებელ ხმოვანშია.

ჩვენი ვარაუდით, ე. წ. პირობითის ფორმები კილოს არ წარმოადგენენ. ამ ფორმებს ზმნური ღრთის გადმოცემის ფუნქცია აქვთ ე. წ. დამოკიდებულ წინადადებაში, იმ ენებში, სადაც ჩამოყალიბულია რთული

წინადადება. ასეთი ფორმების არსებობის გამო ნახური ენები განსხვავდებიან, მაგალითად, ქართული ენისაგან, სადაც წინადადებაში ქვეწყობა გვაქვს. გავიხსენოთ, მაგალითად, აფხაზური ენა, რომელიც განარჩევს ზმნის ფინიტურ და ინფინიტურ ფორმებს - ინფინიტური ფორმები სწორედ დამოკიდებული წინადადების შემადგენლობაშია წარმოდგენილი, ფინიტური - მთავარ წინადადებაში. ამ გზით მიღწეულია ქვეწყობის გამონახვა.

პირობით კილოს ინგუშურში ერთი ფორმა აქვს, ისიც აღწერითია. შდრ: ან-ნა-დ-აღ-დე, მენ-ნა-დ-აღ-დე. ბაცურში ჩეჩურის ანალოგიური ვითარება გვაქვს. შდრ., აწმყოს ფორმები: ალ-ო-ჰა „თუ იტყვის“, ახ-ო-ჰა „თუ მოხნავს“ და მისთანანი. ნამყოს ფორმებია: ალ-ჩ-დე-ჰა, მელ-ჩ-დე-ჰა...

პირობითის ფორმები გამონახავენ ზმნის იმ შინაარსს, რომელიც ქართულში „თუ“-ს უკავშირდება. ამ ფორმებისათვის ტერმინი „კილო“ სამუშაო ტერმინს წარმოადგენს.

ასპექტის კატეგორია

ნახურ ენებში ასპექტის წარმოების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება არის ფუძისეული ხმოვნების ცვლა. ფუძისეული ხმოვნების მონაცვლეობით დაპირისპირებული ფორმები ჩეჩურ-ინგუშურში გამონახავენ გზისობას. ბაცურში ამ ფორმებს, მკვლევართა ერთი ჯგუფის თვალსაზრისით, უფრო ქართულ ენაში არსებული სრული და უსრული ასპექტის მსგავსი შინაარსი აქვთ (დ. იმნაიშვილი).

ასპექტურად დაპირისპირებულ ზმნურ ფუძეებში ხმოვანთა ცვლას ფონეტიკურ მოვლენებთან რაიმე სახის კავშირი არა აქვთ. ეს არის აბლაუტური ხმოვანმონაცვლეობა ზმნურ ფუძეებში. ასეთი საოპოზიციო წყვილები ნახურ ფუძეენაში არის სავარაუდებელი, ე. ი. ასპექტის კატეგორია ნახურ ენათა ზმნის ერთ-ერთ უძველეს კატეგორიას წარმოადგენს. ასპექტურად დაპირისპირებულ წყვილ ფორმებს თანაბრად, ცალ-ცალკე, ეწარმოებათ ყველა ზმნური კატეგორია.

აღსანიშნავია, რომ ყველა ზმნას არა აქვს ასპექტურად დაპირისპირებული ფორმა. მაშასადამე, ნახურ ენებში დასტურდება უასპექტო ზმნებიც, ისეთი ზმნები, რომელთაც არა აქვთ საოპოზიციო წყვილები. ასპექტიან ზმნებთან შედარებით უასპექტო ზმნათა რაოდენობა თანამედროვე ნახურ ენებში შეუდარებლად უფრო დიდია. ბაცურში, ჩეჩურ-ინგუშური ენებისაგან ნიუანსურად განსხვავებული ასპექტის მიუხედავად, ასპექტის კატეგორია, წარმოების მიხედვით, არ განსხვავდება ჩეჩურ-ინგუშურისაგან.

როგორც უკვე ითქვა, ასპექტი მორფოლოგიური კატეგორიაა. იგი წარმოქმნის კატეგორიებს განეკუთვნება ნახურ ენებში. იწარმოება ზმნის ფუძისეული ხმოვნების აბლაუტური ცვლით. ზმნური ფუძეები მოვიყვანოთ მაგალითები.

ზმნური ფუძეები ერთმანეთს უპირისპირდებიან შემდეგი ხმოვნების მონაცვლეობით:

ჩენ.-ინგ.-ბაცბ. ა : ი

ერთგზისი (ბაცბ. სრული) ა

ჩენურ-ინგუშური დ-ადან ბაცბური დ-ატან „გაქცევა“...

მრავალგზისი (ბაცბ. უსრული) ი

ჩენურ-ინგუშური იდ-ან ბაცბური იდ-ან „სირბილი“...

ჩენ.-ინგ.-ბაცბ. ა : დე (ჩენ.-ინგ.)//ე (ბაცბური)

ერთგზისი (ბაცბ. სრული) ა

ჩენურ-ინგუშური ლარგ-ან ბაცბური ლარკ-ან „შეჭრა, გაკრეჭა“...

მრავალგზისი (ბაცბ. უსრული) დე/ე

ჩენურ-ინგუშური ლდერგ-ან ბაცბური ლერკ-ან „ჭრა, კრეჭა“...

ჟო (ჩენ.-ინგ.)//ო (ბაცბ.) : ი (ჩენ.)//უჟ (ინგ.)//ეფ (ბაცბ.)

ერთგზისი (ბაცბ. სრული) ჟო/ო

ჩენურ-ინგუშური ვჟოსს-ან ბაცბური ვოსს-ან „გასროლა“

მრავალგზისი (ბაცბ. უსრული) ი//ეფ

ჩენური ვისს-ან//ინგუშური ვუჟსს-ა ბაცბური ვეფს-ან „სროლა“

მაშასადამე, ნახურ ენებში ასპექტის წარმოების საშუალებებიდან შეინიშნება: კლასნიშნიანი და უკლასნიშნო ფუძეთა დაპირისპირება, ფუძისეული ხმოვანმონაცვლეობა (შინაგანი ფლექსია, როგორც შეიძლება მას ეწოდოს), სუპლეტური ფუძეების გამოყენება. ასეთი ფუძეებია, მაგალითად, სამივე ენაში:

ერთგზისი

ვალლ-ან „შეჭმა“

დ-აპ-ან (ბაცბ.) „წაღება“

ევვ-ან (ჩეჩნ.-ინ.)//ევ-ან (ბაცბ.) „გახტომა; გასკლომა“

თჟოხ-ან (ჩეჩნ.-ინ.)//თოხ-ან (ბაცბ.) „ღარტყმა“...

მრავალგზისი

დ-პ-ან (ჩ.-ინ.)//დ-აყ-ან (ბაც.) „ჭამა“;

ვეჰ-ან (ბაც.) (შღრ., ჩ.-ინ. ვაჰ-ან - ვეჰ-ან) „ტარება“;

ლდელხ-ან (ჩ.-ინ.)//ლეთხ-ან (ბაც.) „ხტომა, სკლომა“;

დ-დეთ-ან (ჩ.-ინ.)//თეფხ-ან (ბაცბ.) „რტყმა“...

ასეთი ფორმები ნახურ ენებში მცირერიცხოვანია.

კაუზატივის კატეგორია

კაუზატივის კატეგორია ნახურ ენებში მოეპოვება როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებს. გარდაუვალი ზმნისაგან კაუზატიური ფორმის წარმოებისას ზმნა გარდამავალი ხდება. კაუზატივის მაწარმოებელი სამივე ნახურ ენაში არის -ით- ფორმანტი, რომელსაც გენეტურად დ-ით-ან „დატოვება“ ზმნის -ით- ძირს უკავშირებენ.

-ით ფორმანტით ნახურში ნებისმიერი ზმნისაგან იწარმოება კაუზატივიანი ინფინიტივები. შღრ. ინფინიტიური ფორმები:

საც-ან „გაჩერება“ : საც-ნო-ან (<საც-ა-ით-ან)//საც-ით-ან (ბაცბ.) „გაჩერებინება“;

ლათ-ან „ღვას“ : ლათ-ნო-ან (ლათ-ა-ით-ან)//ლათ-ით-ან (ბაცბ.) „(დაანებე), იღვეს“, „ღაე, იღვეს“;

დ-დელხ-ან „ტირილი“ (ტირის)//დ-ათხ-ან (ბაცბ.) : დ-დელხ-ნო-ან//დ-ათხ-ით-ან (ბაცბ.) „(დაანებე), იტიროს“, „ღაე, იტიროს“ და მისთ.

მამასადამე, მარტივი, პირველადი ინფინიტივებისაგან კაუზატიური ფორმების წარმოებისას მიღებულია ახალი ტიპის ინფინიტივები - კაუზატიური ინფინიტივები. ერთმანეთისაგან განსხვავებულ ამ ფორმებს ცალ-ცალკე ეწარმოებათ ღრო-კილოთა ნაკვთები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კაუზატივი წარმოქმნის (და არა ფლექსიის) კატეგორიას წარმოადგენს.

გარდაუვალი ზმნა სემანტიკურად სუბიექტს უკავშირდება, რომელიც სახელობით ბრუნვაში ღვას, მისგან კაუზატიური ფორმის წარმოებისას ჩნდება მეორე პირი რეალური ობიექტის სახით სახელობით ბრუნვაში, ხოლო სუბიექტს ბრუნვა ეცვლება - იგი ერგატივში გადადის. კლასნიშნიან გარდაუვალ ზმნაში კლასის ნიშნით, რა თქმა უნდა, სუბიექტია გამოხატული, მისგან ნაწარმოებ კაუზატიურ ფორმაში გრამატიკული კლასის ნიშანი უკვე რეალური ობიექტის მარკერს წარმოადგენს ზმნაში.

გარდამავალი ზმნისაგან ნაწარმოებ კაუზატიურ ფორმაში ჩნდება ე. წ. ირიბი ობიექტი, რომელიც ლოკატიურ ბრუნვაში ღვას. თვით სუბიექტი ერგატივში და რეალური (პირდაპირი) ობიექტი სახელობითში ბრუნვებს არ იცვლიან. ასეთ ფორმებში სუბიექტი (მოქმედების ინიციატორი, ორგანიზატორი) სამოქმედო ობიექტზე მოქმედებს ირიბი ობიექტის მეშვეობით, ის არის მოქმედების რეალური შემსრულებელი.

ამგვარად, ნახურ ენებში კაუზატივს აწარმოებს -ით- ფორმანტი, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს დ-ით-ან „ლატოვება“ ზმნის ძირს. -ით- სუფიქსის ხმოვნითი ნაწილი ფუძის მომდევნო (მაერთებელ) ხმოვანთან დიფთონგს ან მასთან შერწყმით გრძელ ხმოვანს ქმნის ჩეჩნურ-ინგუშურში, ბატბურში კი დიფთონგი მარტივ ხმოვანს იძლევა.

კაუზატიური ფორმები წარმოშობით რთული, ორფუძიანი, ზმნებია.

პოტენციალისის კატეგორია

პოტენციალისი მოქმედების შესაძლებლობას გამოხატავს. მისი შესატყვისი ქართულში ვნებითის (ი-ნიანი ან ე-ნიანი) ფორმაა, რომელიც ხშირად მოქმედების შესაძლებლობასაც გამოხატავს. შდრ.: იჭმება - ეჭმება, ისმება - ეცმება, ითქმის რამე - ეთქმის.... (ჩიქობავა 1998, 62).

ნახურში პოტენციალისის წარმოების რამდენიმე საშუალება არის გარჩეული. ერთ-ერთი საშუალებაა მაგ-ან „შეძლება“ მეშველი ზმნით ნაწარმოები ანალიზური ფორმა. შდრ., მაგალითად, ჩეჩნურში:

დ-ნც-ა მაგ-ან „ლაპარაკის შეძლება“: სუნა დ-ნც-ა ძეგ-ა/მეგ-ა „მე ლაპარაკი შემიძლია“ ... ნათელია, რომ პოტენციალის ორი კომპონენტისაგან შედგება: პირველი კომპონენტი (ამ შემთხვევაში - დ-ნც-ა) -ა ხმოვნით გავრცობილ ფუძეს ჰგავს, მეორე კი - მაგ-ან ზმნის დროთა ფორმებია (მოცემულ მაგალითში - აწმყოსი).

მაგ-ან ლატინური კონსტრუქციის ზმნა და მასთან სუბიექტი მიცემითში ღვას. რა თქმა უნდა, ამ ზმნის მეშვეობით ნაწარმოები პოტენციალის ფორმები გარდაუვალი იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ პოტენციალის ნაწარმოებია გარდამავალი ზმნისაგან.

პოტენციალის მანაწარმოებელი მეშველი ზმნაა, აგრეთვე, დ-ალ-ან „გახლომა“, ამ ზმნის ძირითადი ფუნქცია პოტენციალის გარდაუვალობის მნიშვნელობით (იმნაიშვილი 1977, 179; 1978, 168). აღსანიშნავია, რომ დ-ალ-ან ზმნის თავდაპირველი მნიშვნელობა ამჟამად დაჩრდილულია, „გახლომის“ სემანტიკა მას ეძლევა მხოლოდ პოტენციალის გამოსატვისას. მაშასადამე, იგი ამჟამად სუფიქსილია, რომელმაც წარმოქმნის ფუნქცია შეიძინა. აბსტრაქციის ხარისხით იგი შეიძლება შევადაროთ სუფიქსს, წერს კ. ჩოქაევი (ჩოქაევი 1968, 83-84).

აღნიშნული მეშველი ზმნით თითქმის ყველა ზმნისაგან იწარმოება ახალი ზმნები, მაგრამ ყველა მათგანი არ არის პოტენციალი. მაგალითები:

ინფინიტივი	პოტენციალისი	აწმყო
დ-პ-ან „ჭამა“	დ-პ-ა-დ-ალ-ან	დ-პ-ა-ლოჟო „იჭმება“
მალ-ან//მალ'-ან	მალ-დ-ალ-ან//მალ'-დ-ალ-ან	მალ-ა-ლოჟო//მალ'-ლოჟო „ისმევა“...

დასახელებული ზმნები გარდამავალია, მათგან ნაწარმოები პოტენციალის ფორმები ვნებითი გვარის შინაარსის მქონეა: სუბიექტის ადგილს ობიექტი იკავებს. შეიძლება დავასკვნათ, რომ პოტენციალისი გარდამავალი ზმნის შებრუნებული ფორმაა და მას ერთგვარად ვნებითის შინაარსი აქვს. ამ ფორმათა ანალიზის საფუძველზე ბაცბური ენის ზოგი მკვლევარი ბაცბურში გვარის არსებობის შესახებაც მსჯელობს - გამოყოფენ მოქმედებითი, ვნებითი და საშუალო გვარის ზმნებზე (ჭრელაშვილი 2002; მიქელაძე 2013).

პოტენციალის უნებურობის სემანტიკაც შეიძლება ჰქონდეს. შდრ., ჩეჩნური: ბ'არგ თ'ორხ-ა-ლოჟო „თვალი თამაშობს“ და მისთ.

პოტენციალისი დ-ა-დ-ალ-ან მეშველი ზმნის მეშვეობითაც არის შესაძლებელი. როგორც ჩანს, დ-ა-დ-ალ-ან თვით არის დ-ან „კეთება“ ზმნის პოტენციალისი. მოვიყვანოთ მაგალითები ჩეჩნურიდან:

ინფინიტივი	პოტენციალისი	აწმყო
გაეჩ-დ-ან „პატიება“	გაეჩ-დ-ა-დ-ალ-ან	გაეჩ-დ-ა-ლჷო
ჰალლაქ-დ-ან „მოსაობა“	ჰალლაქ-დ-ა-დ-ალ-ან	ჰალლაქ-დ-ა-ლჷო
რეზა-დ-ან „დაკმაყოფილება“	რეზა-დ-ა-დ-ალ-ან	რეზა-დ-ა-დ-ალჷო...

ამგვარად, ნახურში პოტენციალისს აწარმოებს მაგ-ან „შეძლება“, დ-ალ-ან „გახდომა“, დ-ა-დ-ალ-ან „კეთების გახდომა“ (თარგმანი მიახლოებითია) მეშველი ზმნები. ზმნის ამ კატეგორიას აქვს ვნებითი გვარისა და უნებურობის შინაარსი. პოტენციალისის ჩამოყალიბებით, როგორც ჩანს, ნახურ ენებში გვარის ჩამოყალიბების წინაპირობებია შექმნილი.

ნაზმნარი სახელები

მასდარი.

-მ ფორმანტიანი ნაზმნარი სახელები

როგორც უკვე ითქვა, ნახურ ენებში მასდარი, როგორც ინფინიტივი, იწარმოება ყველა ზმნისაგან -რ ფორმანტის მეშვეობით. -რ ფორმანტი დაერთვის -ა- ხმოვნით გავრცობილ ზმნურ ფუძეს ზუსტად ისევე, როგორც ინფინიტივის საწარმოებლად -ნ ფორმანტი იმავე ფუძეს. მაშასადამე, -ნ-ს შეცვლა -რ-თი იწვევს ინფინიტიური ფორმის შეცვლას მასდართ. მასდარი ბრუნებადი სიტყვაა, ნაზმნარი სახელია.

ნახურ ენებში ნაზმნარი სახელებია -მ ფორმანტიანი სახელებიც. ასეთი სახელი ნაწარმოებია იმავე ფორმისაგან, რომლისაგანაც მასდარი (-რ იცვლება -მ-თი).

მოვიყვანოთ მაგალითები ჩეჩნურ-ინგუშურიდან:

ინფინიტივი	მასდარი	-მ ფორმანტიანი სახელები
ხათთ-ა-ნ „(შე)კითხვა“	ხათთ-ა-რ	ხათთ-ა-მ „აღსარება“
ჰადჷხ-ა-ნ „სწავლება“	ჰადჷხ-ა-რ	ჰადჷხ-ა-მ „რჩევა; სწავლება, დარიგება“
ჯდჷთ-ა-ნ „რწმუნება, მიხვედრა“ ...	ჯდჷთ-ა-რ	ჯდჷთ-ა-მ „შეგნება; ცნობიერება“ ...

თქმ-ა-ნ „ნღობა“

თქმ-ა-რ

თქმ-ა-მ „ნღობა“...

კლასნიშნიან ზმნათაგან ნაწარმოები მასდარები განეკუთვნებიან დ- კლასს, ხოლო -მ ფორმანტიანი სახელები - ბ- კლასს. გარდა ამისა, ამ ჯგუფის სახელებში კლასის ნიშანი ბ- გაქვავებულია:

ბ-დგზ-ამ „სიყვარული“

ბ-ნზ-ამ „ქონება, მეურნეობა“

ბ-დგლ-ამ „სასაცილო“ (რამ) და მისთ.

აღსანიშნავია, რომ -მ ფორმანტიანი სახელები ჩეჩნურ-ინგუშურში ცოტაა, მცირერიცხოვანია. გამოითქვა აზრი მისი ნასესხობის შესახებ თურქულენოვანი სამყაროდან, კერძოდ, ყუმუხურიდან (დუშერიევი 1963, 394; კადირაჯიევი 1990, 61-62). აღნიშნული ფორმანტი ბაცბურში შენიშნული არ იყო. ბაცბურში იგი დადასტურდა რამდენიმე მაგალითში, როგორცაა (ქადაგიძე 1984):

თეგ-ო-მ „მორიგება, თანხმობა“

ვერლ'-ო-მ „შიში, შიშიანობა“

თქმ-ო-მ „ნღობა“...

არ უნდა იყოს სადავო, რომ -მ ფორმანტიანი სახელები ნახურ ფუძეენაში არსებობდა. ენების მიხედვით განსხვავებულია ამ ფორმებში ე. წ. მაერთებელი ხმოვანი. ჩეჩნურ-ინგუშურში -ა- გვაქვს, ბაცბურში - -ო-; ბაცბურში -მ ფორმანტის წინ -ო-ს არსებობა ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენილი ჩანს (ბაგისმიერ მ-სთან მეზობლობაში ა>ო).

მიმღობა ნახურ ენებში

მიმღობაც ნაზმნარი სახელია - ზმნასთან აქვს საერთო ფუძე. ზმნური კატეგორიებიდან გააჩნია იმ ზმნის კლასის, დროის, რიცხვის, ასპექტის კატეგორიები, რომლისგანაც არის ნაწარმოები.

მიმღობა, ზედსართავი სახელის მსგავსად, ბრუნებადი სიტყვაა. წინადადებაში, ასევე, ზედსართავის მსგავსად, მსაზღვრელია. აქვს ორი ფორმა: დამოკიდებული (სახელის მსაზღვრელად) და დამოუკიდებელი

(გასუბსტანტივებული) ფორმები. დამოუკიდებელი ფორმების მაწარმოებელია -რგ (< -რიგ < -რ-იგ) ფორმანტი. გვაქვს აწმყოს, ნამყოსა და მყოფადის მიმღეობები. აწმყოს მიმღეობა ჩეჩნურში სავსებით ემთხვევა აწმყოს ფორმას. მას საზღვრული ახლავს და დამოკიდებული ფორმაა, დამოუკიდებელი ფორმა ნაწარმოებია დამოკიდებულისაგან ზემოთ აღნიშნული (-რგ) სუფიქსის მეშვეობით. მოვიყვანოთ მაგალითები ჩეჩნურიდან (აწმყო - -უ ფორმანტით):

აწმყო	დამოკ. მიმღ.	დამოუკ. მიმღეობა
ვ-რღ-უ	ვ-რღ-უ სთავ	ვ-რღ-უ-რგ
„მიღის“ (მამაკ.)	„მიმავალი კაცი“	„მიმავალი“
ვ-რღ-უ	ვ-რღ-უ სთავ	ვ-რღ-უ-რგ
„მოღის“ (მამაკ.)	„მომავალი კაცი“	„მომავალი“
ოხქ-უ	ოხქ-უ ქვერთ	ოხქ-უ-რგ
„ბარავს“	„დასაბარი ეზო“	„დასაბარი“...

აწმყო - -ა ფორმანტით:

ლწთთ-ა (< ლათთ-ე)	ლწთთ-ა სთავ	ლწთთ-ა-რგ
„ღვას“	„მღვარი კაცი“	„მღვარი“...

აწმყოს მიმღეობის წარმოების ეს სახეობაა წარმოდგენილი ინგუშურში, სადაც მიმღეობის მაწარმოებელი მხოლოდ -ა ფორმანტი ჩანს (დოლაქოვა 1967, 221).

ბაცბურში აწმყოს მიმღეობა იწარმოება აწმყოს ფორმაზე -ინ (-ინო//ინი მ. მიქელაძის მიხედვით) ფორმანტის დართვით. შდრ.: აწმყო -ო მაწარმოებლით: ხერც-რ „ცკლის“, აწმყოს მიმღეობა *ხერც-ო-ინ (> ხერც-უ-ინ, სადაც -ო-ინ > -უ-ინ) „გამცკლეული“, „გასაცკლეული“... აწმყო -ე მაწარმოებლით: თეყ-ე „ეხვეწება“, აწმყოს მიმღეობა *თეყ-ე-ინ (> თეყ-ინ, -ე-ზე დაბოლოებულ აწმყოში სრულად იკარგება ეს ფორმანტი) „მახვეწარი“ და მისთ.

ნამყოს მიმღეობა სავსებით ემთხვევა ნამყო განუსაზღვრელი დროის ფორმას. ნამყო განუსაზღვრელი თვითონ წარმოადგენს ოდინდელ მიმღეობას, რომელსაც დაკარგული აქვს მეშველი ზმნა. დროის აღნიშვნის ფუნქცია ჩეჩნურში მისთვის მეორეულია. შდრ.:

ლწთთ-ი-ნა „ამღვარა“ (ნამყ. გან.) და ლწთთ-ი-ნა „ამღვარი“

ლეჭყ-ი-ნა „დამალულა“ (ნამყ. გან.) და ლეჭყ-ი-ნა „დამალული“...

ნამყოს დამოუკიდებელი ფორმა იწარმოება მიმღობის ფორმაზე იმავე -რგ ფორმანტის მეშვეობით. შდრ., ღბთთ-ი-ნა-რგ, ლეჭყ-ი-ნა-რგ...

ნამყოს მიმღობაც -ა ფორმანტით არის ნაწარმოები ინგუშურში. იგი დაერთვის ნამყო უახლესის ფორმას, რომელსაც ფორმანტი დაკარგული აქვს. ეჭვს არ იწვევს, რომ ინგუშურში -ა ფორმანტი მომდინარეობს -ნა საგან. შდრ., სახელთა ბრუნებაში მიცემითის ფორმები გოვრ-ა-ა „ცხენს“ ტიპისა, რომელიც მომდინარეობს გოვრ-ა-ნა-საგან.

ნამყოს მიმღობა ბაცბურში -ინ ფორმანტით იწარმოება (კ. ჭრელაშვილი), შდრ., ხარც-ან „გაცვლა“, ნამყოში ხარც-ინ „გაცვლილი“ და მისთ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ნახურში ამოსავალი ვითარება -ნა ფორმანტიანი უნდა ყოფილიყო, ბაცბურის ვითარება მეორეული ჩანს, რაც გამოწვეულია ბოლოკიდურ პოზიციაში ხმოვნის ჩავარდნით: -ი-ნა > ი-ნ. მაშასადამე, ბაცბურში გამოსაყოფია არა -ინ, არამედ -ი-ნ (< -ი-ნა).

მყოფადის მიმღობა სამივე ნახურ ენაში ანალიტიკურია და, ამდენად, მეორეული.

ბრუნების თვალსაზრისით, მიმღობა, როგორც დამოკიდებული, ისე დამოუკიდებელი, არ განსხვავდება შესაბამისი (დამოკიდებული და დამოუკიდებელი) ზედსართავი სახელისაგან: დამოკიდებულს სულ ორი ფორმა აქვს სახელობითისა და დანარჩენი ბრუნვებისათვის -ჩუ ელემენტით. შდრ., სახ. დრლუ ხან „მომავალი დრო“ და ნათ. დრლუ-ჩუ ხენ-ან... დანარჩენ ბრუნვებში იცვლება მხოლოდ საზღვრული, არსებითი სახელი. იგივე ვითარება გვაქვს მრავლობითშიც. შდრ., სახ. დრლუ ხენ-ამ „მომავალი დროები“, დრლუ-ჩუ ხენ-ბნ...

აღნიშნული დებულება ვრცელდება ბაცბურ ენაზეც.

მაშასადამე, ნახურ ენებში მიმღობის მაწარმოებლებია:

	ჩეჩნური	ინგუშური	ბაცბური
აწმყო	-ა // -უ	-ა	-ინ // -ინო // -ინი
ნამყოს მიმღობა	-ნა	-ა (< *-ნა)	-ნა

მყოფადის მიმღობა, როგორც ითქვა, ანალიტიკურია.

ზმნისართი

ზმნისართი - ფორმაუცვლელი დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვაა, ახლავს ზმნას და იძლევა დამატებით ინფორმაციას ზმნით გამოხატული მოქმედების შესახებ. ზმნისართი ზმნის მსაზღვრელია, როგორც ზედსართავი სახელი არსებითი სახელისა. ცნობილია, აგრეთვე, რომ ზმნისართი იშვიათად შეიძლება იყოს ზედსართავის ან თვით ზმნისართის მსაზღვრელიც.

ნახურში გარჩეულია ე. წ. პირველადი და მეორეული (წარმოქმნილი) ზმნისართები.

პირველადი ზმნისართები ნახურ ენებში ცოტაა. არსებობს სამართლიანი მოსაზრება, რომ ე. წ. პირველადი ზმნისართების წარმოშობა დაკავშირებული ნაცვალსახელებთა. ზმნისართების ძირითადი ნაწილი ამა თუ იმ სახელის რომელიმე ბრუნვის გაქვავებულ ფორმას წარმოადგენენ. მაშასადამე, ხდება მეტყველების ნაწილთა ადვერბიალიზაცია. საინტერესოა, რომ ადვერბიალიზაციის პროცესში ნახურ ენათა ლექსემები არანაირ ცვლილებებს არ განიცდიან (ხამილოვა 1984, 44). განსხვავება ლექსიკის პირველადსა და ადვერბიალიზებულ ფორმათა შორის დგინდება კონტექსტის მიხედვით.

წარმოშობის მიხედვით, ნახურ ენათა ზმნისართები შეიძლება ასე დავაჯგუფოთ:

არსებით სახელთაგან ნაწარმოები ზმნისართები;

ზედსართავ სახელთაგან ნაწარმოები ზმნისართები;

რიცხვით სახელთაგან ნაწარმოები ზმნისართები;

ნაცვალსახელთაგან ნაწარმოები ზმნისართები;

ზმნისართთაგან ნაწარმოები ზმნისართები;

როგორც ითქვა, არს. სახელთაგან ნაწარმოები ზმნისართები წარმოადგენენ სახელის რომელიმე ბრუნვის ფორმას. ზმნისართთა წარმოების ერთ-ერთ ძირითად წყაროს სწორედ არს. სახელთა ბრუნვათა ფორმები წარმოადგენენ. მაგალითები ჩვენურიდან:

ეჭოლლა „ბოროტებით“, ქურალლა „ქედმაღლობით“, ღამ „ფეხით“ (სახ. ბრ.) ..., ვიამცა „წარმატებით“ (თან. ბრ.)...

ბეგაშინა (ჩენ.), ბეგაშთა (ინგ.) „ხუმრობით“ (მიც. ბრ.)...

ყაღლას (ჩენ.), ყაღლა (ინგ.) „მაღულად“ (განმსჭ.)...

ზედსართავ სახელთაგან ნაწარმოები ზმნისართები ფორმობრივად არ განსხვავდებიან ვითარებითი ზედსართავი სახელებისაგან:

საზან (ჩენ.), ხოზა (ინგ.), ლაზენ (ბაცბ.) „ლამაზი“ და „ლამაზად“...

ყველა ვითარებითი ზედსართავისაგან ზმნისართები არ იწარმოება.

ზმნისართი ცჰაჰნა (ჩენ.), ცჰაჰან (ინგ.), ცჰაჰანლ (ბაცბ.) „ერთად“ მომდინარეობს „ერთის“ აღმნიშვნელი ზედსართავი სახელისაგან. შღრ., ჩენ.-ინგ. ცჰაჰ, ბაცბ. ცჰაჰ „ერთი“...

ნაცვალსახელთაგან ნაწარმოებ ზმნისართთა ერთი ჯგუფს უკვე დაკარგული აქვს კავშირი ნაცვალსახელებთან. ასეთი ზმნისართები სპეციალურ ლიტერატურაში მარტივ სიტყვებად მიიჩნეა. მაგალითად:

ჩენური	ინგუშური	ბაცბური
ციგა//ოციგა	ციგა „იქით“-	ოსი „იქ“
ვუზა//პოვუზა	უ-ვაზა „აქ, ახლოს“	-
ეცცა//ეცციგა	-	ესე „აქ“...

ეს ზმნისართები ფორმობრივადაც და სემანტიკურადაც უკავშირდებიან ჩვენებით ნაცვალსახელებს. ერთი რიგის ზმნისართების დაკავშირება რომელიმე მეტყველების ნაწილთან ჭირს. ასეთია, მაგალითად:

მაცა	მაც	მაცა ⁶ „როდის“
ჰაალზა	ჰაალზა „წინათ“	ჰაათხ „წინ“
მიჩა	მიჩა	მიჩე „სად, საით“
ჰინცა	ჰანზ	ინც „ახლ“...

მაგალითების გამრავლება შეიძლება.

არის ზმნისართთა წარმოების ცალკეული შემთხვევები ცალკეულ ენებში. საძიებელია მათი შესატყვისები დანარჩენ ენებში. შღრ., ზმნისართისაგან ნაწარმოები ახალი ზმნისართები ჩენურში: ჰინცა „ახლ“ - ჰინცცა (თანხმოვნის გაორკეცებით) „აი, ახლ“, ჰინცცაჰჰ (თანხმოვნის გაორკეცებითა და -ჰჰ ფორმანტის დართვით) „ახლავ“ და მისთ.

ჩამოთვლილ ზმნისართთაგან იწარმოება ახალი ზმნისართები ლოკატიურ ბრუნვათა ფორმანტების მეშვეობით, აგრეთვე, ფუძეთა გაორკეცებით და სხვ.

2. ზმნის მორფოლოგია: ზმნის ღერივაციული და ფლექსიური კატეგორიები,

ნაზმნარი სახელი, ზმნისართი ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში

2. 1. ზოგადი. ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ზმნის მორფოლოგიის ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით კვლევისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ძირთა და ფუძეთა რეკონსტრუქცია, რომლის მიმართ სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. აზრთა სხვადასხვაობა ზმნური სისტემის აღწერისასაც იჩენს თავს.

ინდო-ევროპულ ლინგვისტიკაში სიტყვას სამ ან ორ ძირითად ნაწილად ყოფენ. კერძოდ, ა. მეიეს მიხედვით: „ინდო-ევროპული სიტყვა შედგება სამი ნაწილისაგან: ძირისა, სუფიქსისა¹ და დაბოლოებისაგან...“ [მეიე 1938 : 167-169].

ლ. ბლუმფილდი სიტყვაფორმას ანაწევრებს ძირეულ (R) და აფიქსურ (A) მორფემებად, თავის მხრივ, აფიქსურ მორფემებს ყოფს: ა) ფლექსიურ (A_F) და ბ) ღერივაციულ (A_D) მორფემებად [ბლუმფილდი 1968 : 228-269]. ამ დებულებით იგულისხმება, რომ ანალოგიურ ზმნებს (resp. სახელებს) ფუძეთქმნალობა საერთოდ არ ჰქონია. ამასთანავე, ზოგ შემთხვევაში ძირ-ფუძეთა ომონიმია შეიძლება მეორეული მოვლენაც აღმოჩნდეს - ფუძის გამარტივების შედეგი [შანიძე 1980 : 387; ჯორბენაძე 1980 : 118-193].

აღსანიშნავია, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ფუძის მეტ-ნაკლებად არაერთგვაროვანი ლეფინიციები გვხვდება. ყველა გამარტებაზე ყურადღების გამახვილება შეუძლებელია და არც არის აუცილებელი. აქ მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს. ნ. ტრუბეცკოი, რომელიც წინარე აღმოსავლურ-კავკასიური ენის ზმნური ძირისათვის მონოკონსონანტური (ერთი ჩქამიერი თანხმოვნის შემცველი) პრინციპის დაშვებას ემხრობა, წერს: „Каждый глагол, таким образом, всегда имел две основы: имперфективную и перфективную. Соотношения между ними были довольно разнообразны: видовые префиксы отличались друг от друга у одних глаголов различной окраской гласных, у других вставкой или выпадением плавного“ [ტრუბეცკოი 1987 : 341]. ანდა: “В более древнюю эпоху наличие гласного, непосредственно следующего за корневым гласным, было обязательным для всех чечено-лезгинских глагольных форм. Этот гласный можно назвать “тематическим гласным“ [იქვე, 325].

¹ როგორც ჩანს, სუფიქსი აქ გამოყენებულია ფუძის ფორმანტის (resp. ლეტერმინანტის) მნიშვნელობით.

ვფიქრობთ, ცნობილი მკვლევარი წინააღმდეგობაში ვარდება მონოკონსონანტური ძირის პრინციპთან, როდესაც წერს: „, Поскольку тематический гласный обнаруживается во всех глагольных формах и ему всегда непосредственно предшествует корневой согласный, то этот гласный можно рассматривать как составную часть глагольного корня“ [ტრუბეცკო 1987 : 325].

ნ. ტრუბეცკოს ლებულებით, ნახურ-დაღესტნურ ენათა ზმნური ძირი გამოდის CV სტრუქტურისა, რაც ფაქტობრივ თავისებური რეინტერპრეტაციით ფუძეს ეთანაბრება. გარდა ამისა, ე.წ. თემატური ხმოვანი, უღვლილების ტიპებისა და დრო-კილოთა მიხედვით, თვალსაჩინოდ იცვლება, რაც მის უცვლელ მორფოლოგიურ სეგმენტში - ძირში გაერთიანებას ხელს უშლის [შდრ. მალაევა 2007 : 12-13].

ზ. მალაევა ანლაუტური კლასიფიკატორის მიმყოფ ხმოვანს, რომელსაც თავკილურად თანხმოვანთა თავყრის სუპერაცია ეკისრება, სავსებით სამართლიანად კლას-ნიშანს განაკუთვნებს, მაგრამ მიახლოებით ანალოგიური დანიშნულების თემატურ ხმოვანს – ძირს (resp. ფუძეს). ეს კი ზმნური ფორმების სტრუქტურული (გრამატიკული) და ფუნქციური (ონტოლოგიური) სეგმენტაციის არათანამიმდევრულობის შედეგია.

ძირის მონოკონსონანტური პრინციპი, რაც დასაბუთებულია ქართველური და აფხაზურ-ადიღური ენების მონაცემებით [ჩიქობავა 1942 : 262; როგავა 1956 ...], წამყვანია, ზოგადად, ნახურ-დაღესტნურ, ხოლო, კონკრეტულად, ხუნძურ-ანდიურ-დიღურ ენებშიც [გუღავა 1959 : 47; ფარეულიძე 2008 : 243].

ტ. გუღავას აზრით, „... в основу глагола могут войти: показатель грамматического класса, корень, суффиксы, образующие основу (детерминанты, тематические признаки, суффиксы неясной функции – хх, ш, кI... суффиксы непереходности . . .)“ [გუღავა 1959 : 50].

1

რაც შეეხება ზმნურ ფუძეთა სხვა განმარტებებს, დავიმოწმებთ ზოგ მათგანს: „სიტყვის ძირითადი ნაწილი, რომელთანაც დაკავშირებულია საგნობრივი მნიშვნელობა (და ბრუნებისა და უღვლილების დროს, ე.ი. რომელიმე მორფოლოგიური კატეგორიის მიხედვით ფორმათა ცვლისას სიტყვაში უცვლელ ნაწილად წარმოგვიდგება)“ [ქეგლ. VII. 1962 : 214]. „ენობრივი სტრუქტურის ის მონაკვეთი (სეგმენტი), რომელიც მდგრადია მოცემული სტრუქტურისათვის და საყრდენია ნებისმიერი ფორმისა ან ფორმათა სისტემისათვის

¹ ბუნებრივია, კლასის ცვლადი ექსპონენტების, თემატური ნიშნების, გარდაუვალობის სუფიქსების მიჩნევა ფუძის მუდმივ ინგრედიენტებად ძნელად გასაზიარებელია.

და რომელსაც ერთდროულად მოეპოვება ლექსიკური და გრამატიკული ფუნქციები, წარმოადგენს ფუძეს“ [ჯორბენაძე 1980 : 193]. „Под исходной основой обычно понимают такую форму глагольной основы, от которой наиболее простым способом можно образовать все или большинство словоформ данного глагола“ [Алексеев 1988 : 151]. „ფუძე არის სიტყვის ის ნაწილი, რომელიც იწარმოება ძირზე ლერივაციული აფიქსების დართვით; იგი უცვლელია ერთი ფლექსიური პარადიგმის ფარგლებში“ [გამყრელიძე და სხვ. 2008 : 183]. „Ядреная часть слова, с которой связано его вещественное лексическое значение и которая остается за вычетом из него словоизменятельных морфем (окончаний)“ [ლელ 1990 : 353].

ღირსსაცნობია, რომ ენციკლოპედიაში „ქართული ენა“ ფუძე განმარტებულია შედარებით სრულად; განმარტებაში გამოყოფილია: ა) მარტივი და ნაწარმოები ფუძეები; ბ) პირველადი და მეორეული ფუძეები; გ) მოტივირებული და არამოტივირებული ფუძეები [ენც. „ქართ. ენა“ 2008 : 490].

ჩვენეული ლეფინაციით, ზმნის ლექსიკური და გრამატიკული ფუნქციის მქონე მყარ (უცვლელ) სეგმენტს, რომელსაც პარადიგმის ფარგლებში ეყრდნობა ფორმათა მთელი სისტემა, ჩამოშორებული აქვს კლასის (resp. რიცხვის), კოლოს, ღრისა და თემის ნიშნები, ფუძე ეწოდება. ამასთანავე, ამგვარი მარტივი (პირველადი) ფუძისაგან განსხვავებით, ცალკეული სისტემის (სერიის) ან ქვესისტემისათვის გამოიყოფა რთული (resp. ნაწარმოები) ფუძე, რომელიც პერმანენტულად ცვლადი მონაცემია და წარმოების ორგანიზაცია (ა. ხაზოვანი, ბ. ჩანაცვლებითი) პრინციპით ხასიათდება (ჯორბენაძე 1980 : 123-124).

საკვლევ ენებში ფუძეთქმნადობის პრინციპი ძირითადად სწორხაზოვანია, რაც შეიძლება ვაჩვენოთ ხუნძური ენის მაგალითზე, მაგ.: ფ. ყოტ-: აწმყ. ყოტ-უ-ლა, აბსოლუტ. ყოტ-უ-ლა-გო, ნამყ. ყოტ-ა-ნა „გაჭრა“ და ა.შ.

ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა სინამდვილეში გვხვდება კლასნიშნიანი და უკლასნიშნო ზმნები. უკლასნიშნო ზმნათა ფუძის გამოყოფის საკითხი მარტივია: ზმნურ ფუძეს უშუალოდ დაერთვის თემის, კილოსა და ღრის ნიშნები, მაგ.: ხუნძ. ხის-ი-ზე „გაცვლა“, ყოტ-უ-ლა „ჭრის“ ...; ანდ. ჰაყ'-ო-რ „ხედავს“, ჯუარდ-ი „დაწერა“ და მისთ.

რაც შეეხება კლასნიშნიან ზმნებს, სპეციალისტები კლასიფიკატორს ფუძის კუთვნილებად თვლიან (ნ. ტრუბეტკოვი, არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ტ. გუდავა ..). ჩვენი აზრით, კლასიფიკატორი, პირის ნიშნათა ანალოგიურად, ძირ-ფუძეთა სტრუქტურულიდან უნდა გამოირიცხოს, რადგანაც იგი ცვალებად ფლექსიურ

ოღენობას წარმოადგენს და გრამატიკული მარკერის სტატუსი აქვს. ფუძის სტრუქტურას ქმნიან ძირი (resp. მარტივი ფუძე) და დეტერმინანტი როგორც ფუძის საწარმოებელი აფიქსი, მაგ.: ხუნძ. თ-ურ - : თურ-ი-ზე „ლპობა“, ახვ. ლ'-იბ- : ლ'იბ-ე „შეშინება“...

ხშირად ფუძეს (resp. ძირს) მიაკუთვნებენ თემატურ ხმოვანსაც (ტრუბეცკოი 1987 : 325; გულავა 1959 : 27 ...; შლრ. მალაევა 2007 : 18).

ჩვენი თვალსაზრისით, თემატური ხმოვანი მარტივი ფუძის ორგანული ნაწილი ვერ იქნება, რადგანაც მთლიანი პარადიგმის ფარგლებში თვალსაჩინო ცვლილებებს განიცდის. რაც შეეხება რთულ ფუძეს, ცალკეულ დრო-კილოთა წარმოებისას შეიძლება იგი ფუძის ფორმანტადაც მივიჩნიოთ.

ცალკე ჯგუფში უნდა გაერთიანდეს მცირერიცხოვან ზმნათა ის წყება, რომელთაც ძირეული მორფემა დაკარგული აქვთ და მის ფუნქციას სათანადო აფიქსები ასრულებენ, მაგ.: ხუნძ. ინ-ე (< *ც-ინ-ე < *ბა-ც-ინ-ე, შლრ. ანდალ. ც-ენ-დ-ე, კარ. ბო-სა^ნ-ლსა „id.“) „წასვლა“, „გამგზავრება“, ანდ. იდ-უ (< ლალ. ჯ-რდ-უ < * < გ-რდ-უ, შლრ. ახვ. გ-ურ-ულ^ა „id.“) „კეთება“ და სხვ.

ზმნის დერივაციული და ფლექსიური კატეგორიები ხუნძურ-ანდიურ ენებში

2. 2. **ზმნური ფუძის სტრუქტურა და მისი რეკონსტრუქცია¹.** სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებში ზმნურ (resp. სახელურ) ძირ-ფუძეთა არქაული ტიპი მეტწილად განსხვავებული უნდა ყოფილიყო ახლა დადასტურებული კანონიკური მოდელებსაგან [ჩიქობავა 1974 : 51; 1979 : 80]. ამ საკითხზე, აფხაზურ-აბაზურ ენათა მონაცემების გათვალისწინებით, საგანგებოდ ჩერდება ქ. ლომთათიძე: „ აფხაზურ-აბაზურ ძირთა და ფორმანტთა ამოსავალი ტიპი საკმაოდ განსხვავებულია ამჟამინდელ ვითარებასთან შედარებით“. ანდა: „ამოსავალი ტიპი პრინციპულად განსხვავებული ჩანს“ [ლომთათიძე 1976 : 248].

ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა დამატებითი კვლევა-ძიება გვიჩვენებს, რომ ამოსავალი მარტივი ძირეული მორფემა უნდა გართულებულიყო სათანადო სადეტერმინაციო ელემენტების დართვით, სადა ძირთა

¹ თავდაპირველად განვიხილავთ ხუნძურ და ანდიურ ენათა მონაცემებს, ხოლო შემდეგ დილოურ ენათა ვითარებას.

შერწყმა-რედუქციკაციით, ცალკეულ თანხმოვანთა შეჯგრა-შეთავსებით და კლასიფიკატორთა ფუძეებთან შეხორცებით.

ხუნძურ-ანდიურ ენებში კლასნიშნიანი ზმნები სტრუქტურულად წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი მოდელებით: **კლასიფიკატორი+ზმნური ძირი+საღებრმინაციო სუფიქსი (resp. ფუძის ფორმანტი)+თემატური ნიშანი+ღერვაციული და რელაციური მორფემები**. შემომოყვანილი მოდელი, რომელიც ისტორიული ვითარებისთვის ნავარაუდებ მოდელებს ემთხვევა, ფორმულის სახით ასე ჩაიწერება: **AF+R+AD+AF (resp. AD)**.

ამგვარი მოდელი ზმნათა ძალიან მცირე ჯგუფს მოეპოვება. იმ ზმნების მორფოლოგიური სტრუქტურის ფორმულა, რომელთაც ძირი და ფუძე ღიფერენცირებული არ აქვთ, სიმარტივით გამოირჩევა. **კლასის ექსპონენტი+ძირი (resp. ფუძე): AF+R (resp. st.)**. საილუსტრაციო მაგალითები: ხუნძ უე-ქ-ერ-ა-ნა „გაიქცა“, ბა-ღ-არ-ა-ნა „გაინძრა“, „შიერსა“, ბე-ვ-ერ-ვ-ა-ნა „უბიძგა“...; ანდ. ბე-ვ-უდ-აღნი „იტირა“, ბე-ყ-აშ-ი „მოიპარა“, „ღამაღა“ ...; ბოთლ. ბუ-რ-ტო-უ (* <ბუ-ტო-Vრ-უ) „გამოიწოთო“, ბა-ტო-აშ-უ „მოიპარა“...; საკ. ღიდ. ბი-კი-ს „წავიდა“, ლეყ-ნი „გათავდა“, ბე-ხე-ად-სი „ღაკლა“ და მისთ.

შემომოყვანილი ძირითადი კანონიკური მოდელი ყველა ზმნისათვის არ არის ობლიგატური. უკლასნიშნო ზმნათა მორფოლოგიური სტრუქტურის ფორმულა, სხვადასხვა დროთა მიხედვით, სიმარტივით ხასიათდება: **R+AD+AF (resp. AD)**. ამ შემთხვევაშიც უღერმინანტო ფუძეები უფრო მარტივ სურათს გვიჩვენებენ: **R+AF (resp. AD)**. საილუსტრაციო მაგალითები: ხუნძ. ბა-ჭ-უ-ნა „მოღის“, ბე-ცა-უ-ლა „აქებს“, ბი-ნ-უ-ლა „ხეღავს“, ბო-ტო-უ-ლა „უყვარს“...; ახვ. მი-ჩ-ენი „პოუღობს“, ბე-ყ-იღე „იცის“, ბი-კე-არი „იყო“ და მრ. სხვ.

როგორც ცნობილია, ხუნძურ-ანდიურ-დიღოურ ენათა სინამღვიღეში დასტურდება როგორც კლასნიშნიანი, ისე უკლასნიშნო [ცერცვაძე 1970 : 189-192] ზმნები. უკლასნიშნო ზმნათა მორფოლოგიური სეგმენტაცია მარტივია, რადგანაც ზმნურ ფუძეს უშუალოდ ღერთვის თემის, კიღოსა და ღროის ნიშნები, მაგ.: ხუნძ. ყოტ-ა-ნა „გაჭრა“, ბა-ქა-ა-ნა „ვაჩვენე“, ვე-ა-ნა „ღაწერა“, ხის-ა-ნა „გაცვაღა“...; ანდ. ჰიტ-ინნ-უ „თქმა“ - აწმ.ზოგ. ჰიტ-ინნ-ო, მყოფ. ჰიტ-ინნ-იღა, ნამყ.ძირ. ჰიტ-ონ და მისთ.

რაც შეეხება კლასიფიკატორიან ზმნებს, სპეციალისტები კლასის ექსპონენტს ფუძის კუთვნიღებღ მიიჩნევენ [ტრუბეცკოი 1987 : 335; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 235, 248; გუღავა 1959 : 9; მაღაღვა 2007 : 19...]. ნ. ტრუბეცკოი ხავზასმით აღნიშნავს: „Глагольные основы” содержали в эту эпоху только

родовые префиксы..., выдовые префиксы ... и корень..“ [ტრუბეტკოი 1987 : 335]. ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ზ. მალაევა: “В основу глагола входят классный показатель, корень” [მალაევა 2007 : 21].

ჩვენი აზრით, პრეფიქსული კლასიფიკატორი, პირის ნიშანთა ანალოგიურად, ფუძის სტრუქტურულად უნდა გამოირიცხოს, რადგანაც იგი კლასთა მიხედვით ცვალებად ფლექსიურ ოდენობას წარმოადგენს და გრამატიკული მარკერის სტატუსი აქვს.

მაშასადამე, ზმნური ფუძის სტრუქტურას ქმნიან ძირი (resp. მარტივი ფუძე) და ლეტერმინანტი როგორც ფუძის საწარმოებელი აფიქსი, მაგ.: ხუნძ. თ-ურ: თურ-ა-ნა „დალბა“, ტურ-დ: ტურდ-ა-ნა „იციკვა“, ბე-ვ-ერ-ვ: ბე-ვერვ-ა-ნა „გამოათრია“, ჩ-ურ (* <ჩჷ-ერ) : ჩურ-ა-ნა „გარეცხა“...; ახვ. ლ^v-იბ: ლ^vჷ-რი „შეეშინდა“, თუ-რ (* <თჷ-ერ): თჷ-ერ-ი „გადააფურთხა“, ტ-ინ: ტინ-ერი „დაასხა“, თ-ურ: თორ-ერი „დალბა“ და მისთ.

ისმის კითხვა: როგორ უნდა გადაწყდეს მოქმედი ინფიქსური კლასიფიკატორის საკითხი?

ინფიქსური კლასიფიკატორი, რომელიც ხლენს ზმნურ ფუძეს, წარმოშობით კლასის პრეფიქსული ნიშანია. იმის გამო, რომ იგი ფუძის შიგნით გვხვდება, მისი გამორიცხვა ამ სეგმენტიდან შეუძლებელია. ასეთი ფუძეები მცირეა და კლასიფიკატორიანი ფუძეების სახელწოდებით ცალკე ჯგუფად უნდა გაერთიანდეს. ამგვარი მიდგომა გამართლებულია იმითაც, რომ მოქმედი ინტერვოკალური კლასიფიკატორი, როგორც ენობრივი ელემენტი, ლაბილურია, მას ანლაუტურ კლასიფიკატორთან შედარებით, მეტ-ნაკლებად განსხვავებული მორფოლოგიური დატვირთვა აქვს.

რაც შეეხება ზმნათა იმ მცირე ჯგუფს, რომელთა შედგენილობაში გაქვავებული კლასის ნიშანია, იგი ფუძის კუთვნილებად ჩითვლება, რადგანაც მთლიანად შეხორცებულია ფუძისეულ მორფემას და ცალკე მორფოლოგიურ ელემენტად აღარ აღიქმება. რასაკვირველია, ისტორიული ინტერპრეტაციისას ფუძეს შეხორცებული კლასიფიკატორი ცალკე უნდა გამოიყოს.

2. 3. თემატური ნიშანი და მისი რეკონსტრუქცია. ზმნური ფუძის აღწერისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ძირის მომდევნო გრამატიკული ელემენტების რაგვარობა და მათი ცვლილების წესები. მეტადრე ეს ითქმის თემატურ (resp. მასუპერირებელ) ხმოვნებზე, რომლებიც ესოდენ დამახასიათებელია არა მხოლოდ ხუნძურ-ანდიურ-დიდიურ ენათა ზმნისათვის, არამედ მთლიანად დალესტნურ ენათა ზმნური სტრუქტურისათვის.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ძირითა მცირე ნაწილს დაერთვის ლეტერმინანტი, ხოლო აბსოლუტური უმრავლესობა ფუძის ფორმანტს მოკლებულია. ეს კი ახსნილია იმით, რომ ლეტერმინანტული აფიქსები წარმომავლობით სახელურია [გუდავა 1959 : 23].

უნდა აღნიშნოს, რომ ფუძისეულ მორფემას (უღეტერმინანტოსაც და ლეტერმინანტიანსაც) უმუალოდ დაერთვის თემის ნიშნები, მაგ.: ხუნძ. ყოტ-: ყოტ-უ-ლა “ჭრის”, ყოტ-ი-ლა “გაჭრის”, ყოტ-ა-ნა “გაჭრა”, ყოტ-ე! “გაჭერ!” ფ. ლ’-: ლ’-ო-ლა “ღებს”, ლ’-ე-ლა “დაღებს”, ლ’-უ-ნა “დაღო”, ლ’-ე! “დაღე!”; ფ. ჭჭა-: ჭჭა-ლა 1. “კლავს”, 2. “მოკლავს”, ჭჭა-ნა “მოკლა”, ჭჭა-ე! “მოკალ!” და სხვ.

თავდაპირველად ნ. ტრუბეცკოის მიერ გამოყენებული და სპეციალურ ლიტერატურაში მტკიცედ დამკვიდრებული ტერმინი “თემატური ხმოვანი”, რომელიც ფაქტობრივ პარადიგმული ფუძისა და სათანადო საუღლებელი სუფიქსის დაკავშირებისას ერთგვარად თანხმოვანთა თავყრის სუპერაციას ახდენს, ზ. მაღაევას ახლახან გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში ლეტერმინაციულ სუფიქსთან არის გათანაბრებული: “Тематический гласный и детерминативный суффикс находятся в соотношении части и целого. Тематический гласный это всегда детерминативный суффикс” [მაღაევა 2007 : 23].

ვფიქრობთ, ფუძის ლეტერმინაციის განმარტების გაგება და მისი ფუნქციონირების ფარგლების გაფართოება ბოლომდე თანმიმდევრული არ ჩანს. კერძოდ, ლეტერმინაცია ინდო-ევროპულ ენათმეცნიერებაში გაგებულია როგორც ძირეული მორფემის გავრცობა, რის შედეგადაც ფუძეს (resp. როულ, მეორეულ ფუძეს) ვიღებთ. ამ შემთხვევაში კი საქმე გვაქვს კატეგორიულ სუფიქსთან, რომელიც დაერთვის განყენებულად აღებულ სეგმენტს – ძირს. აქედან გამომდინარე, თემატური ხმოვანი და ლეტერმინანტული სუფიქსი ვერ იქნებიან ნაწილისა და მთელის დამოკიდებულებაში [იხ. მაღაევა 2007 : 23; შდრ. გუდავა 1959 : 28].

საგულისხმოა, რომ ნ. ტრუბეცკოი თემატურ ხმოვანს ძირის კუთვნილებად მიიჩნევს [ტრუბეცკოი 1987: 325]. მაშასადამე, თემატური ხმოვანი გამოდის არა მწკირვის ნიშანი, არამედ მთლიანი პარადიგმის ფუძის საწარმოებელი ელემენტი.

ხუნძური ზმნის ოდენხმოვნიანი თემატური ნიშნებისაგან განსხვავებით, ანდიურ ენებში მწკირვის თემად დასტურდება -C, -VC სტრუქტურის მოდელები, მაგ.: ბოთლ. ღამ-ღე „ჭამს“, გან-ღე „ეწევა“, ჯუარ-ღე „წერს“, თუნქ-იდ-ე „აკაკუნებს“...; ანდ. ბე-ტო-იდ-ო „ხნავს“, ბუ-ყო-იდ-ო „ჭრის“, ბი-ხ-იდ-ო „ყიდულობს“, ბი-ღ-იდ-ო „ღვას“, ბე-შო-ღო (< *ბე-შო-იდ-ო) „ქსოვს“ და მისთ.

ხუნძურ-ანდიურ ენებში გამოიყოფა ფუძის სამი ძირითადი სახეობა: 1. გაუვრცობელი ფუძე, როცა იგი ძირს ეთანაბრება; 2. გავრცობილი ფუძე, როცა ძირს დაერთვის დეტერმინანტი, თემატური ნიშანი და ზოგი სხვა ელემენტი; 3. ძირნაკლი “ფუძე”, როცა ძირისეული მორფემა გამქრალია და მის ფუნქციას სათანადო აფიქსი ასრულებს, მაგ.: ხუნძ. ინ-ე (<*ც-ინ-ე, <*ბა-ც-ინ-ე, შდრ. კარ. ბო-ც-ა-ლ-ა „id“.) „წასვლა“, „გამგზავრება“, ანდ. იდ-უ (<ლალ. ჯ-ი-დ-უ <*გ-ი-დ-უ, შდრ. ახვ. გ-ურ-ულ-ა „id“.) „კეთება“ და მისთ.

გარდა ზემოწარმოდგენილი დაყოფისა, ფუძეები ნაკვთთა მიხედვით შეიძლება დაიყოს თემატურ და ათემატურ სახეობებად, რომელთა მონაცვლეობა ისტორიულად ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო ხუნძურ-ანდიურ ენათა ზმნისათვის. ცალკეულ ნაკვთებში თემის ნიშნები მრავალნაირად იცვლებოდნენ, რაც იწვევდა მათ გამარტივებას, სახეცვლილებას და არაიშვიათად გაქრობასაც [იხ. გულავა 1978 : 218-223].

ზმნურ ფუძეთა დაჯგუფება ათემატურ (მარტივ) და თემატურ (რთულ) სახეობაებად შეპირობებულია უპირატესად ანდიურ ენათა ჩვენების საფუძველზე. ტ. გულავა წერს: „ნაკვთთა მიხედვით თემატურ და ათემატურ ფუძეთა მონაცვლეობა ისტორიულად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ანდიური ენებისათვის საერთოდ“ [გულავა 1978: 218].

თეორიულად ნავარაუდები თემატურ და ათემატურ ფუძეთა მწყობრი სისტემა ყველაზე კარგად არის დაცული ანდიური ენის ცალკეულ თქმებში, რომლებშიც ზმნურ ფორმათა ერთი წყება (ინფინიტივი, აწმყო ზოგადი, მყოფადი) გართულებულ (თემატურ) ფუძეს ემყარება, მეორე წყება კი - მარტივ (ათემატურ) ფუძეს [ცერცვაძე 1965 : 229]. წარმოვადგენთ სქემატურად:

აორისტი	აწმყ. ზოგ.	ათემატური ფუძე	თემატური ფუძე -იდ[>-დ]	ლექსიკური მნიშვნელობა
ჭჭარ-დ-ი	ჭჭარ-დ-ო	ჭჭარ-	ჭჭარ-დ-	“წერა”
ბე-ტე-ი	ბე-ტე-იდ-ო	-ტე-	-ტე-იდ	“ხვდა”
ბი-ხ-ი	ბი-ხ-იდ-ო	-ხ-	-ხ-იდ	“აღება”, “ყიდვა”
ბი-ვ-უ (<*ბი-ჭე-	ბივ-უდ-ო (<-*ბი-	-ვ-(<-ჭე-	-ვ-უდ-(<*-ჭე-იდ-)	“დაკვლა”

ი)	კჷ-იდ-ო			
ბი-კჷ-ო	ბი-კ-უდ-ო (<*ბი- კჷ-იდ-ო)	-კ-	-კ-უდ-(<* -კჷ-იდ)	“ყოფნა”

ცნობილია, რომ -იდ თემის ნიშანი ფუძისა და კატეგორიულ სუფიქსთა ზეგავლენით მოდიფიცირებულია [გუდავა 1978 : 218-221]. ამასთანავე, თემის ნიშნისეული თანხმობანი ისტორიული კლას-ნიშნის ანალოგიურად იცვლება: **დ>რ, რ>მ, რ>ლ** (კარ.), **დ>რ>ლ** (ახვ.).

მეორე თემის ნიშანი -ინ ზმნათა მცირე ნაწილს მოეპოვება და თემატურფუძიან ნაკვთთა (ინფინიტივი, აწმყო, მყოფადი) კუთვნილებას შეადგენს. იგი ნიშანდობლივია ანდიური და ახვახური ენებისათვის, სხვა ახლომონათესავე ენებში თანხმობითი ელემენტი **ნ** სუსტდება და წინამავალი ხმოვნის ნაზალიზაციას ახდენს. საილუსტრაციო მაგალითები ანდიური ენის მიხედვით:

აორისტი	აწმყ. ზოგ.	ათემატური ფუძე	თემატური ფუძე	ლექსიკური მნიშვნელობა
რაწა-ინ	რაწა-ინ-ნ-ო	რაწა-	რაწა-ინ-ნ (<*რაწა-ინ-დ-)	„შეკითხვა“
ჰიტ-ონ	ჰიტ-ინ-ნ-ო	ჰიტ-	ჰიტ-ინ-ნ- (<*ჰიტ-ინ-დ-)	„თქმა“
ბოს-ან	ბოს-ინ-ნ-ო	ბოს-	ბოს-ინ-ნ- (<*ბოს-ინ-დ-)	„თხრობა“, „მოყოლა“

II უღვლილების ზმნებში **ნ**-ს გარკვევა სპეციალურ ლიტერატურაში **დ** თემის ნიშნის დამატებით დართვას უკავშირდება, რაც ამ უკანასკნელის ასიმილაციით მთავრდება: **-ინ-დ>-ინ-ნ** [გუდავა 1978 : 223]. სწორედ ამ მოვლენით ჩანს შეპირობებული ხუნძური ენის სამხრულ დიალექტებში თავჩენილი **ბუკ-ინ-ზ-ე** (“ყოფნა”) ტიპის ფორმების ანალოგიური ვითარება, რამაც ანდიურ ენებში ყველა ზმნა **დ** თემის ნიშნიანად აქცია. რაც შეეხება სხვა ანდიურ ენებს, როგორც ტ. გუდავა წერს, “... თემის ნიშანი ან დაიკარგა, ან ფუძეს

შეუხორცდა, ან კიდევ ღრო-კილოთა აღმნიშვნელი დაბოლოების შემადგენლობაში შევიდა” [გუდავა 1978 : 223]. ამ თვალსაზრისით ერთგვარ სიასლოვეს ხუნძრურთან ახვასური ენა ამჟღავნებს, რომელშიც თემის ნიშნები სინქრონიულ ღონეზე სუფიქსებს განეკუთვნება.


ისმის კითხვა: მართებულია თუ არა თემის ნიშნების მიკუთვნება ღრო-კილოთა ნიშნებისთვის?

აღსანიშნავია, რომ ზმნის მარტივ (ათემატურ) ფუძეს უშუალოდ მისდევს თემის ნიშანი, რაც აყალიბებს ერთი წყების ნაკვთთა თემას (რთულ ფუძეს). ბუნებრივია, რომ ფუძე უპირველესად თემის ნიშნებზე მოქმედებდეს, რაც ფაქტობრივად რეალიზებულიც არის. კერძოდ, ხუნძურ ენაში ბოლოხმოვნიანი ფუძე ოდენხმოვნიანი თემის ნიშნის რელექციას ახდენს, რაც შედეგად აწმყო ზოგადისა და მარტივი მყოფადის ფორმათა ომონიმიას იწვევს (კჷა-ლა 1. „წერს“; 2. „დაწერს“¹ შდრ. ყოტ-უ-ლა „ჭრის“ - ყოტ-ი-ლა „გაჭრის“...).

ფუძისეული ხმოვნისა და თემის ნიშნის ურთიერთგავლენა ანდიურ ენებშიც იჩენს თავს. კერძოდ, ახვასურ ენაში ხმოვანფუძიანი ზმნების ბოლოკილური ხმოვანი ერწყმის თემის ნიშნისეულ (ზოგი სპეციალისტის² მიხედვით - სუფიქსისეულ) ხმოვანს და ვიღებთ გრძელ სახეობას, მაგ.: ჩა-ორ-ულა > ჩრ-რ-ულა „რეცხვა“, ჭა-ორ-ულა > ჭრ-რ-ულა „დაწვა“ და მისთ.

ყურადღებას იქცევს ინფინიტივის ხუნძური ფორმები, რომელთა საწარმოებელ სუფიქსების არქეტიპებად აღადგენენ: ა) -დე > -ძე > -ზე [ჩიქობავა 1937 : ..]; ბ) დ > ზ, დ > რ > ლ [გუდავა 1959 : 39];

გ) -წი > -წხე 

დ) -ღი > -ღხე 

ე) -დე > -ზე [მაჰომედბეკოვა 255-263].

¹ შდრ. ანდ. ბუყ-ე 1. „ჭრის“, 2. „გაჭრის“...
² ზ. მაჰომედბეკოვა ინფინიტივის ფორმებში -რულა, -წულა დაბოლოების წინ მდგომ ხმოვანს სუფიქსისეულად მიიჩნევს [მაჰომედბეკოვა 1967 : 92]. სინამდვილეში იგი თემის ნიშნისეული ჩანს, შდრ. ანდ. ბიჩა-იდ-უ („დაჭერა“), რომელშიც -იდ თემის ნიშანია, ხოლო -უ- ინფინიტივის ნიშანი [ცერცვაძე 1965 : 231].

ზემოწარმოვსენილი ყველა ნიშანი უშუალოდ დაერთვის თემატურხმოვნთან ფუძეს და აწარმოებს ინფინიტიურ ფორმებს. ამასთანავე, ინფინიტივთა ამგვარი სეგმენტაცია, აღწერითი ანალიზის თვალსაზრისით, შეიძლება გამართლებულიც იყოს, თუმცა ისტორიულ-შედარებითი ანალიზის პოზიციიდან არ ასახავს რეალურ ვითარებას. კერძოდ, ინფინიტივის საწარმოებელ სუფიქსებად მოაზრებული **-ზე** (<**-დე**) და **-ნე** თავისი აგებულებით რთულია: **-ზ** (<**-დ**), **-ნ** თემატური ნიშნის უშუალო შემადგენელია, ხოლო **-ე** საკუთრივ ინფინიტივის ნიშანი. სქემატურად:



აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ რიგის **ზ**-სა და **ნ**-ს ტ. გუდავა მართებულად განიხილავს თემატურ ნიშნებად, რომლებიც “... оторвались от основы и слились с суффиксами спряжения” [გუდავა 1959 : 38]. ყოველ შემთხვევაში ანდიურ ენათა მონაცემები ამის თქმის საფუძველს იძლევა. კერძოდ, ანდიურ ენაში აწმყო ზოგადი იწარმოება **-ო** ნიშნით, რომელიც ზუსტი კანონზომიერი შესატყვისია ხუნძურსა და სხვა ანდიურ ენებში თავჩენილი **-ა** ნიშნისა, მაგ.: ხუნძ. ყოტ-ულ-ა (<*ყ-ოდ-ულ-ა <*ბუ-ყ-ოდ-ულ-ა), შდრ. ანდ. ბუ-ყ-იდ-ო, ახვ. ბუ-ყ-ირ-ა (რატლ.), ბუ-ყ-ირ-ი (ჩრდ. ახვ.), ბავვ. ბუ-ყ-უდ-ა (<ბუ-ყ-უ-იდ-ა) “ჭრის”, “გაჭრის”; ხუნძ. ბე-ტე-ულ-ა, შდრ. ანდ. ბე-ტე-იდ-ო, კარ. ბე-ტე-იდ-ა, ახვ. ბე-ტე-ირ-ი (<რატლ. ბე-ტე-ირ-ა “id.”) „ხნავს“ და მისთ. მამასადამე, იგულისხმება, რომ ხუნძურ-ანდიურ ენებში ცალკეულ ნაკვთთა მეორეული ფუძე (resp. თემა) ნაწარმოები ჩანს, არა ოდენხმოვნის თემატური **-ა**, **-უ**, **-ო** ნიშნებით, არამედ **-VC** სტრუქტურის ნიშნებით: **-ად**>**-არ**>**-ალ**, **-უდ**>**ურ**>**-ულ**, **-ოდ**>**ორ**>**-ოლ**.

რაც შეეხება ინფინიტივის საწარმოებელ სუფიქსს, იგი ოდენხმოვნის უნდა იყოს: **-ე**>**-ი**. ე-ს დავიწროებისაკენ მიდრეკილებას ჟ. დიუმეზილი საგანგებოდ აღნიშნავს: „ხუნძურს „ინფინიტივის“ ორი სუფიქსი აქვს **-ზე**, **-ნე**. ე-ს ისეთი დახურული ბგერაა, რომ ზოგჯერ ისმის **-ი**“ [დიუმეზილი 2015 : 134]. მის წინ მდგარი **-ზ** (<**-დ**) და **-ნ** დიაქრონიულ ჭრილში თემატური ნიშნის კუთვნილება ჩანს. თავად ინფინიტივის სუფიქსი გენეზისურად მიცემითი ბრუნვის ნიშანს უკავშირდება როგორც ხუნძურ-ანდიურ ენათა მორფოლოგიაში, ისე დილოურ ენათა მორფოლოგიაშიც [ფანჩვიძე 1942 : 397-403; ბოკარევი 1959 : 282;

ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 301; იმნაიშვილი 1963 : 165; მაჰომედბეკოვა 1988 : 269-274; ლომთაძე 2000 : 12-13...]. სქემატურად:

	ინფინიტივი (სუპინიმი)	მიცემითი ბრუნვა
ხუნძ	-(ზ)ე/-(ნ)ე	-ე
ანდ.	-უ (< -ლ'უ?)	-(ლ')უ
ბოთლ.	-ი	-ი/>ღ
ახვ.	-ლ'ა	ლ'ა
კარ.	-ლ'ა(< *-ლ'ა)	ლ'ა
ტინდ.	-ლ'ა	ლ'ა
საკ. ღიდ.	-(ნი)-რ	-რ
ჰინ.	-ზ(>-ე)	-ზ
ხვარშ.	-ა (< *-ა-ლ)	-ლ
ბეუ.	-ა-ლ	-ლ

ზემომოყვანილი სქემა თვალნათლივ გვიჩვენებს იმ გენეზისურ კავშირს, რომელიც მიცემითი ბრუნვის ნიშნებსა და ინფინიტივის ფორმანტებს შორის ისტორიულად უნდა გვქონოდა.

2. 4. ზმნის ფლექსიურ და ლერივაციულ კატეგორიების ნიშანთა რეკონსტრუქცია

1) ფლექსიური კატეგორიები. ა) კაუზატივი. ლერივაციული კატეგორიებიდან ყურადღებას იქცევს კაუზატივი, რომლის წარმოება ხუნძურში აღწერთია [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 339-340; მაჰომედბეკოვა 1978 : 235-236..]. რაც შეეხება ანღურ ენებს, ამ ენებში კაუზატივის ორგანულ ფორმათა საწარმოებლად

გამოიყენება: -ოლ (საკ. ანდ.), -ალ (დანარჩ. ანდ. ენები). ბოთლიხურსა და ახვასურში სათანადო ფორმანტი გამარტივებული ჩანს (-ა<* -ალ). ბუნებრივია, I უღვლილების ზმნათა კაუზატიური ფორმების სუფიქსად რეკონსტრუირდება -*ალ (საკ. ანდ. -ო : -ა სხვ. ენები კანონზომერია). II უღვლილების ზმნათათვის შეიძლება აღვადგინოთ -*ან [შდრ. ალექსევი 1988 : 120].

2) **ღერივაციული კატეგორიები.** ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნამყო სრულის ფორმათა ფონემატური სტრუქტურა დიდად არ განსხვავდება დანარჩენ დროთა სათანადო სტრუქტურისაგან. სემანტიკურ სხვაობას აორისტის სუფიქსი და ხშირად მის წინ მდგომი თემატური ხმოვანი გვიჩვენებენ. ხუნძურში თემატური ხმოვნები (-ა-, -უ-) მიკუთვნებულია აორისტის დაბოლოებას (-ნა) და მთლიანობაში გააზრებულია ნამყო ძირითადის ფორმანტებად [ჩიქოვაძე, ცერცვაძე 1962 : 257; გულავა 1978 : 223; მალაევა 2007 : 101].

ამგვარი სეგმენტაცია მთლად მართებული არ ჩანს, ვინაიდან თემატური ხმოვანი თემას აფორმებს (იგივე ხმოვნები -ა-, -უ- აწმყოშიც გამოვლინდება - sic!), ხოლო საკუთრივ -ნა სუფიქსს აორისტის წარმოება ეკისრება, მაგ.: ბოს-ა-ნა „აილო“, „იყიდა“, ბექ-ა-ნა „დაანთო“, კანწ-ა-ნა „გადახტა“, ჭამ-უ-ნა „დაღეჭა“, ვამ-უ-ნა „მოიტაცა“, ჰაბ-უ-ნა „გააკეთა“, ვუა-ნა „დაწერა“ და მრავალი სხვა.

ხუნძური ენის დიალექტებში ნამყო სრულის ძირითადი სუფიქსი -ნა შეიძლება შემდეგნაირად შეიცვალოს, მაგ.: ყარახ. -ნ (<-ნა), ჰიდ. ⁶ (-ნ<-ნა), ანწ., ჭარ. Ø. მეტად საინტერესოა ანწუხურისა და ჭარული დიალექტების ვითარება, რომლებშიც ნამყო სრულის ფორმანტი დაკარგულია¹ და მის ფუნქციას ნულოვანი მორფემა ასრულებს, მაგ.: ბოს-ა (შდრ. ბოს-ა-ნა „id.“) „აილო“, ჭარ. ჰა-ა (შდრ. ხვ-ა-ნა „id.“) „მოკვდა“, ჭარ. რეკა-ა (შდრ. რეტ-ა-ნა „id.“) „ჩაიცვია“, ბოყ-ა (შდრ. ბუკ-ა-ნა) „იყო“, ბექ-ა (შდრ. ბექ-ა-ნა „id.“) „გატენა“, „გატყდა“ და მისთ.

სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ აორისტის საწარმოებელი სუფიქსებიდან არქეტიპებს წარმოადგენენ -რი (ანწ., ჭარ.) -რ (ბაწად. თქმ.), -რა- (ჩრდ. ხუნძ.) [ალექსევი 1988 : 49; მალაევა 2007 : 105].

საგულისხმოა, რომ ყარახული კილოკავის ბაწადურ თქმაში დასტურდება -რ სუფიქსიანი აორისტის ფორმები, მაგ.: თ-ა-რ „დატოვა“, ბექ-უ-რ „მოგვევლინა“, ბუყ-უ-რ „შეკერა“, ბალაჰ-უ-რ „შეხედა“ და მისთ.

¹ ეს საკითხი შეიძლება სხვაგვარადაც დაისვას: ანწუხურ და ჭარულ დიალექტებში აორისტის ნიშნად არქეტიპი -ა დაცულია, ხოლო სხვა დიალექტებში ინოვაცია გვაქვს.

ვფიქრობთ, რომ ხუნძური აორისტის **-რი (>-რ)** სუფიქსი პარალელს პოულობს ახვასური ენის აორისტის **-რი** დაბოლოებასთან, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს [ალექსეევი 1988: 132]. სხვა ანდიურ ენებს ნამყო სრულის ნიშნად განსხვავებული სუფიქსები მოეპოვება.

სქემის სახით, ანდიურ ენათა აორისტის სუფიქსები ასე გამოიხატება:

ენა	I უღვლილება	II უღვლილება
ანდიური	-ი, -ა	-ინ, -ან
ბოთლიხური	-უ, -ა	-
ლოდობერიული	-ი, -ა	-ი, -ა
ჭამალური	-ო, -ა	-ო, -ა
ტინდიური	-ო	-ო
ბაგვალური	-ი, -ა	-ი, -ა
კარატაული	-ე, -ა	-ე, -ა
ახვასური	-(ე)რი, -(ა)რი	-(ე)ნი, -(ა)ნი

როგორც ზემომოყვანილი სქემა ცხადყოფს, ანდიურ ენათა სინამდვილეში ხმონური სუფიქსებისთვის არქეტიპად შეიძლება **-ა**-ს მიჩნევა, რაზედაც სპეციალურ ლიტერატურაშიც არის ყურადღება გამახვილებული [დიუმეზილი 2015 : 137; მალაევა 2007 : 109].

რაც შეეხება ხუნძურისა და ახვასური ენების **-რი (>-რ)** მონაცემს, იგი უნდა უკავშირდებოდეს საკუთრივ დიდურსა და ჰინუხურ ენებში თავჩენილ ნამყო დროის მიმღობათა **-რუ** სუფიქსს. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი მონაცემი პარალელს პოულობს ხვარშიული ენის ინხოყვარულ დიალექტსა და დიდური ენის საჰალურ დიალექტში გამოვლენილ ნამყო განსაზღვრულის სათანადო სუფიქსებთან: **-ი, -ი (<-*რი <*დი)** [იმნაიშვილი 1963 : 184; არლოტელი 2009 : 42-46]. არ არის გამორიცხული ხუნძური ენის დიალექტებში თავჩენილი აორისტის ნიშანი **-რი/-რ** და ნამყო დროის მიმღობების ფორმანტში **(-რ-ა-ბ)**

შემავალი რ გენეზისურად ერთმანეთს უკავშირდებოდეს [ლიუმეზილი 2015 : 138; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 307-308]. ამგვარი ჰიპოთეზის საფუძვლიანობას, მიმდებარის ფორმათა წარმოების გარდა, ერთგვარად ის გარემოებაც განამტკიცებს, რომ ახლომონათესავე დილოური ენების ნამყო დროის მიმდებარის ფორმებში დაჩნდება ანალოგიური ფუნქციის ფორმანტი -რ-უ. ამ სუფიქსის თანხმონითი ელემენტი რ გარკვეული ალბათობით შეიძლება უკავშირდებოდეს ხვარშიული ენისა და საჰალური დიალექტის რეკონსტრუირებულ -რი>ი (ხვარშ.)>ი(საჰ.). თუ ამგვარი დაშვება ისტორიულ სინამდვილეს ასახავს, მაშინ დაპირისპირება პირველსა და მეორე უღვლილებას შორის აორისტის წარმოებაშიც გვექნება. კერძოდ, I უღვლილება რ-ს რელიქტურად გამოავლენს, ხოლო II უღვლილების ნ ამჟამად გაბატონებულია I უღვლილების ზმნებთანაც.¹

ბ) აწმყო დრო. როგორც ცნობილია, საკვლევე ენებში აწმყო ორგვარია: ა) ზოგადი და ბ) კონკრეტული. ზოგადი აწმყო გადმოსცემს საგნისა ან მოვლენისათვის საერთოდ დამახასიათებელ მოქმედებას (ამიტომ მას ხშირად მყოფადის გაგებაც აქვს), ხოლო აწმყო კონკრეტული კი - საუბრის მომენტში მიმდინარე მოქმედებას და მეტწილად აღწერითად (ბაზისური ზმნა+მეშველზმნა) ოწარმოება. აწმყო ზოგადი, აწმყო კონკრეტული საგან განსხვავებით, ორგანულად იწარმოება, რაც ერთგვარად მის არქაულობაზეც მიგვანიშნებს. გარდა ამისა, ამგვარი ფუნქციურ-სემანტიკური თანხვედრით ჩანს შეპირობებული საკვლევე ენებში აწმყოსა და მყოფადის ფორმათა არაიშვიათი ისტორიული მონაცვლეობა. ტ. გუდავა წერს: „... ის, რაც ამჟამად ზოგადი აწმყოს მნიშვნელობითაა ნახმარი, წარმოშობით მყოფადი შეიძლება ყოფილიყო და, პირიქით, შესაძლებელია ზოგ ენაში ახლანდელი მყოფადის ფორმა ისტორიულად ზოგად აწმყო აღმოჩნდეს“ [გუდავა 1978 : 215]. ამჟამად ხუნძურ ენაში აწმყო ზოგადი² -VCV სტრუქტურის სუფიქსით³ იწარმოება. სათანადო ნაკვთთა მიხედვით ხმოვანცვალებადი სუფიქსი (ამწყ. ზოგად. – -ულა/-ინა; მყოფ. -ილა/-ინა, ნამყ. -ანა), ერთი მხრივ, აღწერითი, მეორე მხრივ კი, ისტორიულ-შედარებითი ანალიზისას სხვადასხვაგვარად დაიყოფა. კერძოდ, აწმყო ზოგადის ამჟამინდელ სუფიქსში -ულა ნ. ტრუბეტკოი უ-ს ცალკე გამოყოფს (-უ-ლა) და მას თემატურ ხმოვანს უწოდებს [ტრუბეტკოი 1987 : 324-325]. სწორედ ეს სუფიქსი ისტორიული

¹ თუ, რა თქმა უნდა, აორისტის ფორმანტი -ნა სხვა გენეზისისა არ არის [იხ. ასელდეროვა 2010 : 98].

² მ. ალექსეევი ამ გრამატიკულ ტერმინს („აწმყო ზოგადი“) არამართებულად იწუნებს (შდრ. მიქაილოვი 1959 : 105; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 254; მალაევა 2007 : 116) და ამ დროის ფორმათა სემანტიკისასაც არაადეკვატურად ახდენს. [ალექსეევი 1988 : 45].

³ ხუნძურის დროულ ფორმათა ნიშნების შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისებია გამოთქმული სპეციალურ ლიტერატურაში [იხ. ასელდეროვა 2010 : 95-100].

ინტერპრეტაციით -VC სტრუქტურისა (-ულ, -უნ...) გამოდის, რაც ანდიურ ენათა სინამდვილეში თავჩენილ იმავე წარმომავლობის სუფიქსის (მაგ., ახვ. -ირი,-ირა, -ინი/-ინა) შემადგენლობაში შემავალ -VC სტრუქტურის თემატურ ნიშანს (-ირ, -ინ) ეტოლება. რაც შეეხება ბოლოკიდურ ა ხმოვანს, რომელიც ზოგად მყოფადშიც მეორდება, იგი უნდა იყოს აწმყო-მყოფადის ისტორიული ნიშანი. ამ მოსაზრების ნათელი ილუსტრაციაა ხმოვანთშესატყვისობა, რომელიც ხუნძურ და ანდიურ ენებს შორის ამ ხმოვანსუფიქსში დასტურდება, მაგ.: ხუნძ. ყოტ-ულ-ა (*ბა-ყოტ-ულ-ა): ანდ. ბუ-ყ-იდ-ო „ჭრის“, ხუნძ. ბიც-უნ-ა : ანდ. ბას-ინ-ნ-ო „მოგვითხრობს“, ხუნძ. ვ-ოლ-ა (*ბა-ვ-ოლ-ა) : ანდ. ბი- ვ-ულ-ო (<*ბი-ვუ-იდ-ო) „დაკლავს“ და მისთ.

ისმის კითხვა: რა მიმართება არსებობს ხუნძ. ლ-ს და ანდიურ ენათა სათანადო ანდ. დ, რ, ა ფორმანტისეულ თანხმოვანთა შორის?

ცნობილია, რომ ხუნძური ენის სამხრულ დიალექტებში აწმყო ზოგადის ნიშანი, სალიტერატურო ენის სათანადო ნიშნის თანხმონითი ელემენტის ლ-სგან განსხვავებით, ნ-ს გამოავლენს, რომელსაც შ. მიქაილოვი ლ-ს ფონეტიკურ ვარიანტად არ მიიჩნევს [შდრ. მალაევა 2007 : 118]. ავტორი აწმყო ზოგადის ფორმას აწმყოს რთულ ფორმებს უკავშირებს [მიქაილოვი 1964 : 94-95].

აღსანიშნავია, რომ მ. ალექსეევი მოჰყავს აწმყო ზოგადის საწარმოებელი სუფიქსები -ლა, -ულა, -უნა და იქვე ასკვნის: „Как уже говорилось, варианты аффикса наст. времени могут быть сведены к *-ла“ [ალექსეევი 1988 : 45].

ზ. მალაევა თავის მონოგრაფიაში გამოთქვამს მცდარ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „Форманты -л- и -ол-, как уже говорились выше, носят вторичный характер и восходят к *-ул, который может рассматриваться как исторический формант настоящего общего времени аварского языка“ [Маллаева 2007 :117].

ზემომოყვანილ მოსაზრებათაგან არც ერთი არ ჩანს ბოლომდე თანმიმდევრული, რადგანაც შესაბამის ახლო მონათესავე ენათა ჩვენებებით გამყარებული არგუმენტაცია არ არის წარმოდგენილი. მართალია, მ. ალექსეევი სწორია იმ ნაწილში, რომელიც ჩრდილოურ დიალექტებში არქეტიპების შენარჩუნებას ეხება, ხოლო სამხრულ დიალექტებში აწმყო ზოგადის ფორმათა უნიფიკაციას ემხრობა [ალექსეევი 1988 : 46; შდრ. მალაევა 2007 : 118-119].

ჩვენი შეხედულებით, ისტორიულად ხუნძური ენის როგორც ჩრდილოურ, ისე სამხრულ დიალექტებში მოგვეპოვებოდა I და II უღვლილების მიხედვით დიფერენცირებული დრო-კილოთა ფორმების მწყობრი

სისტემა. ამჟამად დადასტურებული აწმყო ზოგადის ფორმათა ჭრელი სურათი ისტორიულად რეალიზებული სხვადასხვაგვარი მორფონოლოგიური ცვლილებების შედეგი ჩანს, კერძოდ, რ>ლ გარდაქმნა უცხო არ უნდა ყოფილიყო ხუნძურისთვის, რაც რეალურად განხორციელებულია და ცნობილიც სპეციალური ლიტერატურაში [მიქაილოვი 1958 : 110-111; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 92; არლოტელი 2009 : 140-143...].

უნდა ვივარაუდოთ, რომ პროტოხუნძურში განხორციელდა თემატური სუფიქსის გარდაქმნა ღროთა საწარმოებელ ფორმანტად. ეს შეიძლება ასე რეალიზებულიყო: ფუძ. ვუკარ-: აწმყ. ზოგად. *ვუკ-არ-ა>*ვუკ-არა>ვუკ-ალა „ხერხავს.“ თუ ამჟამინდელი ერთიანი სუფიქსის ოდენ წინამავალ ხმოვანს მივიჩნევთ თემის ნიშნად, მაშინ გაუგებარი იქნება მისი მომდევნო ლ(<*რ<*ლ) და ნ თანხმოვანთა ისტორიული ფუნქცია. სავარაუდოა, რომ ხუნძური ენის სამხრულ დიალექტებში უნიფიკაციის საფუძველზე II უღვლილების ნ გაბატონდა და ორივე ტიპის ზმნათა უღვლილების მიხედვით განსხვავება, ბოთლიხურის ანალოგიურად, ამჟამად ელიმინირებულია.

რაც შეეხება ანდიურ ენათა ჩვენებას, მოვიყვანთ აწმყო ზოგადის ფორმათა დაბოლოების ტ. გულავასეულ სქემას [გულავა 1978 : 229], რომელიც საანალიზო ზმნური ღროის ამჟამინდელ წარმოებას ეფუძვნება:

I უღვლილება		II უღვლილება
ანდ.	-იდ-ო	-ინდ-ო
ლოდ.	-ილა	-ინლა
ჭამ.	-ილა	-ინლა
ბაგვ.	-ილა (-ირა, -იდა)	-ინა
კარ.	-ილა (-ირა)	-ინლა
ახვ.	-ირა (-ირი, -ი)	-ინა (-ინი, -ი ^ნ)
ტინდ.	-ა (-ე)	-ა ^ნ (-ე ^ნ)
ბოთლ.	-ე	

როგორც ზემომოყვანილი სქემიდანაც თვალნათლივ ჩანს, ანდიურ ენათა II უღვლილებაში -დ (* <-იდ) თემატური ნიშნის გაბატონების ტენდენცია თვალსაჩინოა, რაც ხუნძური ენის სამხრულ კილოებში მოქმედი ტენდენციის -ნ(<*-Vნ) ნიშნის უნიფიკაციის საპირისპიროა.

ტ. გუდავას მახვილგონივრული მოსაზრებით, „მასალობრივ ანდიურ ენათა მონაცემებში ისტორიულად მყარდება სრული შესაბამისობა: აწმყომი ზმნის ფუძეს ერთვის თემის ნიშანი და ხმოვნითი ა, რომელიც საკუთრივ აწმყოს ნიშანი ჩანს: -ილ-ა, ინ-და“ [გუდავა 1978 : 229].

როგორც მ. ალექსეევის მსჯელობიდან ირკვევა, ცნობილი მკვლევარი არ იცნობს, ან არ ითვალისწინებს ტ. გუდავას ზემოლამოწმებულ წერილს, რომელშიც ამომწურავად და საფუძლიანად არის გაანალიზებული ზოგადი აწმყოს ფუძის წარმოების თავისებურებანი და საწარმოებელი სუფიქსის გენეზისი [გუდავა 1978 : 214-234; შლრ ალექსეევი 1988 : 109-110].

მაშასადამე, ანდიურ ენათა მონაცემების შედარების საფუძველზე სავსებით შესაძლებელია აწმყო ზოგადის ისტორიულ ნიშნად -ა-ს რეკონსტრუირება. ამგვარად აღდგენა გამართლებულია ხმოვანთშესატყვისობის თვალსაზრისითაც: ხუნძ. ა : საკ. ანდ. ო¹: ბაგვ. , კარ., ახვ... -ა.

როგორც არ უნდა აიხსნას ბოთლიხურის მონაცემი ა (ა>ე - დავიწროებით თუ ია>ე შერწყმით), ერთი რამ ფაქტია - ე მომდინარეობს ა-სგან, რაზედაც ტინდიურ კილოკავთა მონაცემები მიგვითითებენ, შლრ. ერთი მხრივ, საკ. ტინდ. -ა (I უღვლ.), -ა⁵ (II უღვლ.), მეორე მხრივ, აქნ.-ანდ. -ე (I უღვლ.), -ე⁶ (II უღვლ.).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხუნძურ-ანდიურ ქრონოლოგიურ დონეზე ზოგადი აწმყოს ნიშნად რეკონსტრუირდება * -ა.

გ) მყოფადი. ზემოთ აღინიშნა, რომ ზოგადი აწმყოსა და მყოფადის შენაცვლების ან იდენტურობის შესაძლებლობა, რაც მათ ფუნქციურ-სემანტიკურ სიახლოვეს ემყარება, არაიშვიათად რეალიზებულია საკვლევე ენათა სინამდვილეში. მაგალითისთვის შესაძლებელია დავასახელოთ ჭამალურ და ბაგვალურ ენათა ვითარება, რომლებშიც, ტ. გუდავას მართებული მოსაზრებით, ზოგადი (განუსახლვრელი) მყოფადი ისტორიული აწმყო ზოგადია [გუდავა 1978 : 226-227].

მ. ალექსეევი უფრო მეტად მხარს უჭერს საერთო-ანდიური მყოფადის ნიშნად -სა-ს რეკონსტრუქციას [ალექსეევი 1988: 110], თუმცა ნ. ტრუბეცკოს თვალსაზრისით, „Поэтому невозможно отделить эти формы (формы бдущего времени - Н. А.) от инфинитивов на -s и с вязки е ... Что касается происхождения инфинитивов на -s, то ясно, что это формы древнего дательного

¹ ე. დიუმევილის აზრით, ანდ. -ო უკავშირდება -ჭა-ს ან -უ-ს, რისი გაზიარებაც ჭირს [დიუმევილი 2015 : 144].

подежа” [ტრუბეცკოი 1987 : 328]. საგულისხმოა, ამგვარად ნავარაუდები ფორმები ანლიურ ენებში რეალურად დასტურდება: ლოდ. ბილ’ინ-საუ (ბილ’-ინ „ხარშვა“ + საუ) „მოვხარშავ“, ხუდი-საუ (ხუდი „დალვა“ + საუ) „დავლევ“..., კარ. ბილ-ასა (<ბილ-ლ’ა-ასა „გახლომა“, „გადაქცევა“) „გახლება“, წაალ-ასა (<წაალ-ლ’ა-ასა „კითხვა“) „წაიკითხავს“...

ბავგალურ ენაში ტ. გუდავა ადასტურებს -ასა სუფიქსდართულ ფორმებს, რომელთაც აუცილებლობითი მყოფადის ფუნქცია მოეპოვება [გუდავა 1971 : 132]. ამგვარ ფორმებს -ასა (-ანს) სუფიქსი დაერთვის (თუ ინფინიტივის ნიშანი, კარატაულის ანალოგიურად, დაკარგული არ არის) უშუალოდ ზმნის მარტივ ფუძეს, მაგ.: ყან-ასა „შეჭამს“, ვილ-ასა „გაჩერდება“, ბას-ანსა „უამბობს“ და მისთ.

უნდა აღინიშნოს, რომ სა სიბილნტის შემცველი აფიქსი (-საუ, -ასა, -ანსა ...) ატრიბუტივებიდან ნასესხები უნდა იყოს, რაც დიდი ენათა მორფოლოგიაშიც დაჩნდება, ე.ი. ამგვარი ფორმები მიმლეობური წარმომავლობისა ჩანს. ამის გათვალისწინებით, საერთო ანლიურში სავარაუდებელია -იდა სუფიქსის რეკონსტრუქცია, თუმცა ეს სუფიქსი და მისი ვარიანტები არ დასტურდება ყველა ანლიურ ენაში, არამედ თავს იჩენს მარტოოდენ საკუთრივ ანლიურში (ბეტილ-იდა „მონავს“, ილ-იდა „გაკეთებს“...), ბავგალურში (იჰ-იდა „გაკეთებს“, ბიჰ-იდა „მოკვდება“...) და -იჰა ახვასურში (ბეყ’უ-ჰა „მოვა“ მრ. რ. რეყ’უ-რ-იჰა, გუ-ჰა „გაკეთებს - მრ. რ. გუ-რ-იჰა...).

სხვა ანლიურ ენებში მყოფადი დრო, სა-ს შემცველი სუფიქსის გარდა, იწარმოება მეშველზმნის ილა>- და (არის“) საშუალებით, მაგ.: ლოდ. ბერახილ’იბუ ილა>// ბერახილ’იბუ-და „დაწვება“, იხუნლ’იბუ-და „შევიძლება“..., კარ. ვჰარალ’ა ილა „დაწერს“, წარალ’ა ილა „წაიკითხავს“...; ჭამ. იჰ-ილა „გაკეთდება“, ბიჰ-ილა „მოკვდება“, ჰალ-და „დაუძახებს“, ბავ-უნნა (<*ბავჰ-ინ-და) „ამოთხრის“ და მისთ.

ჩვენი აზრით, -დ თანხმონის შემცველი სუფიქსები მეშველზმნას (ილა „არის“) უნდა უკავშირდებოდეს. ამგვარივე გენეზისისა ჩანს ბოთლიხურში დადასტურებული -იკაბ (>მიარს. -იგო<*-იგა-ჰ „მყოფი“) იმ განსხვავებით, რომ ნამყო დროის მიმლეობას უთანაბრებენ [იხ. გუდავა 1962 : 112]. შესაძლებლად გვესახება საკუთრივ ანლიურში, ბავგალურსა და ახვასურში წარმოდგენილი -იდა, -ირა, -იჰა (თუ ანხმონითი ელემენტი ოდინდელ კლასიფიკატორს არ უკავშირდება) მეშველზმნას დავუკავშიროთ [დროულ ფორმათა უარყოფითი კატეგორიის შესახებ იხ. ალექსევი 1988 : 118-229].

ზმნის ლერივაციული და ფლექსიური კატეგორიების რეკონსტრუქცია დილოურ ენებში

2. 5. **ზმნური ფუძის სტრუქტურა.** დილოურ ენათა ზმნა სტრუქტურულად არსებითად არ განსხვავდება ხუნძურ-ანდიურ ენათა ზმნის სტრუქტურისაგან, ამიტომ ამ უკანასკნელ ენათა ზმნის შესახებ ჩატარებული ანალიზი დილოურ ენათა ზმნის სტრუქტურაზე (კლასის ექსპონენტები თანხმლები ხმოვნითურთ, დეტერმინანტი) ვრცელდება. მიუხედავად ამ ორ მონათესავე ენათა ჯგუფების სიახლოვისა, თავს იჩენს ზოგიერთი საკითხი, რომლებიც დამატებით სიღრმისეულ ანალიზს საჭიროებენ. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია: ა) ფუძისა და თემატურ ხმოვანთა (resp. მორფეთა) საკითხი; ბ) I და II ტიპის უღვლილების ზმნათა კორელაცია, რომელიც ხუნძურ-ანდიურ ენებში ესოდენ ხელსესახებად არის წარმოდგენილი.

თავდაპირველად დილოურ ენებში თანხმოვანფუძიანი (resp. ერთფუძიანი) და ხმოვანფუძიანი (resp. ორფუძიანი) უღვლილების ზმნები გამიჯნა დ. იმნაიშვილმა, რომელიც ემყარებოდა აწმყო კონკრეტულის, ნამყო განსაზღვრულისა და ნამყო განუსაზღვრელის ფორმათა ჩვენებას [იმნაიშვილი 1956 : 415-416; 1963 : 165-168; შდრ. ალექსევი 1988 :152]. საგულისხმოა, რომ ე. ლომთაძე და ე. ბოკარევი ერთდროულად მივიდნენ იმ აზრამდე, რომ დილოურ ენებში შეიძლება გამოყოფილიყო ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი უღვლილება [ლომთაძე 1959 : 13-14; 2000 : 149-160; ბოკარევი 1959 : 281]. ე. ლომთაძე, რომელიც ზმნის საუღვლებელი ფუძის სტრუქტურას აწმყო კონკრეტულისა და ნამყო ძირითადის მიხედვით ადგენს, ისტორიულად დილოურ ენებში ოდენ ბოლოხმოვანი ზმნების ტიპს ვარაუდობს [ლომთაძე 2000 : 160]. კერძოდ, ამჟამინდელი თანხმოვანფუძიანი ზმნები წარმომავლობით ი ხმოვანმოკვეცილ ზმნებს წარმოადგენენ. სქემატურად:

აწმყო კონკრეტული	ნამყო ძირითადი
საკ.დიდ. ნელ'-ხო „მადლევის“	ნელ'-სი (<ნელ'ი-სი) „მომცა“
	ნელ'ი-ფ (<*ნელ'ი-ი)
ჰინ. ნელ'-ო (<ნელ'-ჰო)	ნელ'ი-შ
ხვარშ. ილ'ლ'-ო (<*ილ'-ჰო)	ილ'-ა (<*ი-ფ-ლ'-ა<*ილ'-ი-ა)
ინხ. ილ'-ე (<//ილ'-შე)	ილ'-ი
ბეჟ. ნილ'-ცა	ნილ'ი-რო (ბეჟ. ნილ'ი-ფო)

როგორც ზემომოყვანილი სქემიდან ჩანს, აწმყო კონკრეტული თანხმოდანზე დასრულებულ ფუძეს ემყარება, ხოლო ნამყო ძირითადი – ი ხმოდანზე დასრულებულ ფუძეს. ე. ლომთადის თვალსაზრისით, აწმყო კონკრეტულში ფუძისეული ი, ე, გ ხმოდანები დაკარგული ჩანს. ამას მიგვანიშნებს აბსოლუტივისა (ილ'ი-ნ „მაძღვეს რა“..) და კაუზატივის (ილ'ი-ხ-შე „მაძღვენიებს“..) ფორმები, რომლებშიც აღდგება აწმყო კონკრეტულში გაუჩინარებული ფუძისეული ი [ლომთაძე 1959 : 16]. რაც შეეხება ე. ბოკარევის, იგი ზმნურ ფუძეთა სახეობებზე მსჯელობისას ზოგადი ფორმულირებით იფარგლება: „Для всех цезских языков в большей или меньшей степени характерно наличие двух видов глагольной основы – окончанием на гласный и на согласный“ [ბოკარევი 1959 : 281].

ცალკეულ დიდურ ენათა აღწერისას ე. ბოკარევი თანხმოდანფუძიან ზმნებში ფუძისეულ ხმოდანებს აორისტიის ნიშანს განაკუთვნიებს¹ [ბოკარევი 1959 : 49; 103; 207-209...]. ყოველივე ამით ჩნას გამოწვეული ის ფაქტი, რომ გ. მაღიევა ბეჟიტურ კოლოკაცში ზმნის ძირითად ფორმათა ხუთ სახეობას გამოყოფს [ბოკარევი 1959: 108; შდრ. მაღიევა 1965: 122; იხ. ალექსეევი 1988: 151-152].

მართებული ჩანს ე. ლომთაძის მოსაზრება: „რაც შეეხება მეორე ტიპის (თანხმოდანფუძიანი ზმნების - ნ.ა.) უღვლილებას. ის ... წარმოადგენს ზმნათა ფუძეების ბოლოში ი ხმოდანის მოკვეციის შედეგს. ამიტომაც ახლა ზმნათა ფუძეები აწ. კონკრეტულში არ ბოლოვდებიან ი-ზე და არც მისგან მომდინარე გ-ზე“ [ლომთაძე 2000 : 160].

ჩვენი აზრით, თავისთავად ის ფაქტი, რომ ბეჟიტურ ენაში აწმყო კონკრეტულის ფუძე ბოლოვდება ყველა ორალური ხმოდანით, გარდა ი(>ე) ხმოდანისა, მიგვანიშნებს ხმოდანთა დისტრიბუციაზე I და II ტიპის ზმნათა შორის. ცხადია, როცა ხმოდანფუძიანი ზმნები აწმყო კონკრეტულში ბოლოვდებიან ა (კიშა-ჩ თამაშობს“...), ე (Øეჩე-ჩ „დგას“..), ო (ბოლ'ო-ც „ამთავრებს“...), უ (ნუწუ-ჩ „უნდა“...) ხმოდანებზე, ხოლო თანხმოდანფუძიანი ზმნები ნამყო ძირითადში – ი (ი>ე, ი>გ) ხმოდანზე, მაშინ გარკვეული კანონზომიერება იკვეთება. კერძოდ, ხმოდანფუძიან და თანხმოდანფუძიან ზმნათა ფუძეების წარმოების სიმეტრიულობა

¹ სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ე. ბოკარევი ხმოდანფუძიან ზმნათა ბოლოვიდურ ხმოდანებს (ა, ე, ი, ო, უ), რომლებიც ფუძეს ძირისაგან განარჩევენ, დეტერმინანტებად მიიჩნევს [ბოკარევი 1959 : 97-98].

მულავენდება ზემონახსენები დამატებითი დისტრიბუციით და თანხმოდანფუძან ზმნათა აწმყოში ი ხმოვნის დაკარგვის ვარაუდი მტკიცების ძალას იძენს.

კითხვა ისმის: რას შეიძლება გამოეწვია ფუძისეული ხმოვნის მოკვეცა?

როგორც ირკვევა, აწმყო კონკრეტულის ფუძისეული ი უმახვილო იყო, ვინაიდან მახვილი წინა მარცვლის ხმოვანს მოუდიოდა. სწორედ ამ მიზეზით ჩანს გაუჩინარებული ეს ხმოვანი [ლომთაძერ 1984: 59].

არაიშვიათად შეინიშნება ისეთი რელიქტური მაგალითები, რომლებიც სხვა დილოურ ენათა აწმყოში ხმოვანს გამოავლენენ მაშინ, როცა ბეჟიტური თანხმოდანს გვიჩვენებს, მაგ.: საკ. დიდ. ჰაღ'უ-ხ: ჰუნზ. ხულ'-ჩო (<*ხულ'-ჩო) „სვამს“, საკ. დიდ. რეთი-ხ: ბეჟ. რატ-ცა (<*რატე-ცა) „უყვარს“, „უნდა“. . .; ხანდახან ფუძისეული ხმოვნის დაკარგვის ნიმუშებს დიალექტთა დონეზეც ვპოვებთ, მაგ.: საკ. ბეჟ. ბუჩ-ჩა : ჰუნზ. ბუჭე-ჩ „ვჭრი“, ბეჟ. ნისო-ს : ჰუნზ. ნეს-ჩო „ვამბობ“, „მოვუთხრობ“. . .

საგულისხმია, რომ ბოლო მაგალითებში, ერთი მხრივ, ჰუნზ. ბუჭე-ჩ¹ („ვჭრი“) არის ამოსავალი, ხოლო, მეორე მხრივ, ბეჟ. ნისო-ს („ვლაპარაკობ“). ამასთანავე, აღსანიშნავია ის დინამიკა, რომელიც შეიმჩნევა ფორმანტისეული და ფუძისეული ხმოვნების ურთიერთზემოქმედებით შეპირობებული წონასწორობით. როგორც დ. იმნაიშვილი აღნიშნავს: „Форманты -х, -с, -н происходят от -хо, -си, -но, так, что после глагольной основы с гласным окончанием теряется гласный элемент указанных формантов“ [იმნაიშვილი 1956 : 417].

რაც შეეხება საერთო სავარაუდო ი ხმოვნის ინტერპრეტაციას, იგი უნდა იყოს თემატური ხმოვანი, რომელიც არ არის უცხო მონათესავე ხუნძურ-ანდიურ ენათა სათანადო ზმნური ფუძისთვისაც.

2. 6. დერივაციული და ფლექსიური კატეგორიების ნიშანთა რეკონსტრუქცია. დრო-კილოთა ფლექსიური კატეგორიებიდან დილოურ ენათა ერთობის ხანისათვის დამავჯერებლად რეკონსტრუირდება: ა) ინფინიტივი, ბ) აწმყო ზოგადი, გ) აწმყო კონკრეტული, დ) ნამყო ძირითადი, ე) ნამყო თურმეობითი (განუსაზღვრელი) ვ) ბრძანებითი კილო (II, III პირები).

ზემონახსენებ დრო-კილოთა საწარმოებელი ნიშნების სქემა შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

	საკ. დიდ.	ჰინ.	ხვარშ.	ბეჟ.
ინფინიტივი	-ა	-ა	-ა	-აღ/-ჰღ (საკ. ბეჟ.), -ა/-ჰ (ჰუნზ.)

¹ შდრ. საკ. დიდ. ესი-ხ („id.“)

აწმყო ზოგადი	-ა	-Ø	-ო	-ა/-ო/-რ (ჰუნზ.)
აწმყო კონკრ.	-ხო	-ჰო	-ჰო (საკ. ხვარშ.), -შე (ინზ.)	-ცა/-ც, -ჩო/-ჩ, -შ, -ს (საკ. ბეჟ.), - ჩო/-ჩ (ჰუნზ.)
ნამყო ძირითადი	-სი (საკ. ლიდ.), -ი (საპ.)	-ს/-	-და (საკ. ხვარშ.), -ი (ინზ.)	-რო/-ო (საკ. ბეჟ.), -რ (ჰუნზ.)
ნამყო თურმ.	-ნო (საკ. ლიდ.) -ნ (საპ.)	-ნო	-ნა (საკ. ხვარშ.), -ნ (ინზ.)	-ნა (საკ. ბეჟ.), -ნ (ჰუნზ.)
ბრძ. II პ.	-ო	-ო	-ო	-ა (საკ. ბეჟ.), -ო (ჰუნზ.)
ბრძ. III პ.	-ლ'ო/-ლ'	-ლ'ო	-ლ'ო	-ლა (საკ. ბეჟ.), -ბ (ჰუნზ.)

ა) ინფინიტივის, როგორც ყველაზე ზოგადი შინაარსის შემცველი ფორმის, წარმოება შედარებით ერთგვაროვანია. განსხვავებას ბეჟიტური ენის საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი ქმნის, რომელშიც ინფინიტივის **-ა**ლ სუფიქსს ე. ბოკარევი ინოვაციად მიიჩნევს [ბოკარევი 1959 : 282]. დ. იმნაიშვილს კი არქეტიპად **-ა-ლ** (resp. **-ა-რ**) მიაჩნია, რომელიც ხმოვნით ელემენტს **-ა**-ს მრავლობითი რიცხვის ნიშანს **-ა**-ს (საკ. ლიდ. ბოწ-ა „მგლები“) უკავშირებს, ხოლო **-ლ**-ს, ე. ბოკარევის ანალოგიურად, - მიცემითი ბრუნვის ნიშანს [იმნაიშვილი 1963 : 165].

ყურადღებას იქცევს მ. ალექსეევის მსჯელობა, რომელშიც ავტორი გვერდს უვლის დ. იმნაიშვილის მოსაზრებებს, ხოლო ე. ბოკარევის თვალსაზრისს გარკვეული კორექტირებით იზიარებს [ალექსეევი 1988 : 158-159].

შემონახსენები ავტორების მოსაზრებათა გათვალისწინებით, გასაზიარებელია საერთო-დილოური ინფინიტივის ნიშნად ***-ა**-ს რეკონსტრუქცია. რაც შეეხება ბეჟ. **-ლ**-ს დაკავშირებას მიცემითი ბრუნვის ნიშნთან, მონათესავე ენათა ჩვენების (ხუნძ. ყოტიზ-ე, მიც. -ე) მიხედვით, მართებულია.

მ. ალექსეევი აქვე მსჯელობს საკ. ლიდ. ბიკანი (,,წასასვლელად“) აუცილებლობით ფორმებზე (,,долженствительная форма“), რომლებიც სინამდვილეში მიზნის ზმნისარტებს წარმოადგენენ. კერძოდ, ავტორი ბიკა-ნი-რ ფორმაში **-ნი** თანხმოვნით ელემენტს მყოფადის **-ნ** ნიშანს უკავშირებს, რაც მცდარი ჩანს. საკუთრივ დილოურში ბიკა-ანი (,,წაუსვლელი“) არის ნამყო დროის უარყოფითი მიმღობა, რომელიც მყოფადი დროის დადებითი მიმღობის მნიშვნელობითაც (,,წაუსვლელი“ > „წასასვლელი“) გამოიყენება [არდოტელი 2009 : 41]. განსაზღვრებითი ნაწილაკი **-ნი** (საპ. **-ლო**) გამოყენებულია მიმღობის

ფორმანტად, რომელსაც დაერთვის მიცემითი ბრუნვის ნიშანი -რ, მაგ.: ქეც-ა-ნი-რ „დასაწოლად“, რის-ა-ნი-რ „ასაღებად“, ღოღა-ა-ნი-რ „გასაკეთებლად“ და მისთ.

როგორც ჩანს, ღრთთა ვითარებაში ამგვარი მიზნის ზმნიზედა გამოყენებულ იქნა ინფინიტივთან ახლომდგომი აუცილებლობითი ფორმის ფუნქციით.

ბ) აწმყო ზოგადის რეკონსტრუქცია საერთო-დილოურ ქრონოლოგიურ ღონეზე სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდ აღინიშნება [ბოკარევი 1959 : 283; იმნაიშვილი 1963 : 176; ალექსეევი 1983 : 163-164]. მართალია, მ. ალექსეევი აწმყო ზოგადის არსებობას ბეჟიტურში გამორცხავს, თუმცა ჰუნზიბურ დიალექტში ხელშესახებად წარმოდგენილი ჩახ-რ („წერს ხოლმე“) ამ ტიპის ფორმების არსებობის დასტურია. რაც შეეხება აწმყო ზოგადის ნიშანს, იგი ხმოვნის სახით არის წარმოდგენილი და საერთო ამოსავლად -ა-ს გულისხმობს. უცნაურობას აქ საკუთრივ დილოური ამჟღავნებს, რომლიც დ. იმნაიშვილი ა-ს აღადგენს [იმნაიშვილი 1963 : 176]. შესატყვისობის ცნობილი ფორმულის (საკ. დიდ. , ჰინ., ხვარშ. ო : ბეჟ. ა) მიხედვით, პირველ ორ ენაში ო უნდა გვექნოდ. ამის გათვალისწინებით, შესაძლებელია საკუთრივ დილოურ ენაში ო რეკონსტრუირდეს.

გ) აწმყო კონკრეტულის შემოწარმოდგენილი სუფიქსები უშუალოდ დაერთვიან როგორც ხმოვნიან, ისე თანხმოვნიან ფუძეს. მასთან, თანხმოვანფუძიან ზმნებს, როგორც წესი, აწმყო კონკრეტულის ნიშანთა ბოლოკიდური ხმოვანი ეკვეცებათ.

სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ საკუთრივ დილოური, ჰინ-უნური და ხვარშიული ფორმანტები ერთმანეთს გენეზისურად უკავშირდებიან [იმნაიშვილი 1963 : 184; ალექსეევი 1988 : 163]. საერთო ამოსავალს *-ხო წარმოადგენს: საკ. დიდ. -ხო > ჰინ., საკ. ხვარშ. -ჰო > ინხ. -შე.

რაც შეეხება ბეჟიტურ ენაში აწმყო კონკრეტულის ნიშანს, ფონეტიკური სახესხვაობებიდან საერთო ამოსავალი *-ცა უნდა იყოს: *-ცა > -ჩა [ლომთაძე 2000 : 24]. საკ. ბჟ. -ჩა (<ცა) > ჰუნზ.

-ჩო ხმოვნური ელემენტებით ერთმანეთის ადეკვატურნი არიან. როგორც მიუთითებენ ამგვარ ღრთულ აფიქსებს სახელური წარმომავლობა აქვთ [ბოკარევი 1948 : 67-68; იმნაიშვილი 1963 : 184; 1959: 283; ალექსეევი 1988 : 163].

დ) **ნამყო ძირითადის** წარმოებაში დილოურ ენათა შორის თვალსაჩინო განსხვავებაა: ბეჟიტურ ენაში (საკ. ბეჟ. **-მო/-რო**, ჰუნზ. **-რ**) ნამყო ძირითადსა და იმავდროულად ამავე დროის მიმღებებს აწარმოებს, ხოლო **-რუ**-ს სახით საკ. დილოურსა და ჰინუხურში – ნამყოს დროის ერთ-ერთ მიმღებებს.

ჩვენი თვალსაზრისით, მართებული ჩანს ე. ბოკარევის ნაზრევი საკ. დილოურსა და ჰინუხურში ადიექტიური წარმომავლობის **-სი/-ს** ფორმანტით ნამყო ძირითადის წარმოების მეორეულობაზე [ბოკარევი 1959 :282; იმნაიშვილი 1963 : 184]. უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ისტორიულად საერთო-დილოურში ნამყო ძირითადის საწარმოებელ სუფიქსად ბეჟ. **-რო**-ს რიგის ნიშნები გამოიყენებოდა. კერძოდ, საკ. დიდ., ჰინ. **-რუ** (<*-**რო**), ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, ბეჟ. **-რო**/**>-მო** (საკ. ბეჟ.), **-რ** (ჰუნზ.) თანხმონითი ელემენტით კანონზომიერად შეეფარდებიან ერთმანეთს, თუმცა საკ. ბეჟ. ა-ს ნაცვლად **ო** დასტურდება (ო<ა?). ამავე რიგში შეიძლება შემოვიდეს საკ. ხვარშ. **-და<-რა** [იმნაიშვილი 1963 : 184]. თუ **დ<რ** სწორია, მაშინ საკ. დილოურში ნამყოს არქაული **-და** ნიშანიც ამ სუფიქსს დაუკავშირდება.

ე) **ნამყო თურმეობითის** საწარმოებელი აფიქსები, საკვლევი ენათა მიხედვით, მწყობრ სისტემას ქმნიან და ერთმანეთს გენეზისურად უკავშირდებიან. ამასთანავე, როგორც მატერიული ერთობით, ისე ფუნქციური დატვირთვითაც ფუძეენისეულ ვითარებას გამოავლენენ. კერძოდ, ამ სუფიქსში თავჩენილი **ნ** ბგერათიგვივობით არის წარმოდგენილი, ხოლო ხმონითი ელემენტი კანონზომიერ შესატყვისობას (საკ. დიდ. ჰინ. **ო** : ხვარშ. ა: ბეჟ. ა) გვაჩვენებს. მართალია, ხვარშიულში **ო**-ს ნაცვლად **ა** დასტურდება, თუმცა **ა>ო** ამ ენისთვის უცხო არ არის.

რაც შეეხება ფუნქციურ-სემანტიკურ სხვაობას, რაც თავს იჩენს საკ. დილოურში, ჰინუხურსა და ნაწილობრივ ხვარშიულში ამ ფორმათა პრედიკატული ხმარებით, იგი მეორეული უნდა იყოს. მ. ალექსეევი, ე. ბოკარევისაგან განსხვავებით, სავსებით ლოგიკურად ამ ფორმებისათვის ამოსავალ ფუნქციად აბსოლუტივს ასახელებს [ალექსეევი 1988 : 162]. ამ კუთხით საგულისხმო ჩვენებას ისევ დასავლურ-დილოური ენები გვაწვდიან- ნამყოს თურმეობითის ფუნქციასთან ერთად საკ. დიდ. ბაწ-ნო (1. „შეჭამა რა“, 2. „შეუჭამია“) ტიპის ფორმები ნამყოს აბსოლუტივის ფუნქციითაც გამოიყენებიან.

ვ) დილოურ ენათა ერთიანობის დროინდელი უნდა იყოს **ბრძანებითი კილოს** საწარმოებელი სუფიქსები, რომლებიც ოდენტანხმონიანია და კანონზომიერ ფონემურ შესატყვისობას (საკ. დიდ., ჰინ., ხვარშ. **ო** : ბეჟ. ა) გვიჩვენებს. საერთო ამოსავალი ბეჟიტურში ჩანს დაცული, თუმცა ჰუნზიბურ დიალექტში **რ**-ს ნაცვლად **ო** დასტურდება, რაც მეორეული მოვლენა ჩანს: **ო>ო**.

რაც შეეხება III პირის ბრძანებით, მას სხვადასხვაგვარი სუფიქსები დაერთვის, რომელთა გენეზისის გარკვევა ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციალურ კვლევა-ძიებას მოითხოვს. საკუთრივ დილოურში, პინუხურსა და ხვარშიულში -ლ’/-ლ’ო, რომელიც III პირის ბრძანებით აწარმოებს, მ. ალექსეევი „თქმა“ (საკ. დიდ. ელ’ა „id.“) ზმნას უკავშირებს, რაც გასაზრიარებელი ჩანს [ალექსეევი 1988 : 165].

ზუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ზმნური სისტემის რეკონსტრუქციისთვის

ზუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ზმნური კატეგორიებისათვის ერთი თვალის გადავლევითაც ნათაღდ გამოჩნდება კლასნიშნიან და უკლასნიშნო ზმნათა გაუდიფერენცირებლობა ფლექსია-ლერივაციის თვალსაზრისით. ერთადერთი თავისებურება, რაც საკვლევ ენებში დაჩნდება, არის კლას-ნიშნებით ზმნური ფუძის გახლეჩა. გარდა ამისა, თვალშისაცემია, აგერთვე, სპეციალურ ლიტერატურაში წამოყენებული მოსაზრებანი დაღესტნურ ენათა ზმნური ფუძის ხმოვანმონაცვლეობით ცვლისა, რომლის დროსაც კლასთა დიფერენციაცია ხელშესახებად არის წარმოდგენილი ანდიურ-დილოურ ენებშიც, მაგ.: ანდ. ა-რ-ხინნუ „გაღება“, ა-ბ-ჟილუ „დაწყება“, ა-ბ-ჩილუ „ბანა“, „რეცხვა“. . . ; ბეჟ. გ-ო-წალ (I კლ.), გ-ი-წალ (II კლ.), გ-უ-წალ (III, IV კლ.) „ჩვენება“, ტ-ო-ტალ (I კლ.), ტ-ი-ტალ (II კლ.), ტ-უ-ტალ (III, IV კლ.) „სროლა“ და მისთ.

რაც შეეხება მ. ალექსეევის მიერ წამოყენებულ ჰიპოთეზას აწმყო ზოგადის წარმოებისა და მისი გენეტიკური კავშირის შესახებ მრავლობითობასთან (resp. დიურატიულობასთან), ვფიქრობ, საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან მრავლობითისათვის კრებითობაა ამოსავალი [არლოტელი 2013 : 60; შდრ. ალექსეევი 1988 : 190].

მართალია, ამჟამად დილოურ ენათა ზმნაში გაირჩევა ხმოვანფუძიანი (I უღვლ.) და თანხმოვანფუძიანი (II უღვლ.) ზმნები, მაგრამ ისტორიულად ზუნძურ-ანდიურ ენათა ზმნის ანალოგიური უღვლილება (I უღვლ. -იდ თემისნიშნიანი, II უღვლ. -ინ თემისნიშნიანი) უნდა ჰქონოდა. თავად ანდიურ ენებში განსხვავება ორ უღვლილებას შორის ბოთლიხურ ენასა და კარატაურლი ენის ტოქიტურ დიალექტში სავსებით მოშლილია, ხოლო სხვა ანდიურ ენებში – საგრძნობლად შერყეული.

ტ. გულავას მოსაზრებით, „ზოგი მაგალითი გვაფიქრებინებს, რომ „ნ-ს რიგის ზმნები“ (II უღვლილების ზმნები) ლილოურ ენებშიც შეიძლება გვქონოდა [გულავა 1978 : 217].

ამ თეორიული მოსაზრების დასტურად ტ. გულავას მოჰყავს II უღვლილების „თხრობა“, „მოყოლა“ ზმნა [გულავა 1959 : 217]: ხუნძ. ბიც-ინ-ე, ნამყ. ბიც-ან-ა, ანდ. ბის-ონ, ბოთლ. მას-ა/ბას-ა^ნ, კარ., ლოდ., ჭამ., ბავგ. ბას-ა^ნ, ტინდ. ბას-ონ^ნ, ახვ. მაჩ-ან-ი (ჩრდ.) < ბაჩ-ან-ა (სამხრ.), შდრ. საკ. დიდ. ეს-ი-ს, ჰინ. ეს-ი-შ, ხვარშ. ის-ი, ბეჟ. ნ-ის-ო-რო (საკ. ბეჟ.), ნ-ე-ს-ო-რ (ჰუნზ.) „აუმბო“. ეს და მისი მსგავსი ზმნები („კერვა“, „ჭამა“, „მოსვლა“...) ავტორს შესაძლებლობას აძლევს -ინ თემისნიშნიანი ზმნები ლილოურ ენებშიც აღადგინოს, რაც გასაზიარებელია [გულავა 1959 : 113, 114, 119].

-იდ და -ინ თემისნიშნიან ზმნათა შორის კორელაციის ელიმინაცია ნიშანდობლივია ხუნძური ენის სამხრული დიალექტებისთვისაც. ბუნებრივია, ლილოური ენები, რომლებიც ზმნურ კატეგორიების წარმოების თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ხუნძური ენის შესაბამისი კატეგორიებისაგან, ხუნძური ზმნის ფუძის სტრუქტურაშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები არის რელიაზებული.

აღსანიშნავია, რომ ერთი რიგის -ინ თემისნიშნიანი ხუნძური ზმნები ლილოურ ენებიდან ბეჟიტურსა და ნაწილობრივ ხვარშიულში ნაზალიზაციის სახით რელიქტურად არიან შემონახული, მაგ.: ხუნძ. რელზ-ენ-ე, ნამყ. რელზ-ან-ა, შდრ. ბეჟ. დე^ნლ'-ე-დო (< *დე^ნლ'-ე-დო < *დე^ნლ'-ენ-დო) „დამსგავსება“, „მსგავსი“, ხუნძ. რა-ჰ-ან-ა, ანდ. არ-ხ-ონ (< *რა-ხ-ონ), ბოთლ. ხე-აბ-დუ, ჭამ. ა-ხ-ა^ნ, ტინდ. ბა-ხ-ე-ონ^ნ, კარ. რუ-ჰ-ა^ნ, ახვ. ა-ხ-არ-ი, შდრ. საკ. დიდ. და-ლ-ი-ს, ხვარშ. და-ლ-ი^ნ-ა < *და-ლ-ინ-ა), ბეჟ. დე^ნ-ჰ-ე-დო (< *დე-ჰ-ე^ნ-დო < დე-ჰ-ენ-დო) „გაილო“ და მისთ.

ამრიგად, ხუნძურ-ანდიურ ენათა ზმნურ ფუძეში ხელშესახებად დაუნჯებული სისტემა მეტ-ნაკლები ცვლილებებით დაცულია ლილოურ ენებშიც, რაც ამ ენათა ნათესაობის უტყუარი ნიშანია.

ზმნის ღერივაციიდან ყურადღებას იქცევს კაუზატივის კატეგორია, რომელიც წარმოქმნილია ფუძისა და ფორმანტა კანონზომიერი კომბინაციით [არლოტელი 2008 : 64-83]. კაუზატივის ღერივატებს ხშირად „კეთება“, „დადგმა“, „დასმა“ და მისთ. ზმნათა ძირეულ მორფემებს უკავშირებენ, რომლებიც ენკლიტიკურად ერთვიან და უხორცდებიან სათანადო ზმნურ ფუძეს [ხალილოვი 1980 : 27; მაჰომედბეკოვა 1978 : 238].

კაუზატივის მარკერთაგან ყურადღებას იქცევს, ერთი მხრივ, საკ. დიდ. ჰინ. -ერ, მეორე მხრივ, ბეჟ. -**Vლ**. ამ მონაცემების გათვალისწინებით, ხვარშიულში სავარაუდოდ რეკონსტრუირდება -**Vლ**. მაშასადამე,

საანალიზო მორფემის თანხმონითი ელემენტი შემდეგი შესატყვისობის წევრად მოიაზრება: საკ. დიდ., ჰინ. -
რ : ხვარშ., ბეჟ. ლ. შესატყვისობის ამ ფორმულაში არქიფონემას ლ წარმოადგენს [არდოტელი 1999 : 86],
რაც საფუძველს გვაძლევს ანდიურ ენათა კაუზატივის ფორმანტი, რომელიც კანონზომიერი შესატყვისობით
(ა:ო; ლ:რ) არის წარმოდგენილი (ანდ. -ოლ, ლოდ., ჭამ., ბავგ., კარ. -ალ, ტინდ. -ა(ლ), ახვ. -ა<*-ალ)¹,
დილოურ ენათა კაუზატივის ნიშანს დავუკავშიროთ [შლრ. ალექსეევი 1988 : 120].

ზმნის მორფოლოგიაში საყურადღებოა, აგრეთვე, **ასპექტის კატეგორია**, რომელიც ხუნძურში
სხვადასხვა სუფიქსით (-არ, -დ, -ად, -დ-არ, -ოლ-დ...) იწარმოება. დ-ს შემცველი ნაირსახეობა პარალელს
პოულობს დილოურ ენათა დიურატიული ასპექტის ნიშანთან. *-დ : საკ. დიდ. -ნა,-დ, ჰინ. -დო, ბეჟ. -დ
[იმნაიშვილი 1963 : 172; ალექსეევი 1988 : 191].

რაც შეეხება დრო-კილოთა სხვა საწარმოებელ ფორმანტებს, მათ შესახებ სპეციალურ
ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი მოსაზრებებია გამოთქმული [ტრუბეცკოი 1929 : 156-157; გულავა 1978
: 214-234; ალექსეევი 1988 : 19-194...].

ნაზმნარი სახელები ხუნძურ-ანდიურ ენებში

ა) **მასდარის რეკონსტრუქციისათვის**. მასდარი, როგორც ცნობილია, ხუნძურში ნაწარმოებია I
უღვლილების ზმნებში -ი, -ე, ნიშნებით (ჰაბ-ი „გაკეთება, წ-ე „ასება“...), რომლებიც თემატურ ნიშნებს
ეთანაბრება; II უღვლილების ზმნები მასდარს აწარმოებენ -ინ, -ენ სუფიქსებით (რეტ-ი-ნ „ჩაცმა“, კოჩ-ე-ნ
„დავიწყება“...), რომლებიც თემის ისტორიულ ნიშნებთან პოულობენ პარალელს.

რაც შეეხება ანდიურ ენათა მასდარს, მისი წარმოება ამ ენებში ერთგვაროვანია [ცერცვაძე 1965 :255-256;
გულავა 1962 : 106; 1971 : 149-150; მაჰომედბეკოვა 1961 : 153-155; 1967 : 106-107; ალექსეევი 1988 :
119...]. ერთი რიგის ენებში (ანდ., კარ., ბავგ.) მასდარი აორისტიისგან იწარმოება, მეორე რიგის ენებში
(ჭამ., ახვ.) – ზმნის სადა ფუძისგან, ხოლო მესამე რიგის ენებში (ბოთლ., ლოდ.) – ინფინიტივისგან.
ამგვარი წარმოების ძირითად ნიშნად -რ გვევლინება. საყურადღებო ჩვენებას გვაწვდის ანდიური, რომელშიც
II უღვლილების ზმნათა მასდარული ფორმები მთლიანად ემთხვევა ნამყო ძირითადის ფორმებს, მაგ.: ბიჟ-უნ

¹ თუ, რა თქმა უნდა, -ალ თემის ნიშნისეული არ არის [შლრ. მაჰომედბეკოვა 1978 : 242].

„შექმნა“ (ნამყო. ძირ. „id.“), ბახ-ონ „შეკერვა“ (ნამყო ძირ. „id.“), ბოს-ან „მოყოლა“, თხრობა“ (ნამყო. ძირ. „id.“) და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ II უღვლილების ზნმათა მასდარის დერივატად ზოგ ენაში (ჭამ., ახვ.) ნაზალიზებული ხმოვანი გამოიყენება, მაგ.: ახვ. ბაც-ე⁶ (<*ბაც-ენ) „თხრობა“, რაწა-ე⁶ (<*რაწა-ენ) „შეკითხვა“... გამოთქმულია მოსაზრება, რომ I უღვლილების ზნებში, რომლებსაც ოდენ ხმოვნური წარმოება მოეპოვებათ, რ უნდა იყოს დაკარგული: „Сравнение с южным диалектом показывает, что старым окончанием масдара является не -е, а -ер (напр., тлян. цег. žab-er, ратл. žab-eri „чтение“) [მაჰომედბეკოვა 1967 : 106].

მაშასადამე, იმ ხუნძურ-ანდიურ ენებში, რომლებშიც I უღვლილების ზნები ხმოვანსუფიქსური წარმოებით გამოირჩევიან, ბოლოკიდური რ-ს დაკარგვა ივარაუდება. ამას მიგვანიშნებს II უღვლილების ზნმათა მასდარში ნაწილობრივ ან სრულად დაცული ნ, რომელსაც რ-ს სტატუსი აქვს.

სპეციალურ ლიტერატურიდან ცნობილია, რომ -რ ჭამალურ ენაშიც იკარგება [გუდავა 1964 : 54].

ხუნძურ-ანდიურ-დილოური ფუძეენისთვის ნავარაუდები ორი ტიპის უღვლილება მასდარულ წარმოებაშიც მკაფიოდ აირეკლება. სწორედ I ტიპის უღვლილების -დ ფუძიან ზნმათა მასდარს აწარმოებდა -Vრ (-Vდ), ხოლო II ტიპის უღვლილების -ნ ფუძან ზნმათა მასდარს – Vნ აფორმებდა.

ისმის კითხვა: ისტორიულად რა ფუნქცია უნდა ჰქონოდა -Vრ და -Vნ/-ნV სუფიქსებს?

ტ. გუდავას თვალსაზრისით, ასეთი სუფიქსები თემატურ ნიშნები უნდა ყოფილიყო [გუდავა 1978 : 217-219]. თუ ეს მოსაზრება სინამდვილეს შეეფერება, მაშნ შეიძლება ვიფიქროთ, რომ საკვლევ ენებში მოგვიანებით მომხდარა მათი ფუნქციური რეინტერპრეტაცია და მასდარის საწარმოებელ სუფიქსად გამოყენება: ხუნძ. ყოტ-იზ-ე (< მასდ. ყოტ-იზ) < *ყოტ-იდ-ე (< მასდ. *ყოტ-იდ) „ჭრა“ (I უღვლ.), ბუკ-ინ-ე (< მასდ. ბუკ-ინ) „ყოფნა“ (II უღვლ.) და მისთ.

ზემომოყვანილი უღვლილების ტიპთა ბინარული ოპოზიცია იმასაც ცხადყოფს, რომ ე.წ. ნაზალურელებმენტიანი უღვლილების ზნებში ფუძისეული ნ თანხმლები ხმოვნითურთ მასდარის საწარმოებელ სუფიქსად გადააზრიანდა. გენეზისურად ხუნძურ-ანდიურ ენებს II უღვლილების ზნმათა მასდარში თავჩენილი -Vნ დიდიურ ენათა მასდარის -ნი-ს უნდა უკავშირდებოდეს. ამ უკანასკნელს კი სავსებით ლოგიკურად უკავშირებენ დალესტურ ენათა სათანადო მონაცემებს: დარგ. -ნი, ლაკ. -ნ [ალექსევი 1988 : 200].

მ. ალექსეევი ანდიურ ენათა ნ-ს რ-სგან მიღებულად თვლის [იქვე]. უნდა შევნიშნოთ, რომ -ნ არ უკავშირდება რ-ს, არამედ ნ რელაცირებული და ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანზე ნაზალიზაციის ელფერად არის დარჩენილი, რომელსაც დამატებით ერთვის რ (<დ), მაგ., კარ. ბეჟურ („ზრდა“) <*ბეკუნ (შდრ. ხუნდ. ბუკ-ინ-ზე „ყოფნა“). რაც შეეხება <დ> პროცესს, იგი რეალიზებულია ბაგვალურ ენაში: თუ-რ- <თუ-დ-„ლაფურთხება“ [იხ. გულაგა 1978 : 220].

საყურადღებოა, რომ კარ. ჰაფ-ნ-ი („id.“). ეს კი იმის მიმანიშნებელია, რომ ოდინდელი თემის ნიშანი (resp. დეტერმინანტი) და მასდარის საწარმოებელი სუფიქსის თანხმონითი ელემენტი გენეზისურად ერთმანეთს უკავშირდებიან. საფიქრებელია, დილოურ ენებში ყოველგვარ ზმნასთან ნ-ს შემცველი (II უღვლილების ზმნათა) სუფიქსის გაბატონება, ერთი მხრივ, მისი გენერალიზაციის, მეორე მხრივ კი, -დ და -ნ თემის ნიშნის ზმნათა უნიფიკაციის შედეგი ჩანს.

ბ) მიმღობის რეკონსტრუქციისათვის. ხუნძურ-ანდიურ ენათა სინამდვილეში დასტურდება ნამყო დროის მიმღობები, რომლებიც საერთო ნიშნებს ავლენენ. რაც შეეხება აწმყოსა და მყოფადი დროის მიმღობებს, მეტწილად ინოვაციასთან გვაქვს საქმე.

ნ. ტრუბეცკოს აზრით, -დ-, -ლ-, -ნ- თანხმოვანთა შემცველი სუფიქსები წარმომავლობით ადიექტიურია (resp. მიმღობურია) და მიმღობებმა მოგვიანებით შეიძინეს პრედიკატული ფუნქცია. რაც შეეხება -რ-, -ჟ- ელემენტების შემცველ სუფიქსებს, ისინი შეიძლება მივიჩნიოთ ზმნის არქაულ მორფოლოგიურ ელემენტებად [ტრუბეცკო 1987 : 326-330; შდრ. იუდაკინი 1982 : 46; ალექსეევი 1988 : 109].

უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ტრუბეცკო თავიდან ასახელებს -სა-ს შემცველ ზედსართავეებს და სავსებით სამართლიანად დილოურ ენათა ნამყო ძირითადის ფორმებს ნამიმღობარ ოდენობებად მიიჩნევს, თმცა შემდეგ უგულებელყოფს ამ სუფიქსის ადიექტიურობას [ტრუბეცკო 1987 : 328].

ჩვენი თვალსაზრისით, ცნობილი მკვლევრის მიერ ჩამოთვლილი აფიქსები, -საე-/-სი სუფიქსის გარდა, ნამიმღობარი არ ჩანს. ხუნდ. -ლს, ანდ. -დუ, -დიდ. -ნუ სინქრონიულ დონეზე დროულ ფორმათა საწარმოებელი პრედიკატიული ნიშნებია, თუმცა ისტორიული ინტერპრეტაციისას შეიძლება მათი შემადგენელ ელემენტებად დაშლა და საერთო არქეტიპზე დაყვანა. სიმპტომატურია, რომ ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ქრონოლოგიურ დონეზე -სა(>-ს) სიბილანტის შემცველი აფიქსი მიმღობათა (resp. ადიექტივთა)

მარკერად აღდგება. კერძოდ, ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში ხელშესახებად არის წარმოდგენილი: ხუნძ. - სჟ-ბ. ანდ. -საი, ახვ. -სჟე, ჭამ., კარ. -ისა, ბოთლ. -სჟე. საკ. დიდ. -სი, ჰინ. -ს, ხვარშ. -სა (საკ. ხვარშ.), -სო (ინხ.), ბეჟ. -სო (მღრ. ლაკ. -საა, დარგ. -სი, თაბ. -სი -ბ...)...

ყველა ზემონახსენებ ენაში ფუნქციური დისტრიბუცია მიახლოებით ერთნაირია და შესაძლებელია მათი ერთმანეთთან დაკავშირება. სტრუქტურულად ეს აფიქსი შესაძლებელია დაიშალოს შესაბამის C და V ელემენტებად [მაჰომედიეკოვა 1987 : 222]. მ. ალექსეევი, ე. ბოკარევის კვალდაკვალ, არ გამოიციხავს მის კავშირს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანთან, თუმცა ამოსავლად ადიექტიურ მნიშვნელობას თვლის [ალექსეევი 1988 : 161]. შესაძლებლად გვესახება ატრიბუტივთა საანალიზო სუფიქსი დაშორებითი ბრუნვის ნიშანს დაუკავშიროთ, რომელსაც თავდაპირველად განსაზღვრებითი ნაწევრის ფუნქცია ჰქონდა, ხოლო შემდგომ განსაზღვრულობის (resp. გამოცალკევებითობის) ფუნქცია შეიძინა (ზვიადური 1995 : 176).

მასდარისა და მიმღების რეკონსტრუქცია დილოურ ენებში

მასდარის წარმოების ისტორიული ინტერპრეტაციისათვის. თავდაპირველად, მასდარის ისტორიულ-შედარებითი ასპექტით კვლევისას, უნდა გაირკვეს ამოსავალი ზმნური ფუძის საკითხი, რომელსაც ეყრდნობა მასდარული ფორმები. იმ ენებში (საკ. დიდ., ხვარშ., ბეჟ. ენის ჰუნზ. დიალ.), რომლებშიც სინქრონიულად დასტურდება მასდარის ორგანული წარმოება, მასდარული ფორმები ემყარება ზმნის სადა (resp. გამარტივებულ) ფუძეს,¹ რომელიც შეიძლება იყოს ხმოვანფუძიანიც და თანხმოვანფუძიანიც. საილუსტრაციო მაგალითები:

საკუთრივ დილოური		ხვარშიული		
ფუძე	მასდარი	ფუძე	მასდარი	
ბაწ-	ბაწ-ნი	ბაწ-	ბაწ-ნუ	„ჭამა“
ჟიძ-	ჟიძ-ნი	ზოკ-	ზოკ-ნუ	„ცემა“
ცალ'ი-	ცალ'ი-ნი	ცალ'ი-	ცალ'ი-ნუ	„სროლა“...

ბეჟიტური ენის ჰუნზიბურ დიალექტში ანალოგიური ვითარებაა, მაგრამ ხმოვანფუძიანი ზმნები იმის

¹ ანდიურ ენებში მასდარი მეტწილად ნამყოფი დროის ფორმას ემყარება [ცერცვაძე 1965 : 255; მაჰომედიეკოვა 1871 : 153; გუდავა 1971 : 149].

გამო, რომ ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანს მასდარის საწარმოებელი სუფიქსის -ი-ს გავლენით იკვეცენ, ფუძის რავგარობით თანხმოვანფუძიან ზმნებს ეთანაბრებიან, მაგ.: ჰეჰ-ი < *ჰეჰე-ი (შლრ. აწმყ. კონკრ. ჰეჰე-ჩ) „ცე-მა“, ჩახ-ი (შლრ. აწმყ. კონკრ. ჩახ-ჩო) „წერა“, როხ-ი (შლრ. აწმყ. კონკრ. როხ-ჩო) „ყიდვა“ და მრ. სხვ.

დაახლოებით ამავე სურათს გვიჩვენებენ ის დიალექტები (დიდ. ენის ქიდ.-ასახ. და ბეჟ. ენის საკ. ბეჟ.), რომლებშიც საანალიზო ფორმები სპორადულად გვხვდება. მასდარულ ფორმათა ფუძის წარმოებასთან ორგანულად არის გადაჯაჭვული ზოგადად ზმნური ფუძის წარმოებისა და სტრუქტურის საკითხები. განსაკუთრებით საპაექროა ფუძის წინამავალი და მომდევნო ხმოვნური ელემენტები, რომლებიც შეიძლება ფუძის მარკერებად მოგვევლინონ, ანდა თემატური ნიშნის ფუნქცია ჰქონდეთ [იხ. იმნაიშვილი 1956: 416; ბოკარევი 1959: 281; გულაგა 1959: 50; 1971: 53; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 247-248; ალექსევი 1988: 152, 170, 189-192...].

მასდარულ ფორმათა ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ზმნური ფუძე შეიძლება ბოლოვდებოდეს როგორც თანხმოვნით, ისე ხმოვნით. მეტად რთულია იმის ზუსტად დადგენა, თუ ენის ფუნქციონირების ადრეულ საფეხურზე ამ ხმოვნურ ელემენტებს რა დანიშნულება ჰქონდა. კვლევის ამ ეტაპზე ვვარაუდობთ, რომ ფუძის ასეთი ხმოვნური სავრცობები მორფონოლოგიურად უნდა ყოფილიყო შეპირობებული - ხელს უშლიდა არაკანონიკურ თანხმოვანთა თავყრის წარმოქმნასა და ფუძეთა უსასრულო ომონიმიის განვითარებას. ამასთანავე, თემატურ და ათემატურ ფუძეთა კორელაციის არსებობა რიგ შემთხვევაში თემატური ხმოვნის დაშვებისკენ გვიბიძგებს, მაგრამ ამგვარი ინტერპრეტაცია უფრო მეტად მოგვიანო ხანისთვის იქნებოდა საგულეებელი.

რაც შეეხება მასდარის დერივატებს, მათი გენეზისის დადგენა და ისტორიული ურთიერთმიმართების გამოვლენა საგანგებო ძიებას მოითხოვს. კერძოდ, ყველა დიდოურ ენაში, რომლებშიც მასდარი გვაქვს, დასტურდება -ნ ნაზალური სონორის შემცველი სუფიქსები: საკ. დიდ. -ნი; სვამ. -ნუ; ბეჟ. -ი, -ნი. ცნობილია, რომ ნ დიდოურ ენებში ბგერათიგივეობით არის წარმოდგენილი [გულაგა 1979: 62; არდოტელი 2009: 144-145].

რაც შეეხება ხმოვნით ელემენტ ი-ს, იგი საკ. დიდოურსა და ბეჟიტურ ენებში კანონზომიერ შესატყვისობას გვიჩვენებს, თუ არ გავითვალისწინებთ ი : ე სპონტანურ მონაცვლეობას, რაც ამ ხმოვანთათვის ნიშანდობლივია. თვალსაჩინო გადახრას გვიჩვენებს სვარშიული ენა, რომელშიც ფარდ ოდენობად უ (-ნუ) დასტურდება. აქ უნდა დავუშვათ ორი შესაზღებლობა: ა. მასდარის ფორმანტ -ნუ-ში უ შეიზლება მიგვეგო ი-სგან გ-ს

საფეხურის გავლით: ი > ე > უ [იხ. ლომთაძე 1994: 184]. ბ. ი > უ პროცესი რეალიზებული ჩანს ფუძისე-ული წყვილბაგისმიერი ჟ-ს გავლენით, რომელიც უნიფიკაციის საფუძველზე შეიძლება სხვა ზმნებზეც გავრცელებულიყო.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მასდარულ ფორმათა ჩამოყალიბება დამთავრებული უნდა ყოფილიყო დილოურ ფუძეენაში [შდრ. ისაყოვი, ხალილოვი 2001: 272].

ბეჟიტური ენის ჰუნზიბური დიალექტი თავისებურებას გვიჩვენებს იმ მხრივ, რომ მასდარულ ფორმებში -ნ გაუჩინარებულია, მაგრამ მისი რეკონსტრუქცია შესაძლებელია ხმოვნითი -ი ელემენტისა და საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში სპორადულად თავჩენილ მასდარულ ფორმათა საფუძველზე.

მიმღობა

გრამატიკული კლასისა და რიცხვის სახელზმნური კატეგორიები დილოურ ენათა მიმღობაში. ა) დილოურ ენებში ისევე, როგორც ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში, გრამატიკული კლასის ექსპონენტები მიმღობას ზმნიდან უცვლელად გადაჰყვება. საილუსტრაციო მაგალითები დილოური ენიდან:

Ø-იკიხო-სი (//-სი-ნი) ჟეკუ	„მიმავალი კაცი“
-იკიხო-სი (//-სი-ნი) ღანაბი	„მიმავალი ქალი“
ბ-იკიხო-სი (//-სი-ნი) ბოწი	„მიმავალი მგელი“
რ-იკიხო-სი (//-სი-ნი) ღწი	„მიმდინარი წყალი“

დილოურ ენათა მიმღობაში ამჟამად გრამატიკული კლასის ცოცხალი სუფიქსური ექსპონენტები არ დასტურდება, რომელთა მიმართება პრეფიქსულ კლასიფიკატორებთან შესაზღვებლობას მოგვცემდა ვნებითისა და მოქმედებითი გვარის სემანტიკა გაგვეჩრია.

ჩნობილია, რომ დაგესტნის ზოგ ენაში (ხუნძური, ტინდური, ანდიური, არჩიბული, ლაკური...) გრამატიკულ კლას-კატეგორიას, პრეფიქსებთან ერთად, სუფიქსებიც გადმოსცემენ.

ბუნებრივია, დაისვას კითხვა: ისტორიულად დილოურ ენათა მიმღობას ჰქონდა სუფიქსად წარმოღვენილი კლასის ნიშნები (შდრ. ჰუნძ. ყოტულ-ე-ბ „მჭრელი“) და შემდეგ დაეკარგა, თუ სუფიქსაცია მას ამოსავალშივე არ ანასიათებდა?

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ გრამატიკული კლასის მქონე ენათა (მათ შორის ხუნძურსა და ანდიურ ენათა უმრავლესობაში) მიმგეობა კლას-ნიშნებს, პრეფიქსის გარდა, სუფიქსადაც დაერთავს, რომლებიც გენეზისურად ჩვენებით ნაცვალსახელებს უკავშირდება [ბოკარევი 1949 : 224-236; საილოვი 1948 : 90-115; გუდავა 1963 : 136; 1971 : 53, 55; მაჰომედბეგოვა 1987 : 155].

დილოურ ენათა მიმღობისთვისაც რომ ნიშანდობლივი იყო სუფიქსური დერივაცია კლასის ექსპონენტების მიხედვით, ამას ბეჟიტურ-ჰუნზიბური ენის მასალაზე დამყარებით ე. ლომთაძე ვარაუდობს. იგი წერს: „ისტორიულად მიმგეობას უნდა ჰქონოდა როგორც პრეფიქსულ-სუფიქსური, აგრეთვე მხოლოდ სუფიქსური წარმოება კლასის მეშვეობით“ [ლომთაძე 1956: 388].

უნდა ითქვას, რომ დილოურ ენებში კლასის გაუჩინარებული ნიშნების კვალი ან მთლიანად წაშლილია, ანდა - ძნელად მისაკვლევი. ფუნქციადაკარგული ოდინდელი კლასის ექსპონენტები ძალზე იშვიათად გაქვევებული სახით ამა თუ იმ თქმაშია შემონახული. სუფიქსური კლასიფიკატორიანი მიმგეობის არქეტიპების ავღგენა გარკვეულწილად ხერხდება როგორც შინაგანი, ისე გარეგანი რეკონსტრუქციის საფუძველზე.

მიმღობის ბოლოკილოურ კლას-ნიშანთა რეკონსტრუქციისას ჩვენს ყურადღებას იპყრობს დილოური ენის პოტენციალის სემანტიკის აწმყოს მიმგეობის ფორმები: **რისალ'ხო** „საყილი, რისი ყიღვაც შესაზღებელია“, **ოიკალ'ხო** „მიმავალი, ვისაც წასვლა შეუძლია“, **ცახალ'ხო** „საწერი, რისი წერაც შესაზღებელია“...

ხემომოყვანილ ფორმათა თაობაზე დ. იმნაიშვილი წერს: „ასახური თქმის რიგი აუღების მეტყველებაში გვხვდება -ხო სუფიქსიანი აწმყო დროის მიმგეობა. ...ის, როგორც ჩანს, აწმყო ზოგადიდან (ოიკალ' - ნ. ა.) იწარმოება“ [იმნაიშვილი 1963: 220]. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხმოვნის სიგრძე ამ რიგის ფორმებში არ შეიმჩნევა. რაც შეეხება მიმღობურ -ხო ფორმანტს, მისი პირველი (-ხო-) ელემენტი, შესაძლოა, წარმომავლობით აწმყოს ნიშანი იყოს (შდრ. ბ-აწ-ხო „ჭამს“ - ბ-აწალ'-ხო „ეჭმევა“, „იჭმება“...), ხოლო -ჲ კი - რელიქტის სახით შემონახული, რეინტერპრეტირებული II კლასის ნიშანი, მაგალითად: ბ-ეხჟალ'ხო-ჲ „მომაკვდავი“, ბ-აწალ'ხო-ჲ „რაც ეჭმევა“, ჰალიკალ'ხო-ჲ „ვინც ითვრება“ და მრ. სხვ.

აწმყო დროის პოტენციალის სემანტიკის ზმნებიდან ნაწარმოები მიმგეობის ბოლოკილოური -ჲ-ს მიჩნევას კლასის გაქვევებულ ნიშნად შემდეგი ანგარიშგასაწევი გარემოება განაპირობებს. აუსლაუტურ -ჲ-ს ფარდ ოდენობად დილოური ენის თქმებში დასტურდება: ქიდ. -ჟ, მაგალითად: ბიშრალ'ხო-ჟ „მკვებავი, რასაც კვება შეუძლია“, ლ'ისალ'ხო-ჟ „გასაწევი, რაც იწევა“...; ასახ. -ჲ-უ (←* -ჲ-ჟ), რომელშიც -ჟ-ს წინ -ჲ- გან-

ვითარებული ჩანს ხმოვანთგამყარად. შაიტლის მეტყველებაში საანალიზო ფორმების კორელატად **-რ** დადასტურდა, მაგ.: **ბაწალზო-რ** ჰენემ „საჭმელი ვაშლი“, **დიღალზო-რ** აგ'ურ რიჟის ლ'იქს „წისქვილი, რომლითაც შეიძლება დაფქვა, წყალმა წაიგო“. აქედან ცხადი ხდება, რომ **-ხო-** ფორმანტი რთული შედგენილობისაა, რაც შესაძლებლობას გვაძლევს მისი ბოლოკიდური წევრები გენეზისურად გაქვავებული კლასის ნიშნებად მივიჩნიოთ. კლასიფიკატორები, როგორც ირკვევა, დილოური ენის სხვადასხვა თქმებმა შემოგვინახეს, თუმცა მათი პირვანდელი ფუნქცია დაიკარგა. მსგავს ფორმებში არ ჩანს III კლასის ნიშანი (**ბ**), რომელიც ნასესხებ ზედსართავ სახელებში გაქვავებული სახით ყოველთვის დასტურდება, მაგალითად: ხუნძ. ბერცინ-ა-ბ „ლამაზი“.

მიმღობის ზემონაჩვენებ სტრუქტურულ მოდელებს მხარს უჭერს ზედსართავთა წარმოებაც. დილოური ენის თქმებში დასტურდება ნაირნაირ სუფიქსადრთული (**-ვ**, **-უ**, **-ჲ**) ზედსართავი სახელები, რომელთა სუფიქსები მიმღეობათა ნიშნების ანალოგიურია, მაგალითად: საკ. დიდ. წოყი-ჟ, წოყი-ჲ-უ, წოყი-ჲ□ „მსხვილი“; სასი-ჟ, სასი-ჲ-უ, სასი-ჲ□ „სველი“... შესაძლებელია, ამ ზედსართავ სახელებში ბოლოკიდური ელემენტები ფუძეს შეხორცებულ კლასის ნიშნებს წარმოადგენდნენ, რაც მიმღეობაშიც, როგორც ადიექტიურ სახელში, კლას-ნიშნებს გვაგულვებინებს.¹

არსებულ ლინგვისტურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ხვარშიულ ენაში (უფრო კი ინხოყვარულ დიალექტში), რომელშიც კლას-ნიშნები შედარებით დაცულია, ვითარებითი ზედსართავების გარდა, კლასიფიკატორების გარჩევა ხელშესახებია მიმღეობის ბრუნებაში [იმნაიშვილი 1963: 80]. ანალოგიური ვითარება შეიმჩნევა დილოური ენის მიმღეობის ბრუნების დროსაც. კერძოდ, როცა გრამატიკული კლას-კატეგორია კლასთა სუფიქსური ნიშნებით არაა გაფორმებული, მაშინ ორი კლასია გარჩეული: I კლასში თავს იყრიან მამრობითი სქესის გონიერი არსებანი, II კლასში კი ერთიანდება ყველა სხვა დანარჩენი სახელი: ქალები, ცხოველები, ნივთები და მისთ. კლასების გასარჩევად ამ შემთხვევაში გამოყენებულია ხმოვანთა აღტერნაცია, რაც გრამატიკული კლასების გაუჩინარების შემდეგდროინდელი უნდა იყოს.

ხმოვანთა ცნობილი შესატყვისობის მიხედვით [ლომთაძე 1956: 42; იმნაიშვილი 1963: 42], ხუნძურ ა ხმოვანს დილოურში, ჰინუხურ და ბეჟიტურ-ჰუნზიბურ ენებში კანონზომიერ ფონემურ შესატყვისად ო მოეპოვება. წარმოდგენილი შესატყვისობის საფუძველზე დილოური ენის ნამყოს მიმღეობის საწარმოებელ **-რუ** (**← -რო**) ფორმანტს ხუნძურ ენაში ტოლფარად ნამყოს მიმღეობის **-რა-ბ** (**←* -რა-აბ**) [ლომთაძე 1956:

¹ აქვე დაისმის წოყი-ჟ („მსხვილი“) ტიპის ზედსართავთა და შესაბამის მიღეობათა ისტორიული ურთიერთობის საკითხი.

377; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 308] რთული ფორმანტის **-რა-** ელემენტი ეფარდება.

სავარაუდოა, რომ წინარე დიდლოურში ხუნძ. **-ა-**ს კორელატად იყო **ო**, ხოლო ეს უკანასკნელი, დავიწროების შედეგად, ჰუნზიბურ დიალექტში, ჰინუსურ და საკ. დიდლოურ ენებში **-უ-**დ ქცეულა. საკ. ბეჟიტურ დიალექტში ჩანს შემონახული ამოსავალი ვარიანტი **-რო**, რომელიც ნამყო განსაზღვრულს აწარმოებს.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრება, რომლის მიხედვით დიდლოური და ჰინუსური ენების ნამყოს მიმგებური ფორმები ისტორიულად ნამყო განსაზღვრულის ფორმას უკავშირდება [ბოკარევი 1959: 282].

ვფიქრობთ, საკ. დიდლოურ და ჰინუსურ ენებში წარმოდგენილ ნამყოს მიმღებებს, რომლებიც, ე. ბოკარევის სამართლიანი მოსაზრებით, ნამყო დროის ფორმებია, დაკარგული უნდა ჰქონდეთ კლასის სუფიქსური (resp. ზელსართაული) ნიშნები. ირკვევა, რომ ნამყოს ფორმას, ხუნძურის ანალოგიურად [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 308], აუსლაუტურ პოზიციაში ერთვოდა კლასის შესაბამისი ექსპონენტები და მას ადიექტიურ ფუნქციას ანიჭებდა. კლასის ექსპონენტების მოშლის შემდეგ კლასის ნიშნის თანხლებ (**-უ ← -ო**) ხმოვანს უნდა დაჰკისრებოდა მიმგებობის გადმოცემის ფუნქცია.

ამგვარად, დიდლოურ ენათა **-რუ** (**← -რო**) ფორმანტის ხმოვნითი ელემენტი ხუნზური **-რა** ფორმანტის ხმოვნითი ელემენტის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია და იგი კლასიფიკატორისეული ჩანს. კლასის ექსპონენტების მოშლის შემდეგ, წინამაგალ **-ო-** ხმოვანს უნდა დაჰკისრებოდა მიმგებობის სუფიქსური კლას-ნიშნის ფუნქცია. ამას ჰუნზიბურის ვითარება ადასტურებს. საკ. დიდლოურ და ჰინუსურ ენებში, რომლებშიც ახლა არ დასტურდება **-რ** ფორმანტიანი აორისტი, გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს [იმნაიშვილი 1963: 184] და იგი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

ანალოგიურად უნდა აიხსნას კლასის სუფიქსური ექსპონენტების საკითხი **-სი** მატრიბუტივებელი ფორმანტით დასრულებულ მიმღებებში, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მიმღება კლასიფიკატორიანი იყო.

თუკი ჩვენი ვარაუდი სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ დიდლოურ ენათა ერთი რიგის მიმღებებში გრამატიკული კლასის სუფიქსური ექსპონენტები განვითარების ადრეულ საფეხურზე უნდა არსებულებო.

ბუნებრივია, დაიბადება კითხვა: რამ გამოიწვია დიდლოურ ენათა მიმღებურ ფორმებში კლას-კატეგორიის სუფიქს-ექსპონენტების მოშლა?

ვფიქრობთ, აღნიშნული პროცესი განპირობებული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ფაქტორებით. კლას-ნიშანთა მოშლის ტენდენცია რომ ახასიათებდა დიდოურ ენებს, ამაზე მთელი რიგი ფაქტები მეტყველებს:

1. დაკარგა I კლასის გრამატიკული (-ჟ) ნიშანი, იგი სპორადულად ხვარშიულ ენაშიც იჩენს თავს.

2. კლას-ნიშნები მოშლილია ჩვენებით ნაცვალსახელებში, თუმცა მათი რეკონსტრუქცია ხშირად ხერხდება [ლომთაძე 1956: 269-305].

3. „ღის“ და „ძის“ აღმნიშვნელ სახელწოდებებში გაუჩინარდა კლასის სათანადო ნიშნები და სტრუქტურულად გაუდიფერენცირებელი ლექსიკური ერთეულის განსასხვავებლად ენა სხვა ხერხს მიმართავს: კერძოდ, ატრიბუტივისა და ზმნის პრეფიქსული ნიშნის საშუალებითგა ცდილობს ოპოზიციის დამყარებას.

4. დაბოლოს, ატრიბუტივებმა (ზედსართავებმა და მიმგეობებმა), როგორც თვალსაჩინოვდება, დაკარგეს კლასის სუფიქსური ნიშნები.

გრამატიკული კლასის სუფიქს-ექსპონენტების მოშლა გამოწვეული უნდა იყოს როგორც კომბინატორული, ისე სპონტანური ცვლილებების შედეგად. უთუოდ უნდა ავინიშნოს გარეგანი ფაქტორის ქართულის, როგორც უკლასკატეგორიო ენის ინტენსიური გავლენა დიდოურ ენებზე. ბუნებრივია, ეს გარკვეულწილად გააძლიერებდა მიმდებარე კლასიფიკატორთა მოშლის ზოგად ტენდენციას. ვარაუდს სამხრეთის მხრიდან უშუალოდ მოსაზღვრე ქართული ენის გავლენისა (მრავალმხრივი კონტაქტები ცნობილია ისტორიოგრაფიდან), რაც ასაზრდოებდა ხსენებულ ტენდენციას, მხარს დაუჭერდა თვალსაჩინო მეცნიერთა ცნობილი დებულება, რომ გრამატიკული კლას-კატეგორიის უქონელ ენებთან ახლომეზობლობა ძლიერ აზიანებს კლას-ნიშნებს [ღირი 1928; ჯავახიშვილი 1937: 257; ჩიქობავა 1979: 118].

მეორე მხრივ, გრამატიკულ კლას-ნიშანთა სუფიქსური სისტემის მოშლა ფონეტიკური გზით უნდა წარმართულიყო. კერძოდ, ნამყოს მიმგეობა მეორის I კლასის -ჟ ნიშანს ლაბიალურ (-ო → -უ) ხმოვანთან დისიმილაცია უნდა განეცადა, ხოლო II კლასის -□ ნიშანთან ჯერ ასიმილაცია, შემდეგ კი ასიმილირებული ხმოვანი უკვალოდ დაკარგულა. მაშასადამე, ცნობილი დებულება, რომ „...კლას-ნიშანი ვ- შეიძლება გაუჩინარდეს ფუძისეული უ ხმოვნის წინ და კლას-ნიშანი - ფუძისეული ი ხმოვნის წინ...“ [ცერცვაძე 1965: 105], დიდოურ ენებზედაც ვრცელდება, ოგონდ სებრუნებული ფორმულირებით: კლას-ნიშანი -... შეიძლება რედუცირდეს კლასის ნიშნისეული ო-ს ან უ-ს შემდეგ და -□ კლასის ექსპონენტი კი ჯერ ო-ს ასიმილაციას იწვევს, ხოლო შემდეგ თვითონ რედუცირდება. ამის შემდეგ კი სათანადო პარადიგმა, სუფიქსური წარმოების

მიხედვით, ლეფექტური ხდება და III-IV კლასის ექსპონენტებიც თანდათანობით ქრებიან, ვინაიდან ოპოზიციის დამყარების ფუნქცია ეკარგებათ. ანალოგიური ახსნა ივარაუდება -ს ფორმანტით ნაწარმოებ მიმღეობათა ანალიზისას.

დილოურ ენათა მიმღეობის აფიქსთა წარმომავლობისა და ურთიერთდამოკიდებულებისათვის. ა) **მატრიბუტივებელი ფორმანტის (*-სა) გენეზისისათვის.** მატრიბუტივებელი (resp. მაზედსართავებელი) ფორმანტი დილოურ ენებში წარმოდგენილია -ს- თანხმოვნითა და სხვადასხვა თანმხლები მხოვნითი ელემენტით, რომელიც საკუთრივ დილოურში, ხვარშიულსა და ბეჟიტურში კანონზომიერ ფონეტიკურ შესატკევისობას იძლევა: საკ. დიდ. -სი, ხვამ. -სა (საკ. ხვარშ.), -სო (ინხ.), ჰინ. -ს, ბეჟ.-ჰუნხ. -სო (ბეჟ.), -ს (ჰუნხ.). განმხოლოებით დგანან ჰინუხური ენა და ჰუნხიბური დიალექტი, რომლებშიც ცნობილი ხმოვანთშესატყვისობის [ლომთაძე 1955: 27] საფუძველზე რელუცირებული ხმოვნები რეკონსტრუირდება: ჰინ. *-სე, ჰუნხ. *-სა.

შემოსხენებული ფორმანტი მიმღეობის სხვა საწარმოებელ აფიქსებთან შედარებით მეტად პროლუქტიულია. თანხმოვნითი ელემენტი -ს- სპირანტია და ყველგან იდენტურია, ხმოვნითი სახესხვაობებიდან კი, ჩვენი აზრით, ამოსავალს -ა უნდა წარმოადგენდეს. შემომოყვანილ ფორმანტს ბევრი სპეციალისტი შეეხო, თუმცა მისი გენეზისი დილოურ ენებში საბოლოოდ გარკვეული არ არის.

ლაკური ენის ზედსართავი სახელებისა და მიმგეობების (resp. ატიბუტივტა) -ს'ა მაწარმოებელს ნ. ტრუბეცკოი დილოურ (ხვარშიულ, საკ. დილოურ და ბეჟიტურ) ენათა გენეტივის -ს ნიშანს უკავშირებს [ტრუბეცკოი 1987: 328]. ანალოგიურ აზრს ადგას ე. ბოკარევი. იგი წერს: „ჰუნხიბურსა და ჰინუხურ ენებში ნაწარმოებ (მიმართებით _ ნ. ა.) ზედსართავ სახელებს საკუთარი ნიშანი არ აქვთ. ამ ენებში იგი თანხვდება ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს, რომელთანაც მიმართებითი ზედსართავების ნიშანი გენეტურად ჩანს დაკავშირებული“ [ბოკარევი 1959: 275]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ა. ბოკარევი -ს- სპირანტს ცალკე გამოყოფს და მას ხმოვნითურთ ერთ მთლიან ოდენობად არ მიიჩნევს [ბოკარევი 1949: 167; კიკვიძე 1958: 102].

დ. იმნაიშვილის ვარაუდით, ეს ფორმანტი საკ. დილოურში, ჰინუხურსა და ხვარშიულში ნაცვალსახელისა და შორისდებულის ფუძეებს უკავშირდება, თუმცა იგი არ უთითებს კერძოდ რომელს? მკვლევარი ამ ფორმანტის ირიბ ბრუნვათა ფონეტიკურ სახესხვაობებს (-ზი, -ზო, -ზა) უთანაბრებს პირველი პირის ნაცვალსახელს (დი, დო, და „მე“) [იმნაიშვილი 1963: 83], რაც ძნელად გასაზიარებელი ჩანს.

სპეციალისტთა მეტი წილი მხარს უჭერს ატრიბუტივთა მაწარმოებელი ფორმანტის დაკავშირებას დაღესტნის სხვა ენათა სათანადო სუფიქსთან [ბოკარევი 1949: 167; კიკვიძე 1958: 102; ბოკარევი 1959:

274; ლომთაძე 1955: 191; 1962: 55; გულაგა 1976: 31; ცერცვაძე 1965: 187; ბურჭულაძე 1977: 166; 1982: 174; მაჰომედბეგოვა 1987: 222]: ხუნძ. -საებ, ანდ. -საი, ახვას. -საე, ჳამ. -ისა, ბოთლ. -საე, ლაკ. -საა, ღარგ. -სი, თაბ. -სი-ბ, -სუ-ჟ (ღიאל. ვარ.).

ამ საკითხს სპეციალურად ეხება ზ. მაჰომედბეგოვა, რომელიც, ა. ბოკარევისა და კვალად, -ს- სპირანტის მომდევნო ხმოვანს ცალკე გამოყოფს და მას დამოუკიდებელ ოდენობად მიიჩნევს. ბოლოს კი ასკვნის: „ხუნძურ-ანდიურ-ღილოური საერთო ს´ სუფიქსის ეტიმოლოგია ჯერჯერობით გაურკვეველია“ [მაჰომედბეგოვა 1987: 222]. მ. ალექსევი არ გამოირიცხავს ზმნურ ღროთა -ს- სპირანტის შემცველი აფიქსების კავშირს ნათესაობითი ბუნვის ნიშანთან, თუმცა ამოსავლად ადიექტიურ მნიშვნელობას თვლის [ალექსევი 1988: 161].

ჩვენი აზრით, ღილოურ ენათა მატრიბუტივებელი ფორმანტის თანხმოვნითი ელემენტი (-ს-) გენეზის სურად კითხვითი ნაცვალსახელის ძირეულ მორფემას უნდა უკავშირდებოდეს, რომელიც ღილოურ ენებში შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: საკ. ღიდ. შ-ევ ← *ს-ევ || შ-ებ-ი ← ს-ებ-ი¹ „ვინ“ „რა“; ხვარშ. ჰ-იბ-ა ← *შ-იბ-ა ← *ს-იბ-ა (საკ. ხვარშ.), ჰ-იბ-ო ← *შ-იბ-ო ← *ს-იბ-ო (ინსოყვ.), ჰინ. სჟ || სჟ, ბეჟ.-ჰუნზ. ს-დ-ო || ს-ირ-ო || შ-იდ-ო (ბეჟ.), „რა“; შ-იდ-ო ← *ს-იდ-ო || შ-იჟ-ო ← *ს-იჟ-ო (შღრ. ბეჟ. ს-იდ-ო) (ჰუნძ.), „რა“. სა-ვარაუდოა, რომ კითხვით ნაცვალსახელებში გამოვლენილი (-..., -ბ, -დ-, -რ) თანხმოვნები წარმოშობით რელიქტურად შემონახული და გაქვავებული კლასის ექსპონენტებია [იმნაიშვილი 1963: 129]. რაც შეეხება ამ თანხმოვანთა წინამავალ ხმოვნებს, ისინი კლას-ნიშანთა წინამავალ ხმოვნებად უნდა მივიჩნიოთ, რადგან „გრამატიკული კლასის თანხმოვანი ნიშანს ფუზესთან დასაკავშირებლად ხმოვანი სჭირდება“ [ლომთაძე 1956: 280]. სხვანაირად ვერ აიცილებს თანხმოვანთა თავყრას, რაც ნიშანდობლივი არაა ამ ენათა ფონოტაქტიკისთვის. ხვარშიული ენის კითხვითი ნაცვალსახელის აღდგენილი ფუძისეული შ, თავის მხრივ, ს სპირანტისაგან უნდა მომდინარეობდეს, რომლის არქეტიპი დაცული ჩანს ჰინუხურსა და ბეჟიტურში.

კითხვით ნაცვალსახელებში შ- ძირეული მორფემის ადგილას ს- ყრუ სპირანტის რეკონსტრუქციას

¹ ღ. იმნაიშვილის სამართლიანი მოსაზრებით, შ ფშინვიერი სპირანტი მომდინარეობს შ ყრუ სპირანტისაგან, ხოლო ნაცვალსახელებში გამოვლენილ ბოლოკიდური თანხმოვნები (-ვ, -ბ) კლას-კატეგორიის ექსპონენტებს უკა უკავშირდებოდეს [იხ. იმნაიშვილი 1963 : 129]. იღ. ცერცვაძე ხუნძურ ენაში ნაცვალსახელის ძველ ვარიანტად მიიჩნევს ირიბ ბრუნვებში დადასტურებულ შ- სპირანტის შემცველ ფორმებს [იხ. ცერცვაძე 21953 : 176]. ჩვენი ვარაუდით, ხმოვნითი ელემენტი კლასის ნიშნის თანხმობი ხმოვანი ჩანს. შესაძლებელია იგი, ცნობილი ხმოვანთშესატყვისობის საფუძველზე, ი-სგან მომდინარედ ვცნოთ (შღრ. ჰინ. შჟ „რა“): შ-ევ < *შ-ევ < *შ-ევ < შ-ივ [იხ. ლომთაძე 1956 : 281].

მხარს უჭერს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებთან შედარება: ჩაჩ. **სთ-იე(ნ)-**, ინგ. **სე-ნ**, ბაც. **სტ-ენ**, ქვემო-ლიგ. **სე-დ**, ყაბ. **სე-თ**, ქართ. ***სა** (→ **რა**): სა-ნამდის, სა-დ [ცერცვაძე 1953: 177; კიკვიძე 1958ა: 758; ბურ-ჭულაძე 1982: 174].

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ზედსართავ სახელებთან საანალიზო ფორმანტი თავდაპირველად განუსაზღვრელი ნაწევრის როლს ასრულებდა, ხოლო მოგვიანებით მას სადერივაციო ელემენტის ფუნქცია დაეკისრა [კიკვიძე 1958ა: 758].

დიდოურ ენათა მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ უწინ ამ ფორმანტს მსაზღვრელი ნაწევრის ფუნქცია უნდა ჰქონოდა იგი ერთვოდა სახელურ ფუძეს და მას განსაზღვრულობას ანიჭებდა [იმნაიშვილი 1963: 80-81]. ეს საკუთრივ დიდოური ენის ვითარებით ზედსართავ სახელებში სპორადულად, ხოლო ხვარშიულში სისტემებრ დასტურდება, მაგალითად: საკ. დიდ. **ბ-იგუ-სი** „ის, რომელიც კარგია“ (მდრ. ბ-იგუ „კარგი“), **ალუკა-სი** „ის, რომელიც თეთრია“ (მდრ. **ალუკა** „თეთრი“)...; ხვარშ. **ლ-უყუ-სი** (ინხ.) „ის, რომელიც ღილია“ (მდრ. **ლ-უყუ** „ღილი“), **ლ-უწუ-სა** (საკ. ხვარშ.) „ის, რომელიც ცივია“ (მდრ. **ლ-უაწა** „ცივი“) და მრ. სხვ.

საფიქრებელია, საკუთრივ დიდოური ენის ატრიბუტივებს ბოლოკიდურად მსაზღვრელი ნაწილაკი **-ნი** რომ დაერთო, **-სი** ფორმანტმა უკვე განუსაზღვრელი ნაწილაკის ფუნქცია შეიძინა, მაგ.: **ჟავულ-სი** „დღევანდელი“ **ჟავულ-სი-ნი** „ის, რომელიც დღევანდელია“.

ამრიგად, დიდოურ ენათა მატრიბუტივებელი ***-სა** ფორმანტი ნაცვალსახელური წარმომავლობისა იგი უკავშირდება კითხვით ნაცვალსახელებს. თავდაპირველად მას განსაზღვრებითი ნაწევრის ფუნქცია უნდა ჰქონოდა. საკუთრივ დიდოურ ენაში ზედსართავ სახელებსა და მიმგებობებში განსაზღვრებითობის ფუნქცია თანდათანობით დაიწრდილა და ამჟამად უმთავრესად განუსაზღვრელობის ანდა გამოცალკეებითობის ფუნქცია შეიძინა. ეს იმანაც შეაპირობა, რომ განსაზღვრებითობის გამოსატყა **-ნი** ნაწილაკმა იკისრა.

ბ) ***-რო** ფორმანტის გენეზისისათვის. როგორც ცნობილია, **-ო** || **-რო** ფორმანტი საკ. ბეჟიტურ დიალექტში ნამყო ზირითადას და ნამყოს მიმღეობას აწარმოებს. მის ფარდ ოდენობად დიდოურ ენასა და ჰინუხურში **-რუ** ფორმანტი დასტურდება, რომელიც ნამყოს მიმღეობათა საწარმოებლად გვეკვლინება. ამავე რიგში შემოვა ხვარშიული ენის ნამყო ზირითადის სუფიქსი: **-ა** (საკ. ხვარშ.), **-ი** (ინხ.). ჰუნზიბურ დიალექტში ოდენ **-რ** სონორი გვაქვს [ლომთაძე 1959: 13; ბოკარევი 1959: 282; იმნაიშვილი 1963: 184].

ვფიქრობთ, ნამყო განსაზღვრულის (resp. ძირითადის) ყველა შემოწარმოდგენილი ფორმანტის თან-

ხმოვნითი ელემენტი ერთ საერთო -რ ელემენტზე დაიყვანება. ხვარშიულ ენაში -ჲ □ რომ -რ სონორისაგან არის მიღებული, ამას დილოური ენა ცხადყოფს, რომელსაც ნამყოს არქაულ ნიშნად -□ა უდასტურდება, ხოლო საპალურ დიალექტში -ჲ □ მოგვეპოვება. საკ. დილოურის ვითარება გვევლინება გარდამავალ რგოლად -რ → -ჲ □ პროცესისა. -რ სონორი, თავის მხრივ, შესაზლოა -დ-საც დაუკავშირდეს [იმნაიშვილი 1963: 184].

გ) მიმღობა-სუბსტანტივთა სუფიქსების წარმომავლობისათვის. დილოურ ენაში მიმღობა-სუბსტანტივებს აწარმოებენ -კუ, -მუ, -ჳუ და -ხუ სუფიქსები, რომლებიც პირდაპირ ზმნურ ფუძეებს ერთვიან. საკუთრივ დილოურ -კუ სუფიქსს უცვლელი პარალელი -კუ სუფიქსის სახით საკუთრივ ხვარშიულ დიალექტში ეძებნება. თავის მხრივ, ხსენებული სუფიქსი შეიძლება წარმომავლობით სხვა დილოურ ენათა -გ- თანხმოვნის შემცველ ანალოგიური ფუნქციის ფორმანტს დაუკავშიროთ, რომელიც დილოურ ენათა ერთობის ხანისთვის რეკონსტრუირდება: ბეჟ. -გი, -გო; ინხ. -გუ, ჰინ. -ტუ ← *-კუ ← *-გუ (შდრ. ნახ. -იგ, -იკ).

ყველა ეს ფორმანტი შესაბამის ენებში თანაარსებობენ და მსგავს ფუნქციებს ასრულებენ.

ჩვენი ვარაუდით, ამოსავალს საანალიზო ფორმანტის სახესხვაობათათვის -გ- თანხმოვნიანი ვარიანტი უნდა წარმოადგენდეს [ლომთაძე 1962: 291].

ვფიქრობთ, რომ -გ- კონსონანტის შემცველი აფიქსი III პირის ნაცვალსახელურ ძირს უკავშირდება. ამგვარი ვარაუდის დაშვებას შესაძლებელს ხდის იქ მდებარე საგანზე მიმთითებელი III პირის ნაცვალსახელის აგებულება ბეჟიტურსა (ჭაჰა-გი, ჭაჰა-გო „ის“) და ჰინუხურში (ჰა-გო, ჰიბჳ-გო „ის“) [ლომთაძე 1956ა: 275; იმნაიშვილი 1963 : 83], რომლებშიც ხმოვნები ზემოსხენებულ ფორმანტთა ხმოვნების ტოლფარდია. ჰინუხურში თანხმოვნის ფონეტიკური ცვალების გათვალისწინება ხერხდება.

რაც შეეხება დილოური ენის -ჳუ, -ხუ ფორმანტებს, ჩვენი შეხედულებით, საერთო წარმომავლობა უნდა ჰქონდეთ, კერძოდ, არქეტის -ჳო სუფიქსი უნდა წარმოადგენდეს.

ზმნისართი

ზმნისართი ისეთ მორფოლოგიური მონაცემია, რომელიც ზმნის დაკონკრეტება-დეტერმინაციას ახდენს და ენას მეტ მოქნილობას ანიჭებს. მართალია, ზმნისართის სტრუქტურა ხშირად ბოლომდე ჩამონაკვთულ-ჩამოყალიბებული არ არის, მაგრამ მას თავისი სახე და მკაფიოდ გამოხატული ფუნქციურ-სემანტიკური

ველი აქვს. საკვლევ ენებში ზმნისართის, როგორც ზმნის ატრიბუტის, თანხვედნა მეტყველების სსხვა ნაწილებთან (ნაცვალსახელი, ზედსართავი სახელი, თანდებული...) ჩვეულებრივი მოვლენაა. ამასთან, არაიშვიათად ზმნისათები ამა თუ იმ სახელის ბრუნვის გაქვავებულ ფორმას წარმოადგენენ, მეტადრე ეს ითქმის ლოკატიურ ბრუნვის ფორმებზე.

ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ერთობის ხანისთვის რეკონსტრუირდება როგორც მარტივი, ისე რთული (ნაწარმოები) სტრუქტურის ზმნისართები, რომლებიც ამ ენათა გენეტიკურ ნათესაობაზე მიგვანიშნებენ:

1) ხუნძ. ტა-დ (ჰიდ. ტა-დ) ~ ანდ. ჰი-ტა, ბოთლ. ჰე-ტა, ჭამ. ჰი-ლა-დ, ახვ. ტა-ლო ~საკ. დიდ. ტაი-რი, ჰინ. ტაე-რ, ხვარშ. ტაა-ლა, ბეჟ. ტაო-ლო „ზედ“, „ზემოთ“.

ამ ზმნისართის თანხმოვანიც (*ტ) და ხმოვანიც (*ა) კანონზომიერ შესატყვისობას გვიჩვენებენ. ძირეული მორფემა *ტა „ზედ“. ჰი-, ჰე- ელემენტები ანლაუტში ფშვინვიერი შემართვით ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენილი ჩანს. რაც შეეხება ბოლოკილორ ელემენტებს (-დ, -ლა), ისინი სუფიქსური ელემენტებია.

2) ხუნძ. ჰო-ლო-ბ ~ ანდ. ჰო-ყო-ლ-ლო, ახვ. ყო-ლა („იატაკი“) ~საკ. დიდ. ყი-ლა, ჰინ. ყი-დი, ხვარშ. ყუ-დე, ჰუნზ. ყე-რე „ქვევით“, „ძირს“, „მიწაზე“.

ძირეულ მორფემად ყ ითვლება, რომელიც გახმოვანებულია. მისი ეტიმონი არის „მიწა“ (შდრ. არჩ.). ბოლოკილორი -ლა/-ლო/-დი /-რე „-ზე“ თანდებულის ტოლფარდია. ჰუნზ. -რე (<*დე, შდრ. ხვარშ.).

3) ხუნძ. რე-ლ'ე-ლა ~ანდ. რე-ლ'ო, ბოთლ., ბაგვ. რე-ჰა, ლოდ., ტინდ. რე-ლ'ა, ჭამ. დე-ლ'ა, ახვ. რე-ლ'ა ~ საკ. დიდ. ჰუ-ლ', ხვარშ., ბეჟ. ჰუ^ნ-ლ' „საღამოს“, „გუშინ“.

ხუნძური ფორმა გართლებულია -ლა ელემენტით, რომელიც ლოკატიური ბრუნვის ნიშანი („-ზე“) უნდა იყოს. რე-/ჰუ-/ჰუ^ნ- (<*ნუ-) სეგმენტი შესაძლებელია ოდინდელი კლას-ნიშანი იყოს. ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობის შემცველია -*ლ'ა ძირეული მორფემა, თუმცა ბოლომდე ნათელი არ არის ა-ს ფუნქცია, რომელიც ხუნძურ-ანდიურ ენებში კანონზომიერი შესატყვისობით (ა:ო) არის წარმოდგენილი.

4) ხუნძ. ჟა-ყა/ჟა-ყა-დ ~ ანდ. დე-ლ'ა-ლ (<ჟე-ლ'ა-ლ) ~საკ. დიდ. ჟა-ჟუ „დღეს“.

ანლაუტში ჟა-დე- მითითებითი ნაწილაკი ჩანს, რომელიც ქართ. „ამ“, „იმ“ ოდენობას უდრის. ძირეული მასალაა ყ, რომელიც გახმოვანებულია და „მზეს“ უკავშირდება ყო (<*ყა) „დღე“. ანდიურში სხვა

ძირი ჩანს, დიდლოურში კი ზუსტი შესატყვისი (ხუნდ. ყ : დიდ. ვ) დასტურდება. ბოლოკიდური -დ/-ლ' ლოკატიური ბრუნვის ნიშნები უნდა იყვნენ.¹

5) ხუნდ. ხად-უბ ~ ანდ. ბე-ხუდ-უ (<*ბე-ხოდ-უ) : ბოთლ., ლოდ. ბე-ხუტ-უ, ახვ. ჯედ-ო ~ საკ. დიდ. ხიზ-ორ, ხვარშ. ჰედ „უკან“, „შემდეგ“.

საგულისხმოა, რომ ანდლოურში ეს ზმნისართი თავკიდურად კლასიფიკატორს შეიცავს, ხოლო ბოლოკიდურად – ოდინდელი ადგილობითი ბრუნვის სუფიქსს [იხ. ცერცვაძე 1965 : 276].

6) ხუნდ. რო-ჰელ ~ ანდ. ო-ხოდ-ო-რო, ახვ. ხად-ა ~ საკ. დიდ. ღ'უდ-ე, ჰინ. ლ'უედ-ე, ხვარშ. ღ'ჟად-ე, ბეჟ. ჟოდ-ო (<*ჰოდ-ო) „დილა“, „ხვალ“.

როგორც ჩანს, ძირეულ მორფემად ხად- გამოიყოფა, რომელიც რთულდება სხვადასხვაგვარი განსაზღვრებითი ნაწილაკებით.

7) ხუნდ. ტაიბ-ილ („ძირი“) ~ ანდ. ჰი-ტაომ, ბოთლ. ჰი-ტაიმ, ტინდ. ჰე-ტაბ, ბავგ. ჰე-ტაემ, ახვ. ეტა-ე ~ ს. დიდ. *-ლ'//-*ლ'ო, შდრ. ბეჟ. ღ'ი-რო „id.“) „ქვეშ“, „ძირს“.

ს.-ხუნდ.-ანდ. *-ტა/*-ტაი ~ ს.-დიდ. *-ლ'/*-ლ'ო, როგორც ტ. გულავა აღნიშნავს: „... ЯВЛЯЕТСЯ ОДНОЙ ИЗ ДРЕВНЕЙШИХ В ДАГЕСТАНСКИХ ЯЗЫКАХ“ [გულავა 1979 : 187].

ამგვარი ზმნისართის („ძირს“, „ქვეშ“) კავშირი ერთ-ერთი ლოკატიური ბრუნვის ნიშანთან (ხუნდ. -ტა ~ ანდ. ტაი ~ საკ. დიდ. -ლ'ო „ქვეშ“) ეჭვსგარეშეა.

8) ხუნდ. ჟი-გი ~ ბეჟ. ჟე-ნ „კიდევ“. ძირეული მასალა ჩანს ჟV-. ხუნდ. -გი, ბეჟ. -ნ ნაწილაკებია და მნიშვნელობით ქართ. -ც ნაწილაკს ეტოლდება.

9) ანდ. ინ-ნა(ლ) (<*ინ-და, შდრ. ხუნდ. ქი-და, ბოთლ. ინ-და „id.“), ბავგ. ინ-და-და, კარ., ტინდ. ჰი⁶-და (<*ნი-და), ჭამ. ინ-ნა (<*ინ-და<*ნი-და) ~ საკ. დიდ. ნე-თთი, ჰინ. ნე-თთე, ხვარშ. ნა-თთი, ბეჟ. ნი-თო (საკ. ბეჟ.), ჰე-დ (ჰუნზ.) „როდის?“

ზემომოყვანილი ზმნისართის ანალიზისას ი. ცერცვაძე წერს: „-ა სუფიქსის რაობა ცხადი არ არის“.. [ცერცვაძე 1965 : 278].

¹ დიდლოურ ენებში -ლ' მიგვითითებს რაიმე ნივთიერებაში ან საგანში შიგთქონებაზე (ღ'ი-ლ' „წყალში“..), ხოლო -ა - ცარიელ შინაგან სივრცეში (ლუთკა-ა „სახლში“...). საინტერესოა, რომ ამ ენაზე მოაზროვნე და მოლაპარაკე ხალხის ცნობიერებაში „დღე“ („დღეს“) მოაზრება როგორც შინაგანი სივრცის მქონე საგანი ან მოვლენა.

ჩვენი დაკვირვებით, ანდ. -ნა (>***-და**), რასაც სხვა ანდიური ენები ცხადყოფენ. -და კითხვით-გაძლიერებითი ნაწილაკი ცნობილია ანდიური ენებიდან [გულავა 1962 :154]. თავად ანდიურ ენაში კითხვით სიტყვებთან -დი ნაწილაკი იხმარება, რომელიც ღროთა მიხედვით გაჩეულია [ცერცვაძე 1965 : 286].

რაც შეეხება დილოურ ენებს, ღროის ზმნისართში დ უნდა რეკონსტრუირდეს: ნე-თთი (<*ნე-დი, შდრ. ჰუნზ. ჰგ-დ „id.“). თ-ს გაორმაგება ბოლომდე ცხადი არ არის.

10) ხუნძ. სად, შოუნ-დი (დიალ. ვარ.) ~ კარ. სუნ-ა ~ საკ. დიდ. ში-და, ჰინ. სი-რა, ბეჟ. სუ-დ „რატომ?“.

ყურადღებას იქცევენ ერთი რიგის ზმნისართები, რომლებსაც ცალკეულ ენათა ჯგუფებში საერთო წარმომავლობა უდასტურდება. კერძოდ, საკუთრივ დილოურ ენაში **ენ-ტო**, **ინ-ტო** გამოხატავს ადგილის ზმნისართს „აქ“ (I პირთან ახლოს). ამ მნიშვნელობით ჰინზურში **ჰა-დი** დაჩნდება, რომელსაც ხვარშიულში ტოლფარდ ოდენობად **ი-დი**, **ი-დე** მოეპოვება. თუ **დ>ტ** სწორია, მაშინ ეს ზმნისართი საერთო წარმომავლობის მქონედ ჩაითვლება, თუმცა სხვა საკვლევ ენებში საერთო ძირეული მასალის მქონე ეკვივალენტი მისთვის ჯერ არ არის გამოვლენილი.

დაახლოებით ანალოგიურ სურათს გვიჩვენებს ზმნისართი „წინ“, რომელიც ხუნძურ-ანდიურ ენებში **ცო-** („ერთი“) რიცხვით სახელს უკავშირდება, შდრ. ხუნძ. ცე-ბ-ე, ანდ. სედ-უ (შდრ. სეებ „ერთი“) და ა.შ. დილოურ ენებში გვხვდება სრულიად სხვა წარმომავლობის ზმნისართი: საკ. დიდ. **ადერ**, ჰინ. **აღლა-ჰო**, ბეჟ. **არად-დ**, **არტო** (დიალ. ვარ.) „წინ“, „უწინ“.

3. ლაკურ და დარგულ ენათა ზმნის მორფოლოგია: ზმნის ღერივაციული და ფლექსიური კატეგორიები, ნაზმნარი სახელი, ზმნისართი

ლაკურ და დარგულ ენებში ზმნა რთულია და მდიდარია სხვადასხვა მორფოლოგიური კატეგორიებით (კლასი, რიცხვი, პირი, ასპექტი...). სტრუქტურულ-მორფოლოგიური და ღერივაციული თვალსაზრისით გამოიყოფა მარტივი, რთული და შეღვენილი (ანალიზური) ზმნები.

ღერივაციული კატეგორიები

ამოსავალი ზმნური ფუძე ლაკურ ენაში უახლოვდება ინფინიტივის (საწყისის) ფორმას. ამ უკანასკნელს ზმნური ფუძისაგან გამორჩევს ინფინიტივის სუფიქსი **-ნ** (წინამავალი თემატური ხმოვნითურთ), მაგ., ბათა-ა-**ნ** „ცემა“, ყუყ-ი-**ნ** „ჭრა“ და სხვა. ინფინიტივი ლაკურში წარმოადგენს ყველაზე უფრო ზოგად და ამოსავალ ფორმას, რომლისგანაც რეგულარულად იწარმოება სხვა ფორმები, უღველილების სისტემას რომ უღევს საფუძველად.

ინფინიტივი ლაკურ ენაში სამგვარი სახისაა (ასპექტის): არაგანგრძობითი, სრული (ამოსავალი ფუძე + ინფინიტივის თემატურ ხმოვნისანი აფიქსი), უსრული (დიურატივი), რომელიც იწარმოება ზმნის ძირის მომდევნო **-ლ(ა)**- ინფიქსის მეშვეობით; განგრძობითი (იტერატივი), რომელიც იწარმოება **-ავ(ა)**- < **-აბ(ა)**- ინფიქსის მეშვეობით, შდრ. ჩიჩ-ი-**ნ** „წერა“ (სრული), ჩიჩ-**ლ-ა-ნ** „წერა“ (მრავალჯის), ჩიჩ-**ავ-ა-ნ** „წერა“ (რეგულარულად). ინფინიტივის ფორმანტი **-ნ** წარმომავლობით უკავშირდება მიცემითი ბრუნვის **-ნ** აფიქსს, ხოლო თვითონ ინფინიტივი წარმომავლობით ნაზმნარი სახელია. ინფინიტივის კავშირი მიცემით ბრუნვასთან ნიშანდობლივია სხვა დაღესტნური ენებისთვისაც.

ლაკური ენის დიურატივის აფიქსი **-ლ-** მასალობრივ და ფუნქციურად შეესატყვისება განგრძობითის **-ლ-**, **-რ-** აფიქსებს სხვა დაღესტნურ ენებშიც (დარგულში, ხუნძურში, თაბასარანულში), რაც მოწმობს განგრძობითი ასპექტის სისტემის წარმოების საერთობასა და ერთგვაროვნებაზე დაღესტნურ ენათა ზმნაში.

დარგუული ენის ახუმურ დიალექტში, ისევე როგორც არაერთ სხვა დიალექტში, ინფინიტივი იწარმოება

-ე-ს სუფიქსით, ხოლო ურახულ დიალექტში **-ი-ს** სუფიქსით (**-ე-** და **-ი-** თემატური ხმოვნებია, ხოლო საკუთრივ ინფინიტივის მაწარმოებელია **-ს**): ბელკ-**ე-ს** „წერა“, ქაფ-**ე-ს** „დაჯდომა“, ჩე-**ე-ს** „დანახვა“ და სხვა. ამავე ენის წუდახარულ დიალექტში **-ე-ს** სუფიქსის ნაცვლად მოიპოვება **-ი-ზ**, რაც წუდახარულ ფორმას ახლოებს ხუნძური ენის **-ზე** დაბოლოებიან ინფინიტივის ფორმასთან, მაგ., ლიტ. დარგ. ჟაკ-**ე-ს** , წუდ. დიალ. ჟაკ-**ი-ზ** „მოსვლა“ (მდრ. ხუნძ. ყოტ-**ი-ზე** „ჭრა“). დარგუული ენის ინფინიტივის მორფოლოგიური მსგავსება აქვს ლეზგიურ აბსოლუტივის ფორმასთანაც, რომელიც **-იზ** სუფიქსით ბოლოვდება და რომელიც ამ ენაში ინფინიტივის ფუნქციასაც ასრულებს. დარგუულ ინფინიტივის მსგავსება აქვს აგრეთვე ალუღური, წახური, რუთულური და სხვა დაღესტნური ენების ინფინიტივის ფორმებთან, რომლებიც ბოლოვდება **-ს** სუფიქსით.

ზმნის ფუძე დარგუულ ენაში შეიძლება იყოს მარტივი ან ნაწარმოები. მარტივი (ამოსავალი) ფუძე ყოველთვის შედგება ერთი მარცვლისაგან და თანხმონით ბოლოვდება. მაგალითად:

ინფინიტივი	ფუძე
ბარ- ე-ს „კეთება“	ბარ
ქას- ე-ს „ალება“	ქას
ბელკ- ე-ს „წერა“	ბელკ

ლაკური ენის იტერატივის აფიქსი **-ავ-** (< **-აბ-**, მდრ. ვიწხ. ბალხ. **-აბ-**) წარმოდგენილია მასდარის რთულ ფორმანტში **-ავ-უ** (< **-აბ-უ**), მდრ. ჩიჩ-**ავ-ან** „წერა“ (რეგულარულად) და ჩიჩ-**ავ-უ** „წერა“ (მასდარის ფორმა). ეს მსგავსება შემთხვევითი არ უნდა იყოს და, როგორც ჩანს, მასდარის ფორმა წარმოების მხრივ იტერატივის ფორმას ეფარდება. იტერატივის აფიქსი **-ავ-** (< **-აბ-**) არ ავლენს გენეზისურ კავშირს სხვა დაღესტნური ენების ფორმანტებთან, ე.ი. იგი საკუთრივ ლაკურ ნიადაგზე წარმოქმნილი ჩანს [აბლუაევი, 2003: 61].

ლაკური ენის ძირეული ზმნებისათვის დამახასიათებელია თანხმონიანი ანლაუტი – კლასის ნიშნები (მოქმედი ან გაქვავებული) და, იშვიათად, სხვა თანხმონებიც. პირველი მარცვლის ხმოვნებს შორის თითქმის ერთნაირი სიხშირისაა ხმოვნები **-უ-**, **-ა-**, **-ი-**; იშვიათად – ფარინგალიზებული ხმოვნები.

ლაკური ინფინიტივის **-ნ-** დაბლოების წინამავალ თემატურ სმოვნებად გვევლინებიან **-ა-**, **-ი-** და, იშვიათად, **-უ-** და ფარინგალიზებული სმოვნები. რეგულარულად წარმოებულ განგრობით და მრავალჯ ზის ფორმებში ყოველთვის არის წარმოდგენილი სმოვანი **-ა-**, შდრ. ჩიჩ-ი-ნ – ჩიჩ-ლ-ა-ნ – ჩიჩ-ავ-ა-ნ „წერა“. როგორც ჩანს, უფრო მეტად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო სმოვანი **-ა-**, ხოლო სხვა სმოვნების გამოჩენა განპირობებულია ძირეული მორფემის ფონეტიკური თავისებურებებით, შდრ. თაიზ-ი-ნ „გამოწოვა“, ტიტ-ინ „გაღება“ და სხვა. სმოვანი **-უ-** განპირობებული ჩანს ძირეული თანსმოვნის ლაბიალიზებული სასიათით ლაჭ-უ-ნ < ლაკვ-უ-ნ „გარუჯვა“, მაგრამ შდრ. არაქ. დიალ. ლაკვ-ა-ნ „id.“, ხოლო ფარინგალიზებული სმოვნის არსებობა ფუძეში იწვევს თემატური სმოვნის ფარინგალიზაციასაც: ბუყ-ა-ნ > ბუყ-ა-ნ „გადაყლაპვა“.

ლაკური ენის ზმნებში სინქრონიულად გამოვლენილი ძირეული მორფემები, ე.ი. ფუძის ის ნაწილი, რომელიც გამოიყოფა ინფინიტივის ფორმანტისა და თემატური სმოვნის გარეშე, შეიძლება განაწილდეს შემდეგ სტრუქტურულ-მორფოლოგიურ ტიპებად:

- V: შა-(უნ) „ბიძგება“
- VC: უჩ-(ინ) „თქმა“
- CVC: ბ-უჩ-(ან) „მოსვლა“, ლას-(უნ) „აღება“, ყუყ-(ინ) „ჭრა“
- CVCC: ბ-ი-ვ-ჭ-(ან) „მოკვდომა“
- CVCVC: ბ-ურუს-(ინ) „გაგლეჯა“, თაირიზ-(ინ) „გაპობა“.

მარტივი ფუძის მქონე ზმნები გვიჩვენებს, რომ ძირეული ელემენტის სახით მათში, როგორც წესი, წარმოდგენილია ერთი თანსმოვანი, ე.ი. სხვა კავკასიური ენების მსგავსად ზმნური ძირის მონოკონსონანტურობის პრინციპი ლაკურშიც პოულობს ასახვას: ბუ-ჭ-ან „მოსვლა“, ბა-ხა-ან „გაყიდვა“, ბუ-ქა-ან „გასვლა“, ბი-თ-ან „დატოვება“, შა-უნ „ბიძგება“ და სხვა. ძირეული თანსმოვნის გარდა ფუძეში შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვა ელემენტებიც: კლასის ნიშნები (მოქმედი ან გაქვავებული), ინფიქსური მორფემები გარკვეული მნიშვნელობებით (ბუ-რუ-ჩინ „გადარჩენა“), თუმცა ლაკურ ენაში არც თუ ცოტაა ზმნური ძირეული მორფემები, რომლებიც შეიცავენ ორ ან მეტ თანსმოვანს: ჩიჩ-ინ „წერა“, ლას-უნ „აღება“ და სხვა. ასეთი ფუძეები, ჩვეულებრივ, შეიცავენ რედუპლიცირებულ ძირეულ თანსმოვანს (ტიტ-ინ „გაღება“) ან გაქვავებული კლასის ნიშნის ფონეტიკურ ვარიანტს ანლაუტში (თაიზ-ინ < *დ-იზ-ინ < დ-ი-ზ-ინ „მოწველა“, ლას-უნ < რას-უნ < დ-ა-ს-უ-ნ „აღება“). ზოგადად კი ასეთი ფუძეებიც მოწმობენ

ამოსავალი ძირეული მორფემის მონოკონსონანტურ ხასიათს, ხოლო სხვა სახის ფუძეები მოდიფიცირებული ან გართულებული ჩანან და მეორეულია.

შეინიშნება ზმნური ძირეული თანხმოვნების ომონიმია, შდრ. ბა-ყ-ინ „შეტანა“, ბუ-ყ-ან „მოშორება“, ბუ-ყ-ან „დახრჩობა“, ლა-ყ-ინ „დახურვა“, ლუ-ყ-ან „ჩამოშლა“, ყაყ-ან „გახმობა“, ყუყ-ინ „მოჭრა“, ყუყ-ინ „გაიაფება“ და სხვა. ძირეულ თანხმოვნებად არ გვხვდება **ბ, ვ, ფ, ფზ, პ, რ, დ, ნ, მ, ხ, ცხ**.

ყველა ძირეული ზმნა ლაკურ ენაში იყოფა კლასოვან (კლასის ნიშნებით ფუძეებში) და უკლასო (უკლასნიშნო) ზმნებად. ის ზმნები, რომლებიც წარმოდგენილია მხოლოდ დიურატიული ფორმით, ჩვეულებრივ, უკლასოა. ყველა კლასოვანი ზმნის რაოდენობა არ აღემატება ას ფუძეს. მეტწილ ფუძეებში წარმოდგენილია პრეფიქსული კლასის ნიშნები: ბ-აჩინ „წასვლა“, ბ-ითან „დატოვება“, ბ-ურუხაან „კერვა“ და სხვა. იშვიათად გვხვდება ფუძეები პრეფიქსული და ინფიქსური ნიშნებით: ბ-ა-ვ-წინ „გათელვა“, ბ-ი-ვ-ჭან „მოკვლევა, მოკვლა“, ან ოდენ ინფიქსური ნიშნით: წა-ვ-წინ „კაწვრა“, ხა-ვა-ხაან „ჩაბლაუჭება“.

კლასოვან ზმნებს შორის ლაკურში ჭარბობს პირდაპირი წყობის ფუძეები, რომლებიც შედგებიან ხუთი ელემენტისაგან: პრეფიქსული კლასის ნიშანი, ხმოვანი, ძირეული თანხმოვანი, თემატური ხმოვანი, ინფინიტივის ფორმანტი, მაგ., ბ-ა-ჭ-ი-ნ „გაყოფა“, დ-ი-ზ-ან „ადგომა“, ბ-უ-ტ-ი-ნ „დასხმა“, ბ-ი-თ-ან „დატოვება“, ბ-უ-თ-ან „დაგდება“ და სხვ. (სულ დაახ. 70 ფუძე). ზმნური ფუძეების ეს მოდელი ისტორიულად დამახასიათებელია, ლაკურის გარდა, სხვა სხვა დალესტნური ენებისთვისაც, შდრ. დარგ. ბ-ა-თ-ე-ს „დატოვება“, ხუნძ. ბ-ა-ჭ-ი-ნე „მოსვლა“, არჩ. ბ-ე-ვ-ე-ს „გაყინვა“ და სხვა.

ინფიქსური კლასის ნიშნები რიგ ფუძეებში აშკარად ინოვაციური ხასიათისაა და შეინიშნება ზმნური ფუძეების მხოლოდ შეზღუდულ რაოდენობაში. ისტორიულად ამოსავალი და წინარე დალესტნური ენობრივი ერთობის დონისთვისაც დამახასიათებელი იყო კლასის კატეგორიის პრეფიქსული გამოხატვა. პრეფიქსული კლასის ნიშნები **ბ**- და **დ**- საერთოდალესტნური ფუძე ენის კუთვნილებაა, ხოლო **I** კლასის ნიშანი **ვ**- ლაკურ ენაში გამქრალია.

ლაკურ ენაში კლასოვანი ზმნები წარმოდგენილია აგრეთვე ინფიქსური ელემენტებით (ალომორფებით)

-რუ-, -ლუ-, -რი-, რომლებშიც ხმოვანი განპირობებულია პირველი მარცვლის ხმოვნით: **უ-უ, ი-ი** (შდრ. ბუ-რუ-ხაან „შეკერვა“, ბი-რი-დან „ჩავარდნა“). ასეთი ზმნები მეორეულია, წარმოქმნილია პირველადი (პირდაპირი წყობის) ფუძის გართულების შედეგად იმ დამატებითი მორფემის გამოისობით, რომელიც

გადმოსცემს ღიურატიულ (განგრძობით) მნიშვნელობას, შდრ. ბ-უხაუ „შემოდი“, მაგრამ ბუ-ლუ-ხაუ „შემოდი ხოლმე“; შდრ. აგრეთვე ბუ-რუ-ხაან „კერვა“, მაგრამ დარგ. (კუბარ.) ბუხაიდ „კერვა“.

ლაკური ენის ზოგიერთ ზმნაში კლასის ნიშნები გაქვავებულია: ბადან „გაგონება“, შდრ. შადნ. დიად. ბ-ადან, ბუსან „მოყოლა“, შდრ. ხუნძ. ბ-ი-ც-ი-ნე „თქმა“, ანდ. ბ-ოსი-ნნუ „id.“ ; ლაკ. ლუქინ „დასწავლა“, მაგრამ ბ-უქინ „წაკითხვა“ და სხვა. დ-პრეფიქსის შემცველი ზოგიერთი ზმნა ფაკულტატიურად იხმარება რ-პრეფიქსთან: დ-ათაან // რ-ათაან „ცემა“, მაგრამ არის ტენდენცია მათში რ-პრეფიქსის გაბატონებისა, რასაც მოსდევს ასეთი ფორმების სემანტიკური განყენება, ხოლო რ-იქცევა ნახევრად გაქვავებულ ელემენტად: რადან „წახუბება“, რიშაუნ „დარტყმა“, რითაუნ „მოწყვეტა“.

დარგუული ენის ზმნაში კლასის ნიშანი უშუალოდ წინ დაერთვის ზმნის ძირს. კლასის ნიშანი შეიძლება წარმოღვენილი იყოს პრეფიქსად, ინფიქსად და სუფიქსად: ჰაბ-ბერდეს „გარღვევა“ (ჰა-ბ-ზმნისწინია, რომელიც შეიცავს კლასის -ბ-ნიშანს) – ჰარ-დერდეს „გარღვევა“ (ზმნისწინს დართული აქვს კლასის ნიშანი -რ-, ხოლო ზმნის თავკილურში – კლასის ნიშანი დ-), ჩეჭ-ჭარგეს „დაცინვა“ (ჩე-ჭ-ზმნისწინი შეიცავს -ჭ-კლასის ნიშანს, ასევე ზმნაც ანლაუტში), შდრ. ჩებ-ბარგეს (-ბ-კლასის ნიშნით); მსგავსადვე: უჭ-ჭათეს „დატოვება“ – უბ-ბათეს, ჰაჭ-ჭუვეს „გაქცევა“ – ჰაბ-ბუვეს. ორი ჭ თანხმონის ერთად თავმოყრისას მეორე ხშირად გარდება: ჩუჭუჭერდეს // ჩუჭერდეს „მოცილება“, ჩუჭუჭვეს // ჩუჭვეს „განცალკევება“, ჩეჭუჭარგეს // ჩეჭარგეს „დაცინვა“ და სხვა.

დარგუული ენის მულის დიალექტში კლასის ნიშანი გაქვავებულია ზმნისწინებში ჰარ-, ქირ-, შერ-, მაგ., გაქვავებულია ჰარ-უვის „გაქცევა“, ქირ-ავეს „განყოფა“, შერ-ერთის „ამობირკვა“. არის ზმნები, რომელთა ფუძეშიც კლასის ნიშნები გაქვავდა: იდუვეს „გამასხარავება“, ჰიმიდუვეს „ლპობა“, დიგეს „ყვარება“.

დარგუულ ენაში უფრო მრავლადაა უკლასნიშნო ზმნები, მაგ., აკეს „დაბადება“, ატეს „გახლართვა“, ქაყეს „დაყრა“, ქასეს „ალება“, სასეს „მილება“, სერხეს „გამოფხიზლება“, ხეს „მოჭანა“, გეს „მიცემა“, ქეს „მოყვანა“ და სხვა.

როგორც დარგუულში, ისე ლაკურშიც უკლასნიშნო ზმნები რაოდენობრივად მკვეთრად აღემატება კლასნიშნისებს. უკლასნიშნოთაგან ლაკურ ენაში შეიძლება გამოიყოს სხვადასხვა ტიპის ზმნური ფუძეები: ანლაუტის ლ, თა-ს შემცველი (ლასუნ „ალება“, თაიზინ „წველა“), თავკილური თაირი- ელემენტის

შემცველი (თირიჰინ „გახსნა“), რელუპლიცირებული ანლაუტური თანხმონის შემცველი (ტიტინ „გაღება“, ჩიჩინ „წერა“), ერთმარცვლიანი (ზუნ „შეძლება“, შაუნ „ბიძგება“).

რელუპლიცირებული ძირეული თანხმონის შემცველი უკლასნიშნო ზმნები ისტორიული თვალსაზრისით მეორეული წარმონაქმნია. ლაკურ ენაში ასეთი ზმნები წარმოიშვნენ ფუძეში კლასის ნიშნის ცვეთისა და დაკარგვის შედეგად [ბურჭულაძე 1982: 112; აბულავეი 2010: 216-217]. ჩვეულებრივ, შესაღარებელი საერთოძირიანი ზმნური ფუძეები სხვა დაღესტნურ ენებში კლასის ნიშანს გამოაჩენენ: ლაკ. ყვაყვან „გახმობა“, შდრ. ხუნდ. ბ-აყუაზე „გახმობა“; ლაკ. თათან „ღღვება“, შდრ. ხუნდ. ბ-ეთიზე „ღღვება“; ლაკ. შაშან „ქსოვა“, შდრ. დარგ. ბ-უმეს, ხუნდ. ბ-ესიზე „ქსოვა“.

თავკილური თა-ს შემცველი უკლასნიშნო ზმნები ლაკურში (თაიზინ „წველა“, თაირიზინ „გაპობა“) კლასნიშნიანი ზმნებისგან მომდინარეობენ. ამ ფუძეებში თავკილური თა წარმოადგენს გაქვავებული კლასის ნიშან დ-ს ფონეტიკურ ვარიანტს (დ- > თა-): თაიზინ < *დ-იზინ „წველა“, შდრ. დარგ. დ-ირძეს, რუთ. ჟ-ეზინ „წველა“; ლაკ. თაიზინ < **დ-იზინ „წოვა“, შდრ. დარგ. დ-ირვეს „წოვა“; ლაკ. თაირიკვინ < *დ-ირიკვინ „ამოღრუტნა“, შდრ. ხუნდ. ბ-ეკეზე [აბულავეი 2003: 65].

განგრძობითი სემანტიკის ზმნები ლაკურ ენაში ერთმარცვლიან ფუძეს შეიცავენ, შედეგებიან ძირეული თანხმონისა და ინფინიტივის ფორმანტისაგან: ზ-უნ „მუშაობა“, ჩა-ან „ყვარება“ და სხვა., ანდა აქვთ ორმარცვლიანი ფუძეები დიურატივის აფიქსითურთ: თა-ლ-ან „ბრძოლა“, წა-ლ-ან „თავდაცვა“, ჭა-ლ-ან „ხედვა“, შა-ნ-ან „ძილი“ და სხვა. ასეთ ზმნებს დაკარგული აქვთ სრული ასპექტის ფორმები და შემორჩნენ ოდენ დიურატიული ფორმით: ლაკ. ჩაან < *ქაან „ყვარება“, შდრ. დარგ. დ-იგეს „ყვარება“; ლაკ. ზ-უნ „მუშაობა“, შდრ. დარგ. ბ-უმეს; ლაკ. წ-უნ „კენეს“, შდრ. დარგ. იზ-ეს (< ჟ-იზ-ეს) „ავად ყოფნა“; ლაკ. შანან „ძილი“, შდრ. არაქ. ლილ. ბ-იშ-ან „დაძინება“ [აბულავეი 2003: 66].

რთული ზმნები წარმოადგენენ სრულ გაფორმებულ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც შედეგებიან ერთ მთლიანობად შერწყმული ელემენტებისგან და ხასიათდებიან შემადგენელ კომპონენტთა მყარი კავშირით. ლაკურ ენაში ასეთი ზმნების პირველ კომპონენტად გვევლინებიან წარმომავლობით სხვადასხვა ელემენტები, რომელთა შორის ზოგიერთი აშკარად ზმნისართულია. ისინი შეიძლება დავახასიათოთ როგორც ზმნისწინები (პრევერბოიდები), მაგ., ვი-, შდრ. ვი-ვ „შიგნით“; დ-ჰ-, შდრ. დჰ „შიდა ნაწილი“ და სხვა. მეორე კომპონენტად ასეთ წარმონაქმნებში გამოიყენება ზოგიერთი მარტივი ზმნა: ბ-იშინ „დაღება“, ლიჭინ

„შერჭობა“ და სხვა., ხოლო რიგ რთულ ზმნებში მეორე ელემენტები გვეკვლინებიან სიტყვა-სუფიქსების (სუფიქსილების) სახით და ხდება მათი გადაქცევა სიტყვაწარმოებით ელემენტებად.

ლაკური ენის რთულ ზმნებში პირველ ელემენტებად ვლინდება:

ბ-ბ-: ბა-ბიშინ „დაწყება“, ბა-შუნ „ბიძგება“;

ბ-ბ-: ბა-ლიჭინ „გარღვევა“, ბა-ლავან;

ყა-: ყა-ბიკან „გაჩუმება“, ყა-ბაჰან „დაღუძება“;

ვი-: ვი-ლავან „მოფერება“, ვი-ლავან „გაბუტვა“;

ლა-: ლა-ბიკან „დამალვა“, ლა-ლავინ „ალგება“;

ლბ-: ლბ-ბუქან „გაზრდა“.

მეორე კომპონენტად გამოიყოფა:

-ლინ : ბა-ლინ „შეჩერება“;

-ხინ : ბა-ხინ „არილება“;

-ყენ : ბა-ყენ „დაკარგვა“;

-ხან : კალ-ხან „გათეთრება“.

დარგული ენა განსაკუთრებით გამოირჩევა ზმნისწინების (პრევერბების) სიმდიდრით. ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით დარგული ზმნური პრეფიქსების დახასიათება შეიძლება მოვასწარმოო შემდეგნაირად:

ა- „ზედ, ზემოთ“: ა-ბაწეს „აძვრომა“, ა-ბათეს „ზედ დადება“, ა-ბუვეს „აღმასვლა“, ა-ბეს „აღომა“, ა-კეს „შობა, დაბადება“;

ქა- „ქვემოთ“: ქა-ბეს „დაჯდომა“, ქა-წეს „ჩაშვება“, ქა-ბათეს „ჩატანა“, ქა-ბუვეს „აღმასვლა“;

ლაგ- // **ლაგ-ჭაჭ-** „ზემოთ“: ლაგ-ბეს „შეხვედრა“, ლაგ-ბეს //ლაგ-ჭაჭ-ბეს „ასვლა“, ლაგ-ბეს „ჩასვლა“;

სა- „აქ, აქეთ“: სა-ბეს „აღება“, სა-ბეს „მოღწევა“, სა-ბუვეს „მოსვლა“, სა-ბათეს „გამორეკვა“;

არ- „აქედან“: არ-ბეს „წაღება“, არ-ბუვეს „წასვლა“;

ბუ-//ბე-//ბეთ-//ბეთჰელ- (ბ- წარმოადგენს კლასის ნიშანს) „იქ, იქით“: ბუ-ბეს „წაღება“ (შდრ. ბეს „მოტანა“), ბე-ბეს (< ბეღეს) „მიცემა“ (შდრ. ბეს „მიცემა“), ბეთ-ბეს „მისწრაფება“, ბეთჰელ-ბეს „წასვლა, გამგზავნება“;

ბათ- „-ღან“, „-გან“, „რამისგან“, „რამიდან“: ბათ-ბუკვეს „გათავისუფლება“, ბათ-აეს „გაშვება“ (შდრ. ზმნისართი ბათ-ლი „თავისუფლად“);

ლუ- //ლზ- „აქეთ“: ლუ-გეს „მოცემა“ (შდრ. გეს „მიცემა“), ლზ-ჟყვს „მოვლივარ“;

ჩე- „ზემოდან“: ჩე-ბინჯეს „დადება“, ჩე-ბათეს „დამატება“, ჩე-ბუკვეს „დამოდვრა“, ჩე-ბიეს „ლახურვა“;

ჩელი- „ზემოთ“: ჩელი-ბიქეს „გამარჯვება ვინმეზე“, ჩელი-ბუკვეს „გადასვლა“;

უ- „ქვეშ“: უ-ბიკვეს „ქვეშ ამოღება“, უ-ბუკვეს „ფეხქვეშ გაგდება“, უ-ბიეს „გარს შემორტყმა“, უ-ბიქეს „ჩაჯღომა“;

ული- „ქვეშ“, ქვემოთ“: ული-ბიქეს „ჩავარღნა“, ული-აყეს „ჩაყრა“;

უბ- „ქვემოდან“: უბ-ბუშეს „გამოღება“, უბ-ბათეს „დატოვება“, უბ-ბუკვეს „გათავისუფლება“;

უბზ- „ქვევით“: უბზ-ბუკვეს „ჩაშვება“, უბზ-ბიკეს „დაცემა“;

ჰა- // ჰაბ- // ჰალა-// ჰალაბზ- „წინ“: ჰა-ბუკვეს „მიწევა“, ჰა-ბუკვეს „წინ წაწევა“, ჰაბ-ბუკვეს „გაქცევა“, ჰალა-ბიქეს „გასწრება“, ჰალა-ბაკეს „გათვალისწინება“, ჰალაბზ-ბიკეს „მომარაგება“;

ჰე- //ჰელა- „უკან“: ჰე-ბზვეს „მხარზე მოგდება“, ჰე-კეს „შეტენვა“, ჰელა-ბიკეს „ჩამორჩენა“, ჰელა-ბზვეს „ლაზოგვა“;

ჰებ- //ჰერ- „უკნიდან“: ჰებ-ბუკვეს „მხარდაჭერა“, ჰებ-ბაეს „მიწევა“, ჰერ-ღარეს „მიბაძვა“;

ჰერლი- „მომღვენოლ“, „უკნიდან“: ჰერლი-ინჯეს „გამოკიდება“;

ღურა- „გარეთ“: ღურა-ბუკვეს „გასვლა“, ღურა-ყეს „გაშვება“, ღურა-სეს „გამოღება, გამოტანა“;

ბუჰნა- „შიგ“: ბუჰნა-ბუკვეს „შესვლა“, ბუჰნა-ყეს „შერეკვა“;

ურგა- „შუაში“: ურგა-ბიქეს „შუაში მოხვედრა“, ურგა-ბუკვეს „მოღუნვა“;

ურგარ- „შუიდან“: ურგარ-უკვეს „გათავისუფლება“.

დაღესტნურ ენათათვის დამახასიათებელია ზმნების ანალიზური სიტყვაწარმოებაც და რთული შედგენილი ზმნების სიუხვე.

ანალიზური ზმნები შეიცავენ ორ კომპონენტს ძირითად (აზრობრივ) ნაწილსა და მეშველ ზმნას, რომელიც გამოდის სიტყვის მაწარმოებელი ფორმანტის როლში.

ლაკურ ენაში დამხმარედ ხშირად გვევლინება ზმნები **ბ-ან** „კეთება“, **ხ-უნ** „გარდაქცევა“, **ბ-იკან** „ყოფნა“, **ბ-ითან** „დატოვება“, **უჩინ** „თქმა“, **ტუნ** „ლაპარაკი“, **ბ-უქან** „გამოსვლა, გახდომა“, **ლაგან** „წასვლა“, **ბ-იზან** „დაღმა“ და სხვა. ძირითად (აზრობრივ) ნაწილად გამოიყენება არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნისართი. გავრცელებულია რთული შედგენილი ზმნების წარმოება სახელური ფუძისაგან ისეთი ზმნების მეშვეობით, როგორცაა **ბ-ან** „კეთება, ქმნა“ (გარდამავალი მნიშვნელობით) და **ხ-უნ** „გარდაქცევა, გახდომა“ (გარდაუვალი მნიშვნელობით), მაგ., კალა-ბან „გათეთრება, თეთრად შეღებვა“, კალა-ხ-უნ „თეთრად ქცევა“, შღრ. კალა-შივეუ „სითეთრე“, კალა-სა „თეთრი“, კალა-ნუ „თეთრად“.

ღარგუულ ენაში რთული შედგენილი ზმნების წარმოებისას გამოიყენება შემდეგი მეშველი ზმნები:

ბარეს „კეთება, ქმნა“: იყალა-ბარეს „დახმარება“, ვაადლი-ბარეს „მცდელობა“ (ვაადლი „ცდა“), წაყ-ბარეს „გაძლიერება“ (წაყ „ძალა“);

ბიეს „გარდაქცევა, გახდომა“: აჰ-ბიეს „გაუმჯობესება“, თამან-ბიეს „დასრულება“;

ბიკეს „თქმა“: ფიქრი-იკეს „გაფიქრება“;

ბუცეს „ჭერა“: ავ-ბუცეს „აწევა“, შამ-ბუცეს „ძირს დაშვება“, ჩე-ბუცეს „დამოდვრა, ჭკუის ღარიგება“, შებ-ბუცეს „მხარდაჭერა“;

ბუვეს „გატანა, გაყვანა“: ურკუ-ვეს „შეშინება“, ფიქრი-უვეს „გაფიქრება“, ლად-უვეს „დალაპარაკება“;

ბუეს „ღარჩენა“: ბუყ-ბუეს „გაფუჭება“;

ბუშეს „დაგდება“: ჩე-ბუშეს „თავდასხმა“;

ბიზეს „აღღომა“: ტაგ-ბიზეს „ღღომა“, ჰაჰ-ბიზეს „გახეკება“, ხალა-ბიზეს „გადიდება“, უნჯა-ბიზეს „მოწონება“;

ბაჰეს „დაწყება“: იზეს-ბაჰეს „ავად გახდომა“;

ავეს „დაღმა“: ვარ-ავეს „დაყრდნობა“, ლუჰ-ავეს „მოსმენა“, ბაჰ-ავეს „გაგდება“;

ბიქეს „დაგარდნა“: ვაად-ბიქეს „თავის დანებება“, ვარ-ბიქეს „თავის დანებება“, უბ-ბიქეს „ჩამორჩენა“.

ლაკურ ენაში ხშირად გვხვდება ფუძეები, რომლებიც დამოუკიდებლად არ იხმარება და მხოლოდ ანალიზურ ზმნებშია შემონახული სახელურ ნაწილად. ასეთი ფუძეები შეიძლება იყოს საკუთრივ ლაკური ან ნასესხები, ხოლო საკუთრივ ლაკურში ვლინდება მარტივი და ნაწარმოები ფუძეები. ნაწარმოებ ფუძეებში გვხვდება ისეთები, როგორცაა **ჯანა** (ბ-იკან) „დაბრუნება“, კურა (ბ-ადინ) „მოტრიალება, მობრუნება“, ვამა

(ბ-ითან) „ღვიწყება“, ტიტი (ბ-ავინ) „გაჭიმვა“ და სხვა. ისტორიულად ასეთი ფუძეები, როგორც ჩანს, ნაწარმოები იყო, შდრ. ჰუჯ-ა (ბ-ითან) „გაოფლიანება“ (შდრ. ჰუჯ „ოფლი“), ნიჰ-ა (ბ-უსან) „შეშინება“ (ნიჰ „შიში“) და სხვა. შესაძლებელია, რომ ამგვარი ფუძეებიდან ზოგიერთი ეტიმოლოგიურად ზმნებისგან მომდინარეობდეს, მაგ., ტიტი (ბ-ავინ) „გაწელვა, გაჭიმვა“, შდრ. ტიტინ „გახსნა, გაღება, გაფართოება“, შდრ. აგრეთვე ღარგ. ბ-იტის „გავრცელება“; ლაკ. შარა (ლავან) „აღულება“ (შდრ. შარან „ღულილი“) და სხვა [აბდულაევი 2003: 68].

საკმაოდ ხშირად ასეთ ფუძეთა წარმოებისას ლაკურ ენაში გამოიყენება ნათესაობითი ბრუნვის ფორმა: ავლულ (ხ-უნ) „გაველურება“ (შდრ. ავ „ჯიხვი“, „ნადირი“), დანილ (ბ-ან) „გათვალვა“ (და „თვალი“), ხინილ (ბან) „დაფრთხობა“ (ხიან „შეკრთობა“), დაცილ (ბ-ან) „შერიგება“ (ბაყინ „შეთანხმება“) და სხვა.

შედგენილ ზმნათა პირველი კომპონენტები ლაკურ ენაში იწარმოება მთელი რიგი ზმნური და სახელური ფუძეებისგან -არი სუფიქსის მეშვეობით: ყუყ-არი (დან) „დაქუცმაცება“ (შდრ. ყუყინ „მოჭრა“), ვარჭ-არი (დან) „გახვრეტა“ (შდრ. ვარჭუ „ნახვრეტი“) და სხვა. სუფიქსი -არი გამოიყენება ზედსართავ სახელებშიც: შატ-არი-სა „ტალღოვანი“ (შდრ. შატი „ტალღა“).

ზმნის სისტემაში სუფიქსი -არი მასალობრივად უახლოვდება ხუნძური ენის განგრძობითობის გამომხატველ -არ- აფიქსს: ხუნძ. ყოტ-ი-ზე „ჭრა“, მაგრამ ყოტ-არ-ი-ზე „ჩეხვა, დაქუცმაცება“; უახლოვდება აგრეთვე ლეზგიური ენის -არ სუფიქსს: ლეზგ. რახუნ „ლაპარაკი“, მაგრამ რახუნ-არ-უნ „ბევრი ლაპარაკი“; ხოლო ზედსართავი სახელის სისტემაში ლაკური სუფიქსი -არი მასალობრივად ახლოსაა დარგუული ენის -არ სუფიქსთან: დარგ. ნუღბ-არ „წარბებიანი“, ნუღბ-ბი „წარბები“.

ფლექსია. ლაკური და დარგუული ენების ზმნა გამოირჩევა დროისა და კილოს ფორმათა სიუხვით. დროის ფორმები ორგვარია – სინთეზური (ორგანული) და ანალიზური (აღწერითი). სინთეზური ფორმები იწარმოება საუღლებელი ზმნის ფუძეზე პირის დაბოლოებათა დართვით, ხოლო აღწერითი შედგება ძირითადი ზმნის უცვლელი ფორმისგან (აბსოლუტივისგან) და პირის მიხედვით ცვალებადი მეშველი ზმნისგან.

ლაკური ენის, ისევე როგორც დარგუული და თაბასარანული ენების, ზმნისათვის დამახასიათებელია ცვალება როგორც კლასების, ისე პირის მიხედვით, ე.ი. წარმოდგენილია კლასოვან-პიროვანი უღვლილება. პირის კატეგორია ლაკურ ზმნაში, ისევე როგორც დარგუულსა და თაბასარანულში, წარმოიქმნა ზმნის ისეთი სისტემის საფუძველზე, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ოდენ კლასების მიხედვით ცვლა (როგორც

ხუნძურ და არაერთ სხვა დაღესტნურ ენაში), ე.ი. პირის კატეგორია ლაკურ ენაში (ასევე დარგუულსა და თაბასარანულშიც) შედარებით გვიანდელი მოვლენაა და, შესაბამისად, პირის დაბოლოებები გვიან არის გაჩენილი.

ლაკურ ენაში პირის დაბოლოებები უკავშირდება მეშველი ზმნის („არის“) შეკვეცილ ფორმებს აწმყო და ნამყო დროში: აწმ. **ბ-უ-რა** „ვარ“, „ხარ“ – მხ.რ. I-II პ., **ბ-უ-რ(ი)** „არის“ – მხ.რ. III პ., **ბ-უ-რუ** „ვართ“, „ხართ“ – მრ.რ. I-II პ.; ნამ. **ბ-ი-და-ვ** „ვიყავი“, „იყავი“ – მხ. და მრ.რ. I-II პ., **ბ-ი-და** „იყო“, „იყვნენ“ – მხ. და მრ.რ. III პ. ამ ფორმებმა, სხვადასხვა ზმნურ ფუნქციებთან შერწყმის შედეგად, იწყეს პირის აფიქსების ფუნქციის შესრულება, ე.ი. ლაკურ ენაში პირის დაბოლოებები არის არა ნაცვალსახელო (როგორც, მაგალითად, თაბასარანულში), არამედ ზმნური წარმომავლობის. ლაკურ ზმნაში პირის გამომხატველი ყველა აფიქსი მეშველი ზმნის ამ ფორმებისგან მომდინარეობს, უფრო ზუსტად ამოსავალია მათი შეკვეცილი დაბოლოებები **-რა**, **-რ(ი)**, **-რუ** დროთა უმეტეს ფორმებში და **-ა**, **-ავ** – ზოგიერთ ფორმაში.

ლაკური ენის გარდაუვალი ზმნის ყველა დროის ფორმებში კლასის ნიშანი (პრეფიქსი და ინფიქსი) მიუთითებს სუბიექტის კლასზე, ხოლო პირის დაბოლოება (სუფიქსი) ასევე სუბიექტის გამომხატველია:

ბ-იზან „ადგომა“, **ბ-ი-ვ-ზუნ** „ადგა-რა“ (ნამყოს აბსოლუტივი).

ნამყო

მხ.რ.

I პ. ნა **ბ-ი-ვ-ზ-რა** (დ-ი-რ-ზ-რა, ბ-ი-ვ-ზ-რა) „მე ავდექი“

II პ. ინა **ბ-ი-ვ-ზუნ-ნა** (დ-ი-რ-ზუნ-ნა, ბ-ი-ვ-ზუნ-ნა) „შენ ავდექი“

III პ. თა **ბ-ი-ვ-ზუნ-ნი** (დ-ი-რ-ზუნ-ნი, ბ-ი-ვ-ზუნ-ნი) „იგი ადგა“

მრ.რ.

I პ. ჟუ **ბ-ი-ვ-ზ-რუ** (I, II, III კლ.), ჟუ **დ-ი-რ-ზ-რუ** (IV კლ.) „ჩვენ ავდექით“

II პ. ზუ **ბ-ი-ვ-ზუნ-ნუ** (I, II, III კლ.), ზუ **დ-ი-რ-ზუნ-ნუ** (IV კლ.) „თქვენ ავდექით“

III პ. თად **ბ-ი-ვ-ზუნ-ნი** (I, II, III კლ.), თად **დ-ი-რ-ზუნ-ნი** (IV კლ.) „ისინი ადგნენ“.

გარდაუვალი ზმნის აღწერით (ანალიზურ) დროის ფორმებში ძირითადი და მეშველი ზმნების კლასის ნიშნები გამოსატყვევებელი სუბიექტის:

აწმყო

რჩე **ფ-იზლა** **ფ-ურ** (I კლ.) „ბიჭი ღება“

შარსა **ღ-იზლა** **ღ-ურ** (II კლ.) „ქალი ღება“

ბწრ **ბ-იზლა** **ბ-ურ** (III კლ.) „ხბო ღება“

კლასისა და პირის შეთანხმების პრინციპი გარდაუვალი ზმნის ღროთა ყველა ფორმაში საერთოა.

გარდამავალი ზმნის ყველა ღროის ფორმაში გრამატიკული კლასის ნიშნები ყოველთვის ობიექტს გამოხატავენ, ხოლო პირის დაბოლოებები – ზოგ შემთხვევაში სუბიექტს და სხვა შემთხვევაში ობიექტს. ამრიგად, ლაკური ენის გარდამავალ ზმნაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ორი პირი, ანუ გარდამავალი ზმნა პოლიპერსონალურია:

ნა **ფ-ათაა-რა** აღიმინა (I კლ.) „მე ვცემ კაცს“

ნა **ღ-ათაა-რა** შარსა (II კლ.) „მე ვცემ ქალს“

ნა **ბ-ათაა-რა** ბწრ (III კლ.) „მე ვცემ ხბოს“

გარდამავალი ზმნის აწმყო ზოგად ღროში პირის დაბოლოებები მიუთითებენ: 1) სუბიექტის პირზე, თუ ობიექტს წარმოადგენს I, II და III პირი; 2) ობიექტის პირზე, თუ სუბიექტს წარმოადგენს III პირი:

ნა **ბ-უჰა-რა** ინა (თა) „მე ვიჭერ (ვიჭერ) შენ (მას)“

თანალ **ბ-უჰა-რა** ნა (ინა) „იგი მიჭერს (ვიჭერს) მე (შენ)“

გარდამავალი ზმნის აწმყო კონკრეტულში, რომელიც იწარმოება აბსოლუტივისა და „არის“ მეშველი ზმნის შეკავშირებით, აბსოლუტივის ფორმა ობიექტს ეთანხმება კლასსა და რიცხვში, ხოლო მეშველი ზმნა მიუთითებს სუბიექტის კლასზე, რიცხვსა და პირზე:

ნა (I კლ.) **ბ-უჰლა** **ფ-ურა** თა (ინა)

„მე ვიჭერ (ვიჭერ) მას (შენ)“

ნა (II კლ.) **ფ-უჰლა** **ღ-ურა** თა (ინა)

„მე ვიჭერ (ვიჭერ) მას (შენ)“.

გარდამავალი ზმნის ნამყო უსრულში სუბიექტი ეთანხმება მეშველ ზმნას კლასში, რიცხვსა და პირში, ხოლო ობიექტი – აბსოლუტივის ფორმას კლასსა და რიცხვში:

ნა **ბ-უჰლა** უსი-**დავ** თა „მე ვიჭერდი მას“

გარდამავალი ზმნის ნამყო სრულში I პირის დაბოლოებები მიუთითებენ სუბიექტზე, ხოლო II და III პირთა დაბოლოებები და კლასის (და რიცხვის) ნიშნები მიუთითებენ ობიექტზე:

I პ. ნა ბ-უკ-ავ თა „მე ღავიჭირე იგი“

II პ. ინა ბ-უ-ვ-ჰუნ-ნი თა „შენ ღავიჭირე იგი“

II პ. ინა ბ-უ-ვ-ჰუნ-ნა ნა „შენ ღამიჭირე მე“

III პ. თანალ ბ-უ-ვ-ჰუნ-ნი თა „მან ღავიჭირა იგი“

III პ. თანალ ბ-უ-ვ-ჰუნ-ნა ნა

III პ. თანალ ბ-უ-ვ-ჰუნ-ნა ინა „მან ღავიჭირა შენ“

გარდამავალი ზმნის მყოფადმი I პირის სუბიექტი ზმნას ეთანხმება პირში, ხოლო ობიექტი ეთანხმება ზმნას კლასსა და რიცხვში; II და III პირებში ყველა აფიქსები ზმნურ ფორმაში მიუთითებენ კლასზე, რიცხვსა და ობიექტის პირზე:

I პ. ნა ბ-უჰან-ნა თა „მე ღავიჭერ მას“

II პ. ინა ბ-უჰან-საარ თა „შენ ღავიჭერ მას“

III პ. თანალ ბ-უჰან-საარ თა „იგი ღავიჭერს მას“.

ღარგუული ენის ზმნის ფლექსიური სტრუქტურა რთულია. ლაკური ზმნის ანალოგიურად ღარგუულ ზმნაშიც მორფოლოგიურად აისახება გრამატიკული კატეგორიები, როგორცაა პირი, კლასი, რიცხვი, ღრო, ასპექტი, კილო და სხვა, რომლებიც მორფოლოგიურ ასახვასთან ერთად სხვადასხვაგვარ სინტაქსურ ფუნქციებსაც ასრულებენ.

ღარგუული ზმნა, ლაკურის ანალოგიურად, ყოველთვის ეთანხმება კლასში იმ სახელს, რომელიც წინადადებაში ნომინატიურ ბრუნვაშია, ამასთან ერთად, გარდამავალ ზმნაში ეს სახელი წარმოადგენს ობიექტს, ხოლო გარდაუვალში – სუბიექტს:

ნუნი ქაღარ ბ-ელკუნ-რა „მე წერილი ღავწერე“

ნუნი ქაღართი დ-ელკუნ-რა „მე წერილები ღავწერე“

ფატიმათ რ-აკიბ „ფატიმათი მოვიღა“

ჰენყ ბ-აკიბ „ნახირი მოვიღა“.

კლასის ნიშნებია აქ ბ- (ბ-ელკუნრა, ბ-აკიბ), დ- (დ-ელკუნრა), რ- (რ-აკიბ), რომლებიც ნიშანდობლივია დანარჩენი დაღესტნური ენებისთვისაც და რეკონსტრუირდებიან საერთო დაღესტნური ფუძე ენის ღონეზე, ხოლო პირის ნიშანი წარმოღგენილია სუფიქსის სახით -რა (ბელკუნ-რა, დელკუნ-რა) და მასაღობრივ და ფუნქციურად უახლოვდება ლაკური ენის პირის ნიშნებს -რა, -რი, -რუ.

პირის ნიშნები დარგულ ენაში, ლაკურის ანალოგიურად, ცვალებადია დროთა მიხედვით:

ნამყო ზოგადი

I პ. უაკი(ბ)-რა „მოველი“	ბელჭუნ-რა „წავიკითხე“	ბაჰურ-რა „გავიგე“
II პ. უაკი-რი „მოსველი“	ბელჭუნ-რი „წავიკითხე“	ბაჰურ-რი „გავიგე“
III პ. უაკიბ „მოვიდა“	ბელჭუნ „წავიკითხა“	ბაჰურ „გავიგო“

ნამყო ზოგადში ზმნის III პირი უნიშნოა, რითაც იგი უპირისპირდება I და II პირის ფორმებს. სხვაგვარ ვითარებას გვიჩვენებს ნამყო სრული, სადაც სამსავე პირს მოეპოვება ერთნაირი დაბოლოება -რი, ანუ პირები, ამის გამო, ერთმანეთისაგან არ განირჩევა, სამსავე პირში განზოგადებულია სუფიქსი -რი, რომელიც ნამყო ზოგადში II პირის ნიშნად გვევლინებოდა:

ნამყო სრული

I პ. უაკილ(ი)-რი „მოველი“	ბელჭი-რი „წავიკითხე“	ბაჰურლი-რი „გავიგე“
II პ. უაკილ(ი)-რი „მოსველი“	ბელჭი-რი „წავიკითხე“	ბაჰურლი-რი „გავიგე“
III პ. უაკილ(ი)-რი „მოვიდა“	ბელჭი-რი „წავიკითხა“	ბაჰურლი-რი „გავიგო“

აწმყო დროის ფორმებიდან I და II პირის ფორმები იგივე სუფიქსებს დაირთავენ, რაც ნამყო ზოგადის ფორმებშია, მაგრამ განსხვავებულია III პირი:

I პ. უაკილ(ი)-რა „მოვიდვარ“	ბელჭი-რა „კითხულობ“	ბაჰურლი-რა „გებულობ“
II პ. უაკილ(ი)-რი „მოდიხარ“	ბელჭი-რი „კითხულობ“	ბაჰურლი-რი „გებულობ“
III პ. უაკილი-სად „მოდის“	ბელჭი-სად „კითხულობს“	ბაჰურლი-სად „გებულობს“

III პირის -სად დაბოლოება მასალობრივ უახლოვდება ლაკური ენის -სარ სუფიქსს, რომელიც გარდამავალი ზმნის მყოფადს აქვს გამოყენებული III პირისათვის: თანაღ ბუჰან-სარ თა „იგი დაიჭერს მას“.

ნაზმნარი სახელი. ლაკურ ენაში მასდარის ფორმა შედგება ზმნის ფუძისა და -ავუ (< -აბუ) სუფიქსისგან. ისტორიული თვალსაზრისით ლაკური მასდარის ფუძე და აფიქსი ეფარდება -ავ (< -აბ) აფიქსიან იტერატივის ფორმას; შდრ. ბუც-ავუ „მოტანა“ (მასდარი) – ბუც-ავ-ან „მოტანა ხშირად,

რეგულარულად“ (ინფინიტივის იტერატიული ფორმა). მაშასადამე, მასდარის ფორმა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ნაზმნარ არსებით სახელად, რომელიც ნაწარმოებია **-ავ** (< **-აბ**) სუფიქსიანი იტერატივის ფორმისგან - **-უ** სუფიქსის მეშვეობით. სუფიქსი **-უ** ფართოდ გამოიყენება ნაზმნარ არსებით სახელთა წარმოებისას, აგრეთვე სხვადასხვა მოვლენების, საგნებისა და პირთა სახელების წარმოებისას, შდრ. ბუკ-უ „უნარი“ < ბუკ-ან „შეძლება“, ჩიჩ-უ „მწერალი“ < ჩიჩ-ინ „წერა“ და სხვა. ისტორიულად ბ-უც-ავუ ტიპის ფორმა მორფოლოგიური თვალსაზრისით შედგებოდა ელემენტებისგან ბუც-ავ(< **-აბ**)-უ, ამიტომ მასდარის ფორმანტი **-ავუ** წარმოშობით რთული აფიქსია და შედგება იტერატივის **-ავ** (< **-აბ**) ინფიქსისა და ნასახელარ ზმნათა მაწარმოებელი **-უ** სუფიქსისაგან. ენის განვითარების პროცესში **-ავუ** დამოუკიდებელ მორფემულ ელემენტად იქცა, რომლის მეშვეობით იწარმოება განგრძობითი მოქმედების ზმნების მასდარული ფორმებიც [აბლულაევი 2003: 69].

დარგულ ენაში მასდარს ყველაზე ხშირად აწარმოებს სუფიქსი **-ნი**, რომელიც შეიძლება დაერთოს ნებისმიერი ზმნის ფუძეს:

ბელკ- — ბელკ-**ნი** „წერა“

ბელჭ- — ბელჭ-**ნი** „კითხვა“

ბაჰ- — ბაჰ-**ნი** „ცნობა“

არღ- — არღ-**ნი** „გაგება“

ლუბ- — ლუბ-**ნი** „ყოფნა, არსებობა“

წარმომავლობით დარგული მასდარის სუფიქსი **-ნი** იგივე უნდა იყოს, რაც არის ლაკურში ინფინიტივის მაწარმოებელი სუფიქსი **-ნ**.

მიმღების ფორმები ლაკურ ენაში იწარმოება ატრიბუტული სუფიქსების მეშვეობით, როგორცაა **-საა** და **-მა** (**-მურ**, **-მი**). მყოფადი დროის მიმღობას საფუძვლად უდევს ინფინიტივის ფორმა: ბახან-საა „გასაყიდი“, ხოლო აწმყო და ნამყო დროის მიმღობებს მოეპოვებათ სპეციალური ფორმები და საკუთარი მორფემული ინვენტარი.

არაგანგრძობითი ასპექტის აწმყო დროის მიმღობა ნაწარმოებია უშუალოდ ძირეული მორფემისგან - **აჰ** სუფიქსის მეშვეობით, ხოლო განგრძობითი ასპექტისა — ძირეული თანხმონის გაორმაგებითა და **-ი** სუფიქსის დართვით; მაგალითად:

ინფ. ბახან-ან „გაყიდა“, ბახლ-ან „გაყიდა, ვაჭრობა (რეგულარულად)“

მიმდ. ბახა-ად-(სა) „გამყიდველი“, „მოვაჭრე“

ბახლახი-(სა) „გამყიდველი (ამ მომენტში)“

იმასთან დაკავშირებით, რომ აფიქსი -ად განგრძობითი ასპექტის ფუძისგან აწარმოებს აწმყო დროის აბსოლუტივსაც (მდრ. ბახლ-ად „ყიდის-რა“), ლაკურ ენაში ვლინდება ტენდენცია ფუძეთა უნიფიკაციისა და ამ ფუძის მიმღობად გამოყენებისა: ბ-ახლად-სა (და არა ბახლახი-სა), მდრ. აგრეთვე ზიდ-სა და ზუზი-სა „მომუშავე“, ტი(დ)-სა და ტუტი-სა „მოლაპარაკე“ და სხვა. აფიქსი -(ა)დ წარმომავლობით უნდა უკავშირდებოდეს სუპერესივის -დ აფიქსს: ჭირა-დ „კედელზე“. შესაძლებელია, ეს ზმნური ფორმები თავდაპირველად წარმოიქმნენ როგორც ლოკატიურები ზმნური ფუძეებისგან [აბლუაევი 2003: 70].

ნამყო დროის მიმღობა ლაკურ ენაში ნაწარმოებია ზმნის ძირეული მორფემისგან, რომელიც გართულებულია ძირის წინამავალი ინფიქსური კლასის ნიშნით (მდრ. ლას-უნ „აღება“, მაგრამ ლა-ვ-ს- // ლა-რ-ს-), რომელსაც მიერთვის სრული ფორმის აფიქსი: ლა-ვ-ს-სა (I-II კლ.), ლა-რ-ს-სა (II-IV კლ.) „აღებული“, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ამგვარ მიმღობათა ფორმები იმატებენ -უ აფიქსსაც: ბუ-ვ-ც-უ-(სა), დუ-რ-ც-უ-(სა) „მოტანილი“. ეს -უ სუფიქსი ემთხვევა ნაზმნარ სახელთა მაწარმოებელ -უ სუფიქსს (მდრ. ჩიჩ-უ „მწერალი“ < ჩიჩ-ინ „წერა“) და ფუნქციურად შეესატყვისება მიმღობის -ან სუფიქსს დარგულ ენაში. ამიტომ სუფიქსი -უ ლაკურში თავდაპირველად მიმღობის (და ნაზმნარი სახელის) სუფიქსი იყო. ზოგ დიალექტში (მაგ., აშტიქულიურში) ეს აფიქსი მიმღობებში შემოინახა, ხოლო ლუმუქურში ბევრ მიმღობაში რედუცირებულია, რაც შეიძლება აიხსნებოდეს გრამატიკული სიჭარბის მიზეზით, რამდენადაც ინფიქსური კლასის ნიშნები მიმღობურადაც აღიქმებოდა.

ინფიქსური კლასის ნიშნის გამოჩენა ძირეულ მორფემაში საკუთრივ ლაკური მოვლენაა, რომელიც წარმოიქმნა ამ ენის განცალკევებულად განვითარების პერიოდში. ეს ნიშანი არაიშვიათად კლასის მეორე ნიშანია ერთსა და იმავე ფუძეში და განეკუთვნება იმავე სახელს, რასაც პრეფიქსული კლასის ნიშანი, მაგ., ბ-უ-ვ-კ-სა დუშ „მოსული ქალიშვილი“, დ-უ-რ-კ-სა შაარსა „მოსული ქალი“. მეორე ინფიქსური ნიშანი ამჟამად ჭარბია, მაგრამ უწინ იგი რომელიდაცა სხვა გრამატიკულ მნიშვნელობასაც გამოხატავდა. ინფიქსური კლასის ნიშანი ნამყო დროის მიმღობის ფორმაში გამოყენებულ იქნა ზმნური ასპექტის ფორმანტად, უფრო ზუსტად მომენტური ასპექტის გამომხატველად, რომლის მეშვეობითაც გადმოიცემა დასრულებული მოქმედება. შემდგომ, როდესაც ასპექტის კატეგორიის ბაზაზე დროის კატეგორია

წარმოიქმნა, ინფიქსური კლასის ნიშნიანი ფუძე საფუძვლად დაედო ნამყო ღროის ფორმებს. ღროის ფორმათა წარმოქმნა ასპექტისაგან შეინიშნება სხვა კავკასიურ ენებშიც.

ღარგუულ ენაში მიმღობა ფორმობრივ არ განსხვავდება ზედსართავისგან: მიმღობას აწარმოებს იგივე სუფიქსები, რომლებითაც, ჩვეულებრივ, იწარმოება ზედსართავი სახელები. ნამყო ღროის III პირის ფორმაზე **-სი** სუფიქსის (მრ. რ. **-თი**) ღართვით მიიღება ნამყო ღროის მიმღობა:

ჭაკიბ „მოვიდა“ – ჭაკიბ-**სი** „მოსული“

ბაჭურ „იცნო“ – ბაჭურ-**სი** „ცნობილი“

აკუბ „შვა“ – აკუბ-**სი** „შობილი, ნაშობი“

ჭყყუნ „ეწვია“ – ჭყყუნ-**სი** „წვეული“

ღარგუული სუფიქსი **-სი** მასალობრივ და ფუნქციურად უახლოვდება ლაკური ენის მიმღობის მაწარმოებელ **-სა** სუფიქსს, აგრეთვე ხუნძური ენის ზედსართავულ **-სიე-** აფიქსს (მაგ., ხუნძ. ჟაყა-**სიე-ბ** „ღღევანდელი“).

უსრული ასპექტის ფუძეზე **-უ-სი** სუფიქსის (მრ. რ. **-უ-თი**) ღართვით მიიღება „ზოგადი“ ღროის მიმღობა:

ჭაშ „დაღის“ – ჭაშ-**უ-სი** „მორული“

ბალ „იცის“ – ბალ-**უ-სი** „მცოდნე“

აღკ „შობს“ – აღკ-**უ-სი** „ის, რაც იშობა“

ინფინიტივის ფორმაზე **-სი** სუფიქსის ღართვით მიიღება ჯერარსის გამომხატველი მიმღობა:

ჭაკეს „მოსვლა“ – ჭაკე-**სი** „მოსასვლელი“

ბაჭეს „ცნობა“ – ბაჭე-**სი** „საცნობი“

აკეს „შობა“ – აკე-**სი** „საშობი“

ბელკეს „წერა“ – ბელკე-**სი** „დასაწერი“.

უსრული ასპექტის ფუძეზე **-ან** (**-ან**, **-ენ**) სუფიქსის ღართვით მიიღება ზოგადი ღროის მიმღობა, რომელიც გამოხატავს საქმიანობას:

ლუკ- – ლუკ-**ან** „მწერალი“

უჭ- – უჭ-**ან** „მკითხველი“

ახეშური დიალექტის -სი (მრ.რ. -თი) ფორმანტს ურახულში შეესატყვისება -ილ (მრ.რ. -თი), ხოლო ზოგადი ღროის მიმღეობაში პარალელურად იხმარება -ანი (-ანი, -ენი): ურახ. ბაჰურ-ილ „ცნობილი“, აკუბ-ილ „შობილი“, ბალ-ანი „მცოდნე“, ლუკ-ანი „მწერალი“.

აბსოლუტივის ფორმანტებია ლაკურ ენაში -ა (აწმყოს აბსოლუტივი: ბახლ-აჲ „ყიდის-რა“) და -ნუ // > -უნ (ნამყოსა და მყოფადის აბსოლუტივი: ბახუ-ნუ „გაყიდა-რა“, ბახან-ნუ „გაყიდის-რა“). წარმოების მხრივ აბსოლუტივები შეეფარდება მიმღეობის „მოკლე“ ფორმებს, ხოლო აფიქსი -ა ეფარდება აწმყო ღროის მიმღეობის -(ა)ჲ სუფიქსს.

ნამყოსა და მყოფადისათვის საერთო სუფიქსი -ნუ ლაკურში თავდაპირველად უნდა ყოფილიყო აბსოლუტივის საერთო ფორმანტი, რომელიც მიმღეობათა „მოკლე“ ფუძეებისგან აწარმოებდა აბსოლუტივებს, რის შესახებაც მოწმობს ბალხარული დიალექტის ფორმები: ჩინ-ლაჲ-ნ (< ჩინლ-აჲ-ნუ) „დაწერა-რა“ (სხვა დიალექტებში – ჩინ-ლ-აჲ), შდრ. ანალოგიური ვითარება დარგულ ენაში, სადაც ზოგად ფორმანტად ყველა ღროის აბსოლუტივისთვის გამოიყენება სუფიქსი -ლი: ბარყუ-ლი „აკეთებს-რა“, ბარყი-ლი „გაკეთა-რა“.

აბსოლუტივის ლაკური აფიქსი -ნუ მასალობრივ და ფუნქციურ სიახლოვეს ავლენს შესაბამის აფიქსთან რიგ დაღესტნურ ენებში (ხუნძურში, დილოურში, თაბასარანულში), შდრ. ნამყოს აბსოლუტივის აფიქსი ხუნძურ ენაში -(უ)ნ: ყოტ-უნ „გაჭრა-რა“. ეს აფიქსი რეკონსტრუირდება საერთო დაღესტნურ ღნეზე და ფუძე ენიდან არის ნამეკვიდრევი ბევრ ენაში [აბდულაევი 2003: 71].

დარგულ ენაში აბსოლუტივები იწარმოება შემდეგი სუფიქსებით:

-ი-ლი // -უ-ლი: ჟაკ-ი-ლი „მოღის-რა“, ჟაშ-უ-ლი „მიღის-რა“, უჭ-უ-ლი „კითხულობს-რა“

-ი: ბელკ-ი „დაწერა-რა“, ბელჭ-ი „წაიკითხა-რა“, ბაც-ი „მოხნა-რა“.

ზმნის საგარემოებო ფორმები, რომლებიც გამოსატყვენ მოქმედებას ადგილის, ღროის, მიზნის მიხედვით, ლაკურ ენაში იწარმოება „მოკლე“ მიმღეობათა ფუძეებისგან სხვადასხვა აფიქსების მეშვეობით, რომლებიც წარმოშობით უკავშირდებიან ლოკატიურ ბრუნვათა ფორმანტებს, როგორცაა -ნიჲ, -ნი, -ხ, -ხოჲ, -ქუნ, -ნინ, -წა და სხვა [აბდულაევი 2003: 71], მაგ., ლასაჲ-ნიჲ „საიდანაც იღებს“, ლასაჲ-ნი „როცა იღებს“, ლასუნ-ნინ „ვიდრე აიღებდეს“, ლასაჲ-ხოჲ // ლასაჲ-ხ „როგორც კი აიღო“, ლა-ვ-სუ-ქუნ „როცა აიღო“, ლასუნ-წა // ლასუნ-წა-ქულ „აღებადღე“. ეს აფიქსები მეტწილად რთულია, შედგებიან ორი

აფიქსისგან, მაგრამ ეს კომბინაცია აფიქსებისა შემდეგმ განკერძოვდა დამოუკიდებელ აფიქსთა სახით [აბულაძე 2003: 71].

აფიქსი **-ნი** (< -ნი-მ) შედგება ირიბი ფუძის **-ნი-** აფიქსისა და სუპერესივის **-მ** სუფიქსისგან; **-ნინ** (< -ნინ) შედგება ასევე ირიბი ფუძის **-ნი-** აფიქსისა და მიმართულებითი ბრუნვის **-ნ** ფორმანტისგან; აფიქსი **-წა** (< **-წა-**) მომდინარეობს ადგილობითი ბრუნვის (ლოკატივის) **-წ** ფორმანტისა (-„თან“, „ახლოს“) და გამოსვლითი ბრუნვის **-ა** ფორმანტისგან; აფიქსი **-ხთაუ** (< -ხ-თაუ) შედგება პოსტესივის **-ხ** აფიქსისა და ზმნისართული **-თაუ** სუფიქსისგან; აფიქსი **-ქუნ** (< ქ-უნ) უკავშირდება ზმნას (უ)ჩინ < (უ)ქინ „თქმა“, რომელშიც ძირეული ელემენტი **(უ)ქ-** სუფიქს **-უნ-**თან შეკავშირებით იქცა სუფიქსოდად, ხოლო შემდეგ მთლიანად გადავიდა სუფიქსების რიგში. ზმნის საგარემოებო ფორმათა აფიქსები ლაკურ ენაში უშუალოდ არ უკავშირდებიან ასეთსავე აფიქსებს სხვა დალესტნურ ენებში, თუმცა ამგვარ ფორმათა წარმოების საშუალებებში ვლინდება ერთგვაროვნება და ტიპოლოგიური სიახლოვე, მათი წარმოქმნის ერთნაირი გზები. ანალოგიური ფორმები დასტურდება დარგუულ და თაბასარანულ ენებშიც.

დარგუული ენა მდიდარია ზმნის საგარემოებო ფორმებით. მათი მაწარმოებელი აფიქსებია:

- ლა:** ჴაკ-ი-ლა „მას შემდეგ, რაც მოვიდა“, ჴაშ-უ-ლა „მას შემდეგ, რაც წავიდა“;
- აჩი:** ჴაკ-აჩი „ვიდრე არ მოვიდა“, ბაჰ-აჩი „ვიდრე არ გაიგო“;
- ნა:** ჴაშ-ნა „სადაც წავიდა“;
- ჰი:** ქასაბი-ჰი „სადაც აიღო“, ჴაკიბი-ჰი „სადაც მივიდა“, ჴაშუდ-ჰი „სადაც დაღის“;
- ქად:** ჴაკიბ-ქად „საიდანაც მოვიდა“, არყუ-ქად „სადაც მიღის“;
- მად:** ჴაკიბ-მად „როგორც კი მოვიდა“, ბაჰურ-მად „როგორც კი გაიგო“;
- ჰელი:** ჴაკიბ-ჰელი „როცა მოვიდა“;
- ჴი:** ჴაკიბ-ჴი „თუმცა მოვიდა“, ბალუ-ჴი „თუმცა იცის“.

საგარემოებო ფორმათა აფიქსები დარგუულში წარმოშობით ლოკატივებია: სუფიქსი **-ლა** წარმოადგენს ზმნისართის მაწარმოებელ თანდებულს (შდრ. ითა-ლა „იქიდან“, ვაულ-ლა „შინიდან“); დაბოლოებები **-ნა**, **-აჩი** მიმართულებითი ბრუნვების ნიშნებია და სხვ.

ზმნისართი. სემანტიკური თვალსაზრისით ლაკურ და დარგუულ ენებში გამოიყოფა ვითარებითი, ადგილის, ღრის, მიზეზის, მიზნის, რაოდენობის და სხვა ზმნისართები.

მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით ზმნისართები იყოფა მარტივად და ნაწარმოებად. დასტურდება ნასესხობებიც სხვა ენებიდან. მარტივ ზმნისართებს ამჟამად არ მოეპოვებათ მორფოლოგიური ელემენტები და სინქრონიულად გვევლინებიან დაუნაწევრებელ ფუძეებად, მაგრამ ისტორიულად მათი საკმაო ნაწილი ნაწარმოებია. ასეთ ადვერბულ ფუძეებად გვხვდება ლექსიკური ფუძეები, რომლებიც წარმოშობით დაკავშირებულია მეტყველების სხვადასხვა ნაწილებთან. შესაბამისად, მათში გამოვლენილი მორფემული ინვენტარიც (ამჟამად გაქვავებული) მრავალფეროვანია. ლაკურ ენაში მარტივფუძიან ზმნისართებს შორის წარმოდგენილია წყება ვითარებითი, ღროის, ადგილის, ზმნისართებისა: **არჰალ** „ერთად“, **ჰურჰა** „ნელა“, **წანა** „ახლა“, **ლეკუ** „მარშან“, **უთი** „ამჟამად“, **ლაგმა** „ირგვლივ“, **ჰუნთი** „ხვალ“, **სარანუ** „ზეგ“ (< სარანუ < საღანუ, შღრ. ხუნძ. სეზი, ახვან. შიღი, თაბას. სერ-რი „ზეგ“), **ღანთა** „ღლისით“ (< ღან-ხ-თა), **მაკ** „უკან“, **ხაიჭ** „წინ“, **ვივ** „შიგნით“, **ლე(ვ)** „ქვეშ, ქვემოთ“, **აღლა** „შემდეგ“, **ნუკუ** „წინათ“ (შღრ. ხუნძ. ნეკო), **ჭარავ** „გვერდით“, **ბუნიაღლა** (< ბუ-ნი-ღ-აღლა) „არსებითად“, **ცაჭუ** (< ცა-ჭუ) „ერთად“, **ყუნიაღლა** „წუხელ“ და სხვა. ნასესხებია ზმნისართები: არაბ. **ღინ**, **მუღან** „ყოველთვის, მუღამ“, **ყასთან** „განზრახ“, სპარს. **ნაჟაჰ** „ზოგჯერ“, თურქ. **ანჟალ** „მხოლოდ“, **საღქი** „თითქმის“ და სხვა. შეინიშნება ნასესხობები ხუნძურიდანაც: **ჰღაღა** „ამაოდ“, **ღანა** „ძლივს“, **ღანღი** „პირისპირ“, **უნგუ-უნგუ** „ნამღვილად“ [აბლულაევი 2003: 75].

ზმნისართების ღილი ნაწილი ნაწარმოებია. მათი წარმოების მთავარი საშუალებაა სუფიქსაცია, კომპოზიცია, სიტყვა-ფორმათა და შესიტყვებათა ადვერბიული ზაცია.

ლაკურ ენაში სუფიქსური ზმნისართები იწარმოება სხვადასხვა სახელური და, იშვიათად, ზმნური ფუძეებისგან სპეციალური ადვერბული სუფიქსებისა და სუფიქსური ელემენტების მეშვეობით. საწარმოებელ ფუძედ გამოიყენება ზედსართავები: ბუხთაულ-**ნუ** „მაღლა“; სუბსტანტივები: კურხა-ი-**ღ** „ღლით“, მაკ-**რა** „ძიღში“, ჰრაბ-**რაღ** „არაბულად“; ნაცვალსახელები: თი-ქუ „იქ“, თაუ-ქუნ „ამრიგად“; რიცხვითი სახელები: კი-**ღიღ-ნუ** „ორმაგად“, აწიღ-**ღ-ვა** „ათჯერ“; ზმნისართები: ნაჟაჰ-**ღიღ** // ნაჟაჰ „ზოგჯერ“; ზმნები: ჩი-**ნიღ** „ყველგან“.

ნაცვალსახელური ადგილის ზმნისართები ლაკურში ნაწარმოებია ჩვენებითი ნაცვალსახელებისგან ლოკატიური ფორმანტების მეშვეობით: თი-**ვ**, თი-**ღ**, თი-**ლუ**, თი-**ხ** „იქ (ქვემოთ, ზემოთ, ქვეშ, უკან)“. მოიპოვება აგრეთვე აფიქსი -**ქუ**, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ნაცვალსახელური წარმოშობის ადგილის ზმნისართებისათვის: თი-ქუ „იქ“.

ერთ-ერთი მეტად პროლექტიული სუფიქსია **-ნუ**, რომლის მეშვეობითაც ლაკურში სახელური ფუძეებისგან (ზედსართავებისგან) რეგულარულად იწარმოება ვითარებითი ზმნისართები: ანავარ-**ნუ** „ჩქარა“, ბუნთაულ-**ნუ** „მაღლა“, ქაშილ-**ნუ** „დამშეულად“, კირი-**ნუ** „ცხლად“ და სხვა. სიტყვაწარმოებითი სუფიქსებია აგრეთვე **-ნი**: ყულტ-**ნი** „ნამალევად“; **-რა**: მაკ-**რა** „ძილში“; **-რად**: გუჟ-**რად** „ძალით“; **-ნად**: ლაქქუ-**ნად** „ლაკურად“; **-ლიდ**: აბად-**ლიდ** „სამუდამოდ“; **-დარან**: ხიშალ-**დარან** „დამატებით“; **-ქუნ**: მუ-**ქუნ** „ასე, ამრიგად“; **-ნიდ**: ლავ-**ნიდ** „მაღლა“, ქუ-**ნიდ** „ზოგჯერ“; **-ლბა // -ლს**: კი-**ლვა // კი-ლს** „ორჯერ“; **-ლიდ-ნუ**: კი-**ლიდნუ** „ორმაგად“; **-ლ**: კურხა-**ი-ლ** „ღლით“; **-ვად// -რად**: ხაუ-**ვად**, ხაუ-**რად** „ღამით“; **-წუნ**: კურხი-**წუნ** „ღილაუთენია“; **-ჭავ**: თა-**ჭავ** „არასოდეს“; **-ვა// -რავ**: უქ-**ვა**, უქ-**რავ** „მუქთად“.

დარგუულ ენაში მოიპოვება ზმნისართები მარტივი ფუძის სახით და სუფიქსების მეშვეობით ნაწარმოები.

ადგილის ზმნისართებია დარგუულში: **ჰალა** „წინ“, **ჭელა** „უკან“, **ული** „ქვემოთ“, **ჩელი** „ზემოთ“, **ურგა** „შუაში“, **ღებლა** „ცენტრში“, **ბუჰნა** „შიგ“, **შელჭი** „გვერდით“, **მეყლა** „გვერდზე“, **ითა** „იქით“, **იშა** „აქეთ“ და სხვა. დროის ზმნისართებია: **დაგ** „გუშინ“, **ჟაჭელ** „ხვალ“, **ჟეული** „ადრე“, **ყანნი** „გვიან“, **კინადს** „შემდეგ“, **ჭურ** „მერე“, **ჭერელი** „ღლისით“, **ღუგელი** „ღამით“ და სხვა. ვითარების ზმნისართებია: **ღუწლი** „სირბილით“, **ბაჰლალი** „ნელა“, **ჯერული** „ჩქარა“, **წაყლი** „ძლიერ“, **მურილი** „ტკბილად“ და სხვა.

გამოიყოფა ზმნისართთა მაწარმოებელი აფიქსები დარგუულში: **-ლა** (ჰა-**ლა** „წინ“), **-ლი** (წაყ-**ლი** „ძლიერ“), **-ნა** (ბუჰ-**ნა** „შიგ“), **-ნი** (ყან-**ნი** „გვიან“). ეს აფიქსები მასალობრივ უახლოვდება ლაკურისას და მათი რეკონსტრუქცია შესაძლებელია საერთო ლაკურ-დარგუული ენობრივი ერთობის ღონეზე, მაგრამ თავად ზმნისართული ფუძეები ლაკურსა და დარგუულს შორის ასეთ სიახლოვეს არც თუ ხშირად წარმოგვიდგენენ.

4. ზმნის მოფორმოლოგია: ზმნის ღერივაციული და ფლექსიური კატეგორიები,

ნაზმნარი სახელი და ზმნისართი ლეზიურ ენებში

ზმნის ღერივაციული კატეგორიები

ლეზიურ ენების ზმნის სიტყვაწარმოების სისტემაში პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სივრცითი პრეფიქსები - პრევერბები, რომელიც მატერიალურად სახელთა ლოკალიზაციის მაჩვენებლებს, ზმნისართებსა და თანდებულებს უკავშირდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ არჩიულ ენაში დღეს თითქმის არ ჩანს ზმნის პრეფიქსური სიტყვაწარმოების კვალი, რასაც, თუ გავითვალისწინებთ ლეზიურ ენათა დაშლის სქემას, შეუძლია ეჭვქვეშ დააყენოს პრევერბთა რეკონსტრუქციის შესაძლებლობა საერთოლეზიურ ღონეზე. ამის მიუხედავად, თავად ის ფაქტი, რომ პრევერბები ლეზიურ ენებში ლოკალიზაციის მაჩვენებლებს უკავშირდება, რომლებიც, თავის მხრივ, არჩიულშიც დასტურდება, მეტყველებს პრევერბთა რეკონსტრუქციის შესაძლებლობის სასარგებლოდ.

ზმნური ფუძის სტრუქტურა ლეზიურ ენებში. ლეზიურ ენებში ამოსავალი ზმნური ფუძის სხვადასხვა მოდელები დასტურდება:

არჩიულში ზმნები შეიძლება დავყოთ მარტივ და რთულ ზმნებად. რაგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, დასტურდება 163 მარტივი ზმნური ფუძე [კიბრიკი, კოდასოვი 1988: 30], ხოლო რთული ზმნები იწარმოება ას „კეთება“, ქეს „გახდომა“ და ბოს „თქმა“ მეშველი ზმნების მეშვეობით. არჩიულში დასტურდება როგორც ერთმარცვლიანი, ისე ორმარცვლიანი ამოსავალი ფუძეები. ერთმარცვლიანი ზმნური ფუძეები შეიძლება იყოს CV ან CVC სტრუქტურისა, მაგ., სა „ჭერა“, ლან „გაქაჩვა“ და სხვ. ორმარცვლიანი ზმნური ფუძეები სხვადასხვა სტრუქტურისა. ყველა მოდელი რომ შევაჯეროთ, მივიღებთ შემდეგ ფორმულას: (C)V(C)CV(C). აღსანიშნავია, რომ ორმარცვლიან ფუძეთა უმრავლესობას მოეპოვება ინფიქსური პოზიცია, მაგ., ა=ხა „დაწოლა“ ~ ა-რ-ხარ (აწმყო);

თაბასარანულში დასტურდება მარტივი, პრევერბიანი (შედგენილი) და რთული ზმნური ფუძეები. მარტივი ზმნური ფუძეების ყველაზე გავრცელებული მოდელია VC (აპ აპ-უს „კეთება“ ინფ.), თუმცა

ხშირად VSC და SVC სტრუქტურის ფუძეები დასტურდება (S როგორც წესი რ ან ლ სონორი), მაგ., ალვ⁶ ალვ⁷-უს „ხედვა“, ლილ ლილ-უს „თქმა“.

შედგენილი ფუძეები იწარმოება პრევერბთა მეშვეობით, რომელთა რეგულარული მოდელია CV, თუმცა VC და CVC მოდელელებიც დასტურდება. რთული ზმნები კი შედგება არაუღვლებადი ნაწილისაგან და აპ-უს „კეთება“, ხ-უს „გახდომა“ და ზოგიერთი სხვა მეშველი ზმნისაგან.

ალულურშიც გვხვდება მარტივი, პრევერბიანი (შედგენილი) და რთული ზმნური ფუძეები. დასტურდება სხვადასხვა მოდელის მარტივი ფუძეები: C, VC, VCC, CVC, CVCC. შედგენილი ფუძეები იწარმოება პრევერბთა მეშვეობით, ხოლო რთული ზმნები აყ-ას „კეთება“, ხ-ის „გახდომა“ და ზოგიერთი სხვა მეშველი ზმნისაგან.

რთულურში ზმნები იყოფა მარტივ (ოდენ ფუძისაგან შემდგარ), პრევერბიან (პრევერბისა და ფუძისაგან შემდგარ) და რთულ ზმნურ ფუძეებისა. მარტივი ზმნური ფუძეები VC, VSC, CV, CVC სტრუქტურისა. რაც შეეხება შედგენილ (პრევერბიან) ზმნებს მათში ზმნური ძირი C ან SC სტრუქტურისა, ხოლო პრეფიქსი V, CV, CVCV სტრუქტურის. ყველაზე როლექტიული შედგენილი ზმნური ფუძის მოდელია CV-C. რთული ზმნური ფუძეები შედგება არაუღვლებადი ნაწილისაგან და ჰაყ-ას „კეთება“, ჰქქ-გს „გახდომა“ და ზოგიერთი სხვა მეშველი ზმნისაგან.

წახურში დასტურდება შედგენილი და რთული ზმნური ფუძეები. პრევერბიანი ზმნური ფუძეები შედგება CV ან CVCV სტრუქტურის პრევერბებისა და, ყველაზე ხშირად, მონოკონსონანტური ზმნური ძირებისაგან. ზმნურ ძირებს ხშირად დატერმინანტი ერთვის, რომელიც -რ, -ლ, -ნ სონორულ თანხმოვნებს შეიცავს. რთული ზმნები ჰჰს „კეთება“ და ხეს „გახდომა“ მეშველი ზმნების მეშვეობით იწარმოება. მარტივი აგებულების ზმნური ფუძეები თითქმის არ დასტურდება, თუ არ ჩავთვლით ახ⁶ას „შეძლება“, გლღას „ქავილი“.

კრიწულ ენაში გამოიყოფა მარტივი, შედგენილი და რთული ზმნური ფუძეები. მარტივი ზმნები ოდენ სუფთა ფუძისაგან შედგება, შედგენილი ფუძისა და პრევერბისაგან, ხოლო რთული ზმნები „კეთება“, „გახდომა“ და სხვა ზოგიერთი ზმნის მეშვეობით არის ნაწარმოები, მაგ., ჰისაბ ეეჯი „თვლა“, მეზ ვუჯუ „ლოკვა“ (ზედმიწ. „ენის მოცემა“).

ბუღუხურშიც გამოიყოფა მარტივი, შედგენილი და რთული ზმნური ფუძეები. მარტივი ფუძის გამოყოფა ბუღუხურში, კრიწულის მსგავსად ჭირს. რთული ზმნების უღვლებად ნაწილს წარმოადგენს, როგორც წესი, აგზნური „გახლომა“ და სიციური „კეთება“ მეშველი ზმნები.

ხინალულურშიც, სამურული ენების მსგავსად, ზმნური ფუძეები იყოფა მარტივ, შედგენილ და რთულ ფუძეებად. მარტივი ზმნური ფუძეების რაოდენობა ხინალულურში შეზღუდულია. რთული ფუძეები იწარმოება ქუთი „კეთება“, ყი „გახლომა“, ხი „სიარული“. რაც შეეხება შედგენილ ზმნებს, რომლებიც ყველაზე ჭარბადაა წარმოდგენილი ხინალულურში, მათი პირველი კომპონენტი, როგორც წესი, პრევერბებია, ანდა მოძრაობის ორიენტაციის სისტემის წევრებია, რომელიც ხინალულურ ენაში ძალზე პროლექტიულია. მეორე კომპონენტად სხვადასხვა ელემენტი (-ყუთი, -ხუთი, -კი, -ში, -კუთი, -ვუთი, -წი, -ფი, -ტი, -ლი, -ნუთი და ზოგიერთი სხვა) გამოიყენება. მათ დამოუკიდებლად ლექსიკური მნიშვნელობა არ მოეპოვებათ.

უღიურ ენაში ზმნური ლექსემების დიდი ნაწილი კომპოზიტებს წარმოადგენს. არანაწარმოები, ანუ მარტივი აგებულების ზმნური ფუძეების რიცხვი უღიურ ენაში არ არის დიდი და 60-70 ერთეულს არ აღემატება. მათი დიდი ნაწილი ერთმარცვლიანია და C, VC, VCC, CVC, CVCC სტრუქტურისაა:

- C:** ბ-ეს „კეთება“; ფ-ეს „თქმა“, „ქმნა“;
- VC:** აკ-ეს „ნახვა“, „დანახვა“, „გამოჩენა“; აყ-ეს „აღება“, „აყვანა“; უქ-ეს „ჭამა“; უღ-ეს „დაღება“; ეწ-ეს „შეშრობა“; ოწ-ეს „გარეცხვა“; ეფ-ეს „დაჭერა“, „დაკავება“...
- VCC:** არც-ეს „დაჯდომა“; უსკ-ეს „გაზომვა“...
- CVC:** ბაქ-ეს „ყოფა“, „არსებობა“, „გახლომა“; ბიხ-ეს „შობა“, „დაბადება“; ბოკ-ეს „წვა“, „ხრუკვა“; ბონ-ეს „ხარშვა“; ბოყ-ეს „კრეფა“; ჭურ-ეს „გრეხა“; ჩურ-ეს „გავლა“, „გასეირნება“ (ნიჯ. „ყვარება“, „შეყვარება“); ჟალ-ეს „ღუღება“; გურ-ეს „წაქცევა“; ჯარ-ეს „წვა“, „ხრუკვა“; შამ-ეს „კვლა“; ღოფ-ეს „სკდომა“...
- CVCC:** ბასკ-ეს „დაწოლა“, „დაძინება“; ბურფ-ეს „დაწყება“; ბაშყ-ეს „მოპარვა“; მანდ-ეს „ღარჩენა“; ჩალხ-ეს „გაცნობა“...

იშვიათად გვხვდება ორმარცვლიანი მარტივი აგებულების ფუძეები, მაგ., წორო-ეს „ღინება“ [წურწურით, წვეთ-წვეთად]; ახა-ეს „აკიდება“, „ზურგზე ჩამოკიდება“...

რაც შეეხება ნაწარმოებ, ანუ რთული აგებულების ზმნურ ფორმებს: კომპოზიტების პირველი ინგრედიენტი მარტივ არაუღვლებად ფუძეს წარმოადგენს, ხოლო მეორე შემადგენელი ნაწილი – მეშველ

ზმნას. მეორე კომპონენტთან ცალკე აღებული მხოლოდ სამი ზმნა წარმოადგენს დამოუკიდებელ ლექსემას, ესენია: ბაქ-ეს “ყოფა”, “არსებობა”, “გახდობა”; ბ-ეს “კეთება” და ფ-ეს “თქმა”, “ქმნა”. მათ რიცხვს შესაძლოა მივუძაბოთ ერთი ლექსემაც – ეც-ეს, რომელიც მოძრაობის აღმნიშვნელ ლექსემურ ზმნად უნდა მივიჩნიოთ და, ამასთან ერთად, იგი ლეკაუზატივისაც აწარმოებს (სხვა თვალსაზრისის მიხედვით – ვნებითი გვარის მაწარმოებელს წარმოადგენს – ევგ. ჯეირანიშვილი).

ბაქ-ეს – გარდაუვალ ზმნებს აწარმოებს, მაგ., ქალა-ბაქეს “გაზრდა” (ქალა “დიდი”); ჭოჭა-ბაქსუნ “გაწითლება” (ჭოჭა “წითელი”)...

ბ-ეს – გარდამავალ ზმნებს აწარმოებს, მაგ., აშ-ბეს “მუშაობა” (აშ “საქმე”); ბარ-ბესუნ “ღარიგება”, “ღანაწილება” (ბარ “წილი”)...

ფ-ეს – ძირითადად სემანტიკურად მეტყველებასთან, ხმასთან დაკავშირებულ მოქმედებების აღმნიშვნელ და სხვა გარდამავალ ზმნებსაც აწარმოებს, მაგ., ათ-ფეს “ლაპარაკი” (ათ “სიტყვა”); მალ-ფეს “მღერა” (მალ “სიმღერა”); ჯოჯ-ფეს “ღახველება”, ანშუმ-ფეს “გაცინება”; მაგრამ: აჩი-ფეს “თამაშობა” (აჩი “თამაში”); ოხ-ფეს “ვარცხნა” (ოხ “სავარცხელი”); ცამ-ფეს “წერა” (ცამ “წაწერი”)... ფორმა **ფ-ეს** იშვიათად აწარმოებს გარდაუვალ ზმნებსაც, მაგ., ჩურ-ფეს “ღომა”, “გაჩერება”...

ეც-ეს – აწარმოებს ლეკაუზატივის, მაგ., აკ-ე-ნე “ნახა” – აკ-ეც-ე-ნე “ღაენახა”; თად-ე-ნე “მისცა” – თად-ეც-ე-ნე “მიეცა”... ამას გარდა, ეს ფორმა, ჩვენი აზრით, მეშველ ზმნადაც გვევლინება, შდრ.: ცამ-ფ-ე-ნე “წერს” – ცამ-ეც-ე-ნე “იწერება”; გამ-ნე-ღ-ე “აცხელებს” – გამ-ეც-ე-ნე “ცხელება”; გირ-ბ-ე-ნე “თავს უყრიან” – გირ-ეც-ე-ნე “თავს იყრის”... ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ ფორმა აც-ეს პირველ ინგრედიენტს ღაერთვის როგორც მეშველი ზმნა და სხვა უღვლებად კომპონენტებს (ბ-ეს, ფ-ეს, ღ-ეს) ენაცვლება (უღიურში დაუშვებელია ორი დამხმარე ზმნის ერთად თავმოყრა).

რთული აგებულების ზმნებში ხშირად გვხვდება მეორე უღვლებადი კომპონენტი, რომელსაც ამჟამად დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა არ გააჩნია; ამათგან ყველაზე გავრცელებულია ღ- (ყრუ თანხმოვნების შემდეგ ხშირად გვაძლევს ტ-ს, მაგ., აკეს-ე-ღ-ი “ღაენახა” – აკეს-ტ-ეს “ღანახვა”), მაგ., ჟოლ-ღ-ეს “ღაცობა” (ჟოლ “საცობი”); თოგ-ღ-ეს “გაყიდვა” (თოგ “ფასი”). ეს ელემენტი გვევლინება ასევე კაუზატივის მაწარმოებლად (-ევგ მაწარმოებელთან ერთად), მაგ., ბ-ეს “კეთება” – ბ-ეს-ტ-ეს “კეთებინება”; უქ-ეს “ჭამა” – უქეს-ღ-ეს “ჭმევა”; უღ-ეს “ღაღევა” – უღ-ეს-ღ-ეს “ღაღევინება”...

უდიურის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში, რთული აგებულების ზმნებში გამოიყოფა სხვა ელემენტებიც: **კ-, ვ-, ყ-, ხ-**. ამ ელემენტების გამოყოფა ხერხდება მხოლოდ სიტყვაწარმოებითი ანალიზის ან ეტიმოლოგიური ძიების საშუალებით, მაგ., ბათ-**კ**-ეს “ხრჩობა”, “ჩაძირვა”, “წყალში დაშვება”; შდრ. აზერბაიჯანული: ბათ “ხრჩობა”.

რთული აგებულების ზმნების პირველი კომპონენტი, როგორც წესი, წარმოშობით სახელს ან ადვერბიალურ სიტყვას წარმოადგენს. იშვიათად პირველ ინგრედიენტად შეიძლება შეგვხვდეს ზმნური ფუძე. ხშირია შემთხვევები, როდესაც პირველ კომპონენტს – არაუღვლებად ფუძეს, ამჟამად არ აქვს დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა, მაგ., ბა-ფეს “ჩასხმა”, “ჩაყრა”; შამ-ფეს “დაკვლა”; ტი-ტეს “დაძახვა”; ჭურ-ღეს “მოგრეხა”, “მოღრეცა” და სხვა.

გვხვდება იდიომატური მნიშვნელობის კომპოზიტები, მაგ., ხაბარ-აყ-ეს “შეკითხვა” (ხაბარ “ახალი ამბავი” + აყ-ეს “აღება”); აჭინი-ღულ-ეს “მოტყუება” (აჭინი “ტყუილი” + ღულ-ეს “ღარტმა”, “ცემა”); გომ-ღულ-ეს “ღებვა” (გომ “ფერი” + ღულ-ეს “ღარტმა”, “ცემა”); იშენ-თად-ეს “გათხოვება” (იშენ “ქმარი” [მიც.] + თად-ეს “წასვლა”); ნეპახ-ეს “დაძინება” (ნეპახ “ძილი” [მიც.] + ეს-უნ “მოსვლა”)...

საერთოლეზგიურ ღონეზე ფუძის შემდეგი მოდელი აღდგება: (P)+R(+D). ამ ფორმულაში P პრევერბია, R ზმნური ძირი, ხოლო D ლეტერმინანტი. პრევერბის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. რაც შეეხება ლეტერმინანტებს, ლეზგიურ ენებში, როგორც წესი, დასტურდება სამი მათგანი -**რ**, -**ლ**, -**ნ**, თუმცა, შესაძლებელია, რომ ფუძეებში ლეტერმინანტთა უფრო მეტი ნაირსხვაობა ყოფილიყო.

ცაკლე განსახილველია ფუძის ვოკალური ნაწილის პრობლემა. ხმოვანი ფუძეში შეიძლება იყოს ზმნური ძირის წინ და მის შემდეგ. წინამავალი ხმოვანი დასტურდება, როგორც წესი, მაშინ, როდესაც ზმნურ ფორმაში გვაქვს პრევერბი (ასეთ შემთხვევაში, ხმოვანი მას უნდა მივაკუთვნოთ) ან (//და) კლასის მოქმედი თუ გაქვავებული პრეფიქსი. იქიდან გამომდინარე, რომ კლასის ფორმანტები ლეზგიურ ენებში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, კონსონანტურია, ხოლო საერთოლეზგიური ფონოტაქტიკა ვერ იგუებს თანხმოვანთა თავმოყრას სიტყვის ანლაუტში, ლეზგიურ ენებში კლასის ნიშანსა და ზმნური ფუძის შუა ვითარდება ხმოვანი. ძნელია იმის გარკვევა, ეს ხმოვანი უნდა მივაკუთვნოთ ბრუნვის ნიშანსა თუ ზმნურ ფუძეს. გარდა ამისა, ხმოვანი ხშირად ჩნდება ფუძეში ზმნური ძირისა და ლეტერმინანტს შორის.

როგორც ლეზგიური ენების მონაცემები გვიჩვენებს, საერთოლეზგიურში ყველაზე გავრცელებული იყო მონოკონსონანტური ზმნური ძირები. ამის შესახებ მეტყველებს ის, რომ ბევრათშესატყვისობები ზმნურ

ფორმებში ვლინდება უპირატესად ძირეულ კონსონანტებს შორის, ხოლო ფუძისეული ხმოვნები ან სხვა არაძირეული თანხმოვნები, როგორც წესი, კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათმესატყვისობებს ვერ ავლენს.

ლუზგიურ ენებში არაერთი ზმნური ფორმა საერთოლუზგიურ ლექსემად უნდა მივიჩნიოთ; წარმოგიდგინოთ ზოგიერთ მათგანს:

„ყოფნა“ (მეშვ. ზმნა) ლუზგ. **ია**; თაბ. **ჟუ**; ლიუბ. **ჟუსუ**; ად. ე; ბურშ. **ჟუ**; რუთ. **ი-იცი**; წახ. **ჟო**- (კლასის ნიშნით: **ჟო-რ**, **ჟო-ბ**, **ჟო-დ**); არჩ. ი; კრიწ. -ი; ბუდ. **ჟი**; კავკ.-ალბ. **ბუ**; უდ. **ბუ**; სხვ. დალ.: კარ. **ი-და** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 252 (ს.-ლუზგ. *ცუ)].

მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნა ლუზგ. **ფი-**; თაბ. **ლუ-ბ**; ად. **ხი-ს**; რუთ. **დი-რ-ხ^რ-ას**; წახ. **ცა-ლ-პ-ას**; კრიწ. **იხ^რ-**; არჩ. **ა-რ-პ-ას** „ფიქრი“, „გონება“; კავკ.-ალბ. **ბო^რ(პ)ესუნ** მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნა, „გონება“, „ფიქრი“, „შერაცხვა“, „ზრახვა“; შდრ. აგრეთვე: უდ. **ბაქსუნ** „გახდომა“, „ყოფა“ რუთ. **ჟ-გქეს**; არჩ. **ქეს**.

„თქმა“ ლუზგ. **ლუჰუზ**, **ლაჰანა**; თაბ. **ფუზ**; ად. **ფას**; წახ. **ეჰეს** „ლაპარაკი“; არჩ. **ბოს**, **ჟარ**; კრიწ. **ლუფფჰ**, **ლური**, პროპ. **მუჰუ**; ბუდ. **იუჰუ**, **იფფჰჰი**; კავკ.-ალბ. **(უ)ფესუნ**; უდ. **ფესუნ**; სხვ. დალ.: დარგ. **ე-ს** „თქმა“, ხუნდ. **ა-ბ-იზე** „ლაპარაკი“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეტცკოი 1930: 88; გიგინეიშვილი 1977: 138; თალიბოვი 1980: 277; ჩკელ: 625 (ს.-ლუზგ. *ციფ^რე)].

„თქმა“, „ლაპარაკი“ ლუზგ. **ლუკუნინზ**; თაბ. **ბ-იკუზ**; ბურშ. **ლი-კანას**; წახ. **ოკანას**, **ო-ბ-კენ**; კავკ.-ალბ. **უკა-** „თქმა (აწმყოს ფუძე)“; უდ. **უქ-** „თქმა“ (მყოფ. ფუძე) **უქალ** „მთქმელი“, „მთხრობელი“; სხვ. დალ.: დარგ. **ლუკეს** „წერა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 261; ხაიდაკოვი 1973: 134; ჩკელ: 634 (ს.-ლუზგ. *ცილკან „წერა“ (< „მოყოლა“?)].

„წვა“, „ხრუკვა“ ლუზგ. **ქუზ**, **ქუნა**; თაბ. **უ-რ-გუზ**; ად. **უგ^რას**; ბურშ. **იგის**; არჩ. **ბ-ოქას** // **ბ-უქას**, **ბ-ორქუზ**; კრიწ. **უგაჯ**; ბუდ. **სუგორ**, **სუგოჯი**; კავკ.-ალბ. **ბოკოკესუნ**; უდ. **ბოქ-სუნ**; სხვ. დალ.: დარგ. **იგის** და სხვ. იხ. აგრეთვე: [თალიბოვი 1960: 302; ლექსიკა 1971: 245; გიგინეიშვილი 1977: 79; ჩკელ: 860 (ს.-ლუზგ. *ცოქ^რე)].

„ჯღომა“, „დაჯღომა“ თაბ. **ლუ-ღ-სუზ** „დასმა“; კავკ.-ალბ. **ა(რ)ცესუნ**; უდ. **არცესუნ**; სხვ. დალ.: კარ. **კ-უს-ალა** „დაჯღომა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 282 (ს.-ლუზგ. *ც[ო]სა)].

„წაქცევა“, „გაბნევა“, „გაშლა“ თაბ. ალა-ღ-ქუზ; აღ. ალაღარქას „წაქცევიება“; ბურშ. ალაღარქის „დასაძინებლად დაწოლა“; წახ. კილ. ჰილადქარას, ჰილად-ბ-ქერ; არჩ. ე-ბ-ქას, ბ-ერქურ; ბუღ. ჭაშქი, ჭაქჯვი; კავკ.-ალბ. საქ-ფესუნ; უღ. საქსუნ; სხვ. დაღ.: დარგ. ქა-ბ-ი-რქეს „წაქცევა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ხაიდაკოვი 1973: 144; ჩკელ: 266 (ს.-ლეზგ. *ცერქერ (// *ცა-))].

„გარჯმა“ თაბ. ლიტი-ღ-შოუზ; რუთ. ა-ჟ-შოას; წახ. ვეშეს; ბუღ. ჭარშუ, ჭაშუჯი „შერჯმა“; კავკ.-ალბ. ბოშესუნ; უღ. ბოშესუნ „დასაფლავება“, დამარხვა“, „ციხეში ჩასმა“; სხვ. დაღ.: ლაკ. ბ-ამბან „ყრუღ დახურვა“, „ამოკეტვა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 205 (ს.-ლეზგ. *ცშოგ)].

„გაღება“ ლეზგ. ავა „ლია“, „გაღებული“; აღ. დავას; წახ. კილ. ავას; არჩ. დახას-ას; ?ბუღ. ვაჯუ, ვაჯავჯი „გათქმა“ (საიღუმლოსი); კავკ.-ალბ. ახად „ლია“; უღ. ვად „ნათელი“, „ლია“; სხვ. დაღ.: ლაკ. ცაყვან „ფართოდ გაღება“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 68; ლექსიკა 1971: 259; გიგინეიშვილი 1977: 134; ჩკელ: 264 (ს.-ლეზგ. *ცავა)].

„ნახვა“ თაბ. რა-ღ-ჯუნ (?); დიუბ. ა-ჟ-ჯუნს; ბურშ. რაჯას; რუთ. გა-ჟ-ჯას, მრ. გა-ღ-ჯეს „თვალთვალი“, „ყურება“; კრიწ. ი-ბ-ჯვჯ; ბუღ. ირჯი, გ-ბ-ჯავჯი; კავკ.-ალბ. ბოჯესუნ; უღ. ნიჯ. ბაღ-ღესუნ „პოვნა“; სხვ. დაღ.: ჩირაღ. აჰ- „ნახვა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ხაიდაკოვი 1973: 121; ჩკელ: 547 (ს.-ლეზგ. *ცარყან)].

„გაშვება“, „დატოვება“ ლეზგ. თახ, თუნა; თაბ. ღ-ი-ღ-თუზ; აღ., ბურშ. ათას; რუთ. ს-ა-ბ-თას; მრ. სა-ღ-თას; არჩ. ა-ბ-თის; კრიწ. და-ბ-თერ-იჯ; ბუღ. დორთუ, დე-ბ-თირჯვი; კავკ.-ალბ. ბართესუნ; უღ. ბართესუნ; სხვ. დაღ.: ხუნდ. თე-ზე „დატოვება“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 62; ლექსიკა 1971: 257; გიგინეიშვილი 1977: 80; ჩკელ: 271 (ს.-ლეზგ. *დათარ)].

„ჭრა“, „თარგის გამოჭრა“ ლეზგ. ატახ, ატუნა; თაბ. ქთა-ღ-ტუზ; აღ. ატას; ბურშ. ატის; რუთ. ჰა-ბ-ტუას; წახ. ჰა-ბა-ტას „გაუკაცრიელება“; არჩ. ა-ბ-ტას, ბ-არტურ; ბუღ. დორო-ტუ, დო-ბ-ტუჯვი; კრიწ. და-ბ-ტერიჯ; კავკ.-ალბ. ბოღესუნ; უღ. ბოსთუნ (< *ბოთ-სუნ); სხვ. დაღ.: ურახ. არტ-უს „თარგის გამოჭრა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 62; ლექსიკა 1971: 252; თალიბოვი 1980: 285; ჩკელ: 272 (ს.-ლეზგ. *დატგ)].

„ნახვა“ ლეზგ. აქაჟახ, აქაუნა; თაბ. ა-ღ-გუნ „ძებნა“; აღ. აგ ჟას; ბურშ. აგ ჟას // უგას „ძებნა“; რუთ. ა-ჟ-გ ჟას, მრ. ა-ღ-გ ჟეს; წახ. ჰნგ ჟას, ჰა-ჟ-გუ „ჩვენება“; არჩ. ბ-აქუს, ბ-არქურ; კავკ.-ალბ. აკესუნ; უღ.

აქსუნ; სხვ. დალ.: ლაკ. ქაჟაქაჟან „ნახვა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 65; ლექსიკა 1971: 243; გიგინეიშვილი 1977: 78; ჩკელ: 255 (ს.-ლუზ. *ცაქაჟ)].

„აღება“ , „ჭერა“ ლუზ. ყაზ, ყუნა; თაბ. ლაღ-ღ-ლუზ; დიუბ. ა-ჟ-ჯაჟს „გამოღება“; ბურშ. აჯას; რუთ. ჰა-ჟ-ჯას, მრ. ჰა-ღ-ჯაჟს; წახ. ა-ჟ-ჯას, ა-ჟ-ჯაჟ, ლურ. ა-ჟ-ჯაჟა; არჩ. ბ-აყას „ლატოვება“; კრიწ. დიჯრიჯ; ბუდ. სურჯუ, სუ-ჯურჯი; კავკ.-ალბ. ბიყესუნ, ბაყესუნ, ჰეყესუნ; უდ. აჯ-სუნ; სხვ. დალ.: დიდ. -იჯირა „ლაჭერა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ხაიდაკოვი 1973: 124; ჩკელ: 254 (ს.-ლუზ. *ცაყაჟ)].

„კოჭლობა“ თაბ. ლაკ სუნ „გადავარდნა“; რუთ. არკას „კოჭლობა“, ალკა-დ „კოჭლი“; გილმ. კაჟან „id“, არჩ. ლანკ-ბოს „კოჭლობა“; კავკ.-ალბ. კალა „კოჭლი“; უდ. ვართ.-ზინ. ქალა „კოჭლი“; სხვ. დალ.: დარგ. -ალკა „კოჭლი“, ლაკ. ჟ-ალკა ტუნ „ფეხის არევა“, „ქანაობა“, ლინკ „კოჭლობა“, ჩენჩ. ლანკა „კოჭლი“ (იხმარება უარყოფით კონტექსტში). იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 261 (ს.-ლუზ. *ცაღკა- // *ლაკა-)].

„წაღება“ ლუზ. ჯაჟს „მოსვლა“; თაბ. ღუნ „id“; ღან; ყანდ. ღუნ, აღუნ; დიუბ. ჯუნს, აჯუნს; ?წახ. ჰოლა; აღ. ბაჟ; თფილ. ჟან; რუთ. ჯუნღუნ „წასვლა“; არჩ. ჯუნს, ლურ. ორჯირ; ბ-ერჯანს; ბუდ. ჩაღარ (მღრ. ჩილი „წაღება“); კავკ.-ალბ. ჰელესუნ „მოსვლა“; უდ. ელალო „მოსული“, ვართ.-ზინ. ე-სუნ, ნიჯ. ედ-სუნ „მოსვლა“; სხვ. დალ.: ხუნძ. ყოყინე „გზის დაწყება“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 572 (ს.-ლუზ. *ციჯაჟ)].

„მიღწევა“ ლუზ. აყაზ, აყუნა „მოხვედრა“, „მორტყმა“; თაბ. რუ-ღ-ყუნ; აღ. რუყას; რუთ. ლა-ჟ-ყას (მღრ. აგრეთვე ქ-ყას „შეხება“); წახ. კილ. აჟადყარას „დაწევა“; არჩ. ე-ბ-ყის; კრიწ. ჟოყუჯ „პოვნა“; ბუდ. ჩურაყარ; სხვ. დალ.: ახვ. -უყუ „მიღწევა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 269 (ს.-ლუზ. *ირყარ)].

„შობა“, „გაჩენა“ ლუზ. ხაზ, ხანა, ბრძ. ხუნ // რუნუნ; თაბ. ხუნ; აღ. უხას; ბურშ. რუნას; რუთ. ჰუ-ხას; წახ. უხას; კრიწ. ხუდიჯ, რუნრი, ბრძ. სანჯერ; ბუდ. ხოსუ; არჩ. ჯან ქეეს; კავკ.-ალბ. ბინესუნ; უდ. ბინსუნ (მღრ. უდ. სოღ „შთამომავლობა“); იხ. აგრეთვე: [გიგინეიშვილი 1977: 127; ჩკელ: 576 (ს.-ლუზ. *ცინა)].

„პოვნა“ თაბ. დ-იჯუნ; არჩ. ხოს; კავკ.-ალბ. ბიყესუნ, ბაყესუნ „ჭერა“, „პყრობა“; უდ. ბიჯასუნ „ჭერა“, „პყრობა“; სხვ. დალ.: ჰუნძ. -ონა „აღება“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [გიგინეიშვილი 1977: 98; ჩკელ: 646 (ს.-ლუზ. *ციჯ)].

„აღება“ ლუზ. ჯაჩუნ, ჯაჩუნა; წახ. სა-ბა-ჩეს „მიღება“, „წაღება“; კავკ.-ალბ. *ჰერესუნ „მოტანა“, „მოყვანა“ (< ჰერალ სრ. სახის მიმდ.); უდ. ერ-სუნ „მოტანა“, „მოყვანა“; სხვ. დალ.: დარგ. -ურ-ეს „კერფა“; ხუნძ. -აჩა-იხე „წაღება“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 254 (ს.-ლუზ. *ცაჩე)].

„აზომვა“, „აწონვა“ ლეზ. ალცუმიზ; თაბ. დე-რ-ცუზ; აღ. ალცას; ბურშ. ალცანას; ხნუხ. ჰა-ბ-ც^ჟას, ღურ. ჟა-რა-ცურ; არჩ. ა-ბ-სმუს; კრიწ. ჟბცნიჯ; ბუღ. სონსუ, სე-ბ-სინჯი; კავკ.-ალბ. ბუკუს „საზომი“; უღ. უსქსუნ „აზომვა“; სხვ. დაღ.: ხუნდ. -ორცინე „აზომვა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 250-251; გიგინეიშვილი 1977: 90; ჩკელ: 260 (ს.-ლეზ. *ცალცან)].

„კეთება“ ლეზ. იდიზ, აჟუნა, ბრძ. ადა; თაბ. აპუნ (მღრ. აფუნ „ჩაჭედვა“); რუთ. ჟ-აყას; წახ. ჰას // ჰაყას; არჩ. ას; კრიწ. დერიჯ // ანჯაჯ; ბუღ. სიცი, სუტურჯი; კავკ.-ალბ. ბიდეუს; უღ. ბესუნ; სხვ. დაღ.: ლაკ. ა-ნ „კეთება“, „შობა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ხაიდაკოვი 1973: 124; ჩკელ: 257 (ს.-ლეზ. *აყა)].

„ხმობა“ ლეზ. ყურას, ყურანა; თაბ. უ-რ-ჯაუნ „გახმობა“ (პურისა); აღ. რუჯ^ჟას; ბურშ. ურჯ^ჟას; არჩ. ყურას, ბრძ. ყურაყა; ჯ^ჟას „შეშობა“, „აორთქლება“. იხ. აგრეთვე: ლეზ. ყურუ, ხლუტ. ჯურჯურ, აღ. რუჯუ-ფ, რუთ. ჯურუ-ღ; წახ. ჯურუნ, ბუღ. ჯურუ; კავკ.-ალბ. ყარი-ბიდეუს „გახმობა“; უღ. ჯარი „მშრალი“; სხვ. დაღ.: ხუნდ. -აყა^ჟ-ზე „ხმობა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 64; გიგინეიშვილი 1977: 108; ჩკელ: 632 (ს.-ლეზ. *ციყარ)].

„დასველება“ ხივ. ურნ^ჟ „მოშარღვა“; რუთ. ს^ჟ-ჟ-ნას; წახ. ალენას „ღნობა“; ბუღ. სონ^ჟურუ „მოშარღვა“; იხ. აგრეთვე: აღ. დინ^ჟ-ფ „სველი“; კავკ.-ალბ. დაი „მწვანე“; უღ. დ^ჟ // დ^ჟი „უმი“, „მწვანე“ (ვართ.-ზინ. დ^ჟი „მწვანე“); სხვ. დაღ.: ხუნდ. -ილ^ჟ-იზე „გადასვლა თხევად მდგომარეობაში“, ლ^ჟალ^ჟ-ზე „მორწყვა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ჩკელ: 278 (ს.-ლეზ. *ცილარ)].

„მოკვდობა“, „მოკვლა“ ლეზ. რეყიზ, ყენა, ბრძ. დიყ; თაბ. დი-ღ-კუნ; არჩ. კის, კარ; აღ. კას; ბურშ. კის; რუთ. ჟ-იყეს, მრ. დე-ყდრყას; წახ. ჯეკეს; კრიწ. ყ^ჟ-დიჯ, ღურ. რეყარი, ბრძ. ს^ჟყ; ბუღ. სარყარ, საყავჯი; კავკ.-ალბ. უბ, აწმყოს ფუძე ბი-ლ^ჟ-ა; უღ. ბიდე-სუნ; სხვ. დაღ.: ახვ. იტ^ჟ-რულ^ჟ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 63; გიგინეიშვილი 1977: 103; ჩკელ: 662 (ს.-ლეზ. *ციტე)].

„ღნობა“, „ყვარება“ ლეზ. კან^ჟ ნ^ჟუნ; თაბ. ქაუნ^ჟ ნ^ჟუნ; დიუბ. დიჯუს; აღ. ქან^ჟ ნ^ჟას; რუთ. ჟ-გეას; წახ. კილ. ექანას; არჩ. ტან; კრიწ. იქ^ჟჯ; ბუღ. ტერმ. დიქ^ჟჯი; კავკ.-ალბ. ბუყესუნ, უღ. ვართ.-ზინ. ბუჯსუნ; სხვ. დაღ.: ხუნდ. -ოლ^ჟ-იზე და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 75; ლექსიკა 1971: 253; გიგინეიშვილი 1977: 111; ჩკელ: 645 (ს.-ლეზ. *ციტან)].

„მკა“ აღ. ინ^ჟეს; კრიწ. ინ^ჟჯ; ბუღ. სუნ^ჟ, სინ^ჟოჯი; კავკ.-ალბ. ეხ, უღ. ეხ; სხვ. დაღ.: ხუნდ. ლ^ჟილ^ჟ-იზე „მკა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [კლიმოვი 1968: 227; ჩკელ: 663 (ს.-ლეზ. *დილან „თიბვა“, „მკა“)].

„ხენა“ ლეზგ. ცაზ, ცაანა; თაბ. უ-რ-ზუნ; ყანდ. უძუზ; დიუბ. უქძუს; აღ., ბურშ. უზას; რუთ. ჟ-პზას; წას. ეზას; არჩ. ბ-აცას; კრიწ. ჟ-იზჯ; ბუდ. სოზუ, სიზეჯი; უდ. ეზ; იხ. აგრეთვე: ნაწარმოები: ლეზგ. ცაან, თაბ. იზან, მუხ. დიძან, ბუდ. დიზენ „სახნავი“; სხვ. დალ.: ლაკ. ზუნ „მუშაობა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ხაიდაკოვი 1969: 109; ლექსიკა 1971: 170, 260; ჩველ: 280 (ს.-ლეზგ. *ცაა „ხენა“, „თესვა“)].

„ჭამა“ არჩ. ქუმუხ; კავკ.-ალბ. უქესუნ, უდ. უქსუნ; სხვ. დალ.: ხუნდ. ქაინე და სხვ. შდრ. [გიგინეიშვილი 1977: 80-81; ჩველ: 207 (ს.-ლეზგ. *ციქან)].

„სირბილი“, „სწრაფვა“ აღ. ჰუქ; კავკ.-ალბ. აქ-ფესუნ; სხვ. დალ.: ხუნდ. -ექე-.

„მიცემა“, „მოცემა“ ლეზგ. ლ-უნ (< *ულ-უნ); თაბ. ლ-უნ; აღ. დ-ეს; რუთ. ჰგ-ჟ-უნ; წას. ვი-ლ-ეს; კავკ.-ალბ. და-ლ-ეს; სხვ. დალ.: ხუნდ. ტბეზე, დიდ. ნე-ლზ-ა, დარგ. ლ-იზ || გ-ეზ, ლაკ. ულ-უნ და სხვ.

„დაღება“, „ჩამოღება“ ლეზგ. ავანის „ჩაგორება“, „ჩამოსვლა“, ავანის „ჩამოყრა“; თაბ. ა-ფ-ზ-უნ; აღ. ლარზას; რუთ. ს-ვდ, ლი-ზ-ინ; წას. ყაყა-ჟ-ზას; ბუდ. არანარ; არჩ. ელას; ხინ. ჩე-შ-ირი (< *ჩე-ზ-ირი); კავკ.-ალბ. ძეხესუნ; უდ. ლასუნ; სხვ. დალ.: ხუნდ. ლ-ეზე, ახვ. ბი-ლ-ურ-ულა, დარგ. [ქა]-ბი-ზ-ეს, ლაკ. ბი-შ-ინ (< *ბი-ზ-ინ, შდრ. ნამყოს ფორმა: ბი-ჟ-ზ-უნნი) და სხვ.

„ხარშვა“, „აღუღება“ ლეზგ. რგაზ, რგანა; თაბ. უ-რ-ზ-უნ; დიუბ. უ-ჟ-ზ-უს; აღ. ურჯეეს; რუთ. რუნას; ბურშ. ურშას; წას. ქოდზარას; ხინ. ს-გლი; უდ. ბოსუნ; სხვ. დალ.: ხუნდ. -ელინე „ხარშვა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეტკოვი 1922: 192; ლექსიკა 1971: 241; გიგინეიშვილი 1977: 122; ჩველ: 1030 (ს.-ლეზგ. *ცორლზარ)].

„ცემა“, „გემა“, „ტანჯვა“, „დაცემა“ ლეზგ. გა-თ-უნ; წას. გე-თ-ას; კავკ.-ალბ. იგესუნ.

„გაყოფა“ წას. ბიტალ-აყას; კავკ.-ალბ. ბეტალა-ბიდესუნ; სხვ. დალ. ბურ-ტ-ეს; ბეჟ. ბიტალ.

პრევერბთა სისტემა. საერთოლუზგიურ ღონეზე შესაძლებლად გვესახება შემდეგი პრევერბების აღღენა:

*აღ- („ორიენტირზე“ მყოფობას გადმოსცემს): ლეზგ. აღ-ილ-ელ-: თაბ. აღ-ილ-: აღ. აღ-: რუთ. ლ-: წას. აღ-ილ-/ულ-: უდ. ლ-.

ეს პრევერბები განსაკუთრებით პროლექტიულია ლეზგიურ, თაბასარანულ, აღულურ, რუთულურ და წახურ ენებში, უდიურში ლ- პრევერბი სულ რამდენიმე ზმნაში გვხვდება, ხოლო შაჰდალის ენებში ამ მაწარმოებელს ცვლის ყ- პრეფიქსი.

ამ პრევერბს შეიძლება დაუკავშიროთ **ლ(ა)**- ელემენტი ხინალულურში, რომელიც რთულ, ორიენტირთან მოახლოების სემანტიკის გამომხატველ პრევერბთა შემადგენლობაში დასტურდება [კიბრიკი და სხვ. 1972: 226].

***ყ-** („ორიენტირის გარეთ“ ლოკალიზაციას გადმოსცემს): ლეზგ. **აყ/ეყ-**: თაბ. **ყ-** (ჩრდ. კილო)/**ლ-** (სამხ. კილო): ად. **-ლ-**: რუთ. **ლ-**: წახ. **-ლ-**: კრიწ. **ყ-**: ბუდ. **ყ-**.

ხინალულურში ამ პრევერბს შეიძლება უკავშირდებოდეს **ყ(აღ)**- მაწარმოებელი, რომელიც ზემოდან მოახლოებას აღნიშნავს, ხოლო უდიურსა და არჩიბულში ***ყ-** პრევერბის შესატყვისი არ ჩანს.

***ტბ-** („ორიენტირის ქვემოთ“ ლოკალიზაციას გადმოსცემს): ლეზგ. **კ(ა)**-: თაბ. **ქ-**: ად. **ქ-**: რუთ. **გ-**: წახ. **გ-**: კრიწ. **ქ-**: ბუდ. **ჩ-**.

უდიურსა და არჩიბულში საერთოეზგიური ***ტბ** პრევერბის შესატყვისი, როგორც ჩანს, მოგვეძიება ზმნისართებში: უდ. ოყა „ქვემოთ“; არჩ. ტირ „id“. ამას გარდა, საერთოეზგიური ***ტბ**-ს კანონზომიერი რეფლექსი შემონახულია ბულუხურშიც იგივე ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელ ზმნისართში: ქორგნ „ქვემოთ“.

***ქ-** („ორიენტირთან უშუალო შეხების“ ლოკალიზაციას გადმოსცემს): ლეზგ. **ქ(ა)**-: თაბ. **ქ-**: ად. **ქ-**: რუთ. **ქ-**: წახ. **ქ-**: კრიწ. **ჩ-**: ბუდ. **ჩ-**.

***ღაა-** („ორიენტირთან ახლოს“ ლოკალიზაციას გადმოსცემს): ლეზგ. **გ(ა)**-(**გ/ჟ**): თაბ. **ზ-**: ად. **ფ-**: რუთ. **ფ-**: კრიწ. **ჟ-**: ბუდ. **ჟ-**.

არჩიბულში უნდა იყოს შემონახული ლექსემაში **ღაა** „ერთად“.

***ს-** („ორიენტირის ქვემოთ“ ლოკალიზაციას გადმოსცემს): რუთ. **ს-**: წახ. **ს-**: კრიწ. **ს-**: ბუდ. **ს-**: უდ. **ს-** (უდიური რეფლექსი გამოვლენილია ერთადერთი მაგალითის მიხედვით - საქსუნ „წაქცევა“).

***ვ-** („ორიენტირის უკან“ ლოკალიზაციას გადმოსცემს): ლეზგ. **-ხ-**: თაბ. **ვ-**: ად. **ვ-**: რუთ. **ვ-**: წახ. **ვ-**.

ამას გარდა, საერთოეზგიურ დონეზე შესაძლებლად გვესახება ***-ყ** პრევერბის აღდგენა, რომელიც, სავარაუდოდ, „ორიენტირთა შორის“ ლოკალიზაციას ან გადავსებულ სივრცეში მყოფობას აღნიშნავდა: ***ტბ-** („ორიენტირის ქვემოთ“ ლოკალიზაციას გადმოსცემს): თაბ. **ყ-** (ჩრდ.), **ლ-** (სამხრ.): ად. **ლ-**. მიუხედავად ჩვენებების სიმცირისა, რომელიც სრულად აღმოსავლურ-სამურულ ენებსაც კი არ მოიცავს, ამ პრევერბის აღდგენას საერთოეზგიურში მხარს უჭერს ის, რომ ეს მაწარმოებლები პარალელს ავლენს სახელთა

ლოკალიზაციის შესაბამის მაჩვენებელთან. საფიქრებელია, რომ ამ პრევერბის გაქრობა ლეზგიურ ენეთა უმეტესობაში გამოწვეულია ქ- პრევერბის მიერ მისი ფუნქციების შეთავსებით.

სხვა პრევერბთა რეკონსტრუქცია საერთოლეზგიურ დანეზე პრობლემატურია. სამეცნიერო ლიტერატურაში იყო ნავარაუდები სხვა სივრცითი პრეფიქსების არსებობაც საერთოლეზგიურში. მ. ალექსეევის აზრით, ესენია:

*ც- („ორიენტირის შიგნით“ ლოკალიზაციას გადმოსცემს): თაბ. ც-: აღ. ც-: რუთ. ც-. ამასთან, მკვლევარი უშვებს შესაძლებლობას, რომ ამ ფორმულას შეემატოს კრიწულსა და ბულუხურში დადასტურებული ჰ და არჩიბული დ [ალექსეევი 1985: 119].

*ჰ- („ორიენტირის წინ“ ლოკალიზაციას გადმოსცემს): თაბ. ჰ-: აღ. ჰ-: წახ. ჰ- (?) [ალექსეევი 1985: 120].

ჩვენ ვერ გავიზიარებთ აღნიშნულ რეკონსტრუქციებს. ჩვენი აზრით, *ც და *ჰ თანხმონები საერთოლეზგიურ ქრონოლოგიურ დონეზე არ აღდგება. ამასთან თვალში საცემია, რომ აღნიშნულ ფორმულებში მოგვეპოვება მხოლოდ სამურული ენების მონაცემები. არჩიბული დ-ს ჩართვა პირველ ფორმულაში არ არის დამაჯერებელი, ვინაიდან არჩიბული დ არც კანონზომიერად და არც რეგულარულად არ შეესატვისება ც ბერას თაბასარანულში, ალუღურსა და რუთულურში (ისევე როგორც კრიწულ და ბულუხურ ჰ-ს).

რაც შეეხება მ. ალექსეევის დანარჩენ დაკავშირებებს (იხ.: [ალექსეევი 1985: 121]), მათზე ვრცლად არ შევჩერდებით, რადგან ისინი, თავად მკვლევრის აზრითაც, „პრობლემატურია“.

ლეზგიურ ენებში ზმნურ პრეფიქსთა ცალკე ჯგუფს ჰქმნის ე. წ. ექსპრესიული პრევერბები (იხ.: [თალიბოვი 1980ა: 91; ალექსეევი 1985: 123]). საერთოლეზგიურ დონეზე შესაძლებლად გვესახება შემდეგი მაწარმოებლების აღდგენა:

*ტ-: ლეზგ. ტ-: თაბ. ტ-: აღ. ტ-: რუთ. ტ-: წახ. ტ-: კრიწ. ტ-: ბულ. ტ-;

*ჭ-: ლეზგ. ჭ-: თაბ. ჭ-: აღ. ჭ-: რუთ. ჭ-: წახ. ჭ-: კრიწ. ჭ-: ბულ. ჭ-;

*წ-: ლეზგ. წ-: თაბ. წ-: აღ. წ-: რუთ. წ-: წახ. წ-: კრიწ. წ-.

ამას გარდა, ლეზგიურ ენებში სხვა „ექსპრესიული“ პრევერბები გამოიყოფა: ჩ, ჩა, ც, ჯ, ე და სხვ.

ზმნის ფლექსიური კატეგორიები

ლუზგიურ ენებში უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასპექტის კატეგორია ასრულებს, რომელიც გამოიხატება სრული სახის ფუძისა (ტერმინატივი) და უსრული სახის ფუძის (დურატივი) დაპირისპირებით. ამ ფუძეებზე დაყრდნობით ლუზგიურ ენებში ფაქტობრივად ყველა დრო-კილო იწარმოება. ტერმინატივის ფუძეზე დაყრდნობით ლუზგიურ ენებში იწარმოება აორისტი, პერფექტი, პლუსკვამპერფექტი და იმპერატივი, ხოლო დურატივის ფუძეზე დაყრდნობით - აწმყო ზოგადი, აწმყო კონკრეტული, ნამყო ზოგადი, იმპერფექტი და პროჰიბიტივი. რაც შეეხება დანარჩენ დრო-კილოებს ისინი სხვადასხვაგვარ სურათს გვიჩვენებენ ენათა მიხედვით, რაც უნდა იყოს გამოწვეული მათი შედარებით ახალი ჩამოყალიბებით.

დრო-კილოთა უმეტესობა ლუზგიურ ენებში იწარმოება აბსოლუტივი + მეშველი ზმნა პრინციპით, თუმცა ზოგიერთ ენაში ეს თავდაპირველი მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეცვლილია.

ფლექსიურ მორფემათაგან ყველაზე გავრცელებულია სუფიქსები. პრეფიქსებად ან ინფიქსებად ზმნაში, პრევერბებთან ერთად, გვევლინება მხოლოდ კლასიფიკატორები და უარყოფითი მორფემები არაფინიტურ ზმნურ ფორმებსა და იმპერატივში (პროჰიბიტივში).

ასპექტის კატეგორია. ასპექტის კატეგორია ლუზგიურ ენებში გამოიხატება სრული სახის ფუძისა (ტერმინატივი) და უსრული სახის ფუძის (დურატივი) დაპირისპირებით. ასე, მაგალითად, რუთულურში ტერმინატივის ფუძეზე დაყრდნობით იწარმოება აორისტი, პერფექტი, პლუსკვამპერფექტი და იმპერატივი, ხოლო დურატივის ფუძეზე დაყრდნობით - აწმყო ზოგადი, აწმყო კონკრეტული, ნამყო ზოგადი, იმპერფექტი და პროჰიბიტივი. მსგავსი ვითარება სხვა ლუზგიურ ენებშიც დასტურდება.

საფიქრებელია, რომ საერთოლუზგიურ დონეზე ტერმინატივის ფუძე ნულოვანი მორფემით იყო წარმოდგენილი, ხოლო დურატივის ფუძე - *-რ- მორფემით გაფორმებული. ეს ვითარება შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება: *-ფ (ტერმ.) ~ *-რ- (დურ.): ლუზგ. ფ ~ რ (ნ): თაბ. ფ ~ ლ: აღ. ფ ~ რ: რუთ. ფ ~ რ (// ლ): წახ. ფ ~ ე: კრიწ. ფ ~ რ (ლ): ბუდ. ფ ~ რ (ლ, ნ): არჩ. ფ ~ რ (მ). ფ ~ რ დაპირისპირება შეიძლება ნეიტრალიზებული იყოს უდიურში, თუ გავითვალისწინებთ ფ > რ პროცესს ანლაუტში, რომელიც განვითარდა უდიურ ენაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ივარაუდება, რომ **ღ ~ რ** დაპირისპირების გარდა ასპექტუალური ხასიათის მნიშვნელობათა გამოსატყა საერთოლუზგიურში აბლუტიტაც ხდებოდა (ამ მოსაზრებას მ. ალექსევი წარმოგიდგენს ს. სტაროსტინის ხელნაწერზე დაყრდნობით [ალექსევი 1985: 85-86]):

	ტერმინატივ. ფუძე	ღურატივ. ფუძე	პოტენციალის. ფუძე		ტერმინატივ. ფუძე	ღურატივ. ფუძე	პოტენციალის. ფუძე
ფუძის	ი	წ	ღ	ფუძის	ა	ო	ა
პირველი	ა	ღ	ა	პირველი	ა	ო	წ
ხმოვანი	ე	ე	ე	ხმოვანი	ღ	ღ	ღ
	ო	ო	ა		ა	ა	ე

უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევართა მიერ ნავარაუდები მდომარეობა არ დასტურდება ღღეს არც ერთ ლუზგიურ ენაში, რაც, ბუნებრივია, ეჭვქვეშ აყენებს ამ რეკონსტრუქციის მართებულობას. აბლუტი ტერმინატივისა და ღურატივის ფუძეთა გასარჩევად გვხვდება მხოლოდ ბუღუზურ ენაში (**ა ~ ი; უ ~ ი**), მაგ., არხარ „ძილი“ ~ ერხი „დაძინება“ და სხვ.

ამას გარდა, ასპექტუალური მნიშვნელობები საერთოლუზგიურ ღღენზე შესაძლოა გადმოიცემოდა რეღუპლიკაციის მეშვეობით. ეს ვითარება ღღეს დასტურდება არჩიბულ, წახურსა და კრიწულ ენებში. რეღუპლიკაციას გრამატიკული ფუნქცია ლუზგიურ ენაშიც მოეპოვება იგი ერთმარცვლიანი ზმნური ფორმების იმპერატივს აწარმოებს [მეილანოვა 1954: 269].

წახურში რეღუპლიკაციის მეშვეობით იწარმოება რამღენიმე ღღინამიკური ზმნის ღურატივი (მაგ., ჯიქექა „მოტანა“ ~ ტერმ. ჯექღ; უზუნა „შობა“ ~ ტერმ. უზღ; აყაყა „ჭერა“ ~ ტერმ. აყღ; გჰგღჰა „ღარტყმა“ ~ ტერმ. გჰღ), ხოლო რამღენიმე სტატიკურ ზმნაში რეღუპლიკაციის მეშვეობით იწარმოება ტერმინატივი (მაგ.: გეღეკირ „ავად ყოფნა“ ~ ღურ. გჰარ; გქღღქღ „ყვარება“ ~ ღურ. გქან).

წახურში რეღუპლიკაციით იწარმოება რამღენიმე CVC სტრუქტურის ზმნის ღურატივი: ჯღრ-იჯ „წვა“ ~ ღურ. ჯიჯ-რი; ზღმ-იჯ „რეცხვა“ ~ ღურ. ზღზ-ნი; ყღრ-იჯ „ღაღევა“ ~ ღურ. ყყყ-რი; ჯურ-იჯ „სიცილი“ ~ ღურ. ჯუჯ-ა-რი...

ყველაზე გავრცელებულია ღურატივის წარმოება რელუპლიკაციის საშუალებით არჩიბულში. ამას გარდა, არჩიბულში ხშირია რელუპლიკაციით იმპერატივისა და მასდარის წარმოება. უნდა აღინიშნოს, რომ რელუპლიკაცია ხდება **C₂(მ)** სტრუქტურის ზმნებში:

	საწყისი ფორმა	ღურატივი
„თვლა“	ყ ^ნ ჴემ	ყ ^ნ ჴემყ ^ნ ინ
„გაქცევა“	ღ ^ნ ჴემ	ღ ^ნ ჴემღ ^ნ ინ
„ღნობა“	საემ	საემსაინ
„ლაწვნა“	ხემ	ხემხაინ
„გაცრა“	წემ	წემწაინ
„მოხელვა“	შემ ^ნ	შემ ^ნ შაინ
„გზის აბნევა“	ყ ^ნ ე-კე	ყ ^ნ ე-კერკირ
„გამარჯვება“	ხე	ხერხირ
„გათოშვა“	ჰე	ჰერჰირ
„ლაობა“	შე ^ნ	შე ^ნ რშირ

ღრო-კილოთა სისტემა. საერთოლუზგიურ ღონეზე ღრო-კილოთა უმეტესობა იწარმოება, როგორც ჩანს, აბსოლუტივი + მეშველი ზმნა პრინციპით. ამასთან, აბსოლუტივის ფორმა პრაქტიკულად ემთხვეოდა ან ტერმინატივის, ანდა ღურატივის ფუძის ფორმას.

მეშველი ზმნების ფუნქციონირება ლუზგიურ ენებში დღეს საკმაოდ ჭრელ სურათს გვიჩვენებს. ლუზგიურში „ყოფნა“ ზმნის ორი ფორმა დასტურდება, ესენია **და** და **აჴა**. მეშველ ზმნად ლუზგიურში მხოლოდ მეორე ფორმა გვხვდება, რომელიც დაერთვის სხვადასხვა ზმნურ ფუძეს, მაგ.: **ყარუზ** „აღება“ ~ **ყარუზ-ჴა** „იღებს“; **აცუყნა** „დაჯდა“ ~ **აცუყნა-ჴა** „ზის“. ნამყოს ფორმათა საწარმოებლად **ჴა** მეშველ ზმნას დაერთვის **-ი** სუფიქსი: **აჴა-ი** „იყო“; **ყარუზ-ჴა-ი** „იღებს“; **აცუყნა-ვა-ი** „იჯდა“...

თაბასარანულში მეშველ ზმნებად გამოყენებულია **ჴუ** (დიუბ. **ჴუჴუ**; ხიურ. **იუ**) და **ა** ფორმები. ორივე ზმნა მონაწილეობს ანალიტიკურ ზმნურ ფორმათა წარმოებაში, სახელდობრ იგი აწარმოებს ისეთი

სემანტიკის ზმნებს, რომლებიც არ გამოხატავენ კონკრეტულ დროს, შდრ.: ლიხურა „მუშაობს“ ~ ლიხურე (< ლიხური ჟე) „მუშაობს ხოლმე“...

აღუღურში ამ თვალსაზრისით განსხვავდება ე და ა (ნამყოში ი და ად) მეშველი ზმნების მეშვეობით ნაწარმოები ფორმები, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ ე (ი) მეშველი ზმნების მეშვეობით ნაწარმოები ფორმები და ვა-, ჰა-, ჰა-, ქიე-, ქე-, ალ-, ღა-, ცა- პრევერბიანი ზმნები.

რუთულურში ამ თვალსაზრისით ერთმანეთს უპირისპირდება მეშველი ზმნები ი და იგი (ნამყოში იდ და იგიდ).

წახურში მხოლოდ ერთი მეშველი ზმნა დასტურდება: ვო-რ (I-II კლ.), ვო-ბ (III კლ.), ვო-დ (IV კლ.). მხოლოდ ერთი მეშველი ზმნა დასტურდება არჩიბულშიც: აწყო ჟ-ი (I კლ.); დ-ი (II კლ.); ბ-ი (III კლ.); ი (IV კლ.); ნამყო ე-ჟ-დი (I კლ.); ე-რ-დი (II კლ.); ე-ბ-დი (III კლ.); ე-დი (IV კლ.).

კრიწულში გვხვდება „ყოფნისა“ და „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელი მეშველი ზმნა დაჰჰ, რომელიც გამოიყენება აწყო რთული დროის საწარმოებლად, მაგ., ირვირ-აჰჰ-ვი „ხედავს“. ამას გარდა, კრიწულში ზმნურ ფორმებს დაერთვის სუფიქსები -ი//-დი (I, IV კლ.); -უჟ//-ჟუჟ (II-III კლ.); -იბ//-დიბ (მრ. რიცხვი), რომელიც წარმოშობით მეშველ ზმნებს უნდა წარმოადგენდნენ.

ბულურში დასტურდება მეშველი ზმნა ვი „არის“, „აქვს“, „ყავს“, რომელიც აწარმოებს აწყო-კონკრეტულს, მაგ., ჩაღრა-ვი „მიღის“... ეს მეშველი ზმნა მიმღობასაც აწარმოებს: ჟეჰი „მყოფი“, „არსებული“.

ლუზიურ ენათა მანაცემთა შეჯერების შემდეგ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მეშველი ზმნების ფორმები ლუზიურ ენებში მატერიალურად კლასის ნიშნებს უკავშირდება. საერთოლუზიურ ღონეზე, ჩვენი აზრით, უნდა აღდგეს ყოფნისა და ქონა-ყოლის აღმნიშვნელი მეშველი ზმნის შემდეგი მოდელი: კლასიფიკატორი + *ა ხმოვანი, რომელიც ხშირად გვაძლევდა ი ან ე ხმოვნებს (დ-ს შემდეგ), ანდა უ-ს (ჟ-ს შემდეგ).

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვა მოსაზრებაც გამოითქვა ამ საკითხის შესახებ. მ. ალექსეევის აზრით, საერთოლუზიურში აღდგება *აჰა და *ჟე მეშველი ზმნები, რაც, როგორც ჩვენ მივიჩნევთ, არ დასტურდება ფაქტობრივი მასალით.

მეშველი ზმნის ფორმა აწყოსა და ნამყოს ფორმებს აწარმოებდა. აწყო ნულოვანი მორფემით იწარმოებოდა, ხოლო ნამყო *-დ სუფიქსის მეშვეობით, შდრ.:

ლუზგ. აჭა ~ აჭა-ი: თაბ. ა ~ ა-ი, უჟ ~ უჟ-ი: აღ. ა ~ ა-ი, ე ~ ი; რუთ. ა ~ ა-ი, ი ~ ი-ი. ანოლოგიური ვითარება უდიურშიც დასტურდება: ბუ „ყოფნა“, „ყოლა“, „ყოლა“ (აწმყოში) ~ ბუ-ი „ყოფნა“, „ყოლა“, „ქონა“ (წარსულში).

თავდაპირველი სისტემის ცვლილება ლუზგიურ ენებში განვითარდა სხვადასხვა გზებით. ზოგიერთ ენაში აბსოლუტივმა მიიღო პრედიკატიული ფორმის მნიშვნელობა დამოუკიდებლად, ანუ ისე, რომ მას ჩამომორდა მეშველი ზმნა, მაგ., თაბასარანულში: **ლიზურ** „შესაძლოა იმუშაოს“; **ღურ** „შესაძლოა მოვიდეს“; **ღაბლუ** „გაცივდა“; **ჭილიგუ** „შეხება“; არჩიბულში: **არკურ** „მიერეკება“ ~ **აკუ** „გარეკა“.

ზოგიერთ ენაში კი მიმდებარე (*-ღ/*-ნ სუფიქსების მეშვეობით იწარმოებოდა) შეითავსა პრედიკატივის ფუნქცია. ყველაზე მეტად ეს მოვლენა გავრცელებულია წახურ ენაში. ლუზგიურ ენაშიც, როგორც ჩანს, მყოფადი ნაწარმოებია მიმდებარის ფორმაზე დაყრდნობით, მაგ., **ყაჩუ-ღ+ა** > **ყაჩუ-ღა** „აიღებს“.

მყოფადი ღრო ლუზგიურ ენებში მეორეულია და ხშირად ნაწარმოებია ინფინიტივის ფორმაზე დაყრდნობით, მაგ., აღ. **აჯას** „კეთება“ ~ **აჯას ე** „გააკეთებს“; რუთ. **ლუზტას** „აღვია“ ~ **ლუზტას(ი)** „აღება“. ლუზგიურსა და უდიურში ზმნის ამ ფორმისაგან ნაწარმოებია უსრული სახის ღრო-კილოები, მაგ., ლუზგ. **ყაჩუზ-ტა** „იღებს“, **ყაჩუზ-ტა-ი** „იღებდა“...; უდ. **ბეს-ან-ე** „აკეთებს“, **ბეს-ან-ე-ი** „აკეთებდა“ და ა. შ.

საერთოლუზგიურ ქრონოლოგიურ დონეზე უეჭველად აღდება ინფინიტივის ფორმა. ინფინიტივის მაწარმოებლად *-ს გვევლინება:

ლუზგ. -ზ: თაბ. -ზ: აღ. -ს: რუთ. -ს: წახ. -ს: კრიწ. -ს: არჩ. -ს: უდ. -ს: კავკ.-ალბ. -ს.

ლუზგ. **ყაჩუ-ზ** „აღება“, რეყი-ზ „მოკვდობა“; თაბ. **აპუ-ზ** „კეთება“, **აგუ-ზ** „ძებნა“; აღ. **აგტა-ს** „ნახვა“, **დიტა-ს** „გაქაჩვა“; რუთ. **ლუშტა-ს** „აღება“, **ლუზტა-ს** „ღვია“; წახ. -ს: კრიწ. **ვიკა-ს** „მოკვდობა“, **ყალივა-ს** „წოლა“; არჩ. **ატი-ს** „გაშვება“, **აკა-ს** „გარეკვა“; კრიწ. **ჟუდი-ს** „მიცემა“, **ზემე-ს** „რეცხვა“; უდ. **ბ-ეს** „კეთება“, **ბაქ-ეს** „ყოფნა“, „არსებობა“, **გახლომა**, **უღ-ეს** „დაღება“; კავკ.-ალბ. **ბი-ეს** „კეთება“ და ა. შ.

იმპერატივი ლუზგიურ ენებში რამდენიმენაირად იწარმოება. ძალზე გავრცელებულია ზმნური ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცა ან, პირიქით, ცალკეული ხმოვნისაგან შემდგარი აფიქსების დართვა: ლუზგ. -**ა** (**ქილიგა** „უყურე“, **აღუკა** „ჩაიცვი“); წახ. -**ე** (**ვეტ-ე** „შეხე“, **კელიზნ-ე** „დაივიწყე“, **ილიზრ-ე** „სღექ“); არჩ. -**ა**, -**ე**, -**ი** (**აკა** „გარეკე“, **შა-ე** „აიღე“, **აქი-ი** „წადი“). თუ ლუზგიური -**ა** და წახური -**ე** უნდა უკავშირდებოდეს „ყოფნა“ ზმნის ფორმას, არჩიბული იმპერატივი შეიძლება ზმნის წმინდა ფუძის

ემთხვეოლეს (შდრ. აკა-ს „გარეკვა“, აქი-ს „წასვლა“). იმპერატივი ზოგჯერ ზმნის ფუძეს ემთხვევა ლეზგიურშიც: ყარუ „აილე“, აქუ „ნახე“, ჭუგუ „მოქაჩე“.

აქედან გამომდინარე, საერთოლეზგიურ ქრონოლოგიურ დონეზე იმფერატივის ფორმა, საფიქრებელია, ზმნურ ფუძეს ემთხვეოდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმპერატივის ფუნქციით გამოიყენებოდა როგორც დურატივის, ისე ტერმინატივის ფუძეები.

იმპერატივის წარმოების არარეგულარულ ხერხებს შორის ლეზგიურ ენებში აღსანიშნავია რელუპლიკაცია, სუპლექტივიზმი, სპ-პრეფიქსიანი წარმოება კრიწულში, -ნ სუფიქსიანი წარმოება თაბასარანულში და სხვა.

ობტატივი საერთოლეზგიურში იწარმოებოდა *(ა)ი სუფიქსის მეშვეობით, რომელიც შემდეგი კორესპონდენციების მიხედვით აღგება:

ლეზგ. -აი: თაბ აი: აღ. -აი: რუთ. -ი: კრიწ. -აი.

ობტატივის *-აი სუფიქსით, როგორც ეს დასტურდება თანამედროვე ლეზგიურ ენებში, ხდებოდა იმპერატივის ფორმას გაფორმება.

ეს სუფიქსი თავდაპირველი მნიშვნელობით შემონახულია ლეზგიურსა და რუთულურ ენებში: ლეზგ. აცუყ-რ-აი „დაჯდეს“; რუთ. უიხე-ი „წაიღოს“. თაბასარანულში, ალულურსა და კრიწულში კი ეს სუფიქსი ბრძანებითი კილოს მრავლობითს აწარმოებს: თაბ. აპინ-აი „გააკეთეთ“; უფ-აი „თქვით“; კრიწ. ლეფ-აი „id“.

ალულურში ობტატივის აღსანიშნავად -აი სუფიქსი გამოიყენება, რომელიც გვხვდება -ურ-აი რთული ფორმანტის შემადგენლობაში: აყ-ურ-აი „გააკეთოს“... ალულური -არ, ისევე როგორც ლეზგიურში, თაბასარანულსა და არჩიბულში დადასტურებული -რ ფორმანტი (ლეზგ. აცუყ-რ-აი „დაჯდეს“; თაბ. ურნ-რი „წაიკითხოს“; არჩ. ოტი-რ „გაჩერდით“), სავარაუდოდ აღნიშნავდა იმპერატივის ფორმის მრავლობითს. ასეთ შემთხვევაში, იგი უნდა უკავშირდებოდეს მრავლობითი რიცხვის საერთოლეზგიურ *-არ მაწარმოებელს სუბსტანტივებში.

იმპერატივის უარყოფითი ფორმა (პროკიბიტივი) *-მ მაწარმოებლის მეშვეობით იწარმოებოდა [თოფურია 1972: 76]. პროკიბიტივი დურატივის ფუძეზე დაყრდნობით იწარმოება. პროკიბიტივის ნიშანი შეიძლება იყოს წარმოდგენილი პრეფიქსისა ან ინფიქსის სახით, შდრ.: თაბ. მ-აპ-ან „არ გააკეთო“; აღ. მა-და „არ წაიღო“, მ-უსა „არ დალიო“; რუთ. მედახ „არ ირბინო“, მიდეთ „არ სცემო“; წახ. მეწე „ნუ ხარ“, მაწანე „ნუ იცნობ“; კრიწ. მა-ჯუ „ნუ წვავ“; მ-უგუ „ნუ დაწვავ“... უდიურში მა პრეფიქსი ფუნქციონირებს

დამოუკიდებელი ნაწილაკის სახით: **მა ბა** „არ გააკეთო“, **მა ექე** „არ მოხვიდე“... პრევერბიან ზმნებში პროკიბიტივის მაწარმოებელი ინფიქსად გვევლინება: **სა-მა-რუთ** „არ დატოვო“; წახ. **გი-მე-კა** „არ მოკლა“. ლეზგიურში კი პროკიბიტივის მორფემა ზმნური ფუძის შემდგომ იკავებს ადგილს: **ყაჩუ-მირ** „არ აიღო“; **ჯურე-მირ** „ნუ იცინი“. ასეთივე ვითარება ნაწილობრივ რუთულურისათვისაც დამახასიათებელია: **ტალვა მა** „არ გაჭუჭყიანდე“; **უსა მა** „ნუ ხარშავ“. ამ შემთხვევაში, ლეზგიურსა და რუთულურში პროკიბიტივი ნაწარმოებია ანალიტიკურად: „ლურატივის ფუძე“ + „კეთება“ ზმნის პროკიბიტივის ფორმა.

სხვა დრო-კილოთა ფორმები ლეზგიურ ენებში გამოირჩევა ჰეტეროგენურობით და მათი აღდგენა საერთოლეზგიურ დონეზე პრობლემატურია.

უარყოფა ზმნაში. საერთოლეზგიურ ქრონოლოგიურ დონეზე შესაძლებლად გვესახება აღვადგინოთ უარყოფის ზმნური მორფემა *-დ. ეს მორფემა შესატყვისობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით რეკონსტრუირდება:

*დ-: ლეზგ. თა-: თაბ. დ-: ად. დ-: რუთ. ჯგ-: წახ. დ-: კრიწ. დ-: ბუდ. დ-: არჩ. -ტ-: უდ. თ-.

ამ ფორმულაში არ არის კანონზომიერი რუთულური და არჩიული რეფლექსები (მოსალოდნელი იყო რუთ. დ და არჩ. თა). ალბათ აქ საქმე გვაქვს რაიმე მორფონოლოგიურ პროცესებთან, რომლის დადგენა ამ ეტაპზე ჭირს.

მ. ალექსეევის აზრით კი, ამ ფორმულის მიხედვით უნდა მოხდეს *თა- მორფემის რეკონსტრუქცია [ალექსეევი 1985: 100], რასაც ვერ გავიზიარებთ.

აღსანიშნავია, რომ უარყოფითი პრეფიქსი ერთვოდა მხოლოდ არაფინიტიურ ფორმებს. ფინიტიურ ფორმებთან კი უარყოფა ანალიტიკურად იწარმოებოდა მეშველი ზმნის მეშვეობით. დღეს ლეზგიურ ენებში მეშველი ზმნის შემდეგი უარყოფითი ფორმები დასტურდება: ლეზგ. თაუშ-: თაბ. დარ-: ად. დაჟა-: რუთ. დიშ-: წახ. დეშ-: კრიწ. დარ-: ბუდ. დგრ-. თაბასარანულში, კრიწულსა და ბუდუხურში მეშველი ზმნის უარყოფითი ფორმები კლასის გაქვევებულ ექსპონენტისაგან (-რ) არის ნაწარმოები, ხოლო ლეზგიურში, რუთულურსა და წახურში ყოფნა ზმნის ერთ-ერთი ფორმისაგან (მ. ალექსეევის მიხედვით *ციშაჰ [ალექსეევი 1985: 101]).

განსხვავებული ვითარება დასტურდება რამდენიმე ლეზგიურ ენაში: მეშველი ზმნა დარ თაბასარანულში პრეფიქსის სახით გვხვდება. ზოგიერთ შემთხვევაში ეს მეშველი ზმნა გარკვეულ

ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდის, მაგ.: აგუბ „ძებნა“ ~ **ღარ**-აგუბ; იპუბ „ჭამა“ ~ **ღირ**-იპუბ... **ღ**-პრეფიქსი კი თაბასარანულში სულ რამდენიმე შემთხვევაში დასტურდება, მაგ., **ღ**-აქანი „არასაყვარელი“ და სხვ.

არჩიბულში უარყოფითი მორფემა **-ტუ** ყველა ზმნურ ფორმასთან გვეკვლინება სუფიქსად, შდრ.: არკურ-**ტუ** „არ მიერეკება“ ~ არკურ-**ტუ**-ში „არ მიერეკება-რა“...

უდიურში **თე**- უარყოფის მორფემა ყოველთვის ზმნის ფუძემდება განლაგებული: **თე**-ნე-ბესა „არ აკეთებს“, **თე**-ნე-ამბესა „არ მუშაობს“...

ყველა აღნიშნული შემთხვევა, უეჭველია, ინოვაციას წარმოადგენს, ისევე, როგორც რუთულურში დადასტურებული **-შ** (ლაგუ-**შ** „არ ღამინახია“) და ლეზგიური **-ჩ** (ქენა-**ჩ** „არ წავიდა“) მორფემები. ეს მაწარმოებლები, როგორც ჩანს, მეშველი ზმნის უარყოფითი ფორმის რელუქციის შედეგადაა მიღებული, თუმცა მ. ალექსეევი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ლეზგიური **ჩ** ფორმა უკავშირდებოდა რუთულურ **ჯ**-სა და არჩიბულ **ჩუ**-ს (**-ჩუგუ** სუფიქსის შემადგენლობაშია და გამოხატავს ეჭვს: ებლი-**ჩუგუ** „საეჭვოა, რომ იყო“) და უშვებს ***-ჩ** მორფემის რეკონსტრუქციის ალბათობას საერთოლეზგიურ ქრონოლოგიურ დონეზე [ალექსეევი 1985: 101].

ნაზმნარი სახელი

ნაზმნარ სახელთაგან ყველა ლეზგიურ ენაში დასტურდება მასდარი, მიმღეობა და აბსოლუტივი. აბსოლუტივი ორგვარი ფორმისაა ნეიტრალური და კავშირებითი.

მასდარი. მასდარის ფორმა ყველა ლეზგიურ ენაში დასტურდება, ხოლო ზოგიერთი ენისათვის (უდიური) მასდარის ორი ფორმის არსებობა არის ნავარაუდევია **-ეს** ფორმანტიანი მასდარი და **-ეს-უნ** ფორმანტიანი მასდარი [ფანჩვიძე 1942; ფანჩვიძე 1974: 193-200].

ინფინიტივისაგან განსხვავებით, მასდარის ფორმები ლეზგიურ ენებში წარმოების ჰეტეროგენურობით გამოირჩევა. ამის მიუხედავად, შესაძლებლად გვესახება მასდარის საერთო ნიშნის რეკონსტრუქცია (***-ნ**), რომელიც წარმოშობით, შესაძლოა, გენიტივის ფორმანტს უკავშირდებოდა, ისევე, როგორც ინფინიტივის მაწარმოებელი (***-ს**) დატივისას.

მასდარის საერთოლუზგიური ფორმანტი (*-ნ) აღდგება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

ლუზგ. -ნ: რუთ. -ნ: ბუდ. -ნ: უდ. -უნ: კაკკ. ალბ. -უნ. ამავე რიგისა შეიძლება იყოს არჩიბული მასდარის მაწარმოებელი -მ-ულ.

დანარჩენ ენებში სხვადასხვა ცვლილებები განვითარდა.

მიმღობა. მიმღობა საერთოლუზგიურში, როგორც ჩანს, ზედსართავ სახელსაც ფარავდა. ლუზგიურ ენებში ძირითადი ზედსართავი სახელები დღესაც თავის ნაზმნარ წარმომავლობას ამჟღავნებს. კერძოდ, ნაზმნარი წარმოშობისა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ისეთი ლექსემები, როგორებიცაა „სავსე“, „მრგვალი“, „მშრალი“ „მაღალი“, „დიდი“, „კოჭლი“ და სხვ. ასე, მაგალითად, რუთულურში ეს მნიშვნელობები გადმოიცემა მიმღობური ფორმებით: **ჰარხედ** „მაღალი“, **აწედ** „სავსე“, **რულედ** „მრგვალი“, **სიედ** „თბილი“ და სხვ. ეს სრული სახის მიმღობური ფორმებია, რომლებიც ნაწარმოებია შემდეგი ზმნური ლექსემებისაგან: **ჰარხას** „გამაღლება“, **აწას** „გავსება“, **რულას** „დამრგვალება“, „ჩამრგვალება“, „დატრიალება“, **სიდას** „გათბობა“.

არჩიბულში ფორმები **ავათოთ** „გრძელი“, **ბედთთ** „მოხუცი“, **ბეხაეთოთ** „შავი“, **მუთოთ** „ლამაზი“, **ტითოთ** „პატარა“, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგჯერ ზედსართავ სახელებად მიიჩნევა [მიქაილოვი 1967: 67-74; კახაძე 1973: 10], შესაბამისი სტატიკური ზმნების მიმღობურ ფორმებს წარმოადგენენ, შდრ.: **ავა** „გრძლად ყოფნა“, **ბად** „მოხუცად ყოფნა“, **ბეხაე** „შავად ყოფნა“, **მუ** „ლამაზად ყოფნა“, **ტი** „პატარად ყოფნა“ [კიბრიკი და სხვ. 1977: I, 72].

ასეთივე მაგალითები მრავლად მოიპოვება სხვა ლუზგიურ ენებშიც: ლუზგ. **ქუდა** „ცხელი“ (**ქუნ** „წვა“), **ელყუე** „მრგვალი“ (**ელყუნ** „დატრიალება“), **ყურად** „მშრალი“ (**ყურუნ** „ხმობა“), **აწად** „სავსე“ (**აწუნ** „გავსება“).

ამრიგად, საერთოლუზგიურში უნდა ვივარაუდოდ ლექსემათა ვრცელი კლასის არსებობა ე. წ. ადიექტივების, რომელთა დამახასიათებელ საერთო თვისებად წარმოგვიდგება სუბსანტივიზაციის სუფიქსის არსებობა:

-დ/-დი: ლუზგ. -დ/-დი: თაბ. -დ/-დი: ალ. -დ/-დი (ფით.): რუთ. -დ/-დი/-დგ: კრიწ. -დ/-ვზ: ბუდ. -დ/-ვზ: არჩ. -ტუ: უდ. -თ⁷. არჩიბული (-ტუ) და რუთულური (-დგ) ჩვენებების მიხედვით შესაძლებელია აღვადგინოთ ამ სუფიქსის მესამე მოდელიც *-დუ.

მ. ალექსეევი საერთოლუზგიურში *-თჿ სუბსტანტივიზაციის სუფიქსს აღადგენს და შესაძლებლად მიიჩნევს კიდეც მისი ორი ფორმის (*-თო, *თჿი) რეკონსტრუქციას [ალექსეევი 1985: 63-64], რასაც, ჩვენი აზრით, ფონეტიკური საფუძველი არ მოეპოვება.

როდესაც მიმღეობა გამოიყენება განსაზღვრების ფუნქციით იგი არ იბრუნვის. ბრუნება მიმღეობისათვის დამახასიათებელია მხოლოდ მამინ, როდესაც იგი გამოყენებულია ცალკე, დამოუკიდებლად სუბსტანტივის ფუნქციით. ამ შემთხვევაში ბრუნვის აფიქსი დაერთვის არა უშუალოდ მიმღეობის ფორმას, არამედ სუბსტანტივიზაციის მაჩვენებელს (*-ღ/*-ღი). ბრუნების მექანიზმის საჩვენებლად მოვიყვანთ მაგალითებს უდიური ენიდან:

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
სახ.	არი-ო „მოსული“	არი-ო-რ	ელალ-ო „მომსვლელი“	ელალ-ო-რ
ერგ.	არი-ო-ტ-ინ	არი-ო-ტ-ღ-ონ	ელალ-ო-ტ-ინ	ელალ-ო-ტ-ღ-ონ
ნათ.	არი-ო-ტ-ა[ღ]	არი-ო-ტ-ღ-ო[ღ]	ელალ-ო-ტ-ა[ღ]	ელალ-ო-ტ-ღ-ო[ღ]
მიც.	არი-ო-ტ-უ[ხ]	არი-ო-ტ-ღ-ო[ხ]	ელალ-ო-ტ-უ[ხ]	ელალ-ო-ტ-ღ-ო[ხ]
აბლ.	არი-ო-ტ-უხო	არი-ო-ტ-ღ-ოხო	ელალ-ო-ტ-უხო	ელალ-ო-ტ-ღ-ოხო

საერთოლუზგიური *-ღ/*-ღი-ს ფუნქციები ლუზგიურ ენებში მეტ-ნაკლებადაა დაცული. ლუზგიურში ამ აფიქსის რეფლექსები გამოიყენება როგორც მიმღეობის, ისე სხვა ადიექტივთათვის მხოლოდობით რიცხვში. თაბასარანულში ეს აფიქსი გამოიყენება მხოლოდობითიც და მრავლობით რიცხვშიც. მსგავსი ვითარება ალულურშიც გვაქვს.

სამხრეთ-სამურულ ენებში *-ღ/*-ღი-ს რეფლექსები ვხვდებით მხოლოდ აბსოლუტივში. ამასთან, მოხდა მაწარმოებელთა დიფერენციაციაც კლასების მიხედვით ღ (I-II კლ.) და ჯჳ (III-IV კლ.).

რუთულურსა და არჩიბულში შესაბამისი აფიქსები ყველა ადიექტივისათვის იყო დამახასიათებელი, წინადადებაში მათი სინტაქსური ფუნქციის მიუხედავად, მაგ., რუთ. სიჩი-ღ „დამპალი“; არჩ. შიარ-თჿუ „დამწერი“.

აღსანიშნავია, რომ არჩიბულში (-ტჿ), რუთულურში (-ღ, -ღჳ > -ტგ), წახურსა (-და) და ალულურში (-ღ, -თ, თჿ მრ. რიცხვ.) იმავე აფიქსებით უშუალოდ მიმღეობასაც აწარმოებს, რაც საერთოლუზგიური მდგომარეობისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი.

აბსოლუტივი. ლეზგიური ენების მონაცემთა საფუძველზე საერთოლეზგიურ ქრონოლოგიურ დონეზე უეჭველად აღდგება სრული სახის (ნამყო დროის) აბსოლუტივის მაწარმოებელი ***-ნა/*-ნ**:

ლეზგ. **-ნა**: თაბ. **-ნუ/-ნ**: აღ. **-ნა** || **-ნ** (ფით.): რუთ. **-ნა/-ნგ**: კრიწ. **-ნა**: ბუდ. **-ნგ**: არჩ. **-ნა/-ნ**.

ეს მაწარმოებელი თავდაპირველი მნიშვნელობით გამოიყენება თბასარანულში: დიუბ. გუჭუ-**ნუ** „გამოვიდა-რა“; ქაპუ-**ნუ** „გაპარსა-რა“; ყაყყუ-**ნუ** „იყიდა-რა“, „აილო-რა“... ამ აბსოლუტივის თბასარანულში პერფექტის ფორმა უკავშირდება, რომელშიც დასტურდება მოდელი „აბსოლუტივი + მეშველი ზმნა“ [მაჰომეტოვი 1965: 254]; შდრ. დიუბ. აპ-**ნუ**-ზა „გავაკეთე“, აპ-**ნუ**-ჟა „გაკეთე“, აპ-**ნუ**-ჟი „გაკეთა“...

ამავე ფუნქციების მატარებელია ნამყო დროის აბსოლუტივი აღულურში [მაჰომეტოვი 1970: 128]; შდრ. ფით.: აყუ-**ნა/აყუ-ნ** „გაკეთა-რა“; ხურუ-**ნა/ხურუ-ნ** „წაიკითხა-რა“; ლიკი-**ნა** „დაწერა-რა“... ამ აბსოლუტივის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება ნამყო სრული (ძირითადი), წინარეწარსულის ორი ფორმა, ნამყო რეზულტატური [მაჰომეტოვი 1970: 147].

რუთულურში **-ნა** მაწარმოებლის გარდა, საერთოლეზგიურ ***-ნა**-ს უნდა უკავშირდებოდეს მეორე ფორმანტიც (**-ნგ**), რომელიც დასტურდება აბსოლუტივის **-მ-ნგ** რთული სუფიქსის შემადგენლობაში, მაგ.: ლაგუ-**მ-ნგ** „დაინახა-რა“; სილი-**მ-ნგ** „გაიყინა-რა“; დიბყი-**მ-ნგ** „მიუახლოვდა-რა“ და სხვ. რაც შეეხება **-ნა** ფორმანტს იგი შეზღუდული გამოყენებით გამოირჩევა. ეს სუფიქსი მხოლოდ ყოფნისა, ქონა-ყოლისა და მსგავსი სემანტიკის ზმნების აბსოლუტივის აწარმოებს, მაგ., ა-**ნა** „ყოფნისას“. ამას გარდა, ეს აფიქსი გვხვდება პირობითი (**-უჰ-ნა**) და პირობით-კავშირებითი (**-ნა-ქუნ**) კილოების ფორმანტთა შემადგენლობაში. **-ნგ** მაწარმოებელი მსგავსი ფუნქციით დასტურდება ბუდუხურშიც, შდრ. სუხგ-**ნგ** „ყოფნისას“.

არჩიბულშიც **-ნა** აბსოლუტივის ფორმანტი ძირითადად ინარჩუნებს თავდაპირველ მნიშვნელობას, თუმცა აბსოლუტივის ეს ფორმა გამოიყენება ერთ წინადადებაში ისეთ პრედიკატებთან, რომლებიც აღნიშნავენ მოქმედებას, რომელიც არ ვითარდება თქმის მომენტამდე, ანუ, როგორც წესი, იგი გვხვდება პოტენციულის, პროპიბიტივისა და კონსტანტივის ფორმებთან და, ამას გარდა, ხშირად განმეორებადი მოქმედების აღმნიშვნელ ზმნებთან [კიბრიკი და სხვ. 1977: II-254]; მაგ.: აბუ-**ნა** „გაკეთა-რა“; ბოსო-**ნა** „აილო-რა“; „საბქუ-**ნა** „შეხედა-რა“. საფიქრებელია, რომ ამ აბსოლუტივის ასეთი შეზღუდული გამოყენების მიზეზი მდგომარეობს ამ ფორმის ფუნქციათა შევიწროებით **-ლა** ფორმანტიანი აბსოლუტივის მიერ.

კრიწულში -ნწ სუფიქსი დასტურდება -წ-წ რთულ ფორმანტის შემადგენლობაში, რომელიც აწარმოებს აბსოლუტივის პირობით ფორმას, მაგ., ჭუკ-წ-წ „თუ მოვა-რა“; წიღ-წ-წ „თუ იქნება-რა“... ცალკე -წ სუფიქსი გამოიყენება პირობითი კილოს საწარმოებლად [ხიდიროვი 1964: 13], მაგ., ჩიღ-წ „თუ დაწერს“; თუღ-წ „თუ წაიღებს“, თუმცა, ამ შემთხვევაში, საქმე შეიძლება გვქონდეს ერთ ფორმასთან.

ლუზიურში -წ სუფიქსიან ფორმებს მოეპოვებათ პრელიკატიული ფუნქცია, მაგ., ყაჩუ-წ „აიღო“, გათა-წ „დაარტყა“... იმას, რომ ეს ფორმანტი თავდაპირველად აბსოლუტივს აწარმოებდა, გვიჩვენებს ის ფაქტი, რომ ამ სუფიქსს ხშირად ერთვის მეშველი ზმნა აჭა: აცუყ-წ-ჭა „ზის“; ქსა-წ-ჭა „სძინავს“...

მ. ალექსეევის ვარაუდით, საერთოლუზიურ * -წ სუფიქსს უნდა უკავშირდებოდეს თაბასარანული -წუ და ალუღური, წახური და, შესაძლოა, რუთულური სუფიქსი -წა, რომლებსაც მკვლევარი გამოყოფს ზმნისართებში. ამას გარდა, მ. ალექსეევი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ საერთოლუზიურ * -წა ფორმანტს უკავშირდებოდეს მთელი რიგი სხვა მორფემებისა, ესენია უღიური -წე III პირის ნიშანი მხოლოდობითში და კავშირებითი ნაწილაკები -წი (ლუზიური, წახური), -წა (თაბასარანული, ალუღური, რუთულური, წახური) და წწ (კრიწული) [ალექსეევი 1985: 102].

საერთოლუზიურში აბსოლუტივის სხვა ფორმათა რეკონსტრუქცია პრობლემატურია. ერთმანეთს შეიძლება დავუკავშიროთ:

რუთულური -ღენ (ლიწირიღ-ღენ „რომ დაეღო“), კრიწული -ღწ (ჭუ-ღწ-მ „რომ მივცე“; ჭუ-ღწ-რწა „რომ მივცეთ“), ბუღუხური -ღენ (ჭო ქითაბ ზგზ დუთუ ირწა-ღენ „შენი წიგნი მომეცი მე რომ ვწახო“), არჩიბული -თაან (ოჯა-თაან „ხომ არ წავიდე“). აქ მ. ალექსეევი ვარაუდობს შემდეგ საერთოლუზიურ მორფემას * -თაწ(წ) [ალექსეევი 1985: 103], თუმცა ბგერათშესატყვისობანი გვიჩვენებს, რომ რეკონსტრუირებული მორფემა უნდა იყოს შემდეგი სახისა: * -ღა(წ);

ლუზიური -ღა (ხთაღ-ღა „როდესაც მობრუნდა“), თაბასარანული -ღა -მიტღა მორფემაში (ღატი-მიტღა „როგორც კი მოვიდა“) და არჩიბული -თაა (ჯა-თაა „როდესაც მოვიდა“ ლ ~ თა შესატყვისაბას არჩიბულსა და სხვა ლუზიურ ენათა შორის მოეპოვება რეგულარული ხასიათი). მ. ალექსეევის აზრით, აქ * -ღაა მორფემა აღდგება [ალექსეევი 1985: 103], თუმცა ეჭვს იწვევს ლ ბგერის რეკონსტრუქციის შესაძლებლობა.

რუთულური -მა (უღლწა-მა „სანამ მომცემს“), უდიური -მა (ცამქა-მა// ცამქა-მ-ინ „იქამდე, სანამ დაწერდა// დაწერს“), არჩიბული მა-თ (ყოჭდი-მათ „იჯდა-რა“), თაბასარანული მიტლა (ლაფი-მიტლა „როგორც კი მოვიდა“). აქ მ. ალექსეევი საერთოლუზგიურ *-მა ვარაულობს [ალექსეევი 1985: 104];

თაბასარანული -გან, ალულური -განა, რუთულური -გა, რომლებიც გადმოსცემენ მოქმედებათა ერთდროულობას, მაგ., რუთ. მიშეთ მაყ ზას ქაღად ქირნ-ე-გა „არ შემიშალო ხელი, როდესაც ვწერ წერილს (ზედმიწ. „წერილს ვწერ-როცა“). მ. ალექსეევის აზრით, აქ აღდება *-ქა მორფემა [ალექსეევი 1985: 103], თუმცა, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, *-გა(ნ);

თაბასარანული -შ (პირობითი კილოს აფიქსი ჰერხი-შ „თუ მკითხავენ“), ალულური -შ// -შ-ინ || ჩინ (ყურად.) (პირობითი კილოს აფიქსი ხურუ-შ// ხურუ-შინ || ხური-ჩინ „თუ წაიკითხავს“), რუთულური -შინგ (ლაბტურ-შინგ „თუ დამთავრდა“), არჩ. -ში (არ-ში „აკეთებდა-რა“), -შაჟ (უი-შაჟ „თუმცა იყო“), -შ (ვჭანჭი-შ „თუ მოვა“). მ. ალექსეევის აზრით, ეს მორფემები *-ფიშ მემველ ზმნას უკავშირდება [ალექსეევი 1985: 103], რაც ეჭვს იწვევს;

რუთულური -(ლა)ქენ (უილეს-ლაქენ „თუ შეჭამს“), არჩიბული -ქან (ოჭლი-ქან „სანამ მოვა“), -ე-ქენ (უირხაჟინ-ე-ქენ „სანამ მუშაობს“), -ქინი (ვჭალი უი-ქინი „ნეტა მოვიდეს“). მ. ალექსეევის აზრით, ეს მორფემები *-ფიქ მემველ ზმნას უკავშირდება [ალექსეევი 1985: 104];

რუთულური -ნ-უნი (დგჰ-ნ-უნი „რომ მოკლას“), წასური -ნი (ვიკუნა-ნი „რომ მომკვდარიყო“), უდიური -ახუნ (ცამქა-ახუნ „დაწერისას“). მ. ალექსეევის აზრით, ეს მორფემები *-ფილჟ მემველ ზმნას უკავშირდება [ალექსეევი 1985: 104].

ზმნისართი

ადგილის ზმნისართები თანამედროვე ლუზგიურ ენებში ძირითადად წარმოდგენილია ორი ჯგუფით. პირველს წარმოადგენს ლოკატიურ ნაწილაკთა ბრუნვისნიშნისანი ფორმები, ხოლო მეორეს ნაცვალსახელოური წარმოშობის ზმნისართები.

პირველი ჯგუფიდან აღსანიშნავია შემდეგი ლაკავშირებები:

„წინ“ ლეზ. უილი-ქ: თაბ. ული-ნ: აღ. უდი-ჰ (ტფილ.), ბურკ. ური-ჰ, ბურშ. ილა-ჰ: რუთ. ული-ნთა: არჩ. ჰარა-ქ: კრიწ. ჭურჭ-ქ: ბუდ. ჭურა. ბევრ ენაში მოხდა კონტამინაცია „თვალი“-ს აღმნიშვნელ ლექსემასთან *უილ, შდრ. [ლექსიკა 1971: 106; გიგინეიშვილი 1977: 69].

„უკნიდან“, „უკან“, „შემდეგ“ თაბ. ვა: აღ. ვა (ნაწილაკი): რუთ. ვუც: არჩ. ხი-რ//ხა-რა: უდ. ვო-შ.

„ზემოთ“ ლეზ. უინელ: კრიწ. უარა: ბუდ. უო-რგ-ნ;

„მაღლა“ ბუდ. ლასა: კავკ.-აღბ. ჰალა: უდ. ლახო;

ნაცვალსახელური წარმოშობის ზმნისართები გავრცელებულია ლეზგიურ ენებში, შდრ., მაგ., ლეზგ. ლი „რომელი?“ ~ ღი-ნა „სად?“, ი „ეს“ ~ ი-ნა „აქ“, ა „ის“ ~ ა-ნა „იქ“ [გაჯიევი, თალიბოვი 1966: 585]. საერთოლეზგიური მდგომარეობისათვისაც, როგორც ჩანს, იყო დამასიათებელი ზმნისართთა წარმოება ნაცვალსახელთაგან ადიექტივური სუფიქსებისა და ბრუნვის ფორმანტთა მეშვეობით.

ზოგიერთ ლეზგიურ ენაში დასტურდება ზმნისართთა ფორმები, ნაწარმოები ამა თუ იმ ირიბ ბრუნვის ფორმაში მდგომი არსებითი სახელისაგან. იქიდან გამომდინარე, რომ ასეთი სახის ზმნისართები ვერ ავლენს საერთოლეზგიურ იზოგლოსებს, მათი რეკონსტრუქცია ვერ ხერხდება:

არჩ. ტილ-ლიტ „თავქვეშ“ ~ ლეზგ. ყილ: თაბ. კულ: აღ. კილ: რუთ. ჰუყულ (< *უყუ-ულ): წახ. უუკულ: კრიწ. ყელ, ყალი: ბუდ. ყელ: ხინ. მიკირ (< *უიკირ): კილ „თავთავი“: კავკ.-აღბ. ბულ: უდ. ბულ: სხვ. დაღ.: ხუნდ. ბეტერ, ლაკ. ბაკ „თავი“ და სხვ.;

არჩ. ხაოლო „ცაში“ ~ რუთ. ჰალ: წახ. ჰალ „ცა“;

არჩ. ლეთაგე-თ „ფეხით“ ~ ლეზგ. გელ: თაბ. შილ: აღ. ნილ: რუთ. ნალ: კრიწ. ნელ „კვალი“;

არჩ. ილ-და (< *იყ-და) „შუაში“ ~ ლეზგ. დუყ „შუა ნაწილი“, „წელი“: თაბ. დუჯაჟ „წელი“: ყანდ. დიყ „ზურგი“: დიუბ. დიყი „წელი“: აღ. იყ „შუა ნაწილი“: ბურშ. დიყ „ზურგი“: თფილ. დაყ „ზურგი“: ფიტ. დიყ „შუა ნაწილი“: ბურკ. დაყ „შუა ნაწილი“: რუთ. დეყ „ზურგი“: წახ. დეყ „ზურგი“: კრიწ. დიყ „წელი“, „ზურგი“: ბუდ. დიყ-იჯ „ზურგი“: კავკ.-აღბ. ბუნა: ნიჯ. ბილ // ბელ: სხვ. დაღ.: ახვ. რაჯაა-ლი „ზურგი“ და სხვ.

ღროის ზმნისართები წარმოშობით შესაბამის ღროის ერთეულთა აღმნიშვნელი სახელების ბრუნვისნიშნით ფორმებს წარმოადგენს. ამასთან, საერთოლეზგიურ ქრონოლოგიურ დონეზე შეგვიძლია აღვადგინოთ რამდენიმე ფუძე, რომელიც, როგორც წესი, გამოიყენებოდა მხოლოდ ადვერბიალური ფუნქციით:

„დღეს“ ლეზგ. ვჳე: თაბ. ლი: ღიუბ. ვჳი: რუთ. ლი-ღა: წახ. ლი-ნ ა: წახ. კილ. ვჳგ-ნა: არჩ. ვი „დღისით“:
კრიწ. ვჳე: ბუდ. ვჳე, *ვჳი // ვჳან: კავკ.-ალბ. ლე: უღ. ლე;

„გუშინ“ ლეზგ. ნაყ: თაბ. ნაყ: აღ. ნაჳჳე: ბურშ. ნაყ: რუთ. ნაყა: კრიწ. ნაყ: ბუდ. ნაყა: ვართ.-ზინ. ნაინე;
„ხვალ“ ლეზგ. ფაჳჳა: აღ. ბაგა: რუთ. ბგა: ბუდ. ფაგა (შესაძლებელია, იყოს ნასესხები სპარს. ფჳგჳ-
ღან);

„გუშინ“ ლეზგ. სენ-ჳიზ „გუშინ ღამით“: წახ. სან-ხა „გუშინდელი ღღე“: არჩ.. სან-ღი;

„გასულ წელს“ ლეზგ. შაზ: თაბ. სარ: რუთ. შაზ: კრიწ. შაჳა: არჩ. შჳაშ: კრიწ. შეშ: ბუდ. შეშე;

„გვიან“ რუთ. გჳე: წახ. ეჳა; შღრ. არჩ. ლჳე-თჳუთ „გვიანდელი“.

ზმნისართთა სხვა სემანტიკურ ჯგუფებში შემავალი ლექსემების რეკონსტრუქცია საერთოლუზგიურ
ქრონოლოგიურ ღონეზე პრობლემატურია, თუმცა მაინც მოვიყვანთ რამდენიმე მკაფიო პარალელს:

„დიდწილად“ ლეზგ. ლუხ: არჩ. ლაბხან (-ნ წარმოშობით ზმნისართული სუფიქსი უნდა იყოს
[ალექსევი 1985: 106]);

თაბ. უხ-ღი „ჩქარა“: არჩ. უხ-თაშ „უცებ“...

5. ზმნის მორფოლოგია: ზმნის დერივაციული და ფლექსიური კატეგორიები, ნაზმნარი სახელი, ზმნისართი ნახურ და დალესტნურ ენებში

ნახურ და დალესტნურ ენათა გენეტიკური ნათესაობა მტკიცდება საერთო წარმომავლობის ზმნურ ძირ-ფუძეთა თუ კატეგორიულ აფიქსთა პონიერებითა და თანხვედრით. მიუხედავად იმ თვალსაჩინო ცვლილებებისა, რომლებიც განიცადეს ზმნურმა კატეგორიებმა ფუძენისეულ სისტემებთან შედარებით, მაინც ხერხდება ამ ტრანსფორმაციული საფეხურების დადგენა და მიახლოებითი ისტორიული სურათის რეკონსტრუირება.

ძირ-ფუძეთა რეკონსტრუქცია. ნახურ და დალესტნურ ენათა მონაცემების შედარებისას პრობლემატურია ძირ-ფუძეთა სტრუქტურა და მისი რეკონსტრუქცია. მეტ-ნაკლები კორექტირებით ძალაში რჩება ნ. ტრუბეცკოს დებულება: „Правосточнокавказские глагольные корни состояли в большинстве своем из одного-единственного шумного согласного“ [ტრუბეცკო 1987 : 341].

პიპოთეზა წინარეკავკასიური ქრონოლოგიური დონისათვის არის განკუთვნილი, რაც შორეულ პრეისტორიულ ხანას გულისხმობს,¹¹⁵ თუმცა ნახარ-დალესტნურ ფუძენაში ზმნურ ძირ-ფუძეთა სტრუქტურა მეტ-ნაკლებად შეცვლილი უნდა ყოფილიყო.¹¹⁶

ზუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ზმნის ანალიზისას სქემატურად წარმოდგენილი გვაქვს ის ძირითადი კანონიკური მოდელი, რომელიც ფუძენის მემკვიდრე თანამედროვე ენებში სხვადასხვაგვარად არის მოდიფიცირებული (იკარგება კლასიფიკატორი, ძირი ფუძეს ემთხვევა, არ გვაქვს თემატურად ნიშანი, შეცვლილია ფუძეთა აღტერნაცია...). ისტორიულად რეალიზებულმა არაერთდროულმა და სხვადასხვაგვარმა ცვლილებებმა შედეგად მოგვცა ისეთი ფლექსიურ-დერივაციული მოდელები, რომლებიც ამჟამად საანალიზო ფორმათა და საკვლევ ენათა მიხედვით ჭრელ სურათს გვიჩვენებს.

¹¹⁵ ბუნებრივია, ზმნური სტრუქტურის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე მონოკონსონანტური მოდელი საეხებით ლოგიკური იქნებოდა, ვინაიდან ძირ-ფუძეთა კანონიკურ და ძირითად მასალას თანხმონენები (უკეთ, ჩქამიერები) წარმოადგენდნენ. რაც შეეხება მოგვიანო ხანის საკვლევ ფუძენას, ზმნურ ძირ-ფუძეთა შესაძლო ომონიმის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი გახდებოდა CVC (CVS...) სტრუქტურის ძირების საჭიროება, რაც ნახურ-დალესტნურ ფუძენაში ჩანს უკვე არსებობდა [იხ. ტრუბეცკო 1987 : 325].

¹¹⁶ მ. ალექსევი ადნიშნავს ნ. ტრუბეცკოს პოზიტიურ როლს ზმნურ ფუძეთა აბლაუტის იდეის დამკვიდრებასა და გავრცელებაში [ალექსევი 2003 : 8].

მაშასადამე, ზმნის ძირითადი კანონიკური მოდელი, რომელიც ნახურ-დაღესტნურ ფუძეენას ნამემკვიდრევი ჰქონდა პრაენისაგან, უნდა ყოფილიყო შემდეგი სტრუქტურისა: **კლასიფიკატორი+ძირი+საღეტერმინაციო სუფიქსი (resp. ფუძის ფორმანტი)+თემატური ნიშანი+ფლექსიური და ღერივაციული მორფემები**. ფორმულის სახით ასე ჩაიწერება: $A_F+R+St+A_D+A_F$ (resp. A_D). ამგვარი ძირითადი კანონიკური მოდელი ყველა ზმნისთვის შეიძლება არც იყო ობლიგატური. ძირ- და ფუძეგაუღიფერენცირებელ ზმნებს მორფოლოგიური სტრუქტურა შედარებით მარტივი უნდა ჰქონოდა: $A_F+R+(St)+A_D+A_F$ (resp. A_D).¹¹⁷

ცნობილია, რომ ნახურ და დაღესტნურ ენებში უფრო ნაკლები რაოდენობის კლასნიშნის ზმნა გვაქვს, ვინემ უკლასნიშნო. ივარაუდება, რომ ნახურ-დაღესტნურ ფუძეენაში ყველა ზმნა კლასიფიკატორს შეიცავდა. კლასის ექსპონენტთა თანდათანობითი მოშლისთვის თვალის მიღწევა ცალკეულ ენობრივ ჯგუფებში თავისუფლად ხდება.

ნახურ ენებში კლასნიშნის ზმნათა მორფოლოგიური სტრუქტურა უპირატესად მარტივია: ინფ. და-ვ-ა^ნ (<*და-ვ-ა-ნ) „წოვა“, და-ხ-ა^ნ (<*დი-ჟ-ა-ნ) „დაწოლა“ და ა.შ.

ყველა ნახურ ენაში მარტივი კლასნიშნის ზმნები ფონემათიგივეობით ან კანონზომიერი ფონემათშესატყვისობით არის წარმოდგენილი და იდენტური ძირ-ფუძეები დასტურდება:

ინფინიტივი	ჩეჩნური	ინგუშური	ბაცბური	ლექსიკური მნიშვნელობა
და-ღ-ა ^ნ	-ღ-	-ღ-	-ღ-	„გაქცევა“
ღი-ს-ა ^ნ	-ს-	-ს-	-ს-	„ღარჩენა“
ღა-გ-ა ^ნ	-გ-	-გ-	-გ-	„წვა“, „ნთება“
ღუ-ზ-ა ^ნ	-ზ-	-ზ-	-ზ-	„ავსება“...

თუ ავიღებთ ბოლო ზმნას („ავსება“) და შევუდარებთ დაღესტნურ ენათა სათანადო მონაცემს, დავინახავთ, რომ ხუნძურში კლას-ნიშანი მოშლილია (წ-ეზ-ე „გავსება“ - ნამყ. წ-უ-ნა <*ბი-წ-უ-ნა), ხოლო

¹¹⁷ სხვა საკითხია, არსებობდა თუ არა ფუძეენაში ოდენძირიანი (ფუძეუწარმოებელი) ზმნები. საფიქრებელია, იმისთვის, რომ ენას ზმნური ფორმებით თავისუფლად (ომონიმის გარეშე) გამოეხატა სტატიკურ და დინამიკურ მოვლენათა სიმრავლე, ძირთა და ფუძეთა დაპირისპირება კიდევ ერთი საწარმოებელი საშუალება იქნებოდა.

ანდიურ-დილოურ ენებში (ანდ. ბი-წ-ი, ახვ. ბე-ჭ-ა-რი, საკ. დიდ. ბი-წ-სი, ბო-წ-ი-დო „აავსო“) – შემონახული.

ისმის კითხვა: რას წარმოადგენს ძირეული მორფემის წინამავალი ხმოვანი?

ნახ. უ-, ანდ., დიდ. ი-, ახვ. ე-, ბეუ. ო- ძირისეულ (ფუძისეულ) ელემენტს წინ უძღვის და ანლაუტში არაკანონიკური თანხმოვანთკომპლექსის (CC-) სუპრეაციას ახდენს. იგი კლასიფიკატორის ღართვით არის შეპირობებული და ისტორიული ინტერპრეტაციისას ძირის (resp. ფუძის) სტრუქტურისაგან ცალკე უნდა გამოიყოს.

კლასნიშნიან ზმნათა ფუძეების შედარებისას თვალნათლივ ჩანს როგორც კლასიფიკატორთა რღვევის პროცესი, ისე მთლიანობაში ზმნურ სეგმენტთა დაუმთხვეველობა. კერძოდ, ოდინდელი ლატერალიანი ძირის ზმნა („მიცემა“), ძირეული მორფემის მიხედვით, კანონზომიერ ფონემათშესატყვისობას გვიჩვენებს, თუმცა სხვა სეგმენტები მეტწილად განსხვავებულია. სქემატურად:

*	ბაცბ.	ჩენ.	ხუნდ.	ანდ.	ახვ.	დიდ.	ლაკ.	ლეზგ.	არჩ.	სინ.	უდ.	კავკ.-ალბ.
მ ^ვ	მ ^ა	პ, მ	ტა	ტა	ტა	მ ^ა	ქს, მ	ლ ^ა , ქს	მ ^ა	ა	მ, მ	მ

ბაცბ. დალ^ა-ან^ა : ჩენ. დალა ~ ხუნდ. ტაეზე ~ დიდ. ნელ^ა (I პ.), თელ^ა (III პ.) ~ ლაკ. ლელუნ ~ ლეზგ. ლ^ა-უნ : თაბ. ლ^აუნ : კავკ.-ალბ. დალ^ა-ეს „მიცემა“.

რაც შეეხება უკლასნიშნო ზმნას, აქაც, კლასიფიკატორის გამოკლებით, ანალოგიური ვითარება გვაქვს:

ს.- ამოს.	ს.- დად.	ბაცბ.
*ლ ^ა	*ლ ^ა	ლ ^ა

1) ბაცბ. თილ^ა-არ : ჩენ. თილ-არ ~ ხუნდ. ლ^აე-ზე ~ ახვ. ბი-ლ^ა-უ-რულ^ა ~ დიდ. ე-რუ-ა ~ ად. ლარნ^ას : არჩ. ელას : უდ. ლასუნ : კავკ.-ალბ. ძეხესუნ „დაღება“, „დაღმა“, „დაბნევა“, მოყრა“.

2) ბაცბ. თარლ^აე^ა : ჩენ. თერა ~ ხუნდ. რალარაბ ~ ანდ. აღინუ : ახვ. ელ^ადაბე ~ დიდ. რილ^ასი ~ არჩ. ლ^აუნაღუ-თ „მსგავსი“ (<“დამსგავსება“).

თუ რას წარმოადგენს პირველ მაგალითში ჩეჩნ. თი-, ან უდ. ლა-, ალბ. ძე-, ძნელი სათქმელია. ცხადია, რომ ეს ელემენტები ძირის (resp. ფუძის) სტრუქტურის გარეთ ღვანან და სხვა ზმნათა კლასიფიკატორების ადგილს იჭერენ, შდრ. ახვ. ბი-ლბ-უ-რულა (ბი- კლას-ნიშანი, -ლბ- ძირ-ფუძე, -უ- თემატური ნიშანი, - რულა - ინფინიტივის ნიშანი).

იმ უკლასნიშნო ზმნებში, რომლებიც ხმოვნით იწყებიან (ამოსავალში ყველა ზმნის კლასნიშნიანად მიჩნევის შემთხვევაში), ამგვარი ხმოვნები ცალკე უნდა გამოიყოს, როგორც ნაკლასიფიკატორალი (კლას-ნიშნის თანხმლები) ელემენტები, მაგ.: ჩეჩნ. ი-ხ-ა⁵ (<*ი-ხ-ა-ნ), საკ. ლიდ. ე-ჰ-ნა-დ-ა, ჰინ. ე-ხ-ნ-ზ, ხვარშ. მი-ხ-ა „სიარული...“

როგორც ცნობილია, გარდა -C- სტრუქტურის ძირებისა, დასტურდება -CVC- სტრუქტურული მოდელის ძირები, რომლებიც ხშირად გაუვრცობელია და არაიშვიათად ფუძეს ფონემატურად ემთხვევა, მაგ.: ჩეჩნ. ხაზ-ა⁵ (<*ხაზ-ა-ნ), ბაცბ. ხაწ-არ „სმენა“, ჩეჩნ. თას-ა⁵ (<*თას-ა-ნ) „დაგდება“ და მისთ.

ანალოგიური ვითარება გვაქვს დადესტნურ ენებშიც, მაგ.: ხუნდ. სჟერ-იზ-ე, ანდ. სორ-დუ, ახვ. სორ-ერი („მოატრიალა“), დარგ. შურ-ი-ეს, ლაკ. შურ-უნ „დატრიალება“; ხუნდ. წეხა-ან-ა. ანდ. წეხა-ონ-ი, კარ. წეხა-ერ-ა, წეხა-ელ-არი „გამოკითხვა“, „გამოძიება“...

ნ. ტრუბეცკოი ყოველგვარ ხმოვანს, რომელიც მონოკონსონანტურ ძირს მოსდევს, თემატურ ნიშნად მიიჩნევს [ტრუბეცკოი 1987 : 325].

ჩვენი დაკვირვებით, ყოველგვარი მორფოლოგიური ელემენტი, რომელიც ძირეულ მორფემას განავრცობს და ფუძედ აქცევს, არის ფუძის საწარმოებელი ნიშანი და მას დეტერმინანტი ეწოდება. კერძოდ, დასტურდება -ა ე.წ. თემატური ხმოვნით ნაწარმოები ფუძეები, მაგ.: ჩეჩნ. ლახ-ა⁵ (<*ლახ-ა-ნ) „მოძებნა“, მაგ-ა⁵ (მაგ-ა-ნ, შდრ. ბაცბ. მაკ-ა⁵ <*მაკ-ა-ნ „id.“) „შეძლება“, ლი-ს-ა⁵ (<*ლი-ს-ა-ნ) „დარჩენა“ და ა.შ.

ხუნდურ-ანდიურ-დილოურ ენათა სინამდვილეში თემატურ ნიშანთა სტრუქტურული მოდელები, ნახურ ენებთან შედარებით, გაცილებით მეტია: -V- (-ა-, -ი-, -უ-, -ო-),¹¹⁸ -VC- (-Vდ-, -Vრ-, -Vნ-, -Vლ-), მაგ.: ხუნდ. თურ-ან-ა „დალპა“, ტაურ-დ-ან-ა „იცეკვა“...; ანდ. ბი-ხ-იდ-ო „ყიდულობს“, ბი-ლ-იდ-ო „ღვას“; ახვ.

¹¹⁸ ამგვარი თემატური ნიშნები უპირატესად ხუნდური ენისათვის არის ნიშანდობლივი [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 281-282], მაგრამ ამ ხმოვანთა უკანამავალ დაბოლოებებში შეტანილი სონორების (ლ, მ, ნ, რ) გამოცალკევების და თემატურ ხმოვნებთან გაერთიანების შემთხვევაში მათი სტრუქტურა ანდიურ ენათა თემის ნიშნებს გაუთანაბრდება [იხ. გულავა 1959 : 38-39].

ტინ-ერ-ი „დაასსა“, თორ-ერ-ი „დალბა“...; საკ. დიდ. ეშნა-დ-ა¹¹⁹ „ჟონვა“, კემ-ოდ-ა „წათამაშება“, ცე-დ-ა „სახელის დარქმევა“ და მრ. სხვ.

ლაკურ-დარგულ ენებში დასტურდება -ა-, -ი-, -უ- (ლაკ.), -ე-, -ი- (დარგ.) თემატური ხმოვნები, მაგ.: ლაკ. ბათა-ან „ცემა“, ყუყ-ი-ნ „ჭრა“...; დარგ. ბელკ-ე-ს „წერა“, ჟაკ-ე-ს (ლიტ.), ჟაჭ-ი-ზ „მოსვლა“...

ამრიგად, ზმნის ძირეული მორფემა რთულდება ან დეტერმინანტული ელემენტებით, ანდა თემატური V, VC სტრუქტურის მორფემებით. მათგან ს.-ნახ. ა კანონზომიერად შეესატყვისება ს.-დად. ა-ს, ხოლო ს.-ნახ. ი - ს.-დად. ი-ს. ეს გარემოება მიგვითითებს, რომ თემის ზემომოყვანილი ნიშნები საკვლევ ენებში საერთო წარმომავლობისა შეიძლება იყოს.

დერივაციული კატეგორიების რეკონსტრუქცია

დერივაციული კატეგორიებიდან ნახურ-დადესტნურ ენათა ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით ყურადღებას იცვეს: ა) ასპექტი და ბ) პოტენციალისი.

ა) **ასპექტის კატეგორია** ნიშანდობლივია როგორც ნახური ენების მორფოლოგიისათვის, ისე დადესტნურ ენათა ყველა ქვეჯგუფისათვის. ამასთანავე, ნახურ ენებში ასპექტის კატეგორია აბსოლუტური ხმოვანმონაცვლეობით (ა:ი, ა:დე//ე...) გამოიხატება. მართალია, იყო ცდები ჩეჩნურ ენაში აფხ., უბ. -ლ-, ჩერქ. -რ- ნიშანთა ანალოგიით აღეღინათ დიურატიული ასპექტის ნიშანი -ლ-, მაგრამ მას წარმატება არ მოჰყოლია, ვინაიდან ხი-ლ-უ („ვარ, „ვხდები“) ზმნაში -ლ- ფუძისეული ელემენტია.

რაც შეეხება დადესტნურ ენებს, იტერატიული ასპექტის ნიშნები, ენათა მიხედვით, ასე წარმოგვიდგება:


ხუნდ.	-არ-, -დ-, -დ-არ-, -ად-, -ოდ-დ-
ანდ.	-დ-
საკ.დიდ.	-დ-
ჰინ.	-დ-

¹¹⁹ ზოგჯერ -დ-ს -ნ-სთან ერთდ დიურატიული ასპექტის გამოხატვის ფუნქცია აქვს, მაგ.: საკ. დიდ. კელანა-დ-ა „ხშირად ძებნა“, ესირნა-დ-ა „მათხვრობა“, შდრ. ბეჟ. ჩახ-და-ს „წერს ხოლმე, მწერალია“, დოჰ-და-ს „მუშაობს“ და მისთ.

ბეჟ.	-ღ-
ლაკ.	-ლ-
ღარგ.	-ლ-
ლეზგ.	-რ(ნ)-
თაბ.	-ლ-
აღ.	-რ-
რუთ.	-რ(//ლ-)
წახ.	-ღ-
კრიწ.	-რ(-ლ-)
ბუღ.	-რ(-ლ-, -ნ-)
არჩ.	-რ(-მ-)

ერთი თვალის გადავლებითაც ნათლად ჩანს ასპექტის ფორმანტთა სიმდიდრე ხუნძურ ენაში, რომელშიც წარმოდგენლია თითქმის ყველა (გარდა **ღ**, **მ** და **ნ** ნიშნებისა) ნიშანი. მასთან, მეტწილად განხმონებით, რაც სხვა ენათა სინამდვილეში არ შეიმჩნევა.

დიურატიულობა-იტერატიულობის ნიშნებიდან ერთმანეთს გენეზისურად უკავშირდება **რ**, **ლ**, **ღ**, რომელთაგან საერთო ამოსავალი ***რ** არის:



თავის მხრივ, **რ**-სთვის შეიძლება დ იყოს ამოსავალი (***ღ>რ**), რაც კლას-ნიშანთა გენეზისის ანალოგიურია.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება მრავლობითი რიცხვისა და ასპექტის ნიშანთა კავშირის შესახებ, რისი გაზიარებაც ჭირს [ალექსევეი 1988 : 191]. რაც შეეხება ზმნის ფუძისეულ ხმოვანთა ალტერნაციით ასპექტის გამოსატყვას, წარმოების ეს საშუალება სინქრონიულადაც დასტურდება საკვლევე ენათა ყველა ქვეჯგუფში და მისი დაშვება საერთო-ნახურ-დალესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე საეხებით კანონზომიერია (საკითხს დამატებითი კვლევა ესაჭიროება).

გარდა ზემოთქმულისა, შემთხვევითი არ უნდა იყოს ასპექტის გამოსახატავად ზოგ ენაში (ს.-ნახ. *-შ-, ანდ. -შ-, არჩ. -შ-, რუთ. -შ-) წარმოდგენილი მორფემები, რაც მართებულად არის კვალიფიცირებული [ალექსევი 1985 : 60; 1988 : 191].

პოტენციალისი

პოტენციალისი ჩეჩნურში **და-ლ-ან** („გახლობა“) მეშველზმნის ღართვით გამოიხატება, თუმცა ამგვარი ზმნა დამოუკიდებლად აღარ იხმარება და მას სუფიქსოიდის ფუნქცია აქვს, მაგ.: მალ-ან „სმა“ – **მალ-და-ლ-ან** „სმა“ (ისმევა), და-ც-ან „ჭამა“ – **და-ც-და-ლ-ან** „ჭამა“ (იჭმევა) და ა.შ.

ანალოგიური ფორმა და ფუნქცია აქვს პოტენციალისის (გარდაქცევითობის, ვნებითის) წარმოებას ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში, მაგ.: ხუნძ. ცო-ლ'-ი-ზე „გაერთიანება“ (ერთიანდება), ბეჩე-ლ'-ი-ზე „გამდიდრება“ (მდიდრდება)...; ანდ. ჰირი-ლ'-ი-ღუ „გაწითლება“ (წითლდება), საკ. დიდ. როჭი-ლ'-ხო „ცივდება“, რიჩი-ლ'-ხო „რჩება“ და მრ. სხვ.

საინტერესოა, რომ დილოურ ენაში გვარის გრამატიკული კატეგორიის ჩამოყალიბება სწორედ ამ რიგის წარმოებას უკავშირდება [არლოტელი 2007 : 95-96].

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ეს სუფიქსოიდი წარმომავლობით ზმნური ფუძე უნდა იყოს [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 341; ცერცვაძე 1965 : 269]. ამ ვარაუდს ერთგვარად განამტკიცებს ნახურ ენათა მონაცემიც (და-ლ-ან „გახლობა“), რომელიც კლას-ნიშნინია და შესაძლოა გენეზისურად ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა შესაბამის ზმნას უკავშირდება. ამ უკანასკნელს კი დაღესტნურ ენებში ეძებნება ეკვივალენტები: ლაკ., ლეზგ. ხუნ, თაბ. ხ'-უ-ზ, წახ. ხ'-ე-ს, აღ. ხ'-ა-ს, უდ. ხესუნ „ყოფნა“, „გახლობა“, გარდაქცევა“ [ტრუბეცკოი 1987 : 278].

ფლექსიური კატეგორიები

ფლექსიური კატეგორიებიდან საერთო-ნახურ-დაღესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე დანამდვილებით რეკონსტრუირდება: ა) აორისტი (ნამყო ძირითადი) და ბ) აწმყო ზოგადი.

ა) **აორისტი**. აორისტის საწარმოებელი სუფიქსები საერთო ნიშნებს ავლენენ ფორმობრივად, თუმცა ფუნქციურად თვალსაჩინო ცვლილება განუცლიათ.

ჩენ. -რა სუფიქსს პარალელი ეძებნება ხუნძურსა (ნამიმღ. -რ-ა-ბ) და ახვასური ენის რატალურ თქმაში (-ი-რა). ანდიურ ენათა აორისტის ნიშნის არქეტიპად *-ა რეკონსტრუირდება. ამის გათვალისწინებით, შესაძლებლად გვესახება ამ კატეგორიალური სუფიქსის გაყოფა ორ ნაწილად: -ა საკუთრივ აორისტის სუფიქსი, ხოლო -რ მიმღობის (resp. აბსოლუტივის) ისტორიული ნიშანი [ტრუბეცკოი 1929 : 160; შდრ. აბლუაევი 1974 : 175; ალექსეევი 1988 : 195-196..]. ამ სუფიქსს ეკვივალენტები ეძებნება ბეჟ. -რო (>-ო), საკ. დიდ. -რუ, ლაკ. -რა (აწმყ.), დარგ. -რა (I პ.), ლეზგ. -რა|-რ, რუთ. -რჷ, არჩ. -რ. ყველა ვარიანტისათვის ამოსავალი ჩანს *-რ-ა.

ბ) **აწმყო ზოგადი**. ნ. ტრუბეცკოი ხუნძ. -ლა (აწმყო.-მყოფ.) დარგ. -ლი (აბს.), არჩ. -ლი, უდ. -ლ (მყოფ.) რიგის ფორმანტებს გენიტივის ნიშნებს უკავშირებს [ტრუბეცკოი 1929 : 158]. ამავე აზრს ადგას ლ. ჟირკოვიც [ჟირკოვი 1935 : 277]. დარგ. -ლი უკავშირდება კლასის ექსპონენტს, რაც ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ მეტყველებს. გარდა ამისა, ხუნძ. -ლა სუფიქსის თანხმონითი ელემენტი წინამავალ ხმოვანთან ერთად შეიძლება ოდინდელ თემატურ ნიშანს დაუკავშირდეს, ამიტომ ბრუნვის ნიშნიდან წარმომავლობა ნაკლებად სავარაუდოა.

ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა აწმყო ზოგადის ანალიზისას ირკვევა, რომ ამ დროული ფორმის ნიშანს *-ა წარმოადგენდა [გუდავა 1978 : 230]. ნიშანდობლივია, რომ ნახურ ენებში აწმყოს რეკონსტრუირებული ნიშანი არის *-ა, რომელიც ჩვეულებრივ მოკვეცილია.

ლაკურ-დარგულ ენათა ქრონოლოგიურ დონეზეც -ა ადგება, თუმცა მისი წინამავალი რ-ს საკითხი ბოლომდე ნათელი არ არის. შესაძლოა იგი თემატური ნიშნის თანხმონითი ელემენტი იყოს.

გ) **ნამყოს აბსოლუტივი**. ნამყოს აბსოლუტივი არაიშვიათად წარმოადგენილია ნამყოს განუხასღვრელის (resp. ნამყო ხოლმეობითის) ფუნქციით. ნახურ ენებში ნამყოს აბსოლუტივის ნიშნად რეკონსტრუირდება *-ნა. ამავე რიგში შემოვა ხუნძ. -ნა (ნამყ.), საკ. დიდ. -ნო, ხვარშ., ბეჟ. -ნა, ლეზგ. -ნა, აღ. -ნა, თაბ. -ნუ, ლაკ. -

უნ-. საერთო-ლექსურ ღონეზე რეკონსტრუირებულია *-ნა [ალექსევი 1985: 101-102]. ნახურ-დალესტური ერთობის ხანისათვის რეკონსტრუირდება -ნა.

ნაზმნარი სახელი

ყველა ნახურ-დალესტურ ენას მოეპოვება მასდარის ფორმა, ხოლო ზოგიერთი მათგანისათვის მასდარის ორი ფორმის არსებობა არის ნავარაუდები, მაგ., უდიურში დასტურდება -ეს ფორმანტიანი მასდარი და -ეს-უნ ფორმანტიანი მასდარი [ფანგიძე 1942; ფანგიძე 1974: 193-200], -რ ფორმანტიანი მასდარი და მსგავსი ფუნქციების მქონე მ- ფორმანტიანი ნაზმნარი სახელი ნახურ ენებში.

ნახურ-დალესტური ენები მასდარის ნიშანთა სიმრავლით გამოირჩევა, თუმცა მათგან ყველაზე გავრცელებულია -(V)ნ(V) ნიშანი, რომელიც ყველა ჯგუფსა და ქვეჯგუფში დასტურდება:

ხუნძურში II უღვლილების ზმნები მასდარს აწარმოებენ -ინ, -ენ სუფიქსებით, (რეტ-ინ „ჩაცმა“, კობ-ენ „დავიწყება“...); ანდიურში II უღვლილების ზმნათა მასდარული ფორმები მთლიანად ემთხვევა ნამყო ძირითადის ფორმებს, რომელიც -Vნ სტრუქტურის სუფიქსთა მეშვეობით იწარმოება, მაგ.: ბიჟ-უნ „შექმნა“ (ნამყო. ძირ. „id.“), ბახ-ონ „შეკერვა“ (ნამყო ძირ. „id.“), ბოს-ან „მოყოლა“, თხრობა“ (ნამყო. ძირ. „id.“) და ა.შ. ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ II უღვლილების ზმნათა მასდარის დერივატად ზოგ ენაში (ჭამალური, ასვასური) ნახალიზებული ხმოვანი გამოიყენება, მაგ.: ასვ. ბაც-ენ⁶ (<*ბაც-ენ) „თხრობა“, რაწო-ენ⁶ (<*რაწ-ენ) „შეკითხვა“...

გენეზისურად ხუნძურ-ანდიურ ენებს II უღვლილების ზმნათა მასდარში თავჩენილი -Vნ დიდიურ ენათა მასდარის ნიშნებს უნდა უკავშირდებოდეს: საკ. დიდ. -ნი: ხვარშ. -ნუ: ბეჟ. -ნი. ამ უკანასკნელს კი საგვებით ლოგიკურად უკავშირებენ სხვა დალესტურ ენათა სათანადო მონაცემებს: დარგ. -ნი, ლაკ. -ნ [ალექსევი 1988: 200].

ამ მაწარმოებლებს უნდა შეემატოს ლექსური ენების მონაცემები: ლეზგ. -ნ: რუთ. -ნ: ბუდ. -ნ: უდ. -უნ: კავკ. აღბ. -უნ. ამავე რიგისა შეიძლება იყოს არჩიბული მასდარის მაწარმოებელი -მ-ულ.

ნახურ ენებში საერთო-ნახურ-დალესტური მასდარის მაწარმოებელის შეიძლება უკავშირდებოდეს ინფინიტივის სუფიქსი -ნ, ანდა მ- ფორმანტი, რომელიც, როგორც აღინიშნა, ნაზმნარი სახელის კიდევ ერთ ფორმას აწარმოებს.

საბოლოო ჯამში ფორმულა ასეთ სახეს იღებს:

ხუნძ. -ინ: ანდ. -ნ: ჭამ -ნ: ახვ. -ნ: საკ. დიდ. -ნი: ხვარშ. -ნუ: ბეუ. -ნი: დარგ. -ნი, ლაკ. -ნ (ინფ.): ლეზგ. -ნ: რუთ. -ნ: ბუდ. -ნ: უდ. -უნ: კავკ. ალბ. -უნ: ჩეჩნ. -მ/-ნ (ინფ.): ინგ. -მ/-ნ (ინფ.): ბაცბ. -მ/-ნ (ინფ.):

ეს მასალა გვამღევეს უტყუარ საფუძველს, რომ საერთო-ნახურ-დალესტნური სათვს აღვადგინოთ მასდარის მაწარმოებლად *-ნ სუფიქსი.

ამას გარდა, შეგვიძლია აღვადგინოთ მეორე სუფიქსიც: მასდარის მაწარმოებელი (-რ) ნახურ ენებში შეიძლება დავუკავშიროთ ანოლოგიური ჟღერადობის სუფიქსს ანდიურ ენებში, რომელიც ხუნძური ენის სამხრულ კილოებშიცაა დადასტურებული [მაჰომედბეგოვა 1967: 106]. ამ მაწარმოებელს, შესაძლოა, უკავშირდებოდეს ლეზგიურ ენების -რ სუფიქსს, რომელიც დასტურდება ნახმნარი წარმოშობის სახელებში, შდრ. ლეზგ. ახუა-რ: ბუდ. ახუ-რ „ძილი“.

საერთოდალესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე შეიძლება აღვადგინოთ მასდარ-ინფინიტივის ვოკალური სუფიქსი *-ი. ეს რეკონსტრუქცია შემდეგ ფორმულას ეფუძნება:

ხუნძ. -ი (მასდარის სუფიქსი): ანდ. -ი: ბავგ. -ი: ტინდ. -ი: ჭამ -ი (მასდარის მაწარმოებელი ფუძის სუფიქსი): დარგ. -ი (ყუბ.), არჩ. -ი (ისეთ ნახმნარი წარმოშობის სახელებში, როგორებიცაა აწ-ი „ავადმყოფობა“ და სხვ.): წახ. -ი(ა): ბუდ. -უ/-ი: ხინ. -უდ/-ი (ინფ.).

აგრეთვე საინტერესოდ მოჩანს ლაკურში დადასტურებული მასდარის სუფიქსის -ავ-უ (< -აბ-უ) დაკავშირება თაბასარანულსა და ალულურში დადასტურებულ -უ-ბ სუფიქსთან. ამავე რიგისა შეიძლება იყოს ხინალულური -ჟალ მასდარის მაწარმოებელი.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, დაისვას კითხვა: ხომ არ აღდება საერთო-ნახურ-დალესტნურ დონეზე ორი ან სულაც რამდენიმე მასდარის მაწარმოებელი და, შესაბამისად, ფორმაც? ამ ვარაუდს მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, ზოგიერთ ნახურ-დალესტნურ ენაში მასდარის ორ-ორი ფორმა დასტურდება (იხ. ზემოთ). ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ ხუნძურ-ანდიურ ენებში განსხვავდება I და II უღვლილების ზმნათა მასდარული ფორმები.

ყველა ნახურ-დალესტნურ ენებში დასტურდება მიმღობის რამდენიმე ფორმა. განსხვავდება, როგორც წესი, სრული და უსრული სახის მიმღობური ფორმები (ან ნამყოს, აწმყოსა და მყოფადი დროის მიმღობები). საკვლევ ენათა მონაცემები გვიჩვენებს მიმღობის სუსტ ფორმობრივ დიფერენციაციას ზმნის ფინიტურ ფორმებთან. ნ. ტრუბეცკოის აზრით, -დ-, -ლ-, -ნ- თანხმოვანთა შემცველი სუფიქსები

წარმომავლობით აღიქმურია (resp. მიმღობურია) და მიმღობებმა მოგვიანებით შეიძინეს პრელიკატული ფუნქცია [ტრუბეცკოი 1987: 326-330; შდრ. იუდაკინი 1982: 46; ალექსევი 1988: 109].

საერთო-ნახურ-დაღესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე მიმღობის შემდეგი ნიშნების აღდგენა გვესახება შესაძლებლად:

ლეზგ. -ღ/-ღი: თაბ. -ღ/-ღი: აღ. -ღ/-ღი (ფით.): რუთ. -ღ/-ღი/-ღღ: კრიწ. -ღ/-ჯ: ბუღ. -ღ/-ჯ: არჩ. -ტუ: უღ. -თ?. ეს მაწარმობლები, როგორც ჩანს, უკავშირდება ანღ. -ღო (აწმყ.), -ღია (მყოფ.): გოღ. -ღა (აწმყ.): კარ. -იღა: ბაგვ. -ღა: ჩამ. -ღა (მყოფ.), რომლებიც, ნ. ტრუბეცკოის აზრით, აღიქმური წარმომობისა არიან [ტრუბეცკოი 1929: 156-157];

ხუნდ. -საე-ბ: ანღ. -საი: ახვ. -საე: ჭამ., კარ. -ისა: ბოთლ. -საე: საკ. დიდ. -სი: ჰინ. -ს: ხვარშ. ე-სა (საკ. ხვარშ.), -სო (ინხ.): ბეჟ. -სო: ლაკ. -საა: დარგ. -სი: თაბ. -სი -ბ...

რაც შეეხება *-ნ სუფიქსს, ის, როგორც ჩანს, არ არის მიმღობური წარმომობისა და ისტორიულად აბსოლუტივს განეკუთვნებოდა, რაც ცხადად ჩანს, თუ გავითვალისწინებთ ლეზგიურ და დიდურ ენათა მონაცემებს:

ხუნდ. -ნა (ნამყ.): საკ. დიდ. -ნო/-ნ: ჰინ. -ნო/-ნ: ხვარშ. -ნა: ბეჟ. -ნა: ჰუნზ. -ნ: ლაკ. -უნ: ლეზგ. -ნა: თაბ. -ნუ/-ნ: აღ. -ნა || -ნ (ფით.): რუთ. -ნა/-ნგ: კრიწ. -ნა: ბუღ. -ნგ: არჩ. -ნა/-ნ: ჩეჩნ. -ი/-ინა.

ამას გარდა, წარმომობით აბსოლუტივის სუფიქსს უნდა წარმოადგენდეს *-რ:

ხუნდ. -რა (მიმღ.): ანღ. -რ: ახვ. -ერი (აწმყ.), -ირი/-ერი (?): საკ. დიდ. -რუ: ჰინ. -რუ: ბეჟ. -ღო (< -რო): ჰუნზ. -რ: ლეზგ. -რ/-რა: რუთ. -რა/-რა, -რი (ნამყ.): არჩ. -რ: ჩეჩნ. -რ: ინგ. -რ.

ზმნისართი

საერთო-ნახურ-დაღესტნურ დონეზე ზმნისართთა პოვნეირება გამწელებულია. საერთო ლექსემებს განეკუთვნება:

„ზედ“, „ზემოთ“ ხუნდ. ტად (ჰიდ. ტად) ~ ანღ. ჰიტა: ახვ. ტადო: ბოთლ. ჰეჟა: ჭამ. ჰილაღ ~ დიდ. ტბირი: ჰინ. ტბერ: ხვარშ. ტბალა: ბეჟ. ტბოლო ~ ლაკ. კტა, დარგ. ქედიბ, ჩედიბ ~ ხინ. მგკგლღღ ~ ჩეჩნ. ტე.

უფრო მეტი მაგალითის მოძიება შესაძლებელია საერთოდაღესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე:

1) ადგილის ზმნისართები:

„ქვემოთ“ ხუნდ. ღორტბე ~ ანდ. ჰიტბუ: ახვ. ჰეტა: კარ. ქეტბერ: ტინდ. ჰიტბი: ჭამ. ჰიტბალ, ყიტბი: ბავვ. ჰიტბი: ბოთლ. ჰიტბა ~ ბეჟ. ტბე ~ ალ. კანაქ, კენიქ: წახ. კენექ.

ამ დაკავშირების მართებულობა მტკიცდება ტბ : ტ : კ ბგერათშესატყვისობით, რომელშიც ამოსავალია ტბ ბგერა. აღულურსა და წახურში დადასტურებული -აქ, -იქ და -ექ ელემენტები, რომლებიც წარმოშობით თანდებულიან ბრუნვათა ნიშნებს წარმოადგენენ. ხუნბურ-ანდიურ ენებში დადასტურებული ღო-, ჰი-, ჰე- ელემენტები წარმოადგენს უცნობი ფუნქციის მატარებელ პრეფიქსებს.

„ახლოს“ ? ხუნდ. ასკობე ~ ?ანდ. ლ'ერუ: ახვ. ბატვივე: ტინდ. ბეტარი: ბოთლ. ბეტარა ~ წახ. კანე.

ანდიურ ენებში დადასტურებული ტ კანონზომიერად შეესატყვისება წახურ კ-ს. ხუნბური და ანდიური ფორმების მოხმობა საეჭვოა.

„უკან“ ხუნდ. ნავა ~ ანდ. ბოხუდუ: ახვ. დაველო: ჭამ. ბევე: ბოთლ. ბევევე: ჰოდ. ბევეტუ: კარ. ხევი: ტინდ. ხერი ~ ლაკ. მავ ~ წახ. ა'უვი'დ.

ეს დაკავშირება ეფუძნება ვ : ხ ბგერათშესატყვისობას, რომელშიც ამოსავალია ვ ბგერა. თავკიდური ბო-, ბე-, და- ელემენტები გაქვავებული კლასის ნიშნებს უნდა წარმოადგენდეს. ასეთივე წარმოშობის უნდა იყოს წახური ა'ვ ელემენტი, რომელშიც, როგორც ჩანს, მომხდარია მეთათეზა.

„შუაში“, „შორის“ ხუნდ. ჰორტბობ ~ ანდ. ბოტბულ'იროლა: ახვ. ატბევე: კარ. ბატბი: ტინდ. ბატბი: ჭამ. ბატბა: ბავვ. ბატბას: ბოთლ. ბატბუ: ჰოდ. ბატბუ ~ ბეჟ. დალ'და ~ დარგ. ურგ'აბ.

დაკავშირება ეფუძნება ტბ : ლ' : გ ბგერათშესატყვისობას, რომელშიც ამოსავალია არმოგვიდგება ტბ ბგერა. ბა- ელემენტი, რომელიც დასტურდება ანდიურ ენებში დერივაციული აფიქსი უნდა იყოს წარმოშობით. ამავე წარმოშობის შეიძლება იყოს დარგული ურ (< *რუ). -ობ, -აბ, -ად, -ულ ელემენტები დეტერმინანტული წარმოშობისა უნდა იყოს.

2) დროის ზმნისართები:

„სწრაფად“ 1) ხუნდ. ჰორტბობ ~ ანდ. ბერყა: კარ. ბარყა: ტინდ. ქა'აჰო: ჰოდ. ბეყა ~ ბეჟ. დილ'ა ~ რუთ. კებ: წახ. ეკ: ბე'იფჩ;

2) ხუნდ. ხაექო ~ ახვ. ხაეხლო: ჭამ. ხაიხულ'ი: ბავვ. ხეხ: ბოთლ. ხაეხო ~ დარგ. ჰარ'ვლი ~ არჩ. ხაბქელოჟნა: ლეზგ. არად: თაბ. უხთი, უხდი: კრიწ. დაჰ: ბუდ. დგხ: ხინ. დახ.

პირველ მაგალითში ტინდიურში მოსალოდნელი ტბ-ს ნაცვლად გვაქვს ქბ. უდიურში ქპ > ჩ. როგორც თავიკილური ბა-, ბე-, დი- ელემენტები, ისე ბოლოკილური -ბა, -რა, -და კლასის გაქვავებულ აფიქსებს უნდა წარმოადგენდეს.

მეორე მაგალითი ხ : ხა : ვ ბგერათშესატყვისობას ეფუძნება, რომელთა შორის ამოსავალია ვ ბგერა. კრიწულში ხ > კ განვითარდა, ხოლო ლეზგიურში ვ, სავარაუდოდ, დაკარგულია. ხუნძურში, ანდიურ ენებსა და დარგუულში მოხდა რელუპლიკაცია. შაჰდაღის ენებში გამოიყოფა და- (დგ-) გაქვავებული ელემენტები. ბოლოკილური ელემენტები -ლ'ო, -ლ'ი ახვანურსა და ჭამალურში, დარგუული -ლი და თაბასარანული -ი ზმნისართული სუფიქსებია.

„უფრო ხშირად“ კარ. ბარყა-ბარყა: ტინდ. ქა^აპო: ჭამ. ბაყ-ბაყადა: ბოთლ. ბეყა-ბეყა: პოდ. ბეყა-ბეყა ~ რუთ. კგბ-კგბ: წახ. ეკდა-ეკდა.

ეს დაკავშირება ეფუძნება ყ : კ (> ქა) ბგერათშესატყვისობას. ეს ბგერები, ამ შემთხვევაში, *ტ-ს რეფლექსებს წარმოადგენენ.

„შემდგომ“ ?ანდ. ონშილო: ახვ. ვ^ე: კარ. ხეგალ: ტინდ. ხელლა: ჭამ. დახატჷ: ბაგვ. ჰერახ: ბოთლ. ეხა: პოდ. ეხა ~ ლეზგ. ახვა: თაბ. ვაჩინ: ად. ვანი: წახ. ვიდა: კრიწ. ჩოგ ხანე.

ეს მაგალითი ეფუძნება ხ : ხა : ვ ბგერათშესატყვისობას, რომელთა შორის ამოსავალია ვ ბგერა.

სხვა ზმნისართები:

„ერთად“ ხუნძ. ცადავ ~ ანდ. სორუ: კარ. სარუ: ტინდ. სანდა: ჭამ. სან: ბაგვ. სანი: ბოთლ. სამდე: პოდ. სანუ ~ ლაკ. ცაჭუ: დარგ. ცალი ~ ლეზგ. სანალ, სანლადა: თაბ. საფხილდი: რუთ. სეტაყნა: წახ. სან: კრიწ. სენტა: ბუდ. სენტა: უდ. საგალა.

ეს დაკავშირება ც : ს ბგერათშესატყვისობას ეფუძნება, რომელთა შორის ამოსავალია ც. უკავშირდება „ერთის“ აღმნიშვნელ ლექსემას.

„ბევრი“ დარგ. დვალ ~ წახ. ხერრა, ხეფფა, ხეთთა: ხინ. იხერ: უდ. ბონოღ.

ეს მაგალითი ც ხ : ვ ბგერათშესატყვისობას ეფუძნება, რომელთა შორის ამოსავალია ვ ბგერა. უდიურსა და დარგუულში კლასის გაქვავებული ნიშნები გამოიყოფა (ბო-, და-).

„ძალიან“ ხუნძ. წაყგო ~ კარ. წაყი ~ ბეჟ. წაყილა ~ დარგ. წაყლი.

ამ მაგალითში საერთო ფუძე (წაყ) დასტურდება. ბოლოკილური -გო (ხუნძ.), -ლა (ბეჟ.), -ლი (დარგ.) წარმოშობით ზმნისართული სუფიქსებია.

